
Г2
899. 962.1—82
ა 297

მრავალფეროვანია ქართული ნოველის ოსტატის—ლადო ავალიანის წინამდებარე კრებულის თემატიკა. სხვადასხვა დროის ამსახველ ამ ნაწარმოებებს აერთიანებს ადამიანისადმი სიყვარული, სულიერი სილამაზე და კეთილშობილება.

ნოველებთან ერთად წიგნში შეტანილია წერილები, რომლებიც თეატრის, მხატვრობისა და ლიტერატურის სადღეისო პრობლემებს ეხება.

A 0742-157
M 601(08)-75



ხის კოვზი

სასახლის ქუჩიდან რუსთაველის მონუმენტისაკენ მივლასლასებ. იქ ამხანაგს უნდა შევხვდე. პროსპექტზე ისეთი ხალვათობაა, შუადღე კი არა, შუაღამე გეგონება.

ნაადრევი გაზაფხულია და საკმაოდაც გრილა, მაგრამ ასერიგად მოთენთილი ხალხი აგვისტოშიაც არ დადის ხოლმე. გაკვირვებას იწვევს იმ ქერა, წითური მამაკაცის გამოჩენაც, ასე მხნედ და გამართული რომ მიაბიჯებს. დიდი ხანი არ არის, რაც ის თბილისს მოევლინა, მაგრამ უკვე ყველა იცნობს დედაქალაქის ახალ კომენდანტს. ორიოდე ნაბიჯზე მას შავგვრემანი ადიუტანტი მიჰყვება. ამ ჭაბუკსაც კარგად იცნობენ თბილისელები. კომენდანტი ადიუტანტს თავის პარაბელუმზე უფრო მეტად ენდობა და გული საგულესა აქვს, ომის მკაცრ კანონთან ერთად მას მხარში რომ უდგას ეს ჭაბუკი. სულ მცირედი ხელყოფა წესრიგისა და... პატიების იმედი ნუ გექნება. ხომ არ აპატია კომენდანტმა ჰოსპიტლიდან ერთი-

ორი საათით გამოპარულ, ნახევრად ჭრილობამოშუშებულ მატროსებს ამასწინანდელი დებოში ბაზართან. თავზე ხელაღებულ ჭაბუკებს სევასტოპოლის შარავანდედმაც ვერ უშველა. კომენდანტის სიმკაცრე მის გამჭოლ მზერაში მაშინაც კი ჩანს, როცა იღიმება.

ამხანაგს დათქმულ ადგილზე ჩემთვის მისვლა დაესწრო. მან მონუსხულივით გააყოლა მზერა კომენდანტს. ჩემი მიახლოება კი ვერ შეამჩნია. ბეჭზე მოულოდნელად წავკარი ხელი. ის შეკრთა და შიშით შემომაცქერდა.

— შეგეშინდა?

— რა ვიცი. თავზე უეცრად დამეცი.

დაღმართს დავუყევით. სასადილოში ცოტა ნაადრევად მოგვიხდა მისვლა. კარი დაკეტილი იყო. შუშაზე, შიგნიდან აკრულ ქაღალდზე ქიმიური მელნით მსხვილად ეწერა — „обед с двух часов". ახლა პირველს თხუთმეტი წუთი უკლდა. ისე გულდაწყვეტილი გამოვბრუნდით უკან, თითქოს მოულოდნელი უარით გამოვესტუმრებინეთ. ერთხანს უსიტყვოდ ვტკეპნიდით ტროტუარის ასფალტს სასადილოს შორიახლოს. ვერ გადაგვეწყვიტა, საათი და თხუთმეტი წუთი სად გაგვეტარებინა. მოულოდნელად ლევანს კარგი აზრი დაებადა:

— მოდი, ზოოპარკში შევიაროთ! აქვეა.

ჯერ დავეთანხმე, მერე შევყოყმანდი. ლოდინი ლოდინია, მაგრამ რაც უნდა იყოს, სასადილოდან ორ ნაბიჯზე ხარ, სასადილოს სიახლოვეს ლოდინი რო-

გორღაც უფრო ნუგეშის მომგვრელია. გაიღება თუ არა კარი, ერთი პირველთაგანი შენ იქნები, ვისაც კერძს მოუტანენ... გარეთ ლოდინი, ალბათ, ათასჯერ უფრო ადვილია იმ ლოდინზე, როცა სხვის პურობას მორიდებულად უცქერი და ლუკმის მაგივრად ნერწყვს ყლაპავ, სანამ მომტანი პირველ თავს გაღირსებდეს.

ლევანს თავისი წინადადება არ გაუმეორებია, ისევ ჩამავლო მკლავში ხელი და წამიყვანა.

ზოოპარკის სალაროში ორი ბილეთი ავიღე. შევედით. არსად კაციშვილი არ ჭაჭანებდა. თეთრი დათვი მასპინძელივით დაგვიხვდა; ატოტებულს მაჯის სიმსხო გისოსებისათვის კლანჭებიანი თათები ჩაევლო და აქეთ-იქით მოუსვენრად იქნევდა თავს. მერე ისევ ოთხფეხზე დადგა, რაკი დარწმუნდა მოსაკითხით არ მოვსულვართ, ერთი დაყნოსა საუზმის მონარჩენი თევზის ბოლო და აუზის ცივ წყალში ისე არხეინად გადაეშვა, მის მაგივრად ჩვენ შეგვაჭრჭოლა.

— რა გაბრუებულივით წრიალებს. ნერვებს მოგიშლის მაგის ცქერა.

— რა ქნას. ყველას თავისი უბედურება ჰყოფნის.

— მართალი ხარ, — დამეთანხმა ლევანი, — წამო, ლომებს გადავხედოთ.

ლევანს უსიტყვოდ გავყევი. მოაჯირიანი ფერდობიდან თავისუფლად ჩანდა საკნებივით ჩამწკრივებული, რკინის მაღალგისოსებიანი გალიები ლო-

მებისა, ვეფხვებისა, იაგუარებისა და მგლებისათვის. პირველი გალია ცარიელი იყო. მეორე გალიაში დედალ-მამალი ლომი იწვა. შორიახლოს ხორცის მოზრდილი ნაფლეთიანი ძვალი ეგდო. ლომები უძრავად გართხმულიყვნენ, ჩვენს შეხმიანებაზე ყურიც არ შეუბერტყავთ. ხვადმა მხოლოდ თვალი გაახილა, ამოგვხედა და ისევ მინაბა. მეტი ყურადღების ღირსად არ ჩაგვთვალა. ჩვენ მაინც თვალს არ ვაშორებდით. ველოდით და იმედს არ ვკარგავდით, როცა იქნებოდა, ან ერთი წამოდგებოდა, ან — მეორე.

— ეგენი, ალბათ, ახალი ნასაუზმევი არიან და ჩვენთვის არ სცალიათ, — ჩაიცინა ლევანმა.

— ცალი თვალით ხომ მაინც ამოგვხედა. მეფეა, ვინმე წვრილფეხა ვიგინდარა ხომ არ არის!

— მეფე-მეფეა და... ომს ეგეც გემოზე შეუბერტყავს... ხედავ, როგორ ჩავარდნია ფერდები... ნეკნებიც კი უჩანს... ბეწვიც რას დამსგავსებია, ქეცი ხომ არ შეჰყრია მაგ უბედურს!

თითქოს ჩვენი ნალაპარაკევი გაიგო და ასე მოხსენება იუკადრისაო, ხვადმა ლომმა თავი წამოჰყო, ჯერ ერთ წინა თათზე წამოიწია, შემდეგ — მეორეზე. ბოლოს ოთხივე ფეხზე რაღაც გაუბედავად დადგა და ის იყო ნაბიჯის გადადგმა დააპირა, რომ გავა განზე გადაუქანდა და მოწყვეტილივით დაეცა გალიის ახალმორეცხილ იატაკზე. ამის დანახვაზე მოაჯირს ისე გადავეკიდეთ, ლამის თხრილში გადავცვივდით. ვინმეს რომ ეთქვა, არ დავუჯერებდით, რაც ამ წუთში ჩვენმა თვალმა იხილა. ხვად ლომს უკანა ფეხებზე

წამოდგომა აღარ უცდია. ასე ტორებზე დაბჯენილი და წელმოწყვეტილი დარჩა იგი, თანაც ისე საცოდავად იცქირებოდა, გეგონებოდათ, კეტით გაულახავთ და ძვალ-რბილი გაუერთიანებიათო... ახლა ძუ ლომმაც წამოჰყო თავი, ტორით ძვლიანი ხორცის ნაჭერი ახლო მიითრია, პირი უღონოდ ჩაავლო, მაგრამ ისევ უშვა და მარცხენა ტორის ლოკვას მოჰყვა. ხვადმა ერთი უხალისოდ გადახედა. ხორცის ნაჭერი თითქოს არც შეუნიშნავსო. საკვირველი ის იყო მშივრებს ჰგავდნენ, ხორცი კი წინ ედოთ და არ ეკარებოდნენ.

— რა დაემართათ?! — ვიკითხე გაოცებულმა.

— ალბათ, ეწყინათ, უვარგისი ხორცი რომ შეუთავაზებიათ. თავმოყვარეობა შიმშილშიაც არ ღალატობთ!

— ვინ იცის, იქნებ მართალსაც ამბობდე...

თითქოს ჩვენზე არ უნდა ემოქმედა ამ სანახაობას, მაგრამ მაინც დაფიქრებული გავშორდით ლომების სამყოფელს. ნახევარი ზოოპარკის დათვალიერება მაინც მოვასწარით, რა ფრინველი და ცხოველი არ ვნახეთ, მაგრამ არაფერს ისეთი შთაბეჭდილება არ მოუსდენია ჩვენზე, როგორიც მშიერმა ლომებმა მოახდინეს. თვალიდან არ მშორდებოდა ხვადი ლომის გამომეტყველება. მეგონა სასადილოსთან მიახლოებისთანავე დამავიწყდებოდა ყველაფერი, მაგრამ ვარაუდი არ გამიმართლდა. შიმშილი და რაღაც გამოუცნობი შიში ახლა იმ ლომის თვალებით მიცქეროდა...

ჩვენი მისვლა და სასადილოს კარის გაღება ერთი იყო. ლოდინი არ დაგვჭირვებია...

დღესაც ერთ წუთში ვისადილეთ. რა დიდი ამბავი უნდოდა ერთ თეფშ მუხუდოს სუფსა და ერთ იჯრა მოხარშულ შავ მაკარონს. ომამდე საგანგებო სანაძლეოც კი თავს ვერ გაგამეტებინებდა, ეს მაკარონი გაგესინჯა. ცუდად ხარშავენ, თუ დანოტიოებულია, ისე გეგლისება პირში და ისეთი უგემურია, მადის დასაკარგავად უარესს კაცი ვერაფერს მოიგონებს. და მაინც შენს წილს რომ გააქრობ, ცალი თვალით იქით იყურები, ვინც ახლა შეექცევა ამ „დელიკატესს“.

მე და ლევანი ტალონით ყოველდღე ერთად ვსადილობთ. დაწესებულებიდან ამ სასადილოს მოგვაწერეს. ეს არის სასტუმროს ყოფილი რესტორნის დიდი, სვეტებიანი დარბაზი პირველ სართულზე. ომამდე აქ რომ შემოვსულვარ, დღისითაც კი კედლებს, სვეტებს, იატაკსაც ისე შემოუნათებიათ, გამკვირვებია, ასე საგულდაგულოდ როგორ უვლიანმეთქი. ახლა კი აქაურობის ცნობა გაგიჭირდებოდათ. ის საზურგეზე ტყავგადაკრული ძვირფასი სკამები მაინც რა იქნა? მაგიდები კი დაუტოვებიათ, მაგრამ სხვადასხვა ფერის, ალაგ-ალაგ გადასერილი ან გაფხრეწილი მუშამბის გადასაფარებელი მაგიდებსაც, დარბაზსაც ისე აუშნოებს, გადმოხვეწილი ხალხის თავშესაფარი გეგონება. გინდა მალე გაეცალო აქაურობას, მაგრამ ოფიციანტი და, ისიც შემთხვევითი, ჯერ კერძს არ გაღირსებს, მერე ფულის

ვადახდაზე ლოდინით მოგიშლის ისედაც დაფუშულ ნერვებს. სასადილოში ხალხი ცოტაა. აქა-იქ უსხედან ადამიანები მაგიდებს. ქალიც, კაციც, თითქმის ყველა ჩამოქექილია, ყველა გამხდარია. არათუ სიცილის, ღიმილის კვალიც კი წაშლილა სახეზე. შიმშილისაგან ზოგი თვლემამორეულივით გამოიყურება და წამდაუწუმ ამთქნარებს. მხოლოდ ერთ-ორს თუ უელავს ავად თვალები, სიცხიანივით წამონთებულა სახეზე... ამათგან, თუ ერთი გაფაციცებით ილუკმება, თან აქეთ-იქით იცქირება, მეორემ ლოდინისაგან ლამის იტიროს. დარბაზში ორი ოფიციანტი ქალის მოძრაობას კერძის მომლოდინენი თვალს ისე აყოლებენ, როგორც ეს კატას სჩვევია. არავის არაფერი აღარ უკვირს. ყველა გრძნობას კუჭი დაპატრონებია. ათას ცხრაას ორმოცდაორის გაზაფხულმა შიმშილის გრძნობა ისე გაამწვავა, მუხუდოს სუფი და მოხარშული შავი მაკარონიც დაფასდა. ბაზარს დღითი დღე ცეცხლი ეკიდება. ორ, განაპირა ფანჯარას შუა, კედელზე მიმაგრებული რადიოს თეფში სასადილოს ყრუ ხმაურში ნელა იწყებს ხრიალს, გეგონება, ვინმეს ახრჩობენო; მერე ხმა იწმინდება და რაღაც არაამქვეყნიური კილოთი იწყება საინფორმაციო ბიუროს ცნობის გადაცემა. უსმენ და შიშობ, იმაზე უარესი არაფერი გაიგონო, რაც უკვე იცი. მტერი, მართალია, მოსკოვთან დალეწილი და უკუქცეულია, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა სამხრეთს ეძალება...

რადიოს დროდადრო ხრინწი ეპარება და ძნელია იმის გარჩევა, თუ რას ლაპარაკობს დიქტორი.

ამასობაში სასაცილოდ მოუხეშავმა ოფიციანტმა ქალმა ჩვენს მაგიდასაც ჩაუქროლა. მივაძახეთ, — ფული მიიღეო. „მოთმინება იქონიეთ“, ჩაილაპარაკა ცალყბად, მაგრამ ხმამაღლა და მკერდზე მიხუტებული თეფშების ასვეტილ გროვას გზადაგზა რამდენიმე კიდევ დაუმატა. ზედა თეფში ქვეშ ამოდებულ ჩანგალზე დაცურდა და ისე დაენარცხა იატაკს, ნამსხვრევებს ვერ დათვლიდით. ამ ხმამ ერთი წამით მიიქცია დარბაზში მყოფთა ყურადღება. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს რამე მნიშვნელოვანი ამბავი მომხდარიყოს. ზოგს გაეღიმა კიდეც: საკმარისი იყო თურმე ერთი თეფშის დამსხვრევაც კი, რომ გუნება-განწყობილება შეცვლილიყო.

— რას ჰგავს ეგ უღმერთო! — თვალი გავაყოლე შუახნის ოფიციანტ ქალს და ხმამაღლა წამომცდა, რაც გავიფიქრე.

— რამ გაასუქა ამ შიმშილობაში? — შემომეშველა ამხანაგი.

— თუ ამ მაკარონს ძღომაზე ჭამს, წარმოგიდგენია, რა კუჭი ექნება! — ვთქვი მე. ასეთი კრიტიკა თითქოს იმის სამაგიერო და გულის მოსაოხებელი საშუალება იყო, ოფიციანტმა ქალმა ფულის გადახდაზე ამდენი რომ გვალოდინა.

— ეტყობა, შემთხვევითი ხალხია. სად არიან ძველი, გამოქექილი, პროფესიონალი ოფიციანტები!

ასეთი შენიშვნისათვის მაშინ სულაც არ გვეცალა, აქ რომ შემოვაბიჯებთ, მაგრამ ახლა სხვა იყო. შიმშილის გრძნობა ოდნავ მიყუჩებულიყო და თუ

წეღან, სანამ ვისადილებდით, თეფშებისა და პურის ნაჭრების მეტს ვერაფერს ვამჩნევდი მაგიდაზე, ახლა ისიც კი იქცევდა ყურადღებას, როგორ დასეოდნენ ბუზები მეზობელ მაგიდაზე ორ-სამგან დატბორებულ სუფს, მაკარონის ნამცეცებს, ასე მკაფიოდ რომ გამოკვეთილიყვნენ შავ მუშამბაზე.

რაკი ვატყობდი, ოფიციანტი ქალის ყურადღებას ჯერ ვერ ვეღირსებოდით, დარბაზის თვალიერებას ამხანაგთან გაბაასება ვამჯობინე, მით უმეტეს, მისმა ბოლო სიტყვებმა — სად არიან ის ძველი, გამოქეჭილი ოფიციანტებიო, ერთბაშად გამახსენა ერთი შემთხვევა.

— ლევან! — მივუბრუნდი ამხანაგს. — ამ რამდენიმე წლის წინ ქუთაისის ერთ რესტორანში ვსადილობდით ბიჭები. მივლინებით ვიყავი ჩასული. მე რომ იქ სეირი ვნახე!..

—მაინც რა — გულგრილად იკითხა ლევანმა.

— ოთხმა ოფიციანტმა იჩხუბა. იმათი თეფშის გასაწმენდი გაქათქათებული ტილოების ჰაერში ფრიალი ახლაც მელანდება. ხელი, მართალია, არ დაუკარებიათ ერთმანეთისათვის, მაგრამ უნდა გეცქირა ოფიციანტების მიმიკისა და ჟესტიკულაციისათვის, უნდა მოგესმინა სიტყვა-პასუხი, ხმის უცნაური აწევ-დაწევით და დარწმუნდებოდი, რომ მსოფლიოს არც ერთ თეატრში, არც ერთი დრამატურგის პიესა ასე არ შესრულებულა!

— შეიძლება, — ისე თქვა ლევანმა, დარწმუნე-

ბული იყო, არ ვაჭარბებდი. მაგრამ კილოზე ისიც შევატყვე, ეს ამბავი მაინცდამაინც არ აინტერესებდა. სულ სხვა რამეს მიეპყრო მისი ყურადღება. არ ვიცოდი, იქით რა ხდებოდა, საითაც ჩემი ამხანაგი ასე დაჟინებით და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა. არაფერი მიკითხავს. სკამი ნახევრად შევაბრუნე, საზურგეს მკლავი ჩამოვაყრდნე. ამ მდგომარეობაში უფრო ბუნებრივად და მოხერხებულად გავიხედე შუა დარბაზისაკენ. შუა დარბაზში, ცისფერ მუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან ორი ქალი იჯდა. ახალგაზრდა ხის კოვზით სუფს შეექცეოდა, მოხუცი კი დანის წვერით მარჯვედ იღებდა დანამცეცებულ მაკარონს და გამალებით ჭამდა. გამალებით ჭამის შთაბეჭდილებას შეიძლება მისი უკბილობაც აძლიერებდა, დანაოჭებული ლოყის კანი ყბების ენერგიულ მოძრაობაზე გახვრეტილი საბერველივით იჩუტებოდა.

ცისფერმუშამბიანი მაგიდისკენ ერთი-ორჯერ კიდევ გავიხედე. გოგონა მეც მომეწონა. მართალია, ისიც ძალზე გამხდარი ჩანდა, მაგრამ თუ ქალი ლამაზია, სიგამხდრე რას დააკლებს. ოდნავ დაწეულ მხრებს კიდევ უფრო უხდებოდა სიგამხდრისაგან წაგრძელებული კისერი. გაკვირვებას მხოლოდ ის იწვევდა, რომ წაბლისფერი თმის პატრონს, თვალები თითქმის მონაცრისფრო-მტრედისფერი დაჰყოლოდა, გარსს გუგისაგან ვერც კი გამოარჩევდით. ერთი-ორჯერ, გოგონამ დარბაზის სიღრმისაკენ რომ გაიხედა, მეგონა, გრძნეულია-მეთქი. ძალიან მიმზიდვე-

ლი გამოხედვა ჰქონდა. ერთბაშად შეეძლო კაცის დატყვევება.

— .რა იყო, მოგეწონა? — ღიმილით ჰკითხე ლევანს.

— ვინ?

—. „ვინ!“ — გამოვაჯავრე ამხანაგი. — შენც რა დიდი მიამიტი ვინმე მყავხარ! ვინ და, ვისაც უყურებ!

— შენ რა იცი, თამაზ, მე ვის...

— მაგას რა ცოდნა უნდა?

— გოგონას არა უშავს, მაგრამ მე ეგერ იმ ჭაბუკს ვუცქერი! ეგ ან დონჟუანია, ან გიჟი!

ისევ გავიხედე იქით. გოგონასაგან მესამე მაგიდაზე იჯდა უცნობი ვაჟი, მაგრამ მისი ჯდომა მართლაც არ ჰგავდა ნორმალური ადამიანისას. ხელები შავმუშამბაგადაფარებული მაგიდისათვის ჩაევლო. დაძაბული, თითქო გადახტომას აპირებსო, ანთებული თვალებით იცქირებოდა გოგონასაკენ. ჩვენ იმ ყმაწვილის პროფილს ვხედავდით. ეტყობოდა, კბილს კბილზე აჭერდა, რადგან მის გამხდარ ყბებზე კუნთები ტოკავდნენ.

ვაჟს უბრალოდ, მაგრამ კოხტად ეცვა — შავი პიჯაკი, თეთრი, საყელოგახამებული პერანგი, სისხლისფერი ჰალსტუხი... მართალია, ცოტა გაკვირვებას იწვევდა ამ სიცხეში შავი პიჯაკი, მაგრამ ეტყობა, ვაჟს თავისი პრინციპი ჰქონდა და „არისტოკრატიულ“ წესს სიცხის მიზეზითაც არ ღალატობდა.

— მართლა ვინაა ეს... — წამომცდა უცაბე-

დად. — როგორადაც უნდა მოგეწონოს, შეიძლება გოგოს ასე დაუწყო ცქერა? ჭამა მაინც აცალოს!..

— მეც ეგ მიკვირს, მაგრამ რაც გინდა, თქვი, უყურებს და...

მე და ლევანი ახლა უკვე თვალს აღარ ვაცილებდით იმ უცხო და ურცხვ ჭაბუკს. ის ისევ იმ ჩაციებით და თანაც დაძაბული თვალს ადევნებდა უცნობი გოგონას ხელის მოძრაობას. ჩანს, ქალსაც შეემჩნია ეს გამომწვევი მზერა, რადგან თავს მაღლა უკვე იშვიათად სწევდა, ისე შეექცეოდა სუფს. ვინ იცის, ქალს გულის სიღრმეში შეიძლება კიდეც სიამოვნებდა ვაჟის ასეთი საქციელი, როცა ადამიანებს კუჭის გარდა ყველაფერი დავიწყებოდათ ამ ქვეყანაზე.

უცხო ჭაბუკის ასეთი მომნუსხველი, ურცხვი და გამომწვევი მზერა ნამდვილად აღვიძებდა გულის სიღრმეში მისი „გამოფხიზლების“ ფარულ წადილს. მეც, ლევანიც დაძაბული თვალს ვადევნებდით ჭაბუკის მოძრაობას. ის, მართალია, ქალს თვალს არ აშორებდა, მაგრამ დროდადრო მარცხენა ხელს ლოყაზე ისე ნერვულად ჩამოისვამდა ხოლმე, დაგაფიქრებდათ.

უშნოდ ჩასუქებული ოფიციანტი, წეღან თეფში რომ გაუტყდა, თავზე მოულოდნელად წამოგვადგა. მე არ გავნძრეულვარ. უცხო ჭაბუკისათვის თვალი არ მომიშორებია. სადილის ფული ლევანმა გადაიხადა.

— ვინ არის ის გოგონა, დღეს პირველად ვხედავ, — უთხრა ლევანმა ოფიციანტ ქალს, რომელიც

.ახლა მაგიდას ასუფთავებდა. ქალს იქით არც გაუხედავს, ისე თქვა:

— ა, ეგენი? ყოველდღე ჩვენთან სადილობენ... ბებია და შვილიშვილი...

ოფიციანტ ქალს სიტყვა არ დაუსრულებია, ეტყობოდა, ერთ რამეს რომ ლაპარაკობდა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მან ახლა მეზობელ მაგიდას მიაშურა. რატომღაც ასე, შორიახლოდან მივაქციე ყურადღება; ოფიციანტ ქალს ორივე გარეთა გულისჯიბე გატენილი ჰქონდა დაჭმუჭნილ-დაგუნდავებული ქაღალდის ფულით და ეს ჯიბეებიც ისე ასხდა, მკერდს უფრო მეტად უუშნოებდა.

ამასობაში გოგონამ სუფი დაამთავრა და ის იყო ხის კოვზი ორი თითით წკიპად ჩამოდო თეფშის ნაპირზე, რომ უცხო ჭაბუკი, აქამდე რომ თვალებით სჭამდა მას, ერთბაშად წამოიჭრა ზეზე, ერთი ნახტომით იმ გოგონას მაგიდასთან გაჩნდა და ხის კოვზს ხელი სტაცა. გოგონას უცებ ფერი ეცვალა, სკამის საზურგეს მიეხალა, მერე გაოცებით მიმოიხედა და გაიღიმა, მაგრამ ეს ის ღიმილი არ იყო, რაიმე სასაცილო შემთხვევა რომ მოგგვრის. ეს იყო გაწბილებული და გაოცებული ადამიანის ღიმილი, რომელიც თავის არსებაში რაღაცას ოცნებით ელოლიავებოდა და თურმე ეს ყველაფერი მხოლოდ მოჩვენება იყო. ის ჭაბუკი ისევ თავის მაგიდასთან გაჩნდა. კოვზის ტარით გამალებით იწყო კაკუნი მაგიდაზე; თან დროდადრო კოვზს მაღლა სწევდა, შორიახლოს მოფუსფუსე ოფიციანტს რომ დაენახა. ეს ხომ ყველამ ვი-

ცოდით, მაგრამ მაინც განცვიფრებული ვიყავი, აქამდე რომ ვერ მივხვდით: სადილს მანამდე არ მოგიტანდნენ, სანამ კოვზს არ ჩაიგდებდი ხელში. ასლა იმ ჭაბუკისათვის რომ შეგეხედათ, სწორედ ვეღარ იცნობდით. სახეზე სულ სხვაგვარი მოუთმენლობა ეხატა, ცალი ხელით რომ კოვზს მალიმალ მაღლა სწევდა, მეორე ხელის საჩვენებელ თითს საყელოში ყოფდა და ქაჩავდა, თუმცა სულაც არ ეტყობოდა, საყელო ვიწრო ყოფილიყო და უჭერდა. ვეღარ იცნობდით იმ გოგონასაც, რომელიც ასე გაწბილებული გამოიყურებოდა. და ალბათ, ვეღარც ჩვენ გვიცნობდნენ, ისევე, როგორც ძნელი საცნობი იყო ყველა და ყველაფერი იმ წელიწადს.

ვცდილობდი. ყურადღება აღარ მიმექცია იმ უცნობი ჭაბუკისათვის, მაგრამ საკვირველი ის იყო, საითაც გავიხედავდი, სულ ის ხის კოვზი და მშიერი ლომის თვალები მელანდებოდა.

გამოცდა

— მიცანით?

— რაღა თქმა უნდა, ბატონო სოლომონ! თუმცა...

— ოცდაათი წელიწადი მაინც იქნება, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს...

— თუ მეტი არა!

— მე კი... ვეღარ გიცანი! — მოხუცმა მედიდური ათვალწუნებით ახედ-დახედა მასპინძელს. — ვინ იცის, რამდენჯერ შემხვდი ქუჩაში, იქნებ თვალიც შეგავლე, მაგრამ... ასე როგორ შეიცვალე?! მე რომ ვასწავლიდი, იმ ჭაბუკს კი არა, საერთოდ ადამიანს აღარ ჰგავხარ! ორმოცდაათი წლისაც არ იქნები და უკვე... ამოდენა ღიპი, ამოდენა ღაბაბი, ამოდენა ქ-ო-ნ-ი! — ეს ორი ბოლო სიტყვა უფრო ხმადაბლა, მაგრამ ზიზღის აღმძვრელი კილოთი წარმოთქვა მოხუცმა სოლომონმა.

ეს დარბაისელი, ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცი დარბაისლური კილოთი კიცხავდა ნამოწა-

ფარს, ის კი ისე ხითხითებდა, თითქოს იღლიებში უღიტინებენო.

ცხოვრება აღსავსეა მოულოდნელობით. ერთი ასეთი მოულოდნელობათაგანი იყო მოხუცი სოლომონის სტუმრობა ნამოწაფარის ოჯახში.

სოლომონმა გაოცებით მიმოიხედა. იატაკზე დაფენილი, ხასხასა ბალახივით მწვანე ნოხი კარის ზღურბლიდან მოპირდაპირე კედლამდე სწვდებოდა. ბოლოში ერთი შეხედვით ზედმეტად მუქი ყავისფერი, სამი თითის დადება ფიცრით ნაკეთები საწერი მაგიდა იდგა. ასეთივე ფერის და სტილის კარადები ჩანდა ხელმარჯვნივ ყრუ კედლის მთელ სიგრძეზე. ამ სადა კარადებს ძალიან ამშვენებდა სქელი, სარკის შუშის გასაწევ-გამოსაწევი ზედა კარები. ვეებერთელა შუშებში, ისევე როგორც მაღაზიის ვიტრინებში, მოჩანდა, რაც კარადების თაროებზე იყო დალაგებული. მაღლა, პირველ თაროზე ხალვათად ჩანდა ერთმანეთზე მიწყობილი წიგნები, მეორე თაროზე ეწყო ბროლის ჭურჭელი, მესამე თაროზე კი — მხოლოდ ფაიფურის და მოჭიქული თიხის ნაკეთობა. ერთად თავმოყრილი ამდენი ჭურჭელი სოლომონს არათუ სადმე ოჯახში, არამედ სპეციალურ, საკომისიო მაღაზიაშიც კი ჯერ არ ენახა. ეს განძი რამდენჯერმე ცნობისმოყვარეობით აათვალ-ჩაათვალიერა და მასპინძელს გაოცებით შენიშნა:

— დიდი ქონება შეგიძენია!

წელანდელი გაკიცხული მასპინძელი კვლავ გამო-

ცოცხლდა, სოლომონისაკენ რაღაც უცნაური გოგმანით წავიდა.

— ბატონო სოლომონ, რასაც აქ, კარადებში ხედავთ, ყველაფერი ჩემი მეუღლის მონაგარია. ბროლსაც, ფაიფურსაც, მოჭიქულ თიხასაც ის აგროვებს. მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს ჩვეულებრივი, თანამედროვე ბროლის ჭიქები და ლარნაკებია, ჩვეულებრივი ფაიფურის თეფშებია, ჩვეულებრივი მოჭიქული თიხის ნაწარმია!

— მე არცთუ ამდენად ვარჩევ ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ ბროლსა, ფაიფურსა თუ თიხის ნაკეთობებს...

— სპეციალისტი არც მე ვარ, მაგრამ ძალაუნებურად მიხდება გათვითცნობიერება. უბრალო ცნობისმოყვარეობაა! მე მხოლოდ ერთ საგანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

— რომელ საგანზე? — ბავშვური ცნობისმოყვარეობით წამოიძახა სოლომონმა.

ამასობაში მასპინძელმა სწრაფად, მსუბუქად და ძალდაუტანებლად გასწია სქელი შუშის კარის ცალი პირი, თაროდან ფრთხილად აიღო ერთი თეფში და სოლომონს მიაწოდა. სოლომონმა სათვალე მოიმარჯვა და უცხო ნაკეთობას დააკვირდა.

— ასეთი, პეპელასავით მოხატული თეფში ჯერ არ მინახავს!

ნამოწაფარმა ღაწვებში ჩამალული თვალები კიდევ უფრო მოწკურა, მაღლა აწეული თითები კი ერ-

თმანეთზე მარჯვედ გაატკაცუნა და მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

— რომ იცოდეთ, რა ძვირფასი ნახელავი გიჭირავთ ხელში, ალბათ... შეგეშინდებოდათ! შეგეშინდებოდათ, უცაბედად არ დამივარდესო.

— მაინც, მაინც! — დაინტერესდა სოლომონი.

— როგორც მოგეხსენებათ, მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში ესპანურ-მავრიტანულთან ერთად იტალიურმა მაიოლიკამ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია. თუ იტალიის სხვა ქალაქებთან ერთად სახელი გაითქვა როვიგომაც, ამას იგი უნდა უმადლოდეს მაიოლიკის უბადლო ოსტატს — ფრანჩესკო ქსანტო აველის. გარდა დიდი კულტურისა, ოსტატობისა და გემოვნებისა, მას ერთი სახარბიელო რამეც ჰქონდა — თავის ნახელავს მარტო ვინაობას კი არ აწერდა, არამედ თარიღსაც.

სოლომონმა კვლავ მოიმარჯვა სათვალე და თეფშზე, მართლაც, ამოიკითხა ავტორის გვარი და წელი. ერთხელ კიდევ შეაბრუნ-შემოაბრუნა ხელში, მერე ფრთხილად მიაწოდა მასპინძელს.

— შეინახე, თუ ღმერთი გწამს, აქამდე მოუღწევია და ახლა უცაბედად არ ჩავდგე მაგ ოსტატის ცოდვაში.

— თუ ჩადგებით, მხოლოდ ჩემი ცოლის ცოდვაში! ჩვეულებრივ, ასეთ იშვიათობაზე ჩემი სოფიკო ხელს არავის აკარებინებს. ეს თქვენთვის, როგორც გამონაკლისი!

— მადლობას მოგახსენებთ, დიდი შეღავათია! —

ცოტა დამცინავად თქვა სოლომონმა. მიმოიხედა. ფანჯარასთან სავარძელს მიაშურა, მუქმწვანე ტყავის სავარძელში ჩაჯდა და საზურგეზე გადაწვა.

— კოკო! — უხმო სოლომონმა. — გვეყოფა ჭურჭელი.

— ახლავე, ბატონო სოლომონ! — მკვირცხლად მიუგო ნამოწაფარმა. ფრანჩესკო აველის ნახელავი თეფში დააბინავა თუ არა, სქელი შუშის კარი გასწია და მყის სოლომონთან მიიჭრა, მის პირდაპირ მეორე სავარძელში ჩაჯდა.

— გისმენთ, ბატონო სოლომონ!

— კი მაგრამ... შენი ცოლი როგორ ახერხებს ამ მსოფლიო შედევრების ხელში ჩაგდებას?

— ჩემი ცოლი მაგ საქმის დიდოსტატია!

— მაინც?

— თუ... ინსტიტუტში მოწყობა გინდა, თავი უნდა მოიკლა და რამე იშვიათობა იშოვო მისი გულის მოსაგებად! წარმოიდგინეთ, ზოგს არ შეუძლია საგნები ხუთებზე ჩააბაროს, ამას კი ახერხებენ! გაოცებული ვარ, ფულიც რომ გემეტებოდეს, მიგნება არ გინდა?! მომავალმა სტუდენტმა გამოცდების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე რომ მოახერხოს თქვენი გაცნობა, დაბადების დღისთვის საჩუქრად მოგიტანოს სევრის მანუფაქტურის ნიმუში — ფალკონეს მოდელის მიხედვით შესრულებული სკულპტურული ფიგურა, ან ვენეციური სასმისი, ან კიდევ ჩინური „ძი ხუნ“ — ხარის სისხლი — წითლად მოჭიქული ფაიფურის ვაზა, რას იტყოდით! ხომ გაოცდებოდით

ასეთი ნივთის ხილვაზე! მეც სწორედ ამიტომ ვერ ვამტყუნებ ხოლმე ჩემს ცოლს და ვერ ვუშლი, ხელი აიღოს...

სოლომონი გაოცებით მიშტერებოდა ნამოწაფარს, უკვირდა მისი გულახდილობაც, სიხარბეც, უსინდისობაც.

— განაგრძეთ, განაგრძეთ!

კოკოს რომ მასწავლებლის გულისწყრომა უნებლიეთ არ ამოეკითხა, სოლომონს თვალები დაეხუჭა, სახე კი უღიმოდა.

თუმცა გვიან, მაგრამ კოკო მაინც მიხვდა, ზოგი რამ ყოფილ მასწავლებელთანაც კი არ უნდა წამოეროშა. მეტი გულახდილობა უკვე საშიში იყო.

— ბატონო სოლომონ, უთუოდ რაღაც სერიოზულმა გარემოებამ გაიძულათ...

— ასე გგონიათ?

— დიახ! უთუოდ ასე იქნება.

სოლომონმა სავარძლის საზურგეზე მისვენებული თავი ოდნავ წამოსწია და გამომწვევად მიაშტერდა ნამოწაფარს.

— რაც მართალია, მართალია, უმიზეზოდ არ მოვსულვარ.

— დარწმუნებული ვარ, გსურთ პროტექცია გაუწიოთ თქვენი რომელიმე მეგობრის ან ნათესავის გოგონას, თუ ბიჭუნას, რომელიც გამოცდაზე ჩაიჭრა, ან იცის, რომ ჩაიჭრება!

სოლომონი კვლავ წინანდებური გამომწვევი ჩაციებით ჩააცქერდა ნამოწაფარს.

— სანამ რამეს გიპასუხებდე... ჩემი სათქმელი ცოტა შორიდან მინდა დავიწყო...

— ბრძანეთ! — მკვირცხლად წამოიძახა ნამოწაფარმა და ასევე მკვირცხლად შეტოკდა სავარძელში. სხვათა შორის, ის სულ ტოკავდა და ცქმუტავდა, როგორც სჩვევიათ პატარა ტანის ჯანღონით და ენერგიით სავსე, თითქოს ჭარბად დამუხტულ ადამიანებს.

— უპირველესად, გამაოცა იმ ამბავმა, რომ აქაურობა პროფესორის ბინა კი არა, საიდუმლოდ დაცული ბუნაგი ყოფილა!

— ბუნაგი?! — კოკო მტკაველზე შეხტა სავარძელში.

— ორი დღეა, კარგი მეძებარივით დაგეძებ, — დინჯად განაგრძო სოლომონმა, — მისამართი ადვილად შევიტყვე — ინსტიტუტის კანცელარიაში დავრეკე და მითხრეს. სახლს კი დიდხანს ვუტრიალე, რაც შემეძლო, ზარიც ვრეკე, ვარახუნე კიდევაც, მაგრამ ამაოდ — სადარბაზო კარი არავინ გამიღო. თანაც ეს სადარბაზო მისასვლელი გაუქმებულივით იყო ჩამტვერილი. რაკი თქვენს სახლს შესასვლელი ვერსაიდან ვუპოვე, ტელეფონის საცნობაროს დავურეკე და იქ ერთ ნაცნობ ტელეფონისტს შევეხვეწე, პროფესორ ნიკოლოზ ანუ შინაურობაში კოკო ჭიპაშვილის ტელეფონის ნომერი მოეძებნა. რა თქმა უნდა, ძებნა უშედეგოდ დამთავრდა. მაშინ ტელეფონისტს ვთხოვე, ენახა, იმ სახლის მეზობლად თუ ვინმეს ჰქონდა ტელეფონი. მითხრა, — აქვსო... დიდი მობო-

დიშებით ვთხოვე, იქნებ პროფესორ ჭიპაშვილის ტელეფონის ნომერი მითხრათ-მეთქი. მითხრა. გამოირკვა, რომ ტელეფონი ცოლის გვარზე გქონიათ გაფორმებული, თუ რაღაც ამგვარი...

— განა ეს დანაშაულია, ბატონო სოლომონ?

— დანაშაული არა, მაგრამ პატარა ვირეშმაკობა კი არის.

ვირეშმაკობის გაგონებაზე ნამოწაფარმა ერთი თავისებურად ჩაიხითხითა, თითქოს სოლომონს უნდა აგრძნობინოს, არა უშავს, ამ წყენასაც წყალს ვატანო.

— როგორც იყო, იმას მივაღწიე, რომ პროფესორ ჭიპაშვილის ბინის ტელეფონის ნომერი ჩავიგდე ხელში. დავრეკე. ქალის ხმა მომესმა. გიკითხე. როცა თქვენი ოჯახის ახლო მეგობარი არ აღმოვჩნდი, შევატყვე, რომ, ვინც მელაპარაკებოდა, ცოტა დაიბნა და გაკვირვებითაც მკითხა — რა გნებავთო. ვუთხარი, რომ მე პროფესორის ყოფილი მასწავლებელი ვარ, პირადად მინდა მოველაპარაკო-მეთქი. ქალი ისე იმეორებდა ჩემს ნათქვამს და ისეთი პაუზებით მელაპარაკებოდა, ადვილად მივხვდი, რომ ვიღაცას ეთათბირებოდა და პასუხს ისე მაძლევდა. ბორძიკით და ყოყმანით მაუწყა, რომ პროფესორი, სამწუხაროდ, შინ არ არის, გამოცდას ამთავრებს თუ არა ინსტიტუტში, იქიდან პირდაპირ წყნეთში ადის და იქ ისვენებსო. რა მექნა. დავიქირავე ტაქსი და ავედი წყნეთში. სხვათა შორის, დამავიწყდა, აგარაკის მისამართი მეკითხა, მაგრამ ამ საქმეში ტაქსის შო-

ფერი დამეხმარა. პროფესორ ჭიპაშვილთან ნამყოფი ვარ, ზედ კარზე მიგაყენებთო. და მართლაც მიმაყენა. მოსაღამოვებული იყო და ეზოში ვიღაც კაცი ნარგავებს რწყავდა. ეზო-კარის მომვლელი უცხო კაცი ჩემი ხელის დაქნევაზე უხალისოდ გამოეშურა. ღობეს მოადგა. არ მომსალმებია, ისე მომაჩერდა შეკითხვის მოლოდინში. ეზოში არ შემიპატიჟა.

გეთაყვა, პროფესორ ჭიპაშვილის ნახვა მინდა, გთხოვთ გადასცეთ... — სიტყვა არ დამემთავრებინა, რომ კაცმა გაზეპირებულივით მომიგო:

— პროფესორი აქ არ გახლავთ.

ამის გაგონებაზე, ალბათ სიმწრისაგან, გადავიხარხარე. თქვენი ეზო-კარის მომვლელმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— რაღაც დაუჯერებელ ამბავს ჰყვებით, ბატონო სოლომონ!

— გეთანხმებით, დაუჯერებელი ამბავია, თუმცა გულის სიღრმეში ყველაფერი გჯერათ, რაც ვთქვი!

— როგორ გეკადრებათ! — კოკომ საოცრად მოკლე მკლავები გაშალა. მერე ერთი ხელი სოლომონს მუხლზე დაედო და „საიდუმლოდ“ გაანდო:

— ქვეყანა მაწუხებს! შინაურებიც ისე არიან შეშინებული, რომ რა გითხრათ! ზოგჯერ ამ შიშის მსხვერპლი თურმე შეიძლება გახდეს თქვენისთანა დიდად პატივსაცემი ადამიანიც! ეს საქმეა?

სანამ კოკო ლაპარაკობდა, სოლომონისათვის მუხლზე დადებული ხელი არ მოუცილებია. სოლომონი კი თავდახრილი უსმენდა და ძალაუნებურად

ნამოწაფარის ხელსაც დააკვირდა. დააკვირდა და ისე მოეჩვენა, თითქოს ასეთ ხელს პირველად ხედავდა. ჰსუქანი მტევანი, საოცრად მოკლე, დაბერილივით დამსხვილებული თითები, თეთრი, ფართო ფრჩხილები, წითურ, ჭორფლიან კანზე მზისგან გადარუჯული ბალახივით ბღუჯა-ბღუჯად მოდებული მოყვითალო ბალნით... სოლომონმა უცქირა, უცქირა ამ ხელს და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ფეხის ფეხზე გადადების საბაბით ძლივს ააღებინა იგი პატრონს.

— მერე, ბატონო სოლომონ?

— მერე ისევ ამ სახლს მოვადექი, მაგრამ ამირანისა და ბროლის კოშკისა არ იყოს, შესასვლელი ვერასგზით ვერ ვუპოვე. დარეკვა აღარ მიცდია, რადგან ჩემს თავს ვატყობდი, რომელიც შემომეყრებოდა, ტელეფონით მაინც შემომელანძღებოდა. ასე გაწამებული და დაღონებული შინ დაბრუნებას რომ ვაპირებდი, ქუჩის გადაღმა ქურთ მუშას მოვკარი თვალი. იგი კედლის ძირას არხეინად მიმჯდარიყო, კრიალოსანს მარცვლავდა და თან ღიღინებდა.

ვკითხე:

— შენ აქა ცხოვრობ?

— რა გინდა, ხაზეინ?

— პროფესორი ჭიპაშვილი გაგიგონია?

— გამიგია. რამე გინდა მიუტანო? — მოხუცი სწრაფად წამოდგა.

— შენ მიგაქვს ხოლმე მაგასთან?

— სულ მე ვუზიდავ...

— ხშირად?

— ჰო.

ამ კაცის გულის მოსაგებად ვიცრუე კიდევაც:

— სანამ მიგატანინებდე, წინასწარ მინდა, პირადად ვინახულო. საიდანა აქვს შესასვლელი მის სახლს?

ქურთმა ერთი ნაბიჯი კიდევ წადგა წინ, ხელი ჩიხისკენ გაიშვირა. შენობის ყრუ კედლის გაგრძელებაზე ჩიხს თითქმის ბოლომდე გასდევდა აგურის მაღალი, ცემენტით შელესილი კედელივით ღობე. ამიხსნა, რომ ჩიხს ბოლომდე ავყოლოდი. იქ რკინის ყრუდ დახშული კარი დამხვდებოდა. კარზე ორჯერ არცთუ ისე ძლიერად დამეკაკუნებინა. მართლაც, ციხესიმაგრის კარი სასწაულებრივად გაიღო და სამოთხესავით დაბურულ ბაღში შევედი. ბაღის შუაგულში, ვაზის ფანჩატურიდან უეცრად მოჩვენებასავით შემომეგება თქვენზე მეტად ჩასუქებული ქალი, ალბათ დიასახლისი და თქვენი მეუღლე. მან შინ შემიწვია. მოსაცდელში ცოტა მალოდინეს. მე რატომღაც უმალ ავიღე ეჭვი, რომ ჩემი წვევა მარტო მოულოდნელი კი არა, უსიამოვნოც იყო. რაღას იზამდნენ. როცა ამ ოთახის კარიც გაიღო და დიასახლისმა შემიპატიჟა, მართალი გითხრა, ფეხი ისე შემოვდგი, კიდევ არ მჯეროდა ამ სასწაულისა. მერე შენც გამოჩნდი...

— სამწუხარო შემთხვევაა! — პირველად, ჩაუხითხითებლად, სახეზე ღიმილმორეულად შენიშნა ნამოწაფარმა.

— ჩემი წვევა?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო სოლომონ! მე იმაზე მოგახსენებთ, რაც აქ შემოსვლამდე თავს გადაგხდენიათ.

რასაც აქამდე ზოგიერთებზე ამბობდნენ, არა მჯეროდა, მაგრამ ახლა... მჯერა! როცა კაცი ასე მოეწყობი, რა თქმა უნდა, ეცდები, უცხო თვალისაგან დაფარული იყოს ეს ყველაფერი! რა იცი, რომელია ავი თვალი? ისე კი, რომ იტყვიან, აქაურობა მართლაც ავ თვალს არ ენახვება!

— თქვენ ხომ კეთილი გულით მობრძანდით და... თვალიც, რა თქმა უნდა, კეთილი გექნებათ!

— აგრე ამბობ, მაგრამ გატყობ...

— ბატონო სოლომონ, ჩემი თქვენ რა უნდა შეგშურდეთ. ქვეყანა კეთილ მამად გიცნობთ!

— შეშურებით, იქნებ არა მშურს, მაგრამ... მწყინს, რომ თუნდაც ერთი ჩემი ნამოწაფარი ამ გზას დასდგომია.

— რა გზას?!!

— ასე ძნელი მისახვედრია?! გუშინ ჩემი ნაბოლარა შვილიშვილი შინ ატირებული დაბრუნდა. მესამე წელია თქვენს ინსტიტუტში აბარებს და...

— თქვენი შვილიშვილი? გოგოა, ბიჭია? რა გვარისაა?..

— გოგონაა. სამი წელიწადია მისი ცოდვით ვიწვი!.. ყველა საგანში გამოცდას ჯერ მე მაბარებს ხოლმე. როცა მე ვეკითხები, თუკი მაშინ იცის, თქვენთან რა ღმერთი უწყრება? იცით რა? თუ ახალ-

გაზრდას პროფესორი საგანში ცდის, სამაგიეროდ თვითონ მორალში აბარებს გამოცდას!

— მერედა, ბატონო სოლომონ, სამ წელიწადს რას ელოდით? მოსულიყავით, ერთი სიტყვა გეთქვათ ჩემთვის, შარშანწინ თუ არა, შარშან თუ არა, წლეულს მაინც...

— მარტო ჩემიანებისათვის ზრუნვა რა ბიჭობაა! ერთსა და ორს რომ ვუშველო, ათეულებს და ასეულებს როგორ შევხედო თვალებში, რა პასუხი გავცე ჩემს სინდისს?

— ასე ვინღა მსჯელობს?! სინ-დი-სი! — დამცინავად გაწელა ეს სიტყვა პროფესორმა ჭიპაშვილმა. — ყველამ თავის თავს მოუაროს!

— კომუნიზმის კარიბჭესთან, კოლექტივიზმის სულისკვეთების მაგიერ ასეთი პირუტყვული ეგოიზმი?!!

— თავის გადარჩენისათვის ბრძოლა ეგოიზმია?!!

— რაც უნდა იყოს, ეგ ფილოსოფია ჩვენთვის უცხოა! ათჯერ ნაკლებიც რომ ვიყოთ, ვიდრე ახლა ვართ, ჩვენს ხალხს ეგ ფილოსოფია მაშინაც არ გამოადგება!

— გამოადგება თუ არა, ამას დრო და ისტორია არ კითხულობს!

— თქვენისთანები ასე ფიქრობენ?

— რასაც უმრავლესობა ფიქრობს...

— ღმერთმა ნუ ქნას, თქვენისთანები ერის და ქვეყნის უმრავლესობა ყოფილიყოს როდისმე!

— ბატონო-სოლომონ, მოვეშვათ თავსატეხ კი-

თხვებზე კამათს და ფილოსოფიას, ვილაპარაკოთ პრაქტიკულად! მერე რაო, თქვენმა შვილიშვილმა?! ვის საგანში ჩაჭრილა?

— ძალიან გაინტერესებთ?

— რასაკვირველია.

— თქვენ ჩაგიჭრიათ!

— მე?!

— ყველას რომ ეგონა თურმე, ხუთიანზე მეტი ეკუთვნისო, თქვენ ოთხიანიც ძლივს გაგიმეტებიათ. ოთხიანის დაწერა კი იმას ნიშნავდა, ერთი ქულა დაჰკლებოდა, ერთი ქულის დაკლება კი, კარგად იცით, საბოლოოდ რასაც ნიშნავს!..

— ეს შეუძლებელია... ნუთუ თქვენც დაგარწმუნათ?.. ჩემი ლმობიერი მიდგომით მთელ ინსტიტუტში ვარ განთქმული!..

— ჩემი შვილიშვილიც მაგას ამბობს. „ზოგიერთს“ ისე ლმობიერად ექცევა, შეგშურდებაო!

— თუკი იმსახურებს?

— „იმსახურებს!“ — დამცინავად გაიმეორა სოლომონმა. — წელან შენი პირით რომ არ გეთქვა, ეს ძვირად საღირალი ჭურჭელი სულ აბიტურიენტების, მომავალი სტუდენტების მოძღვნილიაო, კიდევ ჰო...

— ბატონო სოლომონ, როგორ გეკადრებათ ასეთი რამე?! დღეობაზე მოძღვნილი ნივთი და... ერთი და იგივეა?

ნამოწაფარი ზეზე წამოიჭრა, ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე ჩქარი ბოლთით სერავდა იატაკზე

დაფენილ მწვანე ხალს და, ყურებში თითებდაცობილი, სოლომონისაკენ აღარ იხედებოდა.

— დაჯექი, ნუ ღელავ, სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს! ის, რაც გითხარი, შესავალი იყო!

ნამოწაფარი, როგორც იყო, დაშოშმინდა. სავარძლის ნაპირზე ისე ჩამოჯდა, საჭიროების შემთხვევაში წამოხტომა რომ უფრო ადვილი ყოფილიყო.

სოლომონმა ღიმილით, მაგრამ ალმაცერად გადახედა.

— რამდენი შვილი გყავს?

— ერთი.

— მაგ მხრივ მაინც გამოგიჩენია ჭკუა.

— რატომ, რაც ბევრი ვიქნებით, ის არა სჯობია?!

— შენისთანები, არა!

— ჩემმა შვილმა რაღა დააშავა?!

— შენს შვილს რა სხვა სულისკვეთებით აღზრდი? დედა ნახე, მამა ნახეო...

— ახლა ეგრე აღარ არის.

— უმრავლეს შემთხვევაში სწორედ აგრეა! მუსიკოსი თავის ხელობას ასწავლის შვილს, პედაგოგი — თავისას, მხატვარი — თავისას, რა თქმა უნდა, თუ ნიჭიც დაჰყვა, მოჭიდავე — თავისას... მაშ რატომ არის, რომ ბალანჩივაძის შვილი მუსიკოსია, სანდრო კანდელაკისა კი — მოჭიდავე! ჰო, ეს ყველაფერი რისთვისაც ვთქვი, ის კი მავიწყდებოდა — მეჭრთამე კი თავის ხელობას ასწავლის...

— ბატონო სოლომონ, ყველა ყველაა და მექრთამეობა კი ხელობა არ არის!

— არ არის? რასაც ხელობად გაიხდი, შენი ხელობაც ის არის. და შენც ისა ხარ, რაც შენი ხელობაა!

რამდენიმე წუთი დუმილი ცხადყოფდა, რომ ორივეს; ყოფილ მასწავლებელსაც და მის ნამოწაფარსაც, უჭირდა სიტყვის დაძვრა.

— ყველა აბიტურიენტი იმ ნიშანს იღებს, რაც ეკუთვნის! — შენიშნა ბოლოს ნამოწაფარმა.

— ასე რომ იყოს, ჩემი მოსვლა საჭირო აღარ იქნებოდა... ვეღარ გამიგია. ზოგი ჩვენი პროფესორი ახალგაზრდისაგან საგნის ჩაბარებას მოითხოვს, თუ...

— ყველაზე ვერ იტყვით.

— მაგრამ ერთი ტალახიანი ღორიც რომ ერიოს, ათს მაინც ხომ სვრის ოცდაათიდან!

— მაგისთანები ხდება?! — ნამოწაფარმა გულგრილად ჩაიქნია ხელი. — ზოგჯერ ქრთამი სულაც არაფერ შუაშია, მეგობრის გულისთვის ნემსის ყუნწში მოგიხდება გაძრომა.

— მერე, ამ ამბავს, იცი, საით მივყევართ?

— საით?

— საით და... მომავალს საფრთხეში ვაგდებთ! თუ შვილებს კარგ პედაგოგებად, ექიმებად, აგრონომებად არ გამოვზრდით, ვინღა უნდა ასწავლოს შვილიშვილებს? ვინღა უნდა უმკურნალოს ავადმყოფებს?.. თქვენ კი ნიჭიერს გარეთ სტოვებთ და მო-

ხერხებულს უღებთ კარებს! რა წუთსაც პროფესორი საგანს იბარებს, სწორედ იმავ წუთს თვითონ მორალში აბარებს გამოცდას!

— ბატონო სოლომონ, — შიშით, მოწიწებით, ხმის კანკალით წამოიწყო ნამოწაფარმა, — რაც გინდა ვთქვათ, მთა და ბარს ვერ გავასწორებთ... გიმეორებთ, მოვეშვათ ამ „სხვისთვის“ ზრუნვას, ჩვენს თავს მივხედოთ...

სოლომონმა პასუხი ზედმეტად ჩათვალა. ეს რა ქრისტეს ძვლების მკვნეტელი გამიზრდიაო — გაიფიქრა და თვალით ოთახში ქუდს დაუწყო ძებნა. მერე მოაგონდა, რომ ქუდი მოსაცდელ ოთახში ჩამოართვეს. ნამოწაფარმა შეატყო, სოლომონი რომ წასასვლელად ემზადებოდა და სწრაფად წამოიჭრა ზეზე, იქვე, ორ ნაბიჯზე საწერ მაგიდასთან მიგოგმანდა, მაგიდის წინა მარჯვენა კუთხეში ღილაკს თითი დააჭირა, ზარის ხმაზე მოდარაჯებულივით უმალ ოთახში ჭიპაშვილის მეუღლე გაჩნდა. მართალია, სოლომონისათვის ის არავის გაუცვნია, მაგრამ სწორედ ამ ქალმა მიაცილა ფანჩატურიდან მეუღლის კაბინეტამდე.

— სოფიკო! ჩემი ყოფილი მასწავლებელი — ბატონი სოლომონი უკვე წასასვლელად ემზადება.

— ასე მალე?!. თუ დარჩებით, ბატონო, შესაფერისად გაგიმასპინძლდებით, კეცებზე ვარიებს შეგიწვავთ, თონეში შოთებს დაგიცხობთ, იმერული ხაჭაპურებიც ერთ წუთში იქნება... პატარა ჭურსაც მოგიხდით...

— შეწუხება არ ღირს, ქალბატონო!

სოლომონს ეგონა, ჩემს უარს შეიცხადებენ, რამდენჯერმე შემიპატიჟებენ, კალთებს დამახევენ თხოვნით — დარჩიო, მაგრამ... თქვენც არ მომიკვდეთ!

— მაშინ... თითო ჭიქა ჩვენი ვენახის ღვინო მაინც გავსინჯოთ... სოფიკო, ხომ დგას დოქით ღვინო მაცივარში?

სოფიკომ უმალ თავი დაუქნია მეუღლეს და კარებში გაუჩინარდა.

— ბატონო სოლომონ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს ოჯახში პირველად ბრძანდებით და ისე უნდა წახვიდეთ, ჭერი არ დაგვილოცოთ?

სოლომონმა კარისაკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ნამოწაფარმა გზა მოუჭრა და ახლა კი გულით სთხოვა ერთი წუთით შეეცადა.

— თუ გამიშვებთ, აჯობებს...

ამის თქმაღა მოასწრო სოლომონმა, რომ სოფიკო ხელადით და ლამბაქზე დაწყობილი ჭიქებით გამოჩნდა კარებში.

— მხოლოდ ერთი წუთი, ბატონო სოლომონ, ერთადერთი წუთი! სოფიკო, აგვივსე ქართული ღვინით ეგ მეთექვსმეტე საუკუნის ვენეციური ბროლის ჭიქები! — სოფიკომ ჭიქები ფრთხილად აავსო.

კოკომ ერთი ჭიქა სოლომონს მიაწოდა, მეორე თვითონ აიღო და სინათლეზე გახედა.

— ბატონო სოლომონ! მართალია, ბევრი საწყენი სიტყვა გამოიმეტეთ ჩემთვის ამ საღამოს, მაგრამ

წამითაც არ იფიქროთ, თუნდაც ერთი მათგანი ჩამრჩეს გულში.

— საწყენიო? მოდი და ნუ გეწყინება! სულ ცოტა ათი ჩემი ნამოწაფარი მაინც შემიძლია ჩამოვთვალო, რომლებმაც ასახელეს ჩვენი ქვეყანა... ორმა მათგანმა მსოფლიო სახელიც კი მოიხვეჭა! შენ კი... შენ რა ღმერთი გაგიწყრა... ვერა და ვერ მივმხვდარვარ, გეტყობა, რასაც წლების მანძილზე გასწავლიდი, ერთი ყურით ისმენდი და მეორე ყურიდან უშვებდი!

— ბატონო სოლომონ, ნუ იქნებით ასე მკაცრი! ისიც გვეყოფა, ცხოვრება რომ ულმობლად...

— ცხოვრების სამდურავი არ გეთქმით!

— არ გეკამათებით! მაშ, ამ პირველი ჭიქით შევსვათ ჩემი ჭერის სადღეგრძელო!

სოლომონი წამით დაფიქრდა, მერე თავაუღებლად, ალმაცერად შეავლო თვალი ნამოწაფარის ფორმადაკარგულ, ქონში ჩაფლულ სახის ნაკვთებს და ჭიქა უსიტყვოდ დადგა საინზე.

სოფიკო შეკრთა, თითქოს კიდეც დაიბნა და უკან დაიხია.

ნამოწაფარს ჭიქა ჰაერში გაუშეშდა. სოლომონმა დინჯად ჩაუარა დიასახლისს და უღირსი ნამოწაფარისაკენ აღარ გაუხედავს, ისე მიაშურა გასასვლელს.

სტუმარი ღვთისაა

კარზე ვიღაც გაბმით და ფრთხილად აკაკუნებდა. ასე მხოლოდ მათხოვრებს, საეჭვო პირებს, ან უკიდურესად მშიშრებს სჩვევიათ. თითქოს კარზე კაკუნი რა არის, რომ ისიც კი ადამიანის ხასიათს და ვინაობას ამჟღავნებდეს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ასეა. ამ ფრთხილმა კაკუნმა რუსუდანი ახლა უფრო მეტად შეაკრთო. კარის გაღებამდე უნდოდა ეკითხა — ვინ არისო — მაგრამ რატომღაც შერცხვა, საკეტი გულმოდგინედ გადაატრიალა და კარი ერთბაშად გააღო. კიბის ბაქანზე უცნობი მამაკაცი იდგა, მის ღიმილს კი მაინც შეიძლებოდა დაეეჭვებინეთ; უცხო ასე ვერ გაგიღიმებს.

— ვინ ბრძანდებით? — ცოტა არ იყოს, გაკვირვებით იკითხა რუსუდანმა; ახლა ისიც დააეჭვა იმის ვარაუდმა, რომ ამ კაცს ნამდვილად არ იცნობდა.

— ძუკუ... — მიუგო უცნობმა.

— რომელი ძუკუ?

— ნუთუ მართლა აღარ გაგონდებით?!

— ბოდიში, მაგრამ... ხომ არ გეშლებათ... იქნებ სხვა რუსუდანი...

— რას ამბობთ, რუსუდან! „...ხატება შენი ჯერ კიდევ გულზე მაქვს დარჩენილი!“ ჩვენ ხომ ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით?

რუსუდანმა ეჭვით შეავლო თვალი უცნობს.

— რაღაც არ მახსოვს, ძუკუს სახელით ვინმე ჩვენს კურსზე.

— მე ორი კურსით წინ ვიყავი.

ამ განმარტებამ თითქოს რაღაც მოაგონა და ერთბაშად დაარწმუნა რუსუდანი, რომ უცნობი არა ტყუოდა.

— თითქმის მაგონდება! — როგორც იყო, გაუღიმა რუსუდანმა. — ახლა რაზედ გაგახსენდათ, ამდენი ხნის დავიწყებული?!

— მე წუთითაც არ დამვიწყებიხართ. ახლა კი ერთმა გარემოებამ გამაბედვინა თქვენს კარზე დაკაკუნება. მინდა მოგელაპარაკოთ!

— რა საქმეზე?

— ჩემთვის ძნელია ყველაფერი აქ, კიბის ბაქანზე გითხრათ.

— ბოდიში, აქამდე რომ ვერ შემოგთავაზეთ შინ შემოსვლა, მაგრამ...

— გასაგებია...

რუსუდანმა ორიოდე ნაბიჯით კარის ზღურბლიდან უკან დაიხია თუ არა, ძუკუ უმალ ოთახში გაჩნდა, კარიც ფრთხილად და სწრაფად მიკეტა. მარჯვნივ დიდი ოთახის კარი გააღო რუსუდანმა.

— შემობრძანდით, მეც ახლავე მოვალ.

ოთახიდან ის იყო თორმეტიოდე წლის ბიჭმა დააპირა გამოსვლა, მაგრამ დედამ უთხრა — ჩემს მოსვლამდე სტუმარს მარტო ნუ დატოვებ, არ მოიწყინოსო. ძუკუმ თავზე ხელი გადაუსვა ბიჭს.

— რა გქვია?

— ბადრი.

ბადრი სტუმარს ოთახში შეუძღვა, რბილ სავარძელზე ხელით ანიშნა — დაბრძანდითო, თვითონ კი ფანჯრის რაფაზე მოზრდილი წიგნი აიღო და გადაფურცლა.

ძუკუმ სწრაფად შეათვალიერა ოთახის მორთულობა. მაინცდამაინც არაფერი მოსწონებია: კედლები მუქცისფრად იყო შეღებილი და ოთახი დაბნელებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როიალის სახურავს მკაფიოდ აჩნდა თითების ანაბეჭდი, თითქოს ზედ ვინმეს ხელისგულებით ევლოს. საკმაოდ ძველმოდური კარადის ზედა ორ თაროზე გამწკრივებული იყო კერამიკული ნამუშევრები, ზოგი მოჭიქული, ზოგიც გამომწვარი თიხისა, ქვედა თაროებზე კი უწესრიგოდ მიყრილი წიგნები. ორი დიდი ფანჯრის მოპირდაპირე, ყრუ კედელზე ეკიდა უჩარჩოო, შუშიანი დიდი რეპროდუქცია გოგენის სურათისა — „შენ როდის თხოვდები?“ და ფიროსმანაშვილის სურათის ასლი „შველი გადაჭრილ ხესთან“.

— ფორტეპიანოზე დაკვრას გასწავლიან?

— დიახ, — თავისაუღებლად მიუგო ბადრიმ სტუმარს.

— გიყვარს?

— არ მიყვარს, მაგრამ... დედა ამბობს — კულტურულ ადამიანს ნოტების გარჩევა მაინც უნდა შეეძლოს, თუ ბეთჰოვენი არ გამოვაო.

გამოჩნდა თუ არა კარის ზღურბლზე რუსუდანი, ძუკუ უმალ წამოდგა ფეხზე, რბილი სავარძელი მასპინძელს შესთავაზა სტუმარმა, თვითონ კი ხის სკამს მისწვდა. „ბრძანდებოდეთო“, უნდოდა ეთქვა რუსუდანს, მაგრამ რაკი ამის თქმა ვეღარ მოასწრო, სტუმრის ჯენტლმენობას თავისი მიუზღო, ყურადღება შეიფერა. ბადრიმ წიგნი კვლავ თაროზე დადო და ოთახიდან ისე გავიდა, სტუმრისაკენ არც გაუხედავს, არც გამომშვიდობებია. ძუკუმ თვალი გააყოლა კანჭებმაღალ, გამხდარ ბავშვს.

— კარგი ბიჭი გყოლიათ, რუსუდან!

— რა უშავს. არც ყველაზე უკეთესია, როგორც, ჩვეულებრივ, დედებს ჰგონიათ, არც ყველაზე უარესი. ვნახოთ, საბოლოოდ რა იქნება!

— საბოლოოდ... მე მგონია, უმამოდ ძნელი იქნება... მისთვისაც, თქვენთვისაც.

ამ შენიშვნას წუთიერი დუმილი მოჰყვა. რუსუდანს არ უნდოდა უცაბედად, უხეშად ეთქვა რამე.

— პატივცემულო ძუკუ, მე თქვენი დანახვის უმალ მივხვდი, რამაც მოგიყვანათ და... გუნებაში ვნატრობდი, ჩემი ვარაუდი არ გამართლებულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი პირდაპირ უნდა ამიხდეს ხოლმე.

— ზოგი რამ თუ პირდაპირ აგიხდებათ, მე მგონია, ცუდი არ იქნება.

— ყოველ შემთხვევაში, ცუდია ის, რომ თქვენი ყურადღება გაზეთში გამოქვეყნებულმა განცხადებამ მიიქცია და ამან აგიშალათ ჩემი ნახვის საღერღელი.

— რუსუდან, მაპატიეთ, მაგრამ სიტყვა „საღერღელი“ ცოტა შეიძლება უადგილო და უხეშიც იყოს...

— ჩემს მდგომარეობაში ადამიანს, ალბათ, ეპატიება, თუ სიტყვების საგულდაგულოდ შერჩევას ვერ შესძლებს და უხეშადაც იტყვის რამეს, მაგრამ... — რუსუდანი სავარძლის სახელურზე ორივე იდაყვით დაეყრდნო, სახე ხელისგულებში ჩამალა და რამდენიმე წუთი ასე დაჰყო.

ძუკუმ პაპიროსი მოიმარჯვა, სანამ მოუკიდებდა, რუსუდანს თითქმის ჩურჩულით ჰკითხა — შეიძლება მოვწიოო, და მხოლოდ მისი უსიტყვო დასტურის — თავის დაქნევის შემდეგ მოუკიდა.

ორივენი ასე გარინდებული ელოდნენ საუბრის განახლებას. ძუკუ ნელა აბოლებდა პაპიროსს, ათვალიერებდა ოთახს და აკვირდებოდა ხელისგულებში სახეჩამალული რუსუდანის თმას, ბეჭებს...

დუმილი იმდენხანს გაგრძელდა, სტუმარმა კიდეც იფიქრა, ხომ არ ჩაეძინაო, მაგრამ სწორედ ამ დროს ასწია თავი რუსუდანმა, თმაზე ხელი შეივლო და ახლა უფრო დამშვიდებული კილოთი განაგრძო სიტყვა.

— იშვიათია, ერთ უბედურებას რომ მეორეც არ მოჰყვეს. სწორედ ამის მაგალითია თქვენი მოსვლაც!

სტუმარს, ერთი შეხედვით, ეს უნდა სწყენოდა და გაკვირვებაც გამოეხატა. ძუკუმ კი ისე გადახედა რუსუდანს, ეტყობა, მისი სიტყვებისათვის სერიოზული მნიშვნელობა არ მიუცია. არც პასუხის საღერღელი აშლია. მან მხოლოდ ერთხელ კიდევ დინჯად და უდარდელად გააბოლა პაპიროსი.

— ამას წინათ ჩვენი დაწესებულების შესასვლელში პირისპირ შევეფეთეთ ერთმანეთს მე და ოსიკო მოწყობილი...

— ჩემი ქმარი? — დაუფიქრებლად წამოიძახა რუსუდანმა.

ძუკუმ გაოცებით შეხედა რუსუდანს. შეხედა და თვალის მოცილება გაუჭირდა.

— რა სასოებით წარმოთქვით ეგ სიტყვა?! ჩანს, კიდევ ქმრად სთვლით.

— სანამ საბოლოოდ არ გავყრილვართ...

— გადაწყვეტილი კი გაქვთ?—ფრთხილად, თითქოს სხვათა შორის იკითხა ძუკუმ.

— რა ვიცი. — მხრების ოდნავ შეტოკებით მიუგო რუსუდანმა.

— მე კი მეგონა... საყოყმანო აღარაფერი იყო.

— ეს ისეთი ნაბიჯია, რაც უნდა ფხიზელი იყო, მტკიცედ ვერ გადადგამ!

— თუკი მან გადადგა?

— რაში ეტყობა? — უეცრად და მწყრალად იკითხა რუსუდანმა. მის გამომეტყველებაში ძუკუმ მკაფიოდ ამოიკითხა გულისწყრომაც და ირონიაც. — რამდენიმე დღის მერე რომ ისევ კარზე მომადგა?

— კარზე მოგადგათ? — ახლა უკვე დაუფარავი ცნობისმოყვარეობით ჩაჰკითხა ძუკუმ. — რაო, რა მინდაო?

— ბავშვის მონახულების საბაბით მობრძანდა.

— ვერაფერი ვაჟკაცობაა, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ძუკუმ.

— რა?

— ჯერ გაზეთში... თავის მოჭრა, მერე ოჯახში, გალანძღულ ცოლთან დაბრუნება.

— გეთანხმებით, — ძლივს გასაგონად თქვა რუსუდანმა.

— მომწონს თქვენი გულახდილობა! — ძუკუ ერთბაშად შეიცვალა, გამოცოცხლდა, ახლა უფრო აშკარად და გამომწვევად, მოხიბლული კაცის თვალით დაუწყო ცქერა რუსუდანს. — რა დასამალია, მე თქვენი ყველაფერი მომწონს!

რუსიკომ მწარედ გაიღიმა, ერთი ალმაცერად გახედა გათამამებულ სტუმარს.

— უფრო მოსაწონია, თუ მამაკაცი ასეთი გულისნადების გამჟღავნებისას მეტ თავშეკავებას იჩენს!

— ვითომ უფრო მოგებული დარჩება?

— ყოველ შემთხვევაში, არაფერს წააგებს!

— არც აქეთ და არც იქით ყოფნა წაგებაზე უარესია. მე რომ თორმეტ წელიწადს ისე თავშეკავებული არ ვყოფილიყავი...

— თორმეტ წელიწადს?! — გაკვირვებით გაიმეორა რუსუდანმა.

— დაასლოებით თორმეტ წელიწადს!.. რაც გათხოვდით.

რუსუდანს კინაღამ გაეცინა.

— ჩვენ ხომ სხვა საუკუნეში ვცხოვრობთ, პატივცემულო ძუკუ! განა პირველი შეყვარებულის დასავიწყებლად თორმეტი წელიწადიც არ კმარა?

— გააჩნია. ზოგისათვის შეიძლება თორმეტი საათიც საკმარისია. ზოგისათვის კი... და აი შემთხვევაც!

— რომ ეს შემთხვევა არა, საინტერესოა, სადამდე იქნებოდით ასე თავშეკავებული?

ვიდრე რამეს უპასუხებდა, ძუკუმ ეშმაკურად შეხედა რუსუდანს, მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და კვლავ თავი დახარა.

— მე ვიცნობ ცოლების ბუნებას, ქმრების ხასიათს! ერთი სიტყვით, ცხოვრებას ოჯახური ყოფის ასპექტში!

— ნუთუ ყველაფერი ასე შაბლონურია? — რუსუდანს აშკარად დაეტყო, რა უსიამოვნოდ ჩაესმა ძუკუს სიტყვები. — ხომ არიან ცოლები, ქმრები, ოჯახები...

— ვიცი, რის თქმასაც აპირებთ. ერთსულოვნება, თანხმობა, სიმტკიცე — იშვიათი გამონაკლისია. გამონაკლისები კი ამინდს არ ქმნიან...

რუსიკომ ჯიუტად გაიქნია თავი.

— არც ეგრეა საქმე!

— საქმე სწორედ აგრეა! — ბეჯითად თქვა ძუკუმ. — მუხის ტევრები რა ხანია გაიჩეხა.

— მაგრამ მუხის ჯიში არ გადაშენებულა!

— შეიძლება სულ არ გადაშენებულა... მაგრამ შეაჩერებს ამ... იქნებ ესეც განვითარების ლოგიკაა! ოჯახიც ხომ განვითარების...

რუსუდანმა სიტყვის დასრულება აღარ აცალა, ძუკუს „ლოგიკამ“ მოთმინებიდან გამოიყვანა ისედაც წონასწორობადაკარგული.

— მაგრამ ხომ არის ზოგი რამ, რაც ჟამთასვლას არ ემორჩილება! პრინციპში რა განსხვავებაა, წყალს პეშვით დალევთ თუ ბროლის ჭიქით, შეყვარებული დათვის ტყავზე იწოლება, თუ ნეილონის ლეიბზე! ადამიანი შეიძლება, მართლაც, ბუნების სასწაული და გვირგვინია, მაგრამ ზოგჯერ ამ გვირგვინს აკლია...

ძუკუმ ხელი ჩაიქნია. რუსუდანს სიტყვის დასრულება აღარ აცალა.

— სენტიმენტალური ლირიკაა! თქვენ ის თქვით, რამდენს ვეწყობით, ვჩალიჩობთ და... ადამიანი ჯერაც მოუწყობელია!

— თუ პლანეტაც მოუწყობელია, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა, რაღა გასაკვირია...

— ჰოდა, თუ ჩვენს ნათქვამს არა, მაიაკოვსკისას მაინც აქვს ფასი!..

— მართლაც და, მოწყობა მარტო ის ხომ არის, კაცს საჭმელი, ბინა და დროის შესაფერისი ავეჯი ჰქონდეს...

— გეთანხმებით, რუსუდან! თუმცა... ურიგო არ იქნებოდა, თქვენი ბინაც რომ უცხოური ავეჯით

იყოს გაწყობილი, და ორის მაგივრად ოთხი ოთახი მაინც გქონდეთ? სურათივით ყველაფერი ჩარჩოში ჩასმული ჯობია. ადამიანისათვის კი სიმდიდრე — ოქროს ჩარჩოა!

რუსიკოს გაეცინა.

— უნიჭო მხატვრის სურათებივით ბევრი უღირსი მინახავს „ოქროს ჩარჩოში“.

— რა გაეწყობა! ღირსეულს ხშირად არც დრო სწყალობს, არც — ბედი!

— განა ეს დროის ან ბედის ბრალია? ცხოვრებას მოწოდებულზე უფრო მოხერხებული უყვარს!

— რაკი ჰყვარებია, არც დაჩაგრავს. რა მოხერხებულის ბრალია!

— ეჰ, პატივცემულო ძუკუ, განა თქვენ, მამაკაცებმა, ჩვენზე უკეთესად არ იცით? ყველაფრის მოხვეჭა ადვილად შეიძლება, თუ... ყველაფერს იკადრებ! სინდისის დაკარგვა რომ ისე ძნელი იყოს, როგორც მისი შენარჩუნებაა...

ძუკუმ საგონებელში ჩავარდნილივით მოიქექა თავი.

— რა ძნელია იმის ფასის ცოდნა, რაც აგრე უხილავია! მაგრამ, რუსუდან, სინდისიც ხომ ადამიანის მოგონილია!.. სინდისიც ხომ სხვადასხვაგვარად ესმით...

— რა თქმა უნდა, განსხვავდება სინდისი ღორის და სინდისი ნიამორის!

— ჰოდა, რა ქნან, თუ ერთი ღორად შობილა, მეორე ნიამორად!

— ღორი ღორად იბადება, პატივცემულო ძუკუ, ნიამორი — ნიამორად, ადამიანებიც ადამიანებად იბადებიან, მაგრამ... მერე გაღორდებიან ან განიამორდებიან ხოლმე!

ძუკუმ უცქირა, უცქირა რუსუდანს და ბოლოს გაოცებით შენიშნა:

— მიკვირს, რაზე უნდა აგხირებოდათ მეუღლე ასეთ ნიამორს! თქვენთვის-ხომ ისიც კმაროდა, ოსიკო რომ მარტო გვარად იყო მოწყობილი?!

— რამდენს მიბედავთ ეს უცხო კაცი! — ამას რომ ამბობდა, რუსუდანი თან იღიმებოდა. სწორედ ამიტომ არც ძუკუს მიუღია საწყენად ეს სიტყვები, უპასუხოდ კი არ დაუტოვებია.

— უცხო?! მე და თქვენ ხომ... ასე ვთქვათ, სიყრმის მეგობრები ვართ?!

— სიყრმის მეგობრები! — რუსუდანს გულღიად გაეცინა. — რაღაც არ მახსოვს...

— სამაგიეროდ, მე ძალიან კარგად მახსოვს ყველაფერი.

— მაინც რა გახსოვთ?

— მახსოვს... სად გნახეთ პირველად... როგორ გაგიცანით... თქვენ რა მითხარით...

— საშიში ნიჭი ყოფილა მახსოვრობის ნიჭი...

— განა ყველაფერს ვიმახსოვრებ. ინსტიტუტში რომ მოეწყვეთ, მე ორი კურსით წინ ვიყავი... მას აქეთ მოსვენება დამეკარგა.

— ძალიან, ძალიან შემეცოდებოდით, ამას რომ ჩემი გულის ასაჩუყებლად არ ამბობდეთ...

— რუსუდან! მე თქვენ ახლაც იმ პირველი გატაცებით მიყვარხართ.

— რომ იცოდეთ, როგორ არ მესიამოვნება ასეთი...

ძუკუმ დროზე შეაწყვეტინა სათქმელი რუსუდანს, რადგან ადვილი მოსალოდნელი იყო, ერთი მკვახე სიტყვით ბოლო მოეღო მასპინძელს რომანტიკულად განწყობილი სტუმრის ინტიმური აღსარებისათვის.

— რომ იცოდეთ, როგორ მაოცებს, რუსუდან, თქვენი ასეთი გულგრილობა...

— შეგიძლიათ დაუმატოთ, რომ უგრძნობელიც ვარ! დიახ, ისეთი რამ შემემთხვა, ჯერაც მართლა უგრძნობლად ვარ! ხანდახან რომ გავიფიქრებ ხოლმე, ასე მგონია, მეხუთე სართულიდან გადამაგდეს და რაღაც სასწაულით ცოცხალი დავრჩი.

— მე ვერ გაგიბედეთ მეთქვა, რომ სწორედ გადაგაგდეს, მაგრამ შველაზე განა როდისმე უთქვამთ უარი?!.

— რას ეძახით შველას?

— დავიწყოთ ახალი ცხოვრება!.. მე ოსიკოსავით მოუწყობელი არ გეგონოთ!.. კარგი თანამდებობა...

— არქიტექტურაში თქვენი სახელი რაღაც არ მსმენია.

— არქიტექტურას მოუკვდა პატრონი!.. ცხოვრებამ სულ სხვა მხარეს გადამისროლა.

— მაინც?

— სამეურნეო დარგის სამეცნიერო დაწესებულებაში.

— მეცნიერებას ემსახურებით...

— ასე ვთქვათ.

— თუ... მეცნიერება გემსახურებათ?

— გამოვნახეთ საერთო ენა!.. თქვენ რომ ჩემი ბინა ნახოთ, შეიძლება დატოვებაც გაგიჭირდეთ, მით უმეტეს, ამ ხუხულის შემდეგ!.. საწყენად არ ვამბობ...

— ნუ გეშინიათ, ასეთი რამ არ მწყინს!

— ოთხოთახიანი ბინა მესამე სართულზე ამხანაგობის სახლში!

— მინდოდა მეთქვა — ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ-მეთქი, მაგრამ ჯერ საკითხავია — საიდან, რა გზით?

— განა მარტო ბინა. იშვიათი ავეჯიც...

— ეგეც... საიდან?

— აგარაკი ზღვის პირად!

— რა თქმა უნდა, აგარაკზედაც ვერ იტყოდით უარს.

— მსუბუქი მანქანა „ვოლგა“...

რაც ძუკუმ თავისი ავლადიდების ჩამოთვლა დაიწყო, სახე ისე გაებადრა, იმ წუთში, ალბათ, ძნელი მოსაძებნი იქნებოდა მასზე უფრო კმაყოფილი და ბედნიერი ადამიანი. ის დარწმუნებული იყო, რომ ახლა კი შეაყარა ნაცარი ოსიკო მოწყობილს რუსუდანის თვალში. ეგონა, ახლა მაინც მოლბებოდა ქმრისაგან შეურაცხყოფილი ცოლი და ახალ მფარველს მწყალობელის თვალით შეხედავდა, მაგრამ ამის

მაგიერ რუსუდანს სახეზე ისევ ის გამაბიაბრუებელი ირონია დასთამაშებდა, რაც თავიდანვე ასე ბოჭავდა ძუკუს აღმაფრენას.

— მე ისევ ის კითხვა არ მცილდება — საიდან, როგორ?!

ძუკუმ მედიდურად მიიდო თითი საფეთქელთან.

— აქედან! ყველაფერი ნიჭია, ქალბატონო!

— როგორც მახსოვს, ნიჭიერებით არ იყავით გამორჩეული.

— ხუთიანის მიღება მათემატიკასა და მასალათა გამძლეობაში ნიჭი არ არის, ნიჭი — ცხოვრების მოწყობაშია!

— რა აზრი აქვს ისეთ მოწყობას, თუ ადამიანი მარტო ნივთების ბატონ-პატრონია!.. ოსიკო მოწყობილი შეიძლება ყველაზე მოუწყობელი კაცი იყოს ამ პლანეტაზე, მაგრამ...

რუსუდანმა ზედმეტად ჩათვალა სიტყვის დამთავრება. ძუკუმ ეს თავისებურად გაიგო და სცადა ამ შემთხვევით ესარგებლა.

— საქმეც ეგ „მაგრამ“ არის დ›, კიდევაც შეგაჩერათ.

— თქვენ ასე ფიქრობთ? „მაგრამ“ მის ცხოვრებას გაცილებით მეტი აზრი აქვს! რა ვუყოთ, რომ ერთი უბრალო მეჭურჭლეა, კერამიკოსი!

მეჭურჭლის გაგონებაზე იმდენი იცინა ძუკუმ, სანამ თვალებზე ცრემლები არ მოადგა. რუსუდანს ეს არც სწყენია, არც ხელი შეუშლია სტუმრისათვის

სიცილში, რადგან დარწმუნებული იყო, ძუკუსთანა ადამიანის გამაბიაბრუებელი სიცილი, სულ ერთია, გონიერის თვალში ვერ დაამცირებდა ოსიკო მოწყობილს.

— წეღან თქვენ ცდილობდით უძრავ-მოძრავი ქონების ჩამოთვლით გაგეოცებინეთ, მე კი ვცდილობ ოსიკო მოწყობილის ღირსებებით გაგაოცოთ!.. ოსიკოს გატაცებით უყვარს თავისი საქმე. უფრო დამნაშავეც რომ იყოს ჩემ წინაშე ის ვაუბატონი, ამას მაშინაც ვიტყოდი. ოსიკო იქ არის ბედნიერიც და მოწყობილიც!

— ყოველთვის მაოცებდა და მაოცებს ქალების მსჯელობის და ქცევის ულოგიკობა! არა სჯობია ოჯახი მოიწყო და თიხის ქოთანზე უფრო ცოლი გიყვარდეს! თიხის ჭურჭელი ხომ ვერასოდეს ვერ იქნება იმაზე მეტი, რაც ადამიანია! მართალი ვარ თუ არა? ქოთნებს ვერ შეელია ყმაწვილი, ანგელოზივით ცოლს კი ელევა! წარმოგიდგენიათ? გაზეთში აცხადებს, რომ...

— ძალიან ხომ არ გაგიტაცათ დისკუსიამ ამ საკითხზე? თქვენთვის ზოგი რამ გაუგებარი, დაუჯერებელი და მიუტევებელია, რადგან სულში, ცოტა შაბლონურად რომ ვთქვათ, შემოქმედის ლამპარი არ გინთიათ! რასაც ადამიანი სიყვარულით ქმნის, ის ზოგჯერ თვით მის შემქმნელზედაც მეტი გახდება ხოლმე! რამდენიმე წლის წინ, თრიალეთში გათხრების დროს იპოვეს ბაჯაღლო ოქროს თასი, მოჩუქურთმებული და პატიოსანი თვლებით შემკული...

— ვინ ჩამოთვლის, რამდენი ოქროს თასი, თიხის ჯამი და ვერცხლის ფული გვიპოვია...

— მე ჩამოთვლას არ ვაპირებ. ოღონდ ოსიკო მოწყობილი იმ თასის ავტორი ყოფილიყო და ათასჯერ მეტს ვაპატიებდი, ვიდრე ახლა შემიძლია ვაპატიო.

— მაგას ახლა ამბობთ, — ძუკუმ დამაჯერებლად გაიცინა და ხელიც ჩაიქნია, — მაშინ კი იმ თასიანად ისროდით გარეთ!

— თქვენ ის თასი გინახავთ?

— რაც მე თასები მინახავს, სავსეც, ცარიელიც...

— მე იმ პატიოსანი თვლებით მოოჭვილ ოქროს თასზე გეკითხებით... ˇ

— ეგ რაღაც არ მახსოვს...

რუსუდანი ზეზე წამოიჭრა, შემდეგ ძუკუს წინ შეჩერდა და ორივე ხელი ლოყებზე შემოიდო.

— ნამდვილად სირცხვილია!

— რა? — ხუმრობის გუნებაზემყოფი კაცის კილოთი იკითხა ძუკუმ.

— საქართველოში ნამყოფ რომელ ტურისტსაც უნდა ჰკითხოთ, იმ თასს დაწვრილებით აგიწერთ! მიკვირს... თუ ხელოვნების სიყვარულით არა, ოქროს ხათრით მაინც გენახათ...

— თასი მე მწამს, როცა შიგ ღვინო ასხია და ტურფა ასულს ადღეგრძელებ!

ახლა ძუკუ წამოიჭრა ზეზე და გამარჯვებულივით მედიდურმა, სახემოღიმარმა გაიარა ოთახში.

კედელს ერთგან თითი დაუსვა. თითზე მკრთალი მოლურჯო ფერის ლაქა შერჩა.

— საღებავისთვის ხელოსანს წებო დაუკლია.

— მაგას კი მიხვდით, მაგრამ იმას როდისღა მიხვდებით თქვენ, ღვინისმოყვარულები, ჩვენი ხალხი მარტო ღვინის სმით ვერ იქნება დღეგრძელი!

— დარდი ნუ გაქვთ, — ძუკუმ სხვათა შორის გადახედა ფიროსმანის „ირემს გადაჭრილ ხესთან“, მერე ასევე სხვათა შორის განაგრძო სიტყვა: — ღვინო იგივე მხიარულებაა!.. მხიარული კი ყოველთვის უფრო დღეგრძელია, ვიდრე მჭმუნვარე!

რუსუდანი დარწმუნდა, თავის შეწუხებად არ ღირდა პასუხის გაცემა, სათქმელი მხოლოდ გაიფიქრა — „ჰო, თუ მასეთმა მხიარულებამ ბოლოს ყველა ჭკუამხიარული არ გაგვხადაო“.

ძუკუ დინჯად მიუახლოვდა რუსუდანს, ბეჭის თავიდან შიშველ მკლავებზე ხელები ძალიან ფრთხილად შეახო და შესაბრალისი კილოთი იკითხა:

— მაშ, არ გჯერათ, რომ ჩემთან იპოვით ბედნიერებას?

რუსუდანმა შეხედა, უბრალოდ მიუგო:

— თუკი არ ვეძებ ასეთ რამეს?

— ბედნიერებაზე უარი ვის უთქვამს?!

— ჯერ ერთი, ქმართან საბოლოოდ გაყრილი არა ვარ, სამაგიეროს რატომ უნდა ვეძებდე?

— თუ არა ხართ, ხომ იქნებით! ძებნაც აღარ დაგჭირდებათ. ის, ვინც უნდა გეძებნათ, თავისი ფეხით...

— მე უკვე ვატყობ, რომ თავისი ფეხით მოსული თავისივე ფეხით წავა!

რუსუდანმა ზურგი შეაქცია ძუკუს. აქამდეც ეწყა და მისთვის ხელი გაეშვებინებინა, მაგრამ ეს ისე მოხერხებულად ვერ მოიფიქრა, და ამდენ ხანს „შერჩა ხელში“ სტუმარს.

— ახლა არა გჯერათ ჩემი, რუსუდან, მერე კი... რას ვიზამთ, ასე ყოფილა — ურემი რომ გადაბრუნდებაო...

— გზა რომ დავინახო? ნუ წუხდებით, ყველაფერს ვხედავ.

ძუკუმ ხელები ასწია, მისი თეატრალური პათოსით ნათქვამი სიტყვები:—ასეთ გონებამახვილ ცოლთან რა მომაწყენდაო — უსიამოვნოდ ჩაესმა რუსუდანს.

— ბოლოს და ბოლოს, თუ ყველაფერი მოსაწყენია? — კეკლუცად და ეშმაკურად ჰკითხა რუსუდანმა, — თქვენ ხომ კარგად იცნობთ ცოლების ბუნებას, ქმრების ხასიათს და, საერთოდ, ცხოვრებას — ოჯახური ყოფის ასპექტში?

— უკვე წასვლის დროც მოსულა, რახან ჩემს სიტყვებს უკან მიბრუნებთ!

— თქვენ რომ თავიდანვე ასეთი მიხვედრილობა გამოგეჩინათ...

— რა გაეწყობა. თავიდანვე ბედი ვის უღიმის?! რუსუდან, თქვენთან გატარებული ეს რამდენიმე წუთი ყველაზე ბედნიერი...

— სად ამოიკითხეთ ეს სიტყვები?

ბუკუმ ეს სითამამეც მოუთმინა, სამაგიეროდ ისე შეხედა, რომ რუსუდანს ძალაუნებურად თავი დაახრევინა.

— რა ულმობელს გხდით ამ ლამაზ ქალებს თქვენი ღირსების შეგნება! მაგრამ იმედია...

— ნურაფრის იმედი ნუ გექნებათ!..

— მე რომ აგრე ადვილად ვკარგავდე იმედს! ნახვამდის, არა?

— მშვიდობით!

— რაა ეს დალოცვილი ქართული! ნახვამდის!.. მშვიდობით!... ერთიმეორეზე უკეთესია! მადლობის მეტი რაღა მეთქმის, რუსუდან! ჩემთვის „ნახვამდის“ გეცოტავათ და მშვიდობაც მისურვეთ!

ბუკუმ დრო იხელთა, ახლა უკვე ლმობიერად მოღიმარ რუსუდანს კისერზე ოდნავ შეახო მკლავი და ლოყაზე ფრთხილად აკოცა. რუსუდანი არ გასძალიანებია, არც ამ მოულოდნელობას გაუოცებია, მაგრამ როცა ვაჟმა ხელი უშვა და მოხიბლული, ნეტარებით მთვრალი კიდევ აპირებდა კოცნას, უეცრად რუსუდანმა ერთი ნაბიჯით დაიხია და ისე მარჯვედ სტკიცა ლოყაში, მოგეწონებოდათ ეს სიმარჯვეც და ამგვარი პასუხიც.

ბუკუმ რუსუდანისთვისაც, თავისთავისთვისაც მოულოდნელად გაიღიმა.

— მე მგონია, დღეისათვის საკმარისია! — თქვა და გულზე ხელი მიიდო. რუსუდანს უსიტყვოდ გამოემშვიდობა. ეტყობოდა, მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, მაინც კმაყოფილი მიდიოდა.

გავიდა თუ არა ძუკუ, რუსუდანმა კარი უმალ მიხურა, ისევ ოთახში შებრუნდა და ფანჯარაში იწყო ცქერა. ორიოდე წუთის შემდეგ ძუკუს კვლავ მოჰკრა თვალი ქუჩაში, მოპირდაპირე მხარეს. მან გააღო ხეივანთან დაყენებული მანქანის კარი, ჩაჯდა და მანქანაც დაიძრა. მობრუნებისას მანქანის საცქერ მინასა და ფარებზე არეკლილმა მზის შუქმა ელვასავით მიანათა სახეში რუსუდანს. რუსუდანი უცებ შეაკრთო ამ მოულოდნელმა ანარეკლმა. ეს შეკრთომა და გაფიქრება ერთი იყო: მოდი და ამის შემდეგ ირწმუნე, რომ სტუმარი ღვთისაა!

როცა მზე პირს იბანდა

ადამიანების ურთიერთკავშირი ერთადერთი ჭეშმარიტი ღირებულებაა.

ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

სადარბაზო კარის ჩარჩოში მზით განათებული ქუჩის მონაკვეთი იმპრესიონისტული სურათივით ჩანდა. ის იყო კიბე ჩავირბინე და ქუჩაში უნდა გავსულიყავი, რომ სინარას მოვკარი თვალი. მან ისე ჩაიარა, კარისაკენ არ გამოუხედავს და არც დავუნახავარ.

მე და სინარა ერთად ვმსახურობთ. სამსახურში ის მარტო იმით იქცევს ყურადღებას, რომ მუდამ ჩუმად და თავისთვის არის; არც უმცროსებს მეგობრობს, არც ტოლებს, არც უფროსებს. თუ რამეს ჰკითხავ, თავაზიანად და, თანაც ისე გიპასუხებს, გამოწვევა რომც გინდოდეს, ვერ მოახერხებ, სიტყვას ვეღარ გააგრძელებ. სინარა არ უყვართ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, არც სძულთ. არ უყვართ იმიტომ, რომ

ლაზღანდარობაში თავის გამოჩენას არ ცდილობს, ამყოლი არ არის. თან არც ლამაზია. თვალები კი ურიგო არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ გარკვევით ვერც მის შესახებ იტყვი რამეს, რადგან სულ დახრილი აქვს, ზოგიერთებივით აქეთ-იქით არ აცეცებს. მართალია, სინარა სულ ერთთავად დუმს, მაგრამ ერთნაირად არასოდეს გამოიყურება. ხან რაღაც ფარული ღიმილი მოეფინება, ხან მოღუშულია, ხანაც თვალებს წამით სადღაც მიაპყრობს და, თუ დააკვირდები, შეიძლება მიხვდე, რა გაიფიქრა, ან რა შთაბეჭდილება მოახდინა დანახულმა თუ გაგონილმა. რაც მთავარია, მოდურად ჩაცმა-დახურვაზე არ ზრუნავს; იქნებ არც ეხერხება და არცა სურს. კაცია და გუნება. მე მაინც ვფიქრობ, რომ ის ყველაზე მეტად ამ საკითხში სცოდავს. რას ამბობთ! რაც მუქუანგისფრად თმის შეღებვას და მოდურად ჩაცმას მიჰყვეს ხელი, ლამაზი გოგონების რიცხვმა თითქოს ერთიორად იმატა. ჰოდა, თუ „უფერულ“ ხასიათს ვერა, მის უფერულ გარეგნობას ხომ ცოტათი მაინც უშველიდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სინარა იქნებ იმის გამოც არ უყვართ, რომ არც თვითონ აბეზრებს თავს ვინმეს რჩევა-დარიგებით, არც სხვის ჭკუაზე დადის. მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც სინარას უკლებლივ ყველა პატივს სცემს. მას ენდობიან. რაც უნდა ეცადო, რაც უნდა განზრახ არწმუნო და იფიცო, ესა და ეს ქალი თუ კაცი აუგად გიხსენებდაო, სამაგიერო სალანძღავ სიტყვას ვერ წამოაცდენინებ. ენის მიტან-მოტანაზე ხომ ლაპარაკიც ზედ-

მეტია. თვითონ ასე წყნარი და მყუდროების მოყვარული, არასოდეს მოთმინებიდან არ გამოჰყავს სხვის სიფიცხეს, რადგან ამას ზერელედ არ უყურებს და მისთვის, ალბათ, ზოგჯერ მიზეზს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შედეგს. შარშან ერთი ქალებისმოყვარული თანამშრომლის კიცხვა ორ დღეს რომ გრძელდებოდა, ბოლოს სინარამაც :ულალატა ჩვეულებას და ერთი ფრაზით მოუღო ბოლო ამ ალიაქოთს — „თავს ახლად ვერავინ იშობსო“.

ახლა, მართალია, დავინახე, სინარამ ჩვენი სადარბაზო კარის წინ რომ ჩაიარა, მაგრამ არ ავჩქარებულვარ, არ გავდევნებივარ. გუშინ ცოტა ვაწყენინე და, მინდოდა რამდენიმე დღე გასულიყო, სანამ ისევ ხმას გავცემდი... რაღაც ეშმაკად, შესვენების დროს თეატრის წინ რომ ჩავიარე, იქ ერთი ნაცნობი მსახიობი დავინახე, მივესალმე.

— დღეს პრემიერას არ ესწრები? — მკითხა მან.

— სიამოვნებით დავესწრებოდი, მაგრამ... პრემიერის პირველ დღეს ბილეთს რას იშოვი!

ჩემს პასუხზე მან ერთი გადმომხედა და ეშმაკურად გამიღიმა. მერე გულისჯიბისაკენ ისე ნელა წაიღო ხელი, დანარჩენი ძნელი მისახვედრი აღარ იყო. საფულედან ოთხი ბილეთი ამოიღო. ორი მე მომიხია. ასეთი გულწრფელი თავაზიანობა და განსაკუთრებით კი მისი ჯენტლმენობა მომეწონა. ხომ შეიძლებოდა, ერთი ბილეთი მოეცა. მე ღიმილით შევნიშნე:

— ორ ბილეთს რომ მაძლევ, ცოლიანი ხომ არა ვარ?

— ვიცი, მაგრამ... როგორ დაგიჯერებ, ვინმეს თავს არ აწონებდე. ჰოდა...

სიტყვა აღარ დაასრულა. ამ შემთხვევამ საუზმეც კი გადამავიწყა. დაწესებულებაში გახარებული და აღელვებული დავბრუნდი. მიხაროდა, რომ დღევანდელი პრემიერის ორი ბილეთი ჯიბეში მედო. ახლა იმაზე ვფიქრობდი, ჩვენი გასათხოვარი თანამშრომლებიდან რომელი გოგონა ჩამეთვალა ამ საზეიმო დღეს თეატრში წაყვანის ღირსად. ერთნაირად მომწონდა მზიას თვალები, მანანას ვაჟკაცურად შეკრეჭილი, შუბლზე უსწორმასწოროდ მიშლილ-მოშლილი წაბლისფერი თმა, თამარის ტანი, დოდოს ტუჩ-კბილი; არანაკლებ მომწონდა ლეილას სწორი, პაწაწინა ცხვირი. არ შეიძლება არ მოგხიბლოს ნუნუს ხმამ და ნამდვილი ქალური მოკრძალებით ლაპარაკმა. როცა ვთქვი, დღევანდელ პრემიერაზე ორი ბილეთი მაქვსმეთქი, სინარას გარდა, დანარჩენმა ექვსივე გოგონამ ყური ცქვიტა, მაგრამ... რომელსაც კი არ შევთავაზე ჩემთან ერთად თეატრში წასვლა, ყველამ უარი მითხრა, რა თქმა უნდა, „ცივი“ და პირდაპირი უარი არავის არ უთქვამს. ერთი ვითომ ნათესავთან იყო დაბარებული, მეორე — მკერავთან, მესამე ამხანაგს ელოდა შინ, მეოთხეს თავი სტკიოდა. ვგრძნობდი, რომ ყველა ტყუოდა, მაგრამ ოდნავაც არ შემიმჩნევია; ზოგჯერ, რომ გატყუებენ, რატომღაც შენ უფრო გრცხვენია. დანარჩენებმა რა მოიმიზეზეს, აღარ მახსოვს, მაგრამ კარგად მახსოვს, რაც დოდომ მითხრა: — ბიჭო, ჯონდო, აგერ, ჩვენი სინარა წაი-

ყვანეო. ამის გაგონებაზე გოგონებმა ერთხმად გადაიკისკისეს; იმ წუთში არც კი დავფიქრებულვარ, რა ძნელი მოსათმენი იქნებოდა სინარასათვის ეს ქარაფშუტული დაცინვა. მას კი თავიც არ აუწევია, არც გაკვირვება გამოუხატავს, არც წყენა. და იმ წუთში, როცა ეს ულამაზოდ მიჩნეული გოგონა ჩემს თვალში ასე მოულოდნელად ამაღლდა, უნებლიეთ მე კიდევ უფრო მეტი უსიამოვნება მივაყენე — გაბრაზებულმა ავიღე პრემიერის ბილეთები და ნაკუწებად ვაქციე. უფრო მეტ სისულელეს, რა თქმა უნდა, ჩემს ადგილზე კაცი ვერ ჩაიდენდა. იმის მაგიერ, რომ საწინააღმდეგო რამე გამეკეთებინა და გოგონები გამებიაბრუებინა, ჩემი უნებლიე, დაუფიქრებელი საქციელით სწორედ მათ ავუბი მხარი. სინარას არც ამაზე უთქვამს რამე. ორ, ერთმანეთზე უარესად გამაბიაბრუებელ დაცინვას ეს წყნარი გოგონა საოცარი დიდსულოვნებით შეხვდა. რა თქმა უნდა, გულის სიღრმეში ჩემი უღირსი საქციელი უფრო გააკვირვებდა და ეწყინებოდა, ვიდრე იმ ქარაფშუტა დობილებისა. ეს ყველაფერი გუშინ მოხდა და ახლა, ქუჩაში რომ გავედი, დარწმუნებული ვიყავი, სინარა უკვე შორს იქნებოდა წასული. გზა არხეინად განვაგრძე. ქუჩაში ხალხი რაღაც ისე ფუსფუსებდა, როგორც კვირადღეობით სჩვევიათ. ის კვირადღე, როცა ფეხბურთია, სხვა კვირადღეებს არა ჰგავს. ქუჩაში ხის ძირას კაფეების წინ მოედნებზე თავშეყრილ, დროის უქმად ტარების მოყვარულ ახალგაზრდებს ამ დღეს სხვა საზრუნავი აქვთ. მაღი

„ბირჟა“ ახლა სტადიონის მისადგომებია. ფეხბურთზე ფიქრით გართულს, მოულოდნელად თვალში მეცა გახუნებული ცისფერი ჟაკეტი. სინარა წიგნის მაღაზიიდან გამოვიდა. ერთი წიგნი იღლიაში ამოედო, მეორე ხელში ეჭირა და გატაცებით ფურცლავდა. მივხვდი, რომ დამინახა. სულ რაღაც ათიოდე ნაბიჯით ვიქნებოდი მისგან დაშორებული, როცა მაღაზიიდან გამოვიდა და ქუჩაში მიმავალნი ზერელედ შეათვალიერა. თუ დამინახა და თვალი -მაინც ამარიდა, ეს ხომ ფარული გულისწყრომის უნებლიე გამჟღავნებას ნიშნავდა. მე კი ამ წუთამდე ისევ მჯეროდა სინარას დიდსულოვნებისა. ვფიქრობდი, უთქმელად მიმიხვდება ყველაფერს; მიმიხვდება, რომ დაუფიქრებლად დავხიე ბილეთები. სინანულით გავიფიქრე — რა გასაკვირია, თუ ამის შემდეგ ჩემთან შეხვედრა და ლაპარაკი არ ესიამოვნება-მეთქი. ის იყო ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა დავაპირე, რომ თვითონვე მივხვდი, ჩემი საქციელი სწორი არ იქნებოდა. ერთხელ კიდევ შევავლე თვალი სინარას გამოხუნებულ ცისფერ ჟაკეტს და ნაბიჯს ავუჩქარე. გულის ცემა გამიხშირდა. არ ვიცოდი, როგორ შემხვდებოდა სინარა. ერთ ნაბიჯზე რომ მივუახლოვდი, გავბედე და იდაყვზე ხელი ფრთხილად შევახე. სინარამ მკლავი უნებლიეთ წინ გასწია, მაგრამ როცა შემომხედა, ჩემდა გასაოცრად სახე მყის შეეცვალა. გამიღიმა და ხელის გამოწოდებაც დამასწრო. მართალია, აგერ მეორე წელი ილევა, რაც ერთ დაწესებულებაში ვმუშაობთ, მაგრამ ხელი მისთვის აქამდე

არ ჩამომირთმევია. და ახლა სწორედ გაკვირვებული დავრჩი. ამ პირველი, მარტო მისთვის დამახასიათებელი ხელის ჩამორთმევის შემდეგ თითქოს ერთბაშად შევიცანი სინარას ხასიათი. ჩემს ნაცნობებში ათასიდან ალბათ ორზედაც ვერ ვიტყვი, რომ ხელის ჩამორთმევის „შნო“ ჰქონდეთ. ზოგი ქალი ხელს გართმევს რაღაც იძულებით, უსიამოვნოდ, შეიძლება ზიზღითაც. ზოგი მორცხვად და უხეიროდ, ზოგის ხელი ისე დუნედ მოგხვდება ხელში, გეგონება, ძვალი არა თუ თითებში, საერთოდ სხეულში არ გააჩნიაო. სინარამ კი ერთბაშად გამაოცა. ჯერ ერთი, ათას რამეს რომ ვვარაუდობდი და შეხვედრას არ ვაპირებდი, ვაითუ ქუჩაშიაც არ მომერიდოს და გუშინდელი შემთხვევის შემდეგ ჩემთან დალაპარაკება არ ისურვოს-მეთქი. ის კი ღიმილით შემომეგება და ხელიც თბილად ჩამომართვა. შეიძლება ითქვას, იმ წუთში პირველად ვიგრძენი — რას ნიშნავდა ქალის ხელი, როცა მისი თითები და ხელისგული ისე შემოეჭდო ჩემს ხელს, თითქოს რბილი ტყავის ვიწრო ხელთათმანი ჩამეცვას. გაოცებული შევცქეროდი. ჩემი ვარაუდისა ახლა მე თვითონ შემრცხვა. ჩანს, იმ წყენას, რომელიც უნებლიეთ მივაყენე, სინარას გულში კვალი არ დაუტოვებია. ეს კი იშვიათად ხდება. ადამიანებს ზოგჯერ ფრჩხილისოდენა რამეც კი სწყინთ. დიდი ჯაფა არ სჭირდება მათი სულიერი წონასწორობის დარღვევას.

— სინარა, რა წიგნები გიყიდია? — ხელის ჩამორთმევის უმალ დავინტერესდი.

სინარამ წიგნები გამომიწოდა. ერთი იყო „უკვდავების ილუზია“, მეორე — „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომი. ორივე წიგნი ზერელედ გადავფურცლე.

— საინტერესოა? — ვკითხე, როცა წიგნებს ვუბრუნდები.

— ზოგიერთ მოჩმახულ რომანს სჯობია. შენ ასეთი წიგნების კითხვა არ გიყვარს? ბონარის „ბერძნული ცივილიზაციის“ პირველი და მეორე ტომი ძალიან მომეწონა. რა იქნებოდა, ასე დალაგებულად დაწერილი რომ გაგვაჩნდეს „ქართული ცივილიზაციაც“. მე შენ გეტყვი, დამწერს მასალა შემოაკლდებოდა!..

— დაწერს, ალბათ, ვინმე, აბა, რა იქნება!

— შენ რა წაიკითხე ამ ბოლო დროს, ჯონდო?

ცოტა წავიბორძიკე, მაგრამ დროზე გამახსენდა „მე პელე“ და „ფეხბურთის კალენდარი“.

სინარამ ეშმაკური ღიმილით გადმომხედა.

— ძალიან გაგიმდიდრებია შენი სულიერი სამყარო!

— დამცინი?

— დასაცინი რაა, მაგრამ...

— ვიცი, ქალებს ფეხბურთი არ გიყვართ. რაკი წიგნი გამოდის, ვიღაცამ ხომ უნდა წაიკითხოს.

— ფეხბურთი მიყვარს, ჩვენს ფეხბურთელებს კი... მაინცდამაინც პატივს არა ვცემ.

— რატომ?

— თავმოყვარეობა ღალატობთ!

— რაკი ხშირად აგებენ?

— წაგება წაგებაა, მაგრამ ხშირად და გაუმართლებელი წაგებისათვის ორმოცი ათასი კაცი ერთხმად რომ შებღავის და უსტვენს, ამის შემდეგ თავმოყვარე კაცი კიდევ გამოვა მოედანზე? და თუ გამოვა, თავგანწირვით არ ითამაშებს?! ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც ყველაფერი ეპატიებათ: ფეხბურთელებს — ცუდი თამაში, გულშემატკივრებს — ლანძღვა-გინება!.. რას ამბობ, სტადიონის წყალობით, ვინც არ იცოდა, იმანაც კი ისწავლა გინება!..

— რაც უნდა თქვა, სტადიონზე სიარულს ვერ გადამაჩვევ.

— რასაკვირველია, სანახაობა და გასართობიც პაპიროსსა და მზესუმზირასავითაა: თუ მიეჩვიე, ძნელად გადაეჩვევი.

— სინარა, რა მაგის პასუხია და, ბილეთი რომ გიშოვო, წამოხვალ?

სინარამ გაოცებით შემომხედა და თითქოს შემკრთალმა მიპასუხა:

— როგორ შეიძლება?!

— რატომ? რა, უცხოსთან ხომ არ იქნები?..

— მაგიტომ არა...

— მაშ, რატომ?

— რა ვიცი... მიზეზი ბევრია.

— ერთი მაინც დამისახელე.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენ რას იფიქრებ? შენ რომ ქალი იყო, წაჰყვებოდი?

— გააჩნია, ვის?

— და გააჩნია, როგორ გეტყოდა, არა, ჯონდო?

— რასაკვირველია, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, მით უმეტეს, ქალისთვის.

— მაგრამ რა ნაცადი ხერხიც უნდა იყოს, ყველაზე ერთნაირად ვერ იმოქმედებს, ისევე როგორც წამალი: ის რაც სხვას გააბრუებდა, მე მხოლოდ სიცილს მომგვრის, ადამიანს თუ კარგად არ ვიცნობ, არც მის სიტყვას ვენდობი.

ერთხანს დუმილით მივაბიჯებდით, მერე მოულოდნელად ვკითხე:

— კარგი თამაში გინახავს?

— ჩვენების თუ უცხოელების?

— უცხოელების თამაშიც გინახავს?

— რატომღაც აქამდე მახსოვს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი". თუ კევანზე იტყოდი — ძლიერი მოთამაშეაო, სამაგიეროდ დანარჩენებზე ვერ იტყოდი სუსტები არიანო. ჩვენი გუნდის ყველაზე დიდი ნაკლი კი აქამდე ისაა, რომ საოცრად არათანაბარი დონის მოთამაშეებისაგან შედგება.

სინარას გაოცებული შევცქეროდი. მე მეგონა, ფეხბურთზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, რახან ამ ორ წელიწადში ერთხელაც არ დასცდენია სიტყვა... როცა ბიჭები სამსახურში ცხარედ ვკამათობდით ხოლმე წინადღით ჩატარებულ მატჩზე, როცა ჩვენს კამათში გოგონებიც კი ჩამოერეოდნენ ხოლმე, სინარა ჩვეულებრივ სულგანაბული იჯდა და ასე გეგონებოდა, ფეხბურთი კი არა, სამსახურის საქმის გარდა,

ქვეყანაზე არაფერი აინტერესებდა. მაგრამ თურმე ნუ იტყვი... ძალიან ადვილია, როცა რამე არ გესმის, გულგრილად უცქირო სხვების კისრისტეხას, იქნება ეს ფეხბურთი, ჭადრაკი თუ თეატრი, მაგრამ ძალიან ძნელია, თუ გესმის, კამათში არ ჩაერიო და შენი „ავტორიტეტული“ სიტყვა არ თქვა. სინარას კი თურმე ყველაფერი კარგად ესმოდა და მაინც ახერხებდა თავის შეკავებას.

— სინარა, თუ გუნებაში გაქვს წამოსვლა, თქვი, ნუ გერიდება, მაშინ ცოტა უნდა ვიჩქაროთ. ჩემთვის კი მაქვს ბილეთი, მაგრამ შენი საშოვნელია!

— წამოვიდე? — ყოყმანით წამოიწყო სინარამ, და სახეზედაც, კილოზედაც აშკარად შეატყობდით, რომ წამოსვლა გულით სურდა. — სულ ერთია, ბილეთს ვერ იშოვი, — დაუმატა მან. მაგრამ ამ სიძნელეს როგორ შევუშინდებოდი.

— შენ რა გინდა, ბილეთს გავაჩენ!

მატჩის დაწყებას ერთი საათიღა აკლდა და ტროლეიბუსსა თუ ავტობუსში ჩაჯდომაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. სტადიონისაკენ ფეხით გავეშურეთ. ახლა პროსპექტზე ხალხი მხოლოდ ერთი მიმართულებით მიისწრაფოდა.

— ჯონდო, ორიოდე წუთით რომ დაგაყოვნო, ხომ არ გეწყინება?

— საწყენი რაა, თუ აუცილებელია... მაგრამ ხომ იცი, ახლა ყოველი წუთი რად ღირს!

— პირველივე ტელეფონ-ავტომატით ამხანაგს

უნდა დავურეკო. გუშინ შევპირდი, ორ საათზე გამოგივლი-მეთქი...

— უკვე სამის ხუთი წუთია.

— ჰოდა, სწორედ დროზე გავაფრთხილებ...

— კარგი, სინარა. მხოლოდ ნაბიჯს ცოტა კიდევ ავუჩქაროთ...

— ავუჩქაროთ! — ისე მიპასუხა, ისე შემომცინა, მის სიტყვაშიც, მის გამომეტყველებაშიც ისეთი ხალისი და კმაყოფილება იგრძნობოდა, რომ უნებლიეთ მეც გადამედო სინარას განწყობილება. ორივენი ბავშვებად ვიქეცით... ხელიც კი ჩავჭიდე. სინარა არათუ არ გამძალიანებია, პირიქით, თვითონაც მაგრძნობინა, რომ ეს ჩემი ბავშვური სითამამე სიამეს ჰგვრიდა და საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა ასე ხელიხელჩაკიდებულებს გვერბინა; ხომ უნდა მოგვეგო ის წუთები, ავტომატთან ლოდინში რომ უნდა დაგვეხარჯა. პირველმა ავტომატმა მოულოდნელად გაგვაწბილა. სინარამ რომ დაინახა, ჯიხური თავისუფალიაო, სიხარულით ცას ეწია, მაგრამ მისი სიხარული ნაადრევი გამოდგა. ის იყო, სინარას ყურმილისათვის ხელი უნდა ეტაცა, რომ სახტად დარჩა: ავტომატზე ზონარიღა ეკიდა. რომელიღაც პირუტყვს ყურმილი წაეგლიჯა. გზა ისევ ფაციფუცით განვაგრძეთ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით სტადიონს, ხალხიც საგრძნობლად მატულობდა. სინარამ ქუჩის მეორე მხარეს ავტომატის სხვა ჯიხურს მოჰკრა თვალი. ვცადეთ გადასვლა, მაგრამ ეს ახლა არც ისე იოლი აღმოჩნდა: ყველა მიიჩქაროდა, ზოგი კიდეც გარ-

ბოდა და ძნელი იყო, გვერდი ისე აგექცია, ვინმეს არ დასჯახებოდი. მეორე ჯიხურთან ოთხი კაცი იდგა რიგში. ამის დანახვაზე ორივეს ლამის გული შეგვიღონდა, მაგრამ რას ვიზამდით. ჩვენ წინ ორი მოხუცი იცდიდა, იმათ წინ კი ვიღაც ჭაბუკი და გოგონა. ჭაბუკი წამდაუწუმ იცვლიდა პოზას, გოგონას თავს მოურიდებლად აწონებდა. ჩაცმულობასა და კილოზე ეტყობოდა, ნამდვილი „სტილიაგა“ იყო, გოგონას კი მოსწავლის ფორმა ეცვა და თხუთმეტი წლის ძლივს იქნებოდა. ბიჭი აშკარად უხსნიდა სიყვარულს. მისი ლაპარაკი ყველას გვესმოდა. გოგონას გულუბრყვილობით მოსდიოდა თუ უჭკუობით, სიამოვნებით ისმენდა ვაჟის თავბრუდამხვევ სისულელეებს; თქმა არ უნდა, ბიჭი მიზანს უთუოდ მიაღწევდა... გოგონას მშობლები კი, ვინ იცის რა იმედითა და სასოებით შესცქეროდნენ თავის პირმშოს და რა გეგმას აწყობდნენ სამერმისოდ: — ჩვენი შვილი ისწავლის, განათლებული ადამიანი დადგება, საზოგადოებაც დააფასებს, ჩვენ კი სიბერეში გვიპატრონებსო. მეტი არაა თქვენი მტერი!

ასეთ შემთხვევაში ერთნაირად მომდის ხოლმე გული როგორც იმ წვრილფეხა და ნაძირალა „დონჟუანებზე“, სკოლების მახლობლად და გზაჯვარედინებზე რომ დგანან, ისე იმ უჭკუო გოგონებზე, აგრე იოლად და დაუფიქრებლად რომ ეხვევიან „სასიყვარულო აღსარების“ აბლაბუდაში.

თუ ვაჟს ცოტა „წესიერად“ აცვია, თუ მაღალსაყელოიანი, შინ ნაქსოვი, ან უცხოური ჯემპრი, ვი-

წრო, ბარძაყებზე გადატკეცილი შარვალი, მოდური, ჭვინტიანი ფეხსაცმელი, უცხოური ჭრელი წინდა „ამშვენებს“ და ხელში დაჭმუჭნილი იტალიური ლაბადაც უჭირავს, გოგონებისათვის ეს საკმარისია, რათა ვაჟმა თავი მოგაწონოს და შეგაყვაროს, ერთი წლით თუ არა, ერთი თვით მაინც.

მე უკვე ვღელავდი და ვიშმუშნებოდი. თუ აქ სინარამ რიგს კიდევ უცადა, დავიღუპებით-მეთქი, ვფიქრობდი გუნებაში. ეს შეშფოთება ალბათ სახეზედაც ისე აშკარად მეხატებოდა, რომ სინარას უთუოდ შევებრალე. ერთი თავშეკავებით ჩაიცინა, არა ჰქონია იღბალი ჩემს ამხანაგსო და... ორივენი ერთად მოვწყდით ადგილიდან.

სტადიონის „მისადგომებთან“ მართლაც ზღვა ხალხი ირეოდა. ქუჩა საბარგო მანქანებით და ცხენოსანი მილიციელების მწკრივით იყო გადაღობილი, ტროტუარზე კი, სადაც გასასვლელი მოეწყოთ, მილიციელები გაჰყვიროდნენ — ბილეთები მოამზადეთო, მაგრამ მათი გაფრთხილება არავის ესმოდა: ბილეთიანი თუ უბილეთო ერთად აწყდებოდა გასასვლელს. სინარას ვუთხარი, აგერ საათთან მომიცადე-მეთქი და პირჯვრის გადაუწერლად გადავეშვი მოზღვავებულ ხალხში. სადაც კი ხუთ-ექვს ბიჭს მოვკრავდი თვალს, მყის მივაშურებდი, ზედმეტ ბილეთს ხომ არ ყიდიან-მეთქი. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი იღბალია, ბილეთი სინარასათვის უფრო ადვილად

ვიშოვე, ვიდრე ამას ახლა ვინმე წარმოიდგენდა. გათამამებულმა ახლა ისიც მოვინდომე — სხვადასხვა ადგილის ბილეთები გადამეცვალა, მე და სინარა ერთად დავმჯდარიყავით. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ბედს კვლავ ვეწიე. აღმოსავლეთისა და სამხრეთის ტრიბუნების ბილეთები დასავლეთისაზე გადავცვალე. ოთხიოდე მანეთის დამატება კი დამჭირდა, მაგრამ ახლა ამას ვინ დაეძებდა. სინარასთან თავმომწონედ მივიჭერი, კვლავ ხელი ჩავავლე და გაოცებულ-გახარებული გოგონა მილიციელების პირველი მწკრივისაკენ გავიტაცე. გული უკვე საგულეს მქონდა — თამაშზე აღარ დავიგვიანებდი. სიხარულით ხმას ვეღარ ვიღებდი. არასოდეს ასე აღფრთოვანებული არ ვყოფილვარ... სანახაობაზე დასწრების სიხარულს სინარას სიახლოვე მიათკეცებდა. თავმომწონედ ვუახლოვდებოდი სტადიონს. ასე მეგონა, ფეხბურთის მატჩი კი არა, ჩემი ქორწილი იმართებოდა. ჯგლერთაში სინარა წინ გავუშვი. ხალხის ტალღა ისე მიგვარწევდა, მიწაზე ფეხი რომ არ დაგვედგა, არ წავიქცეოდით. სინარას სულაც არ უკვირდა ეს ამბავი. პირიქით, როცა ხალხის ნაკადი გაიტაცებდა, ის უსათუოდ მომხედავდა, გამიცინებდა. როგორც იყო, რკინის ხარიხებიან ვიწრო შესასვლელში მოვხვდით. კონტროლიორს უმალ გადავაწოდე აქამდე ხელში ჩაბღუჯული ბილეთები; და როცა სტადიონის ეზოში აღმოვჩნდით, ორივემ მართლაც რომ შვებით ამოვისუნთქეთ. დაჭმუჭნილი ბილეთები ხელისგულზე გავასწორე.

— კარგი ადგილებია? — იკითხა სინარამ.

— რაღა თქმა უნდა.

თამაშის დაწყებას თხუთმეტი წუთიღა უკლდა, გასასვლელები და იარუსებზე ასასვლელი კიბეები მაყურებელს უკვე ისე გაეჭედა, რომ გზის გასაკვლევად დიდი სიმარჯვე იყო საჭირო. როგორც იყო, ავიყვანე სინარა ჯერ მეორე, შემდეგ მესამე იარუსის კიბეზე. სინარა სულ იღიმებოდა და ეტყობოდა, სიამოვნებდა კიდეც კიბის ნაპირას თითქმის ჰაერში გადმოკიდებულნი რომ მივიწევდით მაღლა. სინარას ყველაფერი ბუნებრივად მიაჩნდა. როცა ვუთხარი, არ გაგიკვირდეს-მეთქი, გაოცებულმა მომიგო — რა უნდა გამიკვირდეს, ესაა ცხოვრება, ყველგან თავისებური „წესრიგია", კონსერვატორიის მცირე დარბაზში ხომ არა ვართ, სტადიონიაო. ჩვენი ადგილები მესამე იარუსის მეორე რიგზე აღმოჩნდა. რიგი უკვე გაჭედილი იყო. ბილეთებს რომ დახედეს, ორი ჭაბუკი უხმოდ ადგა და წავიდა. მე გაზეთები დავაფინე და დავსხედით თუ არა, უმალ დაგვავიწყდა გადატანილი ჯაფაც და წვალებაც.

— აქაურობა თამაშის გარეშეც მიმზიდველია! შეხედე, ჯონდო, როგორ აფრიალებს ქარი სპორტულ დროშებს... ის არის აღმოსავლეთი?

— ის არის.

— იქ არ ვიცი, რა ამბავია, მაგრამ აქედან კი ლამაზი დასანახავია ხალხიცა და ტრიბუნებიც...

— ზოგი რამ შორიდან უფრო ლამაზი ჩანს!

— რაკი სტადიონზე ხარ, წაფილოსოფოსების გუნებაზედაც მოხვედი?

— ასე ჩანს.

— მინდორიც რა საუცხოოა. მოგწონს მწვანე ფერი?

— სიცოცხლე მწვანეშია! ხეები, მთები განა მწვანე ფერის არ არის?

— სიცოცხლე ყველა ფერშია, შავშიაც კი... მზით განათებული, ხასხასა მწვანით დაფარული მთა, ღამით რომ შავ სილუეტად იქცევა ხოლმე, განა ის მაშინაც არ ცოცხლობს?..

როდესაც სტადიონის ტრიბუნები ხალხით აივსო, უბილეთოები ჩვენს მერხზედაც აქა-იქ ჩაიჭედნენ და საგრძნობლად შეგვავიწროვეს. როდესაც მუხლის გასამართავად ხუთი წუთით მინდორზე გამოსული მოთამაშეები უკანვე გაიქცნენ, ხოლო სტადიონს რეპროდუქტორებით გუნდების შემადგენლობა ამცნეს, როდესაც გამოჩნდა მთავარი მსაჯი თანაშემწეების თანხლებით — გუნდების კაპიტნებმა და მსაჯებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, და წილი ყარეს, ვის რომელი კარი დაეკავებინა. გუნდები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, გაჭედილ და აზუზუნებულ იარუსებზე მხოლოდ მაშინ და ისიც მხოლოდ წუთით ჩამოვარდა რაღაც აუწერელი სიჩუმე. მაგრამ მოხვდა თუ არა ფეხი ბურთს, ატყდა ყაყანი, შეძახილები, ისმოდა ხან სიხარულის, ხანაც უკმაყოფილების გამომხატველი შენიშვნები. ყოველი მარჯვე ილეთი თუ ბურთის კარგად გადაცემა სიხარულით აძგერებდა

მაყურებელთა გულებს. ჩვენების მხრივ ერთი-ორი მარჯვე კომბინაციის გათამაშების შემდეგ ტემპი რატომღაც დაეცა, თამაში დუნედ წარიმართა და თანდათანობით გაუფერულდა. მაყურებლები უხეში შეძახილებითა და სტვენითღა ლამობდნენ თამაშის გამოცოცხლებას, მაგრამ ამაოდ. ამ უფერულობას და ცალ კარში თამაშს მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე წვიმაც დაერთო. მომარაგებული გაზეთები ძალიან გამოგვადგა. სინარას თავისთავზე უფრო მეტად წიგნების დარდი ჰქონდა — არ დამისველდესო და, ცალი ხელით რომ თავზე წაფარებული გაზეთი ეჭირა, მეორე ხელით, რაც შეეძლო, გულში იხუტებდა წეღან ნაცნობობით შეძენილ „უკვდავების ილუზიასა“ და „ბერძნულ ცივილიზაციას“. მე გემოზე გავიწუწე, მაგრამ მაინც თავმომწონედ ვიჯექი. ფეხბურთზე წამოსული კაცი, თანაც თუ გვერდით ქალი გახლავს, როგორ შეიძლება რაიმეს შეუშინდე. მართალია, სინარამ რამდენჯერმე გამიმეორა — მე ერთიც მეყოფა, მეორე გაზეთი შენ დაიფარეო, მაგრამ ძალიან ვიუარე; დავაჯერე, გაწუწვას სტადიონზე შეჩვეული ვარ და არც ამ მხრივ ჩამოვრჩები რომელიმე გულშემატკივარს-მეთქი. სტადიონზე მთავარი ის კი არ არის, წვიმა მოვა თუ ქარია, მთავარია, როგორმე ჩვენებმა ბურთი გაიტანონ, ორმოცი ათასმა მაყურებელმა ერთხმად შეღმუვლოს და ტაში დაჰკრას...

სინარას რამდენჯერმე გავუმეორე — წავიდეთ-მეთქი. დღევანდელი თამაშით აგრერიგად უკმაყოფილოს და იმედგაცრუებულს, მოედნისაკენ გახედვაც

აღარ მინდოდა. ახლა მთელი სიმწვავით ვიგრძენი ის, რასაც წეღან სინარა თავმოყვარეობის თაობაზე მეუბნებოდა.

ირიბი წვიმის ზოლები ერთბაშად მზემ გაანათა... როგორც მზეს წვიმაში, ისე წვიმას მზეში სულ სხვა ელფერი აქვს. ახლა ამან უფრო მიიქცია მაყურებელთა უმრავლესობის ყურადღება, ვიდრე თამაშმა; აკი მეც და სინარამაც ამიტომ ავხედეთ ცას. უცებ სინარამ მკლავში ხელი მტაცა და შეჰყვირა:

— ხედავ, ჯონდო?!

ის იყო, მეც იქით გავიხედე, საითაც სინარა მანიშნებდა, რომ მთელი სტადიონი ფეხზე წამოჭრილი მაყურებლების გაშმაგებულმა ერთსულოვანმა შეძახილმა, გამაყრუებელმა ტაშმა და სტვენამ შეაზანზარა. გაუშვეს მტრედებიც.

— გავიმარჯვეთ ოთხმოცდამეათე წუთის მიწურულს! — სხვებთან ერთად გაოცებითა და სიხარულით ვიმეორებდი ამ სიტყვებს.

— ჯონდო, დაინახე ცისარტყელა, როცა მზე პირს იბანდა!..

— ცისარტყელა ჰო, მაგრამ ის კი ვეღარ დავინახე, როგორ გაიტანა ბურთი ჩვენმა თავდამსხმელმა...

სტადიონი ისევ ბობოქრობდა. არ ცხრებოდა შეძახილები, ტაში, სტვენა... სტვენა კი არა, გეგონებოდა, მილიონმა ბეღურამ ჟივჟივით გადაუქროლა სტადიონსო...

— ხომ კარგად მოვიქეცი, ჯონდო, რომ არ და-

გიჯერე და ათი წუთით ადრე არ დავტოვეთ სტადიონი...

— როგორ? შენ თუ დამიჯერე და წამომყევი, მე რატომ არ უნდა დამეჯერებინა? ხომ ხედავ, ორივენი რა ჭკვიანები ვართ....

ამ სიტყვებზე ბევრი ვიცინეთ.

ხალხი დიდხანს ბობოქრობდა იარუსებზე, მერე ნელ-ნელა იწყო დენა გასასვლელისაკენ. მე და სინარამ თითქმის ყველაზე ბოლოს დავტოვეთ სტადიონი. როცა მესამე იარუსიდან კიბეზე ჩავდიოდით, ერთხელ კიდევ მოვავლეთ თვალი სტადიონს. თითქოს თოვლი მოსულაო, მერხები სველ გაზეთებს გადაეთეთრებინა. ისევ წვიმდა. ახლა უფრო მკრთალად ჩანდა ცისარტყელას შვიდფერი რკალი. სტადიონის ეზოდან შუაკარით გამოვედით.

— კმაყოფილი ხარ, სინარა?

— რად მეკითხები?

— რად უნდა გეკითხებოდე?

— ყოველ შემთხვევაში, თამაშით არა. მაგრამ კმაყოფილი ვარ ამ ზღვა ხალხის, მწვანე მინდვრისა და აი, ამ ხეივნის ხილვითაც! ხედავ, რა უცნაურად მიგრეხილ-მოგრეხილი ხეები ჩამწკრივებულან სტადიონის წინ? თითქოს ესენიც ბურთს თამაშობდნენ და უეცრად გაშეშებულანო!

— მე კი სულ სხვა რამით ვარ კმაყოფილი.

— რით? — იკითხა სინარამ და ეშმაკურად გამომხედა. შევატყვე, რომ მიმიხვდა, რასაც ვფიქრობდი.

— იმით, რომ... არ გამაწბილე და წამომყევი!

სინარას თავი დაეხარა, მისი სახე რაღაც იდუმალ ღიმილს გაენათებინა. მკერდზე შემოჭდობილი ხელებით წიგნებიც მკერდში ჩაეკრა და დინჯი, თანაბარი ნაბიჯით მომყვებოდა მხარდამხარ, მე კი ვეჩურჩულებოდი:

— მე რომ გკითხე, სინარა, თუ წამოხვალ-მეთქი, გულმა ისე დამიწყო ძგერა, რომ მუხლებში ღონეც კი წამერთვა. ვინ იცის, როგორ გამიგებს ამას და, ვაითუ დღეიდან სამუდამოდ დავკარგო ეს უწყინარი გოგონა-მეთქი! მაგრამ მოხდა სასწაული...

— სასწაული! — გაიმეორა და ისე გაიცინა სინარამ, არ შეიძლებოდა იმ წუთში ყველა ლამაზებზე უფრო არ მოგწონებოდათ ეს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი და უფერული გოგონა. მაგრამ მე იმ წუთს როგორღაც უფრო მეტი დავინახე მასში, ვიდრე იმ ორი წლის განმავლობაში. სინარამ უცებ მინავლებული ნაკვერჩხალი მომაგონა, რომელსაც, საკმარისია, სული შეუბერო, რომ გამოანათოს!.. განსაკუთრებით გამაოცა მისმა თვალებმა. ახლა ისე ულამაზო აღარ მეჩვენა მისი გამხდარი და მზით გარუჯული, მოყავისფრო სახეც, მკაფიოდ გამოკვეთილი ღაწვის თავები და ბრტყელი ნიკაპი. როდესაც ჩემკენ მოიხედა და გაიღიმა, მაშინღა დავაკვირდი მის ზომაზედ სქელ ტუჩებს, მჭიდრო და თეთრი კბილების მწკრივს.

— მიკვირს ხოლმე, ადამიანებს უთქმელად რატომ არ უნდა ესმოდეთ ერთმანეთისა? — ვთქვი მე.

სინარამ შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— სინარა, რაც უნდა თქვა, რაც უნდა გაიფიქრო, მე მაინც მადლობელი ვარ, ჩემი, ერთი შეხედვით, თავხედური წინადადება რომ არ გეუცხოვა და...

სინარამ კვლავ შემომხედა და სიტყვა გამაწყვეტინა:

— იცი, რატომ? მე გუშინ შენზე უფრო მეწყინა, როცა გოგონებმა ისე აბუჩად აიგდეს შენი გულუბრყვილო წინადადება, ერთმანეთის წინაშე თავი არ დაიმცირეს. რა არ მოიგონეს, რა სიცრუე არ მოჩმახეს, რომ შენთვის თეატრში წამოყოლაზე უარი ეთქვათ. მე არ მიყვარს კუდაბზიკა კეკლუცები. ხომ არ იფიქრე — თავის რეპუტაციას შეგნებულად უფრთხილდებიანო? ფარულად იქნებ შენზე ათჯერ უარესსაც გაუყადრონ თავი, მაგრამ საზოგადოებაში შენთან ახლოს გავლაც კი ეთაკილებათ. მაპატიე, ჯონდო, ჩემს ამპარტავან კოლეგებზე ზურგს უკან, ისიც ვაჟთან ასეთ რამეს რომ ვლაპარაკობ, მაგრამ განა შენ ჩემზე ნაკლებად იცნობ მათ? თუ რამეში ვცდები, მითხარი! ძალიან მომეწონა, ბილეთები რომ დახიე და თვალებში შეაყარე! რა ცუდი იქნებოდა, დოდოს რჩევას რომ აჰყოლოდი და ჩემთვის გეკითხა — თეატრში წამომყვები თუ არაო. მე ახლაც არ ვიცი, რას გეტყოდი, მაგრამ ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა რამე ჭკვიანური პასუხის სახელდახელოდ გამოძებნა. საამისოდ სრულებით არ ვიყავი მომზადებული. გავიგონე თუ არა, რაც დოდომ

თქვა — გული გადამიქანდა... სულგანაბული ველოდი, რას მოიმოქმედებდი. იცი, ეს რა იყო, მათი რჩევა რომ არ გაიზიარე, და მათზე მაღლა მდგომი უცბად დაბლა არ ჩამოვარდი? დაცინვა მაშინ უნდა გენახა, იმათი უარით გაწბილებულს ჩემ წინაშე რომ წამოგეჩოქა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არ მოხდა. შენ მათ თვალში ამაყი და გაბედული დარჩი. ამის შემდეგ მაინც ეცოდინებათ, ვისთან აქვთ საქმე. ეცოდინებათ, რომ შენთან ხუმრობა არ შეიძლება, თუმცა სულ ეხუმრებოდი, აცინებდი და ართობდი. ჰოდა, ჯერ კიდევ გუშინ რომ ეგონათ, ღირსი არ ვიყავი, ჩემთვისაც გეკითხა — წამოგყვებოდი თუ არა თეატრში, ახლა, თუ ღმერთმა ქნა და ერთად დაგვინახეს, ისინი ვერასგზით ვერ მიხვდებიან — რა მოხდა ამ ერთ დღეში.

მე მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც სინარა გაჩუმდა. აქამდე მისი ხმა, მისი ჩურჩული ისე საამოდ ჩამესმოდა, როგორც მუსიკა, როცა ის შორიდან გესმის, როცა ბგერები ძლივს აღწევენ შენს ყურამდე. სინარას ერთხელ კიდევ დავაკვირდი გამომწვევად, მოურიდებლად. მან არ იუცხოვა.

— ჯონდო, შენ საით?

ასეთ კითხვას და ისიც ასე მოულოდნელად არ მოველოდი. მეგონა, ერთ-ორ საათს კიდევ ერთად ვიხეტიალებდით პროსპექტზე, წიგნის მაღაზიებში შევივლიდით, ან ვაკის პარკს ვეწვეოდით.

— თქვენ კი საით? — კითხვა შევუბრუნე სინარას, თანაც გამიკვირდა: ამდენ ხანს სულ „შენობით“

ველაპარაკებოდი, ახლა „თქვენობით“ რატომ მივმართე-მეთქი. მაგრამ ძნელი მისახვედრი არ იყო ამის მიზეზი. ამ ორიოდე საათში სინარას უფრო მეტად დავუახლოვდი და ახლა უფრო მეტად ვცემდი პატივს, უფრო მომწონდა იგი.

— წელან რომ ამხანაგს ვერ დავურეკე, ახლა ხომ მაინც უნდა გავაგებინო ჩემი ამბავი.

— თქვენი ამხანაგი ახლოს ცხოვრობს?

— არც ისე შორს... აგერ, ამ ქუჩას ავივლი, მერე რკინიგზის ხიდზე გადავალ და იქიდან სულ რაღაც ათიოდე ნაბიჯზეა მისი სახლი.

— ქალია?

— რასაკვირველია.

— რატომ, ხომ შეიძლება, ვაჟი იყოს?

— ვაჟებთან შინ არ დავდივარ.

— ეგ არც მიფიქრია, მაგრამ ხომ შეიძლება, ვაჟსაც მეგობრობდე.

— შენ როგორ ფიქრობ?

— მე, მგონია, შეიძლება.

— სხვაგვარად არც უნდა ფიქრობდეთ.

— რატომ, სინარა?

— ალბათ იმიტომ, რომ თქვენთვის მარტო ასეა ხელსაყრელი.

— ესე იგი, ჩვენ, ვაჟები, სანდონი არა ვართ!

ჩემს კითხვაზე პასუხი არ გაუცია. ჩანს, სინარა ზედმეტად თვლიდა ამ საკითხზე კამათს. თავი ჩავღუნე, ხმა აღარ ამომიღია.

— რატომ მოიწყინე, ჯონდო?

— სულაც არ მომიწყენია, სინარა, უბრალოდ, დავფიქრდი.

— დასაფიქრებელი ბევრი რამაა, თუ დაფიქრების დრო ან საშუალება გაქვს.

— სამაგისო დრო, მე მგონია, შენ სხვაზე მეტი გაქვს!.. თუ არადა, სამსახურში სულ დაფიქრებული არა ხარ? არ მახსოვს, სხვების ლაპარაკში ჩარეულიყავი...

— როგორ უნდა ჩაერიო? ვაჟები მარტო ფეხბურთზე კამათობენ, ქალები — ჩაცმაზე. ნუთუ ბურთისა და კაბის მეტი ამქვეყნად საყურადღებო აღარაფერია? მეც იძულებული ვარ, თავი ჩავღუნო და მინდა თუ არ მინდა, ვუსმინო...

— დიდი მოთმინება გქონია.

— რას იზამ... კიდევ ორი თვე და, უმაღლესში შესასვლელად სტაჟი დამიგროვდება. სამი თვის მერე კი გამოცდები იწყება!

— გამოცდები?

— აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე მინდა შევიდე.

— რომელი ენა გაინტერესებს?

— არაბული.

— არაბული? — უნებლიეთ გამეცინა.

— რას იცინი? — შუბლს ქვემოდან ცოტა გაკვირვებით და ცნობისმოყვარეობით შემომხედა სინარამ.

— რას ვიცინი და, — უნდა მეთქვა, ქართული კი ისე კარგად იცი-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე, — ღ`-

ბადებულიყავი ათი საუკუნით ადრე და არაბული ენის პრაქტიკას თბილისშივე მიიღებდი!

სინარამ მხოლოდ მცირე დაფიქრების შემდეგ მიპასუხა:

— მაშინ ქართველებისათვის არაბული დამპყრობელის ენა იყო და რომც მცოდნოდა, მეძულებოდა, ახლა კი მიყვარს.

— მართალი ხარ, სინარა!

— მეც მგონია, რომ ერთი მხრივ თუ მართალი ვარ, მეორე მხრივ, ვინ იცის, შეიძლება არ ვიყო მართალი.

— რატომ, სინარა?

— თუ მურვან ყრუ არაბულად ლაპარაკობდა, აბო ტფილელს რაღას ვერჩი, ანდა ათას ერთი ღამე არაბულ ენაზე არაა დაწერილი?

გამეცინა. რაღა მეთქმოდა. გუნებაში დავეთანხმე.

— ახლა კი ნახვამდის, ჯონდო! ძალიანაც რომ არ გინდოდეს, ხვალ დილით სამსახურში მაინც შევხვდებით ერთმანეთს...

— მოუთმენლად გელით, სინარა!

— ძლივს არ იხუმრე? — უეცრად მომიჭრა სიტყვა, ხელი კეკლუცად დამიქნია და წავიდა. ასე ულმობლად გაუსწორდა ის ჩემს გულწრფელ წამოძახილს.

სადაც სინარა წუთის წინ დამემშვიდობა, ვეღარ ვცილდებოდი იმ ადგილს. მას მერეც, ის რომ თვალს მიეფარა, კარგა ხანს ვიდექი და ვფიქრობდი... „გა-

მომშრალი“ და „გამოფიტული“ რომ მეგონა, თურმე სწორედ ის ყოფილა ყველაზე შინაარსიანი. რა ვუთხრა ადამიანების თვალსა და ჭკუას. რად გინდა თვალი, თუ ვერაფერს დაინახავ, რად გინდა ჭკუა, თუ ვერაფერს მიხვდები. ასეთი გოგო ყველას ათვალწუნებული ჰყავს. ჩვენს განყოფილებაში რვა ქალიშვილია, მაგრამ გათხოვებაზე რომ სიტყვა ჩამოვარდება, მხოლოდ შვიდზეა ლაპარაკი, სინარას კი არაფრად აგდებენ. არც გოგოდ თვლიან, არც გასათხოვრად... მაგრამ რა მოხდა ამ ორიოდე საათში, მე თვითონ მიკვირს. ახლა სინარა ლამაზი მეჩვენება, ისინი კი — ულამაზონი. თუმცა რა გასაკვირია, სინარასათვის თვალებში აქამდე ერთხელაც არ ჩამიხედავს, ერთხელაც არ გამოვლაპარაკებივარ. ჩვენი საუბარი „გამარჯობა-გაგიმარჯოთი“ ამოიწურებოდა. ვნახოთ, რა შემრჩება ხვალ დილამდე ჩემი დღევანდელი შთაბეჭდილებებიდან...

ორშაბათ დილით მე და სინარამ ყველას დავასწარით სამსახურში მისვლა. დამინახა თუ არა, იმის მაგივრად, მომსალმებოდა, რაღაც მრავალმნიშვნელოვნად მკითხა:

— კიდევ გახსოვს, ჯონდო?

— რა?! — ცოტა არ იყოს, გაკვირვებით ვკითხე.

— როცა მზე პირს იბანდა, როცა გავიმარჯვეთ!

— ჩემი დაბადების წელი შეიძლება დამავიწყდეს, ეგ კი — არა!

— დაგიჯერო?

— ჯერჯერობით ასეა, მარტო ჩემს სიტყვას უნდა ენდო, საქმე მერე იყოს...

— სიტყვა, მაინც სიტყვაა, საქმე კი სხვაა!

— თუ კაცი უპიროა, მისი არც სიტყვა უქნია ღმერთს, არც საქმე.

სინარას შენიშვნამ უმალ მოუღო ბოლო ჩვენს დიალოგს. სულ ერთია, ლაპარაკს ჯგროდ შემოსული თანამშრომლები შეგვაწყვეტინებდნენ. ის იყო ყველამ თავისი ადგილი მონახა, რომ ზარიც დაირეკა. შესვენებამდე სინარასთვის ხმა აღარ გამიცია. წინააღმდეგ ჩემი ჩვეულებისა, აღარც სხვებისთვის მიპასუხია რამე, როცა ჩემი გამოწვევა სცადეს. მზიამ მკითხა — გუშინწინ პრემიერაზე მაინც წახვედი თუ არაო. მე ხმა არ გავეცი. ლეილამ ჩემ მაგივრად უპასუხა:

— ხომ ხედავ, ბიჭი ნაწყენია, გუშინწინ კარგად ვერ მოვექეცით ჯონდოს.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო გულწრფელი აღიარება და სინანული. შესვენებაზე ყველანი გაიკრიფნენ. ზოგი დაწესებულების შენობის წინ ბოლთის ცემით კლავდა იმ ერთ საათს, ზოგი დერეფანში, ზოგი სამკითხველოში, ზოგიც სასაუზმეში. მეზობელი განყოფილების თანამშრომელმა, ჩემსავით ფეხბურთის გიჟმა — თამაზმა, მეც ჩამომიარა, წავიდეთ, ვისაუზმოთო, მაგრამ მე „თავსაყრელი" საქმე მოვიმიზეზე და როგორც იყო, სინარასთან მარტო დავრჩი. სინარასი არ ვიცი, მე კი ძალიან მინდოდა მასთან მესა-

უბრა, მაგრამ მოულოდნელად დავმუნჯდი. ენა აღარ მემორჩილებოდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა, რით დამერღვია დუმილი. სინარამ ქაღალდები განზე გადადო... შემდეგ უჯრა ნახევრად გამოსწია და „სუფრა“ შიგვე გააწყო. პერგამენტის ქაღალდი გაშალა, ზედ შებოლილი შაშხის მოზრდილი ნაჭერი, ორი, მაგრად მოხარშული კვერცხი, ორი ვაშლი და კამფეტი დააწყო.

ეს რომ დავინახე, წამოვდექი.

— ჯონდო?! — გაკვირვებით შემომხედა სინარამ.

— მე წავალ, ხელს არ შეგიშლი, ისაუზმე.

— დაჯექი!

— სინარა, ამხანაგებმა რომ შემოგვისწრონ, სიცილს დაგვაყრიან.

— რამდენიც უნდათ, იცინონ...

— როგორც გინდა, — ვთქვი და ცოტა არ იყოს, გამიჭირდა დარჩენაც და დაჯდომაც, მაგრამ საკმარისი იყო, სინარას კიდევ ერთხელ შემოეხედა ჩემთვის, რომ უსიტყვოდ დავემორჩილე.

— დანა გაქვს? — მკითხა სინარამ.

— ფანქრის გასათლელი.

— მომეცი.

ნეკის სიგრძე დანას პირი გავუხსენი და სინარას გავუწოდე. სინარამ დანა გულმოდგინედ გაწმინდა, მერე პური და შაშხი რაც შეიძლება თანაბრად დაჭრა და ერთი ნაჭერი გამომიწოდა.

— რამდენი რამე წამოგიღია! სხვა დროსაც ასე საუზმობდი?

— მამაჩემი სულ ამას მეხვეწებოდა, მაგრამ დღეს პირველად დავუჯერე. როცა საუზმეს ქალალდში ვახვევდი, უცაბედად მამას შევხედე — ვერ წარმოიდგენ, რა გაოცებული და გახარებული იყო. წასასვლელად მომზადებული კართან შემაჩერა, თავი ორივე ხელით დამიჭირა, მაკოცა და მითხრა: ამქვეყნად გამგონე შვილზე უკეთესი არავინ არისო. მე გავიღიმე, შევხედე და სახტად დავრჩი: მის თვალზე ცრემლი დავინახე, გული ბავშვივით ამიჩუყდა. მამას ლოყაზე ვაკოცე და გამოვიქეცი. რა უმართებულოდაც უნდა მსჯელობდნენ მშობლები, მაინც ძნელია წინააღმდეგობის გაწევა, რადგან ასეთ რამეს ძალზე მტკივნეულად განიცდიან. თითქმის ყოველ მშობელს ავიწყდება სიბერეში, რომ თავის დროზე მათაც ბევრი რამ არ სჯეროდათ თავიანთი მშობლებისა.

— მამა რას აკეთებს, სინარა?

— ფიზიკის მასწავლებელია საშუალო სკოლაში.

— დედა?

— დედა არ მახსოვს. სამი წლისაც არ ვყოფილვარ, როცა ის...

— მამა გზრდიდა?

— მამიდა.

— კარგი მამიდა გყოლია.

— ძმის სიყვარულით თავი არ დამანება... ჩემზე მხოლოდ ათი წლით უფროსია. თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ის გათხოვდა. სოფელში ცხოვრობს.

— ნახულობ?

— იშვიათად.

— მერე?

— მერე რა?

— არა სწყინს?

— რომ იცოდე, რა ქალია! ხელმოკლედ ცხოვრობს, მაგრამ არათუ სამდურავი, ნათესავებისადმი საყვედურიც კი ერთხელ არ გამიგონია მისგან. იცის, ეს მაინც არაფერს არ შველის. მართალია, საშუალოც არა აქვს დამთავრებული, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ფილოსოფოსებსაც კი შეერკინება.

— მასეთ ქალს ითხოვ თუ არა, მაშინვე მატრიარქატს დაგიმყარებს ოჯახში!

— მატრიარქატი მაშინ მყარდება ოჯახში, თუ ქმარი ჩანჩურაა, ან თუ ცოლი ისე შეუგნებელია, რომ ვერაფერს შეასმენ და, რაკი იძულებული ხარ, დაუთმო, ჰგონია, გაჯობა. მამიდაჩემი კი, თუმცა ფიზიკური შრომაც უწევს, მაინც გასაოცრად ქალურია. მარტო ის რად ღირს, დაქმარშვილებულ-დაოჯახებული, ზოგიერთივით ისე არ გასუქდა, ადამიანის ფორმა და სახე დაეკარგა!

კარი ერთბაშად გაიღო და თანამშრომლები ჯგროდ შემოცვივდნენ ოთახში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი მარტო ყოფნა ფარულად შეიცხადეს; დაიწყეს ჩურჩული, ერთმანეთში გადალაპარაკება და ბოლოს ისევ ის გამაბიაბრუებელი, „თავდაჭერილი“ სიცილი გაისმა.

მე სინარას გადავხედე. მზად ვიყავი, ასე ვთქვათ — „ამერია“, მაგრამ ამ დროს სინარამაც შემომხედა. ამ ერთმა შემოხედვამ უცბად დამაწყნარა და

შემონთებული გულისწყრომაც გამინელა. ჩემს მაგიდას მივუჯექი. არასოდეს ასე სერიოზულად არ შევდგომივარ საქმეს. დროდადრო მალულად ვიხედებოდი ხოლმე სინარასაკენ. მე და სინარას თავშეკავებამ საოცარი ნაყოფი გამოიღო... თითქოს ლაზღანდარობისათვის აღარავის სცალიაო, ყველა თავჩაღუნული მუშაობდა. ათასში ერთხელ თუ გამოელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ისიც ჩურჩულით, ისიც მხოლოდ საქმეზე. ვეღარ გაიგონებდი — ეგ საკაბე სად იყიდე? ვის შეაკერინე? რა გამოგართვა? დიდხანს გალოდინა?

სინარა საქმეს მორჩა. უჯრა გამოაღო და, როგორც სჩვეოდა, უჯრაშივე გადაშლილი წიგნის „ფარულად“ კითხვას შეუდგა. მე საშლელი ვთხოვე და თვითონ რომ არ შეწუხებულიყო, უმალ მასთან გავჩნდი. საშლელი რომ გამოვართვი, ცალი თვალი უჯრისაკენ გავაპარე, შრიფტი რუსულს ჰგავდა, მაგრამ ტექსტი მაინც ვერ გავარჩიე... ვერ მოვითმინე, ცნობისმოყვარეობამ მძლია და ჩურჩულით ვკითხე:

— რას კითხულობ, სინარა?

სინარას არ შემოუხედავს, ისე შეაბრუნა წიგნი. ყდაზე გვარი ვერ გავარჩიე, მაგრამ მსხვილად ნაწერი სათაური კი ასო-ასო ამოვიკითხე: „TERRE DES HOMMES“.

სინარამ შემატყო, რომ ბევრი ვერაფერი გავიგე და, ისე, თითქოს სხვათა შორის განმარტა:

— ეკზიუპერია. არ წაგიკითხავს?

— არა. რა ენაზეა?

— ეს დედანია, ფრანგული. რუსულად თარგმნილია. თუ გინდა, გიშოვი.

— თუ ძნელი არ იქნება. ალბათ, ღირს წაკითხვა, თორემ დროს არ დაკარგავდი.

— აი, უსმინე, ჯონდო, რას წერს ეკზიუპერი: „გამოცდილება გვარწმუნებს, რომ სიყვარული ის კი არ არის, ერთმანეთს ვუცქეროდეთ, არამედ ის, რომ ერთი მიმართულებით ვიცქირებოდეთო.“

— საინტერესო უნდა იყოს...

სანამ სიტყვას დავასრულებდი, მეც და სინარასაც მოგვესმა ხმადაბლა, მაგრამ საკმაოდ მკაფიოდ ნათქვამი: — რაო, რას ვკითხულობო? — ჰკითხა დოდომ მზიას. მზიამაც ჩურჩულითვე უპასუხა: — რა ვიცი, რაღაც მოდური სასიყვარულო აბდაუბდა იქნება! ვინც ცხოვრებაში ვერ პოულობს, ის წიგნებში ეძებს... საქმროს! — შენიშნა დოდომ.

მეწყინა, მაგრამ ხმა არ გამიღია. სინარას წყალობით, როგორც იყო, დავეუფლე თავშეკავების ხელოვნებას.

მე და სინარა აშკარად ვხედავდით, რომ ჩვენი განყოფილების თანამშრომელთა გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. ვისაც ორი წლის განმავლობაში ხეირიანადაც კი არ დავლაპარაკებივარ, ახლა თავაზიანად, გატაცებით ვეჩურჩულებოდი და თავს დავტრიალებდი.

ჩემმა ასეთმა მოპყრობამ სინარა თითქოს გამოაფხიზლაო. მართალია, ჯერ ხმას კიდევ არ იღებდა, ისევ ჩუმად და წყნარად იჯდა, მაგრამ ახლა მასზე

სულ სხვაგვარად მოქმედებდა შენიშვნები, წამოძახილები თუ ჩვეულებრივი საქმიანი შეკითხვები.

მე ისეთი ყურადღებით ვექცეოდი სინარას, რომ ეს უკვე არა მარტო აშკარად შესამჩნევი, არამედ გამომწვევიც იყო. ეს ორი დღეა, ბოლო აღარ უჩანდა გოგოების ქირქილს. რა თქმა უნდა, ყველა მაინც იმ აზრისა იყო ალბათ, რომ მე და სინარას ასე უეცრად დაწყებული მეგობრობა დიდხანს არ გასტანდა.

დოდოს, მზიას, მანანას და ალბათ სხვების აზრითაც შეუძლებელი იყო სერიოზულად მეფიქრა სინარასთან დაახლოებაზე, მაშინ, როდესაც ჩემ გარშემო იმდენი ლამაზი გოგონა ტრიალებდა. და თუმცა მათი უმრავლესობა არაფრად მაგდებდა, მაგრამ ალბათ მაინც სჯეროდათ, რომ ეს გარემოება ჩემს სულსა და გულს კიდევ უფრო მეტად იზიდავდა მათკენ.

ზედმეტად რომ არ მიმექცია ამხანაგების ყურადღება, დღის ბოლოს სინარასათვის არ დამიცდია, არც გამოვმშვიდობებივარ, რამაც ალბათ ცოტა გააკვირვა იგი. გავედი თუ არა დაწესებულებიდან, იქვე ახლოს ავტომატის ჯიხურს მივაშურე; ტელეფონს ორი კაცი ელოდა. მე ამას არ შევუწუხებივარ. ვიცოდი სინარა ყველაზე ბოლოს მიდიოდა დაწესებულებიდან. ის ჯერ ათ-თხუთმეტ წუთს კიდევ მოუნდებოდა მაგიდის მილაგებას, ხელის დაბანას, თმის ვარცხნას. ხუთიოდე წუთშიც ჩემმა რიგმაც მოაღწია, დავრეკე. ყურმილი მართლაც სინარამ აიღო.

— აბა, თუ მიცნობთ, ქალბატონო!

სინარამ ხმის ამოღებისთანავე მიცნო.

— ჯონდო, საიდან რეკავ?!

მის ხმაში გაკვირვებაც ისმოდა და დაუფარავი სიხარულიც...

— იცი, სინარა, მანდ ვერაფერი გითხარი. ყველა ისე შემოგვცქერის... არ მინდოდა ზედმეტად გამეღიზიანებინა ზოგიერთი არამკითხე.

— გინდოდა რამე გეთქვა? — იკითხა სინარამ.

სანამ რამეს ვუპასუხებდი, ხმა აღარ ამოუღია, მაგრამ ახლა ისე მეჩვენებოდა, ყურმილში ჩვეულებრივი შუილი კი არა, სინარას სუნთქვაც მესმოდა.

— ამ საღამოს მიდიხარ სადმე?

— რატომ მეკითხები, ჯონდო?

— ისე.

— თუ რამემ ხელი არ შემიშალა, „ვატერლოოს ხიდი“ მინდა ვნახო.

— რომელი ხიდი?

— „ვატერლოოს ხიდი“. შენ არ მოგწონს ეს კინოსურათი?

— მე... არ მინახავს.

— თუ მოვედი, ხომ კარგი, თუ არადა, შენ უსათუოდ ნახე! ჩემი ხათრისათვის მაინც.

— შენი ხათრისათვის... დღესაც ვნახავ, ხვალაც, ზეგაც...

უცებ სინარას სიცილი მომესმა. იცინოდა გულით, თავდავიწყებით. ლაპარაკი აღარ გამიგრძელებია. ჯიხურის წინ ბარე ხუთ კაცს მოეყარა თავი. ერთი მათგანი მაინც ძალიან ღელავდა. ორჯერ დამი-

კაკუნა ორკაპიკიანით ჯიხურის მინაზე. სინარას არც ახლა გამოვმშვიდობებივარ, ყურმილი დავკიდე და მოთმინებადაკარგულ კაცს ალმაცერად გადავხედე, მაგრამ არაფერი მითქვამს, ისე, გულმოსულმა ჩავუარე წინ.

ვაკის პარკში სეანსის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივედი. სინარა არსად ჩანდა. სამაგიეროდ, ნაცნობები ბლომად იყვნენ. ბიჭებმა ერთად ვნახეთ სინარას ნაქები კინოსურათი. ძალიან მომეწონა ვივიენ ლი. მაგრამ სურათის შინაარსმა კი დამაფიქრა. მიკვირდა, რატომ მაინცდამაინც ამ სურათის ნახვა მირჩია სინარამ-მეთქი. ის ღამე ძლივს გავათენე. მაინტერესებდა, როგორ შემხვდებოდა სინარა. მაგრამ მეორე დღეს ის სულაც არ მოსულა სამსახურში. ვერაფრით ვერ ამეხსნა ეს ამბავი. მთელ დღეს თავს ვესაყვედურებოდი... ნეტავი არ დამერეკა სამსახურის შემდეგ და არც კინოში წავსულიყავი-მეთქი. სინარას ბინის მისამართი არ ვიცოდი. რომც შემეტყო, მაინც ვერ მივაკითხავდი... საღამოს ისევ კინოსაკენ გავწიე. დიდი შადრევანის ახლოს დავჯექი. რომელი მხრიდანაც უნდა გამოჩენილიყო სინარა, მაინც შევნიშნავდი. სეანსის დაწყებამდე ათიოდე წუთიღა იყო დარჩენილი, რომ სინარაც გამოჩნდა. მას ჯერ კიდევ მაშინ მოვკარი თვალი, როდესაც კიბეზე ჩამოდიოდა. სხვათა შორის, თუკი რამე აშკარად ამჟღავნებს ქალურობას, ეს, უპირველეს ყოვლისა — სიარულია. მარტო სიარულით გამორჩევ ათას ქალში. სინარა საშუალოზე ცოტა მაღალი და

შესამჩნევად გამხდარია. სიცივეში მობუზული ჩიტივით მხრები მუდამ აწეული აქვს. ამის გამო საკმაოდ მაღალი კისრის ნახევარიც არ უჩანს. მკერდიც ჩავარდნია, თითქოს მალავსო. მოახლოებულ სინარას რომ ვაკვირდებოდი, უეცრად მარტო ამ წუთში დავფიქრდი იმაზე, როგორ ანსხვავებს სიარული ადამიანებს ერთმანეთისაგან. სინარას დანახვამ ბავშვივით გამახარა. ალბათ, ამის ბრალი იყო, რომ ადგილიდან აღარ დავძრულვარ... სინარაც დაუფარავი სიხარულით შემომეგება... ხელი, გუშინდელივით, შორიახლოდან კი არ ჩამომართვა, სულ ახლოს მოვიდა ჩემთან... ხელის განთავისუფლება არ უცდია, სანამ მე თვითონ არ მივეცი ამის საბაბი.

— რა მოხდა? გუშინ კინოში არ იყავი, დღეს კი სამსახურშიაც არ მოხვედი!

— მამაა ავად. ძალიან ფიცხი კაცია. ჯერ გაბრაზდება და მერე თვითონ ეცინება თავის თავზე. გული ხშირად ცუდად უხდება. გუშინ ჯერ სკოლაში უჩხუბია, შემდეგ — ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში. რას ეტყოდნენ, ჯონდო, თუ იცი?

— მადლობის გარდა, ყველაფერს!

— ჰოდა, ეს „ყველაფერი“ ხომ არის სავარაუდებელი? მამაჩემი კი ამითაც არ დაკმაყოფილებულა და ტროლეიბუსშიც გაფიცხებულა... შეხვალ ტროლეიბუსში და ეს გვირაბივით ხუხულა პაპიროსის ბოლით დაგხვდება სავსეო... თურმე მამაჩემს კონდუქტორი გაულანძღავს, რატომ აძლევ ხალხს პაპიროსის მოწევის ნებასო, კონდუქტორს კი — მამაჩე-

მი — მოგცლია, ვიღაცა ხარო. მოდი ახლა და ელაპარაკე! მოვიდა შინ მამა და მითხრა, რაიონის ექიმს მაინც დაუძახეო. მე გამეცინა, დღეს გამოძახებული რაიონის ექიმი ხვალ ამ დროს მოვა-მეთქი. ისევ ამხანაგის მამას დავურეკე მეზობლის ტელეფონით. მოვიდა, გასინჯა, წამალიც გამოუწერა, სასტიკადაც გააფრთხილა — შენი მთავარი წამალი წყნარად, მოსვენებით ყოფნააო, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. მამაჩემი მაინც თავისას გაიძახოდა — ყოველდღე რამე უწესობას რომ არ წააწყდე, შეუძლებელიაო. მივალ შინ და ვფიქრობ: რა უფრო სწორია — ყველაფერზე რომ თვალი დახუჭო, გაჩუმდე, თუ ხმამაღლა თქვა?..

— რასაკვირველია, უნდა თქვა, ოღონდ ისე, რომ მაინცდამაინც არ აღელდე!

მამაჩემს სიცილადაც არ ეყო ექიმის დარიგება: შე დალოცვილო, ნერვები ცხენის სადავე ხომ არ არის, ხან მოვზიდო, ხან მივუშვაო. ჰოდა, მეორე დღეა მამა წევს. ახლა ცოტა უკეთაა, მაგრამ ადგომის ნებას მაინც არ ვაძლევ. ჯონდო, მაპატიე, კინოში ვერ შემოგყვები, თუმცა... ისე მინდა ვივიენ ლის ნახვა, ისე, ისე...

სინარამ ამ სიტყვებზე მაჯაში ჩამავლო თითები. მისი ხელი ძალზე ცხელი მეჩვენა. ერთი წუთი ასე ვიდექით და ვდუმდით.

— მაშინ... სახლამდე მაინც მიგაცილებ! დღეს თუ არა, ხვალ, ზეგ, თუნდაც მაზეგ ვნახოთ „ვატერლოოს ხიდი“.

სინარამ, როგორც იყო, გამიშვა ხელი. ორივენი

გასასვლელისაკენ გავეშურეთ. ნელა ავიარეთ მაღალი კიბის საფეხურები. კიბისთავზე სინარა ბაღისაკენ შემობრუნდა, გადმომხედა.

— ლამაზია, არა? უზარმაზარი შადრევნის თეთრი სვეტი, ლამპიონები, ხალხით სავსე მოედანი, ხეივნები და მთის სილუეტი.

გზა განვაგრძეთ. არ გამიგია, როგორ მივაღწიეთ სინარას სახლამდე. ორიოდე კილომეტრი ფეხით შეუმჩნევლად გავიარეთ. ბევრი არ გვილაპარაკია. უფრო ვდუმდით, მაგრამ რაც თავი მახსოვს, ეს იყო ყველაზე სასიამოვნო დუმილი. მე სინარაზე ვფიქრობდი, ის კი ალბათ ჩემზე. განსაკუთრებით სასიამოვნო ყოფილა, როდესაც გვერდით გახლავს ის, ვისზედაც ფიქრობ. ადრე კი მთელი დღე ისე გავიდოდა, ფიქრი რა იყო, არ ვიცოდი. ყველაფერს ინერციით ვაკეთებდი. არასოდეს დამიწყია განსჯა. ახლა კი რამდენიმე დღეში სასწაულებრივად გარდავიქმენი. და ამის მიზეზი იყო სინარა. მხოლოდ მან შემაძლებინა, დამენახა და შემეცნო ჩემი თავი.

მამის ავადმყოფობის თუ სხვა მიზეზით მე და სინარა ეს ორი კვირაა, გარდა სამსახურისა, არსად შევხვედრივართ ერთმანეთს. რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო, დავანებე თავი ფეხბურთზე გაუთავებელ ფიქრს. სინარას რჩევით შევიძინე რამდენიმე წიგნი. წიგნისათვის ერთი-ორი საათით გულის დადება ჯერ კიდევ მიჭირს, მაგრამ მე მგონია, ამას

როგორმე დავძლევ. ახლა მიკვირს, რა ესარგებლოდ ვფლანგავდი და ვანიავებდი ჩვენი სიცოცხლის ასე განსაზღვრულ და გამოთვლილ დღეებს, თვეებსაც და წლებსაც მარტო ლაზღანდარობასა და გართობაზე.

დღეს დაწესებულებაში დილიდანვე დაიწყო რაღაც უჩვეულო ფუსფუსი და ჩურჩული. გამოირკვა, რომ ორი კვირის შემდეგ ჩვენს დედაქალაქს ერთი უცხოური თეატრის დასი უნდა სწვეოდა. ბილეთების მსურველთა სია დაწესებულებაში ჩუმად შეედგინათ. შესვენების დროს ეს ამბავი სინარას ვუთხარი. მასაც გული დასწყდა და ეწყინა, რომ ასეთი რამ გამოგვაპარეს; არც ერთმა თანამშრომელმა ამის შესახებ კრინტიც არ დაძრა. სინარამ განყოფილების უფროსს სთხოვა — თუ შეიძლება ბილეთების სიაში ნუ გამოგვტოვებთო. უფროსი შეჰპირდა, მაგრამ ეტყობა, ეს არ იყო საიმედო დაპირება. ჩვენს დაწესებულებას ყოველ სპექტაკლზე ორმოცდაათი ბილეთის მოთხოვნილება წარედგინა. თეატრმა კი მხოლოდ ოც-ოცი ბილეთი მოგვცა. ბილეთის შოვნის იმედი, რა თქმა უნდა, დავკარგე. მაგრამ გამაკვირვა სინარას ქცევამ. ის ამ ამბავს ოდნავადაც არ აუღელვებია. პირიქით, ცდილობდა კიდეც თავი იმათზე უფრო მხიარულადაც დაეჭირა, ვინც დარწმუნებული იყო, ბილეთი მერგებაო. ასეთი კი ჩვენი განყოფილების თანამშრომელთაგან მხოლოდ ორი იყო. მე რომ ხელი ჩავიქნიე, სინარას თურმე მაშინ დაუმკლავებია. ერთი კვირა ისე გავიდა, ბილეთსა და თეატრზე კრინტიც არ დამიძრავს. ერთხელ, სამსახურის

დამთავრების შემდეგ, სინარას მაგიდას რომ ჩავუარე, შემომხედა, უჯრა გამოსწია და თვალით მანიშნა — ნახე, რა მაქვსო: გადაშლილ წიგნში ორი ბილეთი იდო.

— როგორ იშოვე? — ხმადაბლა შევძახე და ღია უჯრისაკენ დავიხარე, — პირველი რიგია? ასე ახლოს რატომ აიღე, სინარა?

— იმიტომ, რომ უკეთესად დაგვინახონ!

დღეს პირველად გამოამჟღავნა სინარამ ქალური ამპარტავნობა. ვიცოდი, თეატრში მეთორმეტე რიგზე ახლოს ბილეთს არ ყიდულობდა. მაგრამ ახლა სინარასათვის თეატრში წასვლას, გარდა სპექტაკლისა და უცხოელი მსახიობების ნახვისა, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა.

— ჯონდო, შენ, მგონია, მართლა დაიჯერე, რაც გითხარი! — დაუმატა ნათქვამს სინარამ, ძალიანაც რომ მნდომოდა, ვინ ამარჩევინებდა?

— მეც გამიკვირდა, — მივუგე ყოყმანით.

მიკვირდა, რომ ბილეთები ასეთ კრიტიკულ მომენტში იშოვა. არ ვიცი, რომელს აღმოაჩნდა გავლენიანი ნაცნობი — სინარას თუ მამამისს. ერთი კია — რაღაც საოცრად გამართლდა შორეულ წარსულში შეთხზული ანდაზა — ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩიც ვერ დააკავებსო...

— რა აუცილებელია, თეატრში ერთად რომ მივიდეთ, არა, ჯონდო?

— როგორც გინდა. მე ერთად მისვლისაც არ მეშინია!

სინარამ მზერა მომაპყრო. მერე თვალები მოჭუტა და გამიცინა.

— ცოტა ნაადრევად ხომ არ გათამამებულხარ?

— არ მესმის...

— კარგად გესმის ყველაფერი! იმათზე უკეთესად, ვისაც შენი და ჩემი, ასე ვთქვათ, დამეგობრება არაფრად ეპიტნავება.

— ჩვენს დროში ნაკლებად უწევენ ანგარიშს „არამკითხეების“ აზრს. ვისი რა საქმეა, სად, ვისთან და როდის გავივლი?

სიტყვა არ დამემთავრებინა, რომ სინარამ კვლავ შემომხედა, მერე დინჯად, გაბმით და დაცინვით თქვა:

— ვაჟ-კა-ცი!

სინარას უთუოდ აქვს იუმორის ნიჭი. როცა ეს ვუთხარი, იცით, რა მიპასუხა?

— შენც არ გიყვარს, ჯონდო, ისეთები, პირდაპირი მნიშვნელობით და პედანტური სერიოზულობით რომ აღიქვამენ სხვის ნათქვამს? მეც იგავურად მოლაპარაკე მირჩევნია.

— რატომ, სინარა?

— იმიტომ, რომ... იგავურად მოლაპარაკე არასოდეს პრიმიტიულად არ აზროვნებს. იგი არ ჰგავს გალაზღანდარავებულ ხუმარას და მოსწრებული სიტყვის ჯამბაზს, რომელსაც მარტო ის მიზანი აქვს, რომ სიცილის საღერღელი აგიშალოს. თუ დაკვირვებიხარ, ვინც თავს დებს მოსწრებულ სიტყვაზე, არასოდეს დიდი ჭკუით არ გამოირჩევა. ვერც რუსთა-

ველს, ვერც შექსპირს ვერ უპოვი იაფფასიან და გასაცინებლად შეთხზულ სტრიქონს.

სინარას მუნჯივით და რაღაც შიშითაც კი ვუსმენდი. სულ იმას ვცდილობდი, უცაბედად პირი არ გამეღო და ისეთი რამ არ წამომცდენოდა, რომ სინარას თვალში ფასი დამკარგვოდა.

— დღეს რა დღეა, ჯონდო?

— პარასკევი.

— ხვალ შეიძლება სამსახურში ვერ მოვიდე. ზეგ კი თეატრში შევხვდებით...

— ხვალ რატომ ვერ მოხვალ, მამა ისევ ავადაა, თუ?..

სინარამ ჩემს კითხვას წაუყრუა.

— წადი, ჯონდო, თორემ ცოცხის ხმაზე ვატყობ, დამლაგებელი უკვე ჩვენს განყოფილებას უახლოვდება, — სიცილით მითხრა და საფულიდან პატარა სარკე ამოიღო, წიგნის ყდაზე მიაყუდა და თმის ვარცხნას შეუდგა. უსიტყვოდ, ხელის დაქნევით გამოვემშვიდობე და დერეფანში გავედი. მეზობელ ოთახს რომ ჩავუარე, ღია კარში თვალი მოვკარი დამლაგებელს.

...

გუშინ, შაბათს, სინარა მართლაც არ გამოჩენილა სამსახურში. თუ აქამდე ყურადღებასაც არ ვაქცევდი, მოვიდოდა თუ არა, ახლა პირიქით, შაბათი ძლივს დავაღამე. გათენდა. კვირაც. ამ დღეს მოუთმენლად ველოდი. საღამოს თეატრში სინარას უნდა შევხვედროდი. ეს ახლა ჩემთვის ყველაფერი იყო.

სხვათა შორის, ყოველთვის მიკვირდა, რომ თე-

ატრში ადამიანი რაღაც სხვაგვარი ჩანს: უფრო ფერ-
რმკრთალიც და უფრო მიმზიდველიც, იქნებ ეს განა-
თების ბრალია, მთვარის შუქივით რომ ეფინება იქა-
ურობას, ან იმისა, შეძლებისდაგვარად ყველა რომ
გაკოხტავებული, უფრო თავშეკავებული და ზომაზე
მეტად თავაზიანია.

სპექტაკლი რვის ნახევარზე იწყებოდა, მაგრამ მე
შვიდზე უკვე თეატრში ვიყავი, რვის ოცდახუთ წუ-
თამდე თეატრის ფოიე თითქმის უკაცრიელი იყო, მე-
რე კი ხალხი ერთბაშად მოაწყდა შემოსასვლელს.
კონტროლიორები ბილეთების მოხევას ძლივს ას-
წრებდნენ. ასეთი ალიაქოთი ახლა თეატრის წინ
იშვიათად თუ იმართება ხოლმე, მოვიდნენ ჩვენი და-
წესებულების თანამშრომლებიც. როგორც ხდება
ხოლმე, ბილეთი ყველას ეშოვნა. მე ახლა მარტო ის
მაკვირვებდა, რომ ამდენ ხანს სინარა არსად ჩანდა.
როცა მისი მოსვლის იმედი თითქმის გადამიწყდა,
ჩემს ადგილზე დავჯექი. თან სულ იმისი შიში მქონ-
და, სინარას სკამზე დაჯდომა ისეთ ვინმეს არ მოე-
წადინებინა, რომ თქმა ვერ გამებედა — დაკავებუ-
ლია-მეთქი. საბედნიეროდ, ასეთი ჯერჯერობით არა-
ვინ ჩანდა. სპექტაკლის დაწყებას აგვიანებდნენ. და-
ნიშნულ დროს უკვე რამდენიმე წუთი გადააცილეს.
მოულოდნელად არც ვაციე, არც ვაცხელე, ზეზე წა-
მოვიჭერი და გვერდის კარით დერეფანში გავედი,
იქიდან კი ფოიეში ამოვყავი თავი. ქვემოდან კიბეზე
ვიღაც დაგვიანებული მაყურებელი მოისწრაფოდა.
სიჩუმეში მკაფიოდ ისმოდა ჭუსლების კაკუნი ცე-

მენტის საფეხურებზე. თვალში მომხვდა მისი მუქი ჟანგისფერი, მოდურად დაყენებული თმა და ტანზე მოხდენილად გამოყვანილი თეთრი გიპიურის კაბა. არ დავკვირვებივარ, რადგან მე ახლა სხვისი ჯავრი არა მქონდა. კიოსკს მივაშურე. საღამოს გაზეთებს რომ ვყიდულობდი, ვიღაცამ მკლავზე ხელი მომკიდა. მოვიხედე. ჩემ გვერდით სწორედ ის გოგონა იდგა, წეღან კიბეებზე რომ ამოდიოდა. შევხედე და გავშეშდი, თვალებს არ ვუჯერებდი: სინარა იყო. ჩემი გაკვირვება მან თითქოს ვერ შეამჩნიაო, უბრალოდ, საქმიანი კილოთი მითხრა:

— აქ რა გინდა, ჯონდო?! შენს ადგილზე რატომ არ ზიხარ. ჯერ სპექტაკლი არ დაწყებულა?

— ალბათ, უკვე დაიწყო, — მივუგე დაბნეულად, — გელოდი, გელოდი და ვეღარ გავჩერდი, გარეთ გამოვედი.

— იქნებ შეგვიშვან...

მკლავში ხელი ჩამავლო და ორივემ ჩქარი ნაბიჯით გავიარეთ გრძელი დერეფანი. პირველი რიგის დასაწყისში გვერდითი კარი ისევ ღია იყო. კარებში ხალხი იდგა, მაგრამ შესვლა კიდევ შეიძლებოდა, სპექტაკლი ჯერ არ დაწყებულიყო. დირექტორი მისასალმებელი სიტყვით მიმართავდა სტუმრებს. საბედნიეროდ, ჩვენი ორი ადგილიდან ერთი სკამი თავისუფალი იყო. სინარას თვალით ვანიშნე, შენ მაინც დაჯექი-მეთქი. არ გამმალიანებია. გუნებაში მომეწონა, რომ დამიჯერა და შეიფერა.

გათავდა თუ არა პირველი მოქმედება, სინარამ

თვალით მანიშნა, მოდიო. იმ კაცმა, რომელმაც ჩემს სკამზე დაჯდომა „დამასწრო“ და პირველი მოქმედება ფეხზე მაყურყუტა, დროზე ინება წამოდგომა. რაკი სინარა წამდაუწუმ ჩემკენ იცქირებოდა, ცხადია, მიხვდა, რომ უნებლიეთ დაგვაშორა ერთმანეთს. მივუჯექი თუ არა გვერდით, სინარამ წამჩურჩულა:

— ჯონდო, ხედავ, რა ამბავია? მთელი ჩვენი დაწესებულება აქ არის!

— რა ვიცი, ოცი ბილეთის მეტს არ გვაძლევნო...

— ოცი ბილეთი მარტო დირექტორს არ ეყოფოდა ნათესავებისათვის.

— სინარა, როგორ გამოცვლილხარ!

— სუ, ბიჭო! — ჩურჩულით წამოიძახა სინარამ და უკან, მეორე რიგისაკენ მიმახედა. — მაინცდამაინც გინდა გამაწითლო? ხომ ხედავ, აქა-იქ ნაცნობები სხედან და ჩვენი ჩურჩულიც კი ესმით.

მორჩილად გავუღიმე და თავი დავხარე. უნებლიეთ მომხვდა თვალში მისი გრძელი, მზით დამწვარი თითები და უფერო ლაქით გაპრიალებული, ლამაზად წამოზრდილი ფრჩხილები. მომეწონა მუქი იისფერი ტყავის საფულე და ასეთივე ფერის მოდური ფეხსაცმელიც. სინარა წამოდგა. მეც ავდექი, მაგრამ აღარ ვიცოდი, რა მექნა. ახლა მთლიანად მასზე ვიყავი დამოკიდებული. სინარამ თავმომწონედ მოავლო თვალი წინა რიგებს, ბენუარის ლოჟებს, ბელეტაჟს. ბელეტაჟიდან ვიღაც გოგონა მიესალმა, თან ხელით ანიშნა — ფოიეში გამოდიო.

— ჯონდო, გავიდეთ. მე ჩემი სკოლის ამხანაგს შევხვდები, შენც მონახე ვინმე ნაცნობი, მხოლოდ იცოდე — ვაჟი. მოდი, ნაცნობების ყურადღება რომ არ მივიქციოთ, ცალ-ცალკე ვისეირნოთ.

უმალ დავეთანხმე, რადგან ჯერ კიდევ, ცოტა არ იყოს, ვმორცხვობდი. მით უმეტეს ახლა, როცა სინარა ასე კოხტად და უკანასკნელ მოდაზე იყო გამოწყობილი. ფოიეში ერთად გავედით. იგი ამხანაგისკენ გაეშურა. როგორ განსხვავდებოდა ის ცისფერუაკეტიანი მოუქნელი გოგონა ამ ქალიშვილისაგან, ახლა რომ კოხტად მიაბიჯებდა ფოიეში. რა თქმა უნდა, სინარა რომ ამის მეტი არაფერი ყოფილიყო, ჩემს მოწონებას აგრე ადვილად ვერ დაიმსახურებდა, რადგან საოცრად არ მიყვარს ჩვრებს გადაყოლილი ადამიანი; მაგრამ მე ხომ მას უკვე საკმაოდ ვიცნობდი! ახლა ისიც მომეწონა, რომ მას ჩაცმის შნოც და გემოვნებაც ჰქონდა. ძალიან ძნელია, თუ შენში ბუნებით არ არის ეს მომადლებული, ასე ერთბაშად მოახერხო და შეიფერო კოხტად ჩაცმა-დახურვა.

დავშორდი თუ არა სინარას, დაბარებულივით ჩვენი განყოფილების თანამშრომლები შემომეფეთნენ. მე მგონია, ისინი მიდარაჯებდნენ და კიდევაც მომიხელთეს. შემომეხვივნენ და ჩემ გარშემო ერთბაშად წრე ვიწროდ შეკრეს. დოდომ ოსტატურად წამოიწყო:

— ჯონდო, რომ ამბობენ... — და გოგონებს გახედა. ყველამ ხმამაღლა გაიცინა. გამიკვირდა, ჯერ ხომ სასაცილო არაფერი თქმულა და რა აცინებთ-

მეთქი. თავი უხერხულად ვიგრძენი, რადგან მათს სიცილზე ფოიეში ყველამ ჩვენკენ იწყო ცქერა.

— რას ამბობენ? — ცოტა არ იყოს, მწყრალად ვკითხე და მივიხედ-მოვიხედე. ვერ გადამეწყვიტა, საით გამერღვია წრე. სწორედ ამ დროს სულ ახლოს ჩაგვიარეს სინარამ და მისმა ამხანაგმა. მე სინარას გავუღიმე, გოგონებმა კი დამდურებულივით მოარიდეს პირი.

— რას ამბობენ? — ვკითხე ხელმეორედ და დოდოს მაჯაში ჩავჭიდე ხელი.

— ცოლს თხოულობსო! — თქვა თამარმა.

გამეცინა. ცოლის თხოვაზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ ალბათ უფრო გამოსაჯავრებლად, ვიდრე სხვა რაიმე მოსაზრებით, ორაზროვნად მივუგე:

— თუნდაც ასე იყოს, გასაკვირველი რაა? — უკან რაზე უნდა დამეხია. ეტყობა, გოგონებმა რაღაც „იყნოსეს“. მათ ამ საქმეში ალღო არასოდეს ღალატობთ. იქნებ მეც არ ვიცი, ისე ვარ უკვე გაბმული „მახეში“.

— თუ მართლა ასეა, უჭკუო ყოფილხარ! — შემომბედა დოდომ.

— რატომ?! — შევეკითხე დინჯად.

— ცოლის თხოვას თუ აპირებდი, იმ ყვავის ბასალას მეტი ვერავინ დაინახა შენმა თვალებმა?! ვინ გეტყოდა უარს?!

დაკვირვებით გადავხედე ჯერ დოდოს, მერე — დანარჩენებს და ყველას თვალებში მხოლოდ გაოცება და უნებლიე წყენა ამოვიკითხე. სინარასადმი ჩემს

მოწიწებას და პატივისცემას ისინი ახლა პირად შეურაცხყოფად ღებულობდნენ, რადგან ყოველ მათგანს სინარაზე ათასჯერ უფრო მეტად მოჰქონდა თავი.

— არა შეჯდა მწყერი ხესაო! — ყველას გულის მოსაფხანად გადმომკრა ლეილამ. სწორედ იმან, ვისი პაწაწინა ცხვირი და თაფლისფერი თვალები აგრერიგად მომწონდა. მაგრამ ახლა რომ შევხედე, შურს ისე დაეუშნოებინა მისი სახე, ლამაზიაო, ვეღარ იტყოდით.

— მართლაც რომ მწყრებს ჰგავხართ, გოგოებო, და ისიც... მხოლოდ ჭკუით!—მოურიდებლად ვუთხარი და გავიცინე. წრე ჩემ წინ ერთბაშად გაიხსნა. გულის სიღრმეში ყოველ მათგანს ალბათ სასიკვდილოდაც კი ვემეტებოდი, მაგრამ ისინი მაინც მეცოდებოდნენ...

მე და სინარა თეატრიდან თითქმის ყველაზე ბოლოს გამოვედით, გვეგონა, ნაცნობები წასულ-წამოსული იქნებოდნენ, მაგრამ ჩვენი ვარაუდი არ გამართლდა. თითქოს საგანგებოდ გველოდნენო, მთელი ჩვენი განყოფილების თანამშრომლები თეატრის წინ, ხის ძირას იდგნენ და მხიარულად ლაზღანდარობდნენ. აქვე იყო ჩვენი უფროსი, ვეება ტანის კაცი კირილე უშვერიძე. ჩვენს დანახვაზე ყველა გაჩუმდა. მივუახლოვდით, რადგან დაგვინახეს თუ არა, თვალი აღარ მოუშორებიათ. „კირილე მაქსიმიჩმა“

სინარას ცნობისმოყვარეობით ახედ-დახედა. ეტყობა, თვალში მოუვიდა.

— სინარა, ნაწყენი ხომ არა ხარ ჩემზე, ბილეთი რომ ვერ გიშოვე?

სინარამ არაფერი უპასუხა. ლმობიერად გაუღიმა.

კირილე უთუოდ დააკმაყოფილა სინარას კეთილმა ღიმილმა, მხრებზე ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა. სინარასაც გულის სიღრმეში უთუოდ ეამა უფროსის მამაშვილური ალერსი; ეამა, რადგან გამოჩენისთანავე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და ისედაც განაწყენებულ გოგონებს გული უარესად ატკინა.

შორს ავტობუსი გამოჩნდა.

— ვინ საით? — იკითხა კირილემ.

— მე აქეთ, ახლოს ვცხოვრობ, — თქვა სინარამ და თავით მარჯვნივ გვანიშნა.

— მეც აქეთ, — ვთქვი და ერთი ნაბიჯი სინარასაკენ გადავდგი.

— შენი გზა მაქეთ როდის იყო? — გამომწვევად ჩამეკითხა მანანა.

მე, რა თქმა უნდა, პასუხი არ დამიყოვნებია:

— ახლა აქეთ არის!

სინარამ ისე შემომხედა, უმალ მივხვდი, ეს არ უნდა მეთქვა, მაგრამ გვიანღა იყო. კირილემ თვალი ჩამიკრა, გოგონების გასაგონად კი შენიშნა:

— ვინც ჯენტლმენობის ფასი იცის, გაუგებს!

გოგონებმა სიტყვა ვეღარ შეუბრუნეს, თორემ მის

შენიშვნას ერთი მწარე ქათინაური მაინც მოჰყვებოდა.

სინარამ მოხდენილად დაუკრა თავი ჩვენს უფროსს, გოგონებს კი გამომწვევად შეანათა მზერა და ლამაზად შეაქცია ზურგი.

რა მოხდენილად გამოსდიოდა სინარას ყველაფერი და რარიგ არ ჰგავდა გუშინდელი სინარა დღევანდელს!

რამდენიმე წუთს მდუმარედ მივაბიჯებდით. შემდეგ სინარამ მკითხა:

— მოგეწონა სპექტაკლი?

შევხედე, გავუცინე და გავუბედე:

— შენ უფრო მომეწონე.

სინარა არ ელოდა, თუ ასე ვეტყოდი. გულწრფელად გაოცდა და ცოტა თითქოს შეკრთა კიდეც.

— ეს რა პასუხია, ჯონდო?

— თურმე როგორ გიხდება ჩაცმა, შენ კი თავს ძალით იუშნოებდი.

მაინცდამაინც გინდა, ქათინაურები შევიფერო?

— ხომ მართალია და, გინდ ქათინაური დაარქვი, და გინდ...

— მართალი, იცი, რა არის, ჯონდო?

— რა?

შევჩერდი, სინარას თვალებში ჩავაცქერდი. პასუხს მოუთმენლად ველოდი.

— ის, რომ ქალიშვილები ყველაფერზე მეტად ყურადღებას აფასებენ და სწორედ ამ ყურადღების მსხვერპლნი ხდებიან ხოლმე!

— ეს როგორ გავიგო?

— როცა არავინ ყურადღებას არ გაქცევს, არც შენს თავს სცემ პატივს, არც შენს თავს აქცევ ყურადღებას და, ხარ როგორღაც უპატრონოსავით თავისუფალი. მაგრამ როგორც კი ყურადღების ღირსი გახდები, შენდა უნებურად ცდილობ, გაამართლო იგი! მეც ასე დამემართა...

— მერე, ცუდია?!

— ჯონდო, შენ ხომ ახლა სხვებზე უკეთ მიცნობ, იმიტომ კი არ გამოვეწყვე ასე, რომ ვკეკლუცობ და თავს გაწონებ...

— მე ეს არც მიფიქრია...

— მეც იმიტომ გელაპარაკები ასე გულახდილად. თუ დამიჯერებ, უბრალოდ უხერხული იყო, თეატრშიაც იმ გამოხუნებული ტანსაცმლით გამევლო შენ გვერდით. მე უფრო შენი პატივისცემით მოვიქეცი ასე! თუ კაცს პატივს სცემ, მის გვერდით ხომ არც შენ გაივლი წვერგაუპარსავი და დაუდევრად ჩაცმული!

— მართალი ხარ, სინარა.

გზა განვაგრძეთ.

— მაგრამ ამის მერე კი... ვაი ჩემი ბრალი, ჯონდო! ისე ხომ ვეღარ გავივლი, როგორც აქამდე დავდიოდი. იცი? შენი ყურადღებით სწორედ დამღუპე! — ამ სიტყვებზე სინარამ ღონივრად ჩამავლო მკლავში ხელი.

ორივემ თვალებში ჩავხედეთ ერთმანეთს. ცოტა

შევკრთი. მისი ცრემლმორეული თვალები უჩვეულოდ ელავდნენ. სინარამ გამიცინა და მითხრა:

— ჯონდო, გახსოვს... როცა მზე პირს იბანდა?

მე მივხვდი, რომ ეს არ იყო იმ დღის უბრალო შეხსენება.

— ყველაფერი მახსოვს და მესმის, სინარა!

მის სახლამდე ისე მივედით, ხმა აღარ ამოგვიღია სიჭაბუკის დიდი საიდუმლოს გამხელის მოლოდინში.

ის ყვავილი

სიმფონიური მუსიკის სიყვარულმა ამას წინათ ერთხელ კიდევ დამრია ხელი. დიდი, თვალშისაცემი აფიშა, გამოჩენილი პიანისტის ნაცნობი პორტრეტი, ვეებერთელა ასოებით წითლად დაბეჭდილი გვარი, შესანიშნავი პროგრამა და... ხალხიც სალაროს ისე მისეოდა, ნაცნობი მოლარეც რომ დამხვედროდა, კარგი ბილეთის შოვნის აღარავითარი იმედი არ იყო. ფეხი მაინც ველარ მოვიცვალე იქიდან. ჩემ თვალწინ რიგი სწრაფად იზრდებოდა. ამ ამბავს იმდენად არ გავუოცებივარ, რამდენადაც შინაგანად ამაფორიაქა და მიბიძგა... პირველი შემთხვევა იყო, რომ ამ შინაგან ბიძგს ავყევი. ნაბიჯი უნებლიეთ და სწრაფად გადავდგი; და ახლა ჩემი ნატვრა მხოლოდ ის იყო, მალე მიმელწია სალაროს სარკმელამდე. რიგი კი ისე მიიწევდა წინ, შეუძლებელი იყო მოთმინებიდან არ გამოეყვანე ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, მაგრამ ყოველთვის სამართლიანი უკმაყოფილების აღმძვრელ გარემოებას. მართალია, გული მომდიოდა, მუსიკის

თითოეული მოყვარული რომ ბილეთის შერჩევას იმდენ დროს ანდომებდა, მაგრამ თავს იმით ვიოკებდი და ვიმშვიდებდი, მეც ალბათ ასე მოვიქცევი-მეთქი. სალაროს სარკმელს მიცეცებულთა მისამართით ზოგიერთის უკმაყოფილო შეძახილებს რომ არ ავყოლოდი, აქეთ-იქით დავიწყე ცქერა. უკან რომ მივიხედე, გულწრფელად გამიკვირდა, რიგი ისე გაზრდილიყო. მოულოდნელად ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ჭაღარა, მეტად სათნო გამომეტყველების ქალმა. ის ჩემგან ათიოდე კაცის დაშორებით იდგა რიგში და თავი ისე ღირსეულად ეჭირა, გაგიკვირდებოდათ, როგორ ინარჩუნებდა სულიერ წონასწორობას ამ „საყოველთაო მღელვარების“ ატმოსფეროში. კიდევ ერთხელ იქით მიხედვისას თვალი შევასწარი, თვითონაც თურმე როგორის ცნობისმოყვარეობით მითვალთვალებდა. უცნაურად დავინტერესდი. ერთი წუთით დამავიწყდა კონცერტიც, სალაროც, ბილეთიც და წარმოიდგინეთ, თუ დამიჯერებთ, შეძახილებიც კი აღარ მესმოდა... ერთი-ორჯერ, ვითომ სხვათა შორის კიდევ გავიხედე იმ ქალისაკენ და... გავვოცდი. ჩემი ეჭვი თუ ვარაუდი გამართლდა. მე ის ვიცანი, ვიცანი, თუმცა ორმოციოდე წელიწადი გასულიყო მას შემდეგ, რაც ერთმანეთი აღარ გვენახა. ამ აღმოჩენამ ერთბაშად ისე ამაფორიაქა, რომ ხელ-ფეხი ამიკანკალდა...

ქალი მთლად შეცვლილი მეჩვენა, თმა, რასაკვირველია, გაჭაღარავებოდა, მაგრამ რაღაც ისეთი, ნახევრად დაჟანგული ვერცხლის სასიამოვნო ფერი გა-

დაჰკვროდა, რომ ვერ იტყოდით ჭაღარა აუშნოებსო. ნაოჭებს სახე ჯერ არც ისე შესამჩნევად დაეღარა, მაგრამ ასაკს მაინც თავისი გაეტანა და ამ, ოდესღაც, ჩემს წარმოდგენაში მაინც, ღვთაებრივ სახეზე მარტო თვალებს შერჩენოდათ ყველაზე მეტად ის წინანდებური ეშხი და მიმზიდველობა, თვალებს და ჯერ კიდევ საკვირველად შავ, გრძელ წარბებს...

ოდესღაც ეს ქალი იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი, ესოდენ უიღბლო სიყვარულის საგანი.

როდესაც ჩვენი მზერა ერთმანეთს შეეფეთა, ქალს ფერი ეცვალა, ოდნავ შესამჩნევად კიდეც წამოწითლდა, მერე ისე გაფითრდა, ვიფიქრე — გული ხომ არ მისდის-მეთქი. მაგრამ ის იდგა უძრავად, მტკიცედ, და თუმცა ჩემკენ აღარ იხედებოდა, მაინც ეტყობოდა, გულისყური აქეთ ჰქონდა მოპყრობილი. გამომცნაურება კი გადავწყვიტე, მაგრამ ვერ მომეფიქრებინა, როგორ შევდგომოდი ამ ძნელ საქმეს. მაინც, საკვირველია, როგორი გადაცნობა მოჰყვება ხოლმე სკოლის ამხანაგის ორიოდე ათეული წლით უნახაობასაც კი. ქუჩაში უცხოსავით რომ ხვდებიან ერთმანეთს და თუმცა გულის სიღრმეში კვლავ სწადიათ გამოლაპარაკება, მაგრამ ჟამთასვლაში შობილ, აუხსნელ, უცნაურ „გაგარეულებას“ ვეღარაფერი შველის... ამასობაში ერთი-ორჯერ „შემთხვევით“ კიდევ გავიხედე იმ ქალისაკენ. ქალი ახლა უფრო მშვიდად და „ლმობიერადაც“ გამოიყურებოდა, მაგრამ მზერა წელანდელივით აღარ გაუსწორებია ჩემთვის. მისი, რაღაც შინაგანი ღიმილით გამთბარი იერი ცხადად გამოხა-

ტავდა აუხსნელ სევდასაც და კმაყოფილებასაც. ასეთი გამომეტყველება მხოლოდ სულიერად მდიდარ და მგრძნობიარე ადამიანების სახეზე თუ იხატება და ისიც ისე იშვიათად, რომ, როცა თვალს შეასწრებ, მაშინაც არა გჯერა, თუ სულის მოძრაობა შეიძლება ასე „მატერიალური“ და ხილვადი გახდეს.

როგორც იყო, სალაროს სარკმელს მივაღწიე. თუმც არ შემეფერებოდა, მაგრამ ქუდიც კი მოვიხადე და სარკმლის ვიწრო, ოთხკუთხ ჭრილში ჭაღარა თავი ბავშვივით გავყავი. სწორედ ამ წუთს მომევლინა მხსნელი აზრი — მეყიდა ორი ბილეთი. მოლარეს რატომღაც ჩურჩულით შევთხოვე — ორი კარგი ბილეთი შემირჩიეთ-მეთქი. შესარჩევი რომ აღარაფერიაო! — ღიმილით მომიგო მან, მაგრამ ნაცნობობამ მაინც გასჭრა. სალაროდან თავბრუდახვეული გამოვბრუნდი. მოხუცებული ფერენც ლისტის ყაიდაზე საკმაოდ გრძლად გაშვებული ჭაღარა თმა ცალი ხელით შევისწორე, არა მარტო იმიტომ, რომ სარკმელში თავის გაყოფისას აუცილებლად ამეწეწებოდა, უფრო იმიტომ, რაღაც უცნაურ გრძნობას აყოლილს, სიკოხტავის უჩვეულო სურვილი მომერია!.. ქუდი არ დამიხურავს, რადგან საკმაოდ გამოხუნებული იყო, ჩემს შლიაპას ლენტზე სეისმოგრაფიული ჩანაწერივით აჩნდა მკაფიო კონტურიანი ლაქები... ხალხის აყაყანებულ რიგს ჩავუარე და იმ ქალთან... შევჩერდი. თვალებში არ შემიხედავს, თავდახრილმა მორცხვად შევბედე:

— ბილეთი თქვენთვისაც ავიღე... ნინო!

ქალმა გაოცებით შემომხედა. გაიღიმა. წეღანდელივით ერთხელ კიდევ გაფითრდა და წაიჩურჩულა:

— როგორ მიცანით... სანდრო!

უთუოდ რაღაც საცოდავად გამეღიმა, თმა კი თავმომწონედ შევისწორე ცალი ხელით. დაველოდე, სანამ ნინო კიდევ რამეს იტყოდა. მან რიგი დატოვა და გამომყვა. ორმა-სამმა ნაცნობმა და ამდენივე უცნობმა თვალი მალულად გამოგვაყოლა. ჩემთვის ახლა ეს არაფერს ნიშნავდა. არის გარემოება, წუთები, როდესაც რამე გეამაყება და არაფერს აღარ აქცევ ყურადღებას, აღარ აძლევ იმ მნიშვნელობას, რაც, შეიძლება სხვა დროს მიგეცა. გზაში ნინოს ბილეთი გადავეცი. ბოდიში არ მომიხდია, მარტო ერთი ბილეთი რომ შევთავაზე, დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერს კარგად მიმიხვდებოდა. ისეთი გონებაგახსნილი გოგონა, როგორიც ის იყო ჩემთვის უკვე შორეულ წარსულში, მას მერე აღარც შემხვედრია. ერთხანს მდუმარედ მივაბიჯებდით. დროდადრო თუ გადავხედავდით ერთმანეთს და გავიღიმებდით. ამ ღიმილში ექსოვებოდა ყველა უთქმელი სიტყვა, ყველა გრძნობა და ოცნება, ბედნიერად თუ უბედურად მოსაგონარი წუთები და საერთოდ ყველაფერი ადამიანური, რასაც აღარ შეუძლია წინანდელი და წინანდებურად ტკივილისა თუ სიხარულის განცდა, ისევე, როგორც მახვილს არ ძალუძს დაჭრას შენი ლანდი. ოპერასთან, პროსპექტის გადასასვლელზე კარგა ხანს გვალოდინა მანქანების გაბმულმა წყებამ... ერთიორჯერ ნინოს მკლავზედაც შევახე ხელი, ვითომ მინ-

დოდა გამეფრთხილებინა — ცოტა უკან დაიწიეთ, თორემ ისე დაჰყავთ მანქანები, შეიძლება უცაბედად გაგკრან ფრთა-მეთქი...

პროსპექტის მეორე მხარეს რომ გადავედით, ნინომ წიგნის მაღაზიას მიაშურა.

— წიგნები არ გაინტერესებთ?

— რასაკვირველია, შესვენება რომ არ იყოს, ალბათ რამეს შევარჩევდით...

ერთხანს ვიტრინის წინ ვიდექით და გამოფენილ წიგნებს ვათვალიერებდით. მერე ისევ განვაგრძეთ გზა. ნინომ მოულოდნელად მკითხა:

— მას ჰქეთ... სულ თბილისში ცხოვრობთ, სანდრო?

— ბოლო ოცი წელიწადი თბილისში ვმასწავლებლობდი. მანამდე სამ-სამი, ოთხ-ოთხი წელიწადი ხან იმერეთში ვასწავლიდი, ხან კახეთში, ლაგოდეხის მხარეს... იქ იმერლები დამხვდნენ...

— რას ჩააცივდი ამ იმერლებს! — თქვა და შემომცინა ნინომ. მეც გავუცინე.

— ახლა აღარ ასწავლით?

— წელიწადია პენსიონერი ვარ! — ვთქვი მე.

— ოჯახი...

თავი დავხარე. ამ კითხვაზე უცბად ვერაფერი ვუპასუხე. თმა ერთხელ კიდევ შევისწორე ცალი ხელით, ქუდისთვის რატომღაც ადგილი ვერ მომენახა, ხან თეძოს გასწვრივ მეჭირა, ხან გულზე ვიფარებდი, ხან უკან, წელზე შემოვიდებდი... მხოლოდ ერთხელ ქალს ცალი თვალი შევავლე. დამნაშავესავით გამი-

ღიმა... გვიან მივხვდი, ქუდი არაფერ შუაში იყო. ყველაფერი მისი მოულოდნელი შეკითხვით იყო გამოწვეული. ჩემმა დუმილმა და ყოყმანმა ნინო უთუოდ რაღაცას მიახვედრა, თავის კითხვას თვითონვე უპასუხა:

— შვილი გვიან მეყოლა... ჩემი გოგონა ახლა თვრამეტი წლისაა.- პირველ კურსზეა... მეუღლე ხუთი წელია გარდამეცვალა.

სანამ ის ლაპარაკობდა, მე ცოტა სული მოვითქვი. ცოლ-შვილი თუმცა არასოდეს არ მყოლია, ნინო რომ არ მოვიდა, იმ საბედისწერო პაემანის შემდეგ ჩემს გულში სხვა ქალის ხსენება არ გამიჭაჭანებია, მაგრამ ახლა თითქოს გამოჯავრება, სამაგიეროს გადახდა მეწადა...რახან ის გათხოვილა კიდეც, ქალიშვილიც ჰყოლია... არც ვაციე, არც ვაცხელე და... „ვახარე“ — ჩემს სიცოცხლეში პირველად ვთქვი ასეთი ტყუილი: — საკვირველია! ჩემი ვაჟი კი ოცი წლისაა; მეუღლე მეც... სწორედ ხუთი წლის წინ გარდამეცვალა...

ამისი გაგონება და ქალის გაშტერებით შემოჩერება ერთი იყო. რაღაც უცნაური და მრავლისმეტყველი მზერა დიდხანს არ მოუცილებია ჩემთვის. მე კი თავდახრილი მივყვებოდი გვერდით და ეს მისი მზერაც, მის სიახლოვეს ყოფნაც იდუმალ სიამოვნებას მგვრიდა. ამასობაში რუსთაველის მონუმენტს გავუსწორდით. ნინოს ვიღაც ნაცნობი ქალი შეხვდა. ერთმანეთი გადაკოცნეს და მოიკითხეს; ტრადიციული საყვედურიც არ დავიწყებიათ. მერე ნინომ მეგო-

ბარს ჩემი თავი გააცნო, თან სხვათა შორის მკითხა — თქვენ საითო. კითხვა დროული და დიპლომატიური იყო, გარეშეს თანდასწრებით ჩვენი საუბრის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

ნინოს იმ იმედით გამოვემშვიდობე, რომ სამი დღის შემდეგ კვლავ შევხვდებოდი... კონცერტზე.

სამი დღის ლოდინი, სამზადისი, მღელვარება, როგორც იყო გადავიტანე. დადგა ის წუთიც, როცა უკანასკნელად შევათვალიერე ძველი კარადის სარკეში ჩემი იერი და ჩაცმულობა. სიძველისა და სინესტისაგან აფორაჯებული სარკის ბრალი იყო, თუ მოხუცებულობისა, ჩემს გარეგნობას მაინცდამაინც არ მოვუხიბლავარ. მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ვეტრფოდი — უბრალოებისათვის არც ახლა მიღალატია; ჩემს ჩაცმულობაში ისეთს ვერაფერს იპოვიდით, რომ დაგეძრახეთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, უბრალოების ტრფიალმა ბოლოს და ბოლოს დაუდევრობამდე მიმიყვანა. დაუდევრობამ შემაჩვია და შემარიგა იმასაც, წვერს ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინ სამ დღეში ერთხელ თუ ვიპარსავდი, შემდეგ ერთი დღით გავახანგრძლივე ეს ამბავი და ბოლოს დღეების ანგარიში სულაც დავკარგე. ახლა სანამ ოთახიდან გავიდოდი, ერთხელ კიდევ მოვისინჯე გულისჯიბეები... მარჯვნივ, საფულეში კონცერტის ბილეთი მედო, მარცხენა ჯიბეში... ხმელი ყვავილი, ჩემი აუხდენელი სიყვარულის ერთადერთი და ისიც უტყვი

მოწმე. ამ ყვავილს ორმოცი წელიწადია ვინახავ მუყაოს კოლოფში.

გზა სახლიდან კონსერვატორიის დიდი დარბაზის შესასვლელამდე შეუმჩნევლად გავიარე. წელთა სიმრავლეს სულ აღარ ვგრძნობდი. გულიც თითქოს ისე მიძგერდა, როგორც ამ ორმოციოდე წლის წინ, როდესაც თურმე უკანასკნელ პაემანზე მივიჩქაროდი. მაშინ რომ ცოცხალი ყვავილი მეჭირა ხელში, ახლა ის დამჭკნარი მედო ჯიბეში. მაგრამ გრძნობა და გული არ დამჭკნარა. ერთი შეხედვით რაღა უნდა ყოფილიყო სახარბიელო ჩემთვის, მაგრამ თავი მაინც მხნედ მეჭირა. საკონცერტო დარბაზის მისასვლელთან ხალხი ბლომად მოგროვილიყო. ზოგი ალბათ ამხანაგის თუ გულის სწორის მოლოდინში იყო, ზოგი კი ბილეთის შემთხვევით შოვნისა. შესასვლელთან შეჯგუფებულმა ახალგაზრდებმა ალბათ ჩემს ჭაღარას თუ სცეს პატივი, გზა რომ ისე სწრაფად დამითმეს. შესასვლელიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, საგარდერობოში, ქალს ჩემი მსუბუქი ლაბადა და ქუდი გადავაწოდე, ნომერი გამოვართვი და თუ აქამდე ცოტა ვიჩქაროდი, ახლა დინჯად შევყევი ფოიეს კიბეებს. რამდენჯერმე კიდეც შევჩერდი, მაგრამ გულის გამალებულ ძგერას ვერაფერი მოვუხერხე. როგორც იყო, მივაღწიე საკონცერტო დარბაზს. პარტერის ბოლო რიგში ერთ-ერთი სკამის საზურგეს ორივე ხელით დავეყრდენი და იქაურობა ცნობისმოყვარეობით მოვათვალიერე. რახან ნინო უმალ თვალში არ მეცა, იდუმალ მეშვიდე რიგის მეცხრე და მეა-

თე სკამებზე შევაჩერე მზერა და, ცოტა არ იყოს, მეუცხოვა, როცა მხოლოდ ერთი სკამი დავინახე თავისუფალი. გამოთვლა რომც შემშლოდა, მაშინაც ხომ ორი სკამი უნდა ყოფილიყო თავისუფალი. ნინოს კუთვნილ სკამზე კი ვიღაც უცხო გოგონა იჯდა. მისი ამგვარი სითამამე არ მომეწონა. ძალიან არ მიყვარს, როცა გაიძულებენ სთხოვო — სკამი გაათავისუფლონ. მე თავიდანვე შევატყვე, ის უცხო, მოკლე ნაწნავებიანი გოგონა, აქეთ-იქით ჯიუტად გაბზეკილ თმის ბოლოებზე კოხტად გასკვნილი ცისფერი ბაფთებით, თავს სულაც არ გრძნობდა უხერხულად. არ ეტყობოდა, რომ სხვის სკამზე იჯდა, კონცერტის დაწყებას კი ხუთიოდე წუთიღა უკლდა. ერთი პირობა გავიფიქრე — ჩემს სკამზე დავმჯდარიყავი და გოგონაც თავაზიანად გამეფრთხილებინა — სხვა სკამი მოენახა, მაგრამ რაკი ჯერ ნინო არ ჩანდა, გადავწყვიტე, ფოიეში დავლოდებოდი და, ის იყო დარბაზიდან გასვლა დავაპირე, რომ უნებლიედ თვალი შევასწარი, რა მკვირცხლად წამოდგა ის ცისფერბაფთებიანი გოგონა და მარცხნივ ვიღაცას თავი დაუკრა... შავი ხავერდის ფარდის ფონზე მკაფიოდ გამოკვეთილმა მისმა პროფილმა ჩემი ყურადღება ახლა სულ სხვაგვარად მიიქცია და უცნაური ცნობისმოყვარეობაც აღმიძრა. კიდევ მეტი — ამ პროფილმა ერთბაშად გამაოცა. გარინდებული, თითქმის სუნთქვაშეკრული ველოდი, იქნებ შემოსასვლელისაკენაც გამოიხედოს-მეთქი... მისი სახე რომ მთლიანად, ანფასში მეხილა. ამასობაში გოგონა დაჯდა. ის ახლა წინანდელზე უფრო მეტი

მოუსვენრობით აცეცებდა მზერას ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. ყოველ ახალშემოსულს, რომელიც იმ რიგს ჩაუვლიდა, თვალს სწრაფად შეავლებდა და გულდაწყვეტილივით, ალბათ ვისაც ელოდა, ის რომ ამდენხანს არ ჩანდა, ღრმა ამოოხვრის შესაბამისად შეატოკებდა ბეჭებსაც. მე კვლავ მოუთმენლად და რაღაც უჩვეულოდ გარინდებული, იქნებ გაოგნებულიც ველოდი, როდის მოიხედავდა იგი ჩემკენ. და ეს ნატვრაც მალე ამიხდა. გოგონამ მარცხენა მკლავი უეცრად სკამის საზურგეს გადმოაყრდნო და ნაღვლიანი მზერა მოაპყრო დარბაზში შემოსასვლელს. თვალებს არ დავუჯერე... ამ სახემ, ამ შუბლმა, ამ წარბებმა, ამ ტუჩებმა, ამ მზერამ კინაღამ ჭკუიდან შემშალა, ერთი წამით თავბრუ დამახვია... ორივე ხელით სკამის საზურგეს ისე ჩავეჭიდე, თითქოს ფეხქვეშ იატაკი უნდა გამომცლოდა... თავი სიზმარში მეგონა. თუმცა ვხედავდი და მესმოდა, როგორ მატულობდა დარბაზში ფუსფუსი და ხმაური. ხალხმა ხომ ბოლო წუთებში იცის მოზღვავება. ეს გოგონა იყო ჩემი ორმოცი წლის წინათ დაკარგული სატრფოს ორეული. ჯერ არ მეხილა და არც მსმენოდა შვილის ასეთი საოცარი მსგავსება დედასთან. თუმცა ეს გოგონა ზუსტი „ასლი“ იყო ნინოსი თვრამეტი წლის ასაკში, მაგრამ ახლა ჩემთვის ის გახლდათ სრულიად უცხო და უცნობი. ასევე მე — მისთვის. და მაინც ეს, წარსულის ხელახლა მოვლენილი ხატება, ისე მიზიდავდა, დავაპირე მივსულიყავი, მის გვერდით დავმჯდარიყავი და თუ იმდენი გამბედაობა არ მეყოფოდა, მივ-

ფერებოდი, მეთქვა რამე, ერთი წუთით დამეყო მის სიახლოვეს. მაგრამ ეს ახლა ზედმეტად მომეჩვენა. ჩემი სიახლოვე, გვერდით თავისუფალ სკამზე დაჯდომა მას უთუოდ გააოცებდა, გააბრაზებდა, ბოლოს კი გააწბილებდა და გულსაც ატკენდა, ის ახლა სულ სხვას ელოდა... მე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ დედამ იქნებ გადაკრულად კიდეც უთხრა — იმ „თავისუფალ“ სკამზე, მის გვერდით შეიძლება ვინმე, ოციოდე წლის ჭაბუკიც კი დამჯდარიყო, ხმა მისთვის, ცხადია, არ უნდა გაეცა, ისე კი შეეძლო მალულად, თუნდაც ერთხელ შეევლო თვალი...

გამახსენდა ნინოს რომ ვუთხარი — ოცი წლის ვაჟი მყავს-მეთქი... რა იცოდა ნინომ, რომ... ყველაფერში მაჯობა. მან ახლაც იქნებ უკეთ განსაჯა და ამით მაგრძნობინა, რომ ჩვენი შეხვედრის დრო გასულიყო, ახლა ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ისინი, ვისი შეხვედრის ჯერიც იყო...

მიუხედავად ამისა, გული მაინც მეტკინა,- ნინო რომ არ მოვიდა. თუ ასე აპირებდა, რატომ არ მითხრა მაშინვე... მაგრამ ახალი ამბავი ხომ არ არის, რომ ქალები ყველაფერს არ ამბობენ; ხშირად მათი ფიქრი და სურვილი უფრო მათს გამომეტყველებაში უნდა ამოიკითხო, ვიდრე სიტყვებში...

გოგონას ერთხელ კიდევ შევავლე თვალი შორიდან. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ის მე არ მელოდა. გოგონა ჩემი არარსებული ვაჟის მოლოდინში იყო და მე ახლა თავს იდუმალ დამნაშავედაც კი ვგრძნობდი...

კონცერტს აღარ დავსწრებივარ. გულდამძიმებული წამოვლასლასდი შინ. გზაში რამდენჯერმე უნებლიედ მივიდე გულთან ხელი. არა მარტო იმიტომ, რომ გული მტკიოდა... მარცხენა გულის ჯიბეში მედო ორმოცი წლის წინ გამხმარი ყვავილი... ის ყვავილი, რომელიც წარსულის მოგონებებს აღვიძებდა ჩემში, მაგრამ არაფერს აღარ მპირდებოდა მომავალში.

შინაბერა

უმცროსი და თან გადაყოლილი იყო უფროს დებზე. იშვიათად თუ შეხვდებოდით ურთიერთს შორის ისეთ თანხმობას და სიყვარულს, როგორიც მათ ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ უმცროს დას თითქოს ყველაფერი ემარჯვებოდა, ერთში მაინც ვერ იჩენდა საჭირო უნარს: ვერ იქნა და ბედს ვერ ეწია, თავისთვის გულის სწორი ვერ გაიჩინა. მართალია, უფროს დებსავით დაბადებით სილამაზე არ დაჰყვა, ვინმეს რომ შეხედვისთანავე თვალში სცემოდა მისი ეშხი და „დაბრმავებულიყო“, მაგრამ რომელი სილამაზე შეედრებოდა მისი ხასიათის კეთილ თვისებებს და მოსიყვარულე გულს, რაც გარეშესათვის ჩვეულებრივ უხილავი და შეუცნობელია.

უფროს დებს ცოტა სწყინდათ და გაკვირვებულიც იყვნენ, უმცროსს რომ გათხოვება ასე გაუჭირდა; თუმცა ამას არც სიტყვით აგრძნობინებდნენ, არც საქმით. ხანდახან ხუმრობით თუ შენიშნავდნენ: — ჩვენ რომ ისე უცებ, ალუჩასავით ავყვავდით

და მოვილიეთ, შენ რა, შვინდი ხომ არა ხარო! მაგრამ თუ, ერთი მხრივ, სწყინდათ, რომ უმცროსი დაიკო მათსავით „დროზე“ ბედს ვერ ეწია, მეორე მხრივ, გულის სიღრმეში შეიძლება კიდეც სიამოვნებდათ მისი მარტოხელობა. რომელ დასაც კი რამე დასჭირდებოდა, ან გაუჭირდებოდა, უმცროსი უმალ მასთან იყო და თან გადაჰყვებოდა. ის იყო მათ ქორწილში უფროსი დიასახლისი და ახლობელის თუ შორეულის დამპატიჟებელი, ორსულობისას ყურისმგდებელი და მზრუნველი, ჩვილი ბავშვების გადია, ხანდახან მზარეულიც და სახლის დამლაგებელიც. წელიწადში ხომ ისეთი თვე არ გამოერეოდა, რომ ერთ-ერთი დის ოჯახში ვინმე ავად არ გამხდარიყო. მართალია, არავინ დაჟინებით არ ავალებდა სადილის გაკეთებას, ბავშვების თუ ავადმყოფის მოვლას, მაგრამ გული როგორ მოუთმენდა, რომ დებს არ მიხმარებოდა!

თავისი ხასიათით მან სამივე სიძეს დასავით შეაყვარა თავი და ოჯახის წევრებში არც არჩევდნენ. როცა ის მათთან არ იყო, ყოველთვის თვალში ენაკლისებოდათ. არც შეიძლებოდა სულით და გულით არ შეჰყვარებოდა ეს მხიარული, კეთილი ხასიათის ქერა გოგონა, ვინც კი ახლოს გაიცნობდა. მაგრამ მისი ეს თვისებები ალბათ საკმარისი მაინც არ იყო იმისათვის, რომ ვინმეს გული სხვაგვარად ასძგერებოდა. მისი უბრალო ქცევა და გაშინაურების უცნაური უნარი თითქოს წინასწარ განსაზღვრავდა მასთან დამოკიდებულების ხასიათს. მასში ყველა უფრო მეტად ნათესაურ უშუალობას გრძნობდა, ვიდრე უბ-

რალოდ ქალურ სითბოს. ამას ერთვოდა ის სიბრალულიც, რასაც მუდამ იწვევდა დაახლოებულში მისი მუდმივი წუხილი. წუხდა ყველაფერზე და ყველაზე, თუკი ამის საბაბს რამე ან ვინმე მისცემდა.

მესამე და რომ გათხოვდა, მაშინ უმცროსმა საშუალო დაამთავრა, მერე უმაღლესშიაც შევიდა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიჰყვა. ლექციებზე სიარულის მაგივრად ხშირად ხან ერთი დის, ხან მეორის, ხან მესამისას „ერთი წუთით" რომ არ შეევლო და ამბავი არ შეეტყო, გული ვერ უთმენდა, და რახან შეივლიდა... ასე რჩებოდა მას განზე ლექციები, უმაღლესი და პირადი ცხოვრებაც. ბოლოს თავისმა კეთილმა ხასიათმა იქამდე მიიყვანა, რომ უმაღლესზე და თავის მომავალზე ხელი სულ ააღებინა, ქველმოქმედება კი მოთხოვნილებად და ჩვეულებად გადაექცა. იყო თუ არა საჭირო, ხან ერთ დასთან გარბოდა, ხან მეორესთან. ისინიც ბოლოს ისე შეეჩვივნენ მის დახმარებას, რის გაკეთებაც უმცროსი დის გარეშეც შეეძლოთ, იმასაც აღარ აკეთებდნენ — სულ ერთია, ის გააკეთებსო. თუმცა ინსტიტუტისათვის თავის მინებების შემდეგ „უსაქმოდ" დარჩა, მოწყენა მაინც არ უგრძვნია. ახლა უმეტეს დროს დებთან ატარებდა.

არ შეიძლებოდა დიდხანს ასე გაგრძელებულიყო და ისიც ერთი ამხანაგის რჩევით საფინანსო კურსებზე შევიდა, რის ვაი-ვაგლახით დაამთავრა და თავის ცხოვრებაში, შედარებით იოლად, ერთ დაწესებულებაში მოანგარიშის ადგილი იშოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, თავი აქაც ყველას მალე შეაყვარა,

დირექტორის პატივისცემაც დაიმსახურა, მაგრამ ამასთან ერთად თავისი უცნაურობა აქაც ვერ მოიშალა, საქმეს თუმცა გულმოდგინედ აკეთებდა, მაგრამ ასევე გულმოდგინედ და გაუთავებლად ფიქრობდა თავის დებზე. კვირაში ორ-სამჯერ დირექტორს რომ არ გამოსცხადებოდა კაბინეტის კარის ზღურბლზე, არ შეიძლებოდა. სიტყვიერი თხოვნა — ჩემს ამა და ამ დას ბავშვი ჰყავს ავად, ექიმია გამოსაძახებელი, ან წამალია მოსატანი და ერთი-ორი საათით გამათავისუფლეო, — უკვე ზედმეტი იყო, ისე მიეჩვია დირექტორი მის სახეზე, მის თვალებში ამ თხოვნის ამოკითხვას.

უმცროსი და სამსახურშიაც ისეთივე გულმოდგინებით გამოირჩეოდა, საზოგადო საქმისადმიც ისეთივე ერთგული იყო, როგორიც თავისი უფროსი დების ოჯახებისა. დაწესებულების ხელმძღვანელიც, როგორი მკაცრი, უხასიათო და ახირებულიც უნდა ყოფილიყო, ასეთ ადამიანთან რას გახდებოდა. დებთან სიარულში თუ სამსახურის საქმეს ჩამორჩებოდა, რამდენიც საჭირო იყო, ზედმეტს იმუშავებდა და იმას კი არავის ათქმევინებდა, რომ სამუშაოს ვერ ასწრებსო, ან ცუღლუტობსო.

ის არანაკლებ ერთგული და მოსიყვარულე იყო თავისი მრავალრიცხოვანი მეზობლებისა, რომელთა ხელშიც დაიბადა და დაქალდა. უფროსი დების გათხოვების შემდეგ ის ისევ თავის ძველ, მთაწმინდის უბანში, მთის ბილიკივით მიხვეულ-მოხვეულ ქუჩასა და მამაპაპეულ სახლში დარჩა საცხოვრებლად, თუმ-

ცა ხან ერთი და ეხვეწებოდა, ხან მეორე — გადმოდი ჩვენთან ახალ ბინაში, როგორ არ მოგბეზრდა იმ ვირთაგვების დახრულიატაკიან და ნესტით გაჟღენთილკედლებიან ძველებურ ჯურღმულში ყოფნაო; მაგრამ, რომ იტყვიან, ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვაო, ისე იყო უმცროსი დის საქმე: მოუსმენდა უფროს დებს, ხანდახან სიცილით თავსაც დაუქნევდა, საცხოვრებლად კი ისევ თავის ძველ „ჯურღმულში“ რჩებოდა.

თუმცა სხვისთვის ნიადაგ წუხდა, ნიადაგ ზრუნავდა, მაგრამ ვერასგზით ვერ შეჰგუებოდა იმ აზრს, ვერ წარმოედგინა — როდესმე მისთვის ვინმე შეწუხებულიყო, თავიდან ვინმეს საზრუნავი გამხდარიყო. მეზობლებმაც კარგად იცოდნენ მისი ხასიათი და გულით ეწადათ მისთვის ყოველივე კარგი. სწორედ ეს იყო მიზეზი, როცა მოთმინების ფიალა აევსოთ — ასე მარტოხელამ როდემდის უნდა იაროსო — აიღეს და „გაიმეტეს“. „თვალის ასახელად“, გამოსაწვევად, გასაჯავრებლად შინაბერა შეარქვეს. მაგრამ იცოდა რა, რომ ამასაც მის სასიკეთოდ სჩადიოდნენ, სულაც არა სწყენია. ან კი როგორ უნდა სწყენოდა, ვინც გინდა იყოს, ოცდახუთი წლის გოგონას რომ შინაბერას შეარქმევთ, სიცილით მოკვდება, რადგან იცის, რომ ცხოვრება მას ჯერ კიდევ წინა აქვს. მართალია, „ჩვეულებრივ“ ხალხს ყველაფერი თავის დროზე უყვარს — საუზმეც, სადილიც, ძილიც და თუ გასათხოვარია ოჯახში, მისი გათხოვებაც, მაგრამ საკვირველი აქ მხოლოდ ისაა, რომ ისინი ერთ უბრა-

ლო ამბავს ვერ უკვირდებიან, თუ არ ითვალისწინებენ: როგორც ყველა ხე ერთსა და იმავე დროს არ ჰყვავის, ისე ყველა გასათხოვარი გოგონაც არ შეიძლება თავის ბედს ეწიოს ერთსა და იმავე ასაკში.

ასე იყო თუ ისე, საგინაშვილების უმცროსი და ჯერ თავის ეზოში, შემდეგ უბანში, ბოლოს კი-ყველგან, სადაც კი ნაცნობები და მეგობრები ჰყავდა, შინაბერად მონათლეს. ყველამ დაივიწყა, რომ ის გვარად საგინაშვილი იყო, მამამისს შიო ერქვა, და თავად მას კი აქამდე ციცოს ეძახდნენ. მისი გვარი და სახელი მარტო საბუღალტრო საბუთებსა, ხელფასის უწყისებსა და პასპორტს შემორჩა. ისევ ხდებოდნენ ავად ხან ერთი დის, ხან მეორის, ხან მესამის ბავშვები, ისევ გარბოდა შინაბერა სამსახურიდან ერთი-ორი საათით, დებს რომ მიშველებოდა, თუ რაიმე იშვიათი წამალი სჭირდებოდათ, ნაცნობობით ეშოვა, ბავშვს უცაბედად თერმომეტრი რომ გაეტეხა, სადმე მოეძია და, ასე, ხან შინაურებზე, ხან გარეშეებზე გადაყოლილს ერთხელ თვითონაც უწია ავადმყოფობამ. ნააბანოვარს, უფროსი დისგან რომ ბრუნდებოდა, გზაში ქარ-წვიმა დაესწრო. გაცივდა და თავის სიცოცხლეში პირველად ჩაწვა. ორ დღეს მეზობლებს ეხვეწებოდა — თქვენი ჭირიმე, ჩემს დებს არ შეატყობინოთ, არ გაუმხილოთ, თორემ შეწუხდებიან, მე კი მათი შესაწუხებელი არაფერი მეტყობაო; საკვირველი ის იყო, რომ კარგად ყოფნაში თან გადაყოლილი, ახლა ავადმყოფი და სიცხიანიც კი დების შეწუხებას ჩიოდა და არა თავის თავს.

მეზობლებმაც ორ დღეს კი შეუნახეს ხათრი, მაგრამ მესამე დღეს მაინც დაურეკეს უფროს დებს. თან ისიც დაუმატეს — უბრალოდ, გაცივებულია და რამდენიმე დღეს ვერ მოვაო. უფროსი დები, რასაკვირველია, ძალიან შეწუხდნენ, სამივენი მზად იყვნენ უმცროსი დის სანახავად. ეს ამბავი რომ შინაბერამ შეიტყო, სიცხემ კიდევ უფრო აუწია. მეზობლები საყვედურით აავსო — ხომ გთხოვეთ, რომ ნურაფერს გაუმხელთ, სად ეცლებათ ჩემთვისო. ერთმა მეზობელმა ვეღარ მოითმინა და მორიდებით შენიშნა — შენ ერთი იმათ სამ ოჯახს პატრონობ ხოლმე და ამ სამს ისეთი რა გაუჭირდება, ერთხელ რომ მოგხედონო.

მაგრამ შინაბერა ამ შენიშვნამაც ვერ დააწყნარა, სულ ერთთავად გაიძახოდა — რა მიყავით ეს, რა! ახლა მეზობლებიც შეწუხდნენ. მართლაც, რა ღმერთი გაგვიწყრა, რა გვიჭირდა ისეთი, რომ უფროს დებთან დავრეკეთო. ავადმყოფს ყველაფერი მოუმზადეს, რაც სჭირდებოდა და წავიდნენ. მთელ საღამოს, ფანჯარასთან თუ აივანზე დადარაჯებულნი, სულ იმის მოლოდინში იყვნენ, აი ახლა გამოჩნდებიან უფროსი დები, აი ახლაო. დების მოლოდინში ავადმყოფს სიცხემ კიდევ უფრო აუწია. ძილიც აღარ მიჰკარებია. შუაღამეს რომ გადასცილდა და კედლის საათს, ვინ იცის, ახლა მერამდენედ შეხედა — ცოტა ეჭვი შეეპარა — სიცხიანს ხომ არ მეჩვენებაო. არასგზით არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ამდენი დრო გასულიყო და დები აღარ მოაკითხავდნენ.

ის ღამე თეთრად გაათენა. წუხილს ახლა სირცხვილიც დაერთო, — დებმა რომ არ მინახულეს, მეზობლებს თვალებში როგორღა შევხედოო. ამას ალბათ მეზობლებიც გრძნობდნენ და ავადმყოფთან შესვლა ისე თავისუფლად ველარ მოეხერხებინათ. დების მიზეზით შინაბერა სულ უპატრონოდ დარჩა; მაგრამ მეზობლებმა გამოსავალი მაინც იპოვეს. ახლა ხან ერთ ბავშვს შეგზავნიდნენ შინაბერასთან, ხან მეორეს — ჰკითხეთ, ხომ არაფერი უნდაო. შესვლისთანავე ერთ-ერთი მეზობლის გოგონა უმალ გარეთ გამოიჭრა და დედას ახარა — ვკითხე და მითხრა, მინდაო! — მერე, შე სულელო, აღარ მოუცადე, ეთქვა, რა მინდაო? — გაუწყრა ბავშვს დედა. გოგონა ისევ ფრთხილად შებრუნდა ავადმყოფის ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა, მაგრამ რაღაც შეწუხებული და აბუზული გამოიყურებოდა. დედა უმალ ეცა ბავშვს კითხვით — რაო, შინაბერამ, რა მინდაო? ბავშვმა შეშინებული თვალებით შეხედა დედას და უთხრა — სიკვდილიო. ამის გაგონებაზე დედაც შეწუხდა. ეს ამბავი ეზოს ერთ წუთში მოედო. ყველაფერი გასაგები იყო. მეტი ლოდინი და ყოყმანი აღარ შეიძლებოდა; როცა მეზობლები შევიდნენ, შინაბერა საბანში დიდხანს მალავდა ნამტირალევ სახეს, ცრემლებით გაწითლებულ, დასიებულ თვალებს.

დების საქციელმა იმოქმედა, თუ რაღაც სასწაული იყო. მეორე დღისათვის შინაბერამ უეცრად მოიკეთა. გავიდა კიდევ ერთი დღე და შინაბერა ფეხზედაც წამოდგა. თავს სულ კარგად გრძნობდა და ის,

რაც ამ სამ-ოთხ დღეში გადახდა, ეგონა, ყველაფერი სიზმარი იყო. ავადმყოფობამ მასზე მხოლოდ იმ მხრივ იმოქმედა, რომ საშინლად გულნატკენი იყო დების უყურადღებობით, იმ დებისა, რომელთათვისაც ის აქამდე არც დროს ზოგავდა, არც ჯანს, არც სიცოცხლეს. შინაბერა გულის სიღრმეში ისე იყო გამწყრალი და ნაწყენი, არათუ უფროს დებთან მისვლაზე ფიქრი, მათი სახელის გაგონებაც აღარ სურდა.

თუ აქამდე, მისი ავადმყოფობის განმავლობაში, აივანზე თუ ეზოში ერთი ხმამაღალი სიტყვაც არ თქმულა, ახლა დილიდანვე ისეთი ალიაქოთი შეიქნა, გეგონებოდათ, ახალ ბინებში გადასასასლებლად აყრილანო. ეზოც საკმაოდ დიდი იყო, ორსართულიანი, ნალის მოყვანილობის სახლიც, მაგრამ ამდენ ხმაურს — ბერტყვის, ეზოს ონკანზე ჭურჭლის რიგრიგობით რეცხვისას ატეხილ რახუნს და აივნებზე როდინის ბაგაბუგს რა ეზო შთანთქავდა. ყურთასმენა აღარ იყო... შინაბერამაც მოიკეთა და სახლის ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ გაიღო თუ არა შინაბერას ფანჯრები და რაფაზე, როგორც ადრე მიჩვეული იყვნენ მეზობლები, გადმოეკიდა თუ არა აბრეშუმის ცისფერ საპირეგადაკრული საბანი, აქეთ-იქით კი უშველებელი აფუებული ბალიში და შვინდისფერი მუთაქა, უმალ გაისმა — უი, შინაბერაო! შინაბერას მოპირდაპირე მხარეს მცხოვრები მეზობლების გაკვირვებული შეძახილი მთელმა ეზომ გაიგონა. წამით მიწყდა ბერტყვაც,

რეცხვაც, ჭურჭლის რახუნიც, ყაყანიც და ნიგვზის ნაყვაც, ფილთაქვის ცემა, მეორე სართულის აივნებს რომ ისე აზანზარებდა. თითქოს ამ უეცრად ჩამოვარდნილმა მყუდროებამ შეაკრთო თუ უბრალოდ დაიმორცხვაო, შინაბერა ჯერ დაიმალა, მაგრამ მერე აივანზეც კი გამოვიდა და, როგორც ადრე სჩვეოდა, ყველას მხიარულად მიესალმა. მის გულს ფარული სიხარულით ავსებდა ეს საყოველთაო ყურადღება, პატივისცემა, და ამ სიხარულისგან მზად იყო ეტირა. სხვაგვარად რითღა შეეძლო გამოეხატა თავისი სულიერი მღელვარება?

— კიდევ კარგი, რომ ასე მალე მოიკეთე! — თქვა იმ მეზობელმა, წეღან რომ ნიგოზს ნაყავდა.

— ჰა, ჰა, ჰა! — ერთსულოვანი სიცილით გამოეხმაურა მთელი ეზო.

— უფროსი დების ბედზე!

— ჰა, ჰა, ჰა!

— იღბალი ჰქონიათ!

— ჰა, ჰა, ჰა!

— მოსვლა და მონახულება აღარ დასჭირდებათ!

— ჰა, ჰა, ჰა!

ამ სიხარულის გამომხატველ თუ გამკილავ სიტყვა-პასუხსა და სიცილში ახლა თითქოს ერთმანეთს ეცილებოდნენ მეზობლები. შინაბერაც გულით იზიარებდა მეზობლების მხიარულებას. ჯმის მიზეზი ხომ თვითონ იყო. დების გაკილვა კი სულაც არ სწყინდა,

რადგან სამართლიანად მიაჩნდა ყველაფერი, რაც ითქვა.

— იყვნენ ის შენი დაიკოები თავისთვის! ვნახოთ, ვინ ვის უფრო დასჭირდება!

შინაბერაც ამ აზრისა იყო. წელან რომ ნიგოზს ისეთი თავგამეტებით და მონდომებით ნაყავდა, ამ ქალის სიტყვები სწორედ რომ გულს ჰფხანდა.

— ჰყოლია თუ არა, — განაგრძობდა იგივე მეზობელი, — შენს შუათანა დაიკოს ბავშვი ავად... ახლა იქნება კიდეც ნანობს, ერთხელაც რომ ვერ დაგხედა სიცხიან ავადმყოფს, მაგრამ რაღა დროს...

ლაპარაკის საღერღელაშლილ მეზობელს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ უცებ სიტყვაც გაუწყდა და სახტად დარჩა. ამის თქმა და შინაბერას შეცხადება ერთი იყო.

— რაო, დეიდა?!! დოდოს ბიჭი ჰყოლია ავადო?!

გაფითრებული შინაბერა უმალ შინ შევარდა. საგარეოდ გამოწყობაზე არც კი უფიქრია, ძველ, დაბალქუსლიან ფეხსაცმელში ფეხი წაჰყო და საზაფხულო პალტომოსხმული წამში ისევ გარეთ გამოიჭრა. ხის კიბეზე გამეტებით რომ ჩარბოდა, ერთი კი დაიძახა — კარ-ფანჯრებს ღიას ვტოვებ, იქაურობას ყური უგდეთო. და, როგორც სულმოუთქმელად ჩაირბინა კიბე, ისევე სულმოუთქმელად გაირბინა ეზო. ალაყაფის კარებში დაფეთებულივით გავარდა.

სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა ეზოც, სახლიც. ამ სიჩუმეში მკაფიოდ გაისმა ლაპარაკის საღერღელაშლილი მეზობლის ხმა:

— გესმით, რა ხდება?!

გაოცებით გადახედეს ერთმანეთს მეზობლებმა.

— რა გაგება უნდა... გიჟი ყოფილა და აქამდე არ ვიცოდით!

— რასაც ადამიანი წლობით მიჩვეულა, იმას ერთი წუთი და ერთი შემთხვევა გადააჩვევს?!

— ნეტავი ყველა მაგისთანა გიჟი იყოს!

— მართლაცდა, თქვენგან არ მიკვირს? მაგის ჩვეულება სიკეთეს ემსახურება, სიავეს ხომ არა?!

კავალერი

იშვიათი სანახავი იყო პროსპექტი ამ საღამოს: აუარებელი მოსეირნენი, მათი მრავალფეროვანი ჩაცმულობა, ხმაური, ფუსფუსი; პროსპექტის ფართო ქუჩისა და ბულვარის მოასფალტებული ზედაპირი, ელნათურების სხივთა ანარეკლითა-და მოსეირნეთა მკრთალი გამოსახულებით აფორაჯებული, საღამოს მოსული ხანმოკლე ძლიერი წვიმის შემდეგ მთვარიან ღამეში მდორედ მიმავალი მდინარის ზედაპირივით ლაპლაპებდა.

ამ საღამოს ნანახით ნასიამოვნები, სახლში წასვლას რომ აპირებდა, უნებურად ლაღიძის წყალი მოაგონდა და ისე მოენატრა, პროსპექტის ბოლოდან უკან დაბრუნებაც კი არ დაეზარა.

წყლის მაღაზიაში შევიდა და რიგი დაიკავა. რიგში კარგა ხანს მოუხდა დგომა: საღამოთი აქ ბლომად იყრის ხალხი თავს.

ხენდროს სიროფით შეფერილი წყლიანი ჭიქა ხელში აიღო და მიბრუნდა, რათა შემდეგისათვის ადგი-

ლი დაეთმო, მაგრამ მიბრუნებისას გვერდით, რიგგარეშე მდგომ უცნობ გოგონას შეეფეთა, მკლავი შეაქანა და... გოგონას კაბა დაუსველდა. ვაჟის მოუქნელობით გაოცებული და შეურაცხყოფილი გოგონა უმალვე გარეთ გავიდა, რათა ცნობისმოყვარეთა ყურადღება არ მიექცია და ლაპარაკის საგნად არ გაეხადა ეს შემთხვევა; ვაჟი შეწუხდა, ბოდიშის მოხდაც ვერ მოასწრო, ისე გაუქრა თვალიდან ის უცნობი. წყლით სავსე ჭიქა დაზგაზე დადგა და გოგონას გამოუდგა.

როცა დაუახლოვდა, ნაბიჯი შეანელა, ახედ-დახედა: უცნობი მაღალი იყო, მწიფე შვინდისფერი კაბა ეცვა, სადა, მაგრამ ისეთი ოსტატობითა და გემოვნებით შეკერილი, რომ მისი სხეულის უთუოდ უნაკლო ნაკვთებს უფრო მეტად მიმზიდველსა და სრულყოფილს ხდიდა. წელზე მეშის ფართო ქამარი ერტყა.

ვაჟი გაუსწორდა, გვერდში ამოუდგა. გოგონამ ოდნავ წაიბორძიკა, არ შეჩერებულა. იცნო... ხმა არ გაუცია.

კაბის მოკლე იდაყვის ზემოთ მოჭერილი სახელოდან ხელისგულისოდენა ნაპირმოქარგული ცხვირსახოცი გამოაცოცა, ლამაზად მოხაზულ ტუჩის კუთხეებზე ფრთხილად მიიდო, უხმოდ ამოიოხრა.

ვაჟმა გადახედა, გაუღიმა.

— როგორც გატყობთ, ძალიან გულმოსული ხართ ჩემზე!

გოგონა სდუმდა, მისკენ არც კი მიუხედავს, რომ ეგრძნობინებინა — „არც იმდენადო“.

— სწორედ იმიტომ მივეცი თავს ნება, რომ... — ვაჟმა სათქმელი აღარ დაასრულა... — უნდა გამოვტყდე, რომ... — ვაჟი ისევ შეჩერდა, ეგონა ახლა მაინც უპასუხებდა მოთმინებიდან გამოსული გოგონა, თუნდაც ასე; „მერე ვინ გიშლით, იარეთ და ილაპარაკეთ!“ მაგრამ თვითონვე დაასრულა: — თქვენს სიახლოვეს ყოფნა მეტად სასიამოვნოა, თუმცა ჯერჯერობით არც ავს მეუბნებით, არც კარგს... თქვით რამე!

ქალი კვლავ დუმდა.

— მე მგონია, ჩემი ლაპარაკი კარგად გესმით, მართალია, ისე თავისუფლად ვერ ვლაპარაკობ, რომ თქვენისთანა გოგონას ყურადღება ამით მაინც მივიქციო, თუ გარეგნობით არა!

— ?

— რომელ ენაზე ლაპარაკობთ ყველაზე კარგად?

— ?

— თქვენ შეიძლება რამდენიმე ენა იცით, მაგრამ მშობლიური, ალბათ, ქართულია, გარეგნობა ქართველისა გაქვთ.

გოგონას მოგრძო სახე, შავი თვალები და შუაზე ოდნავ ხაზგამრუდებული ცხვირი მართლაც ქართველს ამსგავსებდა.

— მაშ ჩემთან არც ერთ ენაზე ლაპარაკი არ გსურთ?!

— ?

— თუნდაც მისაყვედურეთ, რომ ასეთი მოუქნელი ვარ, მშვენიერი კაბა დაგისველეთ და ხალხში გა-

გაწითლეთ, ნებადაურთველად აგედევნეთ, გელაპარაკებით, თავს გაბეზრებთ... ყველაფერში, ყველაფერში შეგიძლიათ დამდოთ ბრალი, მაგრამ ერთს კი ვერ მისაყვედურებთ...

— ?

— მართალია, ერთხელ დალაპარაკების შემდეგ თქვენი ასე ადვილად დათმობა გამიძნელდება, მაგრამ თუ ჩემგან ბოდიშის მოხდას არ მოითხოვთ, სხვა გზა არა მაქვს, გარდა იმისა, რომ მშვიდობის გზა გისურვოთ.

— ?

— მე მხოლოდ ვალის მოხდა მინდოდა... უფრო სწორად, ბოდიშისა.

— ?

— შეიძლება იფიქროთ, რომ წინასწარი განზრახვაც მქონდა თქვენთან გაცნობისა და სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე თითქოს... გეფიცებით, არასოდეს არ მინახავხართ და არც ის გამიგია, როგორ გაჩნდით იქ, მაღაზიაში, ჩემ გვერდით... ხომ მართალია?

— ?

— დუმილი, რაგორც ვრწმუნდები, კარგი ხერხია არასასიამოვნო უცნობის თავიდან მოსაშორებლად.

ვაჟმა შეხედა, გაუცინა. ცდილობდა, როგორმე ქალს პასუხი გაეცა.

— ეს მაინც მითხარით, სანამ დავშორდებოდეთ: თქვენს დუმილს მე ვეწირები მსხვერპლად, თუ... სხვებიც იყვნენ?!.

— ?

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორივენი ახალგაზრდები ვართ; მე მგონია, ერთმანეთისადმი მეტი თავაზიანი და ზრდილობიანი მოპყრობა გვმართებს... მე თუ რამ ცუდი ჩავიდინე, წინასწარი განზრახვით არ მომხდარა; უნებური შემთხვევის ბრალი იყო... ქუჩაში რომ დაგეწიეთ და შინაურულად საუბარი გაგიმართეთ, ასეთ საქციელში თქვენ შეიძლება ცუდი რამ იპოვოთ, მაგრამ გულით რომ კარგი მსურდა, სწორედ ამან მაიძულა და გამათამამა... მე მხოლოდ ბოდიში მინდოდა მომეხადა; თქვენი წყენა ამ საღამოს არ მინდოდა სახლში გამყოლოდა, ჯერ არავისი მოვალე არ ვყოფილვარ... არ ვიცოდი, მეორედ როდის შემხვდებოდით, თუმცა ჩვენი ქალაქი არც ისე დიდია, რომ ვინც ერთხელ გინახავს, უკვალოდ დაგეკარგოს... თქვენ პირველსავე თავაზიან და ზრდილობიან შეკითხვაზე ხმა არ გამეცით... არც კი შემომხედეთ... როგორც ახლა! ისე მიდიხართ, თითქოს... თუმცა უნდა გამოვტყდე — სიარული იშვიათი გაქვთ... თქვენი მომხიბლავი თვისებები, შეიძლება ბოდიშის მოხდით ითქვას,-უფრო მეტი ქების ღირსი გახდებოდა, თქვენივე ამპარტავნობა რომ წინ არ ეღობებოდეს...

— ?

— ხომ შეგეძლოთ, თავიდანვე გაგეფრთხილებინეთ... რომ, სანამ ერთმანეთს ოფიციალურად არ გავიცნობთ უფრო შესაფერ ადგილას და შესაფერ პირობებში... და სხვა ამგვარი, მაგრამ მაშინ ხომ

ბოდიშის მოსდას აზრი აღარ ექნებოდა... არა! თქვენი ბრალიცაა, ჩამითრიეთ: თქვენ მიერ დუმილით შეხვედრილ პირველ შეკითხვას მეორე, მესამე და მეათეც მოჰყვა... თავი გამოვიდე, შეიძლება დავიმცირე კიდეც.

— ?

— მე მგონია, სანამ ერთმანეთს დავშორდებით, ერთი სიტყვით მაინც გამცემთ პასუხს, ცუდი არაფერი მიკადრებია... არც შეგვფერის ახეთი, ახალგაზრდები ვართ... — ვაჟს კიდევ ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, რომ როგორმე გოგონას გული მოეგო, მაგრამ გოგონა მოულოდნელად ნაცნობს შეხვდა. ხალხისათვის სიარულში ხელი რომ არ შეეშალათ, ბულვარის ნაპირას დადგნენ, უმალვე ხელები უცნაურად შეათამაშეს ჰაერში... თითებს ხან პირზე, ხან მკერდზე მიიდებდნენ და თვალებით, პირით უსიტყვოდ ერთმანეთს რაღაცას უხსნიდნენ... შემდეგ ხელებს კვლავ ისე სწრაფად აათამაშებდნენ ჰაერში, თითქოს ობობასავით უხილავი ძაფით რაღაცას ქსოვდნენ...

ვაჟი განცვიფრებული შესცქეროდა. გამვლელები წამდაუწუმ ეჯახებოდნენ, მაგრამ ის ვერც კი გრძნობდა ამას და არც მათი საყვედურები ესმოდა. გოგონებმა რამდენჯერმე შეხედეს, გაუცინეს და მერე ისევ განაგრძეს ხელებით უსიტყვო საუბარი.

„ასეთი ლამაზი, ასეთი მოხდენილი გარეგნობისა და“... სინანულით იგონებდა სახლისაკენ მიმავალი ვაჟი იმ გოგონას, იმ საბრალო გოგონას, რომელსაც, ვინ იცის, როგორ უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ...

ესტატე

სადგურის მოედანს კახეთის მატარებლით ჩამოსული ხალხი მოეფინა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ სიჭრელეში აქა-იქ თუშურქუდიანი პირმრგვალი მამაკაცები საოცრად გამოირჩეოდნენ და ყურადღებასაც სხვებზე მეტად ისინი იქცევდნენ. ამ ჯმუხ, ხარისთვალება მამაკაცებს ისე მსუბუქად მოჰქონდათ ხურჯინები და ტილოთი თავგადაკრული სავსე კალათები, თითქოს ცარიელიაო, თუმცა სიმძიმისაგან კალათებს სულ ჭრაჭუნი გაუდიოდათ. ერთ თუშურქუდიან, ულვაშშეჭაღარავებულ გლეხს მარჯვენა მხარზე გადაეკიდა გატენილი ხურჯინი. ხურჯინის უკანა თვალიდან ბატკანს ამოეყო თავი. პატარაობაში ხომ თითქოს ყველაფერი ლამაზია, იხვის ჭუჭულიც კი, მაგრამ ეს ბატკანი მაინც სულ სხვა იყო, სწორედ ამაზე შეგეძლო გეთქვა — ღვთის გაჩენილიაო და, აკი იმიტომაც გააყოლა თვალი მილიციელმა. გააყოლა და სწორედ იმ მიმართულებით, საითაც გლეხი ეშურებოდა, დაფერდებული გაზონის ბალახ-

ზე წამოწოლილი კაცი შენიშნა. მილიციელმა ამხანაგს რაღაც უთხრა და იქით გაეშურა. მძინარეს თავს წაადგა, სასტვენი მოიმარჯვა. არხეინად წამოწოლილ უცნობს ჩაეთვლიმა. წელში ოდნავ მოხრილს, მარცხენა ხელი ლოყის ქვეშ ამოედო, მარჯვენა კი შარვლის ნაკერის გასწვრივ, ბარძაყზე ესვენა. მისმა გარეგნობამ მილიციელი ცოტა შეაყოვნა. ეს კაცი რაღაც არ ჰგავდა უცხოსა და გადმოხვეწილს; თითქოს ეცნაურა კიდეც. დაიხარა, სახეზე უფრო დაკვირვებით დააცქერდა. მილიციელი წელში გასწორდა, მაგრამ ახლაც იმის ფიქრში იყო, სად უნდა ენახა იგი.

მილიციელს სასტვენით მძინარის გამოფხიზლება არ დასჭირვებია. ანაზდად თვლემამორეული უცხო ერთი შეიშმუშნა, ქუთუთოები აახამხამა და თავს წამომდგარი კაცის სილუეტი რომ ეცა თვალში, ვერ იცნო. დინჯად წამოიწია, მაგრამ არ ამდგარა. მჯდომარე, მუხლისთავებს მსხვილი, მკვრივი თითებით მოეჭიდა და მილიციელს ირიბად ახედა.

— მეც არ გამიკვირდა, სულთამხუთავსავით თავზე ვინ წამომდგომია-მეთქი... კაცო, მაშ ჩამძინებოდა? — ახლა მისი ყურადღებაც მიიქცია მოედანზე მოფუსფუსე ხალხმა. — რა ხალხია? რომელი მატარებელი ჩამოდგა თუ იცი?

— კახეთისა.

— ჰო, მე ხაშურისა ან ბორჯომისა მინდა... იმ სიზმრის მოთავება მაინც გეცლია, შე კაი კაცო!..

— უკეთეს სიზმარს ნახავ უბნის სამორიგეო კა-

მერაში! — უცხოს გაკვირვებულ შემოხედვას მილიციელმა ყურადღება არ მიაქცია, — ე ბალახი რომ გემოზე მოგითელავს და მოგიჯეგავს, იცოდე, მამაშენის დათესილიც რომ ყოფილიყო, ჯარიმა არ აგცდება!

უცხომ მიამიტად იკითხა:

— რათა?.. მე ვიცი, ირმის ჯოგი დაგიდის და მოთელილ ბალახს პირს აღარ დააკარებს.

— ირმისა? — გაიცინა მილიციელმა. — კაცი დაბერებულხარ და მაგ ბალახის ფასი კი არ იცი! — მილიციელმა ამ უცხოში გარეგნობის მიხედვით გლეხი შეიცნო და სცადა თავისი შენიშვნით გული ეტკინა მისთვის.

მილიციელის ნათქვამზე ცოტა შუბლშეკრულ და განაწყენებულ უცხოს შუბლიც გაეხსნა და კიდევაც გაეცინა. მილიციელმა კი გულსატკენ შენიშვნას მუქარაც მიაყოლა.

— აი, უბანში რომ მიგაბრძანებ, მაშინ გაიგებ მაგ ბალახის ფასს!

უცხო ხელისგულებს დაებჯინა, წამოდგა, გაზონიდან ტროტუარზე გადმოვიდა, მერე ხელისგულები გაიბერტყა და ბეჯითად თქვა:

— თუ კაცი ხარ, ნუ მიწყრები, ბალღი ხომ არა ვარ, შემეშინდეს... შენ დაბადებულიც არ იქნებოდი, რომ ემაგ ბალახის ფასიც ვიცოდი და...ჯიშიც. — ხალათი გაისწორა, ძილში განზე მოქცეული თუშური ქუდიც თავზე მჭიდროდ ჩამოიცვა, მერე, რაღაც მონანიების თუ დანაშაულის შესამსუბუქებელი კილოთი შენიშნა:

— რა იყო, წამოვწექი... ბალახია... მომენატრა!

— შენ რა, სოფლიდან ახალი ჩამოსული ხარ?..

— ახალი ჩამოსული რად ვიქნები, ბარე ოთხი წელიწადია ამ მტვრიან ასფალტს დავცქერი, მაგრამ რა, ოთხი წლის შემდეგაც რომ მოგენატროს ეს ზურმუხტი, გასაკვირია? ის კი არა და...

— მაგისთანა ზღაპრებისათვის არა მცალია. ჯარიმას აქ გადაიხდი თუ უბანში?

უცხომ ერთი ისე ასედა მილიციელს, ვერ დარწმუნებულიყო, ემუქრებოდა თუ ეხუმრებოდა.

— მაინც რაზედ მატყობ, რომ დასაბრიყვებელი პირი მიჩანდეს? ჯარიმის გადამხდელი არც აქა ვარ, არც უბანში. რათა, რისთვის, თორემ კი...

— მაშ, წავიდეთ და, აქ რომ იოლად გადარჩებოდი, სამაგიეროდ იქ ოთხში ამოგიღებენ...

— მეც არ ამოვეღებინები.

მილიციელმა ერთხელ კიდევ შეისწორა ხალათის კალთები, ნაგანის ცარიელი ბუდეც მოსინჯა უცხოს დასანახავად (იარაღი წელან საგუშაგოზე შემცვლელს გადააბარა) და ანიშნა, წინ წამიძეხიო.

— არსადაც არ წავალ. — ისე თქვა უცხომ, დაგაჯერებდათ. ქამარში ცერა თითები ჩაჰყო და თეძოების გასწვრივ შემოატარა ხალათის შესასწორებლად. — შენ თუ გეჩქარება და საქმე გიფუჭდება, წადი, ჩემი ცქერა რას გარგებს... მე საშურის მატარებელს უნდა დავხვდე.

— მოქალაქევ, შენი საბუთი! — ახლა კი წყრომით და ცოტა მოთმინებიდან გამოსული კაცის კილოთიც

შეაწყვეტინა სიტყვა მილიციელმა გათამამებულ უცხოს.

— რომელი საბუთი? ჩემ სამშობლოში რა საბუთი მინდა, არ მეტყობა, ვინცა ვარ?!

სულაც რომ არ იყო მოსალოდნელი, მილიციელს ამ სიტყვებმა ერთბაშად გული მოულბო და ახლა უცხოს სახეს ისე დააკვირდა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, გამოადგებოდა თუ არა საბუთად მისი გამომეტყველება და გარეგნობა.

თვალშისაცემი იყო თავზე მჭიდროდ ჩამოცმული თუშური ქუდი, ღრმა და მკაფიო ნაოჭებშემოვლებული ფოსოებიდან კეთილად მზირალი თვალები. სიამაყის ნაოჭი წარბების შესაყართან თითქმის არ აჩნდა, მზით დამწვარი სახის კანი ოდნავ გაფითრებოდა, და თუ სულ ერთიანად გათეთრებული, თავისუფლად გაშვებული მსხვილღეროიანი ულვაშები და მოკლედ შეკრეჭილი, ულვაშის ბოლოების დასწვრივ ყბებზე ჩამოპარსული წვერი მის ხნოვანებას აშკარად ამხელდა, კაცი სამოც წელს გადაცილებულს ჰგავდა, სამაგიეროდ მისი უნაოჭო, მკვრივ კუნთებად შეკრული ლოყები გაფიქრებინებდათ, ორმოცი წლისაც არ არისო. მილიციელმა ქუდი გადაიწია და ქოჩორი მოიფხანა.

— წეღან რომ თქვი, ბარე ოთხი წელიწადია ასფალტის მტვერს დავცქერიო, ისე მაინც... სადაური ხარ?

— სადაური და... ატოცი გსმენია?

ატოცის გაგონებაზე მილიციელს ერთბაშად ნირი

წაუხდა, შემცბარს სირცხვილის ალმურიც შემოენთო. ის ახლა ენაჩავარდნილი იდგა და თვალებში ვეღარ შეეხედა უცხოსათვის.

— განა არა, — ჩაიცინა უცხომ, — ატოცის ასავალ-დასავალი საიდან გეცოდინება! — წყენით დაუმატა ნათქვამს.

— ასავალ-დასავალი კი არა... მეზობლები ვყოფილვართ, — წაილუღლუღა მილიციელმა. — გიორგიწმინდელი ვარ.

ესტატე გამოცოცხლდა.

— კილოზე ვითომ მიგიხვდი, ოსია-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ თუ გიორგიწმინდელი იქნებოდი, ამას რა მაფიქრებინებდა. — უცხომ მილიციელს ხელი გაუწოდა, — მე ესტატე ვარ! შენა?

— რაკი ატოცელი ყოფილხარ, იქნებ გიორგიწმინდელი ქარქუზა ხარებოვიც გაგიგონია...

— გამიგონიაო?! — ესტატემ ულვაშზე ხელი გადაისვა, ცალთვალმოჭუტულმა გახედა მილიციელს.— ქორწილსა და ნათლობაში კი ერთად არ გვიქეიფია?! საერთო ძმაკაცების შესანდობარიც კი ერთად არ შეგვისვამს... კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მაშ იმ ცალთვალა დევის ბიჭი ხარ?!

— იმის ბიჭი ვარ, თედოი!

— რას ამბობ, კაცო! ეს რა მესმის?

მერედა ქარქუზას ბიჭი დაჯარიმებით მემუქრებოდი?!

ორივეს გულიანად გაეცინა. ბეჭებზე ხელებიც

კი შემოჰკრეს ერთმანეთს მეტისმეტი სიამოვნებისაგან.

— მერედა, ძია ესტატე, აქ, გაზონის ბალახზე რას წამოწოლილხარ, ამ მტვერსა და ხმაურში, ამ სადგურის მოედანთან...

ესტატემ ამოიოხრა.

— მა სად წავიდეს კაცი... გულზედ ბელტივით გადაწოლილი დარდის გადასაგორებლად მოედანზე ხშირად ჩამოვდივარ, მატარებელს ვხვდები, იქნებ იმ ლიანგში ერთი ჩემი თანასოფლელი მაინც გამოერიოს... იქაურ ახალ ამბებს გამოვკითხავ, ძველს გავიხსენებთ... ჩემს დღეში მყოფ კაცს მეტი რა უნდა...

— თუ გული ისევ იქით მიგიწევს, ველარ გამიგია, აქ რაღა მოხელე ხარ, რას ელოდები?

— შენ ეგა თქვი! მაგრამ ვინ მოგასვენა. შვილები სულ აქეთ გადმობარგდნენ... ჰოდა... მეც დამიყოლიეს... დაყოლიება რასა ჰქვია... გამასულელეს. ჯერ იყო და უფროსმა ბიჭმა ქნა აქეთ პირი, მერე — მისმა მომდევნომ... გამეხარდა, მე ხომ აქა ვარ და ვარ, რა უშავს, თუ ერთი-ორი შვილი ქალაქშიაც მეყოლება-მეთქი. მაგრამ თურმე იმ ანდაზისა არ იყოს, ერთ თითს რომ მოკაკვავ, დანარჩენებიც თავისთავად მოიკაკვებიანო, ისე ამიხდა. უფროსს მომდევნომ მიბაძა, მომდევნოს — მისმა მომდევნომ და იმ რვა შვილში ბოლოს მარტო ერთი ქალიშვილი შემოგვრჩა ხელში... მერე ისიც გათხოვდა, და... დავრჩით მე და ჩემი დედაკაცი ასე იაქედ. შენ ისა თქვი, უფროსი რომ ქალაქს წამოვიდა, წეღან რომ გითხარი, გამე-

ხარდა-მეთქი, გახარება რას მიქვიან, უღელი ხარი რომ მყავდა, მივაყიდე და ერთი ოთახი აგერა, ცხრა ძმის ქუჩაზე შევიგულე, ვუყიდე იმ ბიჭს და ჩავასახლე... მე კი ამის შემდეგ ტყიდან შეშას ზურგით ვეზიდებოდი. რა ვიცი... ჭკუას სხვები მეკითხებოდნენ, მაგრამ მე კი, როცა გამიჭირდა, ვერავის დავესესხე და... ცხოვრებას, იცი, თედო, ორი კანონი ჰქონია — დაწერილი და დაუწერელი... დაწერილ კანონს შეიძლება რამე უეშმაკო და... გაჩუმდება, მაგრამ იმ დალოცვილი ღმერთის დაწერილს რას მოუხერხებ... ღმერთს ვერც მოერევი, ვერც მოისყიდი. აი, ღმერთის დაწერილი კანონის წაკითხვაში მოვტყუვდი.

— ძია ესტატე, მოტყუებული რათა ხარ... შენი ბედი, რომ შვილებს თბილისში მოუსურვებიათ ცხოვრება და არა ციმბირში... მაშინ რაღა უნდა გექნა... ირკუტსკი გაგიგონია?..

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს...

— ჰოდა რა, ეჭვი გეპარება რომ შვილებს შენთვის სიკეთე არ უნდოდათ?..

— სიკეთე რომ უნდათ, მაგაში ეჭვი რომელ მშობელს ეპარება, თუ თავიდანვე მშობლად ვარგოდა, მაგრამ... რა მომისდება და რა მაწყენს, ეს მე სხვაზე უკეთ არ უნდა ვიცოდე?

— უნდა იცოდე და, ხშირად იცი კიდეც, მაგრამ ვინ უგდებს ყურს, შენ რა იცი და რა არა.

— შენ ეგა თქვი! კაცო, შვილი რომ შვილია, შეიძლება ისიც კი იმას ფიქრობდეს, კარგი მამა მაშინ ხარ, თუ მის ჭკუაზე დადიხარ!

— ეგ კი, შენ რომ წელან თქვი, იმ კანონისაა... დაუწერელის! მე რომ, დაწერილი კანონის მცველს, შემეჭიდე, განა დაუწერელი კანონის მცველიც გიორგიწმინდელია, ესტატეს ხათრით თვალი დახუჭოს, რაკი ის ატოცელი ყოფილა!

— ჰოდა რა გინდა, თუ ბიჭი ხარ, გადი და გამოდი მუშაითივით მაგ ორ კანონს შუა გაბმულ ცხოვრების თოკზე...

— ძია ესტატე, იცი, რა გითხრა?.. ბიჭობაც ეგ არის, რომ ე მაგ თოკზე თუ რაღაც ჯანდაბაზე მარჯვედ გადი-გამოდიოდე, და არა ისე... ზოგიერთივით მიწაზე ტაკიმასხარასავით იმეორებდე მუშაითის სახიფათო მოძრაობას და, თანაც კაცად მოგქონდეს თავი...

— ეე, ჩემო ძმაო... აი მეც მაგას ვჩივი! მერე იქ ვინ დაგაყენა, სადაც კაცად მოგქონდა თავი, სადაც მართლა ისე მარჯვედ გადიგამოდიოდი მუშაითსავით!.. იცი რა, თედო?! მე ჩემი დღე და მოსწრება მთესველი ვიყავი. კარგი მთესველის სახელი მქონდა გავარდნილი და, ტრაბახით არ ვიტყვი, ამ საქმეში იმ „თოკზე“ ჩემსავით ვერავინ გადი-გამოდიოდა. მეზობელი სოფლების კოლმეურნეობებიდანაც კი მაკითხავდნენ, ზოგი რჩევისათვის, ზოგი კიდევ რისთვის... ჩემი დათესილი მარცვალი რომ გაზაფხულზე წვერს ამოჰყოფდა, ასე მეგონა, ღმერთი მე ვარ, ეს სასწაული-ჩემი მოხდენილია-მეთქი! ჰოდა, მიწაზედაც ისე დაჯერებული დავაბიჯებდი, თითქო ამისი უფლება ყველაზე მეტად

მე მომეპოვებინოს. ახლა კი რა... თესე, ესტატე, ამ მტვრიან ასფალტზე... დავდივარ ამ უდაბნოსავით ქალაქში და ერთი კაცი რა არის, არ შემოგხედავს, ერთი ნაცნობი რა არის, არ შეგხვდება, რომ მოგესალმოს, გაგიღიმოს, გამოგელაპარაკოს, თავისი ჭირი თუ ლხინი გაგიზიაროს და შენც შენი უთხრა ამ შენს დარდებთან ჭიდილში გულგასიებულმა. იქ კი, ატოცში, სახლიდან გამოსვლა ერთი იყო, სალამი და მოკითხვა — ათასი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დიდის, პატარის, ქალის, კაცის — ძია ესტატეს გაუმარჯოს, ძია ესტატეს ვახლავარ, სალამი და გამარჯვება, ესტატე!.. რას ამბობ, კაცო!.. როდისმე ხელით მოგისინჯავს მჭიდროდ მოწნული, ყურძნით, გინდაც სიმინდის ტაროთი პირთამდე სავსე გოდრის სიმაგრე?.. იქ, ატოცში, სწორედ იმ გოდრის წნელივით მეკრა გარშემო ეს სალამი, ეს კაი გამარჯობა, ეს... სიტყვები კი არა, გულების გადაძახება... აქ კი, ის მჭიდროდ შეკრული გოდორი რომ გადმოაპირქვავო, დაცალო და დაფუშო, სწორედ ისე ვარ... ზოგისათვის იქნება მართლაც ბედნიერება იყოს მარტო იმის გაფიქრებაც — ქალაქში ვცხოვრობო. იმას კი, ვის ხელისგულებსაც უფრო მეტი ჯაფა დასდგომია, ვიდრე ქალამნის ძირებს, უსაქმობას რა მოათმენინებს... ის კი არა, ხანდახან აგრე მგონია, თითქოს მეღალატოს წინაპრებისათვის, ჩემი მიწა-წყლისათვის, თითქოს მე იქ ვიყავი გამწესებული და გამოვექცეცი ჩემს მოვალეობას, მაცდუნეს... შვილებმა! ახლა ისიც რომ გამახსენდება, სადაც ჩემი ბავშვობა და ყმაწვილკა-

ცობა გამიტარებია, მაშინ ხომ გული ფოლაქივით მომწყდება და ვინ იცის, როდის-როდის ვიპოვი ხოლმე... აფორიაქებული როდის დავლაგდები და დავშოშმინდები... ჰოდა, ხანდისხან იმასაც კი გავიფიქრებ ხოლმე შიშით, ხომ არ გავგიჟდი-მეთქი... მაშ, რა, გიჟის მეტი იმ სამოთხეს დატოვებდა და ამ ასფალტის მტვერსა და მანქანების ბოლში იგანგალებდა!.. იქ კი, ატოცის შემოგარენი, სუფთა ჰაერი, შორს ლურჯად ჩაბურული ტყიანი მთები, ყურის ძირში კი ჩიტების გალობა, ანკარა წყაროები, მდინარის თევზი! ლაჟვარდი ცა! ახლა მზეს აღარ იკითხავ? ეს დალოცვილი, იქ რომ სულ მწვავდა და მშუშხავდა, დამწვარ კანსაც ბრინჯაოსფრად გაუდიოდა ლაპლაპი, აქ, ხელში შემორჩენილი ცომივით არ ჩამომეკიდა ეს საცოდავად კანგაყვითლებული ლოყები?..

— შე კაი კაცო, ქალაქში ცხოვრობდე და მტვერს ჩივი!.. ზოგი ოღონდ ქალაქში მუდმივ მაცხოვრებლად გაწერე და, მაგ მტვერს თუ გინდა პეშვით შეჭამს.

ესტატემ გაოცებით შეხედა თედოს.

— შენი არ მიკვირს? — თედომ მაჯის საათს დახედა. — სამშობლოში არა ხარ? მა თბილისი რა არის?.. ზოგი, ვინ იცის, საიდან ჩამოხეტებულა და აქაურობას უკვე თავისად თვლის, შენ კი უბრალოდ გაძლებაც კი გიჭირს, თუმცა შვილები გარს გახვევია... რა გახდა ის შენი ატოცი.

— მაშინ მერცხალზე რაღას იტყვი... ან კიდევ იხვი რომ იხვია, იმანაც კი ზოგიერთ ადამიანზე უკეთ

რცის თავისი მშობლიური კუთხის ფასი... ორი-სამი თვით ჩამოფრინდება ჩვენთან, დაჩეკავს ჭუჭულებს და მერე ისევ გაუდგება გზას არაბეთისა ან აფრიკისაკენ... მიდის, მიეშურება ისევ იქით, საიდანაც მოფრენილა. ახლა ფერეიდნელი ქართველები? იმათი წინაპრები სამასი წლის წინ რომ გაურეკავს ძაღლთა პირ შაჰაბაზს, იცი, რას ამბობენ თურმე?.. ფერეიდანში დავიბადეთ, ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენი სამშობლო გურჯისტანიაო... ზოგს კი სამშობლო ისა ჰგონია, სადაც ან შემთხვევით დაბადებულა, ან მაძღარია... შეიძლება ენდო ასეთ ხალხს?..

— ძია ესტატე, შენ მართალი ხარ... უბანში მისასვლელი რომ არ ვიყო... ეხლა მეჩქარება... რაკი ხშირად აქა ტრიალებ, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, თუ ვინმე ატოცელი დავიგულე, ერთად გეწვევით...

— თედო, თუ მაგ სიკეთეს იზამ... ერთად მესტუმრეთ, აი იქა, ცხრა ძმის ქუჩაზე, აქედან მეათე სახლი ჩვენია. ჩემს უფროს ბიჭს უბანში ყველა იცნობს, გაბრიელს იკითხავ თუ არა, მოგასწავლიან.

— ცხრა ძმის ქუჩა. ბარემ ნომერიც მითხარი... გაბრიელი ნომერი ხომ არ არის, კაცის სახელია, შეიძლება სხვასაც ერქვას...

— ე მაგ ნომრებისა არაფერი ვიცი... სახელით კაცს ცხრა მთას იქითაც მიაგნებ, ცხრა ძმის ქუჩაზე კი არა...

— მაშ, კარგად მენახე! — თედო მხედრულად გამოეჭიმა ესტატეს, მერე უბნისკენ გაეშურა.

ესტატე ერთხანს ისე უმწეოდ, მიტოვებულივით იდგა, ისეთი სინანულით გააყოლა თვალი გიორგი-წმინდელს, თითქოს მოხუცს ცოტახნის წინ ნაპოვნი საბიჯგი ჯოხივით, ის თედო ვინმეს ხელიდან გამოეტაცოს.

ესტატე დინჯად გაუყვა ფიროსმანის ქუჩას, მიდიოდა და ცოტახნის წინ საღერღელაშლილს, მოგონებები ახლა თავს ისე დასტრიალებდნენ, თითქოს ყველაფერს ცხადად ხედავდა.

... სამი ძმა ჯერ ისევ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს... საღამოთი დიდ გლეხურ დარბაზში ორმოციოდე სული ვახშამს რომ მორჩება, ისეთი მყუდროება ჩამოვარდება, ბალახბულახში მიმალული მწერების ხმაც კი მკაფიოდ ისმის გარედან... დიდი, პატარა, ქალი, კაცი სუნთქვაშეკრული, მონუსხულივით მისჩერებია ესტატეს... ის კი ისევ იქ, გრძელი სუფრის თავში ზის, სადაც ვახშმობის ჟამს იჯდა, დანარჩენები კი, ვისაც სად უმჯობინებია, იქ მოკალათებულა... ესტატე ზღაპრის მოსაყოლად ემზადება... და ამ ერთბაშად ჩამოვარდნილ მყუდროებას ესტატეც კიდევ უფრო მოჰყავს გუნებაზე, მაგრამ არ ჩქარობს... იცის, რაც უფრო ძლიერად აეშლებათ მსმენელებს ზღაპრის მოსმენის საღერღელი, ბოლოს მით უფრო კმაყოფილი დარჩებიან.

— ნიკა! — წყნარად უხმობს ესტატე უფროსის მომდევნო ვაჟიშვილს, — ლამფას არ ჩაუწევ? ეგ შუქი შიგ თვალებში მცემს და რაღაც მიშლის...

— რაღა ჩავუწიო, სულაც ჩავაქრობ, ოღონდ არაფერმა შეგიშალოს...

— ბალღებს თუ არ შეეშინდებათ... — ეჭვით კითხულობს ესტატე.

— სულ პატარებს სძინავთ კიდეც... ან არადა დედის კალთაში რისა შეეშინდებათ, — უპასუხებს ნიკო. სწრაფად აქრობს ბუსარზე შემოდგმულ ლამპას.

მოულოდნელად, იმ სიჩუმეში თითქოს სადღაც შორიდან მოესმათო; ისე დაირხა ესტატეს ნაცნობი ხმა.... „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა...“

და ასევე უეცრად ჩაესმა ესტატესაც უფროსი ვაჟის ნაცნობი ხმა:

— მამი, საით გაგიწევია?!

ესტატე გამოერკვა, მოიხედა და ჭიშკარში გაბრიელს რომ მოჰკრა თვალი, მაშინღა მიხვდა, რომ ოციოდე ნაბიჯით სახლს გაცილებული და ოციოდე წლით წარსულში გადაბარგებული, იქ, ატოცში შინაურებს ზღაპარს კი არ უყვებოდა, თურმე ცხრა ძმის ქუჩაზე მიაბიჯებდა... მოხუცი უმალ ხვდება ყველაფერს და თავი რომ იხსნას, მიზეზს მარჯვედ პოულობს.

— რა იყო, აგერა მაღაზიაში პატარებს კამფეტს ვუყიდი და... მერე მოვალ, მა რა იქნება...

გაბრიელს კამფეტის ზღაპარი არ სჯერა. თითქოს მამის გულში იჯდეს, ყველაფერს მიხვედრილია.

— მობრუნდი, კაცო, მაგათთვის უკამფეტოდაც ტკბილი ხარ. სადაცაა დავსხდებით, თორმეტს გადასცილდა. უშენოდ ხომ არ ვისაუზმებთ.

— უჩემოდა? — ესტატეს ჩაეცინა, თორემ მეც რა ანგარიშში ჩასაგდები გყავართ.

ესტატემ ნაბდის ქუდი მოიხადა და როცა იხურავდა, შუბლზე დარდიმანდულად წამოიწია. შინაურებს რახანია შემჩნეული ჰქონდათ — თუ შექეიფიანებული ან ხუმრობის გუნებაზე გახლდათ, ქუდი ყოველთვის ასე, შუბლზე წამოწეული ეხურა.

გაბრიელმა აცალა, სანამ მამა პირს მისკენ იზამდა და მოახლოებულს საყვედურგარეული საალერსო კილოთი შეაგება:

— აბა ეგ რა ლაპარაკია... ჩასაგდები რომელია... ჩვენი ჯილაგის ანგარიში ყველაფერში შენით იწყება... შენა ხარ წინამძღოლი!

— წინამძღოლი, — კვლავ ჩაიცინა ესტატემ, — ატოცში რომ გეთქვა, კიდევ ჰო, მაშინ რა გზა მქონდა არ დამეჯერებინა, ახლა კი... რის მაქნისი ვარ... შენ შენს საქმეს მისდევ, ის თავის საქმეს, მე კი... მთესველი მქვია და ოთხი წელიწადია ჩემი ხელი ხორბალს არ დაჰკარებია... ერთი მარცვალი რა არის, ისიც არ ჩამიგდია სნულში, რომ ამოსული მენახა... ახლა მოდი და პირი მომიქონე, ანგარიშში ჩასაგდები ხარო... შენ რომ ჩამაგდო, მე დავიჯერებ?

— მაგისთანა საყვედური, რაც აქა ხარ, პირველად მესმის შენგან!.. — გაბრიელმა მამის შუბლზე წამოწეულ ქუდს ირიბად ჰკიდა თვალი, ჩაიცინა. —

შენ, მგონია, ხუმრობის გუნებაზე ხარ და მე კი ვერ მიგიხვდი...

ესტატემ უეცრად და გულმოსულად შეხედა გაბრიელს, ქუდი დინჯად გაისწორა, ორივე ხელით მჭიდროდ ჩამოიცვა თავზე.

გაბრიელს ნირი წაუხდა.

დღეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ესტატემ უფროს ვაჟიშვილსაც კი თავის გულში ჩაახედა...

ესტატემ ის იყო დერეფნის ზღურბლს გადააბიჯა, რომ ერთბაშად უკან მობრუნდა, კარის წინ დაფენილ სველ ტილოზე ფეხი რამდენჯერმე ისე გაუსვა, გულმოსულობა ამაშიაც კი შეეტყო.

გაბრიელი ფეხდაფეხ არ მიჰყოლია, ცოტა შეიცადა, ვითომ ეზოს თვალიერებაში შეყოვნებულიყოს.

ის იყო, ყველანი სუფრას შემოუსხდნენ და პირველი თავის ჩამორიგებამდე მწვანილს, ყველსა და ნიგვზით შეკაზმულ მამაპაპურ ლობიოს შეექცეოდნენ, რომ უეცრად მეზობლის ქალის კივილმა მთელ სახლს ჟრუანტელივით დაუარა. ყველა გაინაბა, პირისპირ მსხდომნი .გაკვირვებით მისჩერებოდნენ ერთმანეთს და რაღაც ავის მოლოდინში კრინტი ვერ დაეძრათ...

რა ხანია დაწვნენ, რა ხანია სინათლე ჩააქრეს, მაგრამ ძილი არავის მიჰკარებია... შუაღამეს უკვე გადაცილებული იყო, თუმცა უჩვეულო გარინდებას, რაც მთელ სახლში დასადგურებულიყო, არ შეიძლე-

ბოდა კაცი შეცდომაში არ შეეყვანა. და ესტატეც ფიქრობდა, რომ მის გარდა ყველას ეძინა...

ომსა, სვალინდელ დღესა და შვილების ბედზე ფიქრმა ესტატე შეუმჩნევლად წარსულში გადაისროლა. ერთი შემთხვევა მოაგონა, რაც რწმენასა და ერთგულებას უკავშირდებოდა...

ათიოდე წლის წინანდელი ამბავი იყო... ატოცის წმინდა გიორგის ეკლესიაში არა მარტო ახლომახლო სოფლებიდან, იმერეთიდან და კახეთიდან ჩამოსული მლოცველებიც მოსაღამოვებისთანავე გაიკრიფნენ ღამის გასათევ სადგომებში, რომლებიც ეკლესიასთან იყო გამართული.

შინ მიმავალმა ესტატემ ანაზდად მოჰკრა თვალი ერთ მლოცველს, რომელიც, ეტყობოდა, გვიან ჩამოსულიყო და ღამის გასათევ სადგომში ადგილი ვეღარ ეშოვა. იქვე, მინდორში, გზის პირას მოკალათებულიყო. ხურჯინზე მიწოლილს მაჯაზე თოკით გამობმული ბატკანიც ჰყავდა. ესტატე უცნობ მლოცველს, ხმელ-ხმელ' თმა-წვერშეჭაღარავებულ კაცს გამოელაპარაკა, შინ მიიპატიჟა. უცხო ჯერ უარობდა — არა მიშავს რა, ღამეს ღვთის წყალობით აქაც გავათევო, მაგრამ ესტატესთან უარი რომ არ გაუვიდა, აიბარგა და გაჰყვა.

ნავახშმევს სტუმარს მისი სურვილისამებრ ლოგინი აივანზე გაუშალეს, ესტატეს გვერდით.

სანამ დილით ეს შემთხვევითი სტუმარი გაიღვიძებდა, ესტატეს მეუღლეს უკვე მოესწრო სუფრის გაშლა. სტუმარს წყაროს წყლით ხელ-პირი დააბა-

ნინეს, სუფრასთან მიიწვიეს. ასეთი ყურადღებით, მასპინძლობითა და გულითადობით ნასიამოვნებმა სტუმარმა აღარ იცოდა, რით გამოეხატა თავისი კმაყოფილება... ესტატეც არანაკლებ კმაყოფილი და ნასიამოვნები ჩანდა, რაკი ამ უცხო კაცს ასერიგად პატივნაცემს ისტუმრებდა, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი თავდაყირა დადგა: სტუმარმა სამადლობელის შესმის წინ გულუბრყვილოდ თქვა:

— ჩემო ესტატე, ამ პატივისცემას რა დამავიწყებს, ან რით და როდის გადაგიხდი, მაგრამ კაცმა რომ თქვას, რა იქნება, მეც ჩემებურად აქვე გამოვხატო ჩემი მადლობა, თუნდაც იმით, რომ ის ბატკანი, წუხელის ეზოში რომ დავაბი და ღმერთისათვის უნდა შემეწირა, აქ დავკლა და... შევექცეთ...

ესტატეს ფერი ეცვალა. ჭიქა დადგა, სინანულით შეავლო თვალი სტუმარს.

— იცი, რა გითხრა, ძმობილო? შენ ნამდვილ მლოცველს არ ჰგავხარ! — ესტატე წამოდგა. — მე კი მეგონა, ნამდვილ მლოცველს გავათევინე ღამე ჩემს ჭერქვეშ-მეთქი და... მოვტყუვდი. შენ არ იფიქრო, ეკლესიაში სიარულით და წირვა-ლოცვის მოსმენით გატაცებული ვიყო. ეკლესიაში სულაც არ დავდივარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვისაც სწამს, პატივს არ ვცემდე!.. იცი, რა დიდი რამეა, თუ გწამს?! აი, მე მთესველი ვარ, და ჩემი ხელით ხნულში მობნეული მარცვლის აღმოცენება ისე მწამს, გოლვაც რომ იყოს, მარცვალს მარტო ჩემი რწმენა გააღვივებს და აღმოაცენებს-მეთქი!.. შენ კი... ეს რამ გათქმევინა, ღმერ-

თის შესაწირავი ბატკანი ჩემს ეზოში დაკლა და ჩემს სუფრაზე ჩამოარიგო!..

სტუმარი გაშრა, თავის გასამართლებლად ენა ვეღარ დაეძრა...

ესტატემ ბატკანი ახსნა, თოკის ბოლო სტუმარს ხელში შეაჩეჩა და ჭიშკრამდე უსიტყვოდ მიაცილა...

ესტატეს ფიქრი და მოგონება ერთბაშად შეწყდა ტახტის გაჭრიალებაზე... გაბრიელი წამომდგარიყო. დერეფანში უფროსი ბიჭი ფეხაკრეფით გამოვიდა, ჭიქა აიღო და ეზოში, ონკანს მიაშურა, წყლის თქი-შინმა ეზოს მყუდროება დაარღვია. გაბრიელმა ცოტა აცალა, სანამ მილში დაგუბებული წყალი გაცივდებოდა, მერე ჭიქა გამორეცხა, მაგრამ წყალი რატომღაც ტუჩმიშვერილმა ონკანიდან დალია. თვითონაც არ მიუქცევია ყურადღება, რომ ჭიქა ხელში ეჭირა. გამოყოლილმა ფიქრმა არათუ ჭიქა, თავიც კი გადაავიწყა...

დასველებული ფლოსტები დერეფანში დატოვა და შიშველი ფეხის ქუსლების ბჯენით ლოგინს მიაშურა; ესტატემაც სწორედ ამ დროს იბრუნა გვერდი, ჩაახველა, თითქოს შვილს თანაუგრძნობდა — მეც არ მძინავსო...

გაბრიელს თითქოს მამის წამოხველება არც გაუგონია, არ შეყოვნებულა, საწოლს ისე მიაშურა და ერთხანს ჯიუტად ჭრიალებდა მისი ტახტი. მერე, როგორც იყო, მოისვენა, თავქვეშ ხელები მოხერხებულად შემოიწყო და სიბნელეში ჭერს მიაშტერდა; თვალწინ ისე წარმოესახა ესტატეს სახე, თითქოს

ცხადად ხედავდა... ჭაბუკს რატომღაც იმ დღეებმა შეახსენეს თავი, როცა მამა მხიარულ გუნებაზე იყო, სტუმრებს მასპინძლობდა, სადღეგრძელოს „მრავალჟამიერ“ თუ „ჩავუხტეთ ბარათაშვილსა“ ენაცვლებოდა... მერე მთვრალებს, დაღლილებს დიდი გლეხური დარბაზისა თუ აივნის ფიცრულ იატაკზე გაუშლიდნენ ლოგინს და ყველა მოისვენებდა, ესტატეს გარდა: ესტატე კი საცვლებისამარა დადიოდა სტუმრების ლოგინებს შორის დატოვებულ ვიწრო გასასვლელებში.. ცალ ხელში ხელადა ეჭირა, მეორეში — თიხის ჯამი და ხან ერთ სტუმარს აუვსებდა იმ ჯამს, ხან—მეორეს... ჩაძინებულს აღვიძებდა, ჩათვლემილს აფხიზლებდა და კიდევ ერთხელ ალოცვინებდა ჭერს, ფუძეს, შინაურს და გარეშეს. ბოლოს ერთ ჯამს თვითონაც გადაჰკრავდა, ცოტა შეყოვნდებოდა და მოულოდნელად გაბრიელს უხმობდა. ხელადასა და ჯამს გადასცემდა, და უცებ წასასვლელად მომზადებულ უფროს ვაჟს გულში ჩაიკრავდა და ატირდებოდა. ბიჭს ერთხანს თავზე ხელს უსვამდა, შემდეგ საყვედურის კილოთი წამოიწყებდა და აღარ გაჩერდებოდა, ერთსა და იმავეს რამდენჯერმე უმეორებდა:

— შე უღმერთო, შენა, რამეს რომ დააშავებთ ხოლმე, ნიკო თუ ხელდახელ მოკურცხლავს, თავს უშველის, შენ რა ღმერთი გიწყრება, რატომ ნიკოსავით თავს არ უშველი ხოლმე, ბატკანივით რომ ჩამივარდები ხელში და ნიკოს წილსაც შენ გითავაზებ... რატომ, რატომ არ უშველი ხოლმე თავსა!.. ეგრე უნ-

და, ბიჭო? შენც გაიქეცი, შენც ორი ფეხი გაქვს, იმასაც, ჯანით კი იქნებ ორჯერ მეტიც იყო...

იატაკმა სწორედ გაბრიელის ყურთან გაიჭრიალა და ფიქრი შეაწყვეტინა... წელან ჭერისაკენ მზირალს თვალი შეუმჩნევლად მოუხუჭავს. ახლა კვლავ გაახილა და სიბნელეში მიმოაცეცა თუ არა, კარის ზღურბლზე ნაცნობი სილუეტი დალანდა... ახლა ნიკომ მოძებნა ჭიქა და მანაც გაბრიელივით ეზოში ონკანისაკენ აიღო გეზი... ორი ჭიქა წყალი სულმოუთქმელად გადაჰკრა, გამორეცხა, კვლავ აავსო და ქუჩის ბოძზე მბჟუტავი ელნათურის შუქზე გახედა. ზაფხულის ამ თბილ, ოდნავ შეხუთებულ ღამეში ცივ წყალს ჭიქა გაეორთქლა.

ნიკო დერეფანში შევიდა და გაჩერდა. დააყურადა. სიბნელეში ხმადაბლა დაიძახა:

— მამი... ცივ წყალს არ დალევ?

ესტატეს ხმა არ გაუღია, გაიფიქრა კია: ჩემს შვილებში, ალბათ, ყველაზე ეშმაკი ეს არისო.

ნიკომ არც დაიჯერა, არც მოეშვა.

— ეგრე რომ გაყუჩებულხარ, განა არ ვიცი... არა გძინავს და... ამოიღე ბარემ ეგ ხმა!

და ესტატეს ხმაც სიბნელეში ისე მოულოდნელად გაისმა, რომ ნიკო ცოტა შეკრთა კიდევაც.

— ჰო, არა მძინავს და... მიკვირს, რისგან არის, რომ ამდენ ცივ წყალსა სვამთ ამ ღამეში შენა და გაბრიელი...

— ალბათ, გვცხელა და იმიტომ...

— გუშინღამაც აგრე არა ცხელოდა? ამის მეტად

არ მახსოვს, ღამე წყლის დასალევად ამდგარიყავი...

— მერე იმას აღარ ანგარიშობ, იმ სიცხეს სხვაც რომ დაემატა?.. ბიჭი ხარ და დაიძინე... მთელი ქვეყანა, ალბათ, ფეხზე დგას და მე რაღა ეშმაკმა უნდა დამაძინოს!..

— შენ ეგა თქვი!..

ნიკომ ჭიქა მაგიდაზე დადგა. ესტატეს პირდაპირ, იატაკზე დაჯდა, მუხლმოკეცილმა ხელები წვივებზე შემოიჭდო, ნიკაპით მუხლისთავებს დაებჯინა.

— აქ რას ჩამომიჯექი? — გაიკვირვა ესტატემ. — ავად ხომ არა ვარ, ღამე მითიო!..

— მამი, იცი რა გამახსენდა?

— რა გაგახსენდა? — იკითხა ესტატემ.

— აი, შენ რომ გამთენიას წამოგვყრიდი ბალღებს და... სათიბში ან შეშის ჩამოსაზიდავად მიგყავდით... რამდენი წლისა ვიქნებოდი? ექვსის, შვიდის?... რა საოცნებო რამე იყო ღამით მგზავრობა! შენც ურმის კოფოზე რომ იჯექი და ღიღინებდი... მერე ურემს რომ თივით დატვირთავდი, მე და გაბრიელიც ვითომ გეხმარებოდით.

— რატომაც არ მეხმარებოდით...

— მერე დატვირთული ურმით რომ წამოხვიდოდი სოფელში. ჩვენ კი იქვე, რომელიმე თივის ზვინის სახელდახელოდ გაკეთებულ ღრუში შეგვსხამდი, თივას აგვაფარებდი და მიდიოდი... ჩვენ ერთხანს, განაბულებს, შიშის ჟრუანტელი გვივლიდა ყოველ გაფაჩუნებაზე, შემდეგ ჩახუტებულებს ჩაგვეძინებოდა კიდეც, როდის-როდის ცარიელი ურმით სოფლიდან

დაბრუნდებოდი, მოგვაკითხავდი, გვეძებდი, ხანდახან ადვილად ველარც კი მოგვაგნებდი, რომელ ზვინში შეგვლალე და გვეძახდი ხმამაღლა!.. რა დრო იყო! არა, მამი?

— კაი დრო იყო. რაზედ გაგახსენდა?

— რა ვიცი, გამახსენდა. ის კი აღარ გახსოვს?.. ზამთარში კუნძების მოსატანად ტყეში რომ მივდიოდით მარხილით და, თუ დაწინაურდებოდი, თოვლზე აწერდი ჯოხით — „აქეთ წამოდი", ისრითაც მიმართულებას აჩვენებდი.

— შენ თუ გახსოვს, მე რაღამ უნდა დამავიწყოს!.. ახლა წადი, გამოიძინე, თორემ გათენებამდე ისე ცოტა დრო დარჩა, სულ ერთია, ატოცის მოგონებებს ვერ მოლევ...

უწყებას უწყება მოჰყვა და ორი ვაჟკაცი ერთმანეთის მიყოლებით გაისტუმრა ესტატემ ფრონტისაკენ.

თუ ბიჭების დედას — ნინოს — გაცილების წუთებში ცრემლმა გულისპირი დაუსველა, ესტატეს ერთი წვეთიც არ გადმოჰგორებია თვალიდან. კარგად იცოდა რა ომის სიმუხთლე, შინაგანად შეშფოთებულს და აფორიაქებულს სახეზე არაფერი არ ემჩნეოდა. გულის დარდს სათნო ღიმილით და მხნეობის შთამნერგავი იერით ფარავდა. ეს ის წუთები იყო, როცა ჭირსა შიგან გამაგრების რწმენას და აუცი-

ლებლობას მკაცრი სინამდვილისათვის უნდა გაეს-წორებინა თვალი.

ფრონტზე შვილების გასტუმრების შემდეგ ესტატემ რამდენიმე დღე კიდევ ითმინა, იფიქრა, იბორგა და თავისი განზრახვა პირველად ნინოს გაანდო.

— განა არ ვიცოდი, — დინჯად უთხრა მეუღლემ, — შვილების წასვლა და შენი აშვება ერთი იქნებოდა...

— რაკი მეც უწყება არ მომსვლია, განა უმაგისოდ არ ვიცი, ამ ომში ჩემი ადგილი სად არის?! აქამდე თუ ყურადღება არავის მოუქცევია, ხვალ ქუჩაში რომ ატოციდან ჩამოსული შემხვდეს ვინმე, კოლმეურნეობაში, იცი, რა ამბავს ჩაიტანს? ი ჩვენი ესტატე თურმე თბილისში იმალებაო!..

— მარტო მაგან თუ შეგაშინა და აგაწრიალა, ნუ გეშინია, კარგად იციან, ვინ რა კაცია.

— ყელს კი გამოგჭრის და... ესეც რომ არ იყოს, შენა გგონია, რაკი დაიხოცნენ, იმ ჩვენი მშობლების სული ჩვენზედ აღარ ზრუნავს. ჩვენზედ არა წუხს? მაგრამ რა ქნას, რომ ვერ ვუპოვნივართ... აქ როგორ მოგვაგნოს, იმათი სულები იქ, იმ ჩვენი ძველი მამა-პაპური სახლის სხვენსა და დარბაზში დაბორიალობენ... დაბორიალობენ და ალბათ ძალიანაც წუხან, რომ იქაურობა მარტო სულების ამარა დარჩენილა... ნინო, შენ როგორც გენებოს, მე კი დღეის ამას იქით

აქ ერთი წუთითაც დამყოვნებელი აღარა ვარ... უსაქმოდ ყოფნის ნება აღარა მაქვს...

ატოცს რომ ჩავიდნენ, დაღამებული იყო. გზად კაციშვილი არ შეხვედრიათ. ჩაბნელებულ სოფელს რაღაც უცნაური გარინდებაც დასწოლოდა. სანამ შორს, სოფლის განაპირას ძაღლის ყეფა არ ატყდა, ესტატემ შიშით ისიც კი იფიქრა, სოფელი ხომ არ აყრილაო.

საგულდაგულოდ დაგმანული ჭიშკარი რის ვაი-ვაგლახით გააღო და ეზოში შევიდა. აქაურობას ვეღარ ცნობდა, თუმცა ამ ღამეში ბევრს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ საამისოდ ისიც კმაროდა, თავის ნებაზე მიშვებული, გაველურებული ბალახბულახი რომ წელამდე შემოსწვდა.

ბარგი ჭიშკართან დააწყო, ცოლსა და შვილიშვილს უთხრა — თქვენ ერთი წუთით მანდ დამიცადეთო და, ბერიკაცი რაღაც ჯიუტი გულმოდგინებით შეუდგა გადარეული ბალახის, ნორჩი ეკალბარდის დასტა-დასტად ფეხით გადაწვენას და ძირის მოჯეგვას, რომ ის გალაღებული ბალახი წელში ვეღარ გასწორებულიყო.

ათ წუთში ერთი მეტრის სიგანეზე ბალახში გასასვლელი უკვე მზად იყო. ესტატე მობრუნდა, ჭიშკართან დაწყობილ ბარგს ხელი წამოავლო.

— აბა, ახლა მომყევიო! — უთხრა ცოლს და შვილიშვილს.

— ამდენს რას წვალობდი ამ ღამეში, შე კაი კაცო, გათენდებოდა, ხვალ გათიბავდი ამ ბალახს და ის იქნებოდა.

— რა ვიცი, ხვალ დილამდე გული მომითმენდა ჯავრის ამოსაყრელად, ე ბალახი რომ ასე გათავსედებულა!

ესტატემ პირველ სართულზე ამ სიბნელეში მარნის კარიც მოსინჯა. დიდ, ნახევარკილოიან ბოქლომს ხელი მოსჭიდა და დაეჯაჯგურა. გუნებაში ესიამოვნა, რომ აქაურობა ისევე ხელუხლებელი დახვდა, როგორც დატოვა. მერე გამხნევებულმა და გახალისებულმა კიბის ძირას დაწყობილ ბარგს ხელი წამოავლო და, უკვე მეორე სართულზე ასული, მეუღლისა და შვილიშვილისაკენ გაემართა.

ოთახის კარის გასაღები ესტატემ ხელის ფათურით მონახულ ხვრელს უსწორა სიბნელეში.

— ეს ოხერი, საკეტის ენა დაჟანგულა თუ რა, გასაღები ვერ შემომიტრიალებია.

— ფრთხილად, კაცო, ძალასაც ნუ დაატან, თორემ მე ვიცი, გასაღებს რამეს მოსტეხ და დამრჩები ხახამშრალი... კარის მტვრევას ხომ არ დავიწყებ, ქვეყანა გაიგებს, ქურდები ვეგონებით.

— სწორედაც უნდა გაიგოს ქვეყანამ რომ ესტატე ატოცშია! ქურდები კი რაზედ ვეგონებით? რო გამოვლენ, ვერ გვიცნობენ?

— ამ ღამეში მეზობელი კი არა, ძაღლიც ვერ იცნობს პატრონს.

— ესტატე და ხმაზე ვერ იცნონ?.. იცნობენ, შენ არხეინად იყავი!

ამ ლაპარაკში, ფრთხილად რომ არყევდა ხვრელში გასაღებს ესტატე, ერთხელ კიდევ მოიღო ტკაცანი, მეორედაც გადაატრიალა გასაღები ესტატემ, უბიძგა და ჭრიალით გაღებული კარის ღრიჭოშივე გამოვარდა რა ხნის დაგუბებული ბუღი. მაგრამ ახლა ბუღი დაახევინებდა უკან ესტატეს? კარი ფართოდ გააღო და ზღურბლზე, სიბნელეში, დოინჯშემოყრილმა ამაყად გაიხედ-გამოიხედა, — ამას რას მოვესწარი, ისევ ჩემს მამაპაპურ სახლში ვარო!

თბილისიდან წამოღებული კარტოფილის სანთელი აანთეს. დარბაზის კედლებზე და ჭერზე უმალ აბორიალდა სამი ადამიანის ლანდი... იქაურობა ერთ წამში გამოცოცხლდა, ესტატე კი... თითქო ხელახლა დაიბადა. სხვა რამ გრძნობას ახლა აღარ იწვევდა ის გარემოება, რომ ესტატე კვლავ მშობლიურ სოფელში იყო, მამაპაპისეულ ჭერქვეშ ათევდა ღამეს, რომ სწორედ იქ ეგულებოდა თავი, სადაც ის თითქო თავიდანვე ბედმა გაამწესა, სადაც მიწას აჩნდა მისი წინაპრების ნატერფალი, ეცხო შრომაში დაღვრილი ოფლი და ბრძოლაში დაღვრილი სისხლი.

ნინომ მაგიდის კუთხეში გაზეთი გაშალა, ზედ თბილისიდან წამოღებული სანოვაგე — მოხარშული ხორცი, პური, ყველი — ჩამოარიგა თბილისიდანვე წამოღებულ მომცრო თეფშებზე. მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვინოც გაჩნდა. კარადებში არაფრისთვის ხელი არ უხლიათ. დამტვერილი ჭურჭლის გასარე-

ცხად ამ ღამეში ვის ეცალა. როგორმე ეს პირველი უჩვეულო ღამე უნდა გაეთენებინათ და ხვალიდან დაიწყებოდა სულ სხვა, წინანდელზე ერთიათად მეტი შრომით, ფუსფუსით, ჯაფით, ზრუნვით, ომში წასულებზე ფიქრითა და წუხილით აღსავსე ცხოვრება.

ბებომ შვილიშვილი კიბის ბაქანზე გაიყვანა და უჩურჩულა — ნუ გეშინია, პაპა არ გაგიჯავრდება, მორწყე ის გაველურებული ბალახიო...

ესტატე კი ისევ ისე, როგორც ძველად სჩვეოდა, იჯდა სუფრის თავში და დინჯად აბოლებდა თუთუნს.

ნინომ მეუღლეს ჩვეულებისამებრ აივანზე გაუშალა ლოგინი. ზაფხულის მყუდრო ღამე იყო. მთვარე არ ჩანდა, ვარსკვლავებს კი მაშინ შეამჩნევდი მრუმე ცაზე, თუ კარგად დააკვირდებოდი... და ეს მილიარდი, ოდნავ მოკიაფე, თითქოს თანაბარი ზომის წერტილებად გაბნეული ცის სხეულები არაფერს სანუგეშოს არ ეუბნებოდნენ მათი იდუმალების შეცნობით შეპყრობილ ადამიანებს, რომლებიც ახლა უფრო მიწიერი ამბებით იყვნენ გაოგნებულნი. სანამ ბებია შვილიშვილს მეორე ოთახში გაიყვანდა, ჰკითხა:

— ბიჭო, პაპას ძილის წინ არ აკოცებ?

შვილიშვილი უმალ მუხლებზე მოეჭიდება პაპას და ლოყასაც მიუშვერს. პაპა აკოცებს, თავზე ხელს გადაუსვამს და რაღაც სულის შემძვრელი კილოთი დაადევნებს ლოცვასავით:

— შენ გენაცვალოს ესტატე პაპაი!

შვილიშვილი გრძნობს, რარიგ უყვარს იგი ესტატე პაპას, მაგრამ ახლა მისთვის აღარ სცალია, ბებოს მისდევს კვიცივით.

ნინო შვილიშვილს აწვენს. შემდეგ ერთხელ კიდევ მოადგება კარის ზღურბლს და იკითხავს:

— ესტატე, სანთელს შენ ჩააქრობ, თუ...

— ჩააქრე და ის იქნება. მე არ მჭირდება.

მეზობელ ოთახში მეუღლესა და შვილიშვილს სძინავთ, ესტატე კი ისევ ისე ზის და ფიქრობს, მარტოდმარტო, დიდ დარბაზში, ზის სუფრის თავში და ნელა აბოლებს თუთუნს.

ესტატეს ხსოვნაში საკვირველი სიცხადით ცოცხლდება წარსული... აგერ, მამა შემოვიდა, შორიახლოს დედის ლანდია, მარცხნივ ძმები დგებიან, მარჯვნივ — ძმისშვილები, სულ ბოლოში კი, მგონია, სიძეები უნდა იყვნენ. ყველა თავ-თავის, ერთხელვე ამოჩემებულ ადგილს იკავებს დარბაზში, როგორც მაშინ, ოდესღაც... თითქო ეს-ეს არის უვახშმიათო, ქალებს სუფრა უკვე აულაგებიათ, ბავშვები კალთაში ჩაუწვენიათ და მთელი ეს მრავალრიცხოვანი მრევლი დიდიან-პატარიანად ელოდება, როდის დაიწყებს ესტატე ზღაპრის თხრობას.

ის კი გახედავს თუ არა დარბაზს, მოლანდება უმალ ქრება, ბნელ დარბაზში მარტოდმარტო მყო-

ფი უნებლიეთ შეიშმუშნება... ვისღა უამბოს ზღაპარი, ვინ უგდებს ყურს, ვინ გაიგონებს მის ნათქვამს, ვის უნდა გამოადგეს ის ხალხური სიბრძნე... მაგრამ ესტატე არ ემორჩილება ამ მარტოობის გრძნობას, ამ ულმობელ სინამდვილეს და თითქოს ეს დარბაზი უწინდელივით გაჭედილი იყოს მისი მრევლით, თავს ამაყად ასწევს, თვალს გამომწვევად გაუსწორებს ამ სიცარიელეს, ამ სიბნელეს, ამ სამარისებურ მყუდროებას და ხმადაბლა წამოიწყებს:

— იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, — წამოიწყებს და დააყურადებს, თავისივე მკაფიო ხმა და ცარიელი დარბაზის ექო ტანში ჟრუანტელივით დაუვლის... წუთით კვლავ დააყურადებს — მეზობელ ოთახში მეუღლესა და შვილიშვილს ხომ არ გაღვიძებიათო და ისევ გრძელდება ზღაპარი... „იყო სამი ძმა, მოხნეს სამი დღის მიწა და დათესეს, ერთმა იქით, ერთმა აქეთ და ერთმაც შუაზე.... მოვიდა ისეთი ჯეჯილი, რომ უკეთესი არ იქნებოდა...“

ჰყვება ზღაპარს ესტატე, ჰყვება სამი ძმის თავგადასავალს, და თავად ისე იტაცებს ზღაპრის პერიპეტიები, რომ ვეღარც კი გრძნობს დროის სრბოლას და ერთბაშად გაოცებას იწვევს მხოლოდ ის, თუ წეღან, ზღაპარს რომ იწყებდა, ოთახშიაც, გარეთაც ისე უსაშველოდ ბნელოდა, ახლა ფანჯარას სიზმარივით განათებული ცა მოსდგომია, ხეთა კენწეროების ჩრდილები გადმოსულან ღია ფანჯარაში და მოპირდაპირე კედელზე ისე მიხატულან, თითქოს ისინიც

ესტატეს ზღაპრის მოსასმენად შემოპარულიყვნენ... და ესტატემ ისე წარმოიდგინა, იმ ზღაპარს, მის დარბაზში რომ გაისმა წელან, მთელ სოფელს, მთელ ატოცს, მთელ ქართლს, მთელ საქართველოს, მთელ ქვეყნიერებას უამბობდა იმ რწმენით, რომ, სულ ერთია, ატოცს, ალგეთს, გრემს, უშგულსა თუ რუსთავს კიდევაც დაიზრდებიან... ესტატეები.

მოლოდინი

ქალები ახლა შორეულ ზვარში კრეფდნენ ყურძენს. ვაზის ფოთლების ზღვა სიმწვანეში მარტო თავსაფრები მოჩანდა, ზოგან ჭრელი, ზოგან ქათქათა თეთრი მხოლოდ ისინი მოძრაობდნენ ხან აღმა, ხან — დაღმა. მკრეფელების ხმა ჯერ კიდევ ალიონზე გაისმა ვენახში. ვიდრე წინასწარ სამზადისს მორჩებოდნენ, გათენდა კიდეც. კრეფას ხალისით შეუდგნენ, თუმცა ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ეს ჩვეულებრივი კი არა,1942 წლის შემოდგომა იყო. მოსავლის სიუხვე გულსა და თვალს ახარებდა, მაგრამ ეს სიხარული მაინც ისე ლაღად და თავდავიწყებით ვერ გამოეხატათ, როგორც ადრე სჩვეოდათ. ახლა ყოველი ბადმიანის სიხარულს აჩრდილივით თან სდევდა ომში წასულ ძმაზე, ქმარზე თუ მამაზე ფიქრი. მათი გასსენება, მართალია, უასკეცებდა ენერგიას და შრომის წადილს, მაგრამ ფრთებს უკვეცდა უდარდელობას და მხიარულებას. მკრეფელები შაბიამნით დაწინწკლულ და ნამით გაბანილ ფოთლებში მიმალულ

მტევნებს სასხლავი მაკრატლით ფრთხილად აჭრიდნენ. დროდადრო მჭიდროდ შეკრულ შეთრთვილული მტევნიდან ყინულივით ცივ-ცივ მარცვალს აბრობდნენ და პირს ისველებდნენ. ზოგი წინსაფრის კალთაში, ზოგიც სახელურიან კალათაში აგროვებდა ყურძენს და მერე ერთბაშად გოდორში ცლიდა. გოდორი რიგრიგობით გაჰქონდათ მოხუც მამაკაცებს და ქალიშვილებს. ყურძენს გოდრებიდან ბრეზენტჩაფენილ საბარგო მანქანის ძარაში ყრიდნენ. დატვირთული მანქანა რახრახით და გაბმული ზმუილით მიჰქონდა მარნისკენ.

კოლმეურნეობის შოფერი ფრონტზე მიღებულ ჭრილობებს სამუდამოდ გამოეყვანა საბრძოლო მწყობრიდან, მას მანქანაზე მუშაობაც უჭირდა, მაგრამ ვიდრე სული ედგა, გაცხარებულ მუშაობაში ვერ უღალატებდა თანასოფლელებს. ამის ნებას არც ვაჟკაცის თავმოყვარეობა აძლევდა, არც ის ყურადღება თუ ცნობისმოყვარეობა, რომელსაც მის მიმართ ქალიშვილები იჩენდნენ. უკანასკნელ რეისზე იგი, ჩვეულებრივ, ქალებს მიაქროლებდა ხოლმე შინისაკენ და, თუ კაბინაში მის გვერდით მომხიბლავი ქალიშვილი აღმოჩნდებოდა, ისე გააქროლებდა მანქანას, რომ ძარაში მსხდომთ თმა ყალყზე დაუდგებოდათ და გულიც საგულედან ამოვარდნას ლამობდა. მაგრამ თუ მის გვერდით ვინმე ხნიერი დედაკაცი იჯდა, მაშინ მანქანა წყნარად მიდიოდა და მგზავრებსაც გული მშვიდად უცემდათ.

კოლმეურნეთა ერთი ნაწილი ვენახში ათევდა

ღამეს, სხვები, თხუთმეტამდე ქალი, ხნიერი თუ ახალგაზრდა, ყოველღამ შინ ბრუნდებოდა საბარგო მანქანით. ამ შორეული ზვრიდან სოფლამდე თხუთმეტი კილომეტრი მაინც იქნებოდა. ვენახის შესავალთან, მყუდრო ადგილას, ვაშლისა და მსხლის ხეები ჩანდა ჩარიგებული, ხეებს შორის მიწაში ჩასობილ დაბალ ბოძებზე ტახტივით ფიცრები დაემაგრებინათ. ამ სახელდახელო ტახტებზე ძილი არც მათთვის გახლდათ ურიგო, ვისაც ასე შორ მანძილზე დღეში ორჯერ უხდებოდა მანქანით, ხანაც ფეხით მისვლა-მოსვლა. მაგრამ სხვაგვარად არა ხერხდებოდა. მოულოდნელად ისეთი მიზეზი იჩენდა თავს, ძალიანაც რომ არა გნდომოდათ, მაინც უნდა გაგეწიათ ანგარიში და ოჯახისათვის მიგეხედათ.

მათ შორის, ვისაც გარემოება აიძულებდა ღამით მაინც მიეხედა ოჯახისათვის, ქეთევანიც ერია. მართალია, შინ მიუსვლელობით ქეთევანს არა უშავდებოდა რა, მაგრამ ის სხვებზე უფრო მიისწრაფოდა სახლისაკენ. რა გასაჭირიც უნდა დასდგომოდა, რა დაბრკოლებაც უნდა შეხვედროდა, გაუმკლავდებოდა, გადალახავდა, მაგრამ შინ მიუსვლელი კი არ დადგებოდა. გარეშე თვალისათვის სულის მოსალხენ ადგილს რომ ჰგავდა ქეთევანის ეზო, მისი ეშხით კი არ სჩადიოდა ამას, არც ქვიტკირის ძველებური კოშკივით შესახედაობის სახლი იზიდავდა ღამის გასათევად. პირიქით, ამ სახლში ღამის გათევა, ეს ერთი წელია, აღარც თუ ისე სანატრელი იყო მისთვის, მაგრამ რაც უფრო მეტად ერიდებოდა ქეთევანი აქაუ-

რობასთან სიახლოვეს, მით უფრო ეზიდებოდა აქეთ გული.

ცისკრიდან დაბინდებამდე ყურძნის მკრეფელებს ხელი არ შეუსვენებიათ, მუხლი არ მოუკეციათ, პატარა ბიჭებს კი წყაროდან ცივ-ცივი წყლის ზიდვა არ შეუწყვეტიათ. ქეთევანი მაშინაც თავაუღებლად განაგრძობდა მუშაობას, როცა ვენახიდან თითქმის ყველა გაიკრიფა. მხოლოდ ორი თუ სამი ქალი ჩანდა კიდევ, რომლებსაც გორაკის ზემო ნაპირამდე მიეღწიათ, მწკრივი ბოლომდე გაეკრიფათ და ახლა ნელი ნაბიჯით ეშურებოდნენ დაღმა. მართალია, მზე უკვე კარგა ხნის ჩასული იყო, მაგრამ საღამოს ბინდის სიმუქეს ახლახან ამოსული მთვარის შუქი ანელებდა. შუქი ჯერ კიდევ ისე მკრთალი იყო, რომ მნელად თუ გამოარჩევდით და მიაგნებდით ფოთლებში ჩამალულ მტევნებს. ქეთევანი მაინც თავისას არ იშლიდა, ქვემოთ, ვაშლისა და მსხლის ხეივანში ჩასვლა, სადაც ახლა დანარჩენები ისვენებდნენ, ნაადრევად მიაჩნდა და, ვიდრე წასასვლელად გამზადებული მანქანის ხმას გაიგონებდა, ვენახიდან ფეხს არ იცვლიდა. იგი ახლა თვალდახუჭულივით აფათურებდა ფოთლებში ხელებს. მიაგნებდა თუ არა მტევანს, უმალ მოუნახავდა ყუნწზე მუხლს და ფრჩხილით გადაწყვეტდა. სასხლავ მაკრატელს უკვე ვეღარ ხმარობდა, რადგან ყურძნის წვენში გავლებული თითები ისე შეწებებოდნენ, რომ ერთმანეთს ადვილად ვეღარ აშორებდა. სამმა ქალმა, რომლებიც ზემოდან ეშურებოდნენ, რიგრიგობით ჩამოუარეს ქეთევანს.

პირველის ყურადღება ჯერ ფოთლების შრიალმა მიიქცია, მერე ქეთევანიც შენიშნა და გაკვირვებით დაუძახა:

— ქეთევან!

— მოვდივარ!.. — ისე მიუგო ქეთევანმა, რომ თავი არ აუწევია.

მეორემაც ჩამოიარა და იმანაც უხმო:

— ქეთევან!

— მოვდივარ! — ესეც იმავ პასუხით გაისტუმრა ქეთევანმა.

მალე მესამედ მოესმა:

— ქეთევან!

ქეთევანი გაინაბა, მაგრამ რახან ქალიშვილი ხელმეორედ გაეხმიანა, პასუხი აღარ დაუყოვნა.

— მოვდივარ... დაგეწევი!..

მაგრამ ქეთევანი წასვლას ჯერ კიდევ არ აპირებდა, სულ ალმა, ვენახის თავისაკენ ეშურებოდა, მტევნებსაც უფრო გაფაციცებით ეძებდა ფოთლებში და ღამის მყუდროებაში მისი ხელის ფათურზე ფოთლები საკვირველად ხმიანობდნენ. ქეთევანს ახლა მტევნის ყუნწზე მუხლის მოსაძებნად აღარ ეცალა, ის ღონით ლამობდა მტევნის მოგლეჯას და რარიგადაც უნდა გასძალიანებოდა მტევანი, მოუწყვეტელს მაინც არ დატოვებდა. რამდენ „გაძალიანებულ“ მტევანსაც მოწყვეტდა, იმდენჯერ თავისთვის ხმადაბლა აღმოხდებოდა: „მოვდივარ“, თუმცა უკვე აღარავინ ეძახდა.

ქეთევანს მოესმა თუ არა მანქანის ნაცნობი ხმა,

უმალ თავი ანება მტევნების ძებნას და გორაკიდან იმ ადგილს გადახედა, სადაც მანქანა ეგულებოდა. მანქანა დაიძრა. ქეთევანს გაუკვირდა, „რატომ არ მომიცადეს“, — გაიფიქრა და განაწყენებულმა ველარც ხმის ამოღება მოახერხა და ველარც ნაბიჯი გადადგა. ცხადად ხედავდა, როგორ გავიდა მანქანა ჭიშკარში. მანქანის ძარაში ყურძნით სავსე ორი თუ სამი დიდი გოდორი იდგა, გოდრების გარშემო კოლმეურნე ქალები შემომწკრივებულიყვნენ. ხელი ამოწვდილი წნელებისათვის ჩაევლოთ და გოდრებთან ერთად აქეთ-იქით ქანაობდნენ. თითქოს კიდევ ჰქონდა დაწევის იმედიო, ქეთევანი ერთბაშად მოსწყდა ადგილიდან და დაღმართზე დაეშვა, გზადაგზა ხან ვენახის ბუჩქს გამოედებოდა, ხან თავის შესამაგრებლად თვითონვე მოავლებდა კლერტს ხელს და უმალ მოიღებდა ჭიგო ლაწანს; ალაგ-ალაგ, წინ რომ ეღობებოდნენ, გაკრეფილი და მიშლილ-მოშლილი ვაზის ჩახლართულ კლერტებს ხელის მარჯვე აქნევით იშორებდა გზიდან. მეოთხედი მანძილიც არა ჰქონდა გავლილი ქეთევანს, რომ უცებ შედგა, ხელი უიმედოდ ჩაიქნია და ახლა ნელი, მოდუნებული ნაბიჯით განაგრძო გზა ქვემოთ, რადგან იფიქრა, მანქანას მაინც ველარ დაეწეოდა. „ზემოთ რომ დავხვედროდი?“ — გაუელვა უეცრად ქეთევანს. ეს აზრი მოეწონა, ჭკუაში დაუჯდა. მაგრამ როცა წარმოიდგინა, რა დაბრკოლება უნდა გადაელახა, ცოტა არ იყოს, შეყოყმანდა: ვენახს ზემოთ მხრიდან ეკლის მრავალჯერ გადაბელილი ხეების მჭიდრო ღობე ჰქონდა შემოვლებუ-

ლი, ღობეს მთელ სიგრძეზე გასდევდა გზატკეცილი. მანქანას სწორედ ამ გზით უნდა გაევლო. ქეთევანს ადრეც რომ მოსვლოდა აზრად ამ მდგომარეობით სარგებლობა, რა გააღწევდა ეკლების უცნაურად ჩახლართულ ღობეში. თუ წალდით კარგად არ გამოკაფავდი, ალბათ, დამფრთხალი ნადირიც ვერ შებედავდა, ადამიანს კი თუნდაც შეებედა და კიდეც გაეღწია, ადვილი წარმოსადგენი იქნებოდა, რას დაემგვანებოდა მისი დაკაწრული, დაჩხვლეტილი, დასისხლიანებული სახე და სხეული. თითო ციდა ეკლის ხის წითური ქაცვები დასანახავადაც კი საშიში იყო. ამგვარად, დასახიჩრებასაც რომ არ მორიდებოდა ქეთევანი, სულ ერთია, მანქანით მიმავალ მეზობლებს მაინც ვერ დაენახვებოდა, — გიჟად ჩასთვლიდნენ, „რისი გულისთვის“, გაოცდებოდნენ, სოფელში სალაპარაკოდ გახდებოდა ეს შემთხვევა. სხვა გამოსავალი აღარ იყო, ფეხით უნდა გასდგომოდა გზას სოფლისაკენ. განა სხვა დროს უფრო დაღლილსაც მეტი გზა არ გაუვლია ფეხით? ახლაც რა უშავს, ფიქრებში გზა შეუმჩნევლად გაილევა, საფიქრალი კი ბევრი აქვს...

მაგრამ უეცრად ისევ გაახსენდა ის, რაც ასე ძლიერ ეწეოდა შინისაკენ, და თავქვე დაეშვა. უცაბედად ბნელში რაღაცას ფეხი წამოჰკრა, ხელი რომ დროზე არ წაევლო ვენახის ჭიგოსათვის, უთუოდ პირქვე გადაემხობოდა; ჭიგომ ლაწანი მოიღო, მაგრამ ქეთევანმა თავი შეიკავა და მხოლოდ ცალი მუხლით წამოიჩოქა. მიწაზე ჩელტივით მოზრდილი

წნული ეგდო. ქეთევანს გაახსენდა, რომ ეს შუა გაგლეჯილი, დიდი გოდრის ცალი პირი წეღან ბავშვებმა ქვემოდან ამოიტანეს და მის ჩრდილში თავი შეაფარეს. სწრაფად წამოდგა. ყური მანქანას ათხოვა, რომლის მოტორს ხან ხრიალი გაჰქონდა, ხან გაბმით ზუზუნებდა. რაღაც აზრი დაებადა, გოდრის ნაგლეჯს ხელი დაავლო და საკვირველად ტანამჩატებული ჩქარი ნაბიჯით აღმართს შეუყვა. ახლა მას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: მანქანისათვის გზა მოეჭრა და სახლში ჩქარა მისულიყო. იცოდა, ამ გზით გავლა ძალზე გაუძნელდებოდა, მაგრამ სხვა საშუალებას ვერ ხედავდა გზის შესამოკლებლად. აღარ შეჩერებულა.

ქეთევანს ეოცა კიდეც, მოულოდნელად ღობეს რომ წაადგა, ათიოდ ნაბიჯზე აუარ-ჩაუარა და, შენიშნა თუ არა გასასვლელად ხელსაყრელი ადგილი, სადაც შედარებით შორიშორს იდგა დაბალი, ტანდაღრეცილი, ეკლებასხმული ხეები, უმალ მარჯვედ მოკეცა ფეხქვეშ მოგდებული გოდრის ნაგლეჯი, მარჯვნით მხარეზე და სახეზე აიფარა და მჭიდრო ხლართებსა და საოცრად გრძელ ქაცვებში მოხერხებულად შეიჭრა. ხის ტოტებმა და ქაცვებმა უცნაური ლაწანი მოიღეს და თვალის დახამხამებაში ქეთევანი შეუვალი ღობის მეორე მხარეს, გზატკეცილის პირას გაჩნდა. გამარჯვებული თავს ამაყად გრძნობდა, ორსამ ნაკაწრს მკლავზე და წვივზე, რომლებიც ასე ძალიან ეწვოდა, არად აგდებდა, მოუთმენლად ელოდა ავტოს გამოჩენას. მანქანა მოულოდნელად გამოჩნ-

და, აღმართზე ამოიქროლა და ახლა დაღმა უნდა დაქანებულიყო. ქეთევანმა დინჯად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შუა გზაზე გავიდა.

რახან მანქანა თავქვე მოდიოდა, შოფერი მუხრუჭს არ ენდო, შუა გზაზე მოჩვენებასავით აღმართულ ქეთევანთან მიახლოების უმალ მანქანას უცვალა გეზი, მარცხნივ გაუშვა და ისე სწრაფად დაამუხრუჭა, რომ ძარაში მყოფნი უცებ მოსწყდნენ ადგილიდან და კაბინის სახურავს გადაეწარცხნენ. კაბინიდან შოფერი და მის გვერდით მჯდომი ქალიშვილი გაოცებით უხმობდნენ ქეთევანს, მაგრამ ქეთევანი ხმას არ იღებდა, ის უხმოდ მივიდა კაბინასთან, რომლის კარი ის-ის იყო გააღო ქალიშვილმა, გამოსვლაც დააპირა, შოფერთან ადგილი უფროსისათვის რომ დაეთმო, მაგრამ ქეთევანმა გზა არ მისცა, მწყრალად შენიშნა, დავეტევითო, და მარჯვედ მოთავსდა კაბინის განაპირას, კარი კი ისე მოიჯახუნა, რომ შოფერი და ქალიშვილი სახტად დარჩნენ. „ნაწყენი უნდა იყოს“, — გაიფიქრა ორივემ და ხმის გაცემა ვერ გაბედეს. ქეთევანმა უხმოდ გადახედა შოფერს და მანქანაც მაშინვე დაიძრა. ასიოდე მეტრი რომ გაიარეს, შოფერმა ვეღარ მოითმინა და დაიწყო:

— აკი ქალებმა თქვეს, ამაღამ ქეთევანი ვენახში რჩებაო?

შუაში მომწყვდეულმა გოგონამ მორიდებით გადახედა ქეთევანს და გაუბედავად დაუმოწმა შოფერს.

ქეთევანს ხმა არ გაუცია.

— აღარ გამოჩნდი და... მეც ვიფიქრე...

ისევ სცადა შოფერმა ქეთევანთან გამოლაპარაკება, მაგრამ ქეთევანი ხმას არ იღებდა, ერთთავად წინ იცქირებოდა, თვალსაც არ ახამხამებდა.

შოფერსა და ქეთევანს შუა მომწყვდეული ქალიშვილი უხერხულად იშმუშნებოდა; რაც უფრო მეტად ცდილობდა, შოფერს არ შეხებოდა და ქეთევანისაკენ გადმოხრილიყო, მით უფრო გადაქანდებოდა ხოლმე შოფრისაკენ. თითქოს განზრახ, შოფერს მანქანა ისე მიჰყავდა, რომ იგი სულ ერთთავად მარცხნივ იყო გადახრილი. მოსახვევში კი, როცა საჭეს სწრაფად შეაბრუნებდა, შოფრის იდაყვი ისე მაგრად მიებჯინებოდა ქალიშვილს ფერდზე, ხან წელზე, რომ მას სირცხვილისა და სიმწრისაგან სახეზე ალმური შემოენთებოდა. ქეთევანიც სწორედ ამ დროს გადმოხედავდა და არა მარტო გადმოხედავდა, თითქო განზრახ თვითონაც მისკენ იხრებოდა. ქალიშვილს სხვა გზა აღარ ჰქონდა, საჭეზე წახრილ შოფერს თითქო უნდა მოეხვიოსო, ცალი იდაყვით ზურგზე ებჯინებოდა, მეორე ხელით კი კაბინის ღია ფანჯრის ჩარჩოს ჩასჭიდებოდა. გზაში შოფერმა ერთხელ კიდევ სცადა ქეთევანის გამოწვევა:

— ქეთევან, თუ ვინიცობაა ბენზინი შემოგვაკლდა, არ დაგვემდურო, ცოტაოდენ მანძილზე ფეხით მოგიხდებათ გასეირნება.

ქეთევანს არც ახლა გაუღია ხმა.

შოფრის ვარაუდი არ გამართლდა, მანქანამ ერ-

თი ძნელი აღმართი კიდევ მოიტოვა უკან და მალე სოფლის ორღობეში ხმაურით შეიჭრა. ორღობის დასაწყისიდანვე შოფერს წამდაუწუმ უხდებოდა მანქანის დამუხრუჭება და თავთავის ჭიშკართან მგზავრთა გადმოსმა.

უკანასკნელად მანქანა ქეთევანის სახლიდან ცოტა მოშორებით ჩერდებოდა. სოფლის ბოლოში ორღობის ერთი შტო ხელმარჯვნივ მიემართებოდა და სწორედ ქეთევანის ჭიშკართან წყდებოდა. ზაფხულობით აქ ისე გრილოდა, „გარედან“ შემოსული კაცი უმალ შვებას იგრძნობდა. ახლომახლო სოფლებიდან გზად მომავალი კოლმეურნეებიც შესასვენებლად, სულის მოსათქმელად სწორედ ამ დაბურულ, ვიწრო ორღობეში შემოუხვევდნენ ხოლმე. ეს ორღობე ისე საგულდაგულოდ იყო გადახურული ეზოების გასწვრივ აქეთ-იქიდან ერთმანეთში ჩახლართული ხეხილით, რომ ზოგან მზის სხივიც ვერ ატანდა. ხეხილის კენწეწებიც ალაგ-ალაგ ისე ღრმად იყო ერთმანეთში შეჭრილი, უცხოს თვალში გაკვირვებასაც კი იწვევდა. გეგონებოდათ, მსხალს ბროწეული გამოუსხამს, ვაშლს — ქლიავი, ·ალუბალს — მსხალიო. ორ-სამგან მაინც შავი ლეღვის ტოტები ისე მარჯვედ იყო გაცმული გულაბის ტოტებში, ვერ დაიჯერებდით, რომ იმ ლეღვის ტოტები გულაბზე არ იყო დამყნილი. ეს უცნაური შტო ისე ვიწრო და თანაც მიხვეულ-მოხვეული იყო, რომ, დიდი სურვილის მიუხედავად, შოფერს ქეთევანი თავისი ეზოს კარამდე ვერ მიჰყვებოდა ხოლმე და სულ ამაზე წუხდა.

როცა შოფერმა ყველა მგზავრი ჩამოარიგა, გაიფიქრა, სწორედ დროა ქეთევანს თავისი იდუმალი გულისწყრომის მიზეზი ვკითხოო, მაგრამ ვერ იქნა და სიტყვა ვერ დაძრა. დაწყება უჭირდა, თან ქეთევანიც კვლავ ისე კუშტად იმზირებოდა, ადვილად სიტყვას ვერ შეუბედავდით და აკი შოფერმაც ვერ შეუბედა, თუმცა წამისწამ ელოდა ამ ნავსის გატეხას. მიაჯახჯახებდა ავტოს ოღროჩოღრო ორღობეში და დროდადრო თვალსაც ქეთევანისაკენ ალმაცერად გააპარებდა — შუბლი ხომ არ გაეხსნაო. მართალია, ქეთევანს შუბლის გახსნის არა ეტყობოდა რა, მაგრამ შოფერი იმედს მაინც არა კარგავდა: გაჩერებასთან მეც გადმოვალ ქეთევანთან ერთად, მუხლის გამართვას მოვიმიზეზებ, შორიდან დავუვლი თავს, იქნებ დავიყოლიო — გამოტყდეს, რას მემართლება, ხმას რატომ არა მცემსო.

ამ ფიქრებში შოფერმა დანიშნულ ადგილს ოციოდე მეტრით გააშორა მანქანა. თითქოს თავის თავს შეუწყრაო, ერთი რაღაც გაუგებრად წაიღრინა და ისე დაამუხრუჭა მანქანა, რომ ლითონის კბილებმა საზარლად გაიკრაჭუნეს ღამის მყუდროებაში.

ქეთევანი გადმოვიდა. შოფერმაც დააპირა გადმოსვლა, მაგრამ ქეთევანმა ისე ღონივრად მიაჯახუნა კაბინის კარი, რომ მანქანა შეირხა და შოფერს ამ ჯახუნის ხმა თავში უროსავით მოხვდა.

ქეთევანს ერთხელაც არ მოუხედავს უკან, გუნებაში თავს უწყრებოდა, „რას ჩავდივარ“. მაგრამ იმდენი ძალა ვეღარ ეპოვა, რომ ეს უადგილო გაჯიქება

დაეძლია და შოფრისათვის, როგორც სხვა დროს, ახლაც ღამე მშვიდობისა ეთქვა.

კაბინის ღია ფანჯარაში გადმოყუდებული შოფერი ერთ-ორ წუთს გაშტერებით გასცქეროდა მიმავალ ქეთევანს, ვერც ხმა გაეღო, ვერც მანქანა დაეძრა ადგილიდან.

„აკი აუხსნა მიზეზი! ხედავთ, როგორი განაწყენება სცოდნია ქეთევანს?!“

როცა ქეთევანი ვიწრო ორღობის ჩრდილებში გაუჩინარდა, შოფერმა ნელა დაძრა მანქანა, დროდადრო უკან იხედებოდა; ქეთევანის დიდი პატივისმცემელი იყო და მის წყენას მუდამ ერიდებოდა.

ორღობეში მიმავალ ქეთევანს გამალებით უცემდა გული, თავში კი ათასგვარი ფიქრი და მოგონება ერეოდა.

განიერ ორღობიდან ვიწრო შტოში ისე შეუხვია, არც კი შეუმჩნევია მთვარის ნათელ შუქში სილუეტებად გამოკვეთილი ხეთა ჩრდილები, რომელთაც უსწორმასწოროდ დაესერათ ვიწრო, ალაგ უხვად, ალაგ ძუნწად, მოხატულივით ჭრელად განათებული გზა. ცალ მხარეს ამ გზას ბოლომდე გასდევდა უსწორმასწოროდვე ჩარიგებული სარების ჩრდილი.

როდესაც ჭიშკრის მომცრო კარი გააღო და ეზოში შევიდა, თითქო თვალში სინათლე მოემატაო, ისე შემოანათა იმ დაბურული ორღობის შემდეგ გაშლილი ეზოს ნათელმა ფერებმა.

ჭიშკარს რომ კეტავდა, ერთი-ორჯერ ისე მოესმა, თითქო შორიდან ვიღაც ეძახისო. ქეთევანმა წა-

მით ყური ათხოვა, შემდეგ სწრაფად გაეშურა იქით, საიდანაც ხმა მოესმა. ოციოდე ნაბიჯი რომ გაიარა, ერთი წამით შეჩერდა, შემდეგ კვლავ განაგრძო გზა, თითქოს რამეს ეპარებაო, ისე მიაბიჯებდა წინ და, სმენად ქცეული, მოუთმენლად ელოდა, აი ახლა მიხმობენ, აი ახლაო. მაგრამ ძახილი აღარ განმეორებულა. ქეთევანი მიწაზე უხვად მოდებულ დაბალ ბალახზე ფეხს ისე რბილად აბიჯებდა, თითქო ნოხი აგიაო.

შორიახლოდან სახლის ქვედა სართულში განაპირა ფანჯარას შეავლო თვალი, რომლის ერთ უჯრედში შუშის მაგივრად თუნუქის ფურცელი იყო ჩასმული. ფურცელი შუაში მრგვალად იყო გამოჭრილი, ღუმელის მილის გასაყოფად. გაზაფხულობით ღუმელს რომ აიღებდა ქეთევანი, მილისთვის გამოჭრილი ღრუ გამოუყენებელი არა რჩებოდა. თუ ფოსტალიონს ქეთევანი შინ არ დაუხვდებოდა, იმ ღრუდან ყრიდა ოთახში გაზეთებსა და ბარათებს. შინ დაბრუნებული ქეთევანი უმალ იმ ოთახის კარს ეცემოდა ხოლმე. ძველებურ, რგოლებზე დაკიდებულ ბოქლომს თავისი ხერხით გააღებდა და შესვლისთანავე ფანჯრის წინ იატაკს დააცქერდებოდა. თუ ბნელოდა, ასანთს გაჰკრავდა.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, როცა მისი ჭაბუკი ბარათს გზავნიდა ქალაქიდან, სადაც უმაღლესში სწავლობდა, რა უშავდა, თუ ქეთევანი ერთი დღის დაგვიანებით მიიღებდა ბარათს, მაგრამ ახლა რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი მოუთმენლობით ელოდა შვილის ბარათს. ელოდა ყოველდღე, ყოველ

წამს. იქნებ ჩემს ცხრამეტი წლის ვაჟკაცს ომში წასვლამაც მოუწიაო, ფიქრობდა ქეთევანი.

პატარა ლამპის იისფერ შუქზე ქეთევანმა გულდასმით მოათვალიერა იატაკი, თითქო თვალს არ ენდობაო, ხელიც მოაფათურა, მაგრამ გაზეთის მეტი არაფერი დახვდა.

ქეთევანს ვერაფრით აეხსნა შვილის დუმილი. აგერ ერთ კვირაზე მეტია მახარეს დედისთვის აღარაფერი მოუწერია. ქეთევანი მოწყვეტით დაეშვა მაგიდის გვერდით ტაბურეტზე. თითქო ახლა იგრძნო, რარიგ მოსწყურებოდა. არ მიუხედავს, ხელი ისე მოაფათურა. გაუკვირდა, მაგიდაზე წყაროს ცივი წყლით სავსე დოქს ხელი რომ ვერ წაატანა. გამოერკვა, დღეს არც წყაროზე ჩამოუვლია სამუშაოდან დაბრუნებულს და დოქიც... ვიღას ახსოვდა დოქი. ქეთევანს ჩვეულებრივ თან მიჰქონდა ხოლმე ხელადით გუმურა. ზვარიდან დაბრუნებულს კი, რახან წყაროს ახლოს უხდებოდა მანქანიდან ჩამოხტომა, არ შეიძლებოდა ცარიელი ხელადით იმ წყაროს წყალი შინ არ მოეტანა. ერთხელ შოფერმა სიცილით შენიშნა კიდეც, მაგ პატიოსან ღვინის ჭურჭელში წყალს როგორ ასხამო. ქეთევანმა შუბლი შეიკრა, თითქო წყლის ასე იაფად ხსენება იწყინაო და შოფერს მრავალმნიშვნელოვნად მიუგო: „ცარიელს არც ჭურჭელს სცემენ პატივს, არც — ადამიანს“.

წყურვილი ხომ კლავდა და კლავდა ქეთევანს და ახლა თითქო სულიც ეხუთებოდა ოთახში. ქეთევანმა სწრაფად მონახა განჯინაში ცარიელი, ფუჩეჩდა-

ცობილი ხელადა და გარეთ გამოვიდა, წყაროსაკენ გაეშურა ისე, რომ ოთახის კარის გამოკეტვაც არ გახსენებია.

ორღობის ბოლოს, სადაც გზა უხვევს და ხრამისაკენ ეშვება, მცირე კლდოვანი გორაკი იწყება. გორაკის შუა წელამდე საცალფეხო ბილიკი მიიკლაკნება. ბილიკი ერთბაშად ბაქანივით ფართოვდება. ბაქანი ერთი მხრივ მიდამოს გადასცქერის, მეორე მხრივ კლდეში გამოქვაბულივით გამოჭრილ ღრუს ებჯინება. ღრუს წინა პირი ერთ მეტრამდე ამოშენებული და ცემენტით შელესილია. წყაროს მოზრდილი აუზი მუდამ სავსეა. ცივი, კამკამა წყალი, რომლის სიღრმეში მოჩანს ღრუს თაღი და ცის პატარა ნაჭერი, წარმტაცი ლივლივით უხმოდ გადმოდის მოცემენტებული კედლის დაქანებულ ნაპირზე. წყაროს თავს მხარ-თეძოზე წამოწოლილივით ტანდაგრაგნილი მუხა დასცქერის. მუხის ფოთლები დროდადრო აუზში ცვივა; ფოთოლი წამით ერთ ადგილზე ქანაობს, შემდეგ სწრაფად მიაქროლებს ნაკადი, მხოლოდ ფოთლის მოძრაობაზე თუ შეამჩნევთ, რა სწრაფად მოექანება წყალი, რომელიც ისე უძრავი გეჩვენებათ.

საფეხურებივით დაფერდებულ კლდოვან გორაკზე წყალს ოდნავ ჩაუღრმავებია თავისი კალაპოტი და აქაც ისე უხმოდ გადადის, თითქო უალერსებს გასიპულ ბორცვებსო. ყოველი ბორცვის ნაპირზე მთვარიან ღამეში წყალი ისე ლივლივებს, ძალიანაც

რომ არ გინდოდეთ, რამდენიმე წუთით მაინც მოგტაცებთ თვალს.

ქეთევანმა გორაკის ბილიკი წყარომდე ცალ მუხლზე ხელის ბჯენით სულმოუთქმელად აიარა და წყაროს წინ, კლდის ვიწრო ბაქნიდან, ნაცნობ მიდამოს თვალი გადაავლო. მერე წყაროსაკენ შებრუნდა, ოფლისა და მტვრისაგან სახის კანი თითქო გახმობოდა, ყურძნის წვენით შეწებებული თითებიც ერთმანეთისაგან ადვილად ვეღარ დაეცილებინა.

ხელადა დადო, მარცხენა ხელით წყაროს კუთხეს დაეყრდნო, მარჯვენა ხელი კი ალივლივებულ განიერ ნაკადს შეაგება. ხელისგულზე წყალი ღონივრად სცემდა, შხეფები აქეთ-იქით იფანტებოდა, მთვარის შუქზე ისე მოგეჩვენებოდათ, თითქო ბროლი ინქრევაო. წყალი ისე ცივი იყო, ვერც ბევრს დალევდი, ხელსაც დიდხანს ვერ გაუჩერდები. ქეთევანმაც მალე ანება თავი მის ჩქერში ხელის თამაშს, თითქმის გაყინული ცალი პეშვით რამდენჯერმე შესვა წყალი. შემდეგ სახეზედაც შეისხა, კისერი და მკერდი გაიგრილა. უეცრად შვილი წარმოუდგა თვალწინ და უნებურად სივრცეს გაუშტერა თვალი.

ქეთევანისათვის რომ ახლა ვინმეს თვალი მოეკრა, უსათუოდ მოხიბლავდა მისი გარეგნობა — ასე მიმზიდველი არასოდეს ყოფილა. ქალი უძრავად იდგა, თალხ ტანსაცმელში სილუეტივით ჩანდა. შუბლი ხელის სიფართეზე ნაპირებშემოკეცილი თავსაფრით ჰქონდა წაკრული, შავი თავსაფრის ქვედა ნაპირი შავ წარბებს ებჯინებოდა, ზედა კიდე კი — უკან

გადავარცხნილი, ახლა ოდნავ აწეწილ და შუაგაყოფილ თმას. თმა უკვე შევერცხლილი ჰქონდა, რაც მის მზით გარუჯულ სახეს, გამომწვარ თიხისფერ, მკვრივ ნაკვთებს არათუ ხანდაზმულობის დაღს აჩენდა, პირიქით, თითქო უფრო აახალგაზრდავებდა და ამშვენებდა კიდეც. მზით გარუჯული სახის ნაკვთები ახლა მთვარის შუქზე უფრო ნაზი და რბილი მოჩანდა; თვალბუდის სიღრმეში და ლოყის ქვემოთ მუქ ჩრდილებს მისი იერი თითქო ოდნავ დაესევდიანებინა.

ვიდრე ქეთევანი ფიქრებს თავს გაართმევდა, ათიოდე წუთმა მაინც განვლო. სახის და ხელების შემშრალება აღარ დასჭირვებია.

ბილიკზე ქვევით ფრთხილად მიმავალ ქეთევანს ცალ ხელში სველი ხელადა ეჭირა, ხელადის გამობერილი მუცელი მთვარის შუქზე მკრთალად ლაპლაპებდა. მეორე ხელით უნებლიეთ შეხსნილი გულისპირი მოებღუჯა.

ქეთევანი ეზოში შევიდა. გაზაფხულზე გახარებულ ალუბლის ნერგს ხელადით წყალი ასხურა, რკინის პალოთი, რომელიც იქვე ეგდო, ძირში მიწა მოუჩიჩქნა და, როცა დგებოდა, ისე აყოლა ორი თითი მის ნორჩ ტანს, პაწაწინა ტოტებზე გამოსხმულ ორიოდე ფოთოლსაც ისე გადაუსვა ხელი, როგორც ჩვილს მოეფერებიან ხოლმე, ფრთხილად, სიყვარულით.

სახლის წინ, ოციოდე ნაბიჯის დაშორებით მდგარი კაკლის ხის ფართოდ გადაშლილი ტოტებისა

და უხვად შეფოთლილი კეწეწების ჩრდილი მთვარიან ღამეში შავი ტბორივით აჩნდა მიწას: ხე ისე დიდი იყო, ქვიტკირის ძველებური, ორსართულიანი სახლიც მასთან შედარებით პატარა . კოლოფივით ჩანდა. შემოდგომაზე კრამიტის წითელი სახურავი ერთბაშად გადაყვითლდებოდა ხოლმე, ისე უხვად ეფინებოდა კაკლის ფოთლები. ამ კაკლის სნოვანება სოფელში არავის ახსოვდა. მისი ალაგ გაფერილი, ალაგ დაჟანგული ვერცხლისფერი კანი უსწორმასწორო ღრმა ნაპრალებს დაეღარა, თითქო ადრინდელ, ძველ სამოსში ვეღარ დატეულიყო და ერთიანად დაეფხრიწა იგი.

ქეთევანმა ალუბლის ნორჩი ხის ახლო ბალახში მობრჭყვიალე ჭიქის ნატეხი შენიშნა, უმალ აიღო, გასინჯა და შორს, ღობისაკენ ისროლა. ეზოში ბალახზე ფეხშიშველას უყვარდა სიარული და ჭიქის ნატეხებს თუ სადმე შენიშნავდა, არ აჭაჭანებდა.

გულმა შვება იგრძნო, როცა ნოხივით რბილ ბალახზე გაიარა. სახლისკენ მიმავალმა ერთი წამით ჩვეულებისამებრ კაკლის ხესთან შეისვენა, მის დახლეჩილ ქერქს მარჯვენა ხელი ააყოლ-დააყოლა, მერე უცებ ერთ ადგილზე შეჩერდა და, ქერქზე ხელის მოუშორებლად, ხეს ირგვლივ შემოუარა. როგორც უსინათლო, ისე კითხულობდა ქეთევანი ხის ქერქზე დიდი ხნის წინ ამოკვეთილ ასოებს: „მ-ა-ხ-ა-რ-ე".

თუმცა ღრმადფესვგადგმული კაკლის ხე სულაც არ საჭიროებდა, ქეთევანი მაინც მიასხურებდა ხოლმე ძირში წყალს — გული არ უთმენდა.

ხეს რომ მოესიყვარულა, მერე სახლს მიაშურა.

ქეთევანმა ივახშმა, შემდეგ კარის ზღურბლზე ჩამოჯდა, დღისით, მზეზე, გობში გამთბარი წყლით ფეხები დაიბანა, დაკაწრულ წვივებზე არაყში დასველებული მარლა დაიხვია და ზედა სართულისაკენ გაეშურა. დღეს თითქო უფრო მოქანცულად გრძნობდა თავს და სხეული მოსვენებას სთხოვდა. მეორე სართულზე, აივნის კუთხეში ჩადგმულ ტახტზე აკეცილი ლოგინი გაშალა და გახდას შეუდგა. ლოგინზე ჩამომჯდარმა ხის სავარცხლით თმები გულდასმით დაივარცხნა, კვლავ დაიწნა და თავსაფრით შეიკრა. მერე აივნისაკენ წამოხრილ ტოტს მისწვდა, ერთი მოზრდილი ვაშლი მოწყვიტა და შეექცა; ერთი ორჯერ გვერდით, ხის დაბალ სკამზე დადგმული ხელადით წყალიც მოსვა. ის იყო თავი მიდო ბალიშზე, რომ სწორედ ისევე, როგორც წეღან, თითქოს ვიღაცამ უხმო... მისი სახელი მკაფიოდ გაისმა ღამის მყუდროებაში და კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა. ქეთევანი ანგარიშმიუცემლად წამოიჭრა ზეზე; იგრძნო, როგორ აუძგერა გული ამ უდროო დროს, ამ მყუდრო ღამეში დახურულმა უეცარმა ძახილმა, მაგრამ გულისთვის ყური არ უთხოვებია, აივანს ორივე ხელით დაეყრდნო და თვითონაც ხმადაბლა გასძახა ღამეში:

— ვინა ხარ?

— მოხვედი, ქალო?! მადლობა ღმერთს... — მოესმა პასუხი.

მარჯვნივ მეზობლის სახლი თუმცა საკმაოდ იყო

დაშორებული ქეთევანის სახლიდან, მაგრამ ღამის სიწყნარეში ყოველი სიტყვა ისე ისმოდა, თითქოს ერთმანეთის გვერდით მსხდარიყვნენ მოსაუბრენი.

— მოვედი! — ცოტა მწყრალად გასძახა ქეთევანმა, გუნებაში კი გაიფიქრა: „ამ უდროო დროს ნეტავ რა ეშმაკად გავახსენდი, რისთვის მიხმობს?“ — რა გინდოდა, ადამიანო? შენ, ალბათ, ერთი პირი უკვე გამოიძინე და...

— რა დამაძინებდა, — კვლავ მოისმა სიბნელეში მეზობლის ხმა, — შეღამებიდან ასე ვზივარ აივანზე და გელოდები, ჩამთვლემს, გავიღვიძებ, კიდევ და კიდევ.

— მერედა რათაო?

— გელოდები...

— გამაგებინე, — მოთმინება აღარ ეყო ქეთევანს, — რა დაგემართა, რა გაგიჭირდა, კიდევ ხომ არ შეუბრუნებია ავადმყოფობას?

— მოსაშველებელი, მადლობელი ვარ, არაფერი მჭირს. მე და შენს მტერს გაუჭირდეს. ნაშუადღევს ჩვენი კონდუქტორი იყო, მახარეს ამბავი ჩამოიტანა.

— დაიცა, ქალო, კარგად არ მესმის, გადმოვალ ერთი!.. — გასძახა ქეთევანმა, როგორც კი მახარეს სახელი შემოესმა.

ამ ერთმა სიტყვამ, შვილის სახელის გაგონებამ, ისე ააღელვა ქეთევანი, რომ აღარ იცოდა ან ჩუსტი სად იყო, ან კაბა, ან თავზე უნებლიეთ გადამძვრალი თავსაფარი.

გზა მოკლედ მოჭრა, ღობეზე მარჯვედ გადავიდა და მეზობელს მიაშურა.

— აბა დაწვრილებით მიამბე, ანა!

ანამ რაც იცოდა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო თუ არა, ქეთევანი ერთ წუთსაც აღარ დარჩენილა მეზობელთან.

ქეთევანმა მეზობლის ნათქვამი ისე გაიგო, რომ მახარეს ომში გაგზავნას უპირებენ, მაგრამ ჯერ არ გაუგზავნიათ; თანაც, ეტყობა, მახარე გამოთხოვების ცერემონიებსაც მოერიდა, ისე უბრალოდ განუზრახავს წასვლა.

რაწამს ქეთევანმა შვილის ამბავი შეიტყო, მაშინვე გადაწყვიტა, გზას დაუყოვნებლივ გასდგომოდა. პირველი, ვინც მოაგონდა ამ გაჭირვების წუთებში, შოფერი იყო. ქეთევანი ისე შეეპყრო შვილზე ფიქრს და სასწრაფოდ გამგზავრების წადილს, რომ არც კი გახსენებია, რარიგ აწყენინა წეღან შოფერს; ახლა ყველაზე ძვირფას ადამიანად და ერთადერთ მხსნელად ის წარმოედგინა.

ქეთევანს შინ აღარ შეუვლია, ისე გაეშურა შოფრისაკენ.

შოფერი ეზოში იწვა. ბალახზე გაფენილ ძველ ნოხზე გაეშალა ლოგინი; გულაღმა გაშოტილს, მარტო წელზე, მუხლამდე ეფარა თხელი საბნის ნაპირი. მკლავები თავქვეშ შემოეწყო, თავი განზე გადაეხარა და ძილში ოდნავ პირდაღებული ისე ხვრინავდა, რომ იქვე მახლობლად წამოწოლილი ბაღლი დროდადრო

თავს მაღლა სწევდა, პატრონს გადახედავდა და ისევ ჩასთვლემდა.

ძაღლმა ჯერ ფეხის ხმაზე ცქვიტა ყური, ხოლო როცა ქეთევანი ღობეს მოადგა, წინა ფეხებზე წამოიწია და ყეფა მორთო.

ნახევრად გაღვიძებულმა შოფერმა ძაღლს ხელი აუქნია, მაგრამ ამასობაში ძახილიც მოესმა. ლოგინზე წამომჯდარმა თვალები მოიფშვნიტა. ხმაზე იცნო ქეთევანი, მაგრამ ვერ დაეჯერებინა. „ამ ღამეში რა უნდა გასჭირვებოდა? არა, ქეთევანი არ იქნება...“ — გაიფიქრა შოფერმა და ბალახზე გადაფენილ სპეცშარვალს გადასწვდა. ზანტად წამოდგა. უცხო კვლავ უხმობდა, როგორც ხმაში, ისე მოძრაობაზე მოუსვენრობა ემჩნეოდა. პატრონი რომ წამოდგა, გამხნევებული ძაღლი ყეფით დაწინაურდა, მაგრამ ქეთევანის ხმაზე მყის გაჩუმდა. ვეებერთელა ბამბურა კუდის ქნევით ხან ქეთევანს შესცქეროდა, ხან — პატრონს, რომელიც დინჯი ნაბიჯით მოეშურებოდა ღობისაკენ. როცა შოფერი ღობეს მიუახლოვდა, გაოცებული ერთ წამს შედგა. მერე ღობემდე თვალის დახამხამებაში მიირბინა და ისე შეხედა ქეთევანს, თითქო გამომეტყველების მიხედვით უნდოდა წინასწარ გამოეცნო მისი წადილი თუ ზრახვა.

— რა მოხდა, რა დაგემართა?

— გეტყვი, დამაცა.

ქეთევანმა მკერდზე ორივე ხელი მიიბჯინა და ერთი-ორჯერ ღრმად ჩაისუნთქა ღამის გრილი და სუფთა ჰაერი.

— შემობრძანდი ბარემ ეზოში! — შოფერმა მცირე კარის ურდულს ხელი გაჰკრა; კარი ჭრიალით გაიღო.

ეზოში შესვლის უმალ ქეთევანს ძაღლი შინაურულად შეეგება, სიხარულით გაეთამაშა. ქეთევანმაც არ აწყენინა მურიას, ყბებქვეშ ხელი მოუთათუნა, მოეფერა. მოფერებამ გაათამამა ძაღლი, მაგრამ პატრონის შეძახების უმალ კუდდაშვებული და თავდახრილი გაილალა და შორიახლოს ბალახზე დაჯდა.

ქეთევანმა მარჯვენა ხელი მკერდზე დაადო შოფერს, მარცხენა იდაყვს ზემოთ მკლავში ჩასჭიდა, თვალი გაუსწორა და ისეთი ვედრების კილოთი, სულისშემბვრელი ხმით უთხრა „ბიჭო“, რომ ვაჟკაცს ბავშვივით შეუფანცქალდა და აუჩუყდა გული.

— თუ ხათრი გაქვს, გამაგებინე...

— ბიჭო, — კვლავ გაიმეორა ქეთევანმა ისე, როგორც თავის მახარეს საალერსოდ, მოფერებით მიმართავდა ხოლმე, — თუ მიშველი, ისევ შენ უნდა მიშველო...

ქეთევანმა თავისი გასაჭირი მოკლედ უამბო.

შოფერმა ქეთევანის ნაამბობზე ისეთი სახე მიიღო, რომ უთქმელადაც ყველაფერი გასაგები გახდა.

— ბაკში ნახევარი ლიტრი ბენზინიც აღარ იქნება, ძლივს მოვაღწიეთ წეღან სოფლამდე, — თქვა შოფერმა, მაგრამ მის გამომეტყველებაზე მიხვდებოდით, გამოსავალს გაფაციცებით ეძებდა, თან იმითაც ამაყობდა, რომ ქეთევანი ეხვეწებოდა, ასეთი შემთხვევა კი, ვინ იცის, შეიძლება აღარც მისცემოდა.

— შუბლს რომ ისრეს, რას გიშველის! ერთი შემომხედე, დრო არ ითმენს, გული ხომ ვეღარ ითმენს და ვეღარ... — უკმაყოფილოდ შენიშნა ქეთევანმა.

— ეგ ალრის ცეცხლი, აი! ნიკო მაინც იყოს აქა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხსენებაზე ქეთევანმა მკლავში ხელი ჩაავლო შოფერს, თავისკენ მოსწია და შეანჯღრია.

— ნიკოს ექნება ბენზინი, შემომხედე, გესმის? ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს!

— არც მე გავექცეოდი, მაგრამ ვაი რომ, არც იმასა აქვს...

— მაშ რით დააქროლებს?

— რას დააქროლებს, ეგრე დგას მისი მანქანა. დაიცა, ქეთევან!

ქეთევანმა ახლა მეორე მკლავშიაც ჩასჭიდა ხელი და თვალებშიაც ისე ჩააცქერდა, რომ შოფერს არ შეეძლო, რაც გულში ედო, რასაც ფიქრობდა, არ გაემხილა.

— ნიკოს მანქანაში კი არის ცოტაოდენი ბენზინი, მაგრამ...

ქეთევანს სიხარულისაგან თვალები გაუფართოვდა.

— ნაბრძანები მაქვს, რაც უნდა იყოს, ხელი არ წამიცდეს.

ქეთევანი შოფრის სიტყვებს ყურს აღარ უგდებდა. სწრაფად უშვა მას ხელი და აივნის ქვეშ დაყენებული „М-1“-საკენ გაეშურა. შოფერიც აედევნა.

— იქნებ სხვა რაიმე მოვიფიქროთ... არ იქნება,

ქეთევან! — თითქოს ემუდარებაო, ისე მისძახოდა შოფერი, მაგრამ ქეთევანს ახლა არაფრის გაგონება აღარ სურდა.

— გარეგნულად გინდოდა თანაგრძნობა გამოგეხატა, გუნებაში კი ფიქრობდი: სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო?

ქეთევანის შენიშვნამ ენა დაუბა შოფერს. იგი, მართალია, მთელი არსებით მის მხარეზე იყო, მაგრამ ნიკოს შიშიც ჰქონდა. შოფერი თითქოს გარეგნულად ეწინააღმდეგებოდა ქეთევანის მოქმედებას, მაგრამ გულის სიღრმეში მისი გამბედაობა ახარებდა, უნებლიეთ მის ნებას დაჰყვა.

ქეთევანმა თვითონ გამოჩხრიკა, რაც საჭირო იყო — ცარიელი ბიდონი, რეზინის მილი. ის იყო „M-1“-დან ბენზინის გადმოსხმასაც უნდა შესდგომოდა, რომ აქამდე გულხელდაკრეფით მდგარი შოფერი, ანგარიშმიუცემლად წამდაუწუმ რომ იმეორებდა, თითქოს თავს იმართლებსო, — „მღუპავ და ესაა! ნიკოს რა პირით დავხვდე“, — უმალ ეცა ქეთევანს, რეზინი გამოართვა და თვითონ შეუდგა ბენზინის გადმოსხმას. „ჯანდაბას ჩემი თავი, თუ დაბრალებაა, ისევ მე დამბრალდეს“, — ფიქრობდა გუნებაში.

ათი წუთის შემდეგ საბარგო მანქანა კვლავ იმ ორღობეში მიჰქროდა გუგუნით, სადაც წეღან ზვრიდან წამოყვანილი კოლმეურნე ქალები ჩამოარიგა.

ამ წყნარ ღამეში, ამ გაყუჩებულ სოფელში მარტო მდინარის შორეული შხუილი რომ მოისმოდა, ახ-

ლა უეცრად, მანქანის ხმაზე ისეთი ყეფა ატეხეს ძაღლებმა, რომ გაუღვიძებელი არავინ დაუტოვებიათ.

ორღობეს რომ გასცილდნენ, შოფერმა სისწრაფეს მოუმატა. თუმცა გზა მიხვეულ-მოხვეული იყო, აღმართ-დაღმართიც ხშირად ხვდებოდათ, მაგრამ შოფერი ისეთ სიმარჯვეს იჩენდა, ისე იყო გატაცებული თავისი ხელოვნებით, რომ ქეთევანი კმაყოფილებას და აღტაცებას ვეღარ ფარავდა, მალიმალ გადახედავდა ხოლმე მალულად.

ისე მიჰქროდა, ისე ძაგძაგებდა მანქანა, სიამოვნებასთან ერთად ადამიანს ჟრუანტელს ჰგვრიდა.

წინ დასავლეთი ჩაკუპრული ჩანდა — ცისა და მიწის ზღვარი გაერთიანებული იყო. მოშავო ცაზე მთვარე ისე ანათებდა, თითქოს გამურულ შუშაში იცქირებაო. მის ირგვლივ ციმციმებდა მკრთალი ნათელი. თუ ძალიან დააკვირდებოდით, აქა-იქ შეიძლება შეგემჩნიათ ვარსკვლავებიც. როცა მანქანა სწორ გზაზე მიჰქროდა, ქეთევანი წელგამართული, კალთაში ხელებჩაწყობილი იჯდა. მოსახვევებში კი ისე სწრაფად და მაგრად ჩაავლებდა ხოლმე ხელებს ღია სარკმლის ნაპირს და შოფრის სავარძლის ზურგს, რომ რაც უნდა უეცარი და ძლიერი ყოფილიყო მანქანის შემობრუნება, ქეთევანს ადგილიდან ვერა სძრავდა. ეს გარეგნული დაძაბულობა შინაგან სულიერ აფორიაქებასთან ერთად ისე მომქანცველი იყო, რომ რაწამს მანქანა სწორ გზაზე გავიდოდა, ქეთევანი უმალ შეასვენებდა ხოლმე სარკმლის ნაპი-

რისა და სავარძლის ზურგისათვის ჩაჭიდებულ ხელებს.

გზას თითქო ბოლო არ უჩანდა. დროდადრო შუქფარების იისფერი სინათლის ზოლში მოხვედრილი, მოსახვევში აღმართული კლდის ნაპირი თუ თითო-ოროლა ხე ან ბუჩქი ისე ხშირად მეორდებოდა და ისე ჰგავდა ერთმანეთს, ქეთევანს ეგონა, ან ბრუ მესხმის და მეჩვენება, ან ერთ ადგილს ვუტრიალებთო.

ჩაფიქრებული ქეთევანი დროდადრო შეკრთებოდა ხოლმე, როცა ბოგირზე მანქანა ყრუდ გაიბრუხუნებდა. ფანჯარაში გადაჰყოფდა თავს და ერთი-ორი წუთი გაჰყურებდა უკან მოტოვებულ გზას. ქარი კისერში სცემდა და ყურებში შხუილი გაჰქონდა, საფეთქელთან ჩამოშლილ თმებს კიდევ უფრო უწეწავდა.

ერთი მხრივ იმის განცდა, რომ ყოველი წამი, ბორბლის ყოველი შემობრუნება მახარესთან აახლოებდა, მეორე მხრივ ამ, თითქოს ზღვარწაშლილ სამყაროში, მიწის და ცის დიად, შეხმატკბილებულ მდუმარებაში მგზავრობა ჯერ განუცდელ, გამოუთქმელ სიამოვნებას ჰგვრიდა ქეთევანს.

ამ ფიქრებსა და განცდებში, მანქანის ერთფეროვან ხმაურში თვლემაც მოერია; ერთხანს ქეთევანი ცდილობდა გასძალიანებოდა, თავს იჭერდა, ბოლოს მაინც სძლია თვლემამ. ქეთევანმა თავი უკან გადაჰკიდა, როცა ქვემოთ ჩაცოცდა და სავარძლის საზურგეს უფრო მჭიდროდ, მოხერხებულად მიეყრდნო.

განაბული, თვალდახუჭული ახლა მარტო მანქანის მოტორის და ბორბლების ხმას უგდებდა ყურს. დროდადრო, თუ მანქანა რომელიმე მხარეს ძალუმად გადაქანდებოდა, ქეთევანი უმალ გაახელდა თვალს, შოფერს გადახედავდა, ერთი ამოიოხრებდა და კვლავ ფიქრში წასული, თვალდახუჭული უსმენდა მოტორის ხან აჩქარებულ, ხან შენელებულ ხმაურს.

მანქანამ უცებ უკლო სიჩქარეს, მოტორის ხმა თითქმის მიწყდა და ახლა ფაჩუნიღა მოისმოდა, კიდევ გაიარა თხუთმეტიოდე მეტრი და შეუმჩნევლად მოსახვევთან შედგა.

ქეთევანმა იგრძნო თუ არა მანქანის შეჩერება, შეიშმუშნა, თვალი გაახილა. ერთ-ორ წუთს იჯდა ასე, ფართოდ თვალგახელილი და ხმას არ იღებდა. ძირს ჩამოსულმა შოფერმა მანქანას შემოუარა. საჭის მხარეზე ღია კართან აიტუზა და ქეთევანს დამნაშავესავით დაუწყო ცქერა. ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა, მეორე ხელის თითებით კი ისე აწვალებდა გაოფლილ ქოჩორს, თითქო ამოგლეჯას ლამობსო.

ისინი რამდენიმე წუთი მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს, ბოლოს ქეთევანმა ვეღარ მოითმინა, ცნობისმოყვარეობამ სძლია.

— სადა ვართ? — იკითხა ხმადაბლა.

— მეც არ ვიცი...

— მაშ რატომ გაჩერდი?! — კვლავ გაისმა სიბნელეში ქეთევანის შიშნარევი და თანაც მწყრალი ხმა.

— რა გამაჩერებდა... — დაიწყო შოფერმა, ცალი

ფეხი მანქანის კიბეზე შედგა, უეცრად მუხლზე გაგულისებით ხელი დაიკრა და დაუმატა: — გათავდა!

შოფერს არ დაუნახავს ქეთევანის სახე, არც მისი მოძრაობა შეუნიშნავს, არც ხმა გაუგონია, მაგრამ მიხვდა, იგრძნო, რარიგ იმოქმედა მასზე ამ ერთმა სიტყვამ — „გათავდა“:

ქეთევანი ერთ წუთს კიდევ უძრავად იჯდა კაბინაში, შემდეგ მძიმედ ჩამოდგა ფეხი მიწაზე, დადუმებულ-გაცივებულ მანქანას თავი დაუარა, გახედგამოხედა. საგონებელში ჩავარდნილმა შოფერმა იმდენი ძალა მოიკრიბა, რომ კიდევ მოასერხა ქეთევანისათვის ორიოდე მანუგეშებელი სიტყვა ეთქვა, — იქნებ მანქანით ვინმემ ჩამოიაროსო.

ქეთევანი კვლავ დუმდა. შოფრის გულუბრყვილო ვარაუდი მას არცთუ ისე ხიბლავდა.

შოფერი სულ გზის გასწვრივ, მარჯვნივ და მარცხნივ აცეცებდა თვალს, ყურიც ფხიზლად ეჭირა — იქნებ სადმე იისფერი შუქი გამოკრთეს, ან მოტორის ხმა მომესმასო. მაგრამ მთელი მიდამო საგანგებო მდუმარებით იყო მოცული. გზას მარცხნივ კლდოვანი წაფერდებული გორაკი გასდევდა. გორაკის ფერდობზე აქა-იქ შავ ლაქად ჩანდა ხე თუ ბუჩქი. მარჯვნივ თვალჩაუწვდენი სრამი იყო, რომლის თითქმის შვეულად დაქანებული ფერდობი დაფარული იყო ხშირი ტყით. ფერდობის ძირიდან მოისმოდა მდინარის ერთფეროვანი შხუილი, ღამის გრილ და თითქოს ნესტიანი ნიავის ქროლვაზე ეს ხმა ხან ძლიერდებოდა, ხან ნელდებოდა. თუ გზიდან გადაიხე-

დავდით და კარგად დააცქერდებოდით, მთვარის ძალიან მკრთალ შუქზედაც სადღაც, უფსკრულის ძირას, შავად გაწოლილ მდინარის მოსახვევში შეამჩნევდით მოვერცხლისფრო უსწორმასწორო ზოლს. მდინარე აქ ძალიან დაკლებული იყო, სიპ ქვებს შორის უფრო აჩქარებით მიეშურებოდა თავქვე და ის შხუილიც აქედან მოდიოდა.

— გზის ერთი მესამედიც აღარ არის დარჩენილი, — შენიშნა შოფერმა მცირე დუმილის შემდეგ და ხრამის პირად, სადაც ქეთევანი იდგა და ხეობას გადასცქეროდა გულხელდაკრეფილი, ბალახით დაფარულ ბორცვზე ჩამოჯდა. — სხვა გზა მაინც არ არის, — განაგრძო მან. — უნდა ველოდოთ, სანამ რომელიმე მანქანა გამოჩნდებოდეს.

ქეთევანმა ამოიოხრა, დაჭდობილი ხელები უცებ ზემოთ ასწია, თმები შეისწორა და თითქო შოფერს კი არა, შორს, გაღმა ვინმე უჩინარს ელაპარაკებაო, დინჯად, ბეჯითად შენიშნა:

— როგორც გინდოდეს, მე კი... მეტს ვეღარ მოვიცდი.

— მაშ, ამ ღამეში გაუდგები?

— რა უშავს, ღამითაც აქაურობა საქართველოა.

— საქართველოა, მაგრამ... — შოფერი წამოდგა, ხელისგულები გაიბერტყა. — მართალია, დედად მეკუთვნი, ასეც გთვლი, შენი თავი ჩემთვის არავის ჩაუბარებია, მაგრამ... ასე ითვლება, მე მომაკითხავენ... რა დროა, რა ვიცი, რას გადაეყრები ადამიანი.

— დარდი ნუ გაქვს.

— სანამ ორიოდე კილომეტრს გავივლიდე, რამე მანქანაც გამოჩნდება, ნაცნობს მოვთხოვ, უცნობს ვთხოვ და...

ქეთევანი მოულოდნელად მოუბრუნდა შოფერს.

— არ გეწყინოს, მეტი მოცდა აღარ შემიძლია.

— ქეთევან!

— უნდა წავიდე.

შოფერმა ახლა კი ირწმუნა, რომ ქეთევანი ნამდვილად აპირებდა წასვლას, მარჯვედ გადაუდგა, მკლავები გაშალა.

— ბიჭო, განა მე არ მინდა შევიცადო? მახარეს გეფიცები, მინდა, მაგრამ ვერ მომიცდია, გული არ იცდის, გული!

შოფერმა მორჩილად დაუშვა მკლავები.

— მაინც არ იშლი და, — წყენით შენიშნა, — მაშ მე რიღასი მაქნისი ვარ, გამოგყვები და ის იქნება.

— რას ჰქვია, გამომყვები, — შეუწყრა ქეთევანი, — მანქანა?!

— ადამიანს რომ რამე შეემთხვეს, აღარა ეშველება, მანქანა კი...

— არ გაგიჟდე! — ქეთევანმა მწყრალად შეხედა, ხელიც ასწია გაფრთხილების ნიშნად, მაგრამ უმალ კილოც შეარბილა და ხელიც დაუშვა. — ბიჭო, თუ აქედან არა, იქიდან ხომ მაინც დაგვჭირდება მანქანა ჩემს წამოსაყვანად, გათენებამდე ქალაქიდან უნდა გამოვიდეთ!

შოფერს მორჩილად გაეღიმა.

— რახან არ იშლი...

— ნუღარ მაგვიანებ, შენ იცი და შენმა სიმარჯვემ, თუ დილით მაინც დამხვდები მანქანით! ჩემი ბიჭის მისამართი იცი?

— ვიცი.

ქეთევანს აღარაფერი უთქვამს, სწრაფად შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას. ერთ-ორ წამს შოფერი გაქვავებულივით იდგა, მერე უცებ დაფაცურდა, კაბინის სავარძლის ყუთიდან ნაჯახი ამოიღო და იქვე, გზის ნაპირას ერთ მოზრდილ ხისკენ გაემართა, ტოტებს ხელი შეავლო, საშუალო ზომისა შეარჩია. ორი დაკვრა და ტოტი მოწყვეტით დაეშვა, ძირს აღარ დავარდნილა, შოფერმა ჰაერშივე სტაცა ხელი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიძახა:

— ქე-თე-ვან!

გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი, თან ტოტს წვრილ-წვრილ კეწეწებს ასხეპდა, კორძებს ასწორებდა. ქეთევანი შეჩერებულიყო. შოფერი სირბილით მივიდა მასთან, გაუღიმა.

— აჰა! — ჯოხი მოულოდნელად გაუწოდა.

ქეთევანს გაეღიმა. ჯოხი ხელში შეატრიალა, ველარ მოითმინა, ამ უბრალო ყურადღებამ გული აუჩუყა, უცებ თმაში ჩაავლო ხელი შოფერს, თავი განზე გადაუწია და საფეთქელთან აკოცა. წასვლის წინ ერთხელ კიდევ გამოხედა ამაყად, თითქოს უნდა გაამხნეოს, ჩემი დარდი ნუ გექნებაო, და კვლავ ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა.

ქეთევანის მოსიყვარულებით გულაჩუყებული შოფერი ერთხანს შუა გზაზე იდგა, ძალიან ცდილობ-

და, ქეთევანისთვის თვალი გაედევნებინა, მაგრამ ერთი მხრივ სიბნელე, მეორე მხრივ თვალებზე მომდგარი ცრემლი ამის საშუალებას არ აძლევდა.

მეტი თუ არა, ოციოდე კილომეტრი ქეთევანმა ისე გაიარა, თავი სიზმარში ეგონა, მისი ყურადღება არაფერს მიუქცევია. ის მხოლოდ ერთი წადილით იყო შეპყრობილი, — დროზე ჩაეღწია ქალაქს, შვილისათვის ჩაესწრო.. რაც უფრო უახლოვდებოდა სანატრელ ადგილს, ეს წადილი მით უფრო მწვავედ კუმშავდა ქეთევანის გულს, მით უფრო კლებულობდა მოთმინებაც. გზაში ორჯერ თუ სამჯერ შეისვენა მხოლოდ.

როდესაც ქეთევანი ქალაქში შევიდა, ერთი წამით ყველაფერი ზღაპრულად მოეჩვენა, თვითონაც თავი ზღაპრის გმირად წარმოიდგინა. მთვარე გზადაგზა რომ მოჰყვებოდა თანამგზავრივით, ახლა უკვე აღარ ჩანდა, მხოლოდ მთის გადაღმა ერთგან მკრთალი ნათელი ამხელდა მის ადგილსამყოფელს. ქალაქში ნათელი წერტილის კიაფსაც კი ვერსად შეამჩნევდით, მხოლოდ ქუჩის გასწვრივ ორივე მხრივ მაღაზიების ფასადზე თუ შენიშნავდით შუქფარიან მუქ იისფერ ნათურას, რომელიც მხოლოდ ფასადის ქვედა მცირეოდენ ნაწილს ანათებდა ნახევარწრიულად.

ქუჩაში ცხენოსანი მილიციელები დადიოდნენ. ფილაქანზე ცხენის ნალების ჭახუნი მიძინებული თუ გაყუჩებული უბნის მყუდროებაში მკაფიოდ ისმოდა. დროდადრო, როცა პროჟექტორის შუქი ცაში

აიჭრებოდა, ქალაქს ერთი წამით მკრთალი ნათელი ეფინებოდა, მაგრამ შუქის გაქრობის უმალ ისევ ბნელში იძირებოდა, ისევ იმ ზღაპრული და საიდუმლო ელფერით იმოსებოდა, როგორიც წეღან შორიდან იხილა ქეთევანმა. რაკი აქამდე მოაღწია, ახლა ქეთევანს ვეღარაფერი აკრთობდა, ვეღარაფერი აჩერებდა, განაგრძობდა გზას იქით, სადაც მახარე ცხოვრობდა. შვილის სიყვარული მოუწოდებდა თავისკენ და, რაც უფრო უახლოვდებოდა სანატრელ ადგილს, შვილის ხილვის წადილიც უსაზღვროდ იზრდებოდა.

ძველ უბანში, ნაცნობი ეზოს წინ ხის ალაყაფის კართან შეჩერდა ქეთევანი. ეზოს სიღრმეში ქანდარებივით ჩამწკრივებული ხის გრძელი აივნებიანი სახლის მესამე სართულზე შვილის ოთახს უსწორა თვალი. ოთახის ფანჯრები ჩაბნელებული იყო. ქეთევანს თვითონაც წამით თვალთ დაუბნელდა, ავად ენიშნა ეს ამბავი, იმისათვის კი არ მიუქცევია ყურადღება, რომ სინათლე არც სხვაგან ჩანდა. კარის ჩარჩოს კიდეს ანგარიშმიუცემლად ჩასჭიდა ხელი, ნაბიჯის გადადგმაც ვეღარ მოეხერხებინა. შვილის ფანჯარას დაჟინებით მისჩერებოდა, მაგრამ ფანჯარა დახუჭული თვალივით გამოიყურებოდა. ბოლოს ღონე მოიკრიბა, ხელით უბიძგა კარს და რამდენიმე ნაბიჯი ჯიქურ გადადგა ეზოში. უცებ წაიბორძიკა, მაგრამ დროზე მოასწრო, ხელები წინ გაიშვირა და სიბნელეში რაღაც ბორცვს ზედ დაეცა; მუხლი იტკინა, მაგრამ მაინც სწრაფად წამოდგა, პირველი მარცხი არაფრად ჩააგდო, თუმც არ ესიამოვნა.

მწყრალად დააცქერდა მიწას, გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა... ისეთივე ბორცვებს, ახლა რომ წამოედო, აქა-იქ ძლივს თუ გაარჩევდით. გეგონებოდათ, გიგანტურ თხუნელას გაუვლიაო, ისე იყო ეზო გადათხრილი და მიხვეულ-მოხვეული მიწაყრილით მოფენილი. ქეთევანმა ახლა უფრო ფრთხილად განაგრძო გზა, ერთ ბორცვზე გადაიარა, შემდეგ მეორეზე... კიბესთან მიახლოება და ორი აჩრდილის ქეთევანის წინ წამოჭიმვა ერთი იყო; ეს კი ქეთევანისათვის მოულოდნელი იყო, შეშინდა ქეთევანი, მაგრამ უკან არ დაუხევია. ახლა ისე ახლოს იყო მახარესთან, რომ აგრე ადვილად ვეღარაფერი შეაჩერებდა.

ერთს ფეხი არ მოუცვლია, მეორე ცოტა განზე გადგა და ქეთევანს ახედ-დახედა.

— სად მიხვალთ, ქალბატონო?

— შვილთან, — მოკლედ მოუჭრა ქეთევანმა და კიბის თავში ჩამდგარ აჩრდილს გვერდი აუქცია, გუნებაში კი გაიფიქრა — „ვინ უნდა იყოს, ჩემთან რა ესაქმება?“

— რომელია? — იკითხა კიბის თავში მდგომმა.

— მახარე.

მახარეს გაგონებაზე უმალ გზა უტიეს. ქეთევანმა აღარ დააყოვნა, აჩქარებით შეუდგა კიბეს, მაგრამ მეოთხე თუ მეხუთე საფეხურზე მოულოდნელად შემობრუნდა.

— შინ არის? — იკითხა ქეთევანმა.

— შინ გახლავთ, — მიუგო კიბის თავში მდგომ-

მა ღამის მორიგემ, რომელიც მართლა აჩრდილივით აეტუზა წელან ქეთევანს.

— რომელი მახარე გნებავთ? — იკითხა მეორე მორიგემ. — ამ ეზოში მახარე ორია.

ქეთევანს ყური არ უგდია. მას უკვე კიბის ბოლომდე მიეღწია და გული აღარ უთმენდა, დრო აღარ ჰქონდა გამოსალაპარაკებლად; მეორე სართულის ბაქანზე რომ შედგა ფეხი, მაშინ იგრძნო, რარიგ იყო დაქანცული, კიბემ ერთბაშად მოსხლიტა მუხლებში. მესამე სართულს რომ უახლოვდებოდა, გული თითქოს ამოვარდნას ლამობდა. ძალიან ცდილობდა ქეთევანი გულის დაწყნარებას და თავის დაჯერებას, რომ მახარე შინ დახვდებოდა. ამ რწმენის ძალამ მოაღწევინა აქამდე, თორემ მართლა რა გული და რა მუხლი გაუძლებდა, რა შეაძლებინებდა მთელი დღის ნაჯაფს, დაქანცულს, იმოდენა მანძილის შეუსვენებლად გამოვლას.

გრძელ აივანზე მეოთხე კარი მახარეს ოთახისა იყო. წინა ოთახებს ქეთევანმა მარდად ჩაუარა და მახარეს კარებთან შედგა. ის იყო ხელი დასაკაკუნებლად ასწია, რომ ოთახიდან ხმადაბალი ლაპარაკი მოესმა. ახლა კი მოითქვა სული ქეთევანმა, რახან დარწმუნდა, შვილი შინ იყო. მაგრამ რას ნიშნავდა ეს ჩურჩული ან კარ-ფანჯრის ასე საგულდაგულოდ დასაგვა, ჯერ ვერ მიმხვდარიყო. გახარებულმა ქეთევანმა ორჯერ დააკაკუნა ფანჯრის შუშაზე. ხმა არავის გაუცია. როცა დააყურა, ისევ ის ხმადაბალი ლაპარაკი მოესმა, თითქოს ოთახში მყოფთ კაკუნი

არ გაუგონიათო. ქეთევანმა ახლა უფრო ხანგრძლივად, უფრო მაგრად დააკაკუნა კარზე. პასუხად მეზობელ ოთახიდან ქალის ხმა მოესმა:

— მანდ ვინ არის?

ვიდრე ქეთევანი უპასუხებდა, ქალი აივანზე გამოვიდა.

— პატრონი შინ არ არის, წასულია, — შენიშნა მან და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ქეთევანისაკენ. ქეთევანმა უმალ იცნო.

— მარინე ხარ?

— ქეთევან! — იცნო მარინემაც. გაოცებისაგან ერთი კი გადაიხარა უკან, მერე სწრაფად მიაშურა ქეთევანს და გაშლილი მკლავები გადახვია. ქეთევანიც სიხარულით შეეგება.

— შინ არ არისო?! — დაიწყო ქეთევანმა, როდესაც ერთმანეთის მოსიყვარულებით გული იჯერეს, თან ყური სულ კარისაკენ ეჭირა; უკვირდა, არც შეძახილზე, არც ფეხის ხმაზე რომ არავინ გამოიხედა. ხმადაბალი ლაპარაკი ისევ ისე ისმოდა ოთახიდან.

— მაშ ვინ არის, ვინ ლაპარაკობს მახარეს ოთახში?

მარინეს ელდა ეცა.

— ვინ უნდა ლაპარაკობდეს, რას ამბობ! — მარინემ უმალ ყური მიადო კარს და გაეცინა. — მეც არ გამიკვირდა! ადრე როგორ ვერ მივაქციე ყურადღება... შენს ბიჭს რადიო დარჩენია გამოურთავი.

თითქოს არ სჯერაო, ქეთევანმაც მიადო ყური კარს და უმალ ფერი ეცვალა. მარინე მართალი იყო.

— მახარე სადღაა? — ძლივს ამოთქვა ქეთევანმა.

— როგორ მეკითხები, ქალო? ბიჭი რახანია წავიდა.

— წავიდა?

— ჰო, ფრონტზე!.. ხომ მოგწერა.

ქეთევანი აივნის მოაჯირს მიეყრდნო.

— რას ამბობ, მარინე!... — ულონოდ წარმოთქვა ქეთევანმა.

— აგერ ჩემთან შემოდი, ქეთევან, გამაგებინე ისაიდან, როგორ გაჩნდი ამ შუაღამისას?!

- ქეთევანი მორჩილად გაჰყვა. სანამ ნაბიჯს გადადგამდა, ერთხელ კიდევ შეათვალიერა მახარეს კარ-ფანჯარა. არასგზით არ უნდოდა დაეჯერებინა, ის ხმა, ოთახიდან რომ ისმოდა, მახარესი არ იყო.

ბნელ ოთახში რბილ ტახტზე ჩამოსხდნენ. სინათლის ანთებას და კარ-ფანჯრის დასაგვას ასე სიბნელეში ჯდომა სჯობდა. ქეთევანი და მარინე ერთხანს მდუმარედ ისხდნენ, თითქოს რამეს ელოდებიანო.

მარინე გრძნობდა, რომ ქეთევანის მდუმარება გულისტკივილით იყო გამოწვეული. ქეთევანის გულისტკივილს ახლა მარტო ის იწვევდა, რომ მახარე ომში წასვლის წინ ვეღარ ნახა, თორემ სხვა რამ ამ ამბავში მისთვის არც გასაკვირი იყო, არც მოულოდნელი.

— გასაღებს დატოვებდა ალბათ ჩემი ბიჭი.

— როგორ არა, ჩვენთან დატოვა. სულ გელოდი, გული გადაგველია... უშენოდ არ მინდოდა კარის გაღება.

— შე ქალო! — ამოიოხრა ქეთევანმა. — მეც აქეთ მქონდა გულისყური, მაგრამ, — ქეთევანმა ერთხელ კიდევ ამოიოხრა, — მარინე, შენი საფიქრალიც გეყოფა, რაღაზე შეგაწუხო, გამიღე, შენს გახარებას, კარი, ჩემი ბიჭის ოთახს დავხედავ... გული აღარ მისვენებს...

— ახლა რაღა გეჩქარება, ქალო, ორ ნაბიჯზე ხარ, ცოტაც მოიცადე, ნამგზავრს გეშიება, ახლავე...

— არა, არა... ნუ შეწუხდები, ერთ ლუკმასაც ვერ გავიკარებ, წყალი თუ გაქვს, ცივი...

მარინემ თვალის დახამხამებაში დაასხა და მიაწოდა მაღალი ბროლის ჭიქით წყალი. ქეთევანმა ერთბაშად, ხარბად დალია წყალი, ჭიქა ლამბაქით ფრთხილად დადგა მაგიდაზე.

— ახლა თუ კარსაც გამიღებ, — კვლავ წამოიწყო ქეთევანმა და ადგომაც სცადა, მაგრამ გაუჭირდა. ტერფები ისე სტკიოდა, ძალას ველარ ატანდა. წვივებიც ტყვიასავით დამძიმებოდა. გაიფიქრა — ვიდრე მარინე კარს გააღებდეს, ერთ-ორ წუთს კიდევ შევისვენებო, ტახტს ხელისგულებით დაეყრდნო და ცალი ფეხი ნელა გამართა სიბნელეში.

მოულოდნელად მეორე ოთახიდან ქეთევანს მთქნარების ხმა მოესმა. ერთი-ორჯერ იატაკმაც გაიჭრაჭუნა და შუა კარში მოჩვენებასავით დათა გამოჩნდა. ნამძინარევი, საცვლების ამარა, მკერდმოღეღილი გამოვიდა მეორე ოთახიდან, ფანჯრის კუთხეში პატარა მაგიდაზე ხელი მოაფათურა, შუშის დოქი აიღო, კიდევ მოაფათურა ხელი და, რახან ჭიქა

ვერ იპოვა, რაღაც წაიბურტყუნა ნამძინარევი ხმით. ის იყო, დოქი მოიყუდა და მარინეც შემოვიდა. ქეთევანი განაბული იჯდა ტახტზე. სანამ ქეთევანს ეტყოდა რასმე, მარინემ დათას მოჰკრა თვალი და შეჰყვირა:

— დათა, არა გრცხვენია?

დათას ეგონა, წყალს რომ დოქითა ვსვამ იმისთვის მკიცხავსო, მაგრამ მობრუნდა თუ არა, ქეთევანი შენიშნა და უმალ მეორე ოთახისაკენ გაეშურა ძახილით — „ბოდიში, ბოდიში...“

შვილის ოთახის კარის ზღურბლზე ერთხანს გაშტერებული იდგა ქეთევანი, შესვლას არა ჩქარობდა. ოთახში ბნელოდა. სიბნელეში ისმოდა რადიოს ხმა— თითქო ხმელ ფოთოლს ფშვნიანო. ერთი წამით ქეთევანი კიდევ ელოლიავებოდა ფუჭ ოცნებას — „იქნებ მარინე მატყუებს, ჩემი უეცარი გახარება სწადია, შვილსაც მოლაპარაკებია და აქამდე მალავსო...“ რახან დარწმუნდა, რომ ასეთი ნუგეში თავის მოტყუება იყო, ნაბიჯი ფრთხილად გადადგა, შუა ოთახში შეჩერდა, სიბნელეში მიიხედ-მოიხედა.

— მარინე, შენს გახარებას ერთი, შუქი ავანთოთ!

— შუქი რომ ავანთო, კარ-ფანჯრები და დარაბებიც უნდა დავხურო — სული შეგვეხუთება, ვერ გაუძლებ, ასე სჯობია.

— იმაზე მეტი გასაძლები რაღა უნდა იყოს, რაც ამბავი დამხვდა!

მარინე უხმოდ დაემორჩილა მის ნება-სურვილს. ფანჯრები და დარაბები მიხურა.

— დახურე, დახურე!.. ახლა მარტო გულს სცხელა, თორემ სხეული ყინულივით ცივი მაქვს, — მარინეს ხელი გაუწოდა, — ნახე, თუ არ გჯერა. — ქეთევანის გაწვდილი ხელი მარინეს სიბნელეში არ შეუნიშნავს.

— მაშ, კარიც დავხურო?

— დახურე!

როცა მარინემ კარის დარაბებიც მიხურა, იქვე კედელზე ხელი მოაფათურა და ელნათურამ უეცრად გაანათა ოთახი. ქეთევანმა თვალზე ხელი მოიჩრდილა, ორი ნაბიჯი მძიმედ გადადგა და კოხტად გასწორებულ ლოგინზე ჩამოჯდა. კვერცხის გულივით ყვითელი აბრეშუმის საბნის პირს, რომლის შუაგულში მარტივი, რელიეფური ჩუქურთმა იყო გამოსახული, ხელი ფრთხილად გადაუსვა, შემდეგ მარინეს ცრემლით აპრიალებული თვალებით ახედა, საყვედურით შენიშნა:

— რა იქნებოდა, დროზე გეცნობებინა... ერთხელაც მენახა ჩემი ბიჭი.

— რა ვიცოდით, ქალო, რა ვიცოდით...

— რა მადლობელი ვიქნებოდი, ჩემი შვილიც რამდენჯერ დაგლოცავდათ... ახლა, ვინ იცის, როგორ ენატრება ჩემი ნახვა და არ შეუძლია. დამაცადოს... დედის უნახავი და დაულოცავი როგორ წავიდა, როგორ გაბედა...

— რა მისი ბრალია, ქეთევან, შენი არ მიკვირს,

ხომ ვერ დაგელოდებოდა, ქორწილში ხომ არ ეპატიჟებოდნენ. აგერ მესამე დღე შესრულდა, რაც...

ქეთევანი ზეზე წამოიჭრა, მარინეს ღონივრად ჩასჭიდა მკლავში ხელი.

— მესამე დღე?! — თითქოს მუხლებმა ვეღარ შეიმაგრესო, ქეთევანი ისევ მოწყვეტით ჩამოჯდა ლოგინზე, სამჯერ ღონივრად დაიკრა ხელი მარჯვენა მუხლზე, თანაც ყოველ დაკვრაზე ისე მობღუჯავდა ხოლმე მუჭში კაბის კალთას, თითქოს სველია და გაწურვას ლამობსო.

— ნაცნობ კონდუქტორს გამოატანა, ქალო, ბარათი, — ხმადაბლა შენიშნა მარინემ, — ნამდვილად მიუვაო.

— მომივიდა! — მწარედ, დამცინავად შენიშნა ქეთევანმა. — ვაი რა მომივიდა!.. — ხელი ახლა ისე ასწია, თითქო სახეში უნდა იცესო, და ასეც ეწადა, ალბათ, როცა გაიფიქრა, — „ვაი, შვილო მახარე!.. ვინ იცის, როგორ მელოდი". — მერე ხელი ისევ დაბლა დაუშვა, თავიც ჩაღუნა და გაინაბა. უკვე ღონე აღარ შესწევდა რამე ეთქვა ან რამე მოემოქმედა.

ქეთევანის ცრემლებით აპრიალებული თვალების ცქერაზე მარინესაც აუჩუყდა გული. იგრძნო, რომ სიტყვიერი ნუგეშით ახლა ვერას გააწყობდა, ოდნავ გასაგონად ჩაულაპარაკა ქეთევანს, ცოტა ხნით დაგტოვებო, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან, კარიც ფრთხილად გაიხურა.

რაწამს მარინე გავიდა, ქეთევანმა თავი ასწია, ოთახს თვალი მოავლო. „რა ღმერთი მიწყრება, ეს

ცრემლი რაღა ჭირია. ცოცხალს ვინ ტირის!“ — გაიფიქრა და ნელა წამოდგა. ოთახში მძიმე-მძიმედ გაიარ-გამოიარა, ცალი ფეხით ოდნავ კოჭლობდა, ქუსლს იტკიებდა. ყველა ნივთს, რაც მახარეს ოთახში იყო თავმოყრილი, ქეთევანი ჯერ თვალით ესიყვარულებოდა, მერე ხელითაც ეხებოდა, ფრთხილად სინჯავდა. რა უბრალოც უნდა ყოფილიყო იგი, ვერც მისი ფრთხილი სინჯვით, ვერც ალერსით გული ვერ ეჯერებინა. ბოლოს კარსა და ფანჯარას შუა, კედელთან მიდგმული პატარა მაგიდის წინ ჩამოჯდა სკამზე. სათითაოდ გადმოაწყო მაგიდაზე ორ სვეტად დალაგებული წიგნები. გადაშლიდა, სატიტულო ფურცელს თავიდან ბოლომდე ჩაიკითხავდა და ისევ იმ თანრიგით აწყობდა, როგორც მახარეს დაელაგებინა. მაგიდის უჯრაში პატარა ალბომი იპოვა, რომელიც მახარემ სოფლიდან წამოიღო. აქ იყო თავმოყრილი მრავალი გახუნებული თუ გაუხუნარი ფოტოსურათი წვერულვაშიანი, წოწოლა ბუხრისქუდიანი და ჩოხაში გამოჭიმული ქამარხანჯლიანი წინაპრებისა. აქვე იყო მახარეს პატარაობის სურათები. ახლა ქეთევანი დანახვის უმალ სწორედ ამ სურათებს დააფრინდა. ისე გაიხარა, თითქოს მახარე ენახოს. დახედავდა თუ არა რომელიმე მათგანს, უმალ თვალი ცრემლით აევსებოდა და აუბრჭყვიალდებოდა, წამდაუწუმ ჯიუტად იმშრალებდა თვალებს და ისევ ხარბად აკვირდებოდა თავისი ბიჭუნას პატარაობის გამოსახულებას... მახარე ერთ სურათში ხუთი თვისა იყო გადაღებული, მეორეში — წლისა, მესამეში —

წლი-ნახევრისა და ასე ათ წლამდე. ამ სურათების ხილვაზე ქეთევანს გუშინდელ დღესავით აგონდებოდა ის წლები, როცა მახარეს აკვანს ურწევდა, იავნანის ნელი ღიღინით აძინებდა, რა იცოდა ქეთევანმა, რომ იმ ღიღინში გამოხატული ნატვრა ასე მალე ახდებოდა, რომ მის მახარეს უკვე მეცხრამეტე გაზაფხულის რიყრაჟზე სამშობლოს მტრებთან შებრძოლება მოუხდებოდა.

ქეთევანმა ძლივს იჯერა გული სურათების თვალიერებით. ალბომი ისევ უჯრაში შეინახა და წამოდგა. კედელზე უსწორმასწოროდ ჩამომწკრივებულ სურათებს თვალი შეავლო, მოულოდნელად მათ შორის თავისი სახეც რომ იხილა, გაოცდა, მაგრამ უმალ მიხვდა, რომ თავი სარკეში დაუნახავს. ადრე სულაც არ შეუნიშნავს ქეთევანს, რომ სურათებს შორის კედელზე უჩარჩოო სარკე იყო მიმაგრებული. ოთახში ისე დაცხა, ისე დაიხუთა ჰაერი, ქეთევანს სული ყელში ებჯინებოდა, მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, მცირე ხნით თავი ანება სურათების თვალიერებას, ელნათურა ჩააქრო და კარ-ფანჯრები დააღო, ისევ ლოგინზე ჩამოჯდა. ოთახში ღამის სიგრილე დატრიალდა. კვლავ შვილზე ფიქრით გატაცებულ ქეთევანს მახარეს სახე თვალიდან არ შორდებოდა. ახლა სიბნელეში ქეთევანის თვალწინ ყველა სურათი, წეღან რომ ათვალიერებდა, ცოცხლად წამოიშალა. ფიქრი ფიქრს სცვლიდა, მოგონება — მოგონებას. ერთხელ თუ აიშალნენ, ქარი რომ ღრუბლებს აწეწავს და მიერეკება, ისე იცის ფიქრმაც დაუსრულებლად და მსუბუქად დენა.

ქეთევანი მძიმე ნაბიჯით გავიდა აივანზე. მოაჯირის ბოძს ისე მოხვია ხელი, თითქოს მახარეს იკრავდა გულში. თავიც ბოძს მიანდო; უცებ იგრძნო, რა ღონივრად უცემდა საფეთქლის ძარღვი.

ღამის სიგრილემ ქეთევანი გამოაცოცხლა. მისი ყურადღება ჯერ წყლის ხმამ მიიქცია, მოშლილი ონკანიდან რომ მოჩქეფდა, შემდეგ არსენალის მხრიდან ორთქლმავლების სტვენა, ბუხბუხი და ბორბლების ერთფეროვანი რაკრაკიც მოესმა. გაუკვირდა, იმ სიშორიდან როგორ აღწევდა ეს ხმები, მაგრამ ისეთი მყუდრო ღამე იყო, ისე გაყუჩებულიყო მთელი ქალაქი, ამ ხმებს გარდა არსად უბრალო ჩქამიც არ ისმოდა.

როგორც კი პროჟექტორების უეცრად გამოტყორცნილმა შუქმა ცა და მიწა მკრთალად გაანათა, ქეთევანის ყურადღება ახლა ამ უჩვეულო სანახაობამ მიიპყრო. შუქის ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი ზოლი ხან ერთმანეთში ჯვარედინად გადაისხლართებოდა, ხან გაიშლებოდა. მსუბუქად მიმოქროდა სივრცეში, ხანაც შორს, ერთ წერტილში იყრიდა თავს და თითქოს ბოლოგადასკვნილი იჩხრიკებოდა ცის სიღრმეში, ქეთევანი ერთხანს გატაცებით რომ ადევნებდა თვალს შუქის ნავარდს, უეცრად ისევ გაასსენდებოდა თავისი მახარე, ისევ აიშლებოდნენ ფიქრები, მოგონებები.

ქეთევანს გაუკვირდა, მხარზე ხელის შეხება რომ იგრძნო; ფიქრებში გართულს მარინესი არც ფეხის ხმა გაუგონია, არც მოახლოება შეუნიშნავს.

— ქეთევან, ხომ გითხარი, ვერ გასძლებ-მეთქი!..

— ჰო, ცოტა დაცხა, კარ-ფანჯრები გავაღე.

— ჯერ არ იძინებ?

— ჯერ არა...

— დათას უნდოდა შენი ნახვა, რახან არ გეძინებოდა, შემოდი ჩვენთან.

— რაზე შეგაწუხოთ ამ უდროო დროს...

— შემოდი ერთი, შეწუხება რასა ჰქვია, ხომ იცი, დასავით უყვარხარ, შენთან ლაპარაკი ესიამოვნება.

მცირე ყოყმანის შემდეგ ქეთევანმა დინჯად მიუგო:

— შემოვალ!

როცა ქეთევანი მეზობლის ოთახში შევიდა, დათა უკვე სუფრაგადაფარებული მაგიდის თავში იჯდა, გაზეთს კითხულობდა. ქეთევანის დანახვაზე დინჯად წამოდგა. რქისჩარჩოიანი სათვალე მოიხსნა, სტუმარს ხელი გაუწოდა.

— ბოდიში, წეღან ვერ შეგნიშნე... ისე,- შინაურულად, ხალვათად გამოვედი.

ქეთევანმა მორიდებით გაიღიმა, დათას მიწოდებულ სკამზე ჩამოჯდა. იდაყვის ჩამოდებაც დააპირა მაგიდის ნაპირზე, მაგრამ დახედა თუ არა სუფრას, უმალ გადაიფიქრა. ნათურის შუქზე სულ ქათქათებდა და ბჭკიალებდა ახლად გარეცხილი და საგულდაგულოდ გაუთოებული გატკეცილი სუფრა, მაგიდის შუაგულში თეფშებზე დიასახლისს უკვე დაეწყო დაჭრილი პური, ყველი და მოხარშული ხორცი, იქვე, გვერდით — ჩაის ჭიქები, ფინჯნები, კოვზები და დანა-ჩანგალი.

მარინემ სამზარეულოდან ადუღებული წყალი შემოიტანა, სუფრის კუთხე გადასწია და ჩაიდანი მაგიდაზე დადგა.

— ჩემი ქმარი ისე დაქანცული მოდის ხოლმე სკოლიდან, ძილის მეტი არაფერი არ უნდა. მაგრამ ერთ პირს გამოიძინებს თუ არა, მაშინვე აბოჯარდება, მე არც კი დამაცლის, თვითონვე აიდუღებს ჩაის, საჭმელს გაიცხელებს და ასე შუაღამეზე შეექცევა ხოლმე ვახშამს.

დათამ ღიმილით გადახედა მარინეს, წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა. ფეხს ისე ჩუმად აბიჯებდა, ნაბიჯის ხმა სრულებით არ ისმოდა, იატაკის ფიცარი თუ გაიჭრაჭუნებდა ხოლმე აქა-იქ. დათას პარუსინის გახსნილი ხალათი და საოცრად ფართო შარვალი ეცვა; მკერდი ისე მოღეღოდა, ეტყობოდა, პერანგზე არც ერთი ღილი არ ეკერა, როცა დათამ მარინეს გვერდით ჩაიარა, ცოლმა ალმაცერად გადახედა, საყვედურით შენიშნა:

— ფეხშიშველი დადიხარ? აღარც სტუმრის ხათრი გაქვს, აღარც...

— დამაცადე, ქალო, ცოტა ხანს ისე ვიარო ამ ქვეყანაზე, როგორც მესიამოვნება, — ქეთევანს ღიმილით გადახედა დათამ. — სტუმართან ბოდიში, მაგრამ... რა ვქნა, ძალიან მიყვარს ფეხშიშველი სიარული, აგერ ქეთევანს ჰკითხე, თუ სჯობია რამე ფეხშიშველა სიარულს?

— ზოგჯერ, ეზოში, ბალახზე მართლა კარგია.

— მე არც საკუთარი ეზო მაქვს, არც ბალახი, მაგრამ მაინც მესიამოვნება. ხანდახან ისე მომინდება ფეხსაცმელში დახუთული ფეხის მიწაზე დაკარება, ღამით ჩავიპარები ხოლმე ეზოში და დავდივარ მიწაყრილზე. ონკანთან რომ ჩავივლი, შხაპს ფეხის ცერსაც შევუშვერ, ვერ წარმოიდგენ, როგორ მახარებს ამ ხნის კაცს.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ასეა, — განაგრძო დათამ, — რაც ბავშვობაში გვყვარებია, ბევრი რამ სიბერეშიაც გაგიხსენებს!..

მარინემ ჭიქებში დასხმული და დაშაქრული ჩაი ჩამოარიგა. ყველანი მაგიდას მოუსხდნენ.

ხვეწნამ არ გაჭრა, ქეთევანი არც საჭმელს დაეკარა, არც სასმელს. სულ ერთთავად თავჩაღუნული იჯდა, კალთაში ჩაწყობილ ხელებს გაშტერებით დასცქეროდა, თითებს აწვალებდა. თუ რამეს შეეკითხებოდნენ, ერთი წამით შეხედავდა დათას, მარინეს და თავჩაღუნული გაბუტულივით გასცემდა პასუხს დინჯად, ხმადაბლა. გული არ უთმენდა, ასე ყოფნას ვეღარ იტანდა, მაგრამ ადგომაც ვერ მოეხერხებინა, საამისოდ ხელსაყრელი წამი ვერ შეერჩია. დათას უდარდელი გამომეტყველება და უდარდელი ლაპარაკი აბრაზებდა, აღიზიანებდა, ცდილობდა ყური არ ეგდო. სხვა დროს დათას მომხიბლავი ხმა თითქოს მის ყურს ეალერსებოდა, ახლა კი ეკლებივით ჩხვლეტდა.

— ქეთევან, ჩაი სულ გაცივდა, იქნებ წყალივით მაინც დალიო!

ქეთევანმა უარის ნიშნად თავი გაიქნია, ნაბალადევად გაუღიმა მარინეს.

— ქალო, შენ რომ კრიჭა შეიკრა, მაგით მახარეს რა მოემატება? თავს გაუფრთხილდი!... მარინე, არ აჯობებს, კარ-ფანჯრები გავაღოთ? იქნებ ცოტა სული მოვითქვათ.

მარინემ უხმოდ შეასრულა ქმრის რჩევა. სინათლე ჩააქრო, კარ-ფანჯრები გააღო. მართლაც, ოთახში ერთბაშად შემოიჭრა ღამის სიგრილე. ყველამ შვება იგრძნო.

— ან აქამდე რას ვიხუთებოდით, — შენიშნა დათამ და ოთახში გაიარ-გამოიარა, — ქეთევან, წეღან ერთბაშად არ მოგახალე... შენთან ცოტა ანგარიშები მაქვს!

— ანგარიშები? — მოგვიანებით გაისმა ქეთევანის ხმა სიბნელეში.

— ჰო... ასე უნდა, ქალო? გუშინწინ გელოდით, შენ კი... რა დროზე მიეშველებოდი ავადმყოფს, ექიმი რომ ყოფილიყავი!

ქეთევანს ხმა არ გაუღია, გაოცებით უსმენდა, უკვირდა — ეს კაცი გაღმა რას მედავებაო.

— დათა, კაცო, ახლა შენი საყვედურები ეჭირვება ამ ადამიანს? რას იფიქრებდა, თუ... წარმოიდგინე, მაგათ ნაცნობ კონდუქტორს, ის შეჩვენებული კაკლის სარეკ ჯოხს რომ ჰგავს, მახარეს გატანებული წერილი თურმე კი არ გადაუცია. დღეს შეუტყობინებია ორიოდე სიტყვით ქეთევანის მეზობლისათვის მახარეს ამბავი...

— რას ამბობ, ქალო?!

ვიდრე ქეთევანი უპასუხებდა, ერთმა წუთმა მაინც განვლო. მისი ხმა სამარისებური დუმილის შემდეგ მკაფიოდ გაისმა სიბნელეში.

— რაც იყო, იყო... ახლა ის მაინც გამიგე, სად, რა გზით შემიძლია მახარეს პოვნა. თვითონ არ მინახულა — მე მოვნახავ!

დათამ მრავალმნიშვნელოვნად ამოიოხრა, ოთახში კატის ნაბიჯით გაიარ-გამოიარა და ტახტზე ჩამოჯდა.

— მაგის გაგება ძნელი არ არის, მაგრამ... მოახერხებ?

— როგორ ლაპარაკობ, ჩემო კარგო! ის ბიჭი ბალახივით ხომ არ ამოსულა, არც მიპოვია — ჩემი ჯანით, ჩემი მკერდით, ჩემი მარჯვენით გამიზრდია, რამდენი სიმწარე მე მენახოს... ქმარი ადრე დავკარგე, ღმერთმა იმედად ეგ ბიჭი დამიტოვა!..

— ეგ მართალია, მაგრამ ხომ იცი, შენ თუ ერთი შვილის მშობელი ხარ, სამშობლო მილიონი შვილების მშობელია, ერთი სცადე, მის გულისტკივილსაც ათხოვე ყური, — ცოტა აღელვებით გაეკამათა დათა ქეთევანს და უმალ უეცარი სიწყნარით დაუმატა: — კოლმეურნეობა გაგიშვებს?

ქეთევანმა თავი ასწია, კვლავ მკაფიოდ და ბეჯითად გაისმა სიბნელეში მისი ხმა:

— გამიშვებს.

დათასათვის ისე მოულოდნელი იყო ქეთევანის პასუხი, რომ ერთხანს ხმა ვეღარ გაიღო.

— მაშ, ხალხი მეტი ჰყოლია, ვიდრე სჭირდება.

— თითო ქალი სამი კაცის საქმეს ასრულებს, — დინჯად შენიშნა ქეთევანმა.

— და შენ მარწმუნებ, გამიშვებსო! — თითქო რამე გაეხარდაო, ისე წამოიძახა დათამ და ერთხელ კიდევ გაიარ-გამოიარა ოთახში. — კიდეც რომ გაგიშვას, შენ თვითონ...

— ჰო, რა, რა? — მოულოდნელად ჩაერია მარინე კამათში.

— რა და... — მიუბრუნდა ცოლს დათა, მის წინ მაგიდას მოულოდნელად მუშტი დაჰკრა, მაგრამ სათქმელი აღარ დაასრულა, ისევ ქეთევანის გვერდით დაჯდა.

— გულს რაღას გვიხეთქავ, შე კაცო?! — გაოცებით იკითხა მარინემ.

დათას არაფერი უპასუხია, თითქოს არც გაუგონია ცოლის ნათქვამი.

— ჩემი ცოლიც ეს ერთი წელიწადია სულ მემუქრება, თუ გზას არ მასწავლი, თუ არ გამიშვებ, მე თვითონ წავალ, თვითონ ვიპოვი ჩემს ბიჭსო... დიდი ამბავი! რა სჯობია ახლა ჩემი ბიჭი რომ მანახვა... რა სჯობია, დედას შვილი გვერდით ჰყავდეს და თავზე ხელს უსვამდეს, მაგრამ ახლა სხვა დროა, სხვა!

— შენც რა, მოწაფეებს რომ არიგებ ჭკუას სკოლაში, ისე გველაპარაკები...

— ჭკუა შეიძლება ჩემგან არ გესწავლებათ, მაგრამ გაფრთხილება მაინც საჭიროა ხანდახან, რომ

გრძნობა გონებას გადასძლევს ხოლმე! — რახან ქალებს ხმა არ გაუღიათ, ისევ დათამ განაგრძო: — იმას ვამბობდი, მტერმა გვაიძულა, სამშობლოს ინტერესებმა ჩვენი შვილების ყოფნა იქ ამჯობინა, სადაც ისინი არიან. ეს ახლა ჩემი მოწაფეებისთვისაც ნათელია, არათუ...

— აქ სადავო არაფერია, მაგრამ...

დათას არც კი შეუნიშნავს, ქეთევანს რომ დაწყებული სიტყვა შეაწყვეტინა.

— ახლა ყველა თავისი შეგნებითა და მოწოდებით იქ უნდა იმყოფებოდეს, სადაც ყველაზე მეტ სარგებლობას მოუტანს სამშობლოს.

— მერე ვინ გედავება, შე კაცო, — შენიშნა მარინემ, — ახლა კი არა, ყოველთვის იქ უნდა იყოს!

— ჩემო დათა, ყველაფერი მართალია, მაგრამ რით შველის ეს ლაპარაკი ჩემს გულისტკივილს... გამიგებ თუ არა, რაცა გთხოვე? გული მაინც თავისას მოითხოვს!

— გაჩერდი, ქალო, — ხუმრობით გადასძახა დათამ აწრიალებულ ქეთევანს, — ამ ჩემს ცოლსაც ნუ მიგულიანებ!

— თქვენ როგორც გენებოთ, მე ჩემსას მოგახსენებთ...

— ასე რომ ვიმსჯელოთ, ჩემო ქეთევან, გული, მშობლიური გრძნობა ყველას გაგვაჩნია. საქმე ის არის, ჩვენს პირად გრძნობებს ასეთ განსაცდელში როგორმე მოვერიოთ.

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— მარინე, ერთი საათს დახედე. მორიგეობის დრო არ გამოგვეპაროს! — მოულოდნელად გაახსენდა და მოულოდნელადვე გადასძახა დათამ მეუღლეს. შემდეგ ქეთევანს მიუბრუნდა და, თითქო უსაყვედურებსო, ისე განაგრძო: — აი, ახლა მეც ძილი და მოსვენება მირჩევნია ყველაფერს, მაგრამ რა გაეწყობა, ორიდან ოთხამდე უნდა ვიფხიზლოთ, ვიმორიგეოთ!

— ორის ნახევარია, — გაისმა სიბნელეში მეორე ოთახიდან შემობრუნებული მარინეს ხმა.

ქეთევანი წამოდგა, წასვლა დააპირა.

— იჯექი, იჯექი, ქეთევან, ჯერ ადრეა, ნახევარი საათი არც ისე ცოტა დროა!

— ისიც მიკვირს, ამდენ ხანს როგორ გისმენდა ჩვენი სტუმარი. გაკვეთილზე ხომ არა ხარ? აღარ გაათავებ ხოლმე...

— თუ ასე იყო, რატომ აქამდე არ გამაჩერეთ?

— პირიქით, ყურადღებით გისმენდით და მოგისმენთ თუ...

— მე და ჩემი ცოლის საქმე მუდამ იმ ანდაზასავითაა — მე შენკენ, შენ კი ეშმაკებისკენო... ჰოდა ასე, ეს ყველაფერი იმისათვის მოგახსენეთ, ქეთევან, ჩემი და შენი შვილი, სადაც არიან, თავის მოვალეობას ასრულებენ. ჩვენც აქ, თუ ჩვენი თავისა და ჩვენი ხალხის სიკეთე გვსურს, რაც დაუკისრებიათ, ის შევასრულოთ. მე სკოლაში დავდივარ და მოწაფეებს ჩვენი ხალხის, სამშობლოს სიყვარულს ვუნერგავ, მტრის სიძულვილს ვასწავლი, ხანდახან ღამღამობით

ვმორიგეობ, ან დიასახლისებს ვესაუბრები... შენ იქ, კოლმეურნეობაში შრომობ, თქვენი უხვი მოსავალიც მტრისათვის ლახვარია. ვინ იქნება ახლა ისეთი, რომ მტერზე გამარჯვების საქმეში ერთი ბეწო წვლილი მაინც არ შეჰქონდეს! ჰოდა ასე... მე მგონია, ჩემს შვილს, მტერს რომ ებრძვის, იმით უფრო დავეხმარები, თუ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შევასრულებ, ვიდრე იმით, რამდენჯერაც გულს მოენატრება, წავიდე, დავხედო, თავზე ხელი გადავუსვა. არა, არც ამაზე ვიტყოდი უარს, მაგრამ ორივე ერთად რომ არ ხერხდება! ქალები უფრო იოლად აჰყვებით ხოლმე გულს, გრძნობებს...

დათას ნათქვამი თანდათან ჭკუაში მოსდიოდა ქეთევანს. არ გაუმხელია, არც რითიმე უგრძნობინებია, მაგრამ გულის სიღრმეში წრფელი და მართალი რჩევისათვის მადლობას სწირავდა ამ ადამიანს.

როცა დათა და მარინე სამორიგეოდ ეზოში ჩავიდნენ, ქეთევანი ისევ შვილის ოთახში შებრუნდა. რახან უკვე მტკიცედ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ სოფელში დაბრუნება, ერთხელ კიდევ მოესიყვარულა შვილის ნივთებს, უჯრიდან სურათების ალბომი ამოიღო, მაგიდაზე დადო, მისი წაღება რომ არ დავიწყებოდა. შემდეგ მახარეს ლოგინის თავთან დაბალ სკამზე ჩამოჯდა, ბალიშს მკლავები მოხვია, ზედ თავი მიდო და გაინაბა. სიბნელეში თვალებს ფართოდ ახელდა, ძილი რომ არ მორეოდა, სმენა სულ ერთთავად ეზოსაკენ ჰქონდა მიპყრობილი, მოუთმენლად ელოდა მანქანის გამოჩენას.

მუხის ჭია

კვარით განათებული დარბაზის მყუდროებას დრო-დადრო არღვევდა ჩიყვიანი ყვიცინელას უმიზეზო სიცილი და ჩანგის ხმა. ჩანგის სიმებზე თითებს ავარჯიშებდა პატარა მაჰარბე. ნათელა იდაყვის კვრით უშლიდა ძმას — დაკვრის დრო არ არისო, მაგრამ ბავშვს ისეთ სიამეს ჰგვრიდა სიმების იდუმალი ჟღერა, რომ ყურადღებას არ აქცევდა დის მუჯლუგუნებს. მაჰარბე მკერდით ჩახუტებოდა საკრავს, თავიც საფეთქლით ზედ მიებჯინა და მონუსხულივით გარინდებული იცქირებოდა ჭერისაკენ. კვარის ალისაგან განათებული ჩანგის სიმებზე ობობას ფეხებივით ოდნავ ირხეოდნენ მისი გამურული პაწაწინა თითები და ლანდებისაგან შეტორტმანებულ დარბაზს უჩვეულო ბგერებით ამეტყველებდნენ. ღამით აქ, აბრიალებული კვარის შუქზე, ყველაფერს იდუმალი რხევა და თრთოლვა იპყრობდა. თრთოდნენ კედელზე უსწორმასწოროდ მიკრული ჯიხვის რქების ერთმანეთში გადახლართული მუქი და ბაცი

ლანდები; ოღრო-ჩოღრო იატაკზე ნელა ირხეოდნენ ჯაჭვით დაკიდებული ქვაბის, საკარცხულის, დაბალი, სამფეხა სკამების, გრძელი სუფრის ფართო ლაქებად გართხმული ჩრდილები. ჩრდილების ამ თრთოლასა და ლივლივში უნებლიეთ მოგეჩვენებოდათ, თითქო მათთან ერთად ირხეოდნენ მკვრივად ნაშენი ტლანქი კედლები, ბოლისაგან გალაქულივით მბზინავი ჭერის კოჭები და ჩრდილ-სინათლის უთვალავი ლაქებით აფორაჯებული იატაკი. ლანდების ტოკვაში, კვარის ალის ბრიალში, დარბაზის მყუდროებაში იყო რაღაც უნებლიეთ მიმზიდველი და ზოგისათვის ფიქრების ამშლელი, ზოგისათვის შემაშფოთებელი...

გაყუჩებულ დარბაზში დამგლოვიარებულივით განმარტოებულად იჯდა გოშგოთის უფროსი სიძე ქარიმანი. გულის გადასაყოლებლად ჩოხას ხშირავდა სათიბიდან გამოყოლილი ბირკისა და ბალახის ხმელი ღერებისაგან. მას არ უყვარდა უბედურ შემთხვევებზე ფიქრი, არ ეხერხებოდა სხვისი მწუხარების გაზიარება და საჭიროდ არა თვლიდა შინაურების საქმიან სჯა-ბაასში ჩარევას. ქარიმანის გამოწვევა და გაღიზიანება მარტო ანწლის არაყს შეეძლო; ძველთაძველი, ნაცნობი დოქით სუფრაზე შემოდგმული არაყის სიახლოვე ნერწყვის მალიმალ ყლაპვისაგან ისე აუტოკებდა ხოლმე გამხდარ ყელზე ხორხის გამოჩრილ ბორცვს, რომ შეგეცოდებოდათ.

ქარიმანისგან ხუთიოდე ნაბიჯზე მოჩუქურთმებული ხის გრძელი კარადის ძირას ისხდნენ გოშგო-

თის ძმა — მოხუცი ქერობინე და ვეშაგი. თავჩაღუნული ქერობინე თითქო თვლემდა. დროდადრო მისი გრძელტარიანი ყალიონის თავი წითლად ამოაშუქებდა და ისევ ქრებოდა. ვეშაგს მოუსვენრობა ემჩნეოდა. მალიმალ კარისაკენ აპარებდა მზერას. ცალყურა ჯოტო ყვიცინელას მისჯდომოდა, ზურგით მის მხარს ეყრდნობოდა. ყვიცინელა წამდაუწუმ უმიზეზოდ იცინოდა, თითქო გვერდებში ულიტინებენო. ვეშაგს, მართალია, აღიზიანებდა ყვიცინელას სიცილი, ჯოტოს უდარდელობა, მაგრამ არ იმჩნევდა. კერის ირგვლივ, სუფრასთან უხმოდ მიმოქროდნენ ქალები, თითქო თავიანთ ლანდებს ხან გაურბოდნენ, ხან მისდევდნენ. მარტო მერბიელი ირჯებოდა დინჯად. ვახშამი მზად იყო. გოშგოთის მოსვლასღა ელოდებოდნენ. ფიქალზე ძირმიმწვარი ქერის პურის სუნი და მდუღარედან ახლად ამოღებული ნანადირევი ხორცისაგან ბოლქვებად ადენილი ოხშივარი უფრო მეტად აღიზიანებდა მოშივებული მამაკაცების მგლურ მადას. ახლა მარტო ვეშაგი მისცემოდა საგონებელს და ვეღარც შიმშილს დაეთრგუნა მისი იდუმალი ძრწოლა, ვეღარც ხორცის ოხშივარს გაეღიზიანებინა მისი მადა. მას წამით გაუელვა ფიქრმა — იქნებ უკვე შეიტყო მამამ ყველაფერიო და სახე ისე აეწვა, თითქოს ცეცხლის ალი სცემოდეს. მალულად მოავლო თვალი ქერობინეს, ჯოტოს, ყვიცინელას, ქარიმანს და თითქოს გულის გახშირებული ძგერის გაყუჩებას ლამობსო, კერდზე შემოჭდობილი მკლავებით ერთმანეთზე მიბჯენილ მუხლისთავებს დაეყ-

რდნო, მზერა კი უაზროდ მიმოაცეცა ჩრდილ-სინათლის ლაქებით აფორაჯებულ იატაკზე.

დარბაზში ვახშმად შეკრებილნი ძრწოლით ელოდნენ ქორა-მახვშის გამოჩენას. გუნებაში კი წყევლიდნენ მირანგულას გაჩენის დღეს. მისი სახელი ნაშუადღევს აქეთ ოჯახში კეთილად აღარავის უხსენებია. მირანგულამ მოულოდნელად შესძრა ოჯახის მყუდროება.

მოცვეთილი ანჯამების გაბმულ ჭრიალზე ყველამ შემოსასვლელისაკენ გაიხედა. კარის ზღურბლზე დინჯად გადმოაბიჯა ჩია მოხუცმა. მის დანახვაზე მამაკაცებს ფერი ეცვალათ. ყველანი წამოდგნენ, ადრე გაფანტულად მჯდარნი ახლა ისე შეჯგუფდნენ, რომ ერთმანეთისაგან ვეღარ გამოარჩევდით. თითქოს ერთ უშველებელ, განიერ, მახინჯ ტანს რამდენიმე თავი გამოება ზღაპრული დევივით. მიწყდა ჩანგის ჟღერაც. ფართოდ გახელილი ცალი თვალი გოშგოთმა თავმომწონედ მიმოავლო დარბაზში. იქ მყოფთ თავის ოდნავ დახრით უსიტყვოდ მიესალმა. ყველამ ასევე უხმოდ უპასუხა. გოშგოთს შემოსვლისთანავე ეხამუშა, ეუცნაურა დარბაზის მყუდროება, შინაურების — ქალისა თუ კაცის — მორიდებული ქცევა; მაგრამ გაოცება არ შეიმჩნია, მაინცდამაინც უჩვეულო, საეჭვო, შინაურების საქციელში ვერაფერი ჰპოვა; გოშგოთი ნელა მიაბიჯებდა მოტკეპნილი მიწის ოღროჩოღრო იატაკზე, მისი ერთიორად გაზრდილი, გოლიათური ჩრდილიც ჯერ წინ უსწრებდა წინამძღოლივით, შემდეგ უკან, ხანაც განზე მისდევ-

და ფრთხილი მცველივით. ხანაც კლებულობდა თუ მატულობდა, მკრთალადღა აჩნდა იატაკს. დარბაზის სიღრმეში, კარის მოპირდაპირე კედელთან მიახლოებისთანავე გოშგოთი შედგა. მისი ლანდი კედელს აეკრა და ჭერს მისწვდა, მაღალ, მოჩუქურთმებულ ტახტზე მწოლარე დედის სასთუმალთან დინჯად დაიხარა, ორი თითით ფრთხილად გადაუწია მოხუცს წამოშვერილი, თეთრად მბზინავი აბურდული თმის ღერები. სიგამხდრისაგან ჯამივით ჩაზნექილ საფეთქელთან მოწიწებით აკოცა. ას წელს გადაცილებულმა ბრმა მოხუცმა იგრძნო თუ არა ხელის შეხება და ტუჩების სითბო, ოდნავ შეინძრა. მისი აქამდე მოკუმული, შეწეული ბაგენი მსწრაფლ შეტოკდნენ, ძლივს, ჩურჩულით წარმოთქვეს: „გოშგოთ, შვილო“. ხმელმა თითებმა გულმოდგინედ დაუწყეს ძებნა შვილის ხელს. გოშგოთმა მსწრაფლ შეუსრულა წადილი; თავის ხელებში მოიმწყვდია დედის დაძარღვული თითები და, თითქო მათ გათბობას ლამობსო, გულში ჩაიკრა. გოშგოთის სიყვარული მოხუცი დედისადმი მით უფრო ძლიერდებოდა, რაც დრო გადიოდა. ის გრძნობდა დედის აღსასრულის მოახლოებას. გოშგოთს უყვარდა ნაოჭებით დაღარული სახე მოხუცი გვანცასი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ძველებური მკაცრი და მედიდური იერის ნატამალი, მაგრამ აქამდე ვერ შეჩვეოდა დედის თითქოს უსასრულობისაკენ მიპყრობილი უსინათლო თვალების გამომეტყველებას. გოშგოთი ყოველთვის ცდილობდა თვალებში არ ეცქირა დედისათვის, მაგრამ რაღაც

ძალა მაინც იქით ახედებდა. დედა კი ეალერსებოდა, ეჩურჩულებოდა დიდხანს, სანამ ბაგე არ მოეღლებოდა. მისი ნალაპარაკევი მხოლოდ გოშგოთს ესმოდა, მარტო მას შეეძლო ნაოჭებით დასერილ გვანცას ბაგით წარმოთქმული სიტყვების გამოცნობა. შვილის ალერსით გულმოჯერებულ დედას ამასობაში უნებლიეთ სხვებიც აგონდება: „გეყოფა, შვილო, ახლა ცოლ-შვილსაც მიხედე, გელოდებიან, უშენოდ ხომ ვერ ივახშმებენ...“ გოშგოთიც უსიტყვოდ ემორჩილება. ერთხელ კიდევ აკოცებს საფეთქელთან და მიდის. დედას ხელები ერთხანს ჰაერში გაწვდილი რჩება. სუფრის თავში, საკარცხულს ჩიჩერებული გოშგოთი კი ნელი ნაბიჯით უახლოვდება კურთხეულ სავარძელს. ამ საკარცხულში ამ კერასთან მჯდარა მისი პაპისპაპა, პაპა და ბოლოს ბიძა (მამამ ვერ ივარგა). ხის ჩუქურთმებით აჭრელებული საკარცხულის ხილვა ქორა-მახვშს ცხადად წარმოუსახავს ხოლმე თვალწინ წინაპრების მკაცრ და ამაყ სახეებს. სანამ გოშგოთი საკარცხულს მიუახლოვდებოდეს და მის სახელურს შეეხებოდეს, ზოგჯერ ეჩვენება, თითქოს იქ მისი პაპა ზის, მაგრამ სახელურზე ხელის შესების უმალ ქრება მოჩვენება და მის ადგილს საკარცხულში იჭერს გოშგოთი.

კმაყოფილი ქორა-მახვში შინაურებს ლმობიერად გადახედავს, სუფრის თავში დაჯდომის უმალ ხელის ჩვეული მოძრაობით ანიშნებს ყველას — დასხედითო. ზოგი თუმცა უხერხულად, მაგრამ მყისვე ჯდება ხის გრძელ სკამზე, ზოგი კი მანამდე განაგრ-

ძობს ფეხზე დგომას, სანამ გოშგოთი მწყრალად არ გადახედავს და ხელმეორედ არ ანიშნებს. დარბაზში წამით კვლავ დუმილი სუფევს. თუმცა საჭმლის სიახლოვე და ლოდინი უფრო მეტად უღიზიანებს მადას სამუშაოდან დაბრუნებულ მამაკაცებს; მაგრამ არათუ გონიერსა და მორჩილს, უგუნურ და „ურჩ“ ყვიცინელასაც ვერ გაუბედავს გოშგოთის შიშით საჭმელს ან სასმელს შეეხოს, სანამ ქორა-მახვში ქუდს არ მოიხდის, მოკეცილს მუხლზე არ დაიფენს, სანამ უსწორმასწოროდ გადაკრეჭილ, პირველი თოვლივით სპეტაკ თმაზე რამდენჯერმე აუჩქარებლად ხელს არ გადაისვამს, სანამ აქა-იქ ჩახუჭუჭებულ, ჭაღარა წვერს თავის მოკლე, ხმელი თითებით არ ჩამოივარცხნის. უეჭველია, სუფრაზე ჩამორიგებული საჭმელი მასაც უღიზიანებს მადას, მაგრამ გარდა იმისა, რომ ერთხელვე დადგენილ წესს არ ღალატობს, ამით თითქოს მოთმინების მაგალითს აძლევს მათაც, ვინც სულსწრაფია. თუ გუშინ და ადრეც, ყოველთვის, შინაურები გადაჩურჩულებით ან გამომეტყველებით მაინც აგრძნობინებდნენ თავიანთ მოუთმენლობას, დღეს ვერც ერთი მათგანი შეხედვასაც ვერ უბედავს. თავდახრილნი, მოთმინებით, უდრტვინველად ელოდებიან ქორა-მახვშისაგან სუფრის, ოჯახის დალოცვას და გამჩენის ქებას. გოშგოთი კი, როგორც სჩვევია, ფართოდ გახელილი მარჯვენა თვალით, თითქოს მეორე თვალის მოხუჭვა ძალას მატებს გახელილ თვალს, დაჟინებით აკვირდება შინაურებს. ბოლოს შვების მომგვრელად, უეცრად

გაისმის გოშგოთის ბოხი და ოდნავ მოყრუებული ხმით წარმოთქმული:

— ღერბეთ!

ყველამ შვება იგრძნო. რამდენიმე ხელი უნებურად ერთსა და იმავე დროს სწვდა ტუჩმოფშვნილ დოქს, მაგრამ ქარიმანმა ისე სწრაფად ჩაავლო დოქის ყურს ხელი, თითქო წართმევას უპირებენო.

პირველად ქორა-მახვშის კათხა აივსო არაყით, შემდეგ რიგრიგობით დანარჩენებისა. ქარიმანს ცოტა გულს მოეშვა როცა კათხებში დასხმული არაყის სუნი იყნოსა. ჯოტომ გაპიპინებულ კათხებს რომ გახედა, გაიღიმა, ჩურჩულით შენიშნა: „ყველას მოგვწყურებია“. გოშგოთს კი ზომაზე მეტად ავსება კათხისა არ მოეწონა. წინ წამოხრილმა ორივე ხელის ცერი და სალოკი თითი შემოაჭდო კათხას, ნელა ასწია. მოლივლივე სითხის მკრთალმა ანარეკლმა მის სახეზე შეითამაშა. გოშგოთს სურდა, როგორც ადრე, ახლაც ჭერის ბნელი კუთხისათვის მიეპყრო მზერა და შთაგონებულის კილოთი ეთქვა სიტყვა, მაგრამ დაქცევის შიშით არაყს თვალს ვერ აშორებდა.

— შენ შეეწიე ჩვენს სადგომს, — ყრუდ წამოიწყო მან, ჩაახველა და უფრო მხნედ განაგრძო, — გაგვიმარჯვე ერთად ყოფნაში, ნურაფერს დაგვაკლებ, გევედრები, მადლი გექნება!

ვიდრე ამას იტყოდა, ერთხელ მაინც შეუქანდა მარცხენა ხელი, კათხის ნაპირი ოდნავ გადაიხარა და არაყის რამდენიმე წვეთი თითებზე ცივად ჩასრიალდა. პირთან მიტანილი კათხით არაყს დაეწაფა, აუჩ-

ქარებლად, მაგრამ სულმოუთქმელად გამოცალა. შეხურებული უმალ პურს მისწვდა. ხორციც მიართვეს. ამასობაში ქარიმანმა გამოცლილი კათხის ძირში ჩარჩენილი წვეთები ისეთი ნდომით ჩაწრუპა, ყველამ მისკენ მიიხედა. დანარჩენებმაც გადაჰკრეს თუ არა არაყი, საჭმელს დაეხარბნენ. მსხვილად დანაყულ მარილს, გამოუზოგავად რომ აწებდნენ ზედ ხორცის უშველებელ ნაჭრებს, პირში ისეთი ხრაშახრუში გაუდიოდა, თითქოს სადღაც ახლოს რამდენიმე კაცი ქვიშაზე მიაბიჯებსო. არაყმა და საჭმელმა ყველას გუნება გაუხალისა, სული მოაბრუნებინა, თუმცა თვალებში მაინც არა შორდებოდათ ფარული შიშის ელფერი. აქამდე მშვიდ და ოჯახური სიამით კმაყოფილ გოშგოთს უნებლიეთ რაღაც შეშფოთება შეატყვეს შინაურებმა. პირველად ვეშაგმა მიაქცია ყურადღება, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. სახე ბორენას ჩრდილს უსწორა და გაინაბა. გოშგოთმა ირიბად გახედა ქალებისა და მამაკაცების წყებას... რაღაც ინაკლისა. მართალია, შინაურების მდუმარედ შეგებებამ შემოსვლისთანავე გააოცა, მაგრამ რას იფიქრებდა, თუ ეს დუმილი ავს რასმე ნიშნავდა. თუ აქამომდე ვახშმად შეკრებილთა ყაყანისა, სიცილისა, როყიო ხმებისაგან ყურთასმენა აღარ იყო, დღეს ყველანი ისე ისხდნენ, უფრო აჩრდილებს ჰგავდნენ, ვიდრე სულიერ არსებათ.

გოშგოთს აოცებდა შინაურების ეს ფერიცვალება, მაგრამ ჯერ თვითონაც გონს ვერ მოსულიყო. ფიქრით კვლავ მეზობლისას იყო... ახალი, უცნაური

ამბები შეიტყო... ყველგან უსიამოვნება, ჩხუბი ჰქონიათ. აქ კი, თითქოს მისი მრევლი კაცთა მოდგმას არ ეკუთვნოდეს, ისეთი სიდარბაისლით გამოირჩევიან, სხვებს სანატრელად გახდომიათ გოშგოთის ოჯახის მამაპაპური წესრიგი. წეღან, შემოსვლისთანავე ლამობდა ქორა-მახვში შინაურებისათვის თავისი სიხარულის გაზიარებას, მაგრამ კარებშივე შემოგებებულმა უჩვეულო მდუმარებამ მიიპყრო უნებლიეთ მისი ყურადღება და გადააფიქრებინა განზრახვა. ახლა კიდევ აკვიატებულმა ფიქრმა და წინათგრძნობამ — თვალსა და გულს რომ რაღაც ენაკლისებოდა, გამოაფხიზლა გოშგოთი. შეუმჩნევლად, ცბიერად მოხუჭა მარცხენა თვალი, მარჯვენა ხელის იდაყვით საკარცხულის სახელურს დაეყრდნო და სუფრის ერთ მხარეს ჩამომსხდარ მამაკაცებს გამომწვევად გახედა. ყველამ სული გატვრინა. როცა ქორა-მახვში წამოდგა, მისი ჩრდილი გამჭვირვალე საბურველივით გადაეფარა სუფრას. ქერობინეს და ჯოტოს მწყრალად გადახედა. მაჰარბეს კი ცალყბად გაუღიმა და უეცრად მაჰარბეს დანახვაზე უმალ მიხვდა, რაც აქამდე ენაკლისებოდა.

— მირანგულა?!. — იკითხა გოშგოთმა და მერბიელს ისე მოულოდნელად გადახედა, რომ შეაკრთო.

სუფრაზე მსხდომთ ერთხელ კიდევ ეცვალათ ფერი.

— გაგზავნეთ სადმე?

— მირანგულა? არა... უშენოდ ვინ გაგზავნი-

და, — დაიბნა, ჯერ წამოწითლდა, შემდეგ ისევ ეცვალა ფერი მერბიელს.

თავჩაღუნული და გატრუნული მამაკაცების გამომეტყველება შიშით ავსებდა ქორა-მახვშის გულს.

ყვიცინელამ კი, აქამდე რომ ხმას არ იღებდა, უცაბედად წამოიძახა თავისთვის:

— ნეტავი ახლა სად იქნება მირანგულა?.. არ ეშინია, ტურამ რომ შეჭამოს?!.

— ტურამ შეჭამოს?.. რას ამბობ, ბიჭო?

— ის ხომ წავიდა, მამა, ასე თქვა — ხოშა-ბაბა ნუ გაწყრებაო...

— წავიდა? სად, ვისთან?! — გაოცებული გოშგოთი თან ამას ეკითხებოდა, თან უნებლიეთ ისე უჭერდა ხელს კისერზე, რომ ყვიცინელა წამოწითლდა.

— მამა, ხელი გამიშვი და ყველაფერს გეტყვი.

გოშგოთმა უმალ უშვა ხელი. ყვიცინელამ განაგრძო:

— ასე თქვა — ოქროს მაძიებლებს მივყვებიო!— წამოიძახა ანგარიშმიუცემლად ყვიცინელამ და მსუნაგის სიხარბით სწვდა ქერობინეს კათხას, მაგრამ ბიძამ ისე შეუბღვირა, რომ ცივად შეაშვებინა ხელი.

— წავიდა? უკითხავად?! მაშ, თქვენ იცოდით და არ მიმხელდით? — თუმცა ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ამბობდა ამას ქორა-მახვში, მაგრამ ყველა გრძნობდა, რარიგად განცვიფრებული და განრისხებული იყო იგი.

შვილიშვილებში გოშგოთს ყველაზე მეტად მი-

რანგულა უყვარდა, რადგან მხოლოდ ის აგონებდა საკუთარ ბავშვობას. ბაბუასავით მირანგულაც წლოვანების შეუფერებელ სიამაყეს და სიჯიუტეს იჩენდა. თუ გააბრაზებდნენ, არც საკუთარ თავს ზოგავდა, არც მოპირდაპირეს. მისი გონებაგამჭრიახობა და დაკვირვების უნარი შინაურებს მუდამ საგონებელში აგდებდა. ალღოც უცნაური დაჰყვა. შეუძლებელი იყო მისთვის რამე დაგემალათ. გამოუცნობი და უპოვნელი არაფერი დაურჩებოდა. მასთან მუდამ გულახდილი, პირდაპირი და მოურიდებელი იყვნენ. მირანგულას ტოლებზე მეტად უყვარდა ასაკით ცოტა უფროსნი და ნიადაგ ცდილობდა ისეთი რამ მოემოქმედებინა, უფროსებს მისთვის მიებაძათ, მის ნებას დაჰყოლოდნენ. ამ წადილს მირანგულა ხშირად აღწევდა, მაგრამ კმაყოფილი მარტო მაშინ იყო, თუ მის გაბედულ ნამოქმედარს სხვები ვერ გაიმეორებდნენ.

მსგავსებამ გოშგოთს ისე შეაყვარა მირანგულა, რომ ზოგჯერ უცნაურ და სახიფათო სურვილებსაც კი უსრულებდა. ვეშაგი ხშირად უსაყვედურებდა მამას, ბავშვის ასე გათამამებას, მაგრამ გოშგოთს სასასაცილოდ არა ჰყოფნიდა უფროსი ვაჟიშვილის ჩივილი და შეშფოთება. ეს ჩემი შვილიშვილი მიმინოა, ვეშაგ, და მწყერივით მოპყრობა არ შეფერისო,—ხშირად უთქვამს ქორა-მახვშს. მას არ შორდებოდა ფიქრი, გავა დრო და ჩემს მაგივრად ეგ იქნება ქორა-მახვშიო. მაგრამ თუ კაცი ასე ბჭობდა, სამაგიეროდ ღმერთი იცინოდა...

მოულოდნელი, თავზარდამცემი ამბით, საყვარელი შვილიშვილის თავხედური საქციელით შეურაცხყოფილი გოშგოთი საკარცხულში მოუსვენრად შეიშმუშნა, მერე საზურგეს უღონოდ მიეყრდნო; მოკრუნჩხული უცნაურად დაპატარავდა. ერთხელ კიდევ გაისმა სიჩუმეში მისი ჩოხის უხეში შალის ნელი შმაშური. იდაყვებით სახელურებს დაყრდნობილმა, მზით გარუჯული ხელები თოვლივით თეთრ თავზე წაიფარა და გაინაბა.

ვეშაგი დროდადრო ქუშად აპყრობდა მზერას გარინდებულ გოშგოთს, მის იერში ჩაქსოვილი დიდი წუხილი და ფარული დრტვინვა ვეშაგის გულისწყრომას შეუმჩნევლად ანელებდა.

მამლის შორეულ, პირველ ყივილზე გოშგოთი კვლავ შეიშმუშნა, ერთბაშად, ფართოდ გახელილი ცალი თვალი გაკვირვებით მიაპყრო ვიწრო სარკმელს. გარეთ ბნელოდა. თავის მახსოვრობაში არა ჰქონია შემთხვევა შუაღამემდე ეფხიზლა, შმაშურზე თავაწეული ვეშაგის მზერა უნებლიეთ წააწყდა მისკენ მიპყრობილ ფართოდ გახელილ ცალ თვალს.

გოშგოთის გამოფხიზლება ვეშაგს გარდა არავის შეუმჩნევია. ყველა ფიქრს მისცემოდა. მათი ერთადერთი საფიქრალი იყო მირანგულა.

ქორა-მახვშმა ისე მოავლო თვალი სუფრის ირგვლივ მსხდომთ, რომ აშკარა იყო, რარიგ არ ესიამოვნებოდა ახლა მათი დანახვა.

საკარცხულში ირიბად წაწოლილ გოშგოთს ცალი ხელი მკერდზე ესვენა, მეორეთი სახელურს ეყრდნო-

ბოდა. ფართოდ გახელილი ცალი თვალით ახლა დაჟინებით მისჩერებოდა კვარის ალს. კვარის მორიალე, ქარვისფერ ალს აგრძელებდა შავი, სქელი ბოლი, რომელიც ტალღისებურ ხვეულად ისწრაფოდა მაღლა, იცრიცებოდა ჰაერში და ინთქმებოდა ჩაბნელებული ჭერის კოჭებს შორის. კვარი დროდადრო ნაპერწკლებსაც აფრქვევდა ბღუჯა-ბღუჯად. ნაპერწკლების მოძრაობას ისე აყოლებდა თვალს მაჰარბე, თითქო მათი დაჭერა განუზრახავსო. ეს სანახაობა არა მარტო მაჰარბეს, გოშგოთის თვალსაც კი ახალისებდა, მაგრამ რა, როცა ამ ხალისს გული არ იზიარებდა, გულს ახლა თავად ეკიდა ცეცხლი.

— თუ მირანგულა ხვალ ამ დრომდე შინ არ დაგიბრუნებიათ, იცოდეთ, ვერ გადამირჩებით, მაშინ... ყველანი გამეცალეთ აქედან! — თქვა გოშგოთმა და წამოდგომა დააპირა. ყველას ეგონა, ამ გაფრთხილებით და მუქარით დასრულდებოდა დღევანდელი ალიაქოთი, მაგრამ ჯოტოს უეცარმა პასუხმა — სიამოვნებითო, — გოშგოთსაც, სხვებსაც თავზარი დასცა.

როცა გოშგოთმა ძალა კვლავ მოიკრიბა, დინჯად, დაცინვით შენიშნა სიძეს:

— ყოჩაღ, ცალყურავ!

ჯოტოს ეწყინა ასე მოხსენიება, მაგრამ არ შეიმჩნია. ის მიხვდა, უფრო ხელსაყრელ დროს ხვაშიადის გასაცხადებლად ვეღარ იშოვიდა, პირადი წყენა არად ჩააგდო.

— ბიჭო, ჯოტო! მიკვირს რომ არაფერი მიპასუხე.

— რა გიპასუხო, ვინც ადამიანის ნაკლს დასცინის, იმას ღმერთი გასცემს პასუხს.

ქორა-მახვში არ ელოდა ასეთ პასუხს, ისიც ჯოტოსაგან, ალბათ იმიტომაც გაწბილებული შესცქეროდა ცალყურა სიძეს.

— სანამ განაჩენს გამოგვიტანდეს, ღმერთი, ალბათ, ჩვენც მოგვისმენს. — დაიმედებით თქვა ბოლოს ქორა-მახვშმა. — თავი ნუ მოგიკვდება, მითხარი, ჯოტო, სიამოვნებითო, წეღან რომ „მახარე", რას გულისხმობდი...

ჯოტომ ეჭვით შეხედა, მაგრამ ცნობისმოყვარეობის მეტი ვერაფერი ამოიკითხა გოშგოთის სახეზე. მცირე ყოყმანის შემდეგ გაბედა ხვაშიადის გამჟღავნება.

— რახან შენი სურვილიც გახლავს, უნდა გამოვტყდე, ხოშა-გოშგოთ! რა ხანია ჩემი სახლობით აქედან წასვლა მინდოდა, მაგრამ... გამხელას ვერ გიბედავდი.

ჩაესმა თუ არა ეს სიტყვები საკარცხულის საზურგეზე მიწოლილ გოშგოთს, უმალ ის ფართოდ გახელილი ცალი თვალიც დახუჭა, ხელისგული კი შუბლზე შემოიდო და ნელა გადაისვა.

— მადლობის ღირსი ყოფილხარ, რახან ასე მიფრთხილდებოდი, — თვალი არ გაუხელია, ისე თქვა დაცინვით გოშგოთმა. წუთიერი დუმილის შემდეგ კი უეცრად მოქნეული მკლავით ისე გადასერა ჰაერი, თითქო ფრანგული იძროო და, დაიძახა: — გამეცალე... ცალყურა მახინჯო!

დარბაზმა ყრუდ გაიმეორა მისი ამოძახილი.

ჯოტო არ განძრეულა. ვერავინ გაბედა გამოქომაგებოდა, თუმცა აშკარა იყო, უმრავლესობა ჯოტოს თანაუგრძნობდა.

რახან ჯოტომ ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა, ყველას ეგონა ამით უფრო გაარისხებდა იგი ქორა-მახვშს, მაგრამ მას უკვე საქმე აღარ ჰქონდა განკიცხულ სიძესთან.

მოულოდნელად ისეთი მშვიდი და უცნაურად შერბილებული კილოთი მიმართა გოშგოთმა შინაურებს, რომ ყველანი სახტად დარჩნენ.

— ხალხო, მირანგულა ხომ დავკარგეთ... ჯოტოსაც თურმე ჩვენს ჭერქვეშ ყოფნა მობეზრებია, რა გაეწყობა, თითო მახინჯი ყველა ოჯახში მოიძებნება... გზა მშვიდობისა ვუსურვოთ... — გოშგოთმა მრევლს თვალი მოავლო და რახან ყველა მოწიწებით თავდახრილი უსმენდა, მანაც განაგრძო, — ჯოტოს წასვლით ოთხი სული მოაკლდება ჩვენს ოჯახს... მაგათი ტვირთიც ჩვენ უნდა გავინაწილოთ.

— შენ კარგად იყავი, ხოშა-გოშგოთ! — გამამხნევებელი კილოთი თქვა ქერობინემ.

— მაინც ვზიდავთ, — ქარიმანმაც გაამხნევა ქორა-მახვში.

გოშგოთმა ცოტა ხანს იყუჩა. ქარიმანის მხარდაჭერა, მართალია, დიდი ნუგეში არ იყო, მაგრამ არ შეიძლებოდა, ახლა მისთვისაც კი ანგარიში არ გაეწია. მან მოწყალეს თვალით გადახედა უფროს სიძეს და მოფერებით უთხრა:

— ბიჭო, ქარიმან, ჯოტოს მაგიერ ხვალიდან შენ შეუდგები თივის ჩამოზიდვას, თუ გინდა, მანოლაც დაიხმარე.

ქარიმანმა ოდნავ წამოიწია. თავი მორჩილად, თანხმობის ნიშნად დაუქნია ქორა-მასვშს და კვლავ დაჯდა.

— ქერობინე!

გოშგოთის დაძახებაზე ქერობინემ გაშლილი ხელისგული ყურს უკანიდან მოაფარა და სმენად იქცა.

— შეშა, მგონია, ოთხი ურემიღა დარჩა ჩამოსაზიდი.

— ოთხიც არ იქნება, — თქვა ქერობინემ.

— მარტო მოერევი?..

— მოვერევი, — სანამ გოშგოთი სიტყვას დაასრულებდა, მიუგო ქერობინემ, — შენ კარგად იყავი! როგორც კი ქარიმანი თივის ჩამოზიდვას მორჩება და ხარები გათავისუფლდება...

— ქარიმან, გესმის?..

— ვეცდები! — ბორძიკით მიუგო ქარიმანმა ახლა უკვე ლმობიერად მზირალ გოშგოთს.

— ვეშაგ! ყავრის გამოხდას შენ გავალებ.

ვეშაგს ხმა არ გაუღია, ქორა-მახვშის ბრძანებას არ გამოხმაურებია.

— შენ გავალებ, გესმის, ბიჭო? — ცოტა გაკვირვებით გაიმეორა ნათქვამი გოშგოთმა და თავდახრილ ვეშაგს გადახედა.

— რომ ვერ წავიდე...

— უფრო მძიმე სამუშაოს მოელოდი, თუ...

— არა, მამა. შენც იცი, აქამდე არც მძიმეს გავურბოდი, არც იოლს ვთაკილობდი...

— ახლა... ავად ხარ?!

ვეშაგმა არაფერი უპასუხა. გულის ჯიბიდან მოკეცილი ქაღალდი ამოიღო და ორი თითით მაღლა ასწია.

— ეს ბარათი ამ დილით ჩვენი საბჭოს თავმჯდომარემ მესტიიდან ჩამომიტანა... მიბარებენ, ხეტყის სამუშაოზე ბრიგადირობას მთავაზობენ... კარგი ჯამაგირი მექნება... წასვლა გადაწყვეტილი მაქვს... შინაური საქმეებისათვის აღარ მეცლება... ბინასაც მაძლევენ... ცოლ-შვილიც უნდა წავიყვანო... ოჯახიდან წილს არ მოვითხოვ!

სანამ ვეშაგი ლაპარაკობდა, გოშგოთი მას გაშტერებული უყურებდა და უსმენდა. ერთნაირად ეუცხოებოდა შვილის გარეგნობაც და სიტყვაც.

— როცა ვაჟკაცი ოჯახს სჭირდება, მისი სამსახური ვის გაუგია?! ზამთარში კიდევ ჰო, მაგრამ ახლა...

— თუ ქვეყნის საქმეს გავაკეთებთ, ჩვენი ოჯახიც მოგებული დარჩება!

„ღერბეთ, ნუ შემშლი“, — გაიფიქრა გოშგოთმა და ვეშაგს შეაჩერდა.

— თავის მაგივრად რომ მწარე კვახი გამოება შენთვის გამჩენს, ალბათ უფრო მადლიერი ვიქნებოდი იმ დალოცვილისა! — გოშგოთმა სინანულით გაიქნია თავი. — ტყუილად მყავდი გამორჩეული...

ტყუილად მქონდა შენი იმედი? გაქებდი მეზობლებში, უფროსებში... ტყუილად ვამაყობდი?!

— რატომ? — წყნარად იკითხა ვეშაგმა. — მინდა უფრო გასახელო.

— დამცინი? — წყენით წამოიძახა გოშგოთმა და გაშლილი ხელისგული ისე დაჰკრა სახელურს, რომ საკარცხული ჭრიალით შეირყა. — არ მინდა! რაც ხარ, ისიც კმარა. გაჩერდი, თუ ჭკუა გაქვს. ეს ერთი ხანია, როგორც იყო, მოვისვენეთ, მტრის შიში ძილს აღარ გვიფრთხობდა, შინაურობაში თანხმობა ლუკმას მარილივით გემოს მატებდა. სხვა რაღა გვინდა? გაჩერდი! — ქორა-მახვშმა შიშით და ვედრებით მოავლო თვალი შინაურებს.

— კაცი ცხოვრებას არ უნდა ჩამორჩეს, — მშვიდად დაიწყო ვეშაგმა, — განა ახლა შეიძლება ისე ცხოვრება, როგორც შენ გიცხოვრია? არა, მამაჩემო, ახალ დროებას ანგარიში უნდა გაუწიო, თუ გინდა, რომ არ დაგცინონ... ჩამორჩენილოო! — რახან გოშგოთი წყნარად უსმენდა, გათამამებულმა ვეშაგმა სიტყვა განაგრძო: — განა ისე გვზრდიდი, რომ სხვისი მაჩანჩალები ვყოფილიყავით? თუ შეგვეფერება, ვიყვნეთ... რაღა გვაკლია!

თითქოს აქამდე ყურს არ უგდებდაო, გაყუჩებულმა გოშგოთმა ერთბაშად ასწია უსიამოვნო ფიქრებით დამძიმებული თავი. ბოლო სიტყვები ვეშაგისა მეტისმეტად ეხამუშა. ვეშაგი კი ვერ ამჩნევდა მის მზერას, თავჩაღუნული გულმოდგინედ სრესდა პუ-

რის გულს და,. თითქო თავისთვის ლაპარაკობსო, წყნარად განაგრძობდა:

— შევიკრიბოთ აქ ასე ყოველ საღამოს კერასთან და ვიწუწუნოთ ჩვენს გაჭირვებაზე, ვქექოთ ყვიცინელასთან ერთად ნაცარი, გამოვიხრჩოთ კვამლში... ან ცივ ზამთარში საშოვრისათვის თვეობით გადავიხვეწოთ, ვიწანწალოთ სამეგრელოსა და იმერეთში... ეგერ კედელში რომ ფანჯარა გამოგეჭრა და მზეს შემოეხედა, მისი შუქი მარტო ამ დარბაზში კი არა, ჩვენს სულშიაც ჩაგვახედებდა, მაგრამ არ ისურვე ასე და ჩვენც მოგვატყუე, შენი თავიც...

ვეშაგის ბოლო სიტყვებზე გოშგოთი საკარცხულიდან წამოიმართა, წელზე ხელი მოისვა, მაგრამ რაკი ხანჯალი არ ერტყა, გაწბილებულმა ცახცახით დაუშვა დამუშტული ხელი. როცა წულიერ მღელვარებას სძლია, ვეშაგს მისწვდა, მაჯაში ისე მაგრად ჩასჭიდა ხელი, თითქოს ღონეს სცდიდა მასზე.

— ვეშაგ! აიღე კვარი და გამიძეხ! — ბრძანა ქორა-მახვშმა და ხელიც ნელ-ნელა უშვა.

ვეშაგსაც, სხვებსაც დიდად ეუცხოვათ გოშგოთის ახირებული სურვილი. ვერ მიმხვდარიყვნენ, რა განეზრახა რისხვამორეულ ქორა-მახვშს. ვეშაგმა შიშით გახედა კვარს, რომლის ხალისიანად მორიალე ქარვისფერი ალი მკრთალ ნათელს ჰფენდა და თან ჩრდილების იდუმალი ენით ამეტყველებდა იქაურობას.

— ვეშაგ, აიღე კვარი! — გაიმეორა ქორა-მახვშმა და ისე შეხედა ვეშაგს, ქუდიც ისე დაიხურა,

თითქოს ამითაც აგრძნობინა, მე უკვე მზადა ვარო. მაგრამ ვეშაგი ადგილიდან არ დაძრულა, თითქოს ფეხის ერთი მონაცვლებაც კი უბედურებას მოუტანდა ოჯახს.

ვეშაგის შეუპოვრობამ დანარჩენებიც გაამხნევა, ჯერ ქერობინემ, შემდეგ ბორენამ და ბოლოს ყველამ ერთად შესთხოვეს ქორა-მახვშს დაწყნარებულიყო, მორეოდა გულისწყრომას, მათაც ნუ აუშლიდა შფოთის საღერღელს; ქალის, კაცის, მოხუცის, ახალგაზრდის ხვეწნა-მუდარის ხმები ერთმანეთში აირია. ყურთასმენა აღარ იყო. დარბაზის ყოველი კუთხეც თავისებური გამოძახილით ეხმაურებოდა აყაყანებულ შინაურებს...

და მას შემდეგაც, რაც ეს ხმაური მიწყდა, გოშგოთი იდგა ზურგშექცევით და ფიქრობდა გაბრუებული, გულჩათხრობილი, ფიქრობდა მარტო მირანგულაზე, როგორც ამ შფოთის მოთავეზე. თანაც მწარედ ეცინებოდა გუნებაში შინაურების თანაგრძნობასა და შეშფოთებაზე, რჩევასა და ხვეწნა-მუდარაზე. მათ არ იცოდნენ, თუ ქორა-მახვში ახლა მარტო მირანგულას ემუქრებოდა. გოშგოთმა იცოდა, რომ ამ თავგამოდებით ყოველი მათგანი უფრო თავის თავს იცავდა, ვიდრე მირანგულას. და თუ ვინმე იყო მირანგულას ნამდვილი ქომაგი, ისევ ქორა-მახვში. მაგრამ რამდენადაც ძლიერად უყვარდა ის გოშგოთს, სხვების სამაგალითოდ იმდენად უფრო სასტიკად უპირებდა დასჯას — დეე, იცოდნენ, თუ ყველაზე საყვარელს ვიმეტებ, როგორღა მოვეპყრობი დანარჩენებსო.

ამას რომ ფიქრობდა ქორა-მახვში, სწორედ დროზე იკითხა ვეშაგმა:

— ჩვენც ხომ უნდა ვიცოდეთ, მამა, რას აპირებ, ამ შუაღამეს საით ეშურები?

— გამიძეხი და გაიგებ!

— შენი გულისწყრომა ყველას ხომ არ დაგვიმსახურებია. ჩვენ მაინც გვითხარი, — წყენით უთხრა ქერობინემ და მიუახლოვდა.

— დასამალი არაფერი მაქვს. კარგი, შენ გეტყვი, ქერობინე, და... თუ გინდა, სხვამაც ისმინოს!.. თუმცა ჯოტოს და ვეშაგის საქციელმა დამიკოდა გული, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მირანგულაა დამნაშავე!.. გადავწყვიტე... შევაჩვენო!

დარბაზმაც თითქოს იმათთან ერთად შეიცხადა, ვინც იქ იყო.

გოშგოთს ყური არ უთხოვებია ამ შეცხადებისათვის. ბეჭებში გასწორებულმა, ხელები უკან შემოიწყო, თავი მაღლა ასწია და ცალი თვალიც ისე ფართოდ გაახილა, რომ გუგის გარშემო თეთრი გარსი მკაფიოდ გამოჩნდა.

— ვეშაგ! აიღე კვარი და გამი...

— არა, მამა! — იყვირა ვეშაგმა. — ჩემი შვილის შემჩვენებელს ვერ გავუძღვები, გზას ვერ გავუნათებ!

გოშგოთი მიხვდა, რომ ამ თავგანწირული ადამიანების წინააღმდეგობას ადვილად ვერ გადალახავდა და გვერდი აუარა. ვეშაგს თავი ანება. მტკიცე ნაბიჯით მიაშურა კედელს... მკლავის ერთი მოქნევით გოშგოთმა მარჯვედ ამოიტაცა აბრიალებული კვარი

კედლის ფოსოდან. წამით ყველაფერი საშინელი სისწრაფით შეტორტმანდა დარბაზში... ჯიხვის რქების ჩრდილები თითქოს გაფრინდნენო, გადაიქროლეს კედლის ოღროჩოღრო ზედაპირზე... დარბაზში მყოფთა აქამდე მშვიდად მოტორტმანე ჩრდილებიც შებარბაცდნენ, ჭერამდე აიტყორცნენ, აქეთ-იქით იწყეს ტორტმანი.

გოშგოთმა ერთი კი გადაავლო თვალი გოლიათური ჩრდილების ფერხთით საოცრად დაპატარავებულ შინაურებს და მყის გასასვლელს მიაშურა. ნათელა პირველი გამოიჭრა წინ. მავედრებელი ჩურჩულით გოშგოთს ფეხებში ჩაუვარდა. წვივზე ხალვათად წამოცმულ შალის პაჭიჭს მოებღაუჭა, მაგრამ ხელი ვერ დაიმაგრა... გოშგოთი არ შეკრთა. გულთან არ მიიკარა ნათელას ვედრება, გადააბიჯა მას და განაგრძო გზა. მანოლამ შეჰკივლა, ქერობინემაც თავისებური როყიო ხმით დაიძახა — გოშგოთ, ძმაო! ნუღარ აგვიშლი შფოთის საღერღელსო, — და მკლავებგაშლილი გადაეღობა. ქერობინეს ვეშაგიც მიეშველა, ქარიმანსაც ვითომ ეწადა შეჭიდებოდა ქორამახვშს, მაგრამ ჯერ ვერ ბედავდა. სწორედ ამ დროს გაისმა ჯოტოს მეუღლის — ბორენას ხმა: — ვერ მოერევით... გვანცა ბებიას ვთხოვოთ, ის გვიხსნის!..

ქალები უმალ გვანცას მისცვივდნენ. უჩვეულო ალიაქოთით შეშფოთებული გვანცა რა ხანია წამომჯდარიყო, მაგრამ ვის ეცალა მისთვის. არც გვანცას ჩურჩული სმენიათ აქამდე, არც მისი ხელის მოძრაობა შეუმჩნევიათ. ქალები ახლა თან ჩასძახოდნენ

გვანცა ბებიას — გვიშველე, გოშგოთი მირანგულას შეჩვენებას უპირებსო, თან ხელს აშველებდნენ, წამოდგომაში ეხმარებოდნენ. ჭაღარა, თმებგაფაფრული გვანცა მოჩვენებასავით აღიმართა ნახევრად ბნელით მოცულ დარბაზში. თუმცა ათიოდე ხელს საიმედოდ ეჭირა იგი, მაგრამ თავს მაინც ძლივს იმაგრებდა მოხუცი. ერთი წუთის წინ გვანცას ხსენებაზე ქერობინემ უტია თუ არა გოშგოთს, მანაც ისარგებლა ამით, უმალ კარს ეცა, დასწია ურდული და როცა მძიმე კარმა მძიმედ გაიჭრიალა, გვანცას ძახილიც გაისმა: გოშგოთ... სადა ხარ, შვილო, დედა გეძახისო.

შინაურებმა იცოდნენ, რომ გოშგოთი დედას აღმერთებდა, მაგრამ, მაინც ვერ წარმოედგინათ, თუ ასეთი ძალა ჰქონდა მის სიტყვას. ხანდაზმულებმა პირჯვარიც კი გამოისახეს. უკან შემობრუნებულ გოშგოთს პირველი ნათელა მიეგება, დაბლა დახრილი, აბოლებული კვარი ჩამოართვა. მაჰარბეს სამფეხა სკამი უკვე მიერბენინებინა კედელთან, ნათელა სკამზე შედგა და კვარი თავის ფოსოში ჩადგა.

საკარცხულისაკენ ბარბაცით მიმავალ გოშგოთს შინაურებმა ისე გააყოლეს თვალი, აშკარა იყო, ეუცხოებოდათ მისი ამგვარ უნუგეშო ყოფაში ხილვა. გოშგოთი მოსხლტით ჩაეშვა სავარძელში.

როცა შინაურებმა ქორა-მახვშის შორიახლოს თავი მოიყარეს, გოშგოთს უნდოდა მიეხალა მათთვის — აირჩიეთ სხვა ქორა-მახვში... მე ხომ თურმე ველარც ვერაფერს ვხედავ, აღარც არაფერი მესმის...

ან აქამდე როგორ ითმენდით ბრმისა და ყრუს წინამძღოლობასო, მაგრამ ძალა არ ეყო ამის სათქმელად. არც ეგულებოდა ოჯახში ვინმე, რომ მისი მაგიერობა გაეწია.

საკარცხულის საზურგეზე მიწოლილი, თავჩაღუნული გოშგოთი მწარე ფიქრებს მისცემოდა.

მერბიელმა ხელით ანიშნა შინაურებს — გაეცალეთო. ისინი ერთ წუთს კიდევ იდგნენ საკარცხულის შორიახლოს, მერე ფეხაკრეფით მიმოიფანტნენ დარბაზში და მოჩვენებასავით გაუჩინარდნენ.

მერბიელი მარიამი თავს არ ანებებდა მეუღლეს. ეგონა, ფიქრებში წასულს, დღევანდელი შფოთით მოქანცულს, ჩაეძინებაო, მაგრამ ამაყი მოხუცი ჯერ კიდევ ფხიზლობდა. დროდადრო ამოოხვრით იბრუნებდა სულს. თანაც შებოჭილივით ბორგავდა საკარცხულში; ხან მარცხენა სახელურზე გადაწვებოდა, ხან — მარჯვენაზე. ზოგჯერ წინ წახრილი, იდაყვებით მუხლისთავებზე დაბჯენილ ხელებს სახეზე აიფარებდა, ერთხანს ამ მდგომარეობაში გარინდებული ფიქრს განაგრძობდა. მაგრამ ამაო იყო ეს უკიდეგანო ფიქრიც და დარდიც, გული რომ ძლივსღა იტევდა.

გოშგოთმა რამდენჯერმე მოსვა წყალი კათხიდან. უმწეოდ, მარტოობაში იგრძნო თავი. მხდალივით შიშით მიმოიხედა, ირგვლივ მყუდროება გამეფებულიყო, დარბაზში ახლა კიდევ უფრო ბნელოდა. კვარი თითქმის კედლის პირამდე მიმწვარიყო. ეს ერთადერთი ნუგეში, აქამდე ლაღი ბრიალით გულსაც რომ

ახალისებდა და დარბაზსაც აცოცხლებდა, ნელ-ნელა ხუჭავდა თვალს. გოშგოთი კვლავ ჯიუტად ებღაუჭებოდა თავის განწირულ იმედებს და განგების განაჩენის უსამართლობაზე გულის სიღრმეში ჩივილსაც კი ბედავდა.

— მარიამ! — დაიძახა გოშგოთმა, რაწამს კედელზე მეუღლის ჩრდილს მოჰკრა თვალი.

მარიამი ფეხაკრეფით მიიჭრა მასთან. იგრძნო თუ არა გოშგოთმა ბეჭებზე მისი ხელის ფრთხილი შეხება, ისე გაიმეორა მისი სახელი, რომ მეუღლეს თვალზე ცრემლი მოადგა.

— რატომ არ იძინებ, ხოშა-გოშგოთ? ნუ დავარღვევთ იმას, რაც გამჩენს ადამიანის სასარგებლოდ დაუწესებია. გესმის? როგორ გახშირდა მამლების ყივილი... მალე გათენდება.

— ვითომ?

მარიამმა უნუგეშოდ ამოიოხრა, გოშგოთის გვერდით ჩამოჯდა სამფეხა სკამზე. ახლა შენიშნა, რომ სუფრაზე ბლომად დარჩენილიყო პურიც, ხორციც.

— გოშგოთ, არ გინდა? იქნებ არაყმა გიპოვოს გული...

—. გასიებულ გულს რაღა პოვნა უნდა.

— ზოგ რამეს უნდა შეურიგდე.

— რას მანიშნებ? — ეჭვით იკითხა ქორა-მახვშმა.

— განა რაიმე გენიშნა?

— ჰო, თითქოს...

მარიამს პასუხი დაუგვიანდა. გოშგოთს კი ცუდად ენიშნა მისი დუმილი.

— მარიამ! თუ რამე იცი, ნუ დამიმალავ... ჯოტოსა და ვეშაგს გარდა სხვებიც იმასვე ფიქრობენ?..

მარიამმა ყოყმანით მიუგო:

— რას გაიგებ, ხოშა-გოშგოთ!

— შენ მეტი იცი, მაგრამ არ ამხელ!

— მეტი რაღა უნდა იყოს, ადამიანო! ჭერიც ხომ არ ჩამოგვენგრევა თავზე!..

— ადამიანის მორჯულებაც რომ ისევე ადვილი იყოს, როგორც ჩამონგრეული ჭერის შეკეთება...

— გოშგოთ, ამაღამ ძილს აღარ აპირებ? სადაცაა გათენდება.

— მე ასე მირჩევნია, შენ, თუ გინდა, დაიძინე.

მარიამმა სიბრალულით, მალულად გაუშტერა თვალი მეუღლეს. „მოკლეს, სული ამოართვეს მოხუცებულს და ახლა აღარ იცის, რა უყოს უსულო ხორცს!..“ — გაიფიქრა და უნებლიეთ მისი წეღანდელი ვედრებაც გაახსენდა, თუ რამე იცი, ნუ დამიმალავო. რამდენი ახალი ამბავი შეუძლია ამცნოს მარიამმა იმის გარდა, რაც თავის პირით აუწყეს ვეშაგმა და ჯოტომ. რა იცის ქორა-მახვშმა, თუ ქერობინეც, ბორენაც, ქარიმანიც „ფეხის ხმას აჰყოლიან...“

— მარიამ!

— რა გნებავს?

— წადი, შენ მაინც მოისვენე... ღამეს რად ტეხავ?.. მე რას მიყურებ...

მარიამი უსიტყვოდ დაემორჩილა გოშგოთის ნე-

ბას. იცოდა, ახლა უარის თქმით და გაჯიუტებით უფრო მოუმატებდა ბოღმას მოხუცის გულს. ერთ-ორ წუთს კიდევ იდგა გარინდებული, გოშგოთის ზურგს უკან, მერე ფეხაკრეფით გაილალა და დარბაზის სიღრმეში გაუჩინარდა.

რაწამს მერბიელი თვალს მიეფარა და მისი ფეხის ხმაც მიწყდა, მყუდროებაში განმარტოებულმა გოშგოთმა მეტი შვება იგრძნო, თუმცა მარიამის სიახლოვე არას უშავებდა. ახლა თითქო ღონეც მოემატაო, გოშგოთი წელში გაიმართა, დარბაზში გაოცებით მიმოიხედა. აქაურობა რაღაც უჩვეულოდ გაპირქუშებული მოეჩვენა. ჭერიც თითქო თავზე დასწოლოდა. გამუქებული და შემჭიდროებული ჩრდილები უფრო ნელა და შიშის ალმძვრელად ტოკავდნენ. საკარცხულის პირდაპირ, ჭერში გამაგრებული კვარის ალის აქამდე დაუდეგარი და ხალისიანი ბრიალიც შესამჩნევად კლებულობდა. კედლის წინ განათებული არე თანდათან ვიწროვდებოდა.

აქამდე ჩრდილ-სინათლის მკაფიო ლაქებით აფორაჯებული იატაკი ისე იცვლიდა ფერს, ისე ლივლივებდა, როგორც მთვარიან ღამეში ტბის ოდნავ შერხეული ზედაპირი. გოშგოთიც თვალნათლივ ხედავდა — ეს ლივლივიც, კვარის ალიც წამისწამს კლებულობდა და დარბაზში ნახევრად გაუჩინარებულ საგნებთან ერთად თვითონაც შეუმჩნევლად ინთქმებოდა გარემოცულ წყვდიადში...

თითქოს სულს ღაფავსო, უცებ ფოსოდან კიდევ ორ-სამჯერ სუსტად იფეთქა კვარის ალმა, წამით

მკრთალად გაანათა დარბაზი და ბიქაურობა მყის ბნელმა მოიცვა.

გოშგოთი ჯერ შეკრთა, მერე კიდეც ესიამოვნა და გაუკვირდა, რომ ასე მალე და ადვილად შეეთვისა ამ წყვდიადს, ამ უჩვეულო მყუდროებას. ახლა ყველაფერი ხელს უწყობდა, წესრიგში მოეყვანა აწეწილ აკვიატებული ფიქრები, გარკვეულიყო შინაურების უგვანო საქციელში, მაგრამ თავის თავთან განმარტოებული მოხუცი ქორა-მახვშის მოდუნებული ყურადღება უნებლიეთ იდუმალმა ჭრიალმა მიიქცია. ეს ხმა მის სმენას ეუცხოვა. ერთი პირობა სცადა ყური არ ეთხოვებინა, მაგრამ ახლა ისე მკაფიოდ ჩაესმოდა იგი, რომ ფიქრს უშლიდა. დარბაზის სამარისებურ მყუდროებაში ქორა-მახვშს ისე მოეჩვენა, თითქოს ეს ჭრიალი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა. ჯერ იდაყვით, მერე იღლიით საკარცხულის სახელურზე ჩამოყრდნობილმა ყური კარადას მიაპყრო, მაგრამ იმავ წამს, თითქოს გულმაც უგრძნო და სმენამაც დაუდასტურა, რომ იმ უსიამოვნო ხმას საკარცხული გამოსცემდა. გოშგოთი გაინაბა. იღლიით დაყრდნობილმა საკარცხულს ყურიც დაადო და დარწმუნდა, რომ იმ უცნაურ ხმაზე მისი ქებული, მუხის მამაპაპეული საკარცხული მოთქვამდა.

ეს ამბავი იმდენად უჩვეულო იყო ქორა-მახვშისათვის, ისე შეაშფოთა მოხუცი, რომ უმალ გადაავიწყდა მირანგულაც, ჯოტოც, ვეშაგიც და ყველაფერი, რაც კი აქამდე მის სულს აფორიაქებდა. გულის[illegible]

ახლა იმ პაწაწინა ჭიას მიაპყრო, რომელიც თურმე ასე ფარულად გულმოდგინედ და გამალებით ასრულებდა თავის საქმეს. არ მოელოდა გოშგოთი. იქნებ იმიტომაც არ მოელოდა, რომ ბევრჯერ უფიქრია — იმ საკარცხულივით, სადაც მჯდარან პაპისპაპა და პაპა, მეც მუხის ჯიშისა ვარო. ის ახლა უძრავად გადაწოლილიყო საკარცხულის საზურგეზე, მკლავებიც სახელურებზე უღონოდ გადაეკიდა და გაოცებული უსმენდა, რა ულმობელი გულმოდგინებით, რა გამალებით ხრავდა და აცამტვერებდა მუხის განთქმულ საკარცხულს ის უხილავი ჭია.

მოთიბული გალახი

სუნჯის გამოღმა ასტრახანის პოლკის ორი ასეული იყო დაბანაკებული. ისინი აღალს იცავდნენ.

ნაშუადღევს მდინარემ ჩამოატარა უბედურების პირველი მაცნე. პირველს მეორე, მესამე და მეათეც მოჰყვა. მალე სათვალავიც დაკარგეს ჯარისკაცებმა; ახლა მთავარი იყო არა დაჭრილთა და გულგახეთქილთა დათვლა, არამედ გადარჩენა, თუ ყველასი არა, ზოგი მათგანისა მაინც. ხუთმა-ექვსმა თვითონ მოახერხა ნაპირამდე გამოცურვა. ზოგს აღალის მცველი ასეულის ჯარისკაცები ჩამოეშველნენ და გამოიყვანეს. ნაპირზე თხუთმეტიოდე გადარჩენილს მოუყარეს თავი. მათ ჯერ კიდევ წურწურით ჩამოსდიოდათ სისხლნარევი წყალი. რაღაც სასწაულით სიკვდილს თავდაღწეული ჯარისკაცების შესახედაობამ დამხვდურებზე საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა. სახეშეშლილ, ტანსაცმელშემოფლეთილ ადამიანებს ჯერ ერთი სიტყვაც არ ეთქვათ, მაგრამ

უთქმელადაც ცხადი იყო, რომ პოლკოვნიკ პიერის მხედრობას რაღაც დიდი უბედურება ეწია...

სწორედ ორი დღის წინ, ოთხ ივლისს, ნაშუადღევის ოთხ საათზე ნაურის ახლოს შეკრებილი ლაშქარი ჩეჩენთა აულ ალდისაკენ დაიძრა. ამ ლაშქრის — ასტრახანის ქვეითი პოლკის, ყაბარდოს ეგერთა ბატალიონის, ტომსკელ გრენადერთა ქვეითი პოლკის ერთი ასეულისა და თერგის მხედრობის კაზაკთა ერთი ასეულის მეთაურად გრაფ პოტიომკინის განკარგულებით დაინიშნა გულადობითა და სიმკაცრით ერთნაირად განთქმული პოლკოვნიკი ნიკოლოზ იურის ძე პიერი. ეს კაცი, თავად ბერძნული წარმოშობისა, შეყვარებული იყო ბერძნულ ფალანგაზე და ოცნებად ჰქონდა გადაქცეული რუსი ჯარისკაცებისათვის შთაებერა ბერძნული სული და თვითონაც ალექსანდრე მაკედონელს დამსგავსებოდა. პიერის ფუჭმა ოცნებამ, მედიდურებამ და სიშმაგემ ნაყოფი მალე გამოიღო, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც მოელოდა ბერძნულ ფალანგასა და ალექსანდრე მაკედონელზე მეოცნებე პოლკოვნიკი.

პიერის თავისი მხედრობით უნდა დაეშოშმინებინა ჩეჩენთა აული ადლი, სადაც კვლავ იჩინა თავი მთიელთა მღელვარებამ.

სულ რაღაც ორიოდე წლის წინ, 1783 წლის ზაფხულში ჩეჩნეთს ორგზის ლაშქრობამ თითქო სასურველი შედეგი გამოიღო. ჩეჩნებმა რუსის მხედ-

რობის წინაშე ფიცი დადეს — მათ წინააღმდეგ ხელში იარაღს აღარ აიღებდნენ. ამ პირობას ისინი პირნათლად იცავდნენ კიდეც, სანამ აქაურობას მოძღვარი ვინმე უშურმა არ მოევლინა. აულ ალდის მცხოვრებმა ახალმა „მოძღვარმა“ ორიოდე თვეში ისეთი სახელი მოიხვეჭა, ისე მარჯვედ აუშალა ხალხს შფოთის საღერღელი, რომ მთელი აული მიიმხრო და რუსის მხედრობის წინაშე აღთქმული ფიცი გაატეხინა. ახალი მოციქული უშურმა დაუყოვნებლივ მოინათლა იმამად და შეიხად. ამ მაღალ წოდებათა შესაფერისად ისახელნართაულა კიდეც — უშურმის მაგივრად მანსურად იწოდა. არაბულად მანსური ძლევამოსილს ნიშნავს და, ჩეჩნებმაც ადვილად ირწმუნეს ახალი იმამის ძლევამოსილება.

მანსურის აღტყინებულმა მოწოდებამ ჯერ მხოლოდ ერთი აული აამხედრა და დარაზმა სარწმუნოებრივი ბრძოლის — ჰაზავათისათვის; 1785 წლის გაზაფხულზე კი უკვე მთელი ჩეჩნეთი აიშალა. მანსურის გავლენა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ამას ახლა რუსის მხედრობაც თვალნათლივ ხედავდა; და რაკი ხედავდა, შეუძლებელიც იყო ამ გარემოებისათვის გულგრილად ცქერა და, მით უმეტეს, დაყოვნება.

ორმოცდაათიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ პოლკოვნიკ პიერის ლაშქარმა მხოლოდ მეორე საღამოს მიაღწია მდინარე სუნჯის მარჯვენა ნაპირს.

აქედან აულ ალდიმდე ხუთიოდე კილომეტრი თუ იქნებოდა. პიერიმ ლაშქრის მთელი აღალი მდინარის გამოღმა დატოვა ასტრახანის პოლკის ორი ასეულისა და მის მეთაურად მიჩენილ პოლკოვნიკ ტომარის ამარა. უალალოდ, ტვირთშემსუბუქებული ლაშქრით პიერის ეწადა ჩეჩენთა აულს სწრაფად და უეცრად დასხმოდა თავს. მათი ხელახლა აშლისა და აფორიაქების სულისჩამდგმელი მანსური შეეპყრო. თავადი პოტიომკინის აზრით ეს საკმარისი იქნებოდა, აულში რომ კვლავ მშვიდობიანობა ჩამოვარდნილიყო, მაგრამ პოლკოვნიკ პიერის გულის სიღრმეში გაცილებით მეტი ეწადა. მას არასოდეს არ აკმაყოფილებდა მშვიდობიანი მოგვარება ამგვარი საქმისა. და უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოგება ბრძოლისა.

მცირე შესვენების შემდეგ, საღამო სანს ლაშქარი ფონით მდინარეში გავიდა და მალე უღრან ტყეში გაუჩინარდა. ტყის ერთადერთი ბილიკი სწორედ აულ ალდისაკენ მიემართებოდა. ეს ბილიკი რუსის მხედრობას უკვე გატკეპნილი ჰქონდა და ამიტომაც ტყის გარემოცვაში, ისიც ღამით, ასე უშიშრად მიაბიჯებდა. გზა-კვალის არევისა არ ეშინოდა. ჯარისკაცებს მხოლოდ ის აწუხებდათ, რომ გზა ტყეში მეტისმეტად მიხვეულ-მოხვეული და ძნელად სავალი იყო. განსაკუთრებით დიდი ჯაფა დაადგათ იმ ორი მომცრო ქვემეხის მომსახურეთ, რომლებიც ახლა ცხენების მაგივრობას სწევდნენ. ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრის გავლას მთელი ღამე მოანდომეს. როდესაც დილაად-

რიან მხედრობა ტყიდან გავიდა, ყველამ შვებით მოითქვა სული.

გაურკვეველ, აუტანელ მოლოდინსა და შიშისფეთებაში დაღამდა კიდეც. მდინარის გამოღმა, აღალის მცველი ორი ასეული რა ხანია საომრად იყო განლაგებული. ირგვლივ მყუდროება სუფევდა, და ეს მყუდროება მას შემდეგ, რაც მომხდარა, კიდევ უფრო აძლიერებდა ავის მოლოდინსა და მოუთმენლობას.

ერთი მოსულიერებული ჯარისკაცი, როგორც იყო, გონსაც მოვიდა, ლაპარაკის საღერღელიც აეშალა და ის უმალ პოლკოვნიკ ტომარის მიჰგვარეს. პოლკოვნიკი მდინარის გამოღმა ნაპირიდან ას ორმოცდაათიოდე ნაბიჯის დაშორებით, ერთი გოლიათი ცაცხვის ძირას იჯდა, გაშლილ ნაბადზე. აქედან სუნჯის როგორც გამოღმა, ისე გაღმა ნაპირი კარგად ჩანდა, უკანაც გადასახედი ჰქონდა. დღისით ისე ვერაფერი გაიჭაჭანებდა, რომ ვერ შეგენიშნათ; მაგრამ ახლა, ღამით ამ ადგილსაც უთუოდ დაკარგული ჰქონდა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა. უსაფრთხოების მხრივ პოლკოვნიკი მხოლოდ თავისი ჯარისკაცების იმედად იყო, რომლებიც სიღრმითაც და სიგრძითაც თითქმის მთელი კილომეტრის მანძილზე იცავდნენ აქაურობას.

უქუდო, ნახევრად შიშველი, ჭრილობებშესხვეული ჯარისკაცი პოლკოვნიკს ხელებდაშვებული წარუდგა,

წესისამებრ მოახსენა, ვინც იყო და რომელ ნაწილშიაც ირიცხებოდა. პოლკოვნიკი მარჯვენა, მუხლში მოკეცილ ფეხს იდაყვით ისე გადმოეყრდნო, როგორც მოაჯირზე სჩვევიათ და ჯარისკაცს დააკვირდა. ისე ბნელოდა, ორიოდე ნაბიჯზე მდგარი ადამიანის დანახვაც ჭირდა. პოლკოვნიკის განკარგულებით, ბანაკში აკრძალული იყო ცეცხლის დანთება.

— რა მოხდა?! — მოულოდნელად და მკაცრი კილოთი იკითხა პოლკოვნიკმა.

— უბედურება, თქვენო ბრწყინვალებავ! თითქმის მთელი მხედრობა დაიღუპა. პოლკოვნიკი მიხეილ იურის ძე პიერი მოკლეს. მაიორი კომარსკიც მძიმედ დაჭრეს. ჩემ თვალწინ მოკლეს უნტერ-ოფიცერი პეტრე ბაგრატიონიც...

მხედართუფროსის — პიერის — სიკვდილმა პოლკოვნიკი შეაკრთო და დააფიქრა, პეტრე ბაგრატიონის უდროო დაღუპვამ კი გული როგორღაც ატკინა.

პოლკოვნიკ პიერის ამ ლაშქრობაში ადიუტანტად ახლდა ოციოდე წლის ჭაბუკი, მუშკეტერთა პოლკის უნტერ-ოფიცერი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი. ბაგრატიონმა ჩეჩნეთზე წინა ორ ლაშქრობაშიაც მიიღო მონაწილეობა. თუ ჩეჩნებს სწყინდათ რომ ყიზლარში ჩამოსახლებული ივანე ბაგრატიონის ვაჟი პეტრე მათ წინააღმდეგ იბრძოდა, სამაგიეროდ ამ წყენას და მტრობას თითქმის აბათილებდა ახალბედა უნტერ-ოფიცრის ვაჟკაცური შემართება და მხედრული ნიჭი. ვაჟკაცობას კი, თუნდაც მტრისას, მთიელები ყოველთვის თავს დაბლა უხრიან.

პეტრე ბაგრატიონის სამხედრო ნიჭსა და ვაჟკაცობაზე ნაკლებად არ ანცვიფრებდა ჩეჩნებს მისი სამართლიანობა და, მართლაც, ერთადერთი, რასაც ბაგრატიონი ვერასგზით ვერ ურიგდებოდა, იყო უაზრო მსხვერპლი. ხანდახან თვითონაც უკვირდა ბაგრატიონს, ადამიანის სიცოცხლე მის თვალში ცხარე ბრძოლის დროსაც რომ ფასს არ კარგავდა და მტერიც კი სასიკვდილოდ არ ემეტებოდა, თუ მის დასამორჩილებლად სხვა საშუალებასაც ხედავდა. ადამიანის მოკვლა ბრძოლაშიაც კი არასოდეს არ მიაჩნდა ვაჟკაცობის უმაღლეს გამოხატულებად, მაგრამ თავად არასოდეს სიკვდილისა არ შეშინებია.

თანამებრძოლთა დაღუპვის შეტყობაზე წამით მძიმედ ჩაფიქრებული პოლკოვნიკი ტომარი უეცრად ზეზე წამოიჭრა. თითქმის შეჰყვირა ჯარისკაცს:

— რას გაჩუმებულხარ, მერე, მერე? თქვი, თქვი, თქვი... — უნებლიეთ ხმლის ტარისათვის რომ უნდა ჩაევლო, ხელი ერთბაშად შუბლზე იტკიცა და ნაბადზე კი არ ჩამოჯდა, კუნძივით დაეცა.

შეშინებული ჯარისკაცი კი ისევ დამუნჯდა; სანამ მუჯლუგუნი არა ჰკრეს, ენა ვერ ამოადგმევინეს.

— თქვენო ბრწყინვალებავ... ის უღრანი ტყე წუხელ, როგორც იყო, მშვიდობიანად გავიარეთ, ამ დილით ტყიდან რომ გავედით, აულიც გამოჩნდა. უეცრად სროლა ატყდა. მერე შევიტყვეთ — პიერის ადიუტანტს, ბაგრატიონს, სამი ჩეჩენი შეუნიშნავს... ჩვენი ბიჭები გაქცეულებს რომ ვერ დასწევიან, სროლა აუტეხიათ. ორი მოუკლავთ, ერთი გაქცეულა,

იმან აცნობა აულს ჩვენი მისვლა... იმან დაგვღუპა...

სიბნელეში სრულიად არ აჩნდა მიწას ნაბდის სიშავე. გეგონებოდათ, პოლკოვნიკი მიწაზე ზისო. ის მოულოდნელად წამოიჭრა ზეზე, ერთი ნაბიჯი სწორედ ჯარისკაცისაკენ წადგა წინ. შეშინებულ ჯარისკაცს კი სიტყვა კვლავ გაუწყდა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. მას ეგონა, პოლკოვნიკი მუქარით მე მიცქერისო,. ტომარის კი მდინარის გაღმა მიეპყრო მზერა, სადაც ეს წუთია უეცრად გამოჩნდა ანთებული კვარი და კვარის სინათლეზე მოფუსფუსე რამდენიმე მამაკაცი.

— ჭოგრი! — იყვირა პოლკოვნიკმა და ხელი ისე მოაფათურა სიბნელეში, წყალგაღმა მობრიალე კვარის ალსა და ლანდებივით ერთმანეთში არეული, აფუსფუსებული ფიგურებისათვის თვალი არ მოუშორებია.

სიბნელეში გაწვდილ ხელში შეაჩეჩეს თუ არა ჭოგრი, უმალ მარჯვენა თვალზე მიიბჯინა იგი პოლკოვნიკმა და მდინარის გაღმა იმ განათებულ ადგილს უსწორა.

რამდენიმე ფაფახიანი მამაკაცის სილუეტი კვარის შუქზე გარკვევით ჩანდა ჭოგრში. ისინი რაღაცას ბჭობდნენ. მართალია, ლაპარაკი არ ისმოდა, მაგრამ ხელების მოძრაობა მხოლოდ ამას გაფიქრებინებდათ. ბოლოს ჯგუფს სამი მამაკაცი გამოეყო, როგორც კი კვარიანი მამაკაცი ჯგუფს წინ დაუდგა, პოლკოვნიკმა ჭოგრით ახლა ზოგი მათგანის სახეც მკაფიოდ გაარჩია სინათლეზე. ის, ვისაც კვარი ეჭი-

რა, თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილი ჩანდა. გამხდარ ყბებზე და საულვაშეზე ჯერ ღინღლიც კი არ აჩნდა. შედარებით მომცრო ფაფახი უკან ისე გადაეწია, გეგონებოდათ, სადაცაა გადაუვარდებაო, ვიწრო, ოთხკუთხი შუბლი მთლიანად უჩანდა. სწორი, გამოკვეთილი საწარბის ქვემოთ, სიღრმეში თვალების გარსს უფარავდა მეტად ხშირი და, ალბათ, გრძელი წამწამები. ყმაწვილს მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ ღვედივით იყო მოქნილი და ღონეც ერჩოდა. ტანთ ეცვა ჩაშვებული ხალათი უქამარხანჯლოდ სწორ ტოტებიანი შარვალი, წვივებზე მუხლამდე აკარწახებული და, უყელო წაღები შიშველ ფეხზე. ჯგუფს გამოეყო ერთი მოხუცი, საკმაოდ წელგამართული, მაგრამ ბეჭებში შესამჩნევად მოხრილი. მოხუცს დიდი, ბოლოგაბრტყელებული ფაფახი ეხურა. თეთრი, მოკლედშეკრეჭილი წვერის ჩარჩოში ჩასმულივით ჩანდა მისი ჩაშავებული, მზით დამწვარი სახე. ეს კოლორიტული მოხუცი პოლკოვნიკმა ჭოგრით თავით ფეხამდე შეათვალიერა. ბეჭებში მოხრილი ჩეჩენი სხვებზე თამამად იქცეოდა და ეტყობოდა, რომ მბრძანებლობდა კიდეც. ის მივიდა ყმაწვილთან, რომელსაც კვარი ეჭირა და ორივე ხელი დაუსვა ზემოდან ქვევით იღლიებიდან მუხლებამდე. შემდეგ ცალი ხელი მკერდსა და მუცელზე მოუფათურა. ვერ გაიგებდით — ეფერებოდა, ლოცავდა თუ ჩხრეკდა. უცებ წინ წახრილი თეთრწვერა მოხუცის ხელის მოძრაობა შეწყდა. წამით გარინდებული, მუცელზე ხელს არ აცილებდა ყმაწვილს. მერე დინჯად გასწორდა წელ-

ში, ყმაწვილს ერთი უეცრად ლეწა მარცხენა ხელით ყბაში, მარჯვენათი კი ჩაშვებული ხალათის კალთა აუწია და ხვანჯარში გარჭობილი პატარა დამბაჩა წააძრო. დამბაჩა მოხუცმა უკანმიუხედავად ზურგში მდგომ ჩეჩენს გადასცა, რომელსაც მკერდზე აეხოხოლავებინა ქამრებიანი ხანჯლები და პაჭიჭები. ამას ყველაფერს დიდი ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ჭოგრმომარჯვებული პოლკოვნიკი, თუმცა ჯერ ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მდინარის გაღმა. ბოლოს, ჯგუფს კიდევ ორი მამაკაცი გამოეყო. მათ აქამდე ძნელად გასარჩევი საკაცე ასწიეს და სახელურებით მხრებზე გაიდეს. უკან რომელიც შესდგომოდა მხრებით საკაცეს, მან ფაფახი მოიხადა და საფენის მაგიერ მარჯვენა მხარზე დაიდო საკაცის სახელურის ქვეშ. ღვედივით მოქნილი, სილანაჭამი ყმაწვილი პირველი შევიდა მდინარეში. კვარიანი მკლავი განზე და მაღლა ეჭირა, რათა უკეთ გაენათებინა სავალი იმათთვის, რომელთაც საკაცე მოჰქონდათ. ყმაწვილი დროდადრო ჩერდებოდა წყალში, სანამ უფროსები წამოეწეოდნენ. საკაცეზე დაჭრილი იწვა, მაგრამ პოლკოვნიკი ტომარი მის სახეს ჭოგრშიაც ვერ არჩევდა. დაჭრილს სასესა და მკერდზე თივის ბულულის თხელი ფენა ეფარა.

პოლკოვნიკმა ერთი წუთით თვალი დაასვენა. ადიუტანტს უბრძანა — ჯარისკაცები გაეფრთხილებინათ, ჩეჩენთა ჯგუფისათვის სროლა არავის გაებედა. მერე შემთხვევით იმ გადარჩენილი ჯარისკა-

ცის სილუეტს მოჰკრა თვალი, წეღან რომ პიერის ლაშქრის ამბავს ჰყვებოდა.

— მერე? განაგრძე...

— მერე... თქვენო ბრწყინვალებავ, მისმა კეთილშობილებამ, პოლკოვნიკმა პიერიმ მაიორ კომარსკის უბრძანა, ყაბარდოს ეგერთა ბატალიონით აულისათვის მარცხენა მხრიდან სწორედ ტყისპირის გაყოლებით დაევლო თავი, მარჯვნით კი გაეგზავნა ტომსკელ გრენადერთა ქვეითი პოლკის ერთი ასეული და თერგის ჯარის კაზაკთა ერთი ასეული. თვითონ კი ასტრახანის ქვეითი პოლკითურთ გადაწყვიტა ადგილზე დარჩენა და აულის მისადგომის ამ მხრიდან დაცვა. მეც იქ ვიყავი...

პოლკოვნიკმა ტომარიმ ისევ გახედა ჭოგრიტით ჩეჩნებს, რომელთაც უკვე გამოევლოთ მდინარის მესამედი. მართალია, ფონის გასწვრივ წყალი ღრმა არ ჩანდა, მხოლოდ მუსლამდე სწვდებოდა იმათ, რომელთაც საკაცე მოჰქონდათ, კვარიან ყმაწვილს კი ტალღა მუხლს ზემოთ სცემდა. წყალი ისეთი ჩქარი იყო, რომ დაბიჯებისთანავე ტერფქვეშ აცლიდა საკმაოდ მსხვილ ქვიშას და გლუვ, ბრტყელ ქვებსაც. მაგრამ ისინი, რომელთაც საკაცე ასე ფრთხილად მოჰქონდათ, ამ საქმეში გამოცდილები იყვნენ და ერთხელაც არ წაბორძიკებულან. შეჩერებით კი დროდადრო ჩერდებოდნენ. ეტყობოდა, სანამ ტერფს კარგად არ მოიმაგრებდნენ ფსკერზე, მანამდე ნაბიჯს წინ არა დგამდნენ. და თითქოს ინსტინქტი უკარნახებსო, ფეხის ეს მომაგრება და ნაბიჯის გადადგმა

ისე შეხმატკბილებულად ხდებოდა იმ ორთა შორის, თითქოს ერთი კაცი მიაბიჯებსო.

გადარჩენილი ჯარისკაცი სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა. პოლკოვნიკი თან ჭოგრით ათვალიერებდა უკვე ნაპირთან მოახლოებულებს, თან უსმენდა.

— ერთი საათის შემდეგ პოლკოვნიკ პიერს მოახსენეს, რომ აულის მთელი მოსახლეობა უკვე გახიზნულა, მანსურსაც მოუსწრია გაქცევაო.

ამის გაგონება და პოლკოვნიკის ცხენზე გაშეშება ერთი იყო. გაფითრებულს თვალები დაეხუჭა. ამ წუთში დასანახავად ეჯავრებოდა ყველა და თვითონაც სირცხვილით იწვოდა, ასეთი მარცხის შემდეგ რა პირით უნდა სჩვენებოდა პოტიომკინს. ასეთ შემთხვევებში პოლკოვნიკი, სამწუხაროდ, მთლიანად ჰკარგავდა წონასწორობას და ანგარიშმიუცემლად ისეთ რამეს ჩაიდენდა ხოლმე, რომ გამოსწორებაც არასგზით აღარ შეიძლებოდა.

პოლკოვნიკმა ადიუტანტი ბაგრატიონი იხმო და ბრძანა:

— ჩემი სახელით გადაეცით მაიორ კომარსკის, გადაწვას მთელი აული!

ბაგრატიონმა ბრძანება კი მყის გაიმეორა, მაგრამ ცხენი ადგილიდან მაინც არ დაუძრავს. ბრძანებისთანავე პოლკოვნიკმა კვლავ დახუჭა თვალი და, ცოტა არ იყოს, განცვიფრებულმა — აქამდე ცხენის ფლოქვების ხმა რომ არ მოესმა — კვლავ გაახილა. გაახილა და იქვე უძრავად მდგომი ადიუტანტი რომ დაინახა, კინაღამ ჭკუა დაკარგა. ბაგრატიონმა

იგრძნო, რომ ისედაც შმაგი სასიათის პიერთან ასლა ვერავითარი მუდარა და თხოვნა ვერ გასჭრიდა — შეემსუბუქებინა თავისი სასტიკი და შეუფერებელი ბრძანება, დაკმაყოფილებულიყო მარტო მანსურის სახლ-კარის გადაწვით, აულის მცხოვრებთათვის კი საშუალება მიეცა შინ მშვიდობიანად დაბრუნებულიყვნენ, ადიუტანტმა ერთხელ კიდევ მიიდო ხელი საფეთქელთან და გაქუსლა. ბაგრატიონის ცხენის ფლოქვით ანატყორცნი ბღუჯა მიწა, რაღაც ეშმაკად, ზედ მკერდზე მოხვდა პოლკოვნიკს, რომელსაც აქ, კავკასიის მთებში, თავი უკვე ალექსანდრე მაკედონელად წარმოედგინა.

ამ შემთხვევამ პიერს საბაბი მისცა, შინ დაბრუნებისთანავე ადიუტანტი ბაგრატიონი სამაგალითოდ დაესაჯა, თავისი ჯავრი მასზე ეყარა. საბაბად ისიც კმაროდა, რომ ბრძანების მიღებისთანავე ბაგრატიონმა არ გაქუსლა.

ადიუტანტ პეტრე ბაგრატიონის აზრით პოლკოვნიკ პიერის პირველი შეცდომა ის იყო, რომ არ დაელოდა მაშველ ძალას, როგორც ეს მითითებული იყო, ისე გაეშურა აულისაკენ. მეორე შეცდომა იყო თავის ნაადრევად გამჟღავნება ტყიდან ერთბაშად გასვლით, რითაც მანსურს აულიდან გასწრების საშუალება მისცა. მესამე შეცდომა კი ის იყო, რომ პიერმა ბრძანა ოთხასკომლიანი აულის მთლიანად გადაწვა. რომ ეს უკანასკნელი საბედისწერო ნაბიჯი არა, მხედრობა შეიძლება უვნებლად დაბრუნებულიყო უკან და მანსური სხვა დროს შეეპყროთ. მაგრამ

აულის გადაწვამ ისე გააბოროტა უსახლკაროდ და უსარჩოსაბადებლოდ დარჩენილი ჩეჩნები, რომ მათ აღარაფერზე არ შეეძლოთ ფიქრი, გარდა შურისძიებისა.

საკაციანი ჩეჩნები მდინარის ნაპირს მოადგნენ. აქ წამით შეისვენეს. რაღაც წაითათბირ-წაიჩურჩულეს და ისევ დაიძრნენ. ამ უკიდეგანო წყვდიადში მარტო ეს სამი ადამიანი ჩანდა და გეგონებოდათ, ქვეყნიერება მარტო ამ სამი ადამიანისაგან შედგებოდა. ჩეჩნებმა გეზი ისე სწორედ აიღეს პოლკოვნიკ ტომარის ადგილსამყოფელისაკენ, გაგიკვირდებოდათ ამ უკუნ ღამეში როგორ უნდა შეემჩნიათ, სად იჯდა მეთაური.

გადარჩენილი ჯარისკაცი კი განაგრძობდა:

— პირველად მანსურის სახლ-კარს წაუკიდეს ცეცხლი. მერე მთელი აული აბოლდა. კვამლმა დაფარა მოპირდაპირე მთაც და ცაც... მერე ალმა იძალა და კვამლი გაიფანტა... ახლა ცეცხლის ალი სწვდებოდა ცას. ასეთი ხანძარი იშვიათად მინახავს... ცხელი ჰაერის ტალღა ჩვენამდის აღწევდა... მალე უკან გამოვეშურეთ... ერთ საათში მთელი მხედრობა ტყეში მიიმალა. სასიამოვნოდ გრილოდა. თან ეს ვეებერთელა ტყე ისეთ დუმილს მოეცვა, გაგიკვირდებოდათ. ტყეში გზის ნახევარიც არ გვექნებოდა გავლილი, როცა ერთბაშად ატყდა სროლა. ისროდნენ ყოველი მხრიდან, ზემოდანაც კი... დენთის სუნსა და კვამლში უკვე სუნთქვაც ჭირდა. ეს გარინდებული

ტყე ერთბაშად ჯოჯოხეთურად ახმიანდა... ერთსა და იმავე დროს ალბათ ასგან და უფრო მეტგანაც იელვებდა თოფის ალი და ტყვიასთან ერთად გვაცვიოდა დაკუწული ფოთოლი და ხის ქერქის ნაგლეჯები...

მაიორმა კომარსკიმ ურჩია პიერს იქვე ახლოს, ტაფობში გასულიყვნენ, სუნჯის გაღმა კი შიკრიკი ეფრინათ. პოლკოვნიკ პიერს კარგად არც კი უგდია ყური კომარსკისათვის. ის დარწმუნებული იყო, მხედრობითურთ მალე გააღწევდა ტყიდან; მაგრამ სწორედ ამ დროს, სადღაც მაღლა, ხეზე გასული და ფოთლებში კარგად შენიღბული ჩეჩნის ტყვიამ სასიკვდილოდ დაჭრა პოლკოვნიკი პიერი. ის გულაღმა გადაწვა ცხენის გავაზე. პიერის ცხენის გარშემო მჭიდროდ შეჯგუფულმა ქვეითებმა იგი ცხენიდან ჩამოვიღეთ, მაგრამ აღარ ვიცოდით, სად წაგვეღო, ერთ წუთს გაშეშებულნი და დაბნეულნი ვიდექით, სანამ უნტერ-ოფიცერმა ბაგრატიონმა არ მიგვახვედრა, ბილიკის გადაღმა, სადმე ხის ძირას დაგვესვენებინა მოკლული მხედართუფროსი. ერთი ჯარისკაცი იქ დარჩა. დანარჩენებმა ბრძოლა განვაგრძეთ. უხილავ მტრებთან ბრძოლით გართულებმა კიდევ გავიარეთ ორასიოდე ნაბიჯი; თანაც ყოველ ნაბიჯზე ვკარგავდით თითო-ორ-ორ ჯარისკაცს. ტყე, ალბათ, დახოცილებით და დაჭრილებით აივსო. ატყდა თუ არა სროლა, ბრძანების უმალ ბილიკის ახლომახლო მივიფანტ-მოვიფანტენით. ხეებს ვეფარებოდით, ბუჩქებსა და ჯაგნარში მივძვრებოდით.

ვინღა დაეძებდა ტანსაცმლის შემოხევასა და დაკაწვრა-დასისხლიანებას, ოღონდ უხილავი მტრის ტყვიისაგან დაგვეღწია თავი. ხმა გავრცელდა თუ არა, მაიორი კომარსკიც მძიმედ დაჭრესო, ჯარი სულ ერთიანად აირია... ბრძოლასა და წინააღმდეგობაზე უკვე აღარავინ ფიქრობდა. უმეთაუროდ დარჩენილი ხალხი პანიკამ შეიპყრო. გადაბუგული ალდის მცხოვრებლებს სხვა აულებიდანაც რომ არ მიშველებოდნენ, იმოდენა მსხვერპლი მაინც არ მოგვივიდოდა... ჩემ თვალწინ გაულიტა მტერმა ასტრახანის პოლკის ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი. მათ შორის იყო პეტრე ბაგრატიონიც. ის რა ხანია ჯარისკაცებთან ერთად ქვეითად იბრძოდა. ცხენი მაშინვე მიატოვა, რაწამს პოლკოვნიკი პიერი მოკლეს. ჯარისკაცები იმანაც შეაშინა და დააფრთხო კიდეც, რომ მტერს ვერ ხედავდნენ. გვებრძოდა უღრანი ტყე; ყოველი ხე და ბუჩქი ჩვენთვის საბედისწერო და საიდუმლო შურისმაძიებლად იქცა. ტყეში გაისმოდა განუწყვეტელი სროლის ხმა და ცხენის ჭიხვინისებური ყიჟინა უხილავი მტრისა. ასეთი ბრძოლა მე არ მახსოვს, თუმცა ოციოდე შეტაკებაში მიმიღია მონაწილეობა. დიდძალი ხალხი დაგვიხოცეს... ტყვედაც ბევრი ჩაუვარდებოდათ ხელში ჩეჩნებს... შუაგულ ტყეში გამომწყვდეული სად გაექცეოდი. ასტრახანის პოლკიდან ჩემთან ერთად ოციოდე კაცმა დააღწია თავი იმ ჯოჯოხეთს, ტყიდან გასულები უმალ მდინარეში გადავცვივდით... დაჭრილთაგან ალბათ ბევრი დაიხრჩო. წყალი ჩქარია, მთის მდინარის ტალღები ნა-

ფოტივით მიაქანებს ადამიანს... ცხონებული პოლკოვნიკის — ნიკოლოზ იურის ძე პიერის — განკარგულებით რომ აული პირწმინდად არ გადაგვეწვა, ეს არ მოხდებოდა... ბუნტის თავი, მართალია, ვერ შევიპყარით, მაგრამ ხალხი რა შუაში იყო, ხალხის ავლადიდებისათვის ხელი არ უნდა გვეხლო. მეთაური მეთაურია, ხალხს კი მშვიდობა უფრო მეტად უყვარს, ვიდრე მეთაური.

საკაცეზე მწოლიარე დაჭრილითურთ მდინარეში გამოსული ჩეჩნები პოლკოვნიკ ტომარისავან ფერდობზე ოციოდე ნაბიჯზე შეჩერდნენ. ყმაწვილი ჩეჩენის კვარის შუქზე მოჩვენებებივით ჩანდნენ გარს შემოსეული ჯარისკაცები. საკაცე ფრთხილად დადეს მიწაზე.

— პოლკოვნიკი პიერია? — შორიდანვე იკითხა ტომარიმ.

— აზ ვაც[1]. — მიუგო ხნიერმა, მაღალმა ჩეჩენმა.

— მაიორი კომარსკი...

— აზ ვაც.

პოლკოვნიკი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც საკაცე იდო. საკაციდან ორ ნაბიჯზე კი სამი ჩეჩენი იდგა. დაიხარა, საკაცეზე მწოლიარეს მკერდსა და სახეზე დაფენილი თივის ბულული გადააცალა. ყმაწვილმა ჩეჩენმა საკაცეს კვარი უფრო ახლო დაანათა.

---

1 არა.

— უნტერ-ოფიცერი პეტრე ბაგრატიონი! — ხმადაბლა წამოიძახა ტომარიმ. ის გააოცა იმ ამბავმა, რომ ჩეჩნებს თავი გაუმეტებიათ არა რომელიმე დიდი ჩინის გულისათვის და ასევე გაასარა იმან, რომ საკაცით ჩამოყვანილი დაჭრილი პეტრე ბაგრატიონი აღმოჩნდა. თუმცა მძიმედ დაჭრილს სახე საოცრად გაფითრებოდა, იერი შეცვლოდა, მაგრამ მაინც ადვილი საცნობი იყო კეხიანი ცხვირისა და ბაგრატიონთათვის დამახასიათებელი შავი, ზომაზე მეტად გრძელი წარბების წყალობით. ჯარისკაცებმა შეიტყვეს თუ არა, რომ ბაგრატიონი ცოცხალია, აღალის მცველ ასეულში ეს ხმა სწრაფად დაირხა და ახლოს თუ შორს მარტო „ბაგრატიონი“ ისმოდა.

როდესაც ტყეში სროლის ხმა მიწყდა, ჩეჩნები დაესივნენ დაჭრილ-დახოცილებს და ვისაც როგორ სურდა, ისე იჯერა გული. გამკითხავი არავინ იყო. ერთგან დახოცილების დიდ გროვას რომ წააწყდნენ, მკვდრებიც, ცოცხალმკვდრებიც დაჩხრიკეს და აქეთ-იქით მიყარ-მოყარეს, მათ შორის უეცრად მოჰკრეს თვალი ნაცნობ სახეს... ზოგი ჩეჩენი პეტრე ბაგრატიონს ყიზლარიდან ბავშვობაშივე იცნობდა, ზოგს ბრძოლაში შეხვედროდა და სამუდამოდ ჩარჩენოდა მეხსიერებაში მისი იერი. ჭაბუკი პეტრეს ვაჟკაცობითა და სამართლიანობით მოხიბლულმა ჩეჩნებმა გადაწყვიტეს, ამ საბედისწერო შეხვედრის ჟამს სამაგიერო მიეზღოთ მისთვის. და თუ სხვებს— დაჭრილებსაც, დახოცილებსაც შურისძიების წყურვილით გაავებულნი განურჩევლად ფატრავდნენ ხან-

ჯლით, პიერის ადიუტანტი, უნტერ-ოფიცერი პეტრე ბაგრატიონი, იქვე სახელდახელოდ გაკეთებულ საკაცეზე დააწვინეს, აქიმს მიჰგვარეს, უწამლეს, ჭრილობები შეუხვიეს და მძიმედ დაჭრილის რუსთა ბანაკში ჩაყვანა გადაწყვიტეს. ასეთი იყო როგორც უხუცესთა, ისე ჭაბუკ ჩეჩენთა ნება-სურვილი.

წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე, ტყვეთა გამოსყიდვის თაობაზე, რუსთა ბანაკში გამოჩენას იმ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ რა მოჰყვებოდა, არავინ იცოდა. ჩეჩნები მოსალოდნელ ხიფათში თავის ჩაგდებასაც არ შეუშინდნენ ვაჟკაცის გულისათვის...

დაჭრილი ბაგრატიონი საკაცეზე ოდნავ შეირხა. აქამდე პოლკოვნიკი ტომარი ისე დასცქეროდა უძრავად მწოლიარე დაჭრილს, თითქოს ეეჭვებოდა, რომ ცოცხალი იყო. ახლა კი შვებით მოითქვა სული, წელში გასწორდა და ჩეჩნებს გადახედა. გონს მოსულ ბაგრატიონს ის კი გაახსენდა, პოლკოვნიკ პიერის გვერდით აულისაკენ ცხენით მიმავალმა, გზად თივის ზვინს ერთი ბღუჯა ხმელი ბალახი რომ გამოჰგლიჯა და მისი მძაფრი სურნელი იყნოსა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, სად იმყოფებოდა და რატომ სცემდა ბალახის სუნი...

ჩეჩნებმა თავი დაბლა დაუკრეს რუსთა პოლკოვნიკს და წავიდნენ. იმ ორ მამაკაცს ადევნებული ჩირაღდნიანი ყმაწვილი წამდაუწუმ უკან იცქირებოდა.

პოლკოვნიკმა ტომარიმ ადიუტანტს რაღაც გადაულაპარაკა. ადიუტანტი უმალ ჩეჩნებს გამოუდგა, დაეწია, შეაჩერა ისინი და მათს ენაზე უთხრა:

— დუელხეაჰ, ბაგრათიონა ჰოყიეჰ შუორთ ახჩა ლურ დარა ცაა რა, იეშუშ დააცარა შუნ![1]

მაღალმა, ბეჭებში მოხრილმა ჩეჩენმა თავი ამაყად ასწია, ჯერ თავისიანებს გადახედა, მერე პოლკოვნიკის ადიუტანტს და ღიმილით თქვა:

— ყუონახჩუო ყუონახ ვუოხქურგ ვააც![2]

კიდევ ერთწამს უხერხულ დუმილში იდგნენ ისინი პირისპირ. მერე ჩეჩნებმა გზა განაგრძეს. ყმაწვილი, ჩირაღდნიანი ჩეჩენი კი, ისევ უკან იცქირებოდა წამდაუწუმ. ბოლოს მხარში ამოუდგა ბეჭებში მოხრილ, მაღალ ჩეჩენს და აცახცახებულმა საკმაოდ ხმამაღლა წამოიძახა:

— უერსიშა ბილგგად ხიისურმუ თუეფაშ, ხიჩუ მა ბეალ ჩა![3]

მაღალი ჩეჩენი ხმას არ იღებდა. ყურადღებას არ აქცევდა უმცროსის დაჟინებულ წამოძახილებს.

— ხიისურმუ თუგფაშ ცაარა, ხიჩუ მა ბეალჩა, ხიისურბუ... ცა თიეშიი შუნ, მურცალ, სავარბექ?[4]

---

[1] რომ მიდიხართ, გამოსასყიდი არ გინდათ? ბაგრატიონისათვის კარგ ფულს მიიღებთ.

[2] ვაჟკაცი ვაჟკაცით არ ვაჭრობს!

[3] რუსები უსათუოდ გვესვრიან, შევალთ წყალში თუ არა, გვესვრიან!

[4] გვესვრიან, წყალში შევალთ თუ არა, გვესვრიან! მურცალ, სავარბექ, არა გჯერათ?

წყალში რომ შევიდნენ, მაღალმა, მოკლედ წვერ-შეკრეჭილმა ჩეჩენმა უმცროსს კვარი გამოართვა, ბეჭებზე ხელი მოხვია, გვერდში ისე ამოიყენა, რომ მთლიანად ფარავდა მას. დიდხანს მიაბიჯებდნენ ხელიხელგადახვეულნი ჩქარ წყალში. თითქო ახლა ხელცარიელებს უფრო უჭირდათ გასვლა, ვიდრე წეღან, მძიმე ტვირთით რომ ეშურებოდნენ.

მდინარეში გალმა ნაპირამდე ერთი მესამედი კიდევ ჰქონდათ გასავლელი, რომ მაღალი ჩეჩენი უცებ შეჩერდა, რუსების ბანაკისაკენ შებრუნდა და აბრიალებული კვარი ღონივრად მოიქნია. ცეცხლის ალმა გადასერა ღამეული სივრცე და საკმაოდ შორს, მდინარის ზედაპირზე დაცემის უმალ ჩაქრა.

ყველაფერი ისევ ბნელში გაუჩინარდა.

ყარიბი მგოსანი

Всегда загадочны утраты.
Б. Пастернак

ათას რვაას ორმოცდახუთი წლის ჩვიდმეტი ივნისი მელიტონ ბარათაშვილის ოჯახისათვის იდუმალი ზეიმის დღე იყო: ტატოს თელავს გამწესება ყველას გაუხარდა, მაგრამ ამ გრძნობის ლაღად გამოხატვას მაინც ვერავინ ბედავდა. — ეფიქრებოდათ, სიხარულის ნაადრევ გამჟღავნებას რამე არ ევნო აქამდე ბედისაგან მოძულებული მაგიდის უფროსის წარმატებისათვის.

საკვირველი ის იყო, რომ ტატოც დუმდა, მაგრამ ვერ ისვენებდა. დილიდანვე დაწრიალებდა ოთახებში და თითქოს ემშვიდობებაო, ისე აკვირდებოდა ყველაფერს, რაც მისთვის ძნელად დასათმობი და მოგონებათა აღმძვრელი იყო. ერთი ნივთი აგონებდა მეორეს, რომელიც უკვე აღარ არსებობდა... მელიტონის გადაჭარბებულმა ხელგაშლილობამ, გა-

მუდმებულმა ღხინმა ადრევე შთანთქა ოჯახის დოვლათი, ხოლო მას მერე, რაც მელიტონი თავად-აზნაურთა მარშლობიდან გადააყენეს, გაჭირვებამ უწყალოდ მოითარეშა ერთ დროს ყოველი სიკეთით სავსე ოჯახი. ტატომ დღეს, წასვლის წინ, უფრო უკეთ იგრძნო ოჯახის დაცემა; რაც აქამდე შეუმჩნეველი დარჩენოდა, ახლა ყველაფერი მეტი სიცხადით გადაეშალა თვალწინ და... ხელი უნუგეშოდ ჩაიქნია. ტატოს აქამდე არ მიუქცევია ყურადღება არც ამ ოთახებისათვის და არც ავეჯისათვის; ახლა კი ყველაფერს გულმოდგინედ, მუშტრის თვალით აკვირდებოდა და შიში, სიბრალული იპყრობდა. ამ სახლში ყველაფერს საგანგებოდ დაჰკარგვოდა ძველებური ელვარება, მიმზიდველობა; სიღარიბესა და გაჭირვებაზე ღაღადებდა ჩამოხუნებული კედლები, ძველად ნაკიდ ხალსა თუ სურათების ადგილას რომ შერჩენოდა ადრინდელი ფერი, საღებავგადაცლილი იატაკი, ფიცრებს შუა ვიწრო ღარებში რომ ჩარჩენილიყო ქართული აგურისფერი საღებავის სქელი ფენა. ოქროთი მოვარაყებულ ხისნაწილებიან სავარძლებსაც თითქო ქეცი შეჰყრიათო, ისე გამოიყურებოდა საზურგზე და სახელურებზე ბუსუსგადაცლილი და გაჭუჭყიანებული, ოდესღაც ლომისფერი ხავერდი. ვეღარ აიტანა ტატომ აგრერიგად ნირშეცვლილ დარბაზში მარტო ყოფნა, სადაც ახლა არათუ ფეხის ხმა, ნელი ჩურჩულიც საკვირველი ხმიანობით გაისმოდა, ყოველი კუნჭული ბანს იძლეოდა, უხილავი მტერივით შეჰსისინებდა... ტატოს ახლა შინაურთაგან

მარტო მელიტონი გაახსენა ამ სავალალო სანახაობამ, თითქოს მისგან ელოდა პასუხს. სხვა დროს მამის გახსენებას ტატოსათვის არ ჩაუნერგავს ნუგეში და მხნეობა, მით უმეტეს, არ უგრძვნია მისდამი სიბრალული, მაგრამ ახლა თვითონვე ეოცა ჭაბუკს, მელიტონის გახსენებამ რომ გული აუჩუყა. უმალ მას მიაშურა... ორჯერ ფრთხილად შეაღო მელიტონის ოთახის კარი, მაგრამ ორჯერვე ელდანაცემივით უკან დაიხია და იქაურობას გაშორდა. მელიტონი შუბლშეკრული იწვა. ხელები თავქვეშ შემოეწყო და ღია ფანჯრიდან დეკანოზის სახლს გასცქეროდა. თავად-აზნაურთა ყოფილი მარშალი, რომელსაც წამდაუწუმ ელანდებოდა ნეიდჰარტის სახე, დღედაღამ იმის სინანულში იყო, რომ ამ ქვებუდანი მთავარმართებლის ჯავრი ვერ იყარა... ნეიდჰარტმა გამოასალმა მელიტონი ყოველ სიკეთეს, რაც ადრე ერთგული სამსახურით მოიპოვა. მან დასცა დამბლა თავისი ულმობელი უარით, მელიტონის ყოველ უმორჩილეს, დამსახურებისა და ღირსების შემლახველ თხოვნაზე რომ აწერდა. რა მცირე და დამამცირებელი იყო ახლა მელიტონის თვალში ის მოწყალება, მისი ვაჟისათვის ძლივძლივობით რომ გამოიმეტეს!.. რა ძუნწი და ულმობელია მლიქვნელობით განდიდებული კაცუნა! თუ მაინც ამ ნამცეცა მოწყალების მიღებას თავად-აზნაურთა ყოფილი მარშალი ტატოს არ უშლიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ გულის სიღრმეში უთუოდ ჯერ კიდევ ოცნებობდა ძველი დიდების აღდგენაზე და... შურისგებაზე.

ტატომ დედის უჩუმრად ჩაიარა კიბე, სადარბაზო შესასვლელის ზღურბლზე ანაზდად შედგა... ზარბაზნის ხმამ ქალაქს ყრუ გრგვინვით გადაუარა... ორიოდე წამის შემდეგ შტაბის საათის გაბმული ჟღარუნიც მოისმა... ტატოს გაეღიმა მერე, უცებ შუბლი შეიკრა. ადრე, ბავშვობაში ის მუდამ მოუთმენლად ელოდა შუადღის მაუწყებელ ცერემონიას, მაგრამ ახლა როგორღაც ავად ენიშნა ზარბაზნის ხმაც და საათის დუნე ჟღარუნიც... ისეთი უკიდეგანო ეჭვით იყო შეპყრობილი ბედისაგან ათვალწუნებული ჭაბუკი, რომ ყველა ბგერაში, ყოველ ფერში, ყოველ საგანში ლამობდა აღმოეჩინა თავისი სურვილებისა და მიზნების განხორციელების დამაბრკოლებელი რამ მიზეზი. გულჩათხრობილმა ის იყო დააპირა ქუჩაში გასვლა, მაგრამ ხმაურზე უკანვე შემობრუნდა... ნახშირიანი ტომრებით დატვირთული სახედრების ჯოგს ისე გაეჭედა ვიწრო ქუჩა, მგზავრს აღარ გაევლებოდა. როცა სახედრებმა შავი მტვრით თავპირგამურულ პატრონთან და ორიოდე მოხელესთან ერთად მელიტონის სახლის წინ ჩაიარეს, ტატომ მალვით თვალი გააყოლა უბადრუკ ქარავანს და გაიფიქრა: „რა დროა! ნასწავლი ჭაბუკები ვირებს გზას უთმობენ და... ხახვის ფრანტებს კუდში მისჩანჩალებენ... მახლას!..“ ტატო გავიდა თუ არა ქუჩაში, ჩალის ქუდით მზისგან სახე მოიჩრდილა და მოკლე ნაბიჯი მარჯვედ, მაგრამ ოდნავ შესამჩნევი კოჭლობით გადადგა. რამდენიმე წუთს ამაყად ეჭირა თავი. მერე შეუმჩნევლად ფიქრმა გაიტაცა, ამაყად მზი-

რალმა თავი დახარა, მიწას დააშტერდა, კოჭლობა ახლა უფრო შეეტყო. მიდიოდა პირდაპირ, შუა ქუჩაში; გზას არავის უთმობდა, გვერდს არავინ უქცევდა, არც არაფერი ესმოდა, ვერც ვერავის ამჩნევდა სხვა დროს ესოდენ მკვირცხლი, ცნობისმოყვარე და გამკილავი... გამვლელ-გამომვლელთა ყაყანი, დავა, სიცილი, მაჩაბლის სიმღერები, ვერცხლის ფულივით გავრცელებული საათნავას ლექსები, ერთნაირის გატაცებით რომ მღეროდნენ ქალაქელები ლხინშიაც, ჭირშიაც, ბანზედაც, ქუჩაშიაც, ბაღებშიაც, მოგებულნიც, წაგებულნიც... ტუჩაბზეკილი აქლემების ეუვანთ წკარუნი, ქუჩაში გუნდ-გუნდად მოხეტიალე ბიჭების ურიამული ფიქრებით გართულ ტატოს ისე ჩაესმოდა, როგორც შორეული და თანაც აბეზარი რამ ხმები. ზარბიხანასთან ის უცებ შეაკრთო მინარეთის აივნიდან მოლას თავგამეტებულმა, ერთფეროვანმა მოძახილმა. ტატომ ირგვლივ მიმოიხედა, გაუკვირდა: რარიგ გატაცებული უნდა ყოფილიყო ხვალინდელ მგზავრობასა და თელავს მოწყობაზე ფიქრით, რომ ქუჩაში მიმავალს არავისზე და არაფერზე თავისი ყურადღება არ შეუჩერებია... მთვარეულსავით გაუვლია ზაქიჭამიას ყოფილ სასახლესთან (რომელიც საგანგებოდ დაამახინჯა მეორე სართულის დაშენებით ვიღაც სალამბეგოვმა, თბილისელმა მოქალაქემ), არც ურჯულო როსტომის სასახლის ნანგრევები შეუნიშნავს; რკინეულობის რიგს, სალაყბოს, ნათლისმცემლის ეკლესიას თუ სასახლის აბანოსაც არ მიუქცევია მისი ყურადღება... მაუდის

რიგიც, ხარაზხანაც, სიონიც, მელიქისა და ყოფილი სამეფო ქარვასლაც გამოჰპარვია მხედველობიდან... მინარეთის აივნიდან კვლავ მოისმოდა გლოვის ზარივით სევდის ამშლელი მოძახილი მოლასი. ტატოს ახლა ფიქრის აშლა აღარ ეჭირვებოდა; თითქოს უსიამოვნო ბგერებს იგერიებსო, გაშლილი მკლავი უცაბედად ჰაერში აიქნია, ხელისგული ცალ ყურზე მიიდო და მინარეთს მწყრალად გახედა. „ნეტავი რა მიზიდავდა ორთაჭალისაკენ? — გაოცებით ჩაეკითხა თავის თავს. — რომელი დარდიმანდი და ამ ცხოვრებაში მოგებული გახლავართ, რომ ორთაჭალის ბაღებში შუბლი გავიგრილო, გული მოვალხინო!..“ მყის ზურგი შეაქცია მინარეთს, ზარბიხანას; ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა რკინეულობის რიგს, ლილახანას და ოქრომჭედლების მინიატურული დუქნების გრძელ წყებას მიაშურა. აქედან დიღმის კარით გარეთუბნამდე გზას უფრო ხოკლედ მოსჭრიდა.

ზოლებიანი, უხეში ტილოს საჩრდილობელი ზოგი დუქნის წინ ჯერ ისევ აკეცილი იყო. ამ მინიატურული დუქნების ვიტრინებში გამოფენილი და გამოკიდული სამკაულები: ლალი, ზურმუხტი, იაგუნდი, წახნაგებიანი ალმასი, ვერცხლის ძეწკვიანი, პირმოჭედილი ყანწები, თეთრი და შავი ძვლისბალთებიანი ტყავის ქამრები, ქილები, ხანჯლები, აზარფეშები, ჯვრები — პაწაწინა, ოქროსი და ხუთგოჯიანი, რელიეფური ჯვარცმით — ვერცხლისა, ტატომ გულმოდგინედ ჩაათვალიერა... მზის სხივებზე მოკამკამე ერთი დიდი საყურე თვალში ეცა. ძვირფასმა სამკა-

ულმა უნებლიეთ შეაჩერა, მიიზიდა მგოსანი. მისი შუქის ერთი სხივი სულის სიღრმეში ჩასწვდა და მიყუჩებული გრძნობები აეშალა... მოხიბლულმა ჭაბუკმა იდუმალი სიხარულით გაიფიქრა — „კატინკას საყურესა ჰგავს, სწორედ ისეთია, მაგრამ... სად ვიტრინაში მავთულზე დაკიდული და სად კატინკას ყურის ბიბილოზე გრძნების ამრევად მოელვარე, თავის აჩრდილთან მოთამაშე!..“

საყურის ჭვრეტით გატაცებულ ტატოს შემპარავი, ალერსიანი ხმა ჩაესმა: — ჩემმა მზემ... ეგ საყურე კარგი საჩუქარი იქნება!..

ოქროსავით სანდო, სუფთა და კეთილშობილი ხელოსანი მინიატურული დუქნის კარის ზღურბლზე მომდგარიყო და მუშტრის წაქეზებას ლამობდა. ტატომ ხელოსნისაკენ გააპარა მზერა, მაგრამ თვალებში არ შეუხედავს, მის თითებს დააკვირდა — გამხდარს, უცნაურად წაგრძელებულს და წმინდა სანთელივით გამჭვირვალეს. ფაქიზი თითების სწრაფი მოძრაობით ხელოსანი ტყავის ნაჭერში გახვეულ ოქროს ბეჭედს ფერავდა. ტატომ კვლავ საყურეს გადახედა ალმაცერად, თითქოს ეალერსებაო, მოწიწებით გაუღიმა და ღიმილში შერხეულ ბაგით უნებლიეთ დასცდა ქებაც, სინანულიც...

„მომწონს... კარგი ოსტატის ხელი ატყვია, — კვლავ ოსტატის სწრაფად მოძრავ თითებს დააკვირდა, — მაგრამ... არა მჭირდება...“

ბოლო სიტყვები ისე წარმოთქვა ტატომ, რომ შეუძლებელი იყო .მისი მთქმელი არ შეგბრალებო-

დათ... ხელოსანი კი მუშტარს ეძებდა და არა სიბრალულს. თუმც გულით სურდა, მაგრამ განშორებისას არც ხელოსნისათვის, აღარც საყურესათვის ტატოს არ შეუხედავს, თავდახრილი, გაწბილებული გაშორდა ხელოსნის დუქანს. გზადაგზა მინიატურული დუქნების ვიტრინებიდან გამაღიზიანებლად გამოკრთოდა ოქროს სამკაულებისა და ძვირფასი ქვების ფერად-ფერადი შუქი. ძალაუნებურად თავისკენ ახედებდნენ ჭაბუკს. ეს უხვად გამომზეურებული ძვირფასი სამკაულები აღიზიანებდნენ, შესცინოდნენ, და თითქოს დასცინოდნენ კიდეც, რაკი მათზე ხელი ვერ მიუწვდებოდა ტატოს.

„ეს ტატოა?!“

ნაცნობი ხმით წარმოთქმულმა სახელმა უკან მიახედა. ოთხიოდე ნაბიჯზე, დუქნის წინ, დაბალი სკამის ნაპირზე ჩამომჯდარი ნაცნობი ჭონი შენიშნა. ჭონი ღიმილით იცქირებოდა ტატოსაკენ და თანაც გაწაფულ ხელს დროდადრო დინჯად შლიდა ჰაერში, მუხლზე გადაჭიმული ტყავის ნაპირს ძაფით უხვევდა. მისი ხელის მოძრაობა — თავისუფალი, ბეჯითი და თავისებურად გრაციული — უსიტყვოდ მოგითხრობდათ იმაზე, რასაც ხელოსანი ასე გატაცებით ასრულებდა.

„მოიხედე!“—შესძახა ჭონს ტატომ და უმალ მასთან გაჩნდა. ამ კაცს ასეთი უცნაური სახელი ერქვა. როცა რიგის ბოლოდან ნაცნობი ხელოსნები დაუძახებდნენ, მასთან ერთად გამვლელ-გამომვლელი, ვისაც ეს სახელი ჩაესმოდა, ყველა უკან იხედებოდა.

ჭონმა იდაყვს ზემოთ აკაპიწებული, დათვის ტყავივით ხშირი ბალნით დაფარული ხელი ტატოს დინჯად გაუწოდა, დუნედ ჩამოართვა. ოთხიოდე თვის წინ ჭონების უბანში გაჩენილ ცეცხლს მოიხედეს დუქანი თავის ავლადიდებით ნაცრად უქცევია. შშრალზე დარჩენილ ჭონს ორიოდე თვე უსაქმოდ უვლია, მერე ცოლისძმას თავის დუქანში პატარა კუთხე მიუჩენია მისთვის და ხელმომართული ხელოსანი მალე წელშიაც გამართულა.

„სადაურსა სად წაიყვანო, სწორედ ჩემზე უთქვამთ, ტატოჯან!“ — სიცილით თქვა მოიხედემ და თავის მეზობლებზე თვალით ანიშნა ჭაბუკს.

„მეც იმიტომ ვერ შეგნიშნე... ჭონი, ოქრომჭედლებში?!“

„ჩემმა მზემ, ეს გლახები ისე დავამშვენე რო...“— თავმომწონედ დასძინა ჭონმა და ორივე ხელი ოქრომჭედლების რიგის მარცხნივ და მარჯვნივ ერთბაშად გაშალა; მერე მსუქანი თათი მსუქან, მუხუდოსოდენა მეჭეჭიან ლოყაზე რბილად შემოირტყა და ეს მედიდური ჟესტი რომ უფრო მიმზიდველი გამოსულიყო, ბოლოებით დაბლა დახრილ ფართო ულვაშზე სალოკი და შუა თითი თავმომწონედ ჩამოისვა.

ტატო მისი ხელის მოძრაობას გატაცებით ადევნებდა თვალს. ჭონის სალოკ თითზე ბეჭედივით წამოცმული უქუდო სათითე ხელის ყოველ გაქნევაზე მზეში თვალისმომჭრელად ბზინავდა.

როცა მოიხედემ ტყავის ნაპირის ამოხვევა ჩაათავა, ძაფი კბილით მოკვნიტა და ზლაზვნით წამოდგა.

შორიახლოს ატუზულ შეგირდს ტყავი უეცრად სახეში მიაფეთა. მაგრამ ოსტატის ოინებს შეჩვეულმა შეგირდმა ტყავის მარჯვედ დაჭერა მოასწრო და ერთი სკუპით დუქანს შეაფარა თავი.

შეგირდის სიმარჯვით ნასიამოვნებმა ხელოსანმა ულვაშებში ჩაიცინა, წამოკაპიწებული ხელებით დოინჯი შემოიყარა და ტატო ირიბად აათვალ-ჩაათვალიერა. ნახშირით მოსმულ ლაქასავით შავი, გრძელი წარბი უცებ სხარტად აზიდა, ერთ წამს კიდევ გაშტერებით უმზირა და მერე შვების მომგვრელად გადაიხარხარა, თანაც დაკაპიწებული ხელი ტატოს ქუდს წაატანა.

„ე, რა გხურავს?!“

ტატომ გაკვირვებით გაიღიმა, მშვიდად მიუგო:

— „მოხელის ქუდია!.. ამ სერთუკს ეგ უხდება...“

„სერთუკსა?! სერთუკი რას მიქვიან, თუ შენ არ მოგიხდება... ვაჰ!...“

ტატომ გაიცინა.

„მაშ... არ მიხდება?!“

„გახსოვს? პატარა რომ იყავ, უკეთესად გაცმევდა მელიტონ ნიკალაიჩი!..“

„ის დრო წავიდა“.

„სად წავიდა?! — დაუფიქრებლად გაიმეორა ჭონმა, უმალ გამოერკვა. ამოიოხრა, — საკვირველი ეგ არის: დროს თავისი შესაფერი ხალხიც რომ გაჰყვება ხოლმე! წვრილფეხობას და გადამთიელებს დარჩათ ქალაქი...“

„კარგად იხედები, მოიხედე!“

ჭაბუკის შენიშვნაზე მოიხედემ ნაძალადევად გაიღიმა, მაღლა აწეული ხელი კი უიმედოდ ჩაიქნია.

„ტატო-ჯან! იმას ვამბობდი... ჩემმა მზემ, მამაპაპურ ქუდს გიფეშქაშებ, ოღონდ ეგ“... — ჭონმა ერთხელ კიდევ ალმაცერად გახედა ჩალის ქუდს.

„მერე... რა მოხელის საქმეა მამაპაპური ქუდის ტარება!“

„ვაჰ!.. მაშ, მამაპაპურის მაგივრად ყველამ უცხოური ჭილოფი დავიხუროთ და ხმალიც ქოლგაში გავცვალოთ... არ იქნება! — და ვიდრე ტატო რამეს უპასუხებდა, ხელოსანმა ერთი მამაპაპურად გასჭყივლა შეგირდს, — ბიჭოუჰ!..“

ამ მჭახე დაძახილის უმალ შეგირდი კარის ზღურბლს ფეთებით მოაწყდა.

„ერთი, ეგ მაიტა!“ — მოიხედემ ცერით ანიშნა შეგირდს ვიტრინაში გამოკიდებულ ტყავის ქუდზე.

ბიჭმა თვალის დახამხამების უმალ მიართვა ხელოსანს წაბლისფერი, ჩახუჭუჭებული ბეწვიანი ძვირფასი ტყავის ქუდი.

„გინდ მოხელე იყავ, გინდ ნამესტნიკი, შენ სწორედ ეს ქუდი მოგიხდება!.. მელიტონის შვილი არა ხარ? ტატო! უბრალო არ გეგონოს, ნამუსის ქუდია!“

შეგირდს ქუდი გამოსტაცა, მოიქნია და გაშლილ ხელისგულზე ისეთი ტლაშანი გაადენინა, რომ ქუჩაში გამვლელთა ყურადღებაც კი მიიქცია. დუქნის გასწვრივ, მარცხნივ და მარჯვნივ, მოიხედეს დარდიმანდული ჟესტი და შენიშვნა ხმამაღალი სიცი-

ლით შეაქეს ხელოსნებმა. ტატომ გაოცებით გახედა ოქრომჭედლების რიგს. თავიანთი დუქნის წინ დაბალ სკამზე ჩამომჯდარ ზოგიერთ ხელოსანს შუბლი, ყბა თუ ხელი შეხვეული ჰქონდა. ტატოს მოაგონდა, რომ ახალი მთავარმართებლის ჩამოსვლის სწორედ წინა კვირას ზემოურებს და ქვემოურებს დიდი კრივი გაემართათ. ტატომ ახლაღა შენიშნა, რომ მოიხედესაც შეხვეული ჰქონდა თავი შავწინწკლებიანი ლურჯი ბაღდადით.

ტატოს თვალწინ მოიხედემ ერთხელ კიდევ შეათამაშა ქუდი.

„რა ბალღივით მთავაზობ და... მაწონებ!. მოიხედე-ჯან, არ იცი განა? ნამუსის ქუდს ახლა უნამუსო გოგრები უფრო ეტანებიან, თავიანთი უნამუსობა რომ უკეთ დაფარონ!..“

„ვაჰ!.. მაშ, გახმეს რაღა ეს ტიელი მარჯვენა, თუ უნამუსო გოგრების შესამკობად ირჯება!“

„აგრეა და...“

„არა გცოდნია, კნიაზო! თარაქამების დაძახილზე მოიხედე არ იხედება!“

წამით დუმილი ჩამოვარდა.

„მოიხედე! არა სჯობია, ეგ ქუდი თავის ადგილას დააბინაო, მე კი... შენი გაბზარული თავის ამბავი მიამბო? აქ არ გახლდი, კრივს ვერ დავესწარ“.

კრივის ხსენებაზე ხელოსანი ისე აენთო, თითქო ზემოურებისათვის სამაგიეროს საზღვევად ემახიანო. უნებურად თავზე ხელი შემოიდო. ჭრილობა დიდი ხანია მოშუშებოდა, მაგრამ... როცა იმ მარცხს გაახ-

სენებდნენ, სირცხვილისაგან ის ჭრილობა ხელახლა ასტკივდებოდა ხოლმე.

„დავმარცხდით კია და... — ნაღვლიანად შენიშნა მოიხედემ, მაგრამ მოგონებები ისე ცხადად აეშალა თვალწინ, რომ უნებლიეთ გაიტაცა იგი, — იცოცხლე, დავერიენით... თავშიშველნი, მკერდმოღეღილნი, ჩოხის კალთებაკეცილნი, წინდების ამარა!.. კიდეც ვიფრინეთ ჩუღურეთელები, მაგრამ დაგვასწრეს და... დამარცხებულებმა ქვისა და აგურის სეტყვით ახლა ჩვენ გვიფრინეს რიგიანად. ცოტას გაწყდა, არ გაგვთელეს... მალე არც ჩვენმა ქვამ და აგურმა დააყარა ხეირი იმ უჯილაგოთ... გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩებოდა, რომ ის ღორისშვილები, კუკიელი მეღორე მწყემსები არ წამოშველებოდნენ ჩუღურეთელებს... იმათ მოგვიღეს ბოლო... — მოიხედემ ერთხელ კიდევ შემოიდო თავზე ხელი. — არა უშავს, გაისად ამოვიგებთ... გაისად გაყურებინებ, ტატო-ჯან, მაგათ სეირს!.."

„დაესხენ... წელს გაგიტეხეს, გაისად სულ არ დაგატოვებინონ, მოიხედე, ეგ თავი!"

„არსეინად იყავ, კნიაზო!.. არა, თუ მეც მაგ ჭილოფის ქუდის დახურვა მომელის, მირჩევნია ეს ტიალი გოგრა კრივში დავტოვო".

„რას შემოუჩნდი ამ ქუდსა!.." — ღიმილით გაეკამათა ტატო.

„ტატო-ჯან, მაშ, მამაპაპურ ქუდზე უარს მეუბნები?!. მაინც რისგან არის რომა... მე და ჩემმა ღმერთმა, ახლანდელი ჭაბუკებისა ვერაფერი გამი-

გია!.. რუსთ ხელმწიფეს ემდურიან, აგინებენ, შეთქმულებასაც უწყობენ და... თანაც მის სამსახურს, მის ერთგულებას თავდაუზოგავად სწირავენ თავიანთ ყმაწვილკაცობას, ნამუსს, ჯანსა და ქონებას!.. ქუდიც ვერ გაგიმეტებიათ... ვაჰ, გაგონილა?!“

ტატო თავდახრილი, ყურადღებით უსმენდა გაკვირვებულ ჭონს.

„ჩვენი უბედურებაც იქნება... ეგ არის! — ნაღვლიანად, უფრო თავისთვის, ვიდრე ხელოსნის გასაგონად ჩაილაპარაკა ტატომ. — მოიხედე, საქმეს რათა სცდები?.. სხვა დროს განახავ...“

ტატომ აჩქარებით ჩამოართვა ხელი გულშემატკივარ ხელოსანს და გზა განაგრძო. მოიხედე სახტად დარჩა, ვეღარც ხმა ამოეღო, ვეღარც ხელში შერჩენილი ქუდისათვის მოეხერხებინა რამე...

ხელოსნის სიტყვები ტატოს გულის ღრმა იარებს შეეხო; აჩრდილებივით წამოიშალა პოეტის გულში უდროოდ დამარხული სურვილები და ოცნებანი; მაგრამ... ამაო იყო ახლა ყველაფერი, რაც დამარხულა, გაცოცხლება აღარ უწერია.

წელან ვიტრინაში დანახულმა საყურემ კვლავ მოაგონა სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე, ოდესღაც ესოდენ ახლობელი კატინკა... ის საღამოც, როცა კატინკას საყურის თამაშმა მოხიბლა და გაახელა. თუმც ფუჭი იყო წარსულის მოგონება, მაგრამ გულის ამაო ღელვას მაინც არ ეურჩებოდა გაწბილებული მგოსანი. „მაშ, ასე, ტატო!.. შენთვის ყოველივე ამაო ყოფილა... ჩვენი ცხოვრების მიზანიც გამოუც-

ნობი გვრჩება, ადამიანის სურვილები კი უსაზღვროა, ხოლო ყოველივე ამქვეყნიური წარმავალია! ყოველივე ამან ააავსო ჩემი სული საშინელი სიცარიელით".

მოულოდნელად, სწორედ ტატოს ცხვირწინ, ღვინის სარდაფიდან ტორტმანით ამოვიდა ორი თაგვისფერსერთუკიანი მოხელე. ერთი მათგანი — გარსევან ვარლამოვი — ტატომ უმალვე იცნო. მეორე კი, უცხო, უთუოდ ახალი ჩამოსული იყო. თაგვისფერსერთუკიანებს ყურადღება არ მიუქცევიათ ტატოსათვის; ნელი ნაბიჯით და ტორტმანით განაგრძეს გზა დიღმის კარისაკენ.

ტატომ ნაბიჯს უკლო და ყური მიუგდო მათს ლაპარაკს.

უცხო გაოცებული იყო:

„რა იაფი და საამური ყოფილა აქაური ღვინო!"

თანამგზავრის შენიშვნაზე ვარლამოვმა გაოცებით შეათამაშა ხელი ჰაერში.

„მაგრამ... რა ძვირია, ივან პეტროვიჩ, ევროპული საქონელი!.." თანამგზავრი ყურს არ უგდებდა ვარლამოვს, რასაც თვითონ ამბობდა, მარტო ის მიაჩნდა, როგორც თქმის, ისე მოსმენის ღირსად. ვარლამოვიც მიუხვდა და უმალ მის ნებას დაჰყვა.

„როგორი გულმოდგინებით თამაშობენ პრეფერანსს!"

„რა ბალები იმართება, ივან პეტროვიჩ?!"

„ხარიტონიჩ! დაგავიწყდათ?!"

„მაპატიეთ. რასაკვირველია, ივან ხარიტონიჩ!..

თქვენ კიდევ კარგად არ იცნობთ თბილისს... ერთი კვირა მეტად მცირე დროა ჩვენი ქალაქის გასაცნობად... აი, იმ მთას ხედავთ? მის კალთაზე რომ მამადავითის მონასტერია...", — ვარლამოვმა ხელი გაიშვირა მთისაკენ.

„ეგ ვიცი... ალექსანდრ სერგეიჩს მოხდენილად უწოდებია მანდაურობისათვის თბილისის პოეტური საკუთრება!"

„თვითონ კი დაისაკუთრა, არა?.."

ორივემ ჩაიცინა.

„როდის მაჩვენებთ, გარსევან... მაგ პოეტურ საკუთრებას?.. იქ... ქალებიც დადიან?..."

„ქალებიც დადიანო?!. ვერც ერთი ბალი წმინდა დავითის ხსოვნის მოსაგონარ დღესასწაულს ვერ შეედრება, ივან ხარიტონიჩ! თუ კოპწია ქალაქელი კნეინების ნახვა გინდა, იმ დღეს უნდა დაუცადო!.."

„როდის იმართება ეგ დღესასწაული?"

„აღდგომის შემდეგ მეშვიდე კვირის ოთხშაბათ დღეს..."

„ორ კვირას ქალების უნახავად ივან ხარიტონიჩი ვერ გაძლებს!.."

„თუ ნახვა გსურს, კიდეც უნდა გაძლო!.. ივან ხარიტონიჩ, ყური მიგდეთ... იმ დღეს, მზე გადაიხრება თუ არა, მონასტრისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკზე აჩრდილებივით იწყებენ ქროლვას გამჭვირვალე, თეთრ საბურველში გახვეული ქალები!.. ზოგი ფეხშიშველია..."

„ფეხშიშველი?!.. ჰა, ჰა... მოდაა?.."

„ღმერთს მოდა არ უყვარს, ივან ხარიტონიჩ, ეგ უფრო მოწიწებაა!.. პატარა, ლამაზი, თეთრი ფეხებით ოდნავ ეხებიან ბილიკის ქვიშას და ტანის გრაციული რხევით მიაბიჯებენ... ზოგს ძვირფასი, ფერადი ძაფებით მოქარგული და ვერცხლის ნალებით ძირმოჭედილი ქოშები აცვია... შესვდებით მოხუცებსაც...“

„ეგ არ მაინტერესებს“.

„მონასტერში გალობენ და ლოცულობენ. მონასტრის წინ, მოედანზე, უთვალავი ხალხი ირევა... თეთრსაბურველიანი ყმაწვილი ქალები ანგელოზებივით გუნდ-გუნდად დგანან აქა-იქ. მოხუცი ქალები კი შავ საბურველში თითქო იმისათვის გახვეულან, რომ უკეთ უთვალთვალონ ყმაწვილებს, თავიანთი ეჭვიანი წკურვა თვალებისა კი შეუმჩნეველი დარჩეს...“

„ეგ არ მაინტერესებს...“

„ჩაცმულობას აღარ იკითხავ? გეგონება, ფარშავანგის ფრთები გაუშლიათო მონასტრის მოედანზე. შუახნის ქალებს ქართულ ტანსაცმელზე უცხოური მოსასხამი წამოუხურავთ და მითღა კეკლუცობენ. ახალი, გარუსებული თაობა ხომ თანამედროვე მოდების ნამდვილი გამოფენაა!.. აღარ იცი, რას მიაქციო ყურადღება, თვალი გიჭრელდება“.

„დარდი ნუ გაქვს, ჩემი თვალი მიჩვეულია...“

„ოღონდაც!“ — მყის ჩაურთო ვარლამოვმა.

„სულ ეგ არის?“ — გულგრილად იკითხა ივან ხარიტონიჩმა.

„თუ არ მოიწყენთ...“

„განაგრძეთ, ვარლამოვ...“

„შორიახლო აბრახუნებენ დოლს, ბზუის ზურნა, ცეკვავენ ლეკურს, ბაღდადურს და ცხარე ტაშით, გამამხნევებელი შეძახილებით ცეკვის მოყვარული ბრბო მიდამოს აყრუებს. ვისაც ღონე ერჩის, საჭიდაოდ იწვევს მოქიშპეს. იკვრება წრე, საიდანღაც სულზე მოსწრებული მედოლე მეზურნეებითურთ საჭიდაოს უკრავს. ყოველ მარჯვე სარმაზე, მოჭიდავეთა ყოველ საეჭვო წაბორძიკებაზე იმართება ყიჟინა, მაგრამ... ეს სეირი დიდხანს არ გრძელდება. წესრიგისათვის მოწოდებულ პოლიციელთა გამოჩენაზე უწესობის მოყვარულნი აქეთ-იქით იფანტებიან... ამ ალიაქოთში დინჯად დააბოტებს მესტვირე ბლიაძე. ის ხან საკბილოს ეძებს და... მოჰკრავს თუ არა თვალს უცნაურ, სასაცილო გარეგნობის მოქალაქეს, ან ვისი ჯავრიც გულს ჩარჩენია, სახელდახელოდ გამოუთქვამს ლექსს... შეჯგუფული ხალხის თავაღებულ ხარხარში პოულობს მესტვირე ჯილდოსაც და სიამოვნებასაც... ხან სტვირის აკომპანიმენტზე წყნარად ღიღინებს არსენას ლექსს... აქაც გმირობის მოყვარულნი მრავლად იკრიბებიან და უკანასკნელ სტრიქონამდე უსმენენ განთქმული მესტვირის ტკბილი ჰანგებით გამთბარ შაირს. ამასობაში ღამდება კიდეც... ლოცვით, სიმღერით, სიცილით გულმოჯერებული ხალხი იმავე ბილიკით ბრუნდება ქალაქში. მთის ახლომახლო მცხოვრებნი ამ დღეს თავის დღესასწაულად თვლიან... შინისაკენ მიმა-

ვალთ გზაზე უხვდებიან, ნაცნობები თავიანთ სახლში მიჰყავთ და... დილამდე ქეიფობენ... შარშან მეც გახლდი... ასე თავდება დღესასწაული... სოფლიდან ჩამოსულნი ურმებით ისევ უკან ბრუნდებიან, დანარჩენები — ზოგი ფეხით, ზოგი სახედრით, ცხენით თუ მსუბუქი ეტლით, ბნელში გაყუჩებული ქალაქის ვიწრო ქუჩებითა და მოედნებით შინისაკენ მიეშურებიან...“

„ეგ მართლაც დღესასწაულსა ჰგავს, მაგრამ... კეკლუც ბანოვანთა შესახებ შენ მაინც ცოტა რამა თქვი... სად არის ის თქვენი ქალღმერთი, ლამაზების მარშალი... მანანა ორბელიანი?..“

„ჯერ მანანა არ გინახავს? — ვარლამოვმა გაოცებით გადახედა ივან ხარიტონიჩს. — მანანას ხილვაზე, ივან ხარიტონიჩ, სწორედ... დაიჩოქებ!..“

მანანაზე ლაპარაკით გართული თავვისფერსერთუკიანები დიღმის კარით ერევნის მოედანზე გავიდნენ. ტატოც აქამდე ძალაუნებურად შორიახლო მისდევდა მათ, უსმენდა და გუნებაში ეცინებოდა ვარლამოვზე, უცხო მოხელის ივან ხარიტონიჩის გულის მოსაგებად ენას რომ ასეთ ჯაფას აყენებდა.

„აქ რა ხმაურია?!“ — გაოცებით იკითხა ივან ხარიტონიჩმა, როცა მათ ერევნის მოედანზე პატარა ჭუჭყიან დუქანს ჩაუარეს.

„ეგ ყავახანაა, ივან ხარიტონიჩ!..“

„არ ვინახულოთ?

„ღმერთმა დაგვიფაროს...“

„რაო?..“

„ღმერთმა დაგვიფაროს-მეთქი!.. რაც ქალაქში უთვისტომო და ოხერია, სულ მანდ იყრის თავს!.. როსკიპებსა და მკვლელებსაც შეხვდებით! ჩვეულებრივ კი ეგ ბინძური ადგილი სამსახურიდან დათხოვნილ გადამწერთა, გადამდგარ იუნკერთა, ფუნთუშების დამტარებელთა, უაზნოების მსახურთა, ცუღლუტ მოსწავლეთა და ყომარის აზარტულ მოთამაშეთა თავშესაფარია!“

ივან ხარიტონიჩი ყავახანაზე უფრო მეტად გააოცა სემინარიის გასწვრივ დაჭაობებული მოედნის ხილვამ... ჭაობის ნაპირას წაწოლილი ვეება ღორი თავის უსაზღვრო კმაყოფილებას ნებიერი ღრუტუნით გამოხატავდა.

„ეგ ჩვენი ქალაქის წარუხოცელი ლაქაა...“

„ღორი თუ ჭაობი?...“

„ღორზე არ მოგახსენებთ... ღორი ჩვენი ქალაქის სრულუფლებიანი მოქალაქეა!..“

ორივე თაგვისფერსერთუკიანმა ხმაშეწყობით გადაიხარხარა.

„მე ჭაობზე მოგახსენებდით... არ იქნა მაგის ამოშრობა... წლიდან წლამდე ასეა, თითქოს ღორების სანებივროდ გაუშვიათო. მამაჩემმა ერთი სასაცილო შემთხვევაც მიამბო ამ ჭაობის გამო. 1837 წელს, ხელმწიფე — იმპერატორი ნიკოლოზ I ტფილისს რომ ესტუმრა, თავადაზნაურობას მისი უდიდებულესობის პატივსაცემად ბალი გაუმართავს... იმ

დღეს რაღაც ეშმაკად წვიმა მოსულა და მთელი ერევნის მოედანიც, რასაკვირველია, კარგად აუტა-ლახებია. ეს ჭაობი ხომ ერთიორად გაზრდილა. ბალ-ზე მიმავალთ, ვისაც ეტლი უშოვია, მშრალად მიუღ-წევია სემინარიის სადარბაზო მისასვლელამდე, ვისაც არა, ფეხით გაუტოპავს ეს ამოდენა ტლაპო და... წარ-მოიდგინე, რარიგ დამშვენებული გამოცხადდებოდა ბალზე".

. ვარლამოვს არც ის გამორჩა, აქ, ერევნის მოე-დანზე, კვირაობით ბაზრობაც რომ იმართება... სა-ხელდახელოდ ფარდულებს დგამენ და... ყიდიან ძველ ტანსაცმელს, ძველ ავეჯს, ჭურჭელს — ვერცხ-ლისა, ფაიფურისა და სპილენძისას. ყიდიან ხილსა და ბოსტნეულს... ბაზრის შორიახლო, მაღალ ბოძებ-ზე გაჭიმულ თოკზე, სპარსელი მუშაითები თამაშო-ბენ, ქვემოთ კი მათს ქცევას იმეორებენ სასაცილოდ მოკაზმული ტაკიმასხარები. ვიღაც აბელი, ხელობით დურგალი, ოთხი არშინის სიმაღლე ოჩოფეხებით დადის და მთელი ბაზარი პირდაღებული შესცქერის ამ სანახაობას.

როცა ვარლამოვი და ივან ხარიტონიჩი სემინა-რიის წინ ჭაობის მზერით ტკბებოდნენ, ტატო უკვე მეფისნაცვლის სასახლის წინ მიაბიჯებდა და გუნე-ბაში ღმერთს მადლობას სწირავდა, თაგვისფერსერ-თუკიანებთან შეხვედრას რომ გადაურჩა.

„მე ვიკითხო, თორემ იმ თარაქამებს რა უჭირთ... ჩემი ყმაწვილკაცობა ასე უგზო-უკვლო ხეტიალში და ბედის ძიებაში უნდა გავატარო... ვიპოვი რასმე

სახეიროს თუ არა, ისიც ღმერთმა უწყის!.. რა მომცა „სუდა ი რასპრავასა“ და ახალ პალატაში ცხრა წელიწადი გულმოდგინედ სამსახურმა?.. რა მინდოდა ნახიჩევანს... რას ვპოვებ თელავს?!“

ტატომ ჯიბიდან ამოიღო დაკეცილი ქაღალდი, ბრაზით ჩასჭიდა თითები, დაკუწა და ქუჩის მტვერში მიმოაბნია. დილით დაწერილ ძია გრიგოლთან გასაგზავნ ბარათზე იყარა ჯავრი. სწორედ ახლა, თელავს გამგზავრების წინა დღით, ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ზოგჯერ თურმე ახლობელი, საყვარელი ნათესავის იმედიც არ უნდა იქონიო. განა მარტო გრიგოლს ეხებოდა მისი იდუმალი საყვედური?.. სხვებმაც, რამდენმა წარუკვეთა სასოება.

ამ ცხოვრების უკუღმართობას ვერ ურიგდებოდა... ეტლში უდარდელად გართხმულ, მლიქვნელობით განდიდებულ, დამცინავად მოღიმარ მოხელეთა დანახვაზე გული უკვდებოდა და მრავალგზის გაფიქრებულს, კვლავაც თავისთვის გუნებაში იმეორებდა — „სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!..“

„ერთგულება, თავდადება!.. რა ფუჭ მცნებებად ქცეულან! განა მე ცხრა წელიწადს გულმოდგინედ არ ვიმსახურე იმ დაწყევლილ „სუდა ი რასპრავასა“ და პალატაში?.. რა მიბოძეს?.. მაგიდის უფროსობა?.. ჭირსაც წაუღია მაგ თარაქამების მაგიდაც და ცარიელი გოგრაც!.. რაც ვნახე და ვიგემე, რასაც ვხედავ, თუ ყველაფერი ცხადია და მართალი, მაშინ

ეს ქვეყანა ცრუთა, ორპირთა და მლიქვნელთა თავისუფლად სათარეშო ასპარეზი ყოფილა...“

გულჩათხრობილ ტატოს უეცრად ჩაესმა ნაცნობი ხმით წარმოთქმული;

„ამავსებ ღვინით,
აგავსებ ლხინით...“

ეამა ეს სიტყვები... არ მიუხედავს, მაგრამ მიხვდა, რომ უახლოვდებოდნენ... ერთი წამის შემდეგ კვლავ მოესმა:

„ტატო!“

არც ახლა მიიხედა.

„ნიკალაი მელიტონიჩ!“

ტატომ გაიღიმა და ნაბიჯს მოუჩქარა...

„ბარათოვ!“

თითქმის ყურთან ჩაესმა და ვერც კი მოასწრო მობრუნება, რომ ნაცნობი, დარდიმანდი ჭაბუკების უეცრად მოვარდნილმა ტალღამ თან გაიტაცა ტატო.

*

ბარათაშვილი ქეიფის გუნებაზე არ იყო. მოლხენის ჟინით შეპყრობილ ამხანაგებს ვერაფერი შეასმინა, ხელი ჩაიქნია. სანამ ძალით ჩაითრევდნენ, ნებით ჩაყოლა ამჯობინა. გაიფიქრა: „ხვალ ამ დროს აქაურობას უნდა გამოვეთხოვო... ვინ უწყის, კვლავ როდის ვიხილავ თბილისს... ან ვიხილავ კია როდისმე?“.. თავისი ადრინდელი ნათქვამიც მოაგონდა: „აჰყევით სოფელს შეურჩენელს და მომღერალსა...“

სოლოლაკის ბაღებიც ახლოს იყო. სათარა და ორი თეთრჩოხიანი ჭაბუკი დარდიმანდების ჯგუფს სწორედ ბაღის შესასვლელთან წამოეწია ეტლით. სათარა და ტატო მეგობრული მოწიწებით მიესალმნენ ერთმანეთს. გზა ერთად განაგრძეს ბაასით, უცებ, თითქოს ხმას იწმენდსო, სათარამ ისე გულიანად წაიმღერა, რომ ყველას სმენა მიიპყრო. მოლხენის ჟინი გულჩათხრობილ მგოსანსაც კი გაუღვიძა.

„სათარ-ჯან!“

„აბა, სათარ, შენებურად...“

მოისმა აქეთ-იქიდან.

„სათარ-აღავ!“ — შემოსჭყივლა ყველაზე მაღალმა, თეთრჩოხიანმა დარდიმანდმა და თითებდაკოცნილი ხელი აუქნია. სათარამაც უმალ უთავაზა დაკოცნილი, ალმასისა და ლალისთვლებიანი ბეჭდით შემკული თითები.

ბაღის სიგრილე, ფოთლების იდუმალი შრიალი მოლხენისა და ღვინის წყურვილს უფრო მეტად აღვიძებდა. ტანვეება, ასწლოვანი კაკლისა და თუთის ხეთა უხვად შეფოთლილი ტოტები ერთმანეთში ჩახლართულიყვნენ. ბაღი ერთ უზარმაზარ თაღებიან დარბაზს ჰგავდა, ბაო ჩრდილებით მოხატული ბალახის ნოხებით მოფენილს. ახლა ამ ნოხებზე წერწეტი ტანის მედიდური რხევითა და მხარზე აკეცილ მტრედისფერ, ლომისფერ, ვარდისფერსარჩულიან ყურთმაჯების ფრიალით მიაბიჯებდნენ დარდიმანდი არიფები.

ზაქიჭამიასეულ ბაღის შუაგულში, ქერქდამ-

სკდარი ვეება კაკლის ხის ძირას, ინებეს არიფებმა სუფრის გაშლა. ტატომაც მოიწონა ეს მყუდრო ალაგი, უხვად დაჩრდილული, ოციოდე ნაბიჯზე ორი მხრივ ბროწეულის, უნაბისა და თუთის ნორჩი ხეებით შემოფარგლული. ერთი თვის შემდეგ ქალაქური სიცხისაგან შეწუხებული მოსახლეობა კრწანისის, ორთაჭალის თუ გარეთუბნის ბაღებისაკენ რომ იზამს პირს, ამწვანებულ და ბაო ჩრდილებით ასე მოხატულს ალაგს ძნელადღა მონახავს კაცი.

ტანვეება კაკლის ხის ძირას მწვანეზე გაშალეს ნოხი, ზედ დაფინეს თოვლივით ქათქათა, ფოჩიანი სუფრა. სუფრაზე მარჯვედ მიმოაბნიეს ახლად დაკრეფილი ვარდები, ჩამოარიგეს თითო მტკაველა შავი ყანწები. სუფრას მოუხდა ქორფა წიწმატი, ოხრახუში, ტარხუნა, მწვანე ხახვი, ბოლოკი, მადას აღვიძებდა ალზე მომწვარი ბუშტულებიანი ლავაში. სუფრის შუაგულში მწკრივად, ერთმანეთზე მიწყობილ მომცრო ლავაშზე დააწყვეს დათლილი ყველი, ზურგიელი, ხრამული. ბლომად იყო ქალაქელების საყვარელი ხიზილალაც. როცა სუფრა მამაპაპურად გაივსო, თავდაჭერილი არიფები მუხლმოკეცით შემოუსხდნენ გარშემო. მაღალმა, თეთრჩოხიანმა, ჩამოვარდნილი ყურთმაჯა კვლავ მხარზე შეისროლა და მაღლა აქნეული ხელით მებაღესაც ანიშნა რაღაც... თავის მხრივ, მებაღის ხელის, როგორც მაგიური ჯოხის აქნევის უმალ, სუფრას შემოესია ათიოდე კოკაწამოკიდებული ბიჭი. ვიდრე ყანწებს ცივი კახურით ასავსებად ბიჭებისაკენ გაიწვდიდნენ, სუფრაზე

მსხდომთ ბჭობა შეექმნათ... ვინც პირველად დაიბადა ტოლუმბაში ავირჩიოთო, სწორედ მას მიულოცებს ტოლუმბაშობა. თხუთმეტიოდე შავმა ყანწმა მერცხალივით შეინავარდა ჰაერში; მარტო ერთს დაუვარდა, სხვებმა მარჯვედ დაიჭირეს და უმალ გაუწოდეს ყანწები კოკამომარჯვებულ ბიჭებს. გამხიარულდა სუფრა, ხმადაბლა იცინოდნენ და მახვილსიტყვაობდნენ არიფები. კოკების ყელიდან ღვინოსთან ერთად ისეთი რაკრაკი მოედინებოდა, თითქოს ისინიც ბაძავდნენ სიცილში მსმელებს. ბიჭები მარჯვედ, მაგრამ წვრილად ასხამდნენ ყანწებში ღვინოს და თან სულ მაღლა-მაღლა სწევდნენ კოკებს, რათა მზის სხივებზე ქარვისფრად მოკამკამე ღვინის ჩქერს უფრო აღეძრა არიფთათვის სმის ჟინი. შესასმელად მომარჯვებული სავსე ყანწებით ყველანი წამოდგნენ, ტოლუმბაში რიგრიგობით გადაკოცნეს. პირველი ყანწით მისი სადღეგრძელო შესვეს და კვლავ დასხდნენ. წამით დუმილი ჩამოვარდა. ტოლუმბაშის ამხანაგად დასახელებულმა ჭაბუკმა ამ წუთიერი გაყუჩებით ისარგებლა, სუფრას ლაღად გახედა, წამოიმართა. ყველანი მას მიაჩერდნენ. კვლავ დუმილი გამეფდა. ტოლუმბაშის ამხანაგმა ერთი დარდიმანდულად წამოუქნია ხელი სუფრაზე მსხდომთ და ომახიანად შემოსძახა:

„ტოლუმბაში ბრძანებს, რომა გულისპირი შაიხსნათ და მკერდი მაიღეღოთ!“

უმალ შესრულდა ტოლუმბაშის ნება და ქეიფსაც შეუდგნენ მამაპაპური შნოთი და ლაზათით. ტო-

ლუმბაშის მოკლე, მოსწრებულ და მახვილზმებით დამშვენებულ სიტყვებს ცივ-ცივი კახურით ნათლავდნენ... „ალავერდისა“ და „იახშიოლის“ შეძახილებში აღმაფრენაც მატულობდა. ბაღში სხვაგანაც რამდენსამე ადგილს ქეიფობდნენ — წარჩინებულნიც, მდაბიონიც და, ყოველი მხრიდან უფრო ხშირ-ხშირად მოისმოდა ეს „ალავერდი“ და „იახშიოლ“, ისარზე უსწრაფეს და უმკოდავეს მახვილ სიტყვაზე ატეხილი სიცილ-ხარხარი, დოლის, ზურნისა და საზანდრის ხმები... მეზობლად მოქეიფე ხელოსანთა ჯგუფში ვიღაცამ ქათამივით წაიმღერ-წაიკაკანა:

„ზღვაში გემი არა რჩება,
სული გვამში არა რჩება...
ე სიკვდილსა ვინა სჩივის,
საყვარელი სხვასა რჩება!“

ტატო თავდახრილი უსმენდა და იღიმებოდა. თითქო ტატოს ღიმილმა წააქეზაო, ტოლუმბაშმა უცებ ხელი აიქნია და ბოხი ხმით გადასძახა მეზობლებს:

„ეე! ეგრე ჩხავილი არ იქნება... ბულბულები დაფრთხებიან!“ — და სათარას თვალი უყო. მედიდურად წელში გამართულმა სათარ-აღამ, თითქოს ტოლუმბაშის დასტურს ელოდაო, წვერ-ულვაშზე ხელი ჩამოისვა. გიშერივით თვალები ჯერ ბრიალით მოავლო კაკლისა და თუთის ტოტების თაღს, მერე თანდათან მინაბა და... უცებ ლაღი, ნარნარი ხმა ურჟოლის მომგვრელად დაირხა ბაღში. ყველამ სული განაბა. სმენად იქცა მიდამო... სათარ-აღას ხმა ფარავ-

და თუ თავად მიყუჩდნენ, აღარც ჩიტების ჟივილი ისმოდა.

ჯერ ღვინომ, მერე სათარას სიმღერამ, დოლმა და ზურნამ უფრო გაახელა მოქეიფენი; ორმა-სამმა მებაღის ბიჭებს მიბარებული დამბაჩები მოატანინა და ყოველ სადღეგრძელოს შემდეგ დამბაჩის სროლით ტოლუმბაშის თილისმურ მახვილსიტყვაობას დასტურს აძლევდა.

*

როცა ცივმა კახურმა მოქეიფეთ ტვინი გაუხურა, მტკაველა ყანწს ხელი დაუქნიეს... კულაზე და აზარფეშაზე მიდგა ჯერი.

სმა რომ დაიწყო, სუფრაზე საჭმელმაც იმატა. ისინი, რომელთაც ღვინის სმაში თავის გამოჩენა განეზრახათ, სხვაზე ცოტას სჭამდნენ. კიდევ ერთხელ ტოლუმბაშის შეკვეთით, მეორედ ტატოს თხოვნით სათარამ უფრო მეტი ხალისით იმღერა. უკანასკნელმა ნაღვლიანმა სიმღერამ დააფიქრა ტატო. ღვინო საკმაოდ შესვა, მაგრამ სიფხიზლე მაინც არ დაუკარგავს. ტატოს გვერდით მუხლმოკეცილი ლუკა ისარლიშვილიც ყოჩაღად გამოიყურებოდა; დროდადრო სკოლის მეგობარს რომელიმე თანამესუფრეზე ხუმრობით რამეს ეტყოდა და თვითონვე იცინოდა, რაკი მეგობარი არ თანაუგრძნობდა.

„ტატოვ! ეგრე მოწყენილი მაინც რათა ხარ?“..

„როგორც შენა სთქვი, ლუკავ, ის სწორედ სხვა

დრო იყო და მეც... — ტატომ შუბლს ქვემოდან ახედა მეგობარს. — თავი დამანებეთ-მეთქი, გეაჯეთ და... არ შეისმინეთ, ვიცოდი, ახლა ლხინშიაც ვერ მოვილხენდი!“

„დაღრეჯილობა მაინც არ უნდა გმართებდეს... სამსახური გიშოვია... თელავს გაუმწესებიხართ!“

„ძლივს!“ — წარმოთქვა ტატომ მძიმედ.

„ნუ გეშინია! ყველანი ასე ძლივძლივობით ვაკოწიწებთ ჩვენს გაჭირვებულ ცხოვრებას!.. მართალია, არცთუ ისე შეგეფერება, მაგრამ...“

„შესაფერს ჩვენთვის ვინ გაიმეტებს!..“

„ეს რა ბედის ჟინიანობაა?! უღირსსაც და ღირსეულსაც შეუფერებელს რომ სთავაზობს!.. უღირსს ყელთამდე აავსებს სიკეთით, ღირსეულს კი იმ სიკეთის ნამცეცებსაც ძლივს დაუყრის...“

„შენც რა გაგკვირვებია... ღორს ღორის წილს აძლევს გამჩენი, ქორს ქორის წილსა!..“ — ირონიით შენიშნა ტატომ.

საზანდრის ხმასა და სათარას ნელ ღიღინში ასე ჩუმი და მყუდრო ბაასი სასიამოვნოც იყო.

„ტატოვ! იცი, უნდა მეთქვა, შენს ლექსს რომ ვკითხულობ ხოლმე, რაღაც ისე დიდად მყავხარ წარმოდგენილი და... შემოგნატრი!.. როცა ასე გხედავ, პატარაც მეჩვენები და მებრალები კიდეც!.. არ გაიცინო... მგონი, დავითვერ...“

„არ გეტყობა...“

„ტატო, წარმატებისა რა ისმის? მახსოვს, ელოდი!“

„არამზადების ხელში წარმატებას ნუ ელი, ვიდრე შენც არამზადა არ გახდები!.. დაპირებისა ნუ გჯერა, თუ შენც არაფერს ჰპირდები... კაცად არ ჩაგთვლიან, ვიდრე თავიანთ ღორულ მისწრაფებათა განსახორციელებლად არ დასჭირდები!“

„ეჰ, — ამოიოხრა ლუკამ, — ეს ჩვენი ცხოვრების დღეები ჭუჭყის ლაქებივით აჩნდება სულსა!.. ტატო! ჯანი გავარდნია, მოდი ჩვენც მივბაძოთ ღორებსა და არამზადებსა!“

„სანამდე შევძელ, ჩავყევი ტლაპოსა... მეტად გული აღარ მიმდის... კაცური ღირსება ნებას არ მაძლევს... თავი მენანება! მეშინიან ამ კოჭლის ფეხით ისე არ შევტოპო, რომ მერე...“ — მწარე ღიმილით შენიშნა, აღარ დააბოლოვა სათქმელი ტატომ.

„საკვირველი რამ ცხოველი ყოფილა განდიდებული არამზადა!.. აგერ, რა უყო იმ ნეიდჰარტმა მამაშენსა... კაცი მარშალი იყო და... მართლა, ტატო, ამ გახსენებაზედ, როგორ ბრძანდება მელიტონ ნიკალაიჩი? რაც დამბლა დასცემია, აღარ მინახავს... ვერიდები... კვლავ ანჩხლობს?“

„ის აღარ არის, რაც იყო! მაგრამ... ესეც საკითხავია... განა ჩვენ ისა ვართ, რანიც ვიყავით, ან როგორნიც უნდა ვყოფილიყავით?! — ტატოს საჭირბოროტო კითხვამ მეგობრები ერთი წამით მძიმედ ჩააფიქრა.

„აფსუს, ჩვენო იმედებო... ყმაწვილკაცობავ!..“ — მწუხარებით შენიშნა დუმილის შემდეგ ისარლიშვილმა.

უცებ, თითქო დაიქუხაო, ისე მოესმა გულჩათხრობილ ტატოს ტოლუმბაშის ამხანაგის ბოხი ხმა:

„ეი, ტატო, ალავერდი შენთან!“

ტატო მყის გამოერკვა, აზარფეშა ასწია და ეს, სევდის უკუღმართი წამალი, თუმც ახლა მასზე არ მოქმედებდა, ერთხელ კიდევ, უკანასკნელად სულმოუთქმელად დალია. ტატოს პირდაპირ მჯდომმა ორმა ჭაბუკმა ზედიზედ გაისროლა დამბაჩა. ტოლუმბაშის ამხანაგმა აბზეკილი ცერით მეზურნეებს თავისებურად ანიშნა და მათაც ტკბილად, ნელი დუდუნით წამოიწყეს „ქართული“, ცოტა მოგვიანებით მედოლემაც დუნედ შემოჰკრა დოლის ნაპირს დაბეგვილი თითები. დოლისა და ზურნის ხმაზე ერთი დაბალ-დაბალი ჭაბუკი მკვირცხლად წამოიჭრა ზეზე, მკლავგაშლილმა სუფრას ფეხის ნელი სრიალით შემოუარა; თეთრი ქულაჯის ცისფერსარჩულიანი ყურთმაჯები მოტეხილი ფრთებივით ეკიდა გაშლილ მკლავებზე. მოქეიფენი ტორტმანით წამოიშალნენ; ვინ რას იძახოდა, გაგება აღარ იყო. სუფრის ახლო, ბაო ჩრდილებით მოხატულ მდელოზე წრე შეკრეს, ორი მარჯვე მოცეკვავე შუაში შეიმწყვდიეს და გახელებული ტაშით, შეძახილებით, დამბაჩის სროლით აქეზებდნენ...

ტატომ დრო იხელთა, ტვინგახურებულ ჭაბუკებს შეუმჩნევლად გაუსხლტა. ოდესღაც პირველი მოცეკვავე ახლა ჭირივით გაურბოდა ცეკვას. ლუკა ისარლიშვილსაც არ შეუმჩნევია მისი გაპარვა.

ტატომ ამ ლხინის შემდეგ უფრო მწვავედ იგრძნო

თავისი მარტოობა... მთაწმინდისაკენ მიმავალს უნებლიეთ გაახსენდა ის სიტყვებიც, ამ სამიოდე წლის წინ რომ მისწერა ქაიხოსრო ორბელიანის ასულს — მაიკოს... და გაუკვირდა, რომ მას შემდეგ არ შეცვლილა.

მზე უკვე დავითის მთას ეფარებოდა. გარეთუბანი და ყალა ჩრდილში მოქცეულიყო. ისნის, კუკიისა და ჩუღურეთის მიდამოებს კი ჯერ ისევ აფერადებდა ლომისფერი შუქი ჩამავალი მზისა.

მთის ძირას, საიდანაც იწყებოდა მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ბილიკი, სამი ურემი იდგა, ორი ფარდაგით იყო გადახურული. გადაუხურავი ურმის კოფოზე იჯდა წითელხალათიანი პატარა ბიჭი და სახრეთი დროდადრო ჭრელ ხარს გადატყაულ ფერდზე მისეულ ბუზებს უგერიებდა. ტატო, თითქოს მთაწმინდის მიდამოთა ხილვამ ძალა შეჰმატაო, მარჯვედ შეუდგა ბილიკს. ოციოდე ნაბიჯზე, პირველ მოსახვევთან, პირისპირ ბალასში ორი მათხოვარი იჯდა. ისინი მოთქმის კილოზე ხან სომხურად, ხან თათრულად, ხანაც ქართულად რაღაც ლოცვისებურს შეუსვენებლად ბუტბუტებდნენ და თან ყველას დასანახავად წინ იშვერდნენ თავიანთ მახინჯ კიდურებს. ტატოს ბევრი უნუგეშო მთხოვარი ენახა ადრე, მაგრამ ძონძებში გახვეული ამ ორი მოძრავი სულიერის ხილვამ დღეს საკვირველად შეზარა. მან ისე გაიარა, თითქოს მთხოვარები არც შეენიშნოს და მათი „განიკითხე მონა...“ და „გვემწეც“ არა სმენოდეს, გუნებაში კი სინანულით გაიფიქრა: „ყველაფრით

უზრუნველყოფილთა, თუნდ პორფირბოსილთა ცხოვრება რა არის... ამ ყოველივე კეთილს მოკლებულთა, სულით ხორცამდე განძარცულთა ცხოვრება რაღა უნდა იყოს!“

თუმცა მსწრაფლ გაშორდა იქაურობას ჭაბუკი, აღარც მთხოვარები მოჩანდნენ, აღარც მათი „გვემწე“ ისმოდა, ფიქრი კი ამ ორ დაბეჩავებულ არსებაზე მაინც თან სდევდა ერთხანს...

რაც უფრო მიიწევდა მაღლა, დამაფიქვრელ, ვერან და უდაბურ ადგილთა ხილვა ისევ ისე აჯადოებდა მგოსნის არსებას... გული იდუმალი ჩურჩულით მიმართავდა გულდახურულთა მეგობარს, ღრუბლიან მთას:

„ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება.“

მაგრამ ვაების ნატამალი გულს მაინც რჩებოდა და იზრდებოდა, რაწამს მგოსანი განშორდებოდა ამ წმინდა ადგილს. ჩურჩულსა და ფეხის ხმაზე ტატომ ბილიკის მარცხენა ნაპირისკენ გადაინაცვლა, გზა დაუთმო მონასტრისაკენ მიმავალ ყმაწვილ ქალებს. ისინი თავით ფეხამდე გახვეულნი იყვნენ თხელ, კვამლივით გამჭვირვალე თეთრ საბურველში. საბურველიდან ლანდად გამოკრთოდა აბრეშუმის კაბების ხალისიანი მტრედისფერი, კოკობ ვარდისფერი, შინდისფერი, ოქროსფერი და ნორჩი ფოთლისფერი. მოახლოებული ქარიშხლის ხმოვანებისებრ აბრეშუმის კაბების შრიალ-შრიალით აუქროლეს

მგოსანს ქალწულებმა. თავის ოდნავ გრაციული მობრუნებით გადმოხედეს შავსერთუკიან მოხელეს. ერთორს ტატომაც შეავლო თვალი და საბურველს მოფარებული მათი მინაზებული სახე, მკერდზე ჯვარედინად დაწყობილი, სპილოს ძვლისფერი მკლავები ახლა უცნაურად მიმზიდველი ეჩვენა... ეშმაკურად მინაბულ თვალთა მწველი, გამომწვევი მზერაც არ გამოჰპარვია მგოსანს... საბურველი კეკლუც ქალწულებს სითამამეს ჰმატებდა, თანაც ზედმეტად ჰაეროვანი, ღვთაებრივი ელფერით მოსავდა. შორიდან რომ გემზირათ მათთვის, საღამოს ბინდბუნდში მაინც, ისე მოგეჩვენებოდათ, თითქოს მიწაზე ფეხის დაუკარებლად, ნელი, მთრთოლვარე რხევით მიფარფატებდნენ გაკაფულ ბუჩქთა შორის, ბილიკის გასწვრივ...

ტატოს გულიც და თვალიც ახლა საგანგებოდ გაურბოდა ნაცნობებთან შეყრას და იღბლად, მონასტრისაკენ გუნდ-გუნდად მიმავალ, ან იქიდან დაბრუნებულ ქალწულთა თუ ხნიერთა შორის ასეთი, მართლაც, არავინ ჩანდა.

ტატოს გულს ძველებურად აღარ ელხინებოდა, რომ მონასტრისაკენ მიმავალ ქალწულთა ეშმაკური, გამომწვევი მზერისათვის ეპასუხა, მათთან ელაციცა...

შავად მღელვარ ფიქრებს საკუთარ ბედზე, შინაურებზე, ოდნავ თუ უმსუბუქებდა თელავის გახსენება. ტატო უკან მიბრუნდა, ბილიკს თვალი ჩააყოლა და რაკი ქვემოდან მომავალი არავინ ჩანდა, გრიბოედოვის აკლდამის ცოტა ქვემოთ გზა გადაჭრა,

ხრამში თავქვე დაეშვა; ერთხანს ბუჩქებში მისი მხრები და თავიღა მოჩანდა, მერე სულ ჩაიმალა. ამ ღრეში ხეტიალს ჩვეულმა ტატომ ახლა დიდი ვაი-ვაგლახით მიაღწია მოპირდაპირე მაღლობს. მეტის-მეტად უფრთხილდებოდა თავის ერთადერთ, ჯერჯერობით მრთელად შენახულ სერთუკს. რა შთაბეჭდილებას მოახდენდა პალატის საგუბერნიო მდივანი, მაგიდის უფროსი ხვალ საღამოს თელავის მაზრის უფროსთან დახეული სერთუკით რომ წამდგარიყო... მაღლობიდან ტატომ ამაყად მოავლო თვალი ნაცნობ ადგილებს. აქაურობის ხილვა მუდამ შვების მომგვრელი იყო მგოსნისათვის, აქედან კარგად ჩანდა მთაწმინდის უბეში, ციხის გალავანივით ამართული მთის კალთის ფონზე მონასტრის თეთრი შენობა, მთის კალთა შიფერის მუქ ფენებს დაესერა. ფენებს შორის მწვანედ ხასხასებდნენ ნორჩი ბალახის ზოლები. უხვად მოსდებოდა კალთას პუჭპუჭაც. აქა-იქ თვალს მოჰკრავდით ბროწეულის ბუჩქს. ბუჩქის ნორჩ მწვანე ფოთლებში წითლად კიაფობდნენ ნახევრად გაღვივებული კვირტები. ამ ულამაზესი მთის მყუდრო უბეში პირველი სამლოცველოს საძირკვლის ჩაყრას მიაწერდნენ წმიდა დავითს. რომელმაც სირიელ მამებთან ერთად VI საუკუნეში, ქრისტეს მოძღვრების გასავრცელებლად მოაშურა საქართველოს... მას შემდეგ ეს ადგილი ბევრჯერ გავერანდა და კვლავ აღორძინდა. XVI საუკუნიდან XVIII-ის მიწურულამდე აქაურობას მზრუნველი არა ჰყოლია. მხოლოდ 1809 წელს ამ გავერანებულ, წმიდა ადგი-

ლისათვის მოწყალის თვალით გადაუხედავს საქართველოს კათალიკოსს; ანტონ II-ს. ძველად ნაგები, აწ დაქცეული ეკლესია აღუდგენიათ და მისი მოვლა-პატრონობა დაუკისრებიათ ქაშუეთის მღვდლის, თომასათვის. ეს თომა ერთ დროს იყო მეფისწულ იულონის მოძღვარი. 1817 წელს თომას თხოვნით გენერალ ერმოლოვს, კავკასიის მაშინდელ მთავარმართებელს, ეკლესიისაკენ მიმავალი ვიწრო ბილიკის გასაფართოებლად მიუჩენია ერთი ასეული. ეს ამბავი ტატოს „ბოღასლოვ" პლატონისაგან ჰქონდა განაგონი... მონასტრის შენობის და მის მიდამოთა ხილვაზე ტატოს იმავ „ბოღასლოვ" პლატონისაგან ტკბილად ნაამბობი სხვა შემთხვევებიც მოაგონდა! ერეკლე მეფე, თავისი შვილის — სოლომონის გარდაცვალების გამო ფრიად დამწუხრებული, დროებით აქ, მთაწმინდის მონასტერში, განმარტოებულა. აქედან მართავდა იგი ერთხანს ერსა და ქვეყანას. მეფეს თურმე ყოველდღე ნახულობდა კათალიკოსი პატრიარქი ანტონ I. ერეკლეს, რასაკვირველია, თანა ხლებია მთელი სახლობა... გიორგი მეცამეტეს ჩვეულებად ჰქონია წმიდა დავითის დღესასწაულის დღეს პირველი მეუდაბნოეს სამყოფელის ნანგრევთა მონახულება... 1795 წელს აღა მაჰმადის შემოსევის ჟამს ქალაქის მცხოვრებთაგან 50-მდე კაცს, რომელთაც ვერ მოუსწრიათ გაქცევა, აქ, მონასტრისათვის შეუფარებიათ თავი და გადარჩენილან... სპარსელებს რაღაც გამოუცნობი მიზეზების გამო მონასტერი არ მოუთარეშებიათ.

კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი შემთხვევა უამბნია პლატონს ტატოსათვის ამ წმიდა მთისა და მონასტრის წარსულიდან... როცა ტატო მთაწმინდის ბილიკზე მიაბიჯებდა, მუდამ თვალწინ ედგა თავის დიდ წინაპართა სახე და მათ ნატერფალზე მავალი თავს უნებლიეთ უფრო ამაყად გრძნობდა.

გულისთქმას აყოლილმა მგოსანმა თავი ასწია, შუბლზე ხელმოფარებით ერთხელ კიდევ გახედა მონასტერს, მის მოედანს, სადაც ჯერ კიდევ მოჩვენებებსავით მიმოქროდნენ გამჭვირვალე, თეთრ საბურველში გახვეული ქალები... მათ ხილვაზე ტატო კვლავ მოგონებებმა დაიმარტოხელეს... ახლა სინანულით აგონდებოდა ტატოს აქ, კატინკასთან, მაიკოსთან და სხვა კიდევ თავის გულის ორიოდე მესაიდუმლესთან გატარებული დრო, ბედნიერი წუთები... ახლა კი... რა შორსაა, რარიგ მიუკარები და მიუწვდომელია ის კეკლუცი კატინკა.

„ნეტავ ერთხელ კიდევ მენახა თელავს წასვლის წინ!“ — გაიფიქრა გულდაწყვეტილმა.

სკოლის ერთი ამხანაგი, რომელიც ახლა ზუგდიდის ცხენოსანთა ასეულში მსახურობდა, გასულ კვირას ტატოს შეხვდა და „ახარა“ — ეკატერინე ალექსანდროვნას დედოფლობა მეტად შვენისო!.. დასეირნობს თურმე სასახლის ბაღში წითელი მოსასხამის შრიალით, თორმეტი წარჩინებული ქალწულის, მოძღვრისა და ხუთი-ექვსი შეიარაღებული ჭაბუკის თანხლებით... ზოგჯერ ხეივანში ან აუზის პირას განმარტოებული კითხულობს ხელნაწერ რვეულს და

რვეულთან ერთად მალავს... ცრემლებს. ვინ იცის, იქნებ ტატოს ნახვაც კი მოენატრა... მისი სტრიქონებით გულაჩუყებულს. არც მამადავითისა თუ ყაბახისაკენ გასეირნებაზე იტყოდა ალბათ უარს დედოფალი; მაგრამ ახლა უთუოდ გრძნობს, რომ სამუდამოდ წავიდა ის დრო, ოდეს თავის უმანკო, ბავშვურ სურვილებს აყოლილი თავისუფლად ნავარდობდა ქალაქში საყვარელ ტოლ-მეგობრებთან ერთად. აუზის პირას, გრძელ სკამზე, აქამდე გულჩათხრობით მჯდარი უნებლიეთ შეკრთება და მიმოიხედავს... მხლებელთა სიახლოვე, მათი ეშმაკური თვალთვალი ნებას არ აძლევს თავისი გრძნობები ერთი ზედმეტი საეჭვო მოძრაობითაც კი თავისდა უნებურად ამხილოს. მოგონებებით გულამღვრეული დედოფალი თავს კვლავ მოწიწებით დახრის დაბლა. ახლა ის გაშტერებით დასცქერის აუზს, რომლის სიღრმეში თავდაყირა ჩანან უზარმაზარ ხეთა ფართოდ გაშლილი ტოტები, მზის სხივების ბილიკებით და ჩრდილებით აფორაჯებული ფოთლები, ცის მუქი ლურჯი, ხელისგულისოდენა ფოთლებს შორის გამომზირალი ნაჭრები. ამ დაყირავებული სურათისა და მსუბუქად მოსრიალე თევზების ჭვრეტით გართულ დედოფალს რვეულის ფურცვლა უნებლიეთ ტატოს მოაგონებს... აუზის სიღრმეში მისი სახე მოელანდება... ბუდეშურად მოყვანილი, შავი მკვირცხლი თვალებით დაჟინებით შემოსცქერის მგოსანი და ამ თვალთა ელვარებით დატყვევებულ დედოფალს მისი კაეშნიანი ჩურჩულიც

ესმის... მასთან ერთად თვითონაც იმეორებს იდუმალ ნაჩურჩულევს:

„სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით კრთოდნენ...“

თვალებზე მომდგარი ცრემლები კატინკას არ უშლის ტატოს მოლანდების ცქერას, მაგრამ ამ ხილვის გაქრობის შიშით ახლა ოდნავ განძრევისაც ეშინია. მკრთალადღა ელანდება სახე მგოსნისა — მოგრძო, მოთეთრო, სუფთა... ახლაც გრძნობს კატინკას ხელი ტატოს წაბლისფერი თმის სირბილეს... ეს გრძნობა ჯერ კიდევ არ გაუქრია წელთა სიმრავლეს... შავი, ხშირი წარბები მკაფიოდ ატყვია ფერმკრთალ სახეს. კატინკა ნელ-ნელა იხრება აუზისაკენ, მარჯვენა ხელით მკერდში ტატოს რვეულს ჩაიკრავს, მარცხენას სკამის ნაპირს მოსჭიდებს, უფრო დაჟინებით აკვირდება მგოსნის სახეს და დაუსრულებლად, ჩურჩულით იმეორებს: „სატრფოვ, მახსოვს...“ ასლა მეტი არავინ, აღარაფერი, საკუთარი თავიც აღარ ახსოვს დედოფალს... მაგრამ უეცრად, მწერის დასაჭერად თევზის ნახტომისაგან წყლის ზედაპირის შერხევის უმალ ქრება ხილვა... სასოწარკვეთილი დედოფალი მყის ზეზე წამოიჭრება და ანგარიშმიუცემლად გადასტყორცნის აუზში თითიდან წაძრობილ ოქროს ბეჭედს... გვიანღა იყო; ძვირფასი ხილვის გაქრობით გამოწვეული გულისწყრომა უპასუხოდ დარჩა... ლალით შემკულმა ოქრომაც ვერ იყარა ჯავრი.

დედოფალი თეთრ თითებს შუბლიდან ცხვირის გასწვრივ გაფითრებულ სახეზე ჩამოისვამს და უკანასკნელ ნუგეშს, სანატრელ ხილვას მოკლებული, ისევ სკამზე ეშვება ნელი ოხვრით; რვეულს უბრუნდება, თეთრი პაწაწინა თითებით ხანდაზმით ფურცლავს ხელნაწერს და თან დროდადრო ჩურჩულით, ლოცვასავით აღმოხდება მხურვალედ:

„ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჴუმი ნაღველი?“

ტატოს ახლა აღარ აგონდება, უამბეს თუ სიზმრად იხილა, მაგრამ ეს ყოველივე სჯერა და თვითონაც იტანჯება.

ფიქრებში გართულ მგოსანს შეუმჩნევლად შემოაღამდა. სავსე მთვარის შუქზე მთაწმინდა თავის ნაპრალებით, გორაკებით, კალთებით, ბუჩქებით, მონასტრის შენობით, კიდევ უფრო საოცნებო რამ სანახავი იყო.

ტატო ბროწეულის მაღალი ბუჩქის ძირას დაფენილ ცისფერ ხელსახოცზე იჯდა. ცალ მუხლზე იდაყვდაყრდნობილს მთვარისაკენ ოცნებით მიეპყრო მზერა. ფეხის ხმაზე მან ყური ცქვიტა, თვალი მკვირცხლად მოავლო მიდამოს. რაკი ახლომახლო ვერავინ შენიშნა, ფეხის ხმა კი ისევ მოესმა, შემპარავად წამოიწია; მთვარით განათებულ ხევში, ბუჩქებს შორის, უცხოს მოჰკრა თვალი. არ ელოდა. უცხოს უჭირდა ამოსვლა, ბუჩქებს ეჭიდებოდა. დროდადრო ჩერდებოდა კიდეც;

ტაკვირვებით ათვალიერებდა იქაურობას, სადაც ტატო იდგა, თითქო ეჭვობს, ხომ არ მეჩვენებაო და ისევ მიიწევდა მაღლა ხვნეშით, უსწორმასწორო ნაბიჯით. ტატომ ზურგი შეაქცია იმ მხარეს, საიდანაც ის შავით მოსილი მოდიოდა და გულზე ხელდაკრეფილმა ქვემოთ, ქალაქისაკენ იწყო ცქერა. შავით მოსილი უცხო მაღლობზე ვაი-ვაგლახით ამოვიდა, სამოსის კალთები გულმოდგინედ ჩამოიბერტყა. შემდეგ ერთი-ორჯერ მორიდებით ჩაახველა, ნელი, შემპარავი ნაბიჯით ტატოს დაუახლოვდა და ბოლოს ისე გაუთამამდა, რომ მის ზურგს უკან აიტუზა. ტატო არ განძრეულა, კვლავ ქალაქს გასცქეროდა. უცხომ ისევ ჩაახველა და გაუკვირდა, რომ ეს ტანმორჩილი, ჩაცმულობით ვიღაც პატარა, საბრალო მოხელე ყურადღებას არ აქცევდა. უცხომ, თითქოს სურს დარწმუნდეს — ეს კაცი ნამდვილად ხორციელი არსებაა თუ არაო, ერთი ნაბიჯი კიდევ წადგა წინ, აქამდე მხრებში ჩამალული თავი უცებ წამოსწია, კისერი სასაცილოდ წაიგრძელა, მარცხნიდან და მარჯვნიდან შეავლო თვალი ჭაბუკს. რაკი მის იერში არაფერი საეჭვო და საფრთხილო არ ენიშნა, თავი ისევ ჩამალა მხრებში. მარცხენა ხელი წვერის ბოლოზე მოივლო და მოშიშარის სიფრთხილით წინ წაწვდილი მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტატოს ბეჭზე შეახო. შავით მოსილმა კიდეც იმიტომ გაბედა ასე შეხებოდა უცხო ჭაბუკს, რომ მისი ვარაუდით ის იყო სწორედ ვიღაც უბრალო, უსაქმური, პატარა მოხელე, მაგრამ... თითის შეხების უმალ ტა-

ტო მობრუნდა თუ არა, მის ბუდეშურად მოყვანილ, ახლა ფართოდ გახელილ შავგუგა თვალთა უძიროებაში, როგორც ოკეანეში გადასროლილი კენჭი, ისე ჩაინთქა შავით მოსილი. ამ უცნაურმა გრძნობამ ისე შეაკრთო მოხუცი, თითქო თავის შეკავებას ლამობსო, აკანკალებული ხელი წინ გაიწოდა. ტატოს კი ეგონა, ჩემს იერში ცოდვის მანიშნებელი რამ თუ იხილა და... პირჯვარსა მწერსო... უმალ თავი დახარა. მერე ისევ გაუშტერა თვალი შავით მოსილს და გაოცდა; მოხუცი შიშით აკვირდებოდა მას. თავი უფრო ჩაემალა მხრებში და გაქვავებული მისჩერებოდა მგოსანს. მოხუცი ახლა მარტო ჭაბუკის თვალებს ხედავდა, უცნაურად შავს, აღგზნებულს და უძიროს; მარტო ის აჯადოებდა. როცა შავით მოსილი მოხუცი მიეჩვია მგოსნის თვალთა მზერას, როცა დარწმუნდა, რომ მის წინ ადამიანი იდგა და არა ავსული რამ ჭაბუკის სახით, სულმობრუნებულმა საცოდავად დაიკნავლა:

„ვინა ხარ, შვილო?.. ამ დროს აქ რა გინდა?“ შავი სამოსის ნაოჭში ჩამალული ვერცხლის დიდი ჯვარი მოხუცმა ორი თითით გამოსწია, გამოაჩინა. ტატომ შენიშნა მოხუცის ხელის მოძრაობა, ჯვარი და თვალი გაუშტერა მთვარის შუქზე რელიეფურად გამოკვეთილ ჯვარცმულ ქრისტეს გამოსახულებას. ჯვრის ჭვრეტით გართულმა ტატომ იგრძნო, რომ პასუხი დაუგვიანდა, მარჯვენა ხელით მოხდენილად მოხაზა სივრცე და ნაღვლიანი კილოთი შენიშნა: „ქალაქს დავცქერი!“

შავით მოსილი ტატოს ხან სიბრალულით შეჰყურებდა, ხანაც აღტაცებით; მის ყოველ მოძრაობას ყურადღებით აკვირდებოდა. ეს ჭაბუკი ხან უსაზღვრო ეჭვს იწვევდა მასში, ხან უსაზღვრო ნდობას. ტატო კი მშვიდად შეჰყურებდა შავით მოსილს და ოდნავადაც არ ამჟღავნებდა გულისწყრომას თუ უკმაყოფილებას იმის გამო, მოულოდნელი წვევით მყუდროება რომ დაურღვია ოცნების წიაღს შეხიზნულ მგოსანს. მდუმარე, მაგრამ გამომწვევად მზირალ მოხუცს ტატომ გაუღიმა და ხელები გაშალა:

„წყნარს საღამოს ვეტრფი, მამაო! როცა ამ უდაბურს ადგილს ვესტუმრები, მავიწყდება საწუთროება!“

ეშმაკურად თვალმოჭმულმა მოხუცმა მალვით მიმოიხედა ირგვლივ და თავისი მზერა ისევ ტატოს მიაპყრო. ტატოს მოგრძო სახე ახლა მთვარის შუქზე უფრო ფერმკრთალი ჩანდა, წარბებს და თვალებს კი სიმუქე ერთიორად მომატებოდათ.

„რა დაგიშავა, შვილო, საწუთრომ, მის დავიწყებას რომ ლამობ ჯერ კიდევ ესრეთ ყმაწვილი?!“

ტატომ მოკლედ, მკაფიოდ მიუგო:

„გამამწარა!“

შავით მოსილს თუმცა ეოცა პასუხი, ჭაბუკის გულისტკივილი იდუმალ თვითონაც გაიზიარა, მაგრამ უბრალო, ადამიანური სიბრალულით ის მაინც არ შებრალებია. წინ ფრთხილად გაწვდილი ხელი მხარზე დაადო და დაიკნავლა: „ჰრქუა იესუ: უკეთუ

სოფელმა თქუენ მოგიძულოს, უწყოდეთ, რამეთუ პირველ მე მომიძულა!“

ბედის მომდურავი მგოსანი თუმც ქალაქს გადასცქეროდა, მაგრამ გულისყური შავით მოსილი მოხუცისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, მოწიწებით უსმენდა.

შავით მოსილიც ტატოს მოწიწებით შესცქეროდა და სანამ რამეს ეტყოდა, ქერა ულვაშის ღერებით ნახევრად დაფარულ თხელ ტუჩებს გამალებით აცმაცუნებდა.

„ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს!“

ამ სიტყვებმა ტატო უფრო ააღელვა.

„ცხონებას არ ველი!“ — გაიფიქრა თავისთვის, მოხუცს კი ირონიული ღიმილით ჰკითხა: „და ტანჯვაც სიხარულით მივიღო მუდამ?!“

შავით მოსილმა უწამწამო ქუთუთოების დაფახულებით დაუდასტურა კითხვა და წასვლა დააპირა.

ტატომ უფრო გესლიანად გაიღიმა.

„ასპუჭაკი ხომ არა ვარ, მამაო!“

შავით მოსილი მობრუნდა. ტატოს სიტყვები კარგად არც კი გაუგონია.

„ღმერთი მოწყალეა... ილოცე!.. წადი...“

ტატო დაეწია მოხუცს, ფერდობზე ჩასვლაში შეეშველა.

„სად წავიდე ესრეთ უბედო?!“ — კვლავ დაფარული ირონიით იკითხა ტატომ მცირე დუმილის შემდეგ.

შავით მოსილი უთუოდ შინ წასვლას გულის-

ხმობდა, როცა ტატოს უთხრა — „წადიო“, მაგრამ ახლა, როგორღაც ეხამუშა, ეცოტავა თავისი რჩევა და...

„მონასტერში!“ — ყოყმანით დაუმატა ნათქვამს.

ტატომ გაიღიმა, ჩვეული ირონიით ჰკითხა შავით მოსილს:

„განა იქ... კოჭლებს ღებულობენ?..“

მოხუცი უმალ შედგა; ახედ-დახედა ჭაბუკს, მერე ისევ განაგრძო გზა ფრთხილად. ახლა აღმართს შეუდგნენ ისინი. ტატო ვერ ისვენებდა.

„თქვენ მაინც თუ ხართ, მამაო, კმაყოფილი ბედისა, ღვთის განაჩენისა?“

„ღვთის განაჩენს ვერავინ დაემდურება, ვერც გაექცევა! — ცოტა ხანს იყუჩა, შემდეგ განაგრძო: — შვილო ჩემო! ამა ქვეყნად, ალბათ, გიჟიც არ არის კმაყოფილი და ჭკვიანს ვით დასძრახავ, თუ... — აქამდე რომ ბუტბუტით მიაბიჯებდა შავით მოსილი, უცებ შედგა, ტატოს მხარზე ხელი მოხვია, თითქოს დიდ საიდუმლოს უმხელსო, მრავალმნიშვნელოვნად წასჩურჩულა ყურთან: — ადამის ძე ხარბია, ხა-რ-ბი!“

ტატომ და შავით მოსილმა ერთსა და იმავე დროს შეხედეს ერთმანეთს. აქამდე მინაბული თვალები მოხუცმა უცნაურად გამოაკვესა და ისევ ნელიად მინაბა, გულის სიღრმიდან კი იდუმალი ოხვრა აღმოხდა.

ტატო დააფიქრა ამ საყოველთაო, ადამიანურმა ჩივილმა და უკმაყოფილებამ, ყოველი მეტყველი სუ-

ლიერის არსებაში ნაპერწკალივით ოდნავ შესამჩნევად რომ გაიკიაფებს ხოლმე დროდადრო.

როცა გრიბოედოვის აკლდამის ცოტა ქვემოთ ბილიკზე გავიდნენ, შავით მოსილმა გზა დაულოცა ჭაბუკს. ტატომაც ღამე მშვიდობისა უსურვა, მოწიწებით, თავის ოდნავ დახრით გამოემშვიდობა. ვიდრე აქაურობასაც დაემშვიდობებოდა, მგოსანმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მთვარის შუქით განათებული მონასტრის პატარა, უბრალო, მაგრამ ახლა საოცნებოდ აზიდულ შენობას, გულისტკივილით, ძალით მოსწყვიტა თვალი ამ სანახაობას და ბილიკზე თავქვე დაეშვა.

ტატოს ჯერ უხაროდა, ჩქარი ნაბიჯით რომ მიექანებოდა დაღმართზე; უნებლიე დაძაბულობა მხნეობას ჰგვრიდა, მაგრამ ანაზდად იმის გაფიქრებამ, რომ ეს სწრაფად გადადგმული ყოველი ნაბიჯი აშორებდა, იქნებ სამუდამოდაც, ამ წმიდა მთის დამაფიქრველ, ვერან და უდაბურ ადგილებს, რომელთაც, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ უძღვნიათ მისთვის შვება, განუქარვებიათ მჭმუნვარება და შთაუნერგავთ ხვალინდელი დღის რწმენა და სიხარული, შეაძრწუნა მგოსანი. ტატომ მარცხენა ხელი უმალ მკერდზე იტაცა, მარჯვენა კი ბუჩქის გამოწვდილ ტოტს მოავლო და მკვირცხლად შემობრუნდა. ქვემოდან ერთხელ კიდევ გახედა ნაპრალების განიერი ჩრდილებით დასერილ მთაწმინდის უბეში მონასტრის ოქროსფრად მოკიაფე ჯვარს. მუქ-ლურჯი ცის თაღი ურიცხვი ვარსკვლავებით მოოჭვილი და ამ თაღში ჩასმუ-

ლი მრგვალი სარკმლიდან გადმოფრქვეული შუქი სიზმარივით აფერადებდა და აჰაეროვნებდა მონასტრის თეთრ შენობასაც, მოედანსაც და მდუმარებით აღვსილ ნაპრალებსაც. ახლა ამ მთას, ნაპრალებს, ამ ცას ხარბად შესცქეროდნენ ბუდეშურად მოყვანილი თვალები და როგორც ციური ცვარი შვენოდა ცისკარზე მთაწმინდის ბალახს და ყვავილებს, ისე შვენოდა ახლა მგოსნის თვალებს იდუმალი ცრემლი.

დიდხანს იდგა ასე, ცისაკენ თვალმიპყრობილი, მოჯადოებული ტატო და მის ხსოვნაში თავაწყვეტილი მერნის სისწრაფით მიჰქროდნენ მოგონებათა წყებანი.

ეს მოგონებები არც მაშინ დამცხრალან, როდესაც ტატომ პირი იბრუნა და კვლავ განაგრძო გზა ქვემოთ.

ბილიკი დასრულდა. მთის ძირას გზა ერთბაშად ფართოვდებოდა, დაღმართ-დაღმართ ეშვებოდა გოლოვინის პროსპექტისაკენ.

გზის ორივე მხარეს მოჩანდა ხეხილში და ვარდის ბუჩქებში ჩამჯდარი თითო, უფრო იშვიათად ორსართულიანი კოხტა სახლები. მეორე სართულის ვიწრო ღია სარკმლებით ოთახში დაილალებოდა მთვარის შუქი, ორ-სამგან ბუუტავდა ციცინათელასოდენა ალი ჭრაქისა.

ფართო გზის დასასრულს, სადაც მას ჰკვეთდა გოლოვინის პროსპექტი, მარჯვნივ იდგა ამ უბნის მშვენება — სახლი ალექსანდრე ჭავჭავაძისა. მეორე სართულზე კუთხის ოთახი გაჩირაღდნებული იყო.

მყუდროებით მოცულ ქუჩას ღია ფანჯრებიდან ეფინებოდა ფორტეპიანოს ხმა და ქალის სიმღერა. ტატოს ყურადღებაც უნებლიეთ მიიქცია გაჩირაღდნებულმა ფანჯრებმა, ფორტეპიანოს ხმამ და სიტყვებმა — „ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა...“ მგოსანმა ნაბიჯი შეანელა, ფანჯრის მიმართულებით გადაჭრა ქუჩა, სახლს ფეხაკრეფით ჩაუარა. ფორტეპიანოს აკომპანიმენტზე მინორულად, გულისმომკვლელად მღეროდა ყმაწვილი ქალი ტატოს ლექსს... ტატო უკვე პროსპექტის მეორე მხარეზე იყო გადასული, როცა უკანასკნელად შორით მოესმა აღგზნებული ქალწულის დაუცხრომელი „ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა“. უკანასკნელად მოხედა ჭავჭავაძის სახლს მგოსანმა — ფართოდ გაღებული ფანჯრიდან გაჩირაღდნებული ოთახის მოპირდაპირე კედელზე დაინახა ყელაზიდული ლანდი, რომელიც ირხეოდა სიმღერის ტაქტზე.

ხვალ დილით თელავს გამგზავრების მოლოდინში თბილისზე უკვე გულაყრილ მგოსანს ერთი წამით კვლავ მოენატრა მშობლიურ ქალაქში ყოფნა... მთაწმინდაზე შემოღამება... გარეუბნის ბაღებში მოლხენა და გვიან ღამით, კეკლუცი ქალწულის ნელ-ნარნარი ხმით შესრულებული „ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთას“ იდუმალი მოსმენა. მაგრამ, როგორც ბევრ სხვა ოცნებას მგოსნისას, ამ უკანასკნელსაც არ ეწერა აღსრულება. ტატოს ისღა დარჩენოდა ნუგეშად, რომ ჟამთა ვითარებაში მისი გულის კაეშნიანი ოხვრანი შეუმჩნევლად იჭრებოდა თანამემამულეთა

გულში და ყარიბი მგოსნისადმი თანაგრძნობით მსჭვალავდა მათ.

შუაღამეს ქალაქი მდუმარედ ეგებებოდა. აუტანელია და შემზარავი ეს მდუმარება, როცა ქალაქს ბნელიც მოსავს და ყოველი ხე თუ შენობა შიშის მომგვრელ მოჩვენებასავით ოდნავ გასარჩევად აღმართულა წყვდიადში. ახლა კი მთვარის შუქით მოსილ არემარეში ყველა შენობა, ხე თუ ბორცვი ამაღლებული და გასპეტაკებული ეჩვენებოდა მგოსანს. ბევრმა ტკბილმა მოგონებამ გაიფაჩუნა ტატოს ხსოვნაში კალოუბნისა და გიმნაზიის ხილვაზე... ქაშუეთი ნათლის სვეტივით აზიდულიყო ცაში... სვეტებიანი სასახლე მეფისნაცვლისა მედიდურად გასცქეროდა დრომოჭმულ ყალას, მეტეხით გვირგვინმოსილივით მზირალ ისანს, შორს გადაკარგულ ჩუღურეთსა და კუკიას.

ტატო კვლავ დიღმის კარით შევიდა ყალაში. კართან, სადარაჯო ხულაში, განცხრომით ხვრინავდა აფთიანი ბებერი ჯარისკაცი — ომის ინვალიდი. როგორც ასაკს და დამსახურებას შეეფერება, მათ ღღისითაც ასევე გულდამშვიდებით სძინავთ, წესრიგის დაცვა კი მოქალაქეთა სინდისს აბარია. ტატომ შორიდანვე შენიშნა, რომ შინ მხოლოდ მელიტონის ოთახის ფანჯრები იყო განათებული. ეს ამბავი ავად ენიშნა ჭაბუკს: როგორც წესი, მელიტონის ოთახში ყველაზე ადრე აქრობდნენ სინათლეს. ლოგინად ჩავარდნილ მარშალს ძილი თუმც არ ეკარებოდა, მაგრამ ასე, სიბნელეში და მყუდროებაში განმარტოე-

ბული წარსულის მოგონებით გულს უფრო იოლად იოხებდა.

იმის ვარაუდი, რომ თელავს გამგზავრება რაიმე მიზეზით შეიძლება ჩაშლოდა, გუნებაში გაჩენის დღეს აწყევლინებდა ტატოს; ჩქარი ნაბიჯით მიმავალი, თითქოს თავის თავს აბრაზებსო, უფრო შესამჩნევად კოჭლობდა. რაც მეტად უახლოვდებოდა თავის სახლს, საეჭვო მიზეზით ატეხილი გულის ბგერაც მატულობდა. ქუჩაში, სახლის პირდაპირ, წამით შედგა, ყური მიუგდო, განათებული ოთახის ღია ფანჯრიდან ჩქამიც არ ისმოდა, მხოლოდ დროდადრო ჭერზე გადაიქროლებდა ხელის ლანდი. მაგრამ ეს იდუმალი ქროლვა ლანდისა ავს მაინცდამაინც არას აუწყებდა შეშფოთებულ ტატოს. მან სწრაფად გადაჭრა ქუჩა, სადარბაზო შესასვლელის კარი ხმაურით მოიჯახუნა. თუ სირბილში უშლიდა, კიბეზე მარჯვედ აბიჯებდა დამოკლებულ ფეხს. ბნელ დერეფანში წინგაშვერილი ხელის სავსავით მიიკვლევდა გზას, თანაც მოკლე ფეხს უნებლიეთ უფრო მაგრად, ხმაურით აბიჯებდა. მელიტონის ოთახის წინ, როგორც სჩვეოდა, ოდნავაც არ შეყოყმანებულა, არც ყური დაუგდია — თუ რა ხდებოდა ოთახში. გული ვეღარ უთმენდა, ვიდრე დანამდვილებით არ შეიტყობდა, მართლა ხიფათი რამ ეღობებოდა მის ხვალინდელ გამგზავრებას, თუ ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ეჭვების და გაზვიადებული ცნობისმოყვარეობის შედეგი იყო. ჩასჭიდა თუ არა ტატომ მელიტონის კარის სახელურს ხელი, სხვა დროს მამის მიმართ

ფრთხილმა და მორიდებულმა, ახლა ჯიქურ შეაღო კარი და... სახტად დარჩა...

ტატომ გაკვირვებით მოავლო თვალი ოთახში მყოფთ. კარის გაღების უმალ გამჭოლ ქარზე სანთლების ალს ლიცლიცი შეექმნათ. კარისაკენ გაოცებით მზირალთა სახეზედაც ნელა ირხეოდნენ მუქი ჩრდილები.

ოთახში იყვნენ: ლოგინად ჩავარდნილი მელიტონი, როგორც ლხინში, ისე მწუხარებაში ერთნაირად მიმზიდველი ეფემია, უფროსი და ტატოსი — კატო და მისი მომდევნო ბაბალე. ნინუცას და აპლიპუტილას უკვე ეძინათ. ოთახში იყო აგრეთვე მხედრულად ჩაცმული სტუმარი, რომელიც ტატომ თავდაპირველად ვერ იცნო.

ტატოს დიდი ხანია ელოდნენ. მელიტონს სალაპარაკო ჰქონდა მასთან და რაკი ტატო იგვიანებდა, მამამ იფიქრა, განზრახ არ მეკარებაო. ამის თაობაზე წეღან ერთხელ კიდევ მოუარა ყოფილ მარშალს ძლივს გადავიწყებულ-გადაჩვეულმა სიანჩხლემ. იღბლად, სტუმარი რომ არ მოსვლოდათ, მელიტონს დიდხანს ვერ დააწყნარებდნენ შინაურები.

ტატოს უეცარმა გამოჩენამ, მისმა აგრერიგად შეშფოთებულმა იერმა ენა დაუბა ლოდინით გულგადალეულ შინაურებს. ეფემიას ისე უთრთოდა ბაგე, რომ თავისი ნუგეშის, ერთადერთი ვაჟის დანახვაზე, მისაალერსებელი სიტყვის თქმაც ვეღარ მოეხერხებინა. მელიტონს ბალიშზე მისვენებული თავი კარისაკენ ოდნავ მიებრუნებინა და ირიბად, მწყრა-

ლად გასცქეროდა კარის ზღურბლზე გაშეშებულ ტატოს. ზღურბლზე კიდევ ერთ წუთსაც რომ შეყოვნებულიყო ტატო, მელიტონს დღეს უთუოდ ხელმეორედ აუშლიდა შფოთის საღერღელს. მელიტონის სახის გამომეტყველებამ უთუოდ აგრძნობინა ეს მოსალოდნელი ხიფათი მუდამ უკიდურესად მგრძნობიარე ეფემიას; უკანასკნელი ძალ-ღონე მოაკრებინა, უმალ შვილისაკენ გაეშურა, მამის მოსალოდნელ, უმიზეზო რისხვისაგან რომ დაეფარა იგი, ისედაც შერისხული და ყველასაგან შეუწყნარებელი.

როგორც ჯამს ორივე ხელს შემოაჭდობენ, ისე მოხვია ტატოს ყბებს ხელი და თვალთა ნეტარების გამომხატველი ნაბვით სამჯერ უხმოდ აკოცა შუბლზე ეფემიამ. შვილის ალერსით ასე იოლად ეფემია გულს ვერ იჯერებდა სხვა დროს, მაგრამ ახლა მარტო არ იყო და ოთახში მყოფთ, განსაკუთრებით მელიტონს და სტუმარს, უყურადღებობად რომ არ ჩამოერთმიათ მისი ზურგშექცევით დეომა, უმალ მობრუნდა ეფემია.

„ტატო, შვილო, ვერ იცან, განა?!“ — და სტუმარზე ანიშნა. სტუმარი წამომდგარიყო, ტატოს გულღიად, თანაც გაოცებით უღიმოდა. ეფემიამ ტატო წინ გაუშვა, თვითონ ფეხაკრეფით აედევნა მის ლანდს. სტუმარიც გამოემართა მოზომილი, მხედრული ნაბიჯით. ცალი ჩექმის ჭრიალი თითქოს ხაზს უსვამდა ნაბიჯის რიტმს. სტუმარმა და ტატომ ჯერ მორიდებით გაუწოდეს ხელი ერთმანეთს, მერე თითქოს სითამამე მოემატათო, გადაეხვივნენ კიდეც და

სამჯერ ლოყის მონაცვლებით გადაჰკოცნეს ერთმანეთი. როცა ასეთი მეგობრული სალმით და ფერებით გული იჯერეს, კვლავ შორიახლოდან აათვალჩაათვალიერეს ერთიმეორე და ტატომ, სტუმარზე ცოტა დაბალმა, ქვემოდან უსწორა თვალი და სიხარულისაგან ათრთოლებული ბაგით წარმოთქვა სმადაბლა:

„მამუკა!“

ოთახში მყოფთ გული აუჩუყდათ. ეფემიას ცრემლიც მოერია. მარტო მელიტონი გამოიყურებოდა მკაცრად და ცივად.

„ტატო... ტატო!..“ — სიხარულითვე იმეორებდა მამუკა თავისი სკოლის ამხანაგის საალერსო სახელს.

როგორც პირველად ჩასჭიდეს ხელი ერთმანეთს, ისევე ხელგაუშვებლად გადადგეს რამდენიმე ნაბიჯი და ერთმანეთის გვერდით ჩამოსხდნენ ტახტზე ტატო და მამუკა. ვიდრე ტატო გამოჩნდებოდა, მელიტონის ლოგინის თავთან ახლო, დაბალ, მრგვალ მაგიდაზე, ორი თეფშით მორთმეულ ბალს შეექცეოდა სტუმარ-მასპინძელი. ბალი დილით ორთაჭალის ბაღიდან გამოეგზავნა მელიტონისათვის ძველ ნაცნობ მებაღეს. როცა ტატო და მამუკა ტახტზე ჩამოსხდნენ და ოთახში კვლავ მყუდროება ჩამოვარდა, ბაბალემ შენიშნა: ტატო რაღაც დაჟინებით მისჩერებოდა თეფშებზე ლალისფრად მოკიაფე ბალის მარცვლებს, იფიქრა, მონატრებიაო, და გადაწყვიტა მიერთმია; მაგრამ მელიტონსაც რომ გადახედა, ცოტა შეყოყმანდა. მაინც გაბედა ბაბალემ, კუნწებშეერთებული

ორი წყვილი მარცვალი გამოარჩია და ლალისფერი ბალი სიცილით და სიყვარულით ყურებზე დაჰკიდა ძმას, როგორც ბავშვობაში სჩვეოდა. დის ალერსი და ხუმრობა ტატოს გულში დიდად ეამა, მაგრამ ვერ შეიმჩნია, თუმც ეწადა.

მელიტონის სიახლოვეს ტატო თავს მუდამ უხერხულად გრძნობდა. ვერც ლხინში, ვერც ჭირში მათ გული ვერ გადაუშალეს ერთმანეთს, ვერ დაახლოვდნენ, ვერ მორიგდნენ. მელიტონი დამბლადაცემის შემდეგაც ანჩხლობას ვერ იშლიდა; ტატო კი, სულიერად აფორიაქებული, მუდამ მყუდროების ძიებაში იყო, თუმც არაფერი გამოუდიოდა. კარგად გრძნობდა, იცოდა, სანეტარო მყუდროებას მელიტონის ჭერქვეშ ვერ ჰპოვებდა, მაგრამ მაინც საკუთარი თავის გაწირვა, მსხვერპლად მიტანა უფრო ეადვილებოდა, ვიდრე სხვისა.

„ასპუჭაკი ვარ, ასპუჭაკი, ეს ქვეყანა კი უდაბნოა ჩემი სულისათვის!“ — ხშირად უფიქრია გამწარებულს, მაგრამ მისი გულის ესოდენი ჩივილი ხმამაღლა ჯერ მაინც არავის სმენოდა, გარდა ორიოდე მეგობრისა. თუ გამძლეობა არ აკლდა ლხინში, უფრო გამძლე და სულგრძელი იყო ჭირში. ალბათ ამიტომ, დიდად გაჭირვებულიც თუ იცინოდა და თან ცრემლები სდიოდა, გარეშენი სიცილს ამჩნევდნენ, ცრემლებს კი ვერა, და ეგონათ, რომ არც ისე ცუდად არის „სასამართლოსა და განჩინების“ მდივნისა და მაგიდის უფროსის საქმე, როგორც ზოგნი ფიქრობენო. ტატო მათთვის იყო მხოლოდ უბრალო მოხელე, სა-

გუბერნიო მდივანი. ისინი კარგად ხედავდნენ მის შავ სერთუკს და მოხელეთა წესისამებრ, მუნდირის მიხედვით სცემდნენ პატივს; მაგრამ მაგიდის უფროსს სერთუკს შიგნით თუ მგზნებარე პოეტის გული უცემდა, მათ ეს ვერც წარმოედგინათ, ვერც ეგრძნოთ, ვერც მიმხვდარიყვნენ, თუმცა სმენოდათ, რომ „ისიც ვითომ“ ლექსებს წერდა...

„მე ისევ იქ მეგონე... შენი ამბის შესატყობად შემოვიარე, რას ვიფიქრებდი, თუ აქ დამხვდებოდი, — გაკვირვებულის კილოთი, დინჯად, სვენებსვენებით ლაპარაკობდა მამუკა, — ასე მალე გამოექეც ნახიჩევანსა?!“

ტატომ მტყუანსავით დახარა თავი, ბალის კუნწები, რომლებიც ყურებზე შერჩენოდა, ახლაღა იგრძნო და ჩამოიხსნა, ლალისფერი მარცვლები ხელისგულზე დაიწყო.

„მაინც რად გამოექეც?“ — კვლავ გაუმეორა მამუკამ.

„ბედს ეძიებს!“ — უადგილოდ იხუმრა კატომ.

ტატოს არ მოეწონა დის ირონიული სიტყვები, თავის შეკავება სცადა, მაგრამ მაინც დასცდა უნებლიეთ:

„...და ვინც ეძიებს, განა ყველა ჰპოვებს, არა?..“

თავქვეშ ხელებშემოწყობილმა, აქამდე ბაგემოკუმულმა მელიტონმა საწოლის ბოლოში მდგომ ეფემიას შეხედა და, თითქოს მას უსაყვედურებსო, გესლიანად თქვა:

„მაგისოდენი კაციშვილს არ ურბენია, მაგრამ

ჯერ ვერაფერი ჰპოვა... მხოლოდ წაღები გასცვითა...“

ტატომ კიდევ უფრო ჩაჰკიდა თავი, ბალი იატაკზე დაუცვივდა. ეფემიამ თვალი მოარიდა მელიტონს. ფეხაკრეფით გაემართა ტახტისაკენ, ვაჟს გვერდით მიუჯდა, ჩუმი მიალერსებით მისი გამხნევება სცადა.

ტატოს გულით ეწადა მელიტონის ოთახიდან გასვლა, მაგრამ სტუმრის ხათრით თავს იკავებდა, თვითონ არას ამბობდა, სხვები კი ვერ მიმხვდარიყვნენ ტატოს გულის წადილს.

მამუკას არ ეამა ტატოს ასე ამოჩემება და გესლვა. რაც აქამდე გაეგონა მელიტონის უხასიათობის ამბავი, ახლა ცხადად იხილა, საკუთარი ყურით მოისმინა და უფრო მეტად ეტკინა გული, ვიდრე ოდესმე სტკენია, უფრო მეტად შეებრალა სიყრმის მეგობარი.

„ტატო“...

„მამუკა... შენ მაინც თქვი სანუგეშო რამ...“

„აკი ვაპირებდი...“

„მაინცა?..“

„წეღან აპლიპუტილა მუხლებზე მეჯდა... კარგად რომ დავაცქერდი, საოცარი მსგავსება დავინახე...“

„არ ვუსურვებდი, მე რომ მგვანებოდა!“

„რათა?!“ — გაოცდა მამუკა.

„რათა, შვილო?!“ — წყენით, თანაც ალერსით გაიმეორა ეფემიამ.

„ერთი უბედურიც ეყოფა ჩვენს ოჯახს!“

აქამდე მელიტონი სულგანაბული რომ უგდებდა ყურს ამ საუბარს, ვაჟის შენიშვნაზე მყის აენთო,

მელიტონს ეგონა, ეს გადაკრული სიტყვა მე მეხებაო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ იმ სიტყვებში ტატო თავის თავს, თავის უბედობას გულისხმობდა.

„მაგას რად ამბობ?!“ — წაიჩურჩულა შვილის ცოდვით დათუთქულმა დედამ.

ტატომ თუმცა ნუგეშის თვალით შეხედა დედას, მაგრამ ვერც ამან გაუმრთელა გული ეფემიას. დაუსაბამო დარდს და ვარამს მისი სათნო სახე ისე დაედაღა სევდის ბეჭდით, რომ ახლა საწყენ სიტყვებსაც კი აღარ შესწევდა ძალა, ეფემიას ტანჯული იერი კიდევ უფრო გაეძლიერებინათ.

„ტატო, გესმის?“

„მესმის, მამუკა!“

„მეც იმას ვამბობდი, რომ... ჩვენ მუდამ გვესმოდა ერთმანეთისა!..“

„ოღონდაც!“

მამუკამ მხარზე ხელი გადახვია ტატოს, თავისკენ მიიზიდა.

„რამდენჯერ მსმენია შენგან... ერთი დამხმარე მინდაო, ხრიოკს ადგილს რომ გამიყვანოს და გაშლილს ადგილს დამაყენოსო... შენთვის მართლაც რომ ერთობ ხრიოკი იყო ის პალატა. — მამუკამ გაბმით ამოიოხრა, გაიფიქრა: „თავი შეურცხვეს გრიგოლსა!.. ნამესტნიკის ტოლი კაცია და... ნეტავი ისეთი რა გაუჭირდა, თავისი დისწულისთვის ერთი კარგი სამსახური ვერ იშოვნა“... მამუკამ კვლავ მიიზიდა, შეანჯღრია ტატო, თითქოს ამხნევებსო. — მე კი... იმდენი რა შემიძლიან, ტატო, მაგრამ... თუ გამომყვები...

იმ ხრიოკს ადგილს როგორმე გაგიყვან და, მერე შენ იცი!.. მჯერა და დიდი იმედიცა მაქვს — ივარგებ, გვასახელებ! თუმცა... ისიც კმარა, რაც გვასახელე!.. ტატო, ერთი ოჯახიდან შარშანწინ შენი „მერანის“ ხელნაწერი წამოვიღე, მას აქეთ თან დამაქვს უბით და ასე მგონია, მეც იმ მერანზედა ვზივარ... ვისაც წავაკითხე, ზოგი ლამის გაგიჟდა, ზოგს ცრემლი მოერია...“ — მამუკა გატაცებით ლაპარაკობდა ტატოს „მერანზე“ და ხან კატოს შესცქეროდა, ხან ბაბალეს.

„სწორედ რომ შეჰზარავს კაცსა: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის“... გახსოვს, კატო?.. — კატო სახეზე წამოწითლდა. — „არც შენ გახსოვს, ბაბალე?..“ — ბაბალემაც ისე უხერხულად გაიღიმა და გაიქნია თავი, რომ მამუკასაც კი შერცხვა; ტატოს მალულად გადახედა. მგოსანს თავი ჩაეღუნა, მამუკამაც დახარა თავი და უფრო წყნარი, თითქო გულის სიღრმიდან ამოსული ხმით განაგრძო:

„ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის,
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ჭარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!“

„გეყოფა, მამუკა! — ვედრებით წასჩურჩულა ეფემიამ და უმალ ტატოს მიუბრუნდა: — რათა, შვილო... სამაგისოდ რომ არ გაგვიწირიხარ?!.“

კატო და ბაბალე ისეთი გაოცებით შესცქეროდნენ ტატოს, თითქოს მისი „მერანი“ ჯერ არა სმენიათო. მელიტონს ფართოდ გახელილი თვალები ჭერისაკენ მიეპყრო და ქვასავით მდუმარებდა. მამუკამ ვერ შეისმინა ეფემიას ვედრება, მაინც განაგრძო:

„სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას,
არც აწ ემონოს შენი მხედარი!“

ეფემიას თავშეკავებულმა ქვითინმა უნებლიეთ შეაწყვეტინა მამუკას ლექსის კითხვა; ტატოსაც, მამუკასაც ცრემლი მოერიათ. წამით გამეფებული დუმილი ისევ მამუკამ დაარღვია:

„ტატო! ეს რამდენი ხანია, ელისავეტპოლის მაზრის უფროსი გახლავარ!.. ალბათ, შეიტყობდი“.

ტატომ თავი ასწია, მაგრამ მამუკასათვის არ შეუხედავს, ისე გაოცებით, თან სიხარულით მიუგო:

„არა მსმენია რა!..“ — და მოწონების, წაქეზების ნიშნად წარმატებულ მეგობარს ორ-სამჯერ მხარზე რბილად დაჰკრა ხელი.

„ტატო! ყველაფერი შევიტყვე შენს მოსვლამდე... არა უშავს... მოდი, შენს ვაჟკაცობას, გამომ-

ყე...— მამუკამ თვალი გაუსწორა ტატოს.— ჰო, დაეხსენ თელავსა".

მამუკას უკანასკნელ სიტყვებზე ტატო შეკრთა, ყველას ყურადღება მიიპყრო მისმა მოძრაობამაც და უჩვეულო იერმაც.

„ელისავეტპოლსა?!" — იკითხა განცვიფრებულმა.

„ჰო, ჩემთან წამო... ელისავეტპოლსა!"

ამის ხელმეორედ გაგონება და ტახტზე მამუკას გვერდით მჯდომარე ტატოს ხარხარით კედლისაკენ გადაქცევა ერთი იყო.

ქალებს ფერი ეცვალათ. ორმაგმა შიშმა შეიპყრო ისინი. აღარ იცოდნენ, ტატოს მიშველებოდნენ, თუ მელიტონის მოსალოდნელი გაანჩხლების საწინააღმდეგოდ ეღონათ რამე. ტატო გულამომჯდარი ხარხარებდა, ტახტზე წამოწოლილი მთელი ტანით ტოკავდა, ხელ-ფეხსაც ისე იქნევდა, თითქოს უღიტინებენ და თავს იცავსო. მართალია, მისი ხარხარი დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ სიცილი მაინც არ შეუწყვეტია. შინაურები ვერ მიმხვდარიყვნენ, მართლა იცინოდა იგი თუ ტიროდა. კატომ წყალი მოარბენინა ფინჯნით, მაგრამ ტატომ არ დალია.

მამუკა პირველად გაამხნევა კიდევაც ტატოს გულმოდგინე ხარხარმა. ეგონა, ჩემი რჩევით გავახარეო. მაგრამ მალე მიხვდა, რომ ტატოს უჩვეულო ხარხარი სიხარულისა არ იყო. უმალ დადუმდა გაწბილებული მეგობარი. ის ახლა შუა ოთახში იდგა და მალვით ხან მელიტონისაკენ აპარებდა მზერას, ხან

ტატოსაკენ. ტატო ისევ იცინოდა რაღაც უცნაურად, უსიამოვნოდ.

დედა და დები თავს ევლებოდნენ, რიგრიგობით ჩასძახოდნენ „რა დაგემართა, რა ამბავიაო“, მაგრამ ვიდრე ღონე შესწევდა, ტატოს სიცილი არ შეუწყვეტია. როცა გაყუჩდა, მარტო მაშინღა აუწყა იქ მყოფთ, რაც დაემართა, რა ამბავიც იყო მის თავს, რასაც მოასწავებდა ეს უცნაურად ატეხილი სიცილი. მამუკას კითხვაზე — „ტატო, ეგრე რად იცინოდიო“, ტატო გაოცდა:

„ვიცინოდი?! თუმცა... სწორედ რომ სასაცილოა ჩემი საქმე!.. სულ იმის შიში მქონდა, თელავს წასვლა ჩამეშლება-მეთქი, თუმცა... უმაღლეს გვამთა მიერ უკვე გამწესებულ ვიქმენ. ადგილზე და... გზის ხარჯიც მომცეს, მაგრამ რა შეუძლიანთ თურმე თვით უმაღლეს გვამთაც, თუ... — მწარედ ჩაეცინა. — მაინც რა საკვირველი რამ არის ადამიანის წინაგრძნობა... რარიგ ვჩქარობდი აქაურობას გავცლოდი... ერთი ღამეღა დამრჩა გასათევი და... ვჩქარობდი იმისათვის, რომ ეჭვი არ მასვენებდა... ვეჭვობდი იმისათვის, რომ ამ სურვილის განხორციელებაც ნაკლებად მჯეროდა“...

აქამდე ტატო მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი და თვალებით იატაკის ერთ წერტილს მიციებული საერთოდ, ყველას გასაგონად, თუ მარტო თავისთვის ლაპარაკობდა, ახლა უცებ შეიცვალა მდგომარეობა, მეგობარს მიუბრუნდა და გაბედულად ჩახედა თვალებში.

„მამუკა! რაც თავი მახსოვს, პირველად და იქნებ უკანასკნელადაც შეისმინეს ჩემი თხოვნა... ძლივს რიგიანს ადგილს გამამწესეს და ახლა ჩემს წადილზე უარი ვთქვა?!“

„ტატო! — წაიჩურჩულა მამუკამ და ისე შეხედა, რომ ძნელი იყო ამ შეხედვას თანაგრძნობა არ გამოეწვია სიყრმის მეგობარში. — ტატო, მენდე! მაინც რა გაგიხდა ეგ თელავი... რა უნდა იზიდავდეს იქით შენს გულსა... რომელი მეგობარი გელოდება... რა იცი, ვინ ოხერია, ვის ხელში უნდა ჩავარდე!.. ელისავეტპოლს კი მე გახლავარ და... შენს თავს იქ ვერავინ დამიჩაგრავს!.. მელიტონ ნიკალაიჩს წეღან ვეთათბირე... ჩემს რჩევას მხარს უჭერს. ეფემია კი... ცოტას ჭოჭმანობს, მაგრამ... დედის გულს სხვარიგად არც ძალუძს“.

ეფემიამ თავი ასწია, მამუკას მავედრებელი მზერა მიაპყრო და შიშით, ხმის თრთოლვით წაიჩურჩულა:

„შორია, მამუკა!“ — გუნებაში კი გაიფიქრა: „სულ არ დავკარგო, მე უბედურმა!“

„ტატო, მაშ... ჩემი რჩევა ჭკუაში არ დაგიჯდა! — წყენით შენიშნა მამუკამ. — შენ ოღონდ დაგვყაბულდი და... დანარჩენი ჩემზედ იყოს, უფროსებს მე დავითანხმებ!“ — მამუკა მალვით, შუბლის ქვემოდან გასცქეროდა მდუმარე მეგობარს და თან გულისტკივილით ფიქრობდა: „ყველაფრით ღირსეულს, ყოველივე ამქვეყნიურის სიკეთის ღირსს ჯერჯერობით არაფერი არ ეღირსა!“

„მე თელავს წასვლა მინდოდა, მაგრამ... ესეთი ყოფილა ჩემი ბედი!.. საითაც პირს ვიზამ, რაღაც განგება უმალ შემაბრუნებს და სულ სხვა მხრით მანიშნებს... მამუკა! უარს გეტყოდი, დაჯერებული რომ ვიყო, კვლავ სხვა რამ მიზეზი არ გადამახვევინებდა ჩემის ნებით არჩეული გზიდან... რახან შენ მირჩევ და ჩვენებიც თავიანთი დუმილით გემხრობიან, წამოვალ... ელისავეტპოლსა!“

ამ თანხმობამ მარტო ეფემია შეაკრთო. ოთახში მყოფთ თვალი მოავლო. ყველანი დუმდნენ. მამუკას რჩევას აქამდე კეთილ, მეგობრულ სურვილად თვლიდა ეფემია,..ის კი ვერ წარმოედგინა, თუ ტატო ასე მოულოდნელად გამოიცვლიდა აზრს და პატარა კახის ძველ ბუდეს — თელავს — ზურგს შეაქცევდა. შვილის გადაწყვეტილება, თელავს წასვლაზე უარი, ავად ენიშნა ეფემიას. კვლავ გაოცებით მოავლო თვალი შინაურებს და გაიფიქრა: „ნუთუ ვერავინ გრძნობს, არავის ესმის ტატოს შეცდომის სიცხადე“. რაკი უმრავლესობა საბედისწერო დუმილით მამუკას რჩევას და ტატოს განზრახვას მხარს უჭერდა, მარტო ეფემიას რაღა შეეძლო... სასოწარკვეთილმა ესღა თქვა კვნესა-ვედრებით:

„შორია, ხალხო!..“

მაგრამ რახან შინაურები, მამუკაც საქმეს უკვე მოგვარებულად თვლიდნენ, ახლა ელისავეტპოლის სიშორესაც არად აგდებდნენ, ზედმეტად მიაჩნდათ ასეთ წვრილმანზე წუხილი.

„ეფემია, გეთაყვა, — ცალყბად გაუღიმა მამუკამ

ტატოს დედას, — ნუ გედარდება... თუ ელისავეტპოლი აქედან შორსაა, სამაგიეროდ... ტატო ჩემთან იქნება ახლოსა“.

ვერც ამ შენიშვნამ დააწყნარა დედის საეჭვოდ ატეხილი გული. თუმც მამუკას აღარაფერი უთხრა, მაგრამ გუნებაში ერთხელ კიდევ გაიფიქრა შიშით და სინანულით: „სულ არ დავკარგო, მე უბედურმა!“

სულოაგას ქუდი

სურათზე მუშაობა მხატვარს დღეისათვის უკვე დამთავრებული ჰქონდა. ის იყო ატელიეს ალაგებდა, რომ კარზე კაკუნი გაისმა. კარი სწრაფად გააღო და სახტად დარჩა: სტუმარს არ იცნობდა, მაგრამ უმალ მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. კიბის ბაქანზე, კარიდან სამიოდე ნაბიჯის დაშორებით, იდგა წარმოსადეგი მამაკაცი. ეს იყო ნამდვილი ცოცხალი პორტრეტი — ველასკესის ფუნჯით დაწერილი ოლივარესის გათანამედროვებული ორეული. მასპინძელს უმალ თვალში ეცა მისი წარმოსადეგობაც, იერიც და ჩაცმულობაც — ფართოფარფლიანი შავი შლაპა, მზით გარუჯული ხორბლისფერი სახე, შავი თვალწარბი, შავი ულვაში. შავი მოსასხამი „კაპ ნუარის“ ერთი კალთა მარჯვნიდან მარცხნივ მხარზე მოხდენილად გადაგდებული, მარჯვენა ხელით შემოყრილი დოინჯი და ოდნავ წინ წადგმული მარცხენა ფეხი.

— თუ არ ვცდები, — დაიწყო სტუმარმა, მე მოვედი იმ მხატვართან, რომლის ნამუშევრებიც ვნახე

აშემოდგომო სალონში და საოცრად მომეწონა!.. გუდ... გუდეა... — გვარის გამოთქმა გაუჭირდა, ერთბაშად ვერც გაიხსენა.

გუდიაშვილმა თითქმის შეჰყვირა:

— ეს თქვენა ბრძანდებით, მაესტრო იგნასიო სულოაგა?!. — და თავის დაბლა დაკვრით, ქართულად ხელგაშლილმა მასპინძელმა სახელოვანი სტუმარი შინ შეიწვია.

ეს მოხდა პარიზში, 1920 წლის შემოდგომაზე...

სულოაგამ ჭაბუკ მხატვარს და მასპინძელს თავის ოდნავ დახრით თავაზიანი მადლობა გადაუხადა და ოთახში შევიდა. ერთი შეხედვით მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ოთახის ოთხივე კედელი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებით „გადატვირთული“ იხილა. რომელ კედლისკენაც კი შებრუნდებოდა ამაყად მზირალი სტუმარი, ამ გაოცებისა და კმაყოფილების ნიშნად უმალ აღმოხდებოდა ამოჩემებული — „ო“!..

როცა კედლებზე სურათებს თვალის ერთი გადავლებით წინასწარ გაეცნო, მერე, განზე, თითქმის ზურგს უკან მორიდებით მდგარ გუდიაშვილსაც მიაპყრო მზერა. ამ ჭაბუკმა, მართალია, პირველი დანახვისთანავე მოხიბლა სულოაგა თავისი მკვირცხლი თვალებით, განსაკუთრებული ღიმილით, მიუხედავად სიყმაწვილისა, ოდნავ უკვე შეჭაღარავებული თმითა და უჩვეულოდ შავი, გრძელი და მოხდენილი წარბებით, მაგრამ ახლა შთაგონების კიდევ უფრო მეტი

ცეცხლი აღმოაჩინა მის იერში ესპანელმა და თვალის მოცილება, ცოტა არ იყოს, გაუძნელდა...

— არის რაღაც საერთო ამ სურათებსა და მის ავტორს შორის! ჩემი აზრით, ეს გახლავთ მეტად თვალსაჩინო, უცნაური თავისებურება! არც თქვენი იერის, არც თქვენი სურათების მსგავსი ჯერ არაფერი მინახავს! — თქვა სტუმარმა.

გუდიაშვილმა თავი უხერხულად იგრძნო და, ალბათ, აპირებდა კიდევაც ეთქვა იგნასიოსათვის — ეს მეტისმეტიაო, მაგრამ იგნასიომ აღარ აცალა:

— მე თქვენგან არაფერს გამოველი, რომ პირში ქებით თქვენს თავბრუდახვევას და გულის მოგებას ვლამობდე! მე ესპანელი ვარ, თანაც ორმოცდაათ წელს მიღწეული... მრავალი ჭირ-ვარამის მნახველი და... საკმაოდ მდიდარიც! ასე რომ, მერწმუნეთ, რაც ჩემი სულისა და გულისათვის უცხოა, მის საქებრად ერთ სიტყვასაც ვერ გავიმეტებ! გულწრფელობა და კეთილსინდისიერება როგორც ამხანაგობაში, ისე ხელოვნებაში!

სულოაგა, მართალია, გუდიაშვილს ელაპარაკებოდა, მაგრამ სურათებს გასცქეროდა, თვალი ვეღარ მოეშორებინა მათთვის.

— თქვენს ნამუშევრებში ჩანს სწორედ ის გულწრფელობა, გატაცება, თავდადებული შრომის უნარი და თავმოყვარეობის გრძნობა, რასაც მხოლოდ პრინციპული შემოქმედის მუშაობაში ვხვდებით. რაც უფრო ნიჭიერია ხელოვანი, მით უფრო პრინციპულია და რაც უფრო პრინციპულია, მით უფრო ნიჭი-

ერია! მლიქვნელობა და უპრინციპობა ერთიმეორეზე საძაგელი თვისებებია, რომლებიც ადვილად ააშკარავებენ ხელოვანის უმწეობას და უნიჭობას!.. გახსოვთ, ბეთჰოვენის ბიოგრაფიის დეტალი?.. თურმე, როცა წყალმანკიანს ნემსით მუცელი გაუჩხვლიტეს, ცუდ დღეში მყოფმა გენიოსმა ასე იხუმრა — უმჯობესია წყალი მუცლიდან გამოვიდეს, ვიდრე კალმიდანო!.. მაგრამ ახლა ასეთი სჯა-ბაასის დრო არ არის... თქვენი სურათების დათვალიერება დღის სინათლეზე უნდა მოვასწრო, დღე კი იწურება. არ გაგიკვირდეთ, სენიორ ლადო, მე გატაცების კაცი ვარ და... აი, ხომ ხედავთ, ახლაც ისე გამიტაცა ნიჭიერი უმცროსი კოლეგის ნამუშევრებმა, რომ ქუდის მოხდაც კი დამვიწყებია!.. — მან ხელის მარჯვე მოძრაობით მოიხადა შლაპა, ოთახს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი და შემოსასვლელთან შენიშნა თუ არა ტანსაცმლის საკიდი, უმალ მიაშურა. მასპინძელს, მართალია, ეწადა ქუდის ჩამორთმევა, მაგრამ ვეღარც ამის თქმა მოასწრო, ვეღარც ხელის გაწოდება. სულოაგამ საკიდზე მასპინძლის ქუდის გვერდით ჩამოჰკიდა თითქმის ისეთივე, თავისი ქუდიც და კვლავ ლადოსაკენ გამოემართა, რომელიც შუა ოთახში შეჩერებულიყო და აღარ იცოდა, რა ექნა...

სულოაგამ გუდიაშვილთან მიახლოებამდე მოიხსნა შავი მოსასხამიც; მოსასხამმა უცხო ფრინველივით გადაიქროლა ოთახში. იქვე სკამის საზურგეზე ხელოვანისათვის დამახასიათებელი დაუდევრობით გადაჰკიდა იგი. ყოველი დიდი ხელოვანი ხომ მარტო

ხელოვნების ქმნილებას უფრთხილდება ამ ქვეყანაზე. ყოველი ხელოსანი კი ნივთის თაყვანისმცემელია...

რაც სულოაგას მოსვლიდან დრო გავიდა, ეს ის წუთები იყო, როცა გუდიაშვილი ყველაზე ბედნიერ მხატვრად თვლიდა თავის თავს... ეს ის წუთები იყო, როცა ახალგაზრდა მხატვრის ხსოვნაში საკვირველი სისწრაფით და თანმიმდევრობით გაცოცხლდა ყველაფერი, რაც ამ ცოტა ხანში წინ უსწრებდა სულოაგას მოსვლას მის ატელიეში.

გუშინდელ დღესავით ახსოვს გუდიაშვილს ერთი თვის წინანდელი ამბავი, როცა მონპარნასზე დაემშვიდობა ფერნან ლეჟესა და მესენჟეს. თუმცა იგი კაფე „როტონდისაკენ“ ეშურებოდა, მაგრამ ფრანგი ამხანაგები არ მიუპატიჟია; იცოდა, შუადღისას პარიზელები კაფეში არ დადიან. საღამოს შვიდ-რვა საათამდე, ვიდრე თავიანთ საქმეს არ მორჩებიან, მათ იქ ვერ ნახავთ. თუმცა შუადღე იყო, მაგრამ ბულვარის გასწვრივ გაჭიმულ კაფე „როტონდში“ არც ისე ადვილად შეგეძლოთ თავისუფალი სკამის შოვნა. დედამიწის ყველა კუთხიდან პარიზს. შემოხიზნული აუარებელი ხელოვანი, აუარებელი ცნობისმოყვარე კაფეების მუდმივი სტუმარი იყო.

ბულვარზე სწრაფი ნაბიჯით მიმავალი გუდიაშვილი კაფეში მაგიდებთან შეჯგუფულ ხალხსაც ათვალიერებდა, მაგრამ ვისაც ეძებდა, ჯერ მისთვის თვალი ვერ მოეკრა.. მან შენიშნა, რომ კაფეში, ბულ-

ვარის პირად მსხდომთა უმრავლესობა ცნობისმოყვარეობით აყოლებდა თვალს რაღაც სანახაობას, რაც ქუჩის გადაღმა, ბულვარის მეორე მხარეს ხდებოდა. გუდიაშვილმაც გაიხედა იქით და უმალ მიხვდა ყველაფერს: ბულვარზე ღირსეულად მიაბიჯებდა საქვეყნოდ ცნობილი პაბლო პიკასო. მას ერთი ბოლოთი ხელთ ეპყრა ორი ცერის სიმსხო თოკი, რომლის მეორე ბოლო კისერზე ება მინიატურულ, თითქმის მუშტისოდენა ძაღლს,. ძაღლი ძლივს მიათრევდა თოკს და მისი სიმძიმისაგან დროდადრო გვერდზე იქცეოდა კიდეც; მაგრამ ეტყობოდა, ამ ამბავს შეჩვეული იყო და თავის გასაჭირს არ იმჩნევდა, არც არად აგდებდა.

ახლა გუდიაშვილი სხვებთან ერთად გაფაციცებით ადევნებდა თვალს ამ სანახაობას და თუ მასში თოკის სიმსხოთი ასე გაწვალებული ფინია უნებლიე ღიმილს და სიბრალულს იწვევდა, სამაგიეროდ, პიკასოს ხილვა მოწიწების გრძნობით ავსებდა მის გულს. როდესაც პიკასო ბულვარის მეორე მხარეს გადმოვიდა და საკმაოდ მიუახლოვდა, გუდიაშვილს ეუხერხულა აშკარად, მოურიდებლად მისთვის ცქერა. სწორედ ამ დროს კიდეც დაუძახეს და ლადომ გაიხედა თუ არა კაფეს სიღრმისაკენ, დაინახა სუდბინინი, რომელიც ხელს უქნევდა. გუდიაშვილიც სწორედ მის სანახავად იყო წამოსული. ახლა ერთხელ კიდევ გახედა მოახლოებულ პიკასოს და სუდბინინთან მივიდა. მაგიდასთან თავისუფალ სკამზე უფროსი კოლეგის გვერდით ჩამოჯდა და თავისდა

უნებლიეთ კვლავ იქით გაიხედა, სადაც პიკასოს უკანასკნელად შეავლო თვალი. გუდიაშვილს იდუმალ გაეხარდა, როცა დაინახა — პიკასო რომ სწორედ მათკენ ეშურებოდა. მთელი კაფეს ყურადღებაც ახლა აქეთ იყო მოპყრობილი. თავისუფალი სკამი სწორედ გუდიაშვილის ზურგს უკან, მეზობელ მაგიდასთან, აღმოჩნდა და პიკასოც სწორედ ამ სკამზე დაჯდა.

როგორც ახლომახლო მსხდომთა, ისე გუდიაშვილის ყურადღებაც ახლა პიკასოს მიეპყრო. გუდიაშვილი იმას წუხდა, რომ პიკასოსაკენ ნახევრად ზურგშექცეული იჯდა და არ შეეძლო უფრო თავისუფლად ეცქირა მისთვის.

ძაღლი რომ ფერხთით ჰყოლოდა, პიკასომ მუხლზე გადაიგდო თოკი და მერე ოდნავ შესამჩნევი გაოცებით იწყო კაფეში მოზღვავებული ხალხის თვალიერება. ბოლოს იკითხა კიდევაც:

— განა რომელი საათია?!

რახან გუდიაშვილი ახლო იჯდა, პირველმა უპასუხა კითხვაზე.

პიკასომ მოიხედა, გუდიაშვილს თვალი შეავლო და თავის ოდნავი დაქნევით მადლობა გადაუხადა. მცირე დუმილის შემდეგ, თითქოს ახლა მარტო გუდიაშვილის გასაგონად ამბობსო, დასძინა:

— საკვირველია, რომ ამ საუკეთესო სამუშაო საათებში კაფე სავსეა მხატვრებით!

კვლავ მოწიწებით, მაგრამ ახლა უფრო თამამად მიუგო გუდიაშვილმა გაოცებულ პიკასოს:

— მაესტრო, ესენი სულ უცხოელები და ისიც ორი-სამი დღის ჩამოსულნი გახლავან. ჯერ საჭირო პარიზის „ჰავას“ შეეჩვიონ და მერე დაიწყონ მუშაობა.

წამით პიკასოს ყურადღება მიიპყრო კაფეში წითელკანიანი ინდიელი მხატვრის — არისის — გამოჩენამ. მას ნაციონალური თავსამკაული ამშვენებდა. თუმცა ეს არ იყო იშვიათი სანახაობა. დედამიწის რომელ კუთხიდან ჩამოსულ მხატვარს არ შეხვდებოდით აქ!

— თქვენ სადაური ბრძანდებით? — მოულოდნელად ჰკითხა პიკასომ გუდიაშვილს.

ლადომ მოკლედ აუხსნა, საიდანაც იყო.

პიკასომ კვლავ დინჯად, კმაყოფილებით დაუქნია ოდნავ შემობრუნებული თავი. მეტი აღარაფერი უკითხავს, რადგან ამასობაში შეკვეთილი ყავაც მოართვეს.

გუდიაშვილიც ყავას შეექცა, თან სუდბინინთან და გრანოვსკისთან განაგრძო ბაასი. სუდბინინმა „სხვათა შორის“ ჰკითხა, ხომ არაფერი შეგიტყვიაო, თუმცა წინასწარ იცოდა, როგორ პასუხსაც მიიღებდა. სუდბინინი წინანდებურად დარწმუნებული იყო, რომ გუდიაშვილმა იჩქარა „ჩამოსვლისთანავე“ სურათების გაგზავნა საშემოდგომო სალონში გამოსაფენად, მისი აზრით, მეტად ნაადრევი და სარისკო იყო. ჯერ ხომ პარიზის სალონებში სრულიად არ იცნობდნენ ამ ახალგაზრდა მხატვარს.

— არა უშავს! თუ გაიმარჯვებ, ხომ კარგი, თუ

არა და... გამარჯვებისათვის ისე ვის მიუღწევია, ერთხელ მაინც არ დამარცხებულიყოს!

„მამხნევებს, მაგრამ კილოზე ეტყობა, მტკიცედ სჯერა ჩემი დამარცხება“, — გაიფიქრა გუდიაშვილმა და სუდბინინს ისე შეხედა, რომ ამ ახალგაზრდა მხატვრის უჩვეულო მხნე იერმა, ცოტა არ იყოს, გააკვირვა პარიზის სალონებში კარგად ცნობილი ოსტატი.

კაფეში, უფროს კოლეგებთან გუდიაშვილი დიდხანს არ დარჩენილა. იმ დღის შემდეგ, რაც საშემოდგომო სალონში გამოსაფენად სურათები გაგზავნა, მოუსვენრობამ შეიპყრო. გული ველარაფრისათვის დაედო. მის ეჭვებს, მღელვარებას, დამარცხების თუ გამარჯვების იდუმალ, გამოუცნობ მოლოდინს ისიც აძლიერებდა, რომ მისმა მეგზურმა პარიზში, ცნობილმა რუსმა მოქანდაკემ, სუდბინინმა წინასწარვე გააფრთხილა — არამც და არამც არ აჩქარდე, სულ ადვილი შესაძლებელია დამარცხება, დამარცხებულს კი პარიზი შემდეგშიაც აღარ შეივრდომებსო. მაგრამ გუდიაშვილმა მაინც არ შეისმინა ასეთი რჩევა და პარიზში სულ რამდენიმე თვის ჩამოსული ახალგაზრდა ქართველი მხატვარი გაბედულად მიენდო თავის ბედს და... თავის ნიჭს. პარიზის სწორედ იმ სალონში სურათების გაგზავნა, სადაც ყველაზე მკაცრი იყო გამოსაფენი ნაწარმოებების შერჩევა, ისიც პირველად, მართლაც დიდი გამბედაობა იყო და ახალგაზრდა ქართველ მხატვარს ეს გამბედაობა აღმოაჩნდა. მის გაბედულ ნაბიჯს „გა-

მოცდილი“ მეგობრების საყვედურები და მწვავე მოლოდინი მოჰყვა. ზოგჯერ თუ წლებიც ისე გავა, რომ მოლოდინის ეს სიმწვავე გულს წამითაც არ შეაკრთობს, ზოგჯერ რამდენიმე დღე და საათი სულის სიღრმემდე ააფორიაქებს ხოლმე ხელოვანის არსებას, ასე სულის სიღრმემდე აფორიაქებული ელოდა გუდიაშვილი სალონის ჟიურის განაჩენს.

დღე დღეს მისდევდა. პასუხი იგვიანებდა. ასეთ შემთხვევებში მოლოდინი ისე აუტანელია, ზოგჯერ კიდეც იფიქრებს გაწვალებული კაცი — ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება, ოღონდ ამ მოლოდინს დროზე ბოლო მოეღოსო; მაგრამ გუდიაშვილი ახლა სულის საოცარ სიმხნევეს იჩენდა. მისაღები ერთადერთი პირობა მისთვის — გამარჯვება იყო. გამარჯვება, თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გამარჯვება. ნუთუ ოთხ სურათში ერთსაც აღარ მიიღებენ? — გაკვირვებით, ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა გუნებაში თავის თავს და თვითონვე უპასუხებდა აკვიატებულ კითხვაზე: — როგორ შეიძლება, ორი თუ არა, ერთი სურათი მაინც არ მიიღონ... და ახლა გამოცნობის წადილი შეიპყრობდა მხატვარს — რომელი უნდა ყოფილიყო ის ერთი — „ქართული იდილია?“ თუ „ქეიფი გათენებისას“... ვინ იცის, იქნებ — „ქეიფი თბილისის გარეუბანში...“ ან „ქეიფი ქალთან“.

და ამ ფიქრებში ოთხივე სურათის ყოველი დეტალი თვალწინ ცოცხლდებოდა. ზოგჯერ ასეთ აკვიატებულ ფიქრებში წასულს ეჩვენებოდა, რომ მისი

სურათების პერსონაჟები გაცოცხლდნენ... გაქრა ჩარჩო... ისმის დუდუკის სევდანარევი, გულჩათხრობილი ღუღუნი... მთელი ღამის ნაქეიფარი კინტოს მლაშე ქარაგმა, თუ გულის მოსაფხანი წამომღერება — „ბარაშკაჯან, არ შაგცივდეს“... კიდევ ერთი სადღეგრძელო ტვინგახურებული თამადისა, ალავერდი, მიკიბულ-მოკიბული სიტყვები, სწრაფი და მოკლე ტუში, თითო ლუკმა მწვადი, ბოლოკისა და შუშა კიტრის ჩახრამუნება და კვლავ სევდიანი ღუღუნი დუდუკისა... ქეიფი გრძელდება... უეცრად: მედოლის შუბლზე დანერწყვილი ქალალდის ფულის ტკაცანით აწებება და, ერთი-ორი ჯიგრიანი შეძახილი... თითქო მედოლეც გამოფხიზლდაო... დოლის ბაგუნს დილის ნიავი მიარწევს, დროდადრო ჩართული წკიპურტების ტკაცატკუცი ისმის გაყუჟებულ მიდამოში... ვიღაცას ცეკვის საღერღელი აშლია, ერთი ქუდს ისწორებს, მეორე ბეჭს ატოკებს. ჭრელი ბაღდადი ხოხობივით ავარდა ჰაერში. ხმელი სხეული არც კი ირხევა, მაგრამ კონვულსიურად ტოკავენ სახის კუნთები... რაღაც უცნაური პაექრობა გაუმართავს ორი მოცეკვავის ხელებს. ყოველი ჟესტის შესაბამისად იცვლება მიმიკაც... დიდხანს გრძელდება ამ უსიტყვო კამათის ოინბაზური იმპროვიზაცია...

პარიზში, მონპარნასზე, გუდიაშვილს აგონდებოდა ძველი თბილისი, მტკვარი, ორთაჭალა, კინტოების განიერი შარვალი, სიარულში უცნაურად ჩაქსოვილი ელასტიური მიხრა-მოხრა, ბეჭების და თქებების თამაში, ნახევარმთვარესავით, თუ ქართული

უნაგირივით თავბოლო აპრეხილი ვიწრო ქუდი, ვერცხლის ვიწრო ქამარი და შავ ხალზე ყოჩის რქასავით წაგრეხილი ბალანი. აგონდებოდა და რაღაც გამოუცნობ ხალისთან ერთად ხელახლა იბადებოდა რწმენაც გამარჯვებისა... რომ პარიზსაც შეიპყრობს ცთუნება, რომ გუდიაშვილის ყალმით გაპოეტურებულ თბილისელ კინტოებსაც გაატარებენ ხელოვნების ტრიუმფალურ თაღქვეშ...

კაფედან შინისაკენ მიმავალ გუდიაშვილს ანაზდად მოაგონდა თბილისში გატარებული ბოლო დღეები. 1919 წლის ოქტომბერი... კაფე „ქიმერიონი“... მუშაობა ფრესკაზე „ქიმერიონის“ ჩასასვლელში. ჩასასვლელის ერთ მხარეს კედლის მოხატვას ამთავრებს ლადო, მეორე მხარეს — სუდეიკინი. უეცრად კიბის თავში, ბაქანზე გამოჩნდა ტიციან ტაბიძე. მის ასევე უეცარ ჩამოძახებას კედლებიც იმეორებენ: — ლადო! გადაწყდა შენი და დათიკოს პარიზს გაგზავნა. — გაოცებული გუდიაშვილი ახედავს და ტიციანისათვის თვალის მოკვრას ძლივს ასწრებს. მაცნე მოჩვენებასავით ქრება. გუდიაშვილის გულს სიხარულით ავსებს ეს მოულოდნელი ცნობა, მაგრამ აბრაზებს ტიციანის გაქცევა. ხარიხიდან უმალ ძირს ჩამოდის, კიბეზე ფუნჯებს ანარცხებს და საჩქაროდ იხდის ფერებით მოსვრილ ხალათს...

სუდეიკინი ერთხანს გაოცებით უცქერის.

— ლადო, რა მოხდა, ვინ გაგაბრაზა?!

— ტიციანს თვითონ რაღაც გაუგია, შენ და და-

თიკოს პარიზს გგზავნიანო, ჩამომძახა და გაიქცა... არ მაცალა, გამომეკითხა, რა და როგორ მოხდა...

— მაშ მომილოცავს! — თქვა სუდეიკინმა.

გავიდა დღეები, თვეები... მონპარნასზე იუგენსის ქუჩა გუდიაშვილისათვის ახლა მშობლიური ქალაქის ქუჩასავით ნაცნობი და ახლობელია. ახალგაზრდა მხატვარი გატაცებით მუშაობს, სულ ახალ-ახალი სურათები ჩნდება მისი სახელოსნოს კედლებზე. დგება დრო გაბედული გადაწყვეტილებისა — ოთხი სურათი გაუგზავნოს საშემოდგომო სალონის ჟიურის... კარგად ახსოვს, როგორ გაატანა შუახნის მამაკაცს თავისი ოთხი სურათი. ბერეტიანი მამაკაცი სხვა მხატვრების სურათებთან ერთად ორთვალაზე მარჯვედ ათავსებს გუდიაშვილის ტილოებსაც და რიეშასავით მიარიხინებს ასეთი ტვირთით გაპატიოსნებულ ორთვალას. გუდიაშვილმა მასთან გასაუბრებაც მოასწრო. ახალგაზრდა მხატვარი უნებლიეთ გაოცდა, როცა „პორტიე და ტაბლომ“ სხვათა შორის, დასამშვიდებლად უთხრა — ნუ გეშინია, ამ ორთვალათი მიტარებია რენუარის, მონეს, პიკასოს, მატისის და თვით როდენის ნამუშევრებიცო...

სანუკვარ ფიქრებში გართული გუდიაშვილი ერთბაშად გონს მოვიდა. ის უკვე იუგენსის ქუჩაზე იყო; თავის სახლს უახლოვდებოდა. ადრე, სალონში სურათების გაგზავნამდე, მხიარულად გაირბენდა ხოლმე ქუჩას სახლამდე. ეს რამდენიმე დღეა, რაც უფრო უახლოვდება სახლს, მით უფრო უმძიმს ნაბიჯის გადადგმა... ვიდრე ოთახის კარს შეაღებდეს,

ციებცხელებიანივით კანკალებს... ყოველ წუთს, ყოველდღე ელის ცნობას... კარს ნელა აღებს, თან იატაკს შიშით დასცქერის... კარის ჭრილში შეცურებული ბარათი ჩვეულებრივ იატაკზე ხვდება ხოლმე...

ასე ელოდა, ელოდა გუშინწინ, გუშინ, დღესაც. მართლაც... გააღო კარი და ელდასავით ეცა რაღაც. იატაკზე სალონის ჟიურისაგან გამოგზავნილი ფურცელი ეგდო. გუდიაშვილი ერთ წუთს გაშეშებული იდგა, დახრა და ფურცლის აღება ვერ გაებედა... მაგრამ როცა აიღო, პირველ წაკითხვაზე თვალებს არ დაუჯერა:

„ქართული იდილია“ — admis[1].

„ქეიფი გათენებისას“ — admis.

„ქეიფი ქალთან“ — admis.

„კინტოების ქეიფი თბილისის გარეუბანში“ — admis.

ვერ გაეგო, რა მოხდა. ეს ამბავი დაუჯერებლად ეჩვენა. რამდენიმე წუთს გაშლილი ქაღალდით ხელში თავბრუდახვეული ბოლთასა სცემდა ოთახში. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. გულში სიხარული ველარ ეტეოდა, მაგრამ ეშინოდა მისი აშკარად გამოხატვისა... ანაზდად გაახსენდა, ამ ცოტა ხნის წინ კაფეში სუდბინინს რომ ებაასებოდა სწორედ სურათების მიღება-არმიღების თაობაზე. გაახსენდა და არც აცია, არც აცხელა, თავქუდმოგლეჯილი გარეთ გამოვარდა. იუგენსის ქუჩაზე გამვლელები თვალს

---

[1] მიღებულია.

უნებლიეთ აყოლებდნენ ახალგაზრდა მხატვარს, რომელსაც ცალ ხელში ქუდი ეჭირა, მეორეში — ქაღალდის ფურცელი. სუდბინინი ისევ კაფეში დახვდა. სუდბინინის გვერდით მჯდომი გრანოვსკი ისეთი გატაცებით უთვალთვალებდა ცნობილ მოდელს — ზანგ ქალს აიშეს, რომ ლადოს გამოჩენა ერთბაშად არც შეუმჩნევია.

სუდბინინმა კი თვალი მოჰკრა თუ არა გუდიაშვილს, უმალ წამოიწია. ლადო ცდილობდა თავი მშვიდად დაეჭირა, მაგრამ ახლა ვეღარ ახერხებდა ამას.

— ლადო, რა მოხდა?! — ჰკითხა სუდბინინმა, როგორც კი გუდიაშვილი მის მაგიდას მიუახლოვდა.

— მეც არ ვიცი, რა მოხდა და სწორედ ამის შესატყობად მოვედი... იქნებ ამიხსნათ...

— რის შესატყობად, რა ამბავია?!

ჯერჯერობით მხოლოდ ერთი რამ იყო აშკარა — ის, რომ ლადო უცნაურად აღელვებული გამოიყურებოდა.

— თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი? — ამ სიტყვებზე ფურცელი, რომელიც სალონის ჟიურისაგან მიიღო, სუდბინინს გაუწოდა.

სუდბინინმა სწრაფად გადაიკითხა ფურცელი. ერთი წამით თავი ასწია, გუდიაშვილს უკიდურესად გაოცებული თვალით შეხედა და ისევ ფურცელს დააცქერდა. ბოლოს სკამზე წამოიწია, გუდიაშვილს ხელი გაუწოდა და უთხრა:

— ჩემო კარგო, სხვა არაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ მხურვალედ მოგილოცო!.. ჩემი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. საკვირველი გამარჯვება მოგიპოვებია!

— მაშ, ეს... რაც აქა წერია, ნამდვილად ნიშნავს...

— დიახ, შენი ოთხივე სურათი მიღებულია, ჩემო ლადო!.. პარიზში ასეთი გამარჯვება სახუმარო საქმე არ არის! წარმოიდგინე ოთხმოცი ათასი ბედის მაძიებელი ხელოვანი! აქედან ნახევარი მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული!.. ადვილია განა ამოდენა არმიაში თავის გამოჩენა?!

ეს დღე გუდიაშვილმა ძლივს დააღამა. დასაეჭვებელი აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ დღევანდელი ამბავი ჯერ კიდევ სიზმარი ეგონა. საღამო მეგობრებთან გაატარა. შინ რომ დაბრუნდა, მთელ თავის ავლადიდებას თვალი გადაავლო. ყოველი ტილო, ყოველი ნახატი გულდასმით, უცხოს თვალით გასინჯა და ზოგი რამ ახლა, ცოტა არ იყოს, გუნებაში თვითონაც მოეწონა... ბოლოს აფორიაქებულმა და შთაბეჭდილებებით დაქანცულმა აწეწილი ნერვების დასამშვიდებლად დაძინება რომ სცადა, მალე შეატყო — ამ ღამეს თეთრად გაათენებინებდა დღევანდელი სიხარული და მღელვარება. სიბნელეში თავქვეშ ხელებამოწყობილმა შეუმჩნევლად გაიჯირითა მოგონებებში...

როცა მოგონებებით გული „იჯერა“, სინათლე კვლავ აანთო და ბალიშის ქვეშ ამოდებული ვან გო-

გის „წერილები“ მოიმარჯვა. დიდხანს ფურცლა... თავისი განწყობილების შესაფერის სტრიქონებს ეძებდა დიდი მხატვრის ინტიმური ცხოვრების მატიანეში.

გათენდა ვერნისაჟის დღეც. როცა სხვა მხატვრების ნამუშევრებთან ერთად გუდიაშვილმა თავისი სურათებიც იხილა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქმე მართლა კარგად იყო... მხატვრები ფუსფუსებდნენ თავ-თავიანთ სურათებთან; ერთი ლაქს უსვამდა, მეორე მტვერს აცლიდა, მესამე ინიციალების მაგივრად გვარს აწერდა მთლიანად და გარკვევით, მეოთხე ყირამალა დაკიდებულ სურათს ასწორებდა, სხვა კიდევ უკმაყოფილო იყო, რომ სურათები ახლო-ახლოს ეკიდა, ზოგს კი სულ არ მოსწონდა ის ადგილი, სადაც მისი სურათები დაეკიდათ და ენერგიულად მოითხოვდა მათ სხვაგან, უფრო ხელსაყრელ ადგილზე გადატანას... ამ ფუსფუსში მალე გუდიაშვილიც ჩაება. ის დიდხანს თავს დასტრიალებდა „ქართულ იდილიას“, „ქეიფს გათენებისას“, „ქეიფს ქალთან“ და „კინტოების ქეიფს თბილისის გარეუბანში“, რომლებიც ხვალ უნდა წარმდგარიყვნენ პარიზის რჩეული საზოგადოების წინაშე.

ცოტა იქნებოდა იმის თქმა, რომ გამოფენის გახსნის პირველ დღეს გუდიაშვილს თვალები აუჭრელდა და თავბრუ დაესხაო. ყველაფერს მოელოდა, მაგრამ თუ გამოფენის გახსნა პარიზში ასეთი უჩვეუ-

ლო სადღესასწაულო ელფერით იქნებოდა მოსილი, ვერც კი წარმოიდგენდა. მამაკაცები — უთვალავი სმოკინგების და ცილინდრების კორიანტელი... ქალები — ნამდვილი საშემოდგომო მოდების ნიაღვარი, რაღაც ზღაპრული, თვალისმომჭრელი გამოფენა ნაირ-ნაირი კაბებისა... სწორედ კაბების ფასონის მრავალფეროვნება და ფერთა სიუხვე ჩრდილავდა გამოფენილი სურათების ფერადოვნებას. როგორც გუდიაშვილმა შეატყო და დაასკვნა, აქ ხალხი, განსაკუთრებით ქალები, უფრო იმისათვის მოსულიყვნენ, რომ თავიანთი კაბების ახალი ფასონები ეჩვენებინათ ერთმანეთისათვის, ვიდრე სურათები ეთვალიერებინათ; და მართლაც, მთელი მათი ყურადღება ერთმანეთის ჩაცმულობისაკენ იყო მიპყრობილი, სურათებისაკენ კი მხოლოდ შემთხვევით და ისიც ერთი წამით თუ გაიხედავდნენ ხოლმე...

შეუძლებელი იყო ყურადღება არ მიგექცია ამ ლამაზმანებისათვის... მხატვრები მაინც ცდილობდნენ ამ ცთუნებისათვის გაეძლოთ... თავთავიანთი სურათის შორიახლოს გაჩერებულნი მორიდებით უთვალთვალებდნენ, ვის ყურადღებას მიიპყრობდა რომელიმე მათგანის ნამუშევარი და როგორი გამომეტყველება ექნებოდათ სურათის თვალიერების დროს.

შეუმჩნევლად გავიდა დრო. ამ აუწერელი სანახაობისა და დიდი შთაბეჭდილების დღეც მიიწურა. გუდიაშვილი შინ ისე დაქანცული დაბრუნდა, თითქოს ფეხით მთელი პარიზი მოევლოს...

გამოფენა უკვე რამდენიმე დღის გახსნილი იყო, როდესაც გუდიაშვილს ახალი სასიხარულო ამბავი „დაატყდა“ თავს. სალონის ჟიურის მდივნისაგან ბარათი მიიღო... ატყობინებდნენ — შენი ერთი სურათის შეძენა სურს სახელგანთქმულ ესპანელ მხატვარს იგნასიო სულოაგასო... გუდიაშვილმა თავში ხელი იტაცა, თვალი დახუჭა და იქვე, სკამზე მოსხლეტით ჩამომჯდარი იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო. რამდენიმე წუთს თვალი არ გაუხელია... გაოცებული იყო ასეთი წარმატებით... ელვის სისწრაფით გაირბინა მის ხსოვნაში ყველა ნაცნობი თუ უცნობი მხატვრის მოღიმარმა სახემ... კაფეში შეხვედრისთანავე რამდენმა უთხრა გუდიაშვილს — შენი სურათები მოგვეწონაო... მაგრამ რა სასიხარულოც უნდა ყოფილიყო თანატოლებისა თუ ხნიერი კოლეგების თანაგრძნობა, როგორ შეედრებოდა იგი სახელგანთქმული ესპანელი ოსტატის არა მარტო უბრალო ყურადღებას, არამედ... უცნობი ახალგაზრდა მხატვრის ერთი სურათის შეძენის სურვილს...

ამ სიხარულით აფორიაქებული, უფრო მეტად გამხნევებული და გულის სიღრმეში წარმატებით კმაყოფილი გუდიაშვილი უმალ შლაპას ეცა, მოხდენილად დაიხურა და გარეთ გაიჭრა. გული ვეღარ უთმენდა, რომ ყველაფერი სასწრაფოდ და დაწვრილებით არ შეეტყო...

სალონში ჟიურის კომიტეტის მდივანს გუდიაშვილი თავაზიანად მიესალმა და მერე მორიდებით

გაუწოდა ბარათი, რომელიც ცოტა ხნის წინათ მიიღო.

მდივანმა თვალი შეავლო თუ არა ფურცელს, უმალ გუდიაშვილს ახედა, მრავალმნიშვნელოვნად გაუცინა.

— თქვენ ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხართ დაბადებული... უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებაში!

— რაკი თქვენ ასე ფიქრობთ, მ-სიე...

— კომპლიმენტი არ გეგონოთ. ჟიურის მოწონებას რომ თავი დავანებოთ, განა მაესტრო სულრაგას ასეთი ყურადღება საკმარისი არ არის?.. თქვენი სურათის გარდა, მას არც ერთი სხვა ნაწარმოების შეძენა აზრადაც არ მოსვლია... გამოფენაზე კი, თქვენ თვითონ ხედავთ, რამდენი ნაწარმოებია თავმოყრილი და ზოგიერთი მაინც, რარიგ მნიშვნელოვანი!..

გუდიაშვილი ყურადღებით უსმენდა, მაგრამ მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, შეეტყო, რომელი სურათის შეძენის სურვილი გამოთქვა სულოაგამ და საერთოდ რა ილაპარაკა მის ნაწარმოებებზე.

თითქოს გულისთქმას მიუხვდაო, ამ ლაპარაკში მდივანმა გადაშალა კატალოგი, ადვილად მიაგნო ასო გ-ანს და შემდეგ ლადოს გვარსაც. გუდიაშვილის სურათის „ქალთან ქეიფის“ გასწვრივ ხაზი იყო გასმული.

— გამოფენის დათვალიერების შემდეგ მაესტრო სულოაგამ გვითხრა, გუდიაშვილის „ქალთან ქეიფი“ მინდა შევიძინო და ჩემს საკუთრებად ჩათვალეთ იგიო. მე მოვახსენე, ავტორს გადავცემ თქვენს

სურვილს და ფასზედაც საბოლოოდ შევუთანხმდებიმეთქი.

— მ-სიე, რომელ ფასზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ჩემი სურათი მაესტრო სულოაგას მოსწონს?! გადაეცით, რომ დიდად გახარებული ვარ მისი არჩევანით და ჩემს „ქალთან ქეიფს“ უფასოდ ვუთმობ.

— უფასოდ?! — უფრო მეტად გაიკვირვა მდივანმა, ვიდრე ამას გუდიაშვილი მოელოდა. — როგორ შეიძლება ასეთი რამ! სულოაგა, გარდა იმისა, რომ სახელოვანი მხატვარია, მდიდარიცაა...

— რაც უნდა იყოს, მ-სიე... მე ერთი სურათის გაყიდვით ვერ გავმდიდრდები, ჩუქებით კი არ გავღარიბდები.

— დიდად მაოცებს თქვენი ხელგაშლილობა! მართალია, ალექსანდრე დიუმამ ქართველებს ბევრი რამ გიქოთ, მათ შორის, გულუხვობაც და ხელგაშლილობაც, მაგრამ... თქვენ ახლა პარიზში იმყოფებით. უცნაურობა ისე სად უყვართ, როგორც პარიზში, მაგრამ როცა საქმე ფულს ეხება, ყოველგვარი უცნაურობისაგან თავი უნდა შევიკავოთ პარიზშიაც კი, მ-სიე გუდიაშვილო!.. თუ ფასს არ სცვლით, დანარჩენი ჩვენი საქმეა. შეგიძლიათ „ქალთან ქეიფი“ გაყიდულად ჩათვალოთ.

— უკეთესი იქნებოდა გეთქვათ — მაესტრო სულოაგას საკუთრებად!

— თუ თქვენთვის არა, ჩვენთვის ახლა ეგ სულ ერთია! — სალონის ჟიურის მდივანმა ერთხელ კიდევ

გაუღიმა გუდიაშვილს, ხელიც მხნედ გაუწოდა და შენიშნა: — პარიზი იშვიათად თუ შეხვდება ვისმე ასე, როგორც თქვენ შეგხვდათ... ალბათ, თქვენც იშვიათი გამონაკლისი ხართ. ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ პარიზი ყველა შემთხვევაში მზად იყო თქვენთვის „თავზე ხელი გადაესვა“, თქვენ ის აიძულეთ!..

გუდიაშვილმა თავმდაბლობის ნიშნად ერთი კი სცადა მდივნის მოსაზრების გაქარწყლება, მაგრამ, შეხედა თუ არა, დარწმუნდა, რომ ეს ის კაცი იყო, რომელსაც თქმა არა სჭირდებოდა, მოსაუბრის სახეზე ადვილად შეეძლო გულისნადების ამოკითხვა...

მდივნის ხელის ენერგიულად ჩამორთმევა ზედმეტად ადასტურებდა მის პატივისცემას და მოწიწებას აგრერიგად წარმატებული ახალბედა მხატვრისადმი.

ამ პირველმა წარმატებამ, ამ პირველმა აღმაფრენამ, მართალია, გუდიაშვილი გააბრუა, წონასწორობიდან კი მაინც ვერ გამოიყვანა. „გაბრუებაც“ სულ რამდენიმე დღეს გაგრძელდა. როცა ახალბედა მხატვარმა გამოფენაზე სიარულითაც, ქების მოსმენითაც გული იჯერა, ისევ მოიცა გონი, ისევ მოიკრიბა ძალ-ღონე და მუშაობასაც მიჰყო ხელი. საღამოობით კაფე „როტონდის“ მუდმივი სტუმარი იყო, იქ ძველ თუ ახალ გაცნობილ მხატვრებთან, მწერლებთან, მუსიკოსებთან, მსახიობებთან ბაასობდა, ხანაც კამათობდა ყველაფერზე, რაც კი იმ დღეებში აღელვებდა პარიზის ხელოვანთა წრეებს.

*

ვიდრე სურათების გულმოდგინედ თვალიერებას შეუდგებოდა, სულოაგამ ვერ მოითმინა, გუდიაშვილისათვის რომ არ ეკითხა:

— სადაური ბრძანდებით?

— ქართველი.

— თქვენი სამშობლო შორსაა?

— მაესტრო, თუ კავკასიის ქედი გაგიგონიათ... ესქილეს მიხედვით, სწორედ ამ ქედზე ყოფილა მიჯაჭვული პრომეთე. ალექსანდრე დიუმამ თავის მოგზაურობას კავკასიაში ხომ მთელი წიგნი მიუძღვნა; იქ მწერალი მოხდენილად ამბობს — ქვეყნად უფრო მაღალი მწვერვალებიც მოიპოვება, მაგრამ ესქილემ თავისი ტრაგედიის პიედესტალად სწორედ კავკასიის ქედი აირჩიაო!

— ჩანს, ეგ წიგნი არ წამიკითხავს, თუმცა მოგზაურობაც მიყვარს და მოგზაურობაზე დაწერილი წიგნიც. უსათუოდ ვიშოვი და გადავიკითხავ.

— თუ არგონავტების ლეგენდა გსმენიათ, მაშინ კოლხიდის შესახებაც გეცოდინებათ. ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე საბერძნეთის გმირი იაზონი მისდგომია კოლხიდის ნაპირებს შავ ზღვაზე. კოლხიდა კი ჩემი სამშობლოს — საქართველოს დასავლეთი ნაწილია. ბერძნები რომ საქართველოში ყოფილან და შავი ზღვის სანაპიროზე ახალშენებიც ჰქონიათ, ეს ისტორიულად ცნობილი ამბავია. ჩრდილოეთით რუსეთი ჩვენი კავ-

კასიის ქედგადაღმელი მეზობელია. სამხრეთით თურქები და სპარსელები „სდარაჯობენ“ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს; შემოსევა, აწიოკება, დიდი სისხლისღვრები სწორედ ამათგან ახსოვს ჩემს სამშობლოს, მაგრამ საქართველო მაინც მონგოლების მეტმა წელში ვერავინ გატეხა, ნუ ეხუმრებით მარტო თემურ-ლენგის თორმეტ შემოსევას, მისი ერთი ლაშქრობაც კი ნაცარტუტად აქცევდა და მიწის პირისაგან ჰგვიდა უძლიერეს სამეფოებსაც. როგორც ისტორია გვაუწყებს, პირველ შემოსევას და თბილისის აღებას თვითონ თემურ-ლენგი მეთაურობდა. რა გვარის და ჯურის დამპყრობელი არ შემოსევია საქართველოს, ვისი სისხლი არ დაქცეულა მის მიწაზე!

— თქვენ რომ საქართველოზე ლაპარაკობთ, მე ესპანეთი მაგონდება... მართალია, როგორც ხელოვანს, აკვანი პარიზმა დამირწია, მაგრამ ესპანეთს ვერც ერთ სხვა მხარეზე ვერ გავცვლი!

— სამშობლო ქართველებსაც ისე გვიყვარს, რომ მის გარეთ დიდხანს ვერა ვძლებთ!

— მაშ, ჩვენ ერთნაირი სულისკვეთება გვქონია!

— უფრო მეტიც, მაესტრო! ჩვენ შორეული წარსულით ძმები ვართ.

— როგორ?!

— ძველად, ოთხიოდე ათასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე პირინეის ნახევარკუნძული ხომ იბერიად იწოდებოდა?.. სწორედ იმ ძველი იბერიელების ნაშთია დღევანდელი ბასკები და დღევანდელი ქართველების ერთი ნაწილი.

სულოაგა ერთ წამს გაბრუებულივით იდგა. მის სახეზე ადვილად ამოიკითხავდით გაკვირვებას — ეს რა მესმისო, მერე კი ისე იკითხა, თითქოს ამ ბრუმ გაუარაო:

— ზღაპარს მეუბნებით?

— ეს ისტორიაა. შეგიძლიათ წაიკითხოთ.

— თუ ეგ მართალია, მაშ, კარგი ალღო მქონია, რომ ათას კაცში, გამოფენაზე, ჩემი „ძმა“ მიცვნია!

სულოაგა ამას თუმცა ხუმრობის კილოთი ამბობდა, მაგრამ სინამდვილეში არა სახუმაროდ იყო ჩაფიქრებული და შეეჭვებული — იქნებ მართლა ეს ყველაფერი სინამდვილეაო.

— დიდი ხანია, რაც პარიზში ცხოვრობთ?

— სულ რამდენიმე თვეა, მაესტრო.

— ეს ნამუშევრები თან ჩამოიტანეთ?

— არა. რასაც კედელზე ხედავთ, სულ აქ, პარიზში დაწერილი და დახატულია.

— დავიჯერო? ამდენი და... ასე კარგი!

გუდიაშვილმა თავისებური თავაზიანობით და მორიდებით გაუღიმა სტუმარს.

— ერთი ამდენი შენახული მაქვს. განა ეს ბევრია?

— სწორედ! დიდად ნიჭიერი საერთოდ დიდად ნაყოფიერიცაა!

სულოაგას ასეთი შეფასება, ასეთი გაოცება არ იყო ხუმრობა საქმე და გუდიაშვილსაც ახლა მეტი კმაყოფილებით ეღიმებოდა.

სტუმარმა ხელები უკან შემოიწყო და მარცხნივ,

კედლის კუთხეში დაკიდული ფერწერული სურათისაკენ გაეშურა. სურათის წინ სამიოდე ნაბიჯის დაშორებით შეჩერდა თუ არა, ხელები ახლა მკერდზე შემოიჭდო და უკან ამაყად გადახრილმა „მწყემსებს“ თვალი გაუშტერა.

„გასაოცარი ტიპაჟია. ამ ადამიანების იერში არის რაღაც თავისებური მხილება ტემპერამენტისა, — ფიქრობდა სულოაგა, — არსად, არც ერთი თანამედროვე მხატვრის ქმნილებებში არ მინახავს ასეთი კოლორიტი, ასეთი კომპოზიცია, ასეთი პლასტიკა!..“ — ამ სურათს რა უწოდეთ, სენიორ ლადო?

— „მწყემსები“, — მიუგო გუდიაშვილმა.

— მაშ, თქვენს ქვეყანაშიც ყოფილა მორევში ნებივრობის მოყვარული კამეჩები?

— დიახ. როგორ არა.

— ეს რა ხურავთ ამ ჭაბუკებს?

— ნაბდის ქუდია. ჩემი სამშობლოს ერთი კუთხის სახელსაც ეძახიან — კახურ ქუდს, რადგან ყველაზე მეტად იქ არის გავრცელებული, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მკვიდრნიც ატარებენ. ამბობენ, ძველად ასეთ ქუდს ჯაჭვისებურად ნაქსოვი რკინის ჩაბალახის ქვეშ იფენდნენ თავზე ხმლის დაკვრის ძალის შესასუსტებლადო. შემდეგ, როდესაც ჩაბალახები ხმარებიდან გადავარდნილა, ეგ ნაბდის საფენი ქუდად ქცეულა.

— საინტერესოა.

სულოაგა ერთხანს კიდევ აკვირდებოდა „მწყემსებს“, სურათისათვის თვალი ვეღარ მოეცილებინა,

მაგრამ უკვე ბნელდებოდა, დასათვალიერებელი კი ჯერ ბევრი ჰქონდა, ძალაუნებურად უნდა აჩქარებულიყო. ასლა მზერა მეზობელ სურათს მიაპყრო.

— ეს გახლავთ „ქეიფი ბუნების წიაღში“, — შენიშნა გუდიაშვილმა, — მოქეიფენი შემოსხდომიან პატარა მაგიდას. ღვინო, „ცოცხალი“, მწვადები, მრგვალად მოხარშული დედალი... უკანა პლანზე, როგორც ხედავთ, მაესტრო, ორი კინტო ცეკვავს „კინტოურს“. მაღლა აფრიალებული ბაღდადისათვის ერთს ერთ ყურში, მეორეს მეორე ყურში ჩაუვლია ორი თითი და ცეკვის რიტმს აყოლებს მკლავების მოძრაობასაც. იქვე, შორიახლოს, მეეტლეს ცხენები ეს-ეს არის დაუოთხებია და ეტლში მსხდომი კინტოებიც აქნეული ხელებით და შეძახილებით ამხნევებენ მოცეკვავეთ.

სულოაგა ყურადღებით უსმენდა. თან სურათს სინჯავდა, ხან ახლოდან, ხან — შორიდან, ტიპაჟით და კომპოზიციით მას ეს სურათიც მოსწონდა.

გუდიაშვილმა აღარ აცალა, ვიდრე სულოაგა ბუნების წიაღში მოქეიფეთა თვალიერებით იჯერებდა გულს და წინ წაუსწრო სტუმარს. ახლა შემდეგ სურათზე გადაიტანა მისი ყურადღება.

— ეს კი „ნადირობა“ გახლავთ, მაესტრო. თემა აღებულია საქართველოს წარსულიდან, როცა ჩვენი უფლისწულების საუკეთესო გასართობი ნადირობა იყო.

სულოაგამ ეს სურათიც ინტერესით გასინჯა. წინა პლანზე პირტიტველა ჭაბუკის გამომეტყველება

და მარჯვენა ხელის უცნაური მოძრაობა, უკანა პლანზე კი შველი, უფრო შორს ხეები და მთები ისეთი პოეტური განცდით იყო აღბეჭდილი, რომ არ შეიძლებოდა მღელვარება არ გამოეწვია მნახველში.

ვიდრე სტუმარი „ნადირობას“ გულმოდგინედ გასინჯავდა, მასპინძელს უკვე მეზობელი სურათისაკენ გადაენაცვლებინა და ელოდა, როდის მიაპყრობდა იქით თავის ყურადღებას მაესტრო სულოაგა.

მიუხედავად იმისა, რომ სულოაგა დიდი ინტერესით ათვალიერებდა გუდიაშვილის სურათებს, ცდილობდა უბრალო წვრილმანიც არ გამორჩენოდა მხედველობიდან, მასპინძელი მაინც არ აპირებდა სახელოვანი სტუმრის დიდი ყურადღების ბოროტად გამოყენებას. სულოაგა ადვილად მიხვდა ამას და უფრო მეტი მოწიწებით და სიყვარულით განიმსჭვალა ამ პოეტური ხილვებით აღსავსე და თანაც ასეთი ფაქიზი ბუნების მქონე მხატვრისადმი.

— მაგას რა უწოდეთ? — მოულოდნელად იკითხა სულოაგამ იმ სურათის შესახებ, რომლის წინაც გუდიაშვილი შეჩერებულიყო.

— „ცოცხალი“, მაესტრო! — სურათის სახელწოდება ქართულად დაუსახელა მხატვარმა.

— „ცოცხალი?!“ — შედარებით ადვილად, თან გაკვირვებით გაიმეორა სულოაგამ გაუგებარი სიტყვა.

— „ცოცხალს“, მაესტრო, ჩვენში დაჭერის უმალ მოხარშულ ერთი ჯიშის თევზს ეძახიან. ადუღებულ მარილწყალში ყრიან თევზს, რომელიც ის იყო სულს

ღაფავდა... თევზი ხუთ წუთში მზადაა. შემდეგ ჩელტზე აწყობენ, აცივებენ და გემრიელად შეექცევიან. ადუღებულ წყალშივე ყრიან ცოტა შაბსაც, რომ მოხარშულ თევზს მოლურჯო, სასიამოვნო შესახედავი ფერი გადაჰკრავდეს. „ცოცხალი“ ყველას სუფრას ამშვენებს, უმაღლესი წოდებისა იქნება იგი თუ უმდაბლესისა.

სულოაგას ყურადღება ყველაზე მეტად სწორედ ამ სურათმა მიიპყრო, სურათის ცენტრალური ნაწილი — სამი ფიგურა — მოძრაობით, მიმიკით, ჟესტიკულაციით მართლაც რომ შეუდარებელი იყო.

„ცოცხალისა“, „ნადირობისა“, „ქეიფი ბუნების წიაღში“ და „მწყემსების“ გარდა, სულოაგამ დაღამებამდე მოასწრო კიდევ ათიოდე ფერწერული სურათის გასინჯვა. სურათებს ის სინჯავდა არა ზერელედ, უბრალო ცნობისმოყვარეობის ან ზრდილობისათვის, არამედ როგორც უკიდურესად დაინტერესებული, განცვიფრებული, აღტაცებული და თანაც ახირებული მუშტარი... სურათებთან ერთად მოასწრო აგრეთვე უამრავი გრაფიული ნამუშევრის გადათვალიერება.

როგორც ფერმა, ისე უცნაურად ფაქიზმა და ელასტიკურმა ხაზმა განცვიფრებაში მოიყვანა სულოაგა. მისთვის ეს იყო მეტად ორიგინალური და ზოგჯერ კი ნამდვილად პოეტური ქმნილებები; პირველი „ალმოჩენის“, სალონში გამოფენილი სურათების დათვალიერების შემდეგ, შთაბეჭდილება მას კიდევ უფრო გაუძლიერდა.

ბოლოს მაგიდას მოუსხდნენ. სულოაგა ახლა უფრო შთაბეჭდილებებით იყო დაღლილი, ვიდრე ფეხზე დგომით. გუდიაშვილმა სტუმარს წინ დაუდო მუყაოს საქაღალდე, რომელშიაც ჩალაგებული იყო გრაფიკული ნამუშევრები.

სულოაგა დაუფარავი აღტაცებით სინჯავდა ყოველ ფურცელს — გუდიაშვილის გრაფიკული ჩანახატების ერთიმეორეზე უკეთეს ნამუშევრებს.

გრაფიკული ნამუშევრების თვალიერებისას დროდადრო „ცოცხალისაკენაც“ გაიხედავდა ხოლმე. გუდიაშვილმა მოკლედ უამბო ესპანელ მხატვარს კინტოს ამბავი — ვინ იყო იგი, რას წარმოადგენდა, რას აკეთებდა, რა ზნისა და ჭკუისა იყო... უამბო, რომ კინტო მთელი თავისი ავლადიდებით თბილისში ქალაქური ფოლკლორის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. მათ შორის, ვისაც კი შეიძლებოდა შესვედროდით ქალაქის ქუჩებსა და ბაზრებში, კინტო იყო ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა თავისი ჩაცმულობით, სიტყვა-პასუხით, მიმიკით და ჟესტიკულაციით.

გრაფიკული ნამუშევრების მიხედვითაც სულოაგა აშკარად ხედავდა, რომ ამ ქალაქური ტიპის — კინტოს პლასტიკურად უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი მოძრაობა მართლაც მდიდარ-მასალას წარმოადგენდა მხატვრისათვის; გუდიაშვილის შემოქმედებითს ალღოს კარგად მიეგნო ამ „მადნისათვის“, პოეტური სული შთაებერა და საოცარი ოს-

ტატობით გამოეწრთო იგი თავისი ფანტაზიის ქურაში.

სულოაგა თან ათვალიერებდა გრაფიკული ნამუშევრების წყებას, თან ზოგიერთს, რომელიც კი თვალს განსაკუთრებით სტაცებდა, განზე აწყობდა. როცა მუყაოს საქაღალდეში თავმოყრილი გრაფიკული ფურცლები გასინჯა, ხელები გაშალა და წრფელი ხმით შენიშნა:

— რა გაეწყობა, სენიორ ლადო! დღეს შენი ორიგინალური კინტოების, შენი პოეტური ფანტაზიის, შენი გასაოცარი ნიჭის ტყვე ვარ!

— მეტისმეტია, მაესტრო!.. მართალია, ჩვენში მასპინძლის ქება სტუმრის მიერ მიღებულია, მაგრამ... პარიზში თქვენ უფრო ხართ მასპინძელი, თუმცა ჩემს სახელოსნოში იმყოფებით.

— მე ახლა მარტო ის მაინტერესებს, თუ შეელეოდით ამათ? — სულოაგამ განზე გადაწყობილ ფურცლებს გაშლილი ხელისგული დააფარა.

გუდიაშვილმა დაუფარავი კმაყოფილებით გაუღიმა.

სულოაგამ ნამუშევრები ფრთხილად გადათვალა.

— სულ ათი ფურცელია.

— რამდენიც უნდა იყოს, თქვენთვის, სულ ერთია, მემეტება!

სულოაგამ მოხიბლული კაცის თვალით შეხედა ახალგაზრდა მხატვარს და პიჯაკის ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა გულისჯიბიდან ამოიღო ფრანკების

ორ-ორი დასტა, ფული ერთიმეორეზე დააწყო, ამორჩეული ნამუშევრების გვერდით.

— ეს რას ნიშნავს, მაესტრო?! — გულწრფელი გაოცებით იკითხა გუდიაშვილმა, ადვილად შეატყობდით, რომ ფულის დანახვამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო და აღარ იცოდა, რა ექნა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ... თქვენი ნამუშევრები მე შევიძინე და...

— კი მაგრამ... მე ხომ არ მომიყიდია!

სულოაგას გაეცინა. გულწრფელად შეწუხებულ გუდიაშვილს მან მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი და მამაშვილურად შენიშნა:

— თქვენ არა მარტო ძალიან ნიჭიერი და კეთილშობილი, ძალიან... ახალგაზრდაც ყოფილხართ! აქ პარიზია, ჩემო კარგო! ესეც რომ არ იყოს, ვინ იქცევა ახლა აგრე?.. ხომ არ გინდათ, ასე ნაადრევად გახდეთ ჩვენი სახელოვანი სერვანტესის საქვეყნოდ ცნობილი „მწუხარე სახის რაინდის“ მემკვიდრე?

— მაესტრო, განა მე თქვენგან პატივისცემა და ყურადღება მაკლია, რომ...

— რაღა გვიჭირდა, ჩემო უმცროსო კოლეგა, მარტო წამქეზებელი სიტყვებით რომ შეგვეძლოს ცხოვრება! ყველაფერს თავისი კანონები აქვს! მე ბევრი რამ გამომიცდია და ვიცი გაჭირვების სიმწარეც და დახმარების ფასიც!.. აგრე ნუ მიყურებთ! მთელი ესპანეთი მოვლილი მაქვს ჯერ კიდევ ჩემს სიჭაბუკეში! ხან კანტორის მოხელე ვყოფილვარ, ხან ტორეადორი, მაგრამ ყველა საქმეს ვღალატობდი, გარდა

ერთისა — გულით მიყვარდა ფერწერა და ჯერ კიდევ ბავშვობაში თუ ვფიქრობდი, რომ პრადოზე უკეთესი ადგილი ქვეყანაზე არ იყო, მგონია, რომ არ ვცდებოდი. აქ იყვნენ ჩემი სათაყვანო ველასკესი, გრეკო, გოია!.. ბავშვობიდანვე მუდამ ახლოს ვიყავი ხალხთან და კარგად ვიცნობდი თითქმის ყველა წრისა და ხელობის ადამიანს. მათთან თავიდანვე მაკავშირებდა ის უშუალო სიყვარული და სიმპათია, რომელიც არ იცნობს არავითარ ზღუდეებს, არც წოდებრივს, არც ქონებრივს. როცა ფუნჯის მარჯვედ გასმა ვისწავლე, ვხატავდი მოსეირნე ქალებით სავსე ქუჩებს, თეთრ, შავგვრემან და წითურ ანდალუზიელებს, ბოშებს, ამაყად თავაწეულთ, ღიმილით გასხივოსნებული სახით, წითელი მანტოებით, შავი შარფებით და განთქმული მარაოებით... ასეთივე გატაცებით ვხატავდი უსაქმურობის დაღით აღბეჭდილ მშვენიერ შიშველ სხეულებს. ერთნაირად მიყვარდა განათებული მოედნებისა თუ ჩაბნელებული საკურთხევლების ხატვა. არ მავიწყდებოდნენ ტორეადორები და ჯამბაზებიც კი... ყველაფერი მაინტერესებდა, სადაც კი ცხოვრების მაჯისცემას ვგრძნობდი... ვინ მოთვლის, რამდენი სურათი დამიწერია მდაბიო ხალხის ცხოვრების სიუჟეტზე! ჩემი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის კოლორიტული ფიგურებისა და ტიპების დასაწერად ხომ მუდამ მიმიწევდა გული!

გუდიაშვილი მოჯადოებულივით უსმენდა სულოაგას, რომელიც დინჯად, ძუნწად, მაგრამ გატა-

ცებით ჰყვებოდა თავისი ცხოვრების თავგადასავალს...

ჩამობნელდა. სტუმარ-მასპინძელს ეს არ შეუმჩნევია; შეიძლება იმიტომაც, რომ ეს სიბნელე ხელს უწყობდა მათს საუბარს.

— მაესტრო, ვინ შეგაყვარათ მხატვრობა? ვინ იყო თქვენი პირველი მასწავლებელი? — ფრთხილად ჰკითხა გუდიაშვილმა.

— ელ გრეკო! — უმალვე მიუგო სულოაგამ. — მადრიდის სახელგანთქმულ პრადოში პირველად შევასრულე გრეკოს ერთი სურათის ასლი. მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვაგროვებდი და ახლაც ვაგროვებ ამ დიდი ოსტატის ნამუშევრებს... არა მგონია, მისი სურათების უკეთესი კოლექცია, ვიდრე მე მაქვს, სხვა ვინმეს საკუთრად მოეპოვებოდეს!

— ეს უკვე ვიცი, მაესტრო... თქვენი ნამუშევრების რეპროდუქციებს და თქვენს ბიოგრაფიას მე ჯერ საქართველოში გავეცანი.

— მაშ, კარგად მოქცეულხართ, რომ პარიზშიაც ჩამოხვედით... რახან შორიდან მიცნობდით, ბოლოს და ბოლოს პირადადაც ხომ უნდა გაგვეცნო ერთმანეთი! — ხუმრობით თქვა სულოაგამ და გუდიაშვილს გაუცინა.

— მაესტრო, მამათქვენიც მხატვარი იყო?

— მამაჩემი პლასიდიო სულოაგა იყო ლითონზე მომინანქრების განმაახლებელი ესპანეთში. ამ საქმეში დიდი სახელიც მოიხვეჭა. მისი საუკეთესო ნამუშევრები ევროპის ყველა დიდ კოლექციაშია დაცული.

ჩემი ერთ-ერთი წინაპარი სახელგანთქმული გოიას მეგობარი და „არმერია რეალის“ კოლექციის მცველი ყოფილა, ბიძაჩემი დანიელი კი მთელ სეგოვიაში თავისი მსატერული კერამიკით განთქმული.

— მაესტრო, თქვენ ხელოვნებისათვის თავდადებული წინაპრები გყოლიათ!

— სწორედ აგრეა!.. მამაჩემს კი რატომღაც არ უნდოდა, რომ ფერმწერალი გავმხდარიყავი. ჩვეულებრივ, როგორც ხდება, მშობლები სწორედ იმ შვილების მისწრაფებას უყურებენ ეჭვით, რომელთაც თავიანთი მოწოდება „აკვანშივე“ აქვთ გარკვეული... სენიორ ლადო, ჩვენ კიდევ ბევრ რამეს ვუამბობთ ალბათ ერთმანეთს! მაშ, ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ! ჩვენი შემდეგი შეხვედრა მოვაწყოთ ჩემს ატელიეში. ძალიან გამეხარდება თქვენი მოსვლა. რამდენიმე ახალ სურათს მეც გაჩვენებთ.

სულოაგა წამოდგა.

— მაესტრო... არ შემიძლია დაგეთანხმოთ... არ შემიძლია მოგყიდოთ ჩემი უბრალო ნამუშევრები. რახან მოგეწონათ, მე უფრო მესიამოვნება, რომ გაჩუქოთ...

— მაგის შესახებ სიტყვას ნუღარ გავაგრძელებთ. საქმე გათავებულია. ყურადღება — ყურადღებად, ფული — ფულად!..

— აღარ ვიცი, რა ვთქვა... არ მინდოდა მეორედ შევრცხვენილიყავი თქვენ წინაშე. განა ის არ კმაროდა, სალონში გამოფენილი ჩემი ერთი სურათი რომ შეიძინეთ?.. მე ხომ მისი უსასყიდლოდ მორთ-

მევაც მეწადა, მაგრამ... სალონის ჟიურის მდივანმა მაშინ ჩემი სიტყვის მოსმენაც კი არ ისურვა...

— სწორადაც მოქცეულა. ასე რომ არიგოთ თქვენი ნამუშევრები, რითღა უნდა ირჩინოთ თავი, როგორღა უნდა იმუშაოთ?!

— ეგ მართალია, მაგრამ... ჩემი პატივისცემა რითღა გამოვხატო, მაესტრო, თუკი ნამუშევარი მოგყიდეთ...

— რად მინდა ისეთი პატივისცემა, თუ თქვენ ის შიმშილით მოგკლავთ! თქვენ პატივს იმით გვცემთ, რომ ასეთ საუცხოო ტილოებს წერთ და ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებთ! სამაგიეროდ, ჩვენი თქვენდამი პატივისცემა ის იქნება, თუ მხარს დაგიჭერთ მორალურად და მატერიალურად! მაშ ასე, ჩემო ახლო მეგობარო! აიღეთ ეს ფული და დაგვიხატეთ კიდევ უფრო უკეთესი სურათები.

იგნასიომ ამ სიტყვებზე ქაღალდში გაახვია არჩეული გრაფიკული ნამუშევრები და იღლიაში ამოიდო. „კაპ ნუარსაც“ რომ ხელი წაატანა, გუდიაშვილმა შეაჩერა.

— მაესტრო, სულ დავიბენი და ესაა... იქნებ კიდევ შეიცადოთ ცოტა ხანი. საქართველოში წესად გვაქვს, სტუმარი პატივუცემლად არ გავუშვათ!

— ესპანეთშიც ასე ვიცით, — ღიმილით მიუგო სულოაგამ, — მაგრამ ახლა ამ წესის დარღვევა მაინც მოგვიხდება. ჯერ ერთი, ჩემი წასვლის დროა, მეორეც, უკვე დიდად პატივნაცემი ვარ! ხელოვანისათვის იმაზე მეტი პატივისცემა არ არსებობს, თუ კოლეგა

თავისი ახალი სურათების ჩვენებით გაუმასპინძლდება!

— იქნებ... კაფე „როტონდს“ ვეწვიოთ? სწორედ დროა, მაესტრო! ჩვენ გარდა, ალბათ, ყველა ჩვენი ნაცნობი ხელოვანი იქაა!

სულოაგამ მაგიდაზე დაწყობილი ფრანკების დასტას ხელი დაადო და მრავალმნიშვნელოვნად თქვა:

— ეს ფული კაფესათვის არაა დანიშნული! — ამ სიტყვებზე იგნასიომ „კაპ ნუარი“ მკლავზე გადაიკიდა და კარისკენ გაეშურა.

— მაესტრო! დიდად ბედნიერი ვარ თქვენი სტუმრობით, მაგრამ მწყინს, რომ ასე უბრალოდ გიშვებთ...

— ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს! მაშ, მომავალ კვირაში ჩემს ატელიეში გელოდებით!

— უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ამ პატივისათვის! თქვენი სიკეთე არ დამავიწყდება!

კარებთან შეჩერებულმა სულოაგამ შლაპა სწრაფად ჩამოიღო საკიდიდან და ისიც ხელში დაიჭირა. როცა კიბის ბაქანზე გავიდა, გამოსამშვიდობებლად ხელი ასწია, მაგრამ მასპინძელი სულაც არ ფიქრობდა ასე ადვილად გაეშვა სტუმარი... სულოაგა უარზე იყო, მაგრამ გუდიაშვილმა მაინც ჩააცილა ორ სართულზე. აქ კი ორივენი ხელისქნევით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

გუდიაშვილს ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ოთახში შემობრუნდებოდა. მან სწრაფად ამოირბინა

კიბე. ოთახში დაფეთებულივით შეიჭრა, სინათლე აანთო და თვალებს არ დაუჯერა, როცა მაგიდაზე ფრანკების ოთხი დასტა კვლავ იხილა. წარმოუდგენელი იყო მისთვის ასეთი წარმატებაც და ასე მოულოდნელად გამდიდრებაც. ყველაზე მეტად გუდიაშვილს ახლა ის უხაროდა, რომ ეს ფულის დასტები სულოაგას ხელით იყო შემოთავაზებული. სულოაგას ხელის შეხება თითქოს ამ „ხელის ჭუჭყსაც“ კი ასპეტაკებდა.

მეტისმეტი სიხარულისაგან ლადომ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ამ წუთში ის სიხარულის კანკალს აეტანა... ხან ფულს დახედავდა, ხან სურათებს შეათვალიერებდა... თუ აქამდე უცხო ქვეყანაში, ხელოვანთა ოკეანეში — პარიზში თავს ნაფოტივით გრძნობდა, რომელიც „ზვირთს“ ყოველ წუთში შეეძლო, სბითაც მოესურვებოდა, გადაესროლა, სულოაგას სტუმრობის შემდეგ ახალგაზრდა მხატვარმა ფეხქვეშ პირველად იგრძნო „ნიადაგი“ და „გულს იმედი ჩაესახა“. ერთი-ორი წუთი გუდიაშვილი მოუსვენრად სცემდა ოთახში ბოლთას, მერე სწრაფად მოიფიქრა და გადაწყვიტა — კაფე „როტონდში“ გაქცეულიყო... იქ თავისი ნაცნობ-მეგობრებისათვის ეამბა ყველაფერი — სახელოვანი სულოაგას სტუმრობის, ნახატების შეძენის და... გამდიდრების შესახებ. ფულის ერთი დასტა ჯიბეში ჩაიდო და ქუდს ეცა, მაგრამ დაიხურა თუ არა, რაღაც ეხამუშა. როცა შლაპა სინათლეზე გასინჯა, მიხვდა, რომ სულოაგას ქუდი შეცვლოდა... გუდიაშვილმა უმალ კარი

გამოიკეტა და კიბეზე კისრისტეხით დაეშვა. გადაწყვეტილი ჰქონდა, სულოაგას დასწეოდა და შინაურებთან „შერცხვენისაგან“ ეხსნა.

იუგენსის ქუჩა ჩაირბინა და მონპარნასის ბულვარზე გასული უნებლიეთ შედგა... საგონებელში ჩავარდნილი ამაოდ აცეცებდა თვალს. ვინ იცის, საით წავიდა სულოაგა... ბევრი ფიქრის დრო არ იყო. ბოლოს გუდიაშვილმა გადაწყვიტა, მარცხნივ განეგრძო გზა და ჩქარი ნაბიჯით ბულვარზე მოფუსფუსე ხალხში თვითონაც შეიჭრა... თავისი მკვირცხლი თვალებით გაფაციცებით იყურებოდა აქეთ-იქით, თან ბოდიშს იხდიდა, თუ ვინმეს უხერხულად მხარს გაჰკრავდა.. ასიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, უცებ სიხარულისაგან გული უცნაურად შეუტოკდა. მან იცნო შორიახლოს მიმავალი სულოაგა. გუდიაშვილმა ნაბიჯს კიდევ უფრო მოუჩქარა და როცა სულოაგას საკმაოდ დაუახლოვდა, მოწიწებით, მაგრამ აღელვებით უხმო:

— მაესტრო!..

სულოაგა ამაყად შემობრუნდა. გუდიაშვილის დანახვაზე გაოცდა.

— რა მოხდა?! — იკითხა.

გუდიაშვილმა გაუღიმა და ქუდზე ანიშნა.

— მაესტრო! როგორ მოგწონთ ეს პატარა შეცდომა? თქვენ ჩემი ქუდი გხურავთ, მე კი — თქვენი!

სულოაგამ გაკვირვებით აზიდა წარბები და გაიცინა.

— ნუთუ მართლა? — ამ კითხვაში იგრძნობოდა

სიხარულიც, გაკვირვებაც და ბავშვური კმაყოფილებაც იმით, რაც მომხდარიყო.

— დიახ, მაესტრო!

— მერე ამისათვის შეწუხდით? გეტყობათ, გირბენიათ კიდეც!

— დიახ, ცოტა...

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენი საქციელი დიდად მაოცებს! სხვა ასე არ მოიქცეოდა. ცნობილი ადამიანების ნივთებზე სწორედ რომ ნადირობენ ხოლმე, თქვენ კი შემთხვევამ ხელში ჩაგიგდოთ ჩემი ქუდი და...

— მაესტრო... — ცოტა დარცხვენით, უხერხულად წამოიწყო სიტყვა გუდიაშვილმა. იფიქრა — ჩემს ძვირფას სტუმარს უნებლიეთ ხომ არაფერი ვაწყენინეო, მაგრამ სულოაგამ ეჭვი უმალ გაუფანტა. მისი ქუდი, რომელიც მაესტროს შეცდომით თვითონ დაეხურა, კვლავ გუდიაშვილს დაახურა. ასევე მოიქცა ლადოც, ეს იყო მეტად უცნაური და მხიარული წუთი ქუდების საზეიმო გაცვლისა — დიდების მწვერვალზე ასულ ესპანელ იგნასიო სულოაგასა და ამ მწვერვალისაკენ მიმავალ ქართველ ლადო გუდიაშვილს შორის...

— სენიორ ლადო! ის, რაც მოხდა, კარგის მომასწავებელია! — ამას რომ ამბობდა, სულოაგას ერთბაშად რაღაც აზრმა სახე კიდევ უფრო გაუბრწყინა, მან გაშლილი ხელი გუდიაშვილს მხარზე დაადო და ნათქვამს ბეჯითად დაუმატა: — სხვანაირად არც შეიძლებოდა! როგორც გივლია, კვლავაც ისე იარე — შენი ქუდით, შენი რწმენით და შენი გზით!

სიდუ

უცხო ქალაქში ბევრი ხეტიალი დამჭირდა, სანამ ამხანაგის ბინას მივაგნებდი.

მახსოვს მოქანცულმა, გალაფულმა გზის პირას სახლს მივაშურე და ფანჯარას მივაკაკუნე.

ფანჯრის ფარდა ნელა შეირხა.

ჩემს კითხვაზე უცნობმა მოხუცმა კაცმა ეჭვით ამხედ-დამხედა, მერე შინაურებს გაეხმაურა.

მოხუცის ძახილზე ათი-თორმეტი წლის გოგონა მოიჭრა, მორცხვად შემომხედა.

მოხუცმა მწყრალად, თავისებურ კილოზე აუხსნა მას, ვისთანაც მივდიოდი.

მოკლეკაბიანი, ფეხშიშველა და თმააბურდული ბავშვიც უმალვე ხალისით გამიძღვა.

ამხანაგი თუმცა მდუმარედ შემეგება, მაგრამ მაინც ვიგრძენი, რომ ჩემმა უეცარმა სტუმრობამ იგი უსაზღვროდ გაახარა.

როგორც იტყვიან ხოლმე, სიხარულმა დაამუნჯა,

მაგრამ იმავე სიხარულმა მალე ამოადგმევინა ენა და ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ.

ნასადილევს ამხანაგმა მოსვენება მირჩია.

უმალვე ორი ლოგინი გაშალა; ერთი ტახტზე, მეორე — გრძელ მაგიდაზე.

ჯერ მოსვენებაზე უარს ვამბობდი, მაგრამ მალე დავყევი ამხანაგის ნებას, მაგიდა ავირჩიე და წამოვწექი.

ვატყობდი: ამხანაგს ჩემთან ლაპარაკი კვლავ სწყუროდა, მაგრამ თავს იკავებდა.

მგზავრობაში ისე დავიღალე, რომ ახლა ამგვარი წინდახედულობისა და სიფრთხილისათვის გუნებაში ამხანაგს მადლობას ვწირავდი და თავს განგებ ვიმძინარებდი.

სიჩუმეს ზღვის გუგუნი არღვევდა.

ამხანაგს მალე ჩაეძინა.

წამით მარტოობა ვიგრძენი.

ამ პაწაწინა ოთახში, არც ერთი ნივთი ჩემთვის ნაცნობი, მოგონებათა აღმძვრელი არ იყო.

ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი ჭერის შეუღებავ ფიცრებს, რომლებიც სახურავიდან ჩამოსულ ნაწვიმარ წყალს ფართო ლაქებით აეჭრელებინა.

ვაკვირდებოდი გახუნებულ და აქერცლილ შპალერს, კედელზე ქინძისთავებით დამაგრებულ, ბუზებისაგან დაწინწკლულ ფოტოსურათებს, ღარიბულ ავეჯს.

ვაკვირდებოდი მძინარე ამხანაგს, რომელსაც

მარცხენა თვალის ქუთუთო ძილში ნახევრად ღია დარჩენოდა.

ფშვინვის დროს მისი ქვედა ტუჩის მოძრაობაზე გუნებაში უნებურად მეცინებოდა.

კვლავ გამახსენდა, ამეკვიატა აზრი, რომ აქ უცბო ვიყავი და უნებურად ტანში გამაჟრჟოლა.

წამოვიწიე, იდაყვებს დავეყრდნე და გარეთ გავიხედე.

ზღვა ახლა უფრო მეტი გახელებით ბორგავდა.

სახლი ნაპირიდან ორმოცდაათი ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული.

ფანჯრიდან საღამოს ბინდბუნდში ჩემი თვალი ჯერ კიდევ არჩევდა ზეატყორცნილ ტალღებს.

შემდეგ მკაფიოდ მოისმოდა მათი დანარცხების ხმა, ქშუილი.

მოულოდნელად თვალი შევასწარი მოძრავ საგანს.

მას ჩვენი სახლისაკენ აეღო გეზი და ნელა გვიახლოვდებოდა.

ის არ აქცევდა ყურადღებას ამთაგორებულ ტალღებს.

მოძრავი საგანი ამასობაში სახლს დაუახლოვდა.

ეს იყო ყმაწვილი ქალი, ლამაზი და მაცდური სულივით მიმზიდველი.

მას თმა ორ გრძელ ნაწნავად ეშვებოდა მკერდზე და მუხლებამდე სწვდებოდა, საღამოს ბინდბუნდში თეთრად ელავდა.

ქარი ლამობდა დაეშალა, აეწეწა მისი თმა.

ქალი დინჯად ისწორებდა ნაწნავებს, რომლებიც მძიმედ ირხეოდნენ და სრიალებდნენ ამობურცულ მკერდზე.

ქალს თავი ამაყად ეჭირა.

ერთი ხელი მკერდზე ჰქონდა მიბჯენილი, მეორე დაბლა დაეშვა... ამ ხელით დროდადრო კაბას ისწორებდა, მაგრამ კაბა კვლავ ეკვროდა მის ტანს.

სახლიდან ათიოდე ნაბიჯის სიშორეზე ქალმა წამით შეისვენა, ირგვლივ მიმოიხედა და კვლავ განაგრძო გზა.

ის უკვე რვა...

შვიდი...

ექვსი ნაბიჯით იყო დაშორებული ფანჯრიდან...

ქალი უცებ თვალს მიეფარა.

ხელების უმწეო გასავსავებით მოვშორდი ფანჯარას.

ვიგრძენი, რომ რაღაც საგანს დავეტაკე.

მომესმა იატაკზე დამსხვრეული შუშისა და გამოღვიძებული ამხანაგის ხმა: „ვინ არის, რა იყო?!“

— მე ვარ, არაფერია! — მივუგე ამხანაგს და შევიშმუშნე.

თვალი კვლავ ამეხილა.

უმალვე ფანჯარას მივაპყარ მზერა.

გარედან მოისმოდა ამთაგორებული ზვირთების დანარცხების ხმა, ქშუილი და ნელი, ერთფეროვანი შიშინი.

დაღამდა.

ამხანაგი მთქნარებით წამოდგა და ბარბაცით

გაიარა იატაკზე, თან სიბნელეში მესმოდა მისი ხმა— „სადა ხარო“. შემდეგ, თითქოს ხმელ ფიჩხს დააბიჯაო, ტკაცუნმა შეაკრთო და შეაჩერა.

ასანთს გავკარი, ამხანაგს მივანათე.

იატაკზე ლამპის შუშის წვრილი ნამსხვრევებიღა ეყარა.

როგორც შევატყვე, ლამპის შუშის გატეხა ამხანაგს არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია, არ გაამჟღავნა; პირიქით, სიცილით სცადა ჩემი გამხნევება.

ვისხედით სიბნელეში და ყურს ვუგდებდით ზღვის აბეზარ ბრდღვინვას.

მოულოდნელად ამხანაგმა ლამპის გადმოვარდნის მიზეზი ნაძალადევი სიცილით მკითხა.

მე მოკლედ ვუამბე ყველაფერი.

ამხანაგმა ხმამაღლა გაიცინა.

— შენ რომ გინახავს, ის ქალიშვილი... იქ არის!

— სად?! — გაოცებით წამოვიძახე, რადგან სიბნელის გამო ვერ დავინახე საით გაიშვირა ხელი.

— აი, ამ კედლის იქით! ჩემი მეზობელია!

— მეზობელი?!

— რა გაგიკვირდა?!

— მოჩვენება მეგონა.

— ისიც ჩვენსავით ადამიანია... შეიძლება,— ჩვენზე უკეთესი და ჩვენზე საბრალოც! მაგის უბედურება რომ იცოდე...

უძრავად ვიჯექი და ვუსმენდი.

ის განაგრძობდა...

— შარშანდელი ამბავია... იმ საღამოს დიდი

უბედურება დატრიალდა. მახსოვს, წინა დღით ლუკა გავაფრთხილე — ხვალ თუ სათევზაოდ წახვალთ, მეც წამიყვანეთ-მეთქი. სიხარულით დამეთანხმა, რადგან ძია ლუკას, ალბათ ჩემი წყნარი ხასიათის გამო, ძალიან ვუყვარდი, თუმც თვითონ ერთობ შფოთიანი და მოუსვენარი მოხუცი იყო; თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ზღვაზე, თევზაობაში გაეტარებინა და ამ საქმეში დახელოვნებული გახლდათ; მისი ბაბუაც მეთევზე ყოფილა; შეიძლება ბაბუის ბაბუაც. ლუკას ხშირად უამბნია ჩვენთვის, როგორ მოიტაცეს ბაბუამისი მეკობრეებმა და როგორ გაყიდეს, თურმე, ოსმალეთში. მისი ამბავი შემთხვევით გაუგიათ შინაურებს ერთი ოსმალო ვაჭრისაგან.

ლუკას მამაც განთქმული მეთევზე ყოფილა.

ასე, რომ მათი გვარის კაცი სხვა საქმეს იშვიათად მოჰკიდებდა თურმე ხელს.

მათი სული ზღვისკენ იწევდა.

მათი სტიქია ზღვა ყოფილა.

— ლუკას ერთადერთი ქალიშვილიც — სიდუ, სწორედ ის, შენ რომ შეუშინებიხარ, მამის კვალს გაჰყვა. საწყალი! რომ იცოდე, რა ნაზია, უწყინარი და ახლა... უბედურიც! ლუკასთან ერთად ცხოვრობდა მისი უმცროსი ძმა. იმ უბედურ შემთხვევამდე ერთი კვირით ადრე მამამ სიდუს თანხმობა გამოუცხადა, დიდიხნის შეყვარებულ კახას ცოლად გაჰყოლოდა. კახა და სიდუ ლუკას ბრიგადის წევრები იყვნენ, მაგრამ დავანებოთ თავი ამ წვრილმანებს... სხვა დროს გიამბობ!

მეორე დღეს, როცა შეპირებისამებრ ლუკას სათევზაოდ უნდა წავეყვანე, შინ გვიან დავბრუნდი. გუნებაზე არ ვიყავი, გაკვეთილზე ერთმა მოწაფემ გამაბრაზა. მე, რა თქმა უნდა, ჯერ ისეთი გამოცდილი და სახელმოხვეჭილი პედაგოგი არა ვარ, მოწაფეზე დარიგებით ვიმოქმედო!.. უცნაური სალხია! ერთხელ თუ გაგიბედეს და აგითვალწუნეს...

გზაში წვიმამ მომისწრო. აქ ზღვის პირია და, მოგეხსენება, რა ხშირი სტუმარია წვიმა. დავსველდი, ტანსაცმელი გამოვიცვალე... უცებ სარკის მინა მზემ ააბრჭყვიალა. გამეცინა ამინდის თავქარიანობაზე... პურით და ყველით დავკმაყოფილდი, რადგან ნავთი იმდენი არ მქონდა, რომ საჭმელიც გამეკეთებინა და ლამპისათვისაც მყოფნოდა, მე კი ღამით სინათლე ყველაფერს მირჩევნია, დავჯდები მარტო, მყუდროდ და ვკითხულობ დიდხანს, სანამ ქუთუთოები თავისით არ წამოეფარება თვალებს.

ერთხანს ოთახში ბოლთისცემით თავი შევიქციე და მერე ტახტზე წამოვწექი, რათა უნებურად აღძრულ ფიქრებს თავდავიწყებით მივნდობოდი... ცოტა ხნის შემდეგ ლუკამ თავისი ოთახიდან კედელზე დამიკაკუნა. მე აღარც კი მახსოვდა, რომ გუშინ სათევზაოდ წაყოლა ვთხოვე; ყველაფერი ახლა მომაგონდა; მყისვე წამოვვარდი და მისკენ გავეშურე. ოთახში დამხვდნენ ლუკა, მისი უმცროსი ძმა — სოფრომი, თავმომწონე კახა და სიდუ. სადილის საჭმელად ემზადებოდნენ. მაგიდაზე დაწყობილ ცხელი მჭადის ნატეხებს და ახალ მოხარშულ თართის ვარ-

დისფერ ნაჭრებს მადის აღმძვრელი ოხშივარი ასდიოდა. ლუკას ოთახში თავს შინაურად ვგრძნობდი, მიმიპატიჟეს თუ არა, უმალვე მაგიდას მივუჯექი და თართის მოზრდილი ნაჭერი ავიღე, თანაც ჩემს მადას და სულმოკლეობას რაღაც ოხუნჯობა წავუმძღვარე და ყველანი გულიანად ვაცინე. ამის შემდეგ ის თევზი სულ რომ შემეჭამა, მასპინძელი მაინც მადლიერი და კმაყოფილი დარჩებოდა. სიდუმ ღარიბულ სუფრაზე ყურმოტეხილი დოქით ღვინოც დადგა და სადილმა მხიარულად ჩაიარა... მე შევნიშნე, რომ კახამ და სიდუმ რამდენჯერმე მალულად შეავლეს თვალი ერთმანეთს და გაწითლდნენ. მათ გამოხედვაში მოუთმენლობა იგრძნობოდა. ნასადილევს სათევზაოდ მოვემზადეთ, პატარა ბარჟაში ჩავსხედით და ნაპირი დავტოვეთ. მზის გავარვარებული დისკო ნელა ეშვებოდა ზღვაში. ჰორიზონტის გასწვრივ ცა მუქ-წითლად შეფერილიყო; რაც უფრო ვშორდებოდით ნაპირს, თანდათან ნელდებოდა ტალღების ხმაური და ახლა სხვა სანახაობა იზიდავდა თვალს, სხვა ბგერები იპყრობდნენ სმენას. ჩაიმალა თუ არა მზის დისკო, ზღვის ვეებერთელა მოტორტმანე ზედაპირმაც იცვალა ფერი: ბარჟის ირგვლივ კვლავ მწვანედ ლაპლაპებდნენ ტალღები, შორს კი ლურჯი ფერი დაჰკრავდა. მე ჯერ კიდევ არ ვიყავი დახელოვნებული ნიჩბის მოსმაში და სხვებთან შედარებით ორჯერ მეტ ენერგიას ვხარჯავდი. ამასობაში ჩვენ საკმაოდ დავშორდით ნაპირს, ლუკას ბრიგადის წევრები ნაპირთან მოტორიანი ბარჟით

და წავით, რომელშიაც დახვეული ბადე იყო, ჩვენს ნიშანს ელოდებოდნენ... ლუკა ყოველთვის წინასწარ გადიოდა ზღვაში დასაშვერავად. თევზების დიდი გუნდის აღმოჩენაში ლუკას მეტოქე არა ჰყავდა. უცებ ლუკამ შეგვაჩერა. შვებით ამოვისუნთქე, შუბლიდან ოფლი მოვიწმინდე. ლუკამ ჰორიზონტისაკენ ხელი გაიშვირა და გვითხრა:

— ეგერ, ჰე, ხედავთ, როგორ ირევიან თევზიყლაპიები?

ყველამ იქით გავიხედეთ. მართლაც, ჩვენგან ასიოდე ადლის მანძილზე უშველებელი თეთრი ფრინველები ფრთების ფარფატით დასტრიალებდნენ ზღვაზე ამოჩემებულ ადგილს. ლუკას ნიშანზე კვლავ ნიჩბები მოვუსვით და აღნიშნულ ადგილს მივაშურეთ. იმ ადგილს, სადაც თევზიყლაპიები ფარფატებდნენ, ზღვას მუქი ფერი გადაჰკრავდა, იქვე წყლიდან წამდაუწუმ ხტოდნენ ონავარი თევზები. ბარჟა შორიახლო შევაჩერეთ. ლუკა კიჩოზე ავიდა, შუბლზე ხელები მოიჩრდილა და ერთ წამს კმაყოფილებით უცქირა თევზების მალაყს; შემდეგ ნაპირისაკენ იბრუნა პირი და ბრიგადის დანარჩენ წევრებს ანიშნა — მოგვეშველეთო. ბარჟა ნავითურთ მოსცილდა ნაპირს. ჩვენ კი თვალს არ ვაშორებდით იმ ადგილს ზღვაში, სადაც წყალი თევზების აურაცხელ გუნდს გაემუქებინა; მოუთმენლად ველოდით ბადის მოშველებას, რომ იქაურობა მოგვეღობა და ნანადირევით გული გვეჯერებინა.

ეს მოლოდინი, მღელვარება და აღტაცება იმდენ

სიამოვნებას გვგვრიდა, რომ იმ წუთში ბედნიერად მიგვაჩნდა თავი და გულუბრყვილოდ ვეძლეოდით ამ სიამოვნებას. პატარა ტალღები შრიალით ეხლებოდნენ ბარჟის კედლებს, ბარჟა კი გიგანტური აკვანივით ნელა ირწეოდა... უეცრად სიდუმ შეჰკივლა. ელდა გვეცა, წამით გავშეშდით, როცა სიდუსკენ მივბრუნდით, მოულოდნელობისაგან, ლუკას გარდა, რომელიც ისევ კიჩოზე იდგა ამაყად, ყველას ფერი გვეცვალა... დავინახეთ, რომ ჩვენკენ საშინელი სისწრაფით მოჰქროდა რაღაც უზარმაზარი, ვეშაპის მსგავსი, რომლის შავი ზურგის გასწვრივ დარხეულ წყლის ზედაპირზე თეთრი, ქაფიანი ზოლი რჩებოდა. ცხადად, მკაფიოდ ვხედავდით, მაგრამ ჩვენს გონებას, ჩვენს თვალს ამ წუთში თითქოს დაჰკარგოდა დაჯერების უნარი. ვხედავდით, მთელი არსებით ვგრძნობდით, მაგრამ არა გვჯეროდა, რომ ამ ბედნიერებით აღსავსე წუთებში გვიახლოვდებოდა ხიფათი. ყველაფერი თვალის დახამხამების უმალ მოხდა... სანამ გონს მოვიდოდით, სულ ახლო... მსწრაფლ, ერთი მეტრის სიმაღლეზე ამოტივტივდა ჩვენ მიერ ვეშაპად შეცნობილი საოცრება... იმავე წამს ვიგრძენით, რომ უმწეო ბარჟას რაღაც მოენარცხა, მარჯვენა ფერდის ფიცრები და შპანგოუტი შემოლეწა... თვალი მოვკარი — ამ ჯახის ძალამ რა მსუბუქად ისროლა ჰაერში კიჩოზე მდგარი ლუკა და როგორ დაენარცხა იგი კრიალა ფოლადის ვიწრო ბანზე... აქამდე უჩინარი უცნობები მსწრაფლ ამოიმართნენ ლიუკიდან და გარეტებული ლუკა დაით-

რიეს... დაზიანებული გვერდიდან წყალმა ნაკადებად იწყო დენა ბარჟაში. ბარჟა ოდნავ განზე გადაიხარა და ტორტმანს უმატა. ვეშაპის დაჯახებისას შპანგოუტს მივენარცხე, რეტი დამესხა, ტკივილისაგან გული შემიღონდა, მაგრამ რა წამს ბარჟაში ნაკადებად გადმომჩქეფარე წყალი მომესხურა, ცოტა გამოვფხიზლდი. განძრევისა და წამოდგომის თავი აღარ მქონდა, მეგონა — ძვლები ერთიანად დამემსხვრა-მეთქი. თვალებს ძლივს ვახელდი. ჩანს, მალე ისევ დავკარგე გონი, რადგან არაფერი აღარ მახსოვს. დანარჩენი, რაც შემდეგ მოხდა, მძიმედ დაჭრილმა სოფრომმა გვიამბო. ბარჟაში ოთხი მამაკაცი გადმოეშვაო... ახოვანნი ყოფილან, არც ღონე ჰკლებიათ... ორი მათგანი კახას ეძგერა, თურმე, მესამე— სოფრომს, მეოთხე — სიდუს.

ბარჟის კიჩოსა და ტროსს შუა გახირულ სიდუს გადატეხილი ანძისათვის მოეხვია მკლავები, მთელი ტანით ზედ დაჰკვდომოდა. მტერს ეგონა, ქალს ადვილად მოერეოდა, ჯერ კაბის კალთაში წაავლო ხელი, გამოსწია, კალთა გამოფხრიწა, შემდეგ შიშველ ბარძაყს მოეჭიდა, მაგრამ ქალი ანძას ვერ მოაშორა. გაბრაზებული მამაკაცი ახლა მხრებზე სწვდა, დაეჯაჯგურა.

ამასობაში სოფრომმა მოწინააღმდეგე ჯერ მუშტით მოიგერია, მერე ნიჩაბს მისწვდა, ერთხელ მოუქნია... მეორედ... მესამედ... მოწინააღმდეგე მარჯვე და ჯიუტი აღმოჩნდა... ყველა მოქნევა აიცილა, არ მოეშვა... მეოთხედ მოქნეული ნიჩაბი ყუ-

რის პირში ხეთქა სოფრომმა. მტერმა მკლავები ჩამოყარა და ხმის ამოუღებლად გაიშხლართა... სოფრომი კი უფრო გამხნევდა, სიდუს მიეშველა. აქამდე ხმას არავინ იღებდა; თითქოს შრომაში იყვნენ გართულნი. ასლა კი სოფრომის ყიჟინას — „დასცხეთ, გაჟლიტეთ!“ — მოჰყვა მტრის შეძახილიც.

იმ მამაკაცმა, სიდუს რომ ეჯაჯგურებოდა, რა წაბს ნიჩაბმოღერებულ სოფრომს მოჰკრა თვალი, ქალს თავი ანება და შესახვედრად მოემზადა.

სოფრომის პირველი მოქნევა რაღაც განგებით აიცილა და, სანამ ის მეორედ მოუქნევდა, სწრაფად წაიხარა, გაშლილი მკლავით მისწვდა სოფრომს, დანა ჩასცა მკერდში. სოფრომი შედრკა. ახალი მოქნევა გაუცუდდა, თითქოს გაუკვირდა — ეს როგორ დამემართაო, ნიჩაბი ასწია, მაგრამ ამასობაში მტერმა მეორედ დაჭრა იგი, სოფრომს მუხლი მოეკვეთა, მაგრამ მტერს მაინც არ მოეშვა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ნიჩაბი მესამედ მოუქნია, იგი მტრის ბეჭზე გადატყდა.

წამით ორივენი შეჩერდნენ; ტანსაცმელშემოღლეტილი, სისხლით მოსვრილი სოფრომი დატორტმანდა, წინ წამოიხარა, მტერმა იფიქრა, გათავდაო, მაგრამ სოფრომი მოულოდნელად, თავისი გოლიათური მარჯვენა ხელის თითებით მტრის ბეჭს სწვდა, სამოსი მობღუჯა და მოსწია... სოფრომის შეუდრეკლობით და გამძლეობით შემკრთალმა, გაოცებულმა მტერმა წინ წამოხრილ გოლიათს ერთხელ კიდევ შეჰბედა... დანა სახეზე ჯვარედინად გადაუსვა...

სიმწრისაგან სოფრომმა თავი უღონოდ გაიქნია, თვალებდახუჭულ სახეზე სისხლი მოთქრიალებდა. უნებურად ნიჩბის ნატეხი დააგდო და განთავისუფლებული ხელი სახეზე მოისვა, მეორე ხელს კი მტრის სამოსს არ უშვებდა. ხან თავისკენ ეწეოდა, ხან მუშტსა სცემდა მკერდში.

გამხეცებული მტერი, რომელსაც დანა ხელიდან გავარდნოდა, ცდილობდა სოფრომისაგან როგორმე თავი დაეღწია.

ბოლოს უბიძგა, სოფრომმა ტორტმანით გადადგა უკან ნაბიჯი, გახირულ ანძას წამოედო, გადაყირავდა.

მტერმა ერთხელ კი გაიხედა სოფრომისაკენ, სიდუსაც მოჰკრა თვალი, მაგრამ, ალბათ, გაიფიქრა, რომ ქალთან ჭიდილის დრო აღარ იყო, ნავიდანაც წამდაუწუმ მოისმოდა უფროსის დაჟინებული schnell... schnell... ქალს ზურგი შეაქცია, იქვე მახლობლად გაშოტილ, თავგახეთქილ ამხანაგს დასწვდა და ბანზე გადაიტანა.

კახასთან ჭიდილი ორსაც კი გაუძნელდა, ვერასგზით ვერ მიუდგნენ. ისევ გრძელდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა... დროდადრო ნიჩბის ყოველ მოქნევაზე ისმოდა კახას თავგანწირული შეძახილი: არ დაგნებდებით, არა! აჰ, თქვენი სისხლი კი დავალევინე ძაღლებს!..

პასუხად მტრები რაღაც გაუგებარს შესძახოდნენ, აშინებდნენ, ტუქსავდნენ, ღელავდნენ, ტანსაცმელი შემოფლეთოდათ. კახა ცოცხალი, უვნებელი,

მტერს არ ნებდებოდა, რომელსაც განეზრახა, სწორედ ცოცხლად და უვნებლად ჩაეგდო იგი ხელში.

ბოლოს იმ ორს მესამეც წამოეშველა, სწორედ ის, სოფრომს რომ სძლია. ჭიდილში გართულ კახას ზურგიდან შეუმჩნევლად დაუარა, მკლავი მარჯვედ ამოსდო ნიკაპქვეშ და თავი დასაკლავი ხარივით გადაუღრიცა. თვალის დახამხამების უმალ დანარჩენები ფეხებში სწვდნენ, წამოაქციეს, მარყუჟით მკლავები გაუკრეს, ფეხები შეუბორკეს და მსუბუქად ასწიეს.

სანამ ლიუკში თავდაყირა ჩაუშვებდნენ, კახამ ვაჟკაცური და თანაც შემაძრწუნებელი ხმით დაიძახა:

— მშვიდობით, სიდუ! არ დამივიწყოთ. არ შეარჩინოთ ამ ძაღ... — და მისი უკანასკნელი სიტყვები ტრიუმში შთაინთქა.

ფოლადის ვეშაპი მუქმწვანედ მოლაპლაპე ზღვაში ნელა ჩაიმალა.

როცა ჩვენები მოგვეშველნენ, ფერდებშენგრეული ბარჟა უკვე იძირებოდა... მტერს უთუოდ მკვდარი ვეგონე, გარეტებული რომ ვეგდე. არ გამიგია, როგორ გადამიყვანეს ჩვენებმა სათევზაო ბარჟაში, სიდუ ძლივს მოეშორებინათ ანძისათვის.

სოფრომისათვის ჭრილობები შეუხვევიათ და ნავით დაუწინაურებიათ. როდესაც სიდუ ჩემ გვერდით დააწვინეს, უკვე გონს ვიყავი მოსული; მის დანახვაზე ფერი მეცვალა... არაფერი არ ვიცოდი, რით გათავდა მჭრის თავდასხმა. ჯერ კიდევ სიზმარში

მეგონა თავი... საბრალო, ცხრამეტი წლის გოგონას ენა ჩავარდნოდა, გრძელი შავი თმა კი მთლად გათეთრებოდა.

ასე დაიკარგნენ კახა და ლუკა. ეს საბრალო სიდუ კი... ელოდება... ყოველ საღამოს, დარში, ავდარში ჩადის ზღვის ნაპირზე და იქ, სადაც მაშინ ბარჟაში ჩავსხედით, დიდხანს, დიდხანს დგას შუბლზე ხელმოჩრდილული და გასცქერის ზღვას.

შველი გადაჭრილ ხესთან*

ამ ღამეში ქუჩის ერთი ფარანიც არ ბჟუტავდა. ოღროჩოღრო, ქვის ფილებიანი ტროტუარი კი შორი-შორს, სიგანეზე სინათლის ზოლებით იყო გადაკვეთილი. სინათლე მიხურული დარაბის ღრიჭოში ვიწრო ზოლად გამოკრთოდა, ფართოდ — ტრაქტირის ღია კარიდან ეფინებოდა ტროტუარს. სანამ ამ განათებულ ზოლში არ „შეაბიჯებდა", ბნელ ქუჩაში მიმავალი მაღალ-მაღალი, გამხდარი კაცი სილუეტად ჩანდა და შეიძლება ადვილად ვერ გეცნოთ, ნიკოს ბეჭებში შესამჩნევად დავიწროვებული პიჯაკის ჯიბეებში ჩაეყო ხელები. გუნებაში იმ ჰანგების ტაქტზე ღიღინებდა, რიყის ამ ერთმანეთზე უსწორმასწოროდ წაბმული ტრაქტირებისა და ღვინის სარდაფების ჯურღმულებიდან რომ ისმოდა. თუმცა არღნის, დუდუკის თუ დოლის ხმა ერთმანეთში ისე იყო არეული, ჰანგის კეთილხმოვანებისაგან აღარაფერი რჩებოდა.

მართალია, ნიკო ჩქარა არ მიაბიჯებდა, როგორც

* ერთი თავი რომანისა: „ფიროსმანი".

სჩვეოდა, მაგრამ ჭრაქუას ტრაქტირის წინ ფარნის დანახვაზე ნაბიჯს უფრო უკლო. ფარანი ეს წუთია გამოჩნდა, როგორც კი ნიკომ მარცხნივ გაუხვია. ის ახლა თვალს აღარ აშორებდა მოხატულ ფარანს, რომელიც მაღლა, პარაპეტთან ეკიდა. შორიდან ხომ თითქმის არ ჩანდა, მაგრამ, მკრთალად განათებული, თვალს არც ახლოდან სჭრიდა. ფარნის შუშები შიგნიდან დაფარული იყო თეთრი საღებავის შხეფით, და მის სიმქრქალეში ოდნავ ატანდა ნათურის კვერცხის გულივით ყვითელი, თანაბარი შუქი. ბურუსის დარად გამქრქალებულ შუშაზე კი ნახატი საუცხოოდ ჩანდა. ფარნის მარცხენა გვერდის შუშაზე ეხატა დიდი თვალის ჭრილი შავი გუგით და თამამად მოხაზული ზედა ქუთუთოთი. ეს მსუყე, შავი მონასმი მარტო ქუთუთოს მოხაზულობისა კი არა, წამწამების ხშირი მარაოს შთაბეჭდილებასაც ტოვებდა. ნახატი ამ მხრივ ძალზე ლამაზი იყო და არ ჰგავდა ხელოსნის უსულგულო ნაცოდვილარს, ყოველ ნაბიჯზე რომ შეხვდებით თბილის-ქალაქის არა მარტო გარეუბნების ტრაქტირებისა და ღვინის სარდაფების აბრებსა, სარეკლამო ფარნებსა თუ ჩამტვერილი ფანჯრის მინებზე. ფარნის ქვეშ შეჩერებულმა ნიკომ ორივე ხელი კეფაზე შემოიდო და მაღლა აიხედა. მერე ფრთხილად უკან-უკან დაიხია, ქვაფენილზე გადავიდა და შუა ქუჩაში შეჩერდა. ის ახლა ფარნის წინა მხარეს უცქეროდა. წინა შუშაზე ბოლოებგადასკვნილი ორი ყანწი იყო გამოხატული კონტურით; ყანწებს შუა კი ყურძნის მტევანი ჩანდა, ნახევრად

წაფარებული ფოთლით ოქროსფერ, მსხვილ მარცვლებზე. ყანწების და ყურძნის მტევნის მაგივრად მას სულ სხვა რამის დახატვა ეწადა, მაგრამ ტრაქტირის პატრონმა ნიკოს ჭირი მოსჭამა და დაიყოლია. ეტლის ხმაზე ნიკომ ისევ ტროტუარს მიაშურა. ერთი კიდევ ახედა განათებულ ფარანს და ნახატს, გაქანებულმა ეტლმა ბორბლების დგრიალით და ცხენის ნალების ტკაცატკუცით ჩაიქროლა. ჩაიქროლა და ამ ტკაცატკუცში, ერთი წუთით რომ დაახშო მუსიკის არეული ჰანგები, მკაფიოდ გაისმა გამყინავი ხმით წამოძახილი — „ჰეი, გრაფო!“. ეტლში მსხდომნი ახლა აქეთ იცქირებოდნენ. ერთი მათგანი, ეტლის კოფოსკენ ზურგით მჯდარი, ფეხზე წამომდგარიყო და ხელს უქნევდა ფარანთან შეჩერებულ ნიკოს. ის კი არც განძრეულა, თითქოს წამოძახილი არ გაეგონოს, არც თვალი გაუყოლებია ეტლისათვის, რომელიც ხან გამოჩნდებოდა განათებულ ზოლში, ხან ისევ ბნელში უჩინარდებოდა. ნიკომ მხოლოდ გაიფიქრა — „ვიღაცამ მიცნო!.. ქვეყანა მიცნობს, მა რა იქნება!.. ის კი არა, ამ წინეებზე რა მითხრეს იმ ყმაწვილებმა, — შენ ახლა ფრანციაშიც გიცნობენო!.. მაშ, დავიჯერო? კაცო, ქვეყანაზე რა არა ხდება და, ეგეც რომ მოხდეს, რა დაშავდება!“ — ამ ფიქრში ერთი წამით ისევ შეავლო თვალი ფარანს წინიდან, შემდეგ მარცხნიდან. გაკვირვებით აზიდა წარბები... „ეს თვალი რომელი ქალის მზერას უნდა მაგონებდესო“, — ისე მიამიტად იკითხა გუნებაში, თითქოს მართლა არ ახსოვდა.

თავი დახარა. დაფიქრებულმა წამით თვალები დახუჭა და მიშლილ-მოშლილ თმაზე მარცხენა ხელი რამდენჯერმე გადაისვა, ტრაქტირის ალაყაფის კარისკენ გაეშურა. სამიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა. რომ ისევ უკან მობრუნდა, ისევ ფარანს გაუშტერა მზერა. ფარნის შუქზე გამხდარ სახეს არაამქვეყნიური სიფერმკრთალე დაჰკრავდა, სიგამხდრის შთაბეჭდილებას აძლიერებდა სამიოდე დღის გაუპარსავი წვერი და ოდნავ დაშვებული ფართო ულვაში. დაღონებული კაცის ერთბაშად გამოცოცხლებულ მზერაში უკვე იმდენი სითბო იყო ჩაქსოვილი, ისეთი სიყვარულით შესცქეროდნენ ახლა მისი დიდრონი, წყლიანი თვალები ამ ნახატს, კაცი გაოცდებოდა. იმ „თვალისთვის“ მზერა არ მოუშორებია, სანამ მაღლა ცქერით კისერი არ ეტკინა. მერე ისევ ჩაიყო ბეჭებში დავიწროვებული პიჯაკის ჯიბეებში ხელი, და თავდახრილმა, მოგონებებში გადასულმა, ბორძიკით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი... ერთბაშად გამოაფხიზლა რაღაც ღრიანცელმა; მიიხედ-მოიხედა და ანაზდად შეამჩნია, რომ სასადილოს ფასადის შუშებზე რაღაც ლანდები ირეოდნენ. ახლა დუდუკის ხმაც მკაფიოდ გაარჩია. არეულ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამომღერებაზე მიხვდა, მთვრალი მოქეიფენი პუროზას ამთავრებდნენ... ნიკომ ხელი ჩაიქნია და გზა გაანაგრძო. ალაყაფის კარმა გაბმით გაიჭრიალა. ეზოში უფრო ბნელოდა, ვიდრე ქუჩაში, ტრაქტირის წინ, მაგრამ ტრაქტირის რომელიღაც ვიწრო სარკმელში რომ შუქი გამოკრთოდა, ისღა ანათებდა ოდ-

ნავ აქაურობას და გზის გაგნებაში შველოდა კაცს.

იმ ნახევრად ბნელში ერთი კი შეათვალიერა იქაურობა და თავდახრილმა ორსართულიან შენობას მიაშურა. პირველ სართულზე, ბაკში სიწყნარე იყო. ეტყობა, დღეს კარგი ვაჭრობა ჰქონიათ სოფლებიდან ჩამოსულებს, ხელი გაუცლიათ... გუშინ მთელი დღე, და დღესაც უთენია აქ ისეთი გნიასი იდგა, ყურთასმენა აღარ იყო. ცხვარი, თხა, გოჭ-ინდაური და ქათმები ერთმანეთში არეულიყო. სადღაც ძროხაც ბღაოდა. კაცი ძალაუნებურად შეეჭვდებოდა, დესიმონოვის მოედნიდან ბაზარი აქ, ჭრაქუას ტრაქტირის ეზოში ხომ არ გადმოუტანიათო. შაბათობით, კვირის ბაზრობის წინ, აქ ყოველთვის ალიაქოთია. მერე ისევ ყველაფერი მიწყნარდება, თუ შეიძლება მიწყნარება ეწოდოს დღე და ღამე არღნის გამაყრუებელ კუტ-კუტს, დოლის ბაგუნს და მთვრალების ერთ ღრიანცელად შენივთებულ უთავბოლო სიმღერას. ნიკო კიბეს მიადგა. პირველ საფეხურზე ფეხი შედგა თუ არა, შეჩერდა. სანამ მეორე საფეხურზე ავიდოდა, მარცხენა ხელი მაჯის სიმსხო სახელურს ჩაავლო და ცოტა შეტორტმანდა, მეორე თავისუფალი ხელი ჰაერში გაასავსავა. მორყეული სახელური რომ განზე გადაქანდა, შეეშინდა, თან არ გადავყვეო. მას ახლა ისიც გაახსენდა, რომ შუაწელში კიბის ერთი საფეხური ჩატეხილი იყო. ვიწრო აივანზე ასულმა წინა, დიდ ოთახში შეიხედა. აქაურობას ხუთი თითივით იცნობდა, მაგრამ რატომღაც ერთ წამს ზღურბლზე მაინც შეყოვნდა... ოთახს ჭრა-

ქი ძლივს ანათებდა... ნარებზე კი ხალხი ისე მიყრილიყო, გეგონებოდათ, გრძლად შეკრული ტვირთი აწყვია თაროებზეო. კარებშივე იგრძნობოდა — ჰაერი ბოლით იყო დამძიმებული, და იმ ნახევრად ბნელშიაც გაარჩევდა კაცი, როგორ დაფრინავდა ჭვარტლი. თუ ნიკო რომელიმე მიკიტანთან, ან ტრაქტირის პატრონთან დროებით არ იყო „ჩამომხტარი“, ღამეს აქ, რიყეში, ჭრაქუას ტრაქტირის „სასტუმროში“ ათევდა შაურად. თუ არაყს და საჭმელს უფასოდ სთავაზობდნენ, ღამის გასათევ შაურს ჯიუტად იხდიდა. სხვაგან კი, ცალკე ნომერს ვინ ჩიოდა, საერთოშიც ღამეს ორ აბაზ ნაკლებად არ გაგათევინებდნენ; თუმცა ესეცაა, იქ ლოგინში მაინც ჩაგაწვენდნენ და ადამიანურად გამოიძინებდი. აქ კი, ამ საკმაოდ მოზრდილ ოთახში, ნალისებურად სამი კედლის გასწვრივ გაურანდავი ფიცრის ნარები იყო გამართული. არც სხვა დროს იყო ხალვათობა, მაგრამ შაბათ-კვირას ნარებზე ისე მჭიდროდ იწვა ხალხი, ცალ მხარს ვერ ჩასტევდი, თუ ვინმეს არ შეებრალებოდი, ან ხათრით ცოტა არ შევიწროვდებოდა. ნიკოს ამ კვირა ღამესაც აქაურობა გაჭედილი დახვდა. ერთი პირობა კიდეც გაიფიქრა, — წავალ, იქნებ ახლომახლო რომელიმე მედუქნემ შემიშვას ღამის გასათევადო, მაგრამ უკან გაბრუნება დაეზარა, ამისი თავიც აღარ ჰქონდა. ოთახში შევიდა. მკვდარივით ჩაძინებულებს ჩაუარა. აქა-იქ მძინარენი მოუსვენრად იშმუშნებოდნენ და იქექებოდნენ. ერთგან შეჩერდა. ჩაცმულობით ვიღაც მთიულის გვერდით

გრძლად ჩაკეცილი ნაბადი შენიშნა. იფიქრა, თუ ამ ადგილს დამითმობს ნაბდის პატრონი, მეტიც არ მინდაო. დაიხარა, მძინარეს ფეხის ცერზე ორი თითი მოსჭიდა. წინდა სველი ეჩვენა; დაინახა, ჭრაქის სუსტ შუქზედაც კი როგორ იელვა გაღვიძებული მთიულის ანაზდად გახელილი თვალების თეთრმა გარსმა. მან-გამოღვიძებულ მთიულს ფეხის ცერზე ხელი უშვა და წელში გაიმართა. მთიულმა ჯერ თავი წამოსწია, მერე სწრაფად იდაყვებს დაებჯინა და თავზე წამომდგარ უცხო კაცს ხმადაბლა, მაგრამ გულმოსულად ჰკითხა:

— ვინა ხარ, რა გინდა?!

— ნაბადი შენია, ძმობილო?

— მაშ ვისი იქნება?

— არა, გეკითხები... თუ დამითმობდი...

— ნაბადსა?

— ნაბადს კი არა, ადგილს.

მთიულმა გვერდით მწოლარეს გადახედა, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ იყო გამოფხიზლებული და ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. მერე კვლავ იმ უცხოს მიაპყრო გამჭოლი, ეჭვნარევი მზერა და წყნარად თქვა:

— ეს ადგილი მაინც რით მოგეწონა? თუ დაეტევი...

— როგორც იქნება... რა ჩასუქებული მე ვარ!..

ნიკო ჭრაქისაკენ ზურგით იდგა და, მთიულის წინ სილუეტად წამომართული, უფრო გამხდარი ჩანდა, ვიდრე იყო.

მთიულმა ნაბადი მოკეცა, ხურჯინს და ქალამნებს, თავქვეშ რომ ეწყო, ზედ დააფარა. უცხო კაცს ადგილი გაუთავისუფლა. იმ უცხო კაცმა აღარ დააყოვნა, ჩაიჩოქა და შეწვა მთიულსა და ვიღაც ქალაქელ, გულდაღმა ჩამხობილ მძინარეს შუა. რამდენადაც შეიძლებოდა, მთიულმა ამხანაგისაკენ წაიწია, ისიც შეავიწროვა და ნიკო ახლა კი გაიშოტა გულაღმა, მუხლიც გაშალა, ხელები თავქვეშ ამოიდო, ძლივს, მოსვენებული კაცის კმაყოფილებით მოითქვა სული.

მთიულმა გადახედა და ჩაიცინა. ნიკომაც ქვემოდან შეავლო თვალი, ამაღლებულ სასთუმალზე წამომჯდარივით მიწოლილ მთიულს. „ნეტავი რა აცინებსო“, — გაუკვირდა.

— კაცო, ეგრე მაინც როგორ მოახერხე გახდომა, ერთი თვის დამშეულსა ჰგავხარ!

ნიკომ არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაიფიქრა: „საქმე თავია. ცარიელი ტანი ლეშია. მსუქანი ლეში კი მჭლეზე ათჯერ უარესია“.

— წეღან თავზე რომ წამოგვდგომოდი, — განაგრძო მთიულმა ცოტაოდენი დაყურადების შემდეგ, — ნეტავ გენახა, რასა ჰგავდი... მოჩვენება მეგონე. სახეც არ გიჩანდა... ე რა სათნო იერი გქონია!..

ნიკომ მთიელს მზერა მოარიდა, თვალი მოპირდაპირე კედელს უსწორა, შექებით ნასიამოვნებს ჩუმად ეღიმებოდა.

— რა გქვიან?

ნიკომ ისევ ახედა მთიულს.

— მეგონა, მიცანი...

— სით უნდა მეცვნე?..

— შენ რა გქვია?

— მე — ქავთარ! — ამაყად თქვა მთიულმა. — ა, ეს ჩემი ძმაა, იანვარაი!

— მე კი, აბა, რა გითხრა, ხან ნიკოს მეძახიან, ხან ნიკალას, ხანაც „გრაფს“, ვინ რა გუნებაზეა, ჰკუა იქით იყოს...

— ნამდვილ ვინა ხარ, ვისი გორისა?

— ნამდვილად? ნამდვილად — ნიკო ფიროსმანაშვილი ვარ. ქიზიყი გაგიგონია?

— მაშ არა?

— მირზაანი?

— ეგეცა.

— ჰოდა, ე მაგ მირზაანიდანა ვარ... ვახ, იწყება შემოსევა, — უეცრად წამოიძახა აქამდე წყნარად მოუბარმა ფიროსმანაშვილმა, თანაც კისერზე ხელი იტკიცა და მოისრისა. შემდეგ ხელისგული დაყნოსა და კვლავ წყნარად შენიშნა, — ის არის...

მთიული გაოცებული დასცქეროდა.

— ვინ არის, ე მანდ ხომ არ გახურვებს კაცო?!

ნიკომ თავის ხელისგულზე ახლა მთიულს აყნოსვინა.

— ბაღლინჯო! ჰო, ეგა ყოფილა, ეგ წყეული. იქ, მთაში, ჩვენსა რწყილი მძლავრობს, აქ — ბაღლინჯო!

მაგრამ ნიკოს უმალ დაავიწყდა ბაღლინჯოც, ქავთარიც, მირზაანიც და ყველა, ვინც კი ახლა აქ

ჩუმად ფშვინავდა, თუ ძალუმად ხვრინავდა... დაავიწყდა, რაწამს ჭრაქსა და დოქს შეავლო თვალი. მოპირდაპირე კედლის წინ, პატარა, დაბალ მაგიდაზე, ჭრაქის გვერდით, წყლით სავსე დოქი იდგა. ისე როგორ იქნებოდა, რომ ნაღვინევს, თუ ღვინის მოძულეს, წყალი არ მოსწყურებოდა... ამ ღამეში კი სად უნდა წასულიყო... შაურიან ღამის გასათევში ეს იყო ერთადერთი შეღავათი. როცა ჭრაქის ალი შეირხეოდა, გრძელ, ყომრალ კუდს მოიქნევდა, დოქის მუცელზე ცალ მხარეს სინათლის ლაქაც და ჩრდილიც უცნაურად იცვლიდა იერს, განათებული არე ხან მატულობდა, ხან კლებულობდა. ნიკოს ანაზდად მოაგონდა „დათვი მთვარიან ღამეში“. ერთბაშად ზეზე წამოვარდა, მაგიდაზე დოქი ცოტა წინ წამოსწია, უკან კი ჭრაქი შემოუდგა, ორი ნაბიჯით დაიხია, დოქის მუცელი ჭრაქს უკვე მთლიანად ფარავდა, სამაგიეროდ, ჭრაქი ახლა თანაბრად ანათებდა უკანიდან როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარეს, დოქის ამობურცული წინა ნაწილი კი ერთ მრგვალ, შავ ლაქად ჩანდა.

იანვარამ ქავთარს შეხედა, მერე ტუჩი თითქმის მისი ყურის ბიბილოს შეახო და ჩურჩულით იკითხა:

— წეღან მთვრალსა ჰგავდა, მაგრამ ე მანდ გიჟი არ იყოს ეგა!

— გიჟი რად იქნება, სინათლე თვალში სცემდა და დოქი მოაფარა.

ნიკო ისევ დაწვა. ცოტა გვიან მოულოდნელად ქავთართან ბოდიში მოიხადა, მერე თავქვეშ ხელები

შემოიწყო და ერთხანს გაშტერებული უცქეროდა უცნაურად განათებულ დოქს. ნიკალას ძლიერ მოსწონდა ამ წესით განათებული საგანი, თუმცა არ იცოდა, რომ მას კონტრაჟური ჰქვია და, არც სჭირდებოდა ამის ცოდნა. უნდოდა წასძინებოდა, მაგრამ ის განათებული დოქი აღარ ასვენებდა. „ვაჰ, ერთი ფუნჯი და საღებავები მქონდეს ხელთა,“ — გაიფიქრა და უცბად შუბლში იტკიცა ხელი. სულგანაბულმა და განგებ თვალებდახუჭულმა ქავთარმა გულმოსულად წამოიძახა:

— კიდევ ბაღლინჯო?

— არა, კაცო, რის ბაღლინჯო, — მიუგო ნიკომ, — იმ დამთხვეულ მიხაკას გადამკიდემ მთელი ჩემი ხელსაწყოები, ბაღდადში გამოკრული ფუნჯები, სადღაც მივკარგე...

ნიკო რამდენჯერმე წამოჯდა და ისევ მიწვა. ვეღარც თვითონ იძინებდა და მეზობელსაც სულ გაუფრთხო ძილი. საკმარისი იყო, ჭრაქით განათებული დოქისათვის მოეკრა თვალი, რომ უმალ წყნარდებოდა, გულს უმალ მოეშვებოდა ფუნჯების დაკარგვით შემოწოლილი ბოღმა და იმაზე ფიქრობდა — როგორ უნდა გაჩენილიყო შავ მუშამბაზე ამ დოქის ორეული. ფუნჯის რამდენიმე მოქნევა და ეგ შენი დოქი თავისი წუთიერი ჩრდილ-განათებით სულ სხვა სიცოცხლით იცოცხლებდა, ვინ იცის, როდემდის... მაგრამ ცალკე ფუნჯების სადღაც მიკარგვით ბოღმამორეულს, ცალკე იმ დოქის დახატვას მოწყურებულს, დაღლილ-დაქანცულს ბოლოს მაინც ჩაეძი-

ნა, ქავთარი კი ფხიზლობდა. ძილი გაუტყდა. „ჯერ ეგეთი კაცის მნახველი არა ვარო“, — ფიქრობდა თავისთვის. დროდადრო მალულად ნიკოს ზემოდან გადმოხედავდა. ნიკო წყნარად ფშვინავდა, გეგონებოდათ, ულვაშებს სულს უბერავსო. წელან ქავთარმა თავქვეშ ნაბადი რომ ამოიდო, მისი სასთუმალი ისე ამაღლდა, ახლა ის წამომჯდარს უფრო ჰგავდა, ვიდრე წამოწოლილს. ნიკოს ძილში გაშლილი მკლავები გამხდარ ბარძაყებზე ედო. ფანჯრები ღია იყო და, თუ შალის ტანსაცმლიანი მთიული სექტემბრის ღამის სიგრილეს არად აგდებდა, ნიკო ძილში დროდადრო ისე აისვ-ჩაისვამდა ხელებს ბარძაყებზე, აშკარად ეტყობოდა, სციოდა. ეს ქავთარმაც შენიშნა. ერთხანს უცქირა, უცქირა, მერე როგორც იყო მოიფიქრა და, იმიტომ, სასთუმალი დაედაბლებინა, ამ უცნაური, მაგრამ სათნო კაცის მადლიც მოესხა, ორად მოკეცილი ნაბადი, წელან თავქვეშ რომ შემოიდო, ისევ გამოიღო, სიგრძივ დაკეცა და ლაჯებს შუა ჩაიდო, მერე ერთი კალთა გამოუშალა და ნიკოს წელამდე გადააფარა. მძინარეს არაფერი გაუგია. მხოლოდ ის კი უთუოდ ესიამოვნა, რომ მოულოდნელად დასთბა. მალე ქავთარსაც ისე ჩაებინა, ტრაქტირის მზარეულის წითელბიბილოიანი, უსახოდ შავი მამლის ყივილზედაც არ გაღვიძებია.

აგრერიგად ჩამთბარ ნიკოს დილით ერთბაშად შესცივდა და გაეღვიძა. ისევ მოიკრუნჩხა, მერე თვალი როგორც იყო, გაახილა, და გაუკვირდა, რომ ოთახში ნარებზე მის მეტი აღარავინ იწვა. უკვე ყვე-

ლანი წასულ-წამოსულიყვნენ. იმ კედლის გასწვრივ გამართულ ნარზე, სადაც ნიკო იწვა, სამ-ოთხგან ვიწრო ლეიბის ზომის მოთელილი თივა იდო. საქონლისათვის წამოღებულ თივას, რაც მორჩებოდა, გლეხები ლეიბის მაგივრად იგებდნენ და სხვებთან შედარებით ცოტა უფრო რბილადაც იწვნენ და თბილადაც; დილა უთენია ზეზე წამომდგართ გვერდები ისე არა სტკიოდათ, როგორც დანარჩენებს.

ნიკომ ეს ღამეც ტანჯვით გაათენა. წარამარა აღვიძებდა ვიღაც-ვიღაცეების ძალუმი ხველა, თუ ყელში ხელწაჭერილივით უსაშველო ხროტინი, თუმცა ასეთი რამეები მისთვის უცხო სულაც არ იყო. იმ არღნისა და დუდუკების ხმაც ხომ მთელი ღამე ათასი კოღოს ერთობლივი ზუზუნივით ჩაესმოდა ძილღვიძილში. მგონია, ალიონზე მიწყდა, მაგრამ რა, ჭრაქის ბოლით მოწამლული ჰაერი მძინარისათვის უფრო აუტანელი არ იყო? და განა მარტო ჭრაქის ბოლი. ტანთ ყველას ეცვა, ვინც აქ ღამეს ათევდა. საკუთარი ტანსაცმელი იყო ლეიბიც და საბანიც. ფეხთ კი ნახევარზე მეტს ჩექმა, წუღა თუ ქალამანი გაეხადა, თავქვეშ ამოედო და... ოთახში დამდგარიყო ოფლით გაჟღენთილი წინდისა და ტყავის სუნი.

მთელ ღამეს ბოლავდა ჭრაქი და დაფრინავდა ჭვარტლის ფთილა. ვინც აქ ღამეს ათევდა, დილით რომ შეგეხედათ სახეზე, ყველა ერთნაირად მოსვრილი იყო გასრესილი ბაღლინჯოს წუხელ შეწოვილი საცოდავი ხალხის სისხლით და ჭვარტლით... ყველა დედ-მამის სულს უტრიალებდა ტრაქტირისა

და ღამის გასათევის პატრონს, ღამის გასათევში კი მეორე დღესაც ტევა არ იყო. ყველაფერი შაურიანის ბრალი გახლდათ. შაურიანი აბრიყვებდა, შაური იზიდავდა, შაური აიძულებდა ხელმოკლე ხალხს, ხმელ ფიცარზე მოესვენებინა სხეული და დაეტანჯა სული.

ოთახში დამლაგებელი შემოვიდა, მსუქანი რუსის ქალი. ცალ ხელში ხის გრძელტარიანი ცოცხი ეჭირა, მეორეში წყლიანი ვედრო. ზღურბლზე ანაზდად შედგა. ოთახში აღარავინ ეგულებოდა.

— შენ კიდევ აქა ხარ, გრაფო?! ძილი გყვარებია.

ნარის ნაპირზე ჩამომჯდარმა ნიკომ სახე ორივე ხელით ისე მოისრისა, თითქოს საპონს ისვამსო. მერე თმაც მიივარცხნ-მოივარცხნა გრძელი, ხმელი თითებით და დამლაგებელს საყვედურის კილოთი მიუგო:

— ეეჰ, ვისაც ძილი უყვარს, ის აქ მოვა?!

დამლაგებელს მის პასუხში სიმართლე ენიშნა და ნიკალას გაოცებით შეხედა, უცებ თვალი ჭყიტა და გულიანად გადაიკისკისა.

— გრაფო, რასა ჰგავხარ... ის ჩემი სარკის ნატეხი მაინც მქონდეს თანა, რომ... ჩაგეხედა...

ნიკომ ეს კისკისი და პასუხი იწყინა. ერთბაშად წამოიმართა, დაჭმუჭნული პიჯაკი ხელისგულით ერთი-ორჯერ ჩამოისწორა.

— შენ თვითონ რასა ჰგავხარ! — დაგვიანებით შეესიტყვა დამლაგებელს და წასვლა დააპირა, მაგ-

რამ ქალმა ცოცხის ტარით გზა გადაუღობა, შეაჩერა.

— რა ფიცხი ვინმე ხარ!.. მე შენკენ, შენ კი — ეშმაკებისკენ. კაცო, სახე იცი რას გიგავს? აგრე გამურული ჩვენი ბუხრის მილების მწმენდელი პროხორიც არ დადის...

ნიკომ გაოცებით და უკვე ლმობიერი თვალით დახედა დამლაგებელს.

— ჰოო? მა რა იქნება, მთელ ღამეს ბოლავდა ის ვერანა ჭრაქი, შუშა რომ შემომედგა, ერთ გირვანქა მურს დავაგროვებდი... იცი, რა კუნაპეტი შავი ფერი გამოდის ზეთში გალესილი ეგეთი ჭვარტლისაგან? ვახ, რომ იცოდე, წუხელ როგორ მთხოვდა, დამხატეო!

— ვინა, კაცო?!

— აი, ის... დოქი! იცი, როგორ იყო უკანა მხრიდან ჭრაქით განათებული!.. მაგრამ, ეჰ, შენ საიდან გეცოდინება! — ნიკომ ერთი კიდევ დახედა დამლაგებელს, მისი გამომეტყველება ზედმეტად უდასტურებდა თავის ვარაუდს, რომ ამ ჩასუქებულ ქალთან მხატვრობაზე ლაპარაკი წყლის ნაყვა იყო. ამიტომაც დააბოლოვა თავისი სიტყვა ნიკომ ესეთი სასოწარკვეთით, — რა გელაპარაკო... მოდი, ერთი მადლი მოისხი, ე მაგ ვედროში ხელ-პირი ჩამაბანინე. განათებული დოქის ამბავი თუ არა, ის მაინც ხომ გაიგე, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი ქუჩაში სახეზე მურწასმული არ უნდა გავიდეს... იმ ოხრებს მეტიც არ უნდათ — ნიკალაი გოდროვიჩო, ხარხარით რომ მომ-

ძახიან... მაინც რამდენი დამთხვეული დადის ამ ქვეყანაზე!.. — დოქს ყელში ხელი წაავლო, შეანჯღრია, — იმდენი წყალი კიდევ დარჩენილა, დასაბანად მეყოს... მართლაც, ქალაქში ეგრე როგორ გავიდე, ქვეყანა მიცნობს!..

დამლაგებელმა უსიტყვოდ გამოართვა დოქი. „გრაფს“ რომ ქვეყანა იცნობდა, ეს მანაც კარგად იცოდა.

— მერე, უსაპნოდ მური გადაგეცლება?

— მურია, ზეთის საღებავი ხომ არ არის... დამისხი.

წელში მოხრილი და წინ პეშვებგაწვდილი ნიკო ერთბაშად გასწორდა.

„დამისხი, დამალევინე, ე ღვინო ოხერტიალი, ეგება წაღმა ვიფიქრო სოფლის უკუღმა ტრიალი!“

დამლაგებელმა ქალმა გაოცებით შეხედა, მაგრამ არაფერი უთხრა. გაგონილიც ჰქონდა და თვითონაც ხედავდა, ნიკალა უცნაური კაცი იყო, არავის ჰგავდა. ასეთი გულკეთილიც მეორე არ ეგულებოდა.

ნიკომ ხელ-პირი გემოზე დაიბანა, დამლაგებელს მადლობა უთხრა. ეს მადლობა და თავაზიანობა დამლაგებელს ძალიან ესიამოვნა.

— ამაყი კაცი ხარ და, შენი ფასიც იცი, მაგრამ ოჯახს რომ მოჰკიდებოდი, უფრო არ დაფასდებოდი?

— ეეჰ... ზოგისთვის ემაგ ლაპარაკივით ყველაფერი ადვილია ამ ქვეყანაზე — დაოჯახებაც, შვილის გა-

ჩენაც და... კაცის მოკვლაც!.. მე კი რა ეშმაკიცა მყავს შემოჩენილი... შენ რა გესმის!..

იმის მაგივრად, რომ ნიკალას „შენ რა გესმის“ დამლაგებელს საწყენად მიეღო, უშნოდ გაიჭყანა.

— ისა... რა ჰქვიოდა? — დამლაგებელმა შუბლზე თითი დაირჭო.

— რა გელაპარაკო! ამათ ეშმაკი მარტო ქალის სახით ჰყავთ წარმოდგენილი... მე ჩემს სულთამხუთავ ეშმაკს ვენაცვალე!.. აი იმისი კვალი, — ნიკომ შარვალზე დაიხედა... ზეთის რა საღებავი გინდოდათ, რომ ჯიბეების დასწვრივ არ იყო დაგლესილი—მწვანე, ლურჯი, ყვითელი, წითელი...

ნიკო ოთახიდან სწრაფად გავიდა. კიბეს ამაყად წელგამართული ჩაუყვა... ის მორყეული კიბის სახელური ყოველ შექანებაზე ისევ იდუმალ შიშს ჰგვრიდა.

ამ დილაუთენია ეზოში მარტო მზარეულის შეგირდები ფუსფუსებდნენ. ერთმა სიფთაზე ცხვრის თავფეხი სწორედ ნიკალას ცხვირწინ ჩაატარა. ბიჭს ცხვრის თავი ყურით ეჭირა. ნიკოს გასისხლიანებული თავის დანახვაზე გააჟრჟოლა: სისხლს ვერ იტანდა. ცოტა მოშორებით, ჯირკთან, მიგდებული ნაჯახის პირს კატა წკიპად ლოკავდა. იქ ქათმებსა და ინდაურებს აყრევინებდნენ თავებს. ამ სანახაობასაც თვალი მოარიდა და შორს, ეზოს ბოლოსაკენ გაიხედა. იქ, კუთხეში, აკაციის ხესთან, საჟენი სიგრძე-სიგანის შემოღობილი იყო. დროდადრო რას არ ნახავდით ამ შემოღობილში — ხბოს, ცხვარს, თხას. შემო-

ღობილში ჭრაქუა გლეხებისაგან ნაყიდ შინაურ ცხოველებს ამწყვდევდა, სანამ დაკლავდნენ... ზოგჯერ დამწყვდეული გოჭების ჭყვიტინისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

ნიკომ შემოღობილის სარებს შუა ახლა თვალი შოჰკრა რომელიღაც ცხოველის რქებსა და მაღლა აწვდილ კოხტა ყურებს. დაინტერესებული კაცის ნაბიჯით იქით გაეშურა. ნელა უახლოვდებოდა. გარკვევით გაარჩია სარებს შორის მზირალი ცალი თვალის დიდი, შავი გუგა. „ასეთი შველის მნახველი არა ვარ... მართლა რომ ღვთის გაჩენილია... კაცო, სიზმარია, თუ ცხადი!“ ნიკომ თვალები მოხუჭა, უმალ ფართოდ გაახილა და შემოღობილიდან ორიოდე ნაბიჯის სიშორეზე შეჩერდა. შველი ისევ ისე უძრავად იდგა და ნიკოს კი არა, თითქოს სივრცეს გასცქერისო, ისე გამოიყურებოდა, რაღაც გარინდებით შეპყრობილი. შავ გუგებზე სინათლის ანარეკლი უციმციმებდა, რამაც უმალ მიიქცია ნიკოს ყურადღება. შველს წინ მოთიბული ბალახი ეყარა, მაგრამ, ეტყობოდა, პირიც არ დაეკარებინა. ბუზების მოსაგერიებლად ზურგზე რამდენჯერმე კანი ისე შეუცახცახდა, გეგონებოდათ, აჟრჟოლებსო. ერთი-ორჯერ თავიც ოდნავ დაიქნია და დიდრონი თვალები ისევ რომ შეანათა რაღაც სევდიანად და შესაბრალისად, ნიკოს რეტი დაესხა. თავზე წამით ხელი შემოიდო, მერე ის ხელი სარისაკენ ბრმასავით გაიწოდა და შემოღობილს ზედ მიადგა.

შველმა ნიკოს აგრერიგად მიახლოება ახლა კი

იუცხოვა და განზე კოჭლობით გაიწია. ნიკომ შეამჩნია, რომ შველს იქითა კანჭზე სისხლი ეცხო, უკვე ნახევრად მიმხმარი. „დაჭრილი ყოფილა ეგ საცოდავი, ეგა“, — გაიფიქრა და იქვე აკაციის ხეს მიაშურა. ფოთლებიანი წკეპლა მოსტეხა, უკან სწრაფად მობრუნებულმა სარებს შუა თავი გაყო და სიგრძეზე გაშლილი ხელით ტოტი შველს გაუწოდა, მის დრუნჩთან ორი თითით დააბზრიალა. შველმა თავი მოაბრუნა და ტოტი დაყნოსა. ნიკომ თითებზე ისეთი ცხელი სუნთქვა იგრძნო, ეგონა, თავმოხდილი ქვაბიდან მდუღარე წყლის ორთქლი ამოვარდაო. მერე თითები მის კისერს, ყბის ნაპირს შეახო და გაუბედავად დაფხანა. „რა ხეშეში ყოფილა ეს აგურისფერი ბეწვი“.

ნიკოს გული სიამითა და სიბრალულით ერთნაირად ევსებოდა. დროსაც უქმად არ კარგავდა. ახლა უკვე ხარბად აკვირდებოდა უცნაურად დამუხლულ, ჯერ კიდევ ნორჩ რქებს, რქების ასწვრივ ლამაზად, შეიძლება კეკლუცად აზიდულ გრძელ, მაგრამ მოხდენილ ყურებს, ნაპირზე ირგვლივ შავარშიაშემოვლებულს, შიგ კი თითქოს თეთრი აბრეშუმის სარჩულგამოკრულს, დიდ შავ-შავ გუგებს, უძრავს, მაგრამ უძირო სევდით სავსეს. მოწონებისა და გაოცების ღიმილს ჰგვრიდა ნიკოს მისი შავი დრუნჩის ცქერა, რომელსაც ცხვირისა და ყბების ირგვლივ შემოვლებული თეთრი არშია კიდევ უფრო მკაფიოდ აჩნდა. არც ისე მაღლა, მაგრამ ლამაზად მოღერებულ კისერს აგრძელებდა ასევე მოხდენილი მკერდი, წე-

ლი... მაგრამ ეს რაღაა? გავაზე დიდი, კვერცხის მოყვანილობის თეთრი ლაქა, უცნაური ბეჭედივით. „რაა მაინც ეს ბუნება". თეთრი ზოლი გასდევდა მუცელს მთელ სიგრძეზე.

ნიკომ სარებს ორივე ხელი მოსჭიდა, ზედ წამით თავი მიასვენა და თვალიც მოხუჭა. მწარე ვარაუდზე დაფიქრებამ გული ატკინა — „ამ საცოდავს ხვალ ამ დრომდე, ალბათ, სულს გააცხებინებენ და სამუდამოდ გაჭრება ღმერთის ნებით ესე დიდებულად მოხატული სულიერი"... ნიკომ თავი ასწია. ერთხელ კიდევ ხარბად შეავლო თვალი შველს, დრუნჩიდან გავამდე აათვალ-ჩაათვალიერა. „ღმერთო, ნუ მიწყენ, და... ოსტატობაში უნდა გაგეჯიბრო, მხოლოდ... მუშამბაზე!.. მაშ, მე ფიროსმანაშვილი არა ვყოფილვარ"... ამას რომ ფიქრობდა, ერთბაშად სხვა აზრიც წამოეშველა და... ერთხელ კიდევ გაყო თავი სარებს შუა, შველს სულ ახლოდან თვალებში ჩახედა, უცქირა, უცქირა, და მერე ადგილიდან ერთბაშად მოსწყდა. სიჩქარეში თავი ადვილად უკან ველარ გამოეტია და ცალი ყური ნიკალამ სარს ისე გამოჰკრა, ძალიან ემწვავა, მაგრამ ახლა ყურისთვის აღარ სცხელოდა, მთელი მისი არსება მარტო იმაზე ფიქრს შეეპყრო, რაც მოულოდნელად გადაწყვიტა გუნებაში. „მზარეული ნეტავ აქ იყოსო", ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო და ტრაქტირის უფროსი მზარეულიც სწორედ კარებში შეეფეთა.

— რა იყო, შე კაი კაცო! — დინჯის, შემწყნარებელის კილოთი თქვა მაღალმა, ნაპატივებმა მზარე-

ულმა. — შენი ბედი, ნიკალა, ხელში ცხელ შეჭამანდიანი ქვაბი არ მეჭირა, ან ქათმის გასაფუფქი მდუღარე, თუ არა...

— მალაქია, ის შველი ვისია?

— შველი? ეგერ, შემოღობილში?.. ვიცი, მოგეწონებოდა. გუშინ ფშავლებისაგან ჭრაქუამ იყიდა.

— მერე?

— მერე, რა? მერე დავკლავთ და... მაგის მწვადი შენც გერგება!

— დაიცა, კაცო! ის მწვადი კი არა, მაგის ცოდვით ხორცი მგონია დღეის ამას იქით სულაც აღარ შევჭამო!

— შენ თუ ხორცს აღარ შეჭამ... — მზარეულმა ჩაიხითხითა. — მაგისთანები დაგვიკლავს! თოთო ბატკანი რა, უფრო ცოდვა არ არის? ჩვენი სტეპკო ყელში გველის ენასავით მოქნილ დანას რომ გაუყრის ხოლმე...

— დაიცა, თუ ღმერთი გწამს... რეებს მელაპარაკები. შენ ის მითხარი, დღეს დაკლავთ, თუ იცი?

— დღეს არა მგონია. ეგ რომ დავკლათ, რაც ხორცი გვაქვს, გაგვიფუჭდება. ყველა მაგის მწვადს მოგვთხოვს... თუმცა, რა იცი, ტრაქტირს ვინ ოხერი მოადგება ეტლით თუ ქვეითად. ხომ შეიძლება ახირდეს — თუ გინდა, ას მანეთს დავდებ, ოღონდ ე მაგ შვლის მწვადებით გამილამაზეთ სუფრაო!

ნიკალამ თავი ასწია, მზარეულს შიშნარევი მზერა შეაფეთა:

— შენ ეგა თქვი! ოხერს კი რა გამოლევს! — ნი-

კომ ისევ დახარა თავი, მკლავები კი გულზე დაიკრიფა და ჩაფიქრდა. გამოსავალს ვერ ხედავდა. მალაქიამ ერთი გახედა გარინდებულ ფიროსმანაშვილს და ზურგი შეაქცია, გზა განაგრძო. ნიკო ერთბაშად გამოერკვა, თვალები ისე აახამხამა, თითქოს სიბნელიდან დიდ სინათლეზე გამოსულაო და მიმავალს სიტყვა დაადევნა.

— მალაქია! შენც ერთი, კაცს რიგიანად არ მოუსმენ!

მალაქია მობრუნდა, სახემომღიმარმა, უწყინარი კაცის კილოთი მიუგო განაწყენებულ ნიკალას:

— შენ ის თქვი, მცალია?

— ჰოდა გეთქვა... ჭრაქუა ტრაქტირშია?

— ვიცი? ტრაქტირშია, თუ ჭირში. წუხანდელი გაბრაზებული, ამ დილასაც ცოფს ყრიდა. დახლიდარს ეუბნებოდა, — ეტლმა თუ ჩამოიაროს, დააყე, პოლიციაში უნდა წავიდეო... დედას ვუტირებ ი მიკიჩასო...

— მიკიჩას, კაცო? ის და ჭრაქუა სულ ერთმანეთის პირის კოცნაში იყვნენ და...

— გუშინ იჩხუბეს... მერე მიკიჩამ შამპანურის ბოთლს წამოავლო ხელი და გარეთ გავარდა. ერთიც ვნახოთ, ისეთი ხმა მოისმა, მეგონა, ტრაქტირს მეხი დაეცა-მეთქი. თურმე იმ მუტრუკს ის ბოთლი, ტრაქტირის წინ რომ ფარანი არ ეკიდა, აი შენი მოხატული, იმისათვის უთხლეშია.

— მერე? — იკითხა ნიკომ.

— მერე ის, რომ ფარანი დილას ქუჩის გადაღმა

რომ წუმპეს თხრილი არ არის, იმ თხრილში უპოვიათ. შუშები სულ ნამსხვრევებად იყო მობნეული ტრაქტირის წინ.

ნიკოს ზურგს უკან ერთბაშად ჭრაქუას ნაცნობი ხმა გაისმა:

— ვაჰ, ესეც იღბალი, კაცო!

ნიკო ერთი შეტოკდა. ცალკე იმის ჯავრმა, რომ მისი მოხატული ფარანი წუხელ გაუტიალებიათ, ცალკე იმ კაცის ხმის გაგონებამ, ვისი ნახვაც ეწადა, ნიკო ერთი წამით დააბნია. როცა მობრუნდა, დაინახა, რომ ტრაქტირის უკანა კარის ზღურბლზე ხელგამოწვდილი ჭრაქუა იდგა. მან საჩვენებელი თითი მოკაკვა, ნიკალას თავისთან უხმო.

ნიკო დინჯად გაეშურა სიმსუქნისაგან ამ საფრთხობელად ქცეულ კაცისაკენ. შორიახლოდან ამაყად გამართული მიესალმა და მერე ხელიც ჩამოართვა, რაკი წინ გამოწვდილი მკლავი ისევ ისე ეჭირა მიკიტანს. ეს დაბალი, სიგანეში წასული, ჩასუქებული კაცი ძლივს სუნთქავდა. მისი რუმბივით ტანი დიდ ბურთს ჰგავდა და, თავიც ამ დიდ ბურთზე პატარა ბურთივით იდო. კისერი კი სადღაც ამ ორ ბურთს შუა გამქრალიყო. მუდამ წამოწითლებულ, მსუქან სახეზე მკაფიოდ მოხაზული შავი, მსხვილი წარბები და ულვაშები ისე ჩანდა, თითქოს მიუწებებიათო. ზედმეტი სიმსუქნე თვალების ფართოდ გახელასაც უშლიდა.

— ნიკალა, იცი, როგორ გამახარე ასე სიფთაზე გამოცხადებულმა! კაცო, მე რომ რამეს არ ვინატრებ?

განა ისეთი შემთხვევა ყოფილა, არ ამსრულებოდეს?

— მაინც შენი ნატვრის სათვალავში რამ ჩამაგდო?

— ერთი, აქეთ მოდექ!.. ტრაქტირში შემობრძანდი... სტუმარი ხარ, თუ ვინმე უცხო ჯიგინდარა, კარის ზღურბლზე რომ ამდენს მალაპარაკებ! — მიკიტანი საკმაოდ სწრაფად შეგოგმანდა ვიწრო, ნახევრად ბნელ დერეფანში და დარბაზში გასულმა შორიდანვე უხმო დახლიდარს, — ერთი, ნიკალას არაყი მისცხე თავისი შესატანებლით!

დახლიდარს ამასწინანდელი წყენა უკვე გადაყლაპული ჰქონდა, ნიკალამ რომ მუტრუკად მონათლა, და ამიტომაც, ხაზეინის ხათრითაც ნიკალას ახლა ისეთი თბილი ღიმილი შეაგება არაყით გაპიპინებულ ჭიქასთან ერთად, გეგონებოდათ, მზე ამ კაცზე ამოსდისო.

ნიკალას ხმა არ ამოუღია. ერთი მორცხვად აიჩეჩა მხრები, თანაც სინანულით გაიფიქრა — „რაში მჭირდება ამ დილა უთენია კუჭის ამოწვა და ტვინის გახურება, ხელში რომ ფუნჯი მეჭიროს, კიდევ ჰოო“, და თეფშით გამოწოდებული ჭიქა ფრთხილად ასწია... ნიკაპთან რომ მიიტანა, მეორე ხელიც შეაშველა. თავის მიუბრუნებლად, მაგრამ მიკიტნის გასაგონად, ხმადაბლა თქვა:

— ამ ჭერქვეშ, მარტო ხეირი გენახოთ!

— აი საღოლ! — ჩაიხითხითა მიკიტანმა.

ჭიქის ტუჩთან მიტანა და თავის უკან გადაკიდება ერთი იყო... არყის გადაკვრის ოსტატობა ნიკალას

ფუნჯის მოსმის ოსტატობას არ ჩამოუვარდებოდა. ნიკალა ერთი შეიჭმუხნა, თავი წუთით მხრებში ჩამალა და ჭიქა დახლზე დადო. იქვე, თეფშზე, ეწყო მისთვის შესატანებლად მომზადებული დოშის და თონის პურის ნაჭერი. ნიკომ გაშლილი ხელისგულით დახლიდარს ანიშნა, შესატანებელი არ მინდაო და, მიკიტანს მიუბრუნდა:

— გისმენ!

ჭრაქუა მიხრა-მოხრის შესაბამისად მკლავების ენერგიული და თანაც ცოტა სასაცილო ქნევით გაუძღვა გარეთ ქუჩაში ნიკალას.

— ამას ხედავ? — კარებთან მოქუჩებულ შუშის ნამტვრევებსა და თუნუქის ფარნის მიჭყლეტილ ჩონჩხზე აჩვენა ხელით.

ნიკო დაიხარა, ცერის სიფართე შუშის ნატეხი აიღო. მტვერი გადააცალა და დააცქერდა. იცნო თავისი დახატული თვალის ქუთუთო და შუაზე გადამსხვრეული შავი გუგა.

— ფარანი იქით იყოს, — წამოიძახა მიკიტანმა,—შენი ნახელავის ასე გავერანებას იმ მუდრეგ მიკიჩას კი არა, გოროდოვოისაც არ შევარჩენდი... ერთი დროზე მეპოვა ის არშინიანი შამფური... ნახავდი, წამოვაგებდი თუ არა იმის ჯიგარს სამწვადესავით... — მიკიტანმა არშინის სიგრძე-სიგანე ბაღდადი ამოაფრიალა. შუბლსა და ნიკაპს ქვემოთ ოფლი შეიწმინდა, მერე ბაღდადი, თავისი მოკლე, დაბერილი თითებით, ზედ სახსრები რომ არ ეტყობოდა, აუჩქარებლად დაკეცა და მარცხენა ჯიბეში ჩასტენა.

— მახლას, რაც იყო, იყო. მეთუნუქე ნაშუადღევს ახალ ფარანს მომიტანს, შუშებს ჩავასმევინებ და, ერთხელაც, შენს გახარებას, ნიკალა, შენებურად მომიხატე იმ ფერებით... გახსოვს, რა ეხატა?..

ნიკომ მწარედ გაიღიმა. ის ჯერაც იმ ფარანზე ფიქრობდა, წუხელის რომ ისე საგულდაგულოდ აკვირდებოდა, ისევ ის თვალი ელანდებოდა...

მიკიტანმა გაკვირვებით შეხედა ნიკალას. კითხვა გაუმეორა:

— გახსოვს-მეთქი, რა ეხატა?

— მახსოვს, რომელია... მაგაზე თანახმა ვარ, მაგრამ, აი... — ნიკო შეყოყმანდა, ჭრაქუას მუდარის გამომხატველი მზერა მიაპყრო. მას კი ნიკალას ყოყმანი რაღაც არ ეჭაშნიკა და იმის გაფიქრებაზე, ვაითუ უარი მითხრასო, სახეზე და ყურებზე კიდევ უფრო მომეტებულმა სიწითლემ გადაუარა.

— რის მაგრამ... როდის იყო, ვერ მოვრიგებულიყავით!..

— მორიგება იქით იყოს!.. მეც ერთი სათხოვარი მაქვს.

— ვახ! ჩემი თავი შენ გენაცვალოს. როდისმე შენთვის რამე მიწყენინებია? — მიკიტანმა დოინჯი შემოიყარა და გაიხედ-გამოიხედა.

— აი, ის შველი, — წამოიწყო და თვალებში შეაცქერდა ნიკალა ჭრაქუას, — შენთვის რომ მოუყიდიათ იმ ფშაველებს...

— მეცა ვთქვი, რა სათხოვარი აქვს-მეთქი! — მი-

კიტანმა კმაყოფილების ნიშნად გაშლილი ხელისგული შემოიდო ლოყაზე. — მაშ მოგწონებია? გადამიხატავ? მაგრამ იცოდე! კედელზე არა... მუშამბაზე ყაბულსა ვარ, სადაც მინდა, ხან იქით ჩამოვკიდო, ხან აქეთ...

— გადაგიხატავ რომელია! რა უნდა მთხოვო, არ შეგისრულო, ოღონდ, იცი, რა?.. არ დაკლა!

მიკიტანმა ლოყას უცებ ხელი მოაშორა, ჰაერში გაიქნია და გაოცებით წამოიძახა:

— მაშ, მოკვდეს? ვერა ნახე, მარჯვენა ბარძაყში რო დაკოდილია?!

— შენცა თქვი, რაღა!.. რა მოკლავს, შენ რა გინდა, ოღონდ გაუშვი და... რამდენი სურათი უნდა მთხოვო...

ცოტა დაშოშმინებულმა მიკიტანმა მამაშვილური კილოთი უსაყვედურა სულ რაღაც უცნაურობის მოყვარულ ნიკალას:

— ე მაგ შენი გულჩვილობით, იცი რა გითხრა? ერთხელ ხომ გაკოტრდი! მეც რომ შენს ჭკუაზე ვიარო, როგორა ფიქრობ, უკეთესი დღე დამადგება?

ნიკალა წელში კიდევ უფრო გაიმართა.

— ის ჩემი საქმე არ იყო... მე ჩემს ხელობაში არ გავკოტრებულვარ... არც გავკოტრდები... რადგან მიყვარს და... იმასაც ვუყვარვარ! ჩემი ფუნჯისათვის ყველაფერი ემეტება, — არც ერთ საიდუმლოს არ მიმალავს!..

— შენ რა, აღარ გახსოვს? მარგარიტაც ხომ გიყვარდა, მაგრამ... გიღალატა!

მარგარიტას ხსენებამ და უადგილო საყვედურმა, — გიღალატაო, — ნიკოს ლამის გონება დაუბნელა. „მიღალატა? თქვენ რა გესმით! მე თუ მკითხავთ, იმან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იპოვა, — მოსალოდნელ უღელს გაექცა... სწორედ რომ არ უღალატია, არც ჩემთვის, არც თავის თავისთვის... თავისი ქალური ბუნებისათვის. ის ხომ ჩვეულებრივ, მეოჯახე ქალებს არ ჰგავდა... ვთქვათ, გვეპორწინა, მარგარიტა და ოჯახი? მარგარიტა და ბავშვები? მარგარიტა და სარეცხი? მარგარიტა და ცოცხი? მარგარიტა ბულბულივით სიმღერისათვის დაიბადა... სიმღერა იყო მისი ოჯახიც, ბავშვიც, ქმარიც...“

მარგარიტაზე ფიქრმა ნიკოს ენა დროზე დაუბა, ჭრაქუას აღარ შესიტყვებია, საქმე არ გაუმწვავებია. ის რომ წელან მარგარიტას ხსენებაზე წამოენთო, წუთიც და, შეიძლებოდა ხელი ჩაექნია შველზედაც, მის გადარჩენაზედაც... მერე კი ისე ცხადად წარმოუდგა, ისე გადაიხლართა ერთმანეთში იმ შვლისა და მარგარიტას გამოხედვა, რომ ახლა ვეღარც გაერჩია, რომელი რომლისა იყო. დიდრონი სევდამორეული შავი გუგები, გაშლილი ხელები, მოღეღილი მკერდი, დიდი თეთრი ლაქა გავაზე... თეთრარშიამოვლებული ნესტოებგაფართოებული შავი დრუნჩი, ერთნაირად ცხელი სუნთქვა ქალისა, თუ შვლისა... როგორც მოულოდნელად წამოენთო, ისევე მოულოდნელად დაწყნარდა ნიკო და ხმადაბლა თქვა:

— მაშ, არა?

— ყაბულსა ვარ. — მოკლედ მოსჭრა მიკიტანმა. — ერთი ე მაგ შვლისა და, სხვაც, ათიოდე ნახატი მე. შველს ხელს არ ვახლებ!..

— ათი, კაცო? გინდა, წელში გამწყვიტო?

— შენ არა თქვი, — წამოიწყო მიკიტანმა, მაგრამ თანხმობის ნიშნად აწეულმა ნიკალას ხელმა სიტყვა გააწყვეტინა.

ნიკო წელში გასწორდა. თავაწეულმა, გამარჯვებით გამხნევებულმა, ამაყად და თანაც გამომცდელის თვალით შეხედა ახლა ჭრაქუას.

— სიტყვას მაძლევ? .

— გაძლევ რომელია. მე მოგეცი! შენ გინდა აიღე, გინდა არა!

— მაშ კარგი! ეხლავ გავიქცევი, აგურისფერი მაკლია. ცისფერიც დამჭირდება. ვიყიდი და დავბრუნდები... რაღაც გაახსენდა, წელში ოდნავ მოიხარა, მაგრამ თავი არ მოუსაწყლებია, თანაც ბეჭებში დავიწროვებული პიჯაკის ზედა და ქვედა ჯიბეები ისე მოიჩხრიკა, თითქო რამეს ეძებსო.

— იცი, რა... მანეთსაც თუ მასესხებ... არა და... ნისიად რომ არ მომცეს ელიოზმა?

ჭრაქუამ გასიებულივით წამობერილ მკერდქვეშ ხელი შეაცურა და გულჯიბიდან გაქონილი საფულე ამოიღო. ნიკალას მანეთიანი გაუწოდა. ნიკომ ფული გამოართვა და მუჭში დაუდევრად, თუ ბრაზით მოჭმუჭნა. ჭრაქუას როგორ გაუმხელდა, საღებავების საყიდლად სად ეცალა. არც მიკიტნის ფიცი უწამებია. გადაწყვიტა — დიდუბეში გასულიყო, იქ ამას

წინათ დაბინავებული ზოოპარკის პატრონი ენახა და შეხვეწნოდა — ის შველი ზოოპარკისათვის ეყიდა მიკიტნისაგან და მთელი ქვეყნიერებისათვის ეჩვენებინა, თავის მხეცებთან ერთად. ძვირი არ დაუჯდებოდა, მით უმეტეს დაჭრილი „მაგრამ დაჭრილს იყიდის?“ — თან ამასაც ფიქრობდა.

ქუჩაში გაჩქარებით მიმავალს, თვალწინ სულ ის შველი ედგა, ერთხელ ხმამაღლაც კი წამოსცდა, რასაც ფიქრობდა: „ვაჰ, როგორის თვალებით მიცქეროდა“, მერე ჩუმად, თავისთვის განაგრძო ფიქრი. „ცხოველისთვის ღმერთს ენა არ მიუცია, მაგრამ რა ენა შეედრება იმის მეტყველ გამოხედვას, ცოდვით დაიწვები და ეგ არის. მაინც როგორ გამომაყოლა მზერა. იმის თვალებში დაგუბებული სევდის ამოსაკითხავად არის კია საჭირო კაცი მინდია იყო? ეგ საცოდავი ახლა მარტო ჩემს იმედად რომ დარჩენილა, იცის?“

ბურჯებზე შეხეთქებული ტალღების შხუილმა და ტლაშუნმა ქვეყნის უსამართლობასა და დაჭრილი შვლის გადარჩენაზე ფიქრით შეპყრობილი გამოაფხიზლა.

ფიროსმანაშვილი კუზიან ხიდზე მიაბიჯებდა.

ფიროსმანაშვილი ეკლიანი მავთულის ღობეს მიადგა. მოხეტიალე ზოოპარკი უკვე აყრილი დახვდა. ძალიან ეწყინა. გულში რაღაცამ ტკივილივითაც კი გაუარა, დანაღვლიანებული ნიკო ეზოში აღარ შესულა. გარედანაც ყველაფერი ნათლად ჩანდა. მაღალ

ფარდულში მარტო ორი გალიაღა იყო დატოვებული; ლომები ჯერ არ გაემგზავრებინათ საბარგო ვაგონში დასაბინავებლად. ფარდულს იქით კი თავისუფლად გაშვებული ჟირაფი დააბოტებდა ცაში უცნაურად კისერაწვდილი. ნიკომ ჟირაფი იცნო. პირველად შარშანწინ ნახა. „ხედავ, კიდევ ცოცხალი ყოფილა!“ ფარდულის პირას რომ გალია იდგა, იმას მზე აცხუნებდა და ლომის ჩალისფერ ბეწვს მზეზე სიყვითლე მომატებოდა. მეორე გალია ჩრდილში იყო. ზემოდან რაღაც უხეში ტილოს ჩვრები ეყარა. ნახევრად ჩაბნელებული გალიის სიღრმიდან მწყრალად იმზირებოდა ბნელში მჯდარი, ტორებზე დაბჯენილი ბებერი ლომი. ნიკოს ყურადღება უმალ მიიქცია ამ კონტრასტმა — მზეში ყვითლად ბეწვათიმთიმებულმა და ბნელში სილუეტად ქცეულმა ბებერმა ლომმა. მხოლოდ თვალები უელავდა ყვითლად. ბებერი ლომი ნიკოს რატომღაც შეეცოდა; იქნებ იმიტომაც, რომ ბებერი იყო, განძრევაც კი ეზარებოდა, მაშინ, როდესაც ის მზით გასხივოსნებული ყვითელი ლომი მოუსვენრად წრიალებდა ვიწრო გალიაში; გეგონებოდათ, საკუთარი კუდის ბოლოზე ფოჩის დაჭერას ლამობს და ვერ მოუხერხებიაო.

ნიკომ ისევ ბებერ ლომს მიაპყრო მზერა. „ეგ ბედშავი!“, გაიფიქრა და უცებ, მოწონების ნიშნად, სახეზე გაოცება და სიხარული გამოეხატა — რა კარგი აზრი მომივიდა! თუ მართლა შავი არ არის ეგა, მაგის სული ხომ ღელავს შავად!.. მოდი ერთი, შავი ლომი დავხატო?! ის მეორე კი, როგორც მზის არ

გაუნათებია და გაუსხივოსნებია? ყვითელი იყოს. იმას მზისფერი უფრო მოუხდება! ახალგაზრდაა, კიდევ დიდხანს უწერია მზისთვის ცქერა! — წუთით ჩაფიქრდა, მერე მარცხენა ხელი ბოძს მოსჭიდა, რაზედაც ღობის მავთულის რამდენიმე წყება იყო დამაგრებული თითო მტკაველის დაშორებით.

— ე, რა იღბალი მაქვს, რასაც ხელს მოვჭიდებ, ყველაფერი ირყევა! — ბოძმა უნებლიეთ ჭრაქუას კიბის სახელური გაახსენა. ჩაეცინა — „კაცო, ამ ლომებმა შველი სულ არ გადამავიწყეს?!“ თითქოს თვალი ახლა აეხილაო, სადღაც, ფარდულის ბოლოში მოფუსფუსე უცხო კაცი დალანდა. უხმო: — ჰეი!

იმ კაცმა მოიხედა, მაგრამ თავი მაინც არ შეუწუხებია იმის შესატყობად — ვინ მეძახის, ან რაზე მეძახიანო. ხელის ერთბორბლიან საზიდრით ნაგავი, ნეხვი და რაღაც ხარახურა ფარდულიდან მავთულით შემოღობილი ეზოს შორეულ კუთხეში მიჰქონდა, იქ ორმოში ყრიდა და ისევ სწრაფად ბრუნდებოდა უკან. მისი დაუზარელი და გულმოდგინე გარჯა გაგაოცებდათ. უკან მობრუნებულს ერთხელ კიდევ უხმო ფიროსმანაშვილმა, თუმცა გამოსარკვევი აღარაფერი ჰქონდა — ზოოპარკიც და მისი პატრონიც აქედან უკვე აბარგებულიყო. ის უცხო, დაბალი კაცი მოულოდნელად მოწყდა ადგილიდან. თითქოს საცემრად მოდისო, ისე გამოეშურა ღობეზე მომდგარი ფიროსმანაშვილისაკენ. მოღრეცილ ფეხებს და მოხრილ მკლავებს, ბეჭებში ცოტა აწურული, ნამგალივით იქნევდა. ნიკოს რომ დაუახლოვდა, მოულოდნელად

ცხვირი ისე მოიხოცა, გეგონებოდათ, ნესტო გაუსკდაო. ხელი შარვლის უბეზე შეიწმინდა. ღობესთან რომ მივიდა, ორივე ხელი ბოძის შუაზე გაჭიმულ, ეკლიან მავთულს ჩაავლო და ფიროსმანაშვილს მდუმარედ, ოდნავ ელამი თვალებით შეაცქერდა. ნიკომაც თვალი გაუსწორა. ორივენი მდუმარედ მისჩერებოდნენ ერთმანეთს — ნიკო დიდრონი, მომღიმარი და კეთილი, თაფლისფერი თვალებით, ის უცხო შავი, ოდნავ წამოცვენილი, ავად მოელვარე თვალებით. ამ უცხო კაცის თავი გაჭყლეტილივით სიგანეში იყო წასული. თითქოს თავის ამგვარი ფორმის ბრალი იყო, ცალი თვალი რომ ფართოდ ჰქონდა გახელილი, მეორე კი ნახევრად მოჭუტული და კილოჩაწითლებული. მავთულზე წავლებულმა მისმა უჩვეულოდ დიდმა მუშტებმაც მიიქცია ნიკოს ყურადღება. ტანად ასეთ პატარა, თუმცა მარყუჟივით მჭიდროდ გამოსკვნილი კაცისათვის, ნამდვილად არაპროპორციული ჩანდა ეს თითებდაკოჟრილი მუშტები. ნიკო, ცოტა არ იყოს, გაოცდა და კიდევაც შეკრთა, უცხო კაცი რომ ასე დაჟინებით შემოსცქეროდა და ხმას კი არ იღებდა. უცებ თითქოს იმის ნიშნად — ამ უცხო კაცს სურდა ეკითხა ნიკოსათვის — რა გინდაო, მარჯვენა ხელი მავთულს მოსწყვიტა, სახის წინ სწრაფად სამ-ოთხჯერ გაიქნია და ხმადაბლა, არაადამიანურად დაიყმუვლა. ვიდრე ნიკო მიხვდებოდა, თურმე ყრუ-მუნჯთან ჰქონდა საქმე, მანამდე თავაზიანად ჰკითხა ამ უცხო კაცს.

— ზოოპარკის პატრონის ნახვა მინდოდა...

მუნჯი, ჩანს, სანახევროდ მაინც მიხვდა, რასაც ეკითხებოდნენ და მავთულს მოწყვეტილი ხელი ისე აიქნია, ადვილი მისახვედრი იყო, რისი თქმაც ეწადა — ეს ვინა ყოფილა, ახლა გაიგო, რომ ზოოპარკი თავისი პატრონიანად ორი დღეა აქედან აიბარგაო!.. — მერე ხელით გზაზე ანიშნა, წავიდა და აღარ დაბრუნდებაო. თვითონაც ზურგი შეაქცია ნიკოს, რომელმაც თვალი ისე გააყოლა, ეტყობა, მისმა სიმახინჯემ უფრო მხატვრის ცნობისმოყვარეობა აღუძრა, ვიდრე შესძრა. ყრუ-მუნჯმა შუაგზიდან ერთი კიდევ მოიხედა, უცხო კაცი ისევ ღობესთან დგას თუ არაო და, ეტყობა, გაუკვირდა, რომ ნიკო იქაურობას აღარ შორდებოდა, ისევ ისე უღიმოდა. ყრუ-მუნჯს მეტად იქით აღარ გაუხედავს, გამალებით შეუდგა საქმეს. ყრიდა ნაგავსა და ხარახურას ხელის საზიდარზე და მტვრის კორიანტელში ისე არხეინად გრძნობდა თავს, მეტი რომ არ შეიძლებოდა.

ნიკოს იმ ყრუ-მუნჯის დანგრეულნაკვთებიანი სახის ვეებერთელა გამოსახულება ჯერ კიდევ თვალწინ ედგა გამჭვირვალე მოჩვენებასავით, რომ მისი ყურადღება ამ ხილვაში შემოჭრილმა სხვა სანახაობამ მიიქცია... ეზოს იმ მხარეს, სადაც ნიკო იდგა, ჟირაფი უახლოვდებოდა. ის ნელა, გაუბედავად მოაბოტებდა, თანაც წაფერდებული ბოძივით გაწვდილ მაღალ კისერზე სასაცილოდ დასკუპებულ პაწაწინა თავს აქეთ-იქით აბრუნებდა და დაცქვეტილ ყურებსაც თავის მიბრუნ-მობრუნების შესაბამისად ამოძრავებდა.

„ე მაგ ღმერთგამწყრალმა ხომ არ მიცნო... საიდან ეცოდინება, თორემ კი... სამი წლის წინ რომ დავხატე!“

ჟირაფი შორიახლო შეჩერდა. ვერ შეატყო, იმ უცხო კაცს რამე შესაჭმელის შემოთავაზება სურდა, თუ რა...

მართალია, ნიკო გაოცებული იყო, ასე მწყრალად და დაჟინებით მაინც რატომ უნდა გადმომცქეროდესო, მაგრამ ისიც გაახსენდა, ასეთ რამეზე ფიქრისათვის რომ ახლა არ ეცალა. ჟირაფს ერთხელ კიდევ გახედა, მერე ხელიც დაუქნია და დინჯად, დაღონებულისა და დაღლილი კაცის ნაბიჯით გაუყვა გზას. იმ ყრუ-მუნჯისა, ლომებისა და ჟირაფის ხილვამ მცირეხნით თითქოს გადაავიწყა, მაგრამ შველზე ფიქრს მაინც რა წაშლიდა მისი გონებიდან. უბედურება ახლა ის კი არ იყო, რომ იმ შველზე ფიქრი კვლავაც არ ასვენებდა, უბედურება ის იყო, რომ აღარ იცოდა, რა ეღონა... ჭრაქუას თავისი სიტყვა კიდევაც რომ შეენახა, ნიკოს მისთვის ათი სურათი თუნდაც დღესვე გადაეცა, ამით იმ შველს რა ეშველებოდა... როდემდის გადასდებდა მიკიტანი იმის დაკვლას... როდემდის აუვიდოდნენ მარტო ნერწყვის ყლაპვას, იმ შვლის მწვადების მონატრულნი და მომლოდინენი.

უკვე შორიდან, ნიკომ ერთხელ კიდევ მოიხედა. მოიხედა და გაოცდა. ჟირაფი მავთულის ღობეს მოსდგომოდა, კისერი გარეთ გადმოეყო და, როგორც სამი წლის წინ დახატა ნიკომ, სწორედ ისე იცქირე-

ბოდა მისკენ მწყრალად და ავად, „გეუბნები, ნამდვილად მიცნო“, — გაიფიქრა და ახლა თვითონაც დაიჯერა, რომ ჟირაფმა ნიკო ფიროსმანაშვილი იცნო. ეს არც იყო გასაკვირი. ცხოველებმა იციან ადამიანის დამახსოვრება, როგორც ავის, ისე კეთილი სამსახურის შემთხვევაში. ნიკომ პირველად სამი წლის წინ ხომ სწორედ აქ ნახა ის ჟირაფი. მეთვალყურის ნებართვით კიდევაც გაუმასპინძლდა; მეეზოვისაგან ახალი, უხმარი ცოცხი იყიდა და ჟირაფს გაუწოდა. ზოოპარკის დათვალიერების შემდეგ გასასვლელისაკენ მიმავალი ნიკო ჟირაფმა თავისი ყურადღების ღირსად სცნო და... ისე დაჟინებით და დიდხანს აკვირდებოდა ნიკო მისკენ მზირალ ჟირაფს, და ჟირაფი—ნიკოს, თითქოს აინტერესებდა და ეკითხებოდა, თუნდაც ისეთი უბრალო მოსაკითხით, როგორც ცოცხია, კიდევ როდის მოხვალო... ეს შესვედრა სამი წლის შემდეგ მართლაც შედგა, მაგრამ... თუ ძველ მეგობართან და ნაცნობთან შეხვედრა ბევრ მოგონებას აღვიძებს და აცოცხლებს ხელახლა, ჟირაფთან „ანგარიში“ უკვე კარგახნის გასწორებული ჰქონდა ნიკო ფიროსმანაშვილს. ახლა იმ შვლის ჯერი იდგა. მხოლოდ შვლის ბედი აწუხებდა და აფიქრებდა დილიდანვე რატომღაც აგრერიგად აფორიაქებულ მხატვარს. ამ სიშორეზე სწორედ შვლის გულისათვის არ წამოვიდა? მაგრამ... ადგილზე აღარც ზოოპარკი დახვდა, აღარც მისი პატრონი. „ყველაფერი იღბალია, კაცი ბჭობს, ღმერთი კი იცინისო“, — ფიქრობდა ნიკო და მიდიოდა. მიდიოდა, მაგრამ უკვე

ატყობდა, ფეხით რიყემდე ვეღარ ჩააღწევდა. რკინიგზის სადგურს ქვემოთ ტრამვაის დაუცადა. ვორონცოვის ძეგლამდე იმით იმგზავრა. ვაგონიდან გადმოსულს, ზედ ვორონცოვის ძეგლთან ჩია ტანის მიტო შეეფეთა, საღებავების სავაჭროს ნოქრის შეგირდი, შეეგება და სულმოუთქმელად დაახალა, — ნიკალა, მიხაკა გეძებს — რას გეძებს! მთელი რიყე გადაუჩხრეკია. წუხელ, ავლაბარში ერთად უნდა მოგველხინა, შუა ქეიფში ტრაქტირიდან თვალსა და ხელს შუა გამიქრა, თავისი ხელსაწყოები კი ღვთის ანაბარა დატოვაო...

— რას ამბობ, ბაღდადში გამოკრული ფუნჯები? — ნიკო დაფიქრდა. — ჰო, მარტო ფუნჯები მჭონდა თან! ესეთი სეირი გაგონილა? მე ფუნჯებს ვეძებ, მიხაკა კი თურმე მე შეძებს!.. მივატოვე. წამოვედი. მა რა იქნებოდა. ჯერ ლუდს, მერე არაყს, ჯერ არაყს; მერე — ლუდს, მონაცვლებით, რა... ეგ უბედური სულ ხარივით ხვრეპდა!.. მეც რა, თავისი ამყოლი მნახა... მაგას თავი მობეზრებული აქვს. იქნებ გუნებაში კიდეც სწადიათ მიხაკასა და სხვა მისთანა ლაყე მღებავებს, ფიროსმანაშვილი სმაში გავეჯიბრო და მერე მაგათსავით მეც ხელ-ფეხი მიკანკალებდეს. სადა მცალია, არა, მიტო? მაგათ რა იციან, კიდევ რამდენი რამე მაქვს დასახატავი... საითაც გავიხედავ, თითო საკბილო მაინც მელოდება... აი წეღანაც... იცი რა ლომები ვნახე? შავი და ყვითელი!

— შავი?! — გაუკვირდა მიტოს.

— მე ეგრე დავინახე! შენ ის მითხარ, მერე იმ

ჩემს ფუნჯებს რა უყო იმან? კაცო, მაინც როგორ დამრჩა! არა, ერთი სული მქონდა, სანამ ხელიდან დავუსხლტებოდი, და როცა დრო არ ვიხელთე, ფუნჯები გამახსენდებოდა, ფუნჯების ჯავრი მქონდა?.. ჭრაქუას „სასტუმროში“ რომ ღამის გასათევად ავედი და მოვისვენე, სწორედ მაშინ გამახსენდა... შემოვიკარ შუბლში ხელი, მაგრამ რაღა დროს!.. ის კი აღარ მახსოვდა, სად დამრჩა, ტრაქტირში, თუ საღებავების მაღაზიაში, სადაც ადრე ყუთი და საღებავებიანი ქილები მივაბარე...

— წეღან მიხაკამ ჩვენთან მაღაზიაში შემოიარა, ზეთის საღებავები ავუწონე — თეთრი და ცისფერი. სადღაც ტრაქტირის ჭერის შეღებვა დაუვალებიათ. ამ წინეებზე დიდი თქეშის დროს წყალი ჩამოსვლიათ. შენი ფუნჯების ამბავი დუქანში გვიამბო, სანამ საღებავებსა ვწონიდი. რიყეში, შავნაბადასთან დაუტოვებია, სანდო კაცია, ნიკალასაც სხვაზე მეტ პატივსა სცემს, იმასთან არაფერი დაეკარგებაო. მანამდე მიხაკას ჭრაქუასთან შეუვლია. იმას უთქვამს — ფუნჯები ჩემს დახლიდარს მიაბარე, ნიკალა, სულ ერთია, აქ მოვაო. მიხაკას უთქვამს, ვერ გენდობი, რო დაკარგოთ, მე უნდა ვზღოო.

— მიკვირს... მართალი გითხრა, არ მეგონა, თუ მიხაკას მაგდენი ჭკუა კიდევა ჰქონდა. — ნიკომ ჯიბეები მოიჩხრიკა. — მაშ შავნაბადას მივაკითხო? შენ კი... აი ესა... რაც მაბადია... სამახარობლო!.. — მიტოს ჭრაქუასაგან ნასესხები მანეთიანი გაუწოდა. ბიჭმა არასგზით არ გამოართვა ფული ნიკოს. შორს

გადგა და ისე უარობდა. ნიკო არ მოელოდა. სასტად დარჩა. ბიჭისაკენ გაწვდილი ხელი საჩვენებელსა და შუა თითს შუა მოქცეული მანეთიანი, ყურით ასე ეჭირა, სანამ მიტო ამასობაში დაძრულ ტრამვაის არ შეახტა. ნიკომ ტრამვაის თვალი ნაღვლიანად გააყოლა, ნამუსიან ბიჭს ხელი დაუქნია. მერე მაღალ კვარცხლბეკზე აღმართულ, წვერით ძირს შიშველ ხმალდაბჯენილ ვორონცოვის ძეგლს ახედა. ნიკომ გადმოცემითაც იცოდა და წაკითხულიც ჰქონდა, ვორონცოვი განათლებული კაცი იყო, და უკვირდა, ხმალი რაზედ დააჭერინეს ხელშიო. რუსთ ხელმწიფეს რა ხელს აძლევს თავის ეგრე მოწონება — კავკასია იარაღით დავიპყარიო. მაგრამ ვორონცოვს ხმლის დაჭერა მაინც შეჰფეროდა. ნიკომ ხომ ყველაფერი არ იცოდა. თუ, ერთი მხრივ, კავკასიის მთავარმართებელთაგან ვორონცოვი პირველი იყო, რომელმაც მოისურვა იტალიური ოპერის თბილისში აჟღერება, თუ მისთვის სულიერი მოთხოვნილება იყო მანანა ორბელიანსა, ჭავჭავაძეებსა და სხვა წარჩინებულ ქართველ გვარიშვილებთან თავის სალონში საათობით საუბარი ფრანგულად ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, სამაგიეროდ, წარსულში ნაპოლეონის არმიებთან ევროპაში თუ ბოროდინოსთან ბრძოლებში არაერთგზის ნათლობა მიღებულისათვის, არც ხმალი იყო უცხო.

შავნაბადას სასტუმროს გვერდით, საცხოვრებლის იმ ოთახში ნიკო არ შეუშვეს, სადაც მისი ფუნჯები შეენახათ. ჯერ ერთი, სასტუმროს პატრონი —

შავნაბადა შინ არ იყო, ოჯახობაც სოფელში ჰყავდა გასტუმრებული, რთველობის მიწურული იყო. თანაც შინამოსამსახურეებისათვის დაებარებინა პატრონს— სტუმარმა მთხოვა, ძმაკაცების მოსვლამდე ცოტას თვალს მოვატყუებო. მეც სანამ არ დავბრუნდები, არავინ გააღვიძოსო. სხვა რა გზა იყო, ნიკოც დაემორჩილა შავნაბადას განკარგულებას. მეორე სართულზე, კიბის თავში ჩამოჯდა. ფიქრს მიეცა. საფიქრალი ბევრი ჰქონდა. ყველაზე მეტად მაინც იმ შვლის ბედ-იღბალი აწუხებდა. რატომღაც აიკვიატა გუნებაში — უსათუოდ დაკლავენო, და ამაზე ჯავრი ვეღარ მოიშორა. „ეგ შველი გამაგიჟებს“ წამდაუწუმ ხმადაბლა წამოიძახებდა, თან აქეთ-იქით იცქირებოდა — ხომ არავინ გაიგონაო.

ეზოში ნიკომ თვალი მოჰკრა შავნაბადას იმ ერთ მოსამსახურე ბიჭთაგანს, რომელმაც წელან გააფრთხილა — განაპირა ოთახში შესვლა არ შეიძლება — ხაზეინის სტუმარს სძინავსო. ნიკომ ხმადაბლა გადასძახა:

— ვანო, შენს გაზრდას, ერთი ამოირბინე, სიტყვა მაქვს...

— ვის ეძახი, ძია ნიკალა?

— შენ გეძახი!

— აკი, ვანოო? მე სოსო ვარ!

— კარგი, სოსო იყავ...

ბიჭმა კიბე ამოირბინა.

— რა გნებავს?

— ე, ვინ დაგამახინჯა აგრე უღმერთოდ? ქიზიყ-

ში ცხვარს უფრო სუფთად და კოხტად კრეჭენ ხოლმე...

მართლაც ისე უშნოდ გადაეკრიჭათ ბიჭისთვის თმა, თითქოს ვინმეს ჯავრის ამოყრა ეწადაო.

— კაცო, ღმერთი არა გწამთ, ვანო... არა, სოსო! ლოდინის დრო მაქვს? ან ის შენი ხაზეინი როდის დაბრუნდება, ან სტუმარი როდის გაიღვიძებს, მაგას ველოდო? რაღა მაინცდამაინც მაგ ოთახში მოესურვა შავნაბადას იმ ფუნჯების შენახვა? არა, ჩემი ავლადიდება — ფუნჯები რომ ეგრე საგულდაგულოდ შეუნახავთ, მაგისთვის მადლობა, მაგრამ თუ დროზე არ დამიბრუნებთ, ეგეთი შენახვაც რა შავ ქვად მინდა!

ბიჭმა პასუხის უთქმელად დააპირა გაცლა. ნიკომ ეს დროზე შეამჩნია და სარტყელში ხელი სტაცა. გაქცევის საშუალება აღარ მისცა.

— შენც ერთი, ძია ნიკალა, ან ცოტა ადრე მოსულიყავ, ან ცოტა გვიან... ეგრე როგორ უსწორე...

— ვუსწორე და, ახლა რა ვქნა!

— ცოტაც დაელოდე. ის სტუმარი უბრალო კაცი არ გეგონოს. რო შემოგხედავს, მუხლებში ღონე გამოგეცლება. ხაზეინს ხომ მზე ამოსდის ზედა. როცა ეგ აქ, ჩვენსა გამოჩნდება, შავნაბადამ აღარ იცის, როგორ შეეგებოს, რით ასიამოვნოს! მაგის ცხენისთვის ბალახი იცი საიდან მომატანინა?

— რა ჰქვია... არც გვარი იცი?

— გვარი არ მახსოვს, მაგრამ... შენ, მგონია, უნდა იცნობდე!

— რაც მე ხალხს ვიცნობ... შენცა თქვი რაღა! მიმახვედრა! — გაიცინა ნიკომ.

— მაშ არა? აი, შენ არ გვიამბე?.. შვლის ნუკრის ამბავი რო დაუწერია...

კიბისთავში ჩამომჯდარი ფიროსმანაშვილი მტკაველზე შეხტა. ბიჭს სარტყელზე ხელი უშვა. სწრაფად წამოიმართა.

— გესმის, რა მითხარი?.. რა ხანია მაგის ნახვა მინდოდა! — მაგრამ გაოცება და აღტაცება ერთბაშად დაეჭვებამ გაუნელა და ბოლოს სულ გაუქრო სახეზე. — მეც რა ბალღივით დავიჯერე... ეს ლაწირაკიც რომ მე მატყუებდეს...

— ლაწირაკი რათა ვარ!.. თუ ტყუილს ვამბობდე... — სიმწრისაგან ბიჭს კისრის ძარღვები დაეძაბა.

ბავშვის გამომეტყველებამ ნიკოს რწმენა დაუბრუნა.

— მაშ მართალია? — ყოყმანით იკითხა ნიკომ. — ნამდვილად ის არის?!. ვაჟა-ფშაველა!

— ჰო, ეგ არის... არა, ძია ნიკალა, შავნაბადა სხვა სახელს ეძახის...

— სხვა სახელს? — ნიკო ჩაფიქრდა. — ლუკასა? ვაჟა-ფშაველა — ლუკა რაზიკაშვილია!

— ლუკაა... ლუკას ეძახის, ძია ნიკალა!

ნიკო ერთი წამით კიდევ შეეჭვდა, ჩაფიქრდა.

— მართლა ის არის, თუ... ურევ? მერე ის რომ არ გამოდგეს? ეს გაგიჟებაც რომ გატუტუცებად მექცეს...

— გეუბნები, ძია ნიკალა... ეგ არის-მეთქი და... დედას გეფიცები, შავნაბადა სულ მაგ სახელს ეძახის... თუ არ გჯერა, აქ არ ვიქნები? თუ გინდა, მცემე... როცა გაიღვიძებს და გამოვა, ხომ დაინახავ, ხომ იცნობ!.. იცი, ა, ემ სიფართე ხანჯალი ჰკიდია! — ბიჭმა გაშლილი ხელისგულები ნეკით ერთმანეთს მიატყუპა და ისე უჩვენა ნიკოს.

ფიროსმანაშვილი ისევ ჩამოჯდა კიბისთავზე. მაგრამ თავს უკვე შეატყო, ადგილზე წინანდებურად ვეღარ ისვენებდა; წამდაუწუმ იმ განაპირა ოთახისაკენ იცქირებოდა. მოუთმენლად ელოდა კარის გაჭრიალებას, ზღურბლზე ვაჟა-ფშაველას გამოჩენას... „კაცო, ვაჟა-ფშაველას ხომ ვნახავ და გავიცნობ... თუ მაგან შვლის ნუკრის ნაამბობი დაგვიწერა, ახლა მე ვუამბობ ჩემი შვლის ამბავს... იქნებ მაგან იყიდოს ჭრაქუასაგან ის შველი... მაგრამ მეცა ვთქვი, რა... მთაში შვლის მეტი რა ეგულვება... რა წამსაც მოისურვებს, დაიჭერს!.. არა ეგ სხვაა... დატყვევებულს, დაჭრილს რომ ნახავს, გული არ მოუთმენს, იმ ყოფაში დატოვოს!.. ერთიც ვნახოთ, ჭრაქუასთან ვერ მორიგდეს და... ხანჯალი იშიშვლოს!.. ამოდენა კაცი შვლის გულისთვის ეგეთ შარში გავხვიო? მაინც ვეტყვი... ვნახოთ, რას მირჩევს! მაგრამ არა! არა, ვერ ვეტყვი... მთელი ქვეყნიერების ცოდო-ბრალი გულში უტრიალებს და ახლა კიდევ ეგ ეჭირვება, იმ საცოდავ შველზედაც იფიქროს? ერთ შველს იქნებ როგორმე უმაგისოდაც გავწვდე...

ბიჭმა დრო იხელთა და კიბეზე ჩაირბინა. ნიკოს ქვემოდან ამოსძახა:

— ძია ნიკალა, იცოდე, სტუმარი არ გააღვიძო, ე მანდ ფრთხილად იყავ, იატაკს ნუ აჭრაჭუნებ, თორემ... შავნაბადა სიგრძის. სიბრტყეს მოგცემს... რა იცი, ლუკაა თუ ვიღაც, არ ეტყვის, ძილი არ მაცალეს, არ მომასვენესო.

ნიკომ ხელით ანიშნა — არხეინად იყავიო.

იმის შეტყობამ — ვაჟა-ფშაველას ეგერ, კუთხის ოთახში სძინავსო, ნიკოს სულ დაუკარგა მოსვენება და მოთმინება, უბრალო გაფაჩუნებაც კი გულს ისე აუძგერებდა ხოლმე, თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, ვაჟა-ფშაველასთან შეხვედრის მოლოდინს მაინც რატომ უნდა ემოქმედა მასზე... მაშინ კი, რალაც ფხაჭუნი რომ ჩაესმა, უმალ გაიფიქრა „სადაცაა, უნდა გამოჩნდესო“, და ზეზე მორჩილად წამოდგა, ტანსაცმლის გასწორებაც კი დააპირა, მაგრამ ხელები არ დაემორჩილა... ამასობაში კარი ოდნავ გაიღო და ღრიჭოში ჯერ თათი გამოჩნდა, შემდეგ ჭრელმა კატამ თავიც გამოჰყო, ოდნავ გასაგონად დაიკნავლა, მოქნილი ტანიც უხმოდ გამოაცურა, უდარდელად გაიზმორა და „ცივწყალგადასხმულ“ ნიკოს მიაშურა... ამ მოულოდნელობამ ფიროსმანაშვილის ნერვული დაძაბულობა გააქრო. ნიკომ სული მოითქვა და ჩაილაპარაკა:

— დახეთ ამ ვერანას!.. რაო, სტუმარმა გაიღვიძა და...: გამოგაბრძანა? — კატამ ერთი შეკნავლა და წვივზე გაეტმასნა.

კარის ამ ოდნავ გაღებამაც კი ნიკოს გაბედულება გაუორკეცა, უბიძგა, გაამხნევა. ხელის სიფართეზე გაღებულ კართან ნიკო ფეხაკრეფით მივიდა. თანაც თავი ისე ღირსეულად ეჭირა, იფიქრებდით — შებრძანება სთხოვესო. დააყურადა. ოთახში სიწყნარე იყო... ტახტმა მხოლოდ ერთხელ გაიჭრიალა მოწყვეტით და ისევ მყუდროება ჩამოვარდა. კარს არ მოსცილებია, ეზოში ისე გადაიხედა ნიკომ. ახლო-მახლო არავინ ჩანდა. დრო იხელთა, გაბედა, ოდნავ შეღებული კარის სახელურს ხელი ფრთხილად მოსჭიდა, კარი ზემოთ ასწია, ანაზდად ჭრიალი რომ არ მოეღო. ლანდივით შეიპარა და გაქრა... აქაურობა მისთვის ნაცნობი იყო. შარშან მიხაკასთან ერთად იატაკი და კარ-ფანჯრები ზეთის ფერებით გადაუღება პატრონს. მაგრამ ახლა, გარედან შემოსულს, ოთახი ძალზე ჩაბნელებული ეჩვენა... ცოტა დაიბნა კიდევაც; ერთბაშად ვერაფერი გაარჩია; ვერც მძინარე სტუმარს მოჰკრა თვალი. მარჯვნივ, მიხურული დარაბის ღრიჭომ მიიქცია მისი ყურადღება, მკაფიოდ განათებულ ზოლად რომ ჩანდა ამ სიბნელეში. იქით გაეშურა. ფანჯარა სულ ორ ნაბიჯზე აღმოჩნდა. ნიკომ ფანჯრის დარაბა ხელის სიფართეზე გააღო და ოთახიც ერთბაშად ისე განათდა, სად რა იყო, ახლა უკვე ყველაფრის გარჩევა შეიძლებოდა. ნიკოს ახლა ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს გამოუცდელი ქურდი ყოფილიყო და არა მთის პოეტის სანახავად შემოპარული. მთის პოეტი კი სწორედ ოდნავ გაღებული დარაბის პირდაპირ, კედელ-

თან მიდგმულ ტახტზე იწვა. ოთახში ისმოდა მისი ძალუმი, თუმცა არათანაბარი სუნთქვის ხმა, რომელიც ხან მიჩუმდებოდა, ხანაც ისევ ძლიერდებოდა. ნიკომ კიდევ გადადგა ორი ნაბიჯი, სინათლის ზოლს მოერიდა, დარაბის უკან დადგა. მძინარე კაცს დააკვირდა. ვაჟას ძილში ფეხი ფეხზე ედო. შავ წინდებზე ქალამნები ეცვა და ამ ბინდბუნდში ყველაზე მკაფიოდ ის ჩანდა უფორმო თეთრ ლაქებად. წვივებს პაჭიჭები ფარავდა. თითქოს ერთბაშად ვაჟას სახის დანახვისა ეშინიაო, ქვემოდან მოჰყვებოდა ნიკო. ჩოხის ცალი კალთა ტახტის ნაპირზე იყო გადმოფენილი. მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოედო მძინარეს, მარცხენა კი, ნახევრად მოხრილი, ლაჯებს შუა მოქცეული ხანჯლის ქარქაშზე ედო გაშლილი თითებით. შავი ჩოხა უნდა სცმოდა. სინათლე ბუნდოვან ზოლად სერავდა მის მკერდს და ძლივს გაარჩევდით, რომ მოლურჯო, თუ მომწვანო ახალუხი ეცვა. სახე ნახევრად კედლისაკენ ჰქონდა მიბრუნებული. წინ ჩამოშვებული და წარბებს ცოტა ზემოთ, ერთი თითის დადებაზე შეკრეჭილი თმა განიერ შუბლს უფარავდა. თვალბუდის ღრმა ფოსოში ჩრდილი ეფინა. ყველაზე მეტად ყვრიმალის ძვალი ჰქონდა განათებული. ეს ყვრიმალის ძვალი თავისუფლად ძირს დაშვებულ ულვაშთან ერთად სიამაყის იერს ჰფენდა მძინარის შესამჩნევად გამხდარ, მკაფიოდ გამოკვეთილნაკვთებიან სახეს. ნიკო წელში გამართული, მაგრამ მაინც - გაშეშებულივით უხერხულად იდგა მძინარისაგან ხუთიოდე ნაბიჯის დაშორებით. მო-

ნუსხულივით იცქირებოდა... გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო. ეს ყველაფერი სიზმარი ეგონა და სადღაც გულის სიღრმეში თავისთავს უწყრებოდა კიდევაც ასეთი საქციელისათვის — აქ როგორ შემოხვედიო. სიზმარი ეგონა თავისი სითამამეც, სიზმარი ეგონა ვაჟა-ფშაველას ხილვაც, მაგრამ რაწამს ისიც გაიფიქრა და გაიკვირვა — „ეგა, დასწერდა, მა რა იქნებოდა „ბახტრიონსა“ და „სტუმარ-მასპინძელსო“, დაწყნარდა. აქამდე ძირს უმწეოდ დაშვებული, გაციებული ხელის თითები აამოძრავა, მუშტად შეკრა და გაშალა... „სტუმარ-მასპინძლისა“ და „ბახტრიონის“ გახსენებამ სულ სხვა მხრით წარმართა მისი ფიქრი. აქამდე შებოჭილივით ბედს დამორჩილებულმა ერთბაშად ლაღად იგრძნო თავი, წათამამებული, რას არ წააწყდა ხსოვნაში... „ისა? — „ვერ მააწონებთ კარგ ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშია!“, „ისა? — „რამ შემქმნა ადამიანად? რატომ არ მოვედ წვიმადა... რომ ვყოფილიყავ მუდამა ღრუბელთ გულმკერდის მძივადა“... „ისა? ილიაზედა“, „ვინაც თავისი სამშობლო თვით ღმერთზე მეტად იწამა?..“ ისა? — შენს და შოთაის მარჯვენას ვემთხვიე ზედიზედაო“... აქ კი ფიროსმანაშვილიც ველარ გაერკვა, რა მოხდა. იმ ბოლო სტრიქონის გაფიქრებაზე, გუნებაში წარმოთქმაზე, ერთი რომ შეაჟრჟოლა, ცრემლიც მოადგა და თვალი აუბრჭყვიალა... ვერ მიხვდა, რატომ, რისთვის, რა ძალამ გადააგდგმევინა მძინარის საწოლისაკენ ის ხუთიოდე ნაბიჯი... ნიკომ ლანდივით ჩაიჩოქა ცალ მუხლზე, მთელი ტანით

აცახცახებულმა ხელი შეავლო ტახტის ნაპირზე გადმოფენილ ვაჟას შავი ჩოხის კალთას და... აკოცა...

ნიკოს ის კი ახსოვს, სწრაფად, მაგრამ დარეტიანებულივით რომ წამოდგა და უცებ ვერ მოისაზრა, კარი საით იყო. შემობრუნებულს, ხელის სიფართეზე გაღებული დარაბიდან შემოსული შუქი რომ მოხვდა თვალში, გონს მოვიდა, სწრაფად მიიხედმოიხედა... თავს რომ ასეთი აფუსფუსება შეატყო, გაუკვირდა, თითქოს ხასიათი შეუცვალესო... ნეტავ სად გაქრა ის სიდინჯე და მედიდურება, რისთვისაც „გრაფად" მონათლეს. იმ უშნოდ თავგადაკრეჭილი ბიჭის ნათქვამი კი ერთი წუთითაც არ დავიწყებია— ბაღდადში შეხვეული ფუნჯები შუა ფანჯრის ძირას, პატარა სკამზე დევსო. ნიკომ ნახევრად ბნელში, ფანჯრის რაფის ქვემოთ ხელი მოაფათურა... ის ბიჭი მართალი გამოდგა. ფუნჯები უმალ იპოვა და სანამ ოთახიდან გავიდოდა, გულმა არ მოუთმინა, ერთხელაც რომ არ გადაეხედა ვაჟასაკენ. მის სახეს ახლა უფრო დაჟინებით და ყურადღებით დააცქერდა. ახლაღა შენიშნა — რა ძალუმად უცემდა ძილში, სახით კედლისაკენ ნახევრად მიბრუნებულ მთის პოეტს ოდნავ დაჭიმული კისრის ძარღვი. ნიკომ მარჯვენა ხელით ჩაბღუჯული ფუნჯები მკერდზე მიიკრა და ოთახიდან ისე გავიდა, მძინარისათვის თვალი არ მოუშორებია. კარი რომ გამოიხურა, ყველაფერი, რაც ერთი წუთის წინ იხილა, რაღაც საიდუმლოებასავით დარჩა იქ, ნახევრად ბნელ ოთახში, რომლის სამარისებურ მყუდროებას მხოლოდ ვაჟას სუნ-

თქვის ხმა არღვევდა. გარეთ გამოსულმა ნიკომ თვალები ისე აახამხამა, თითქოს, ეს-ეს არის გამოაღვიძესო და, ნახულსა თუ განცდილს ახლა მართლაც სიზმარივით იგონებდა.

კიბეზე დინჯად ჩავიდა. გუნებაში ღმერთს მადლობა შესწირა, რაკი ეზოში არავინ დაუხვდა. მაგრამ ღია ალაყაფის დაბალ თაღქვეშ რომ გადიოდა, მოულოდნელად ჩაესმა წვრილი ხმით დადევნებული — ძია... ნიკალა...

ნიკო შეყოყმანდა... სხვა გამოსავალი რომ ვერ იპოვა, მოიხედა.

— მიდიხარ?! — მოესმა ისევ იმ უშნოდ თავგადაკრეჭილი ბიჭის ნაცნობი ხმა.

ნიკო დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეთქვა, როგორ დაეღწია თავი...

— მიდიხარ? ძია ნიკალა...

ნიკომ ვეღარ მოითმინა, მობრუნდა და ანგარიშმიუცემლად, გაჯავრებული გაეპასუხა:

— ვერა ხედავ?! მივდივარ, მაშ მოვდივარ?! — და წავიდა. რაკი ბიჭს თავი დააღწია, შვებით მოითქვა სული. „ახლა აუხსენი, გააგებინე, მივდივარ, მაგრამ... რატომ, რისთვის არ დაველოდე ხაზეინის დაბრუნებას, ვაჟა-ფშაველას გაღვიძებას, ფუნჯები რომ გამომეტანა... ვაჰ, იღბალია, მა რა არის! მძინარე ვაჟა-ფშაველა ვნახე!.. მაინც როგორ უცემდა ოდნავ განათებულში განზე თავგადაწეულს დაჭიმულ კისერზე ის ძარღვი!.. ღონივრად, განა! კაციც ჯიშიანია და ლექსიც ძარღვიანი აქვს!.. როგორც იმ

ძარღვში სისხლი არა ჩქეფდა, ეგრე ჩქეფს მაგის ლექსის სტრიქონშიაც... რა ვთქვა... აი, მე რომ ფუნჯს არ მოვუსვამ?.. ახლა, შენც მარაქაში გაერიეო, იტყვი... თავს უყადრებ! სად ვაჟა-ფშაველა, სად ნიკო ფიროსმანაშვილიო!..“ — ნიკო ერთბაშად შედგა. ჩაფიქრდა, გაეცინა. ბეჭებში უფრო გაიმართა, პიჯაკიც გაისწორა და ამაყად გაიხედ-გამოიხედა... „ვითომ რატომაც არა! არც ეგრეა საქმე... მაგრამ, იცი რა გითხრა? თავმდაბლობა მაინც სჯობია. ეგრე რომ არ იყოს, სახარებაშიაც არ ეწერებოდა — „ვინც თავი დაიმდაბლოს, ის ამაღლდესო!“ ვაჟას რომ ჰკითხონ ჩემზე, თუ გინდა ნიძლავს ჩამოვალ... როგორა ფიქრობთ, არ გამაპატიოსნებს, არ იტყვის? ჩემს სტრიქონს ფიროსმანაშვილის ფუნჯის მოსმა არ ჩამოუვარდებაო! მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, მაშ, ჩამოუვარდება?..“ ნიკო მოეშვა, მხრები ჩამოჰყარა, თავიც დახარა, თვალები კი რაღაც მორცხვად აახამხამა.

„ეჰ, ნეტავი კი ვიცოდე, რა მომდის... ახლა არ იყო, სახარების სიტყვებმა რომ შემაჩერეს!.. არა, განა სტყუიან — ნიკო ფიროსმანაშვილი ამაყი კაციაო... ის „გრაფობაც“ რომ მომაკერეს... განა მე მინდა, მაგრამ რაღაც ეშმაკია თუ ანგელოზი, თავს კი მაღლა მაწევინებს და... შენს თავზე დიდი წარმოდგენისა ხარო!.. ის გლახები, წვრილფეხა მღებავები რომ ლაფივით წარამარა მესვრიან ამისთანა საყვედურებს!.. ვითომ რატომ არ უნდა მქონდეს?! რომ არა მქონდეს, ალბათ, არც ის ვიქნებოდი, რაცა

ვარ!.. სწორედ მაგის ბრალია ჩემი თავის ეგრე ამაყად დაჭერა და არა იმ ფუჭი დიდგულობისა, ზოგიერთი რომ შეუპყრია და გაუსულელებია!.. ხედავთ, სად წამოვედი კაცო... იმ ვაჟას სტრიქონს რა ამბავი მოჰყვა!.. გაგონილა? გონდაკარგული მორწმუნესავით მისი ჩოხის კალთას რომ ვემთხვიე... მერე რა, სხვის დასანახავად ხომ არ გამიკეთებია... არც ვაჟა-ფშაველამ, არც სხვა რომელიმე სულიერმა არაფერი არ იცის... აი სწორედ ეს მომწონს! რომ იცოდეს, რომ დაენახა, ხომ შეიძლებოდა ეფიქრა, მეპირფერებაო. მეც თავს ახლა უფრო ამაყად ვგრძნობ, ჩემი თავმოყვარეობაც არაფერს შეულახავს! არა, ეგრე ჩუმად სჯობდა. კაცს რომ თავის მოსაწონებლად ესეთ რამეს გაუკეთებ, არ არის ლამაზი... და მაინც მიკვირს გული ეგრე რას უნდა აეჩუყებინა!.. მე და ჩემმა ღმერთმა, სულ იმ ლექსის ბრალია, თამარ მეფეზე რომ უთქვამს — „შენა ხარ ერის სიცოცხლე, თავი არ მომიკვდებაო, მოწყალედ გვექმენ ქართველთა, ჩვენო ლამაზო დედაო!“ რას ამბობთ, ამას რომ გულში ვიტყვი ხოლმე — „ჩვენო ლამაზო დედაო“ და თამარ მეფეს წარმოვიდგენ... შარშან არ იყო, იმის ფრესკას ბეთანიაში რომ თვალი ვეღარ მოვაშორე და... ვიტირე! დიახაც უნდა მეამბორა ვაჟას კალთისათვის, ვინც თამარზე თქვა „ჩვენო ლამაზო დედაო“. არ გაგიგონიათ? დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო! ეგეთი დედ-მამა რომ არა, მაშ ან ილია ან ბარათაშვილი, ახლა კი ვაჟა, გვეყოლებოდნენ?“

ამ ფიქრსა და სჯაში ის ორასიოდე ნაბიჯიც

შეუმჩნევლად გაილია, უკან დარჩა. ის კი არა, ათიოდე ნაბიჯით ნიკო გასცილდა კიდეც ჭრაქუას ტრაქტირს, „ვაჰ, დღეს რა მომდის“... გაიფიქრა ნიკომ და უკან მობრუნდა. ჭრაქუას ტრაქტირის დანახვაზე, მისი გასიებული პატრონიც უმალ თვალწინ წარმოუდგა, მაგრამ ეს მოლანდება უმალ დაჩრდილა შვლის გახსენებამ... „არა უშავს, თუ ზოოპარკის პატრონი ადგილზე არ დამიხვდა... სულ ერთია, ჭრაქუა თავის სიტყვას არ გადავა. ამასობაში ერთ-ორ სურათს დავუხატავ... გულს მოვულბობ, მერე რა ღმერთი გაუწყრება უკან დაიხიოს!?. მაგრამ ათი სურათი!! ეს რა ყოფაში ჩამაგდო იმ ღვთის დახატულმა შველმა... არა სჯობდა, წუხელ ღამე სხვაგან გამეთია? თუ გინდა ტრიალი მინდორიც რომ ყოფილიყო“...

ნიკომ თვალი შეასწრო, შაურიანი სასტუმროს კიბეზე ხალხი ადი-ჩადიოდა. ზოგი დაბინავებულიყო, ზოგს კი აქაურობა, ალბათ, არ მოსწონებოდა. მზარეულის შეგირდებსაც რაღაც საგანგებო ფუსფუსი ასტყდომოდათ. იმათგან, ვინც კი ნიკოს შემოხვდა, არც ერთმა არ შეხედა, ზოგმა თავი ჩაღუნა, ზოგმა განზე გაიხედა. ვითომ საქმეში გართულები ნიკალას ვეღარ ამჩნევდნენ. ნიკომ მხრები აიჩეჩა. მართალია, საქციელი გუნებაში დაუწუნა, მაგრამ ახლა იმათთვის არ ეცალა. გაუკვირდა კია... სხვა დროს ნიკალას გამოჩენა და სალაზღანდაროდ იმათი საღერღელის აშლა ერთი იყო. ახლა კი ყველა დამდურებულივით უქცევდა გვერდს. ნიკომ გზა გა-

ნაგრძო. თავი ამაყად ეჭირა... ვაჟა-ფშაველას ნახვამ, მის ჩვეულ სიამაყეს უფრო მეტი შუქი მოჰფინა, ვაჟას ჩოხის კალთაზე ამბორი კი ისე ენიშნა, თითქოს მთის პოეტის სულისა და ვაჟკაცური შემართების თანაზიარი გამხდარიყოს, მისი კაცობის, ნიჭის მადლი ეწამებინოს და უფიცვერცხლოდ იდუმალ ძმობის ფიცი დაედოს მასთან.

წელან ეზოში შემოსვლის უმალ ის გაიფიქრა — ჯერ ჭრაქუა მოვინახულო და ერთხელ კიდევ დავანამუსო, თუ შველს მივხედოო. გულმა ისევ შვლისაკენ წასძლია, მერე გზადაგზა ის ბიჭბუჭობაც შემოხვდა და იმათი ტუჩის აბზუებაზე გუნებაში გაეცინა. წინათ თუ უსაყვედურებდნენ, რა ამაყად დაააბიჯებო, ის ახლა უნდა გენახათ, აგრე ამაყი და ბედნიერი ნიკო ფიროსმანაშვილი არასოდეს არ ყოფილა. „რას ამბობთ, კაცო, ვაჟა-ფშაველა ვნახე", წამდაუწუმ იმეორებდა გუნებაში. უფრო მეტად ის უხაროდა, რომ ბედმა რაღაც განგებით სწორედ მძინარე ვაჟასთან შეასვედრა. „კაცო, ვინ იცის, რა სიზმარს ხედავდა.. იქნებ მინდიასავით დევებს ტყვედ ჰყავდათ... იქნებ... ის იყო... მოხარშული ქვეწარმავლის ერთ ნაჭერს უნდა მისწვდომოდა და... გაგულთმისნებულიყო! მაინც, როგორ იწვა წარბშეკრული... ეგ დასწერდა, მა რა იქნებოდა"...

ამასობაში ნიკო ეზოს კუთხეში შემოღობილს ოციოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა. ის ოციოდე ნაბიჯი ერთ წამში თხუთმეტიოდედ იქცა, მერე ათიოდედ და... ერთბაშად ფიროსმანაშვილმა შველს რომ შემო-

ღობილში თვალი ვერ მოჰკრა, ფერი ეცვალა... ავად ენიშნა ეს ამბავი. „ჭრაქუამ ხომ არ გადამალა, ფასს რომ მოუმატოს. იქნებ ახლა ათს კი არა, თხუთმეტ სურათსაც აღარ დასჯერდეს, გამიკვირდება? ჭკუა დაუშლის? სინდისი შეაწუხებს, თუ რა?.. ვაჭარია, მიკიტანია“... ამის გაფიქრება და შემოღობილის სარებზე გადაკიდებული იმ შვლის ტყავის დანახვა ერთი იყო...

გონს მაშინ მოვიდა, როდესაც ყაყანი და სიცილი ჩაესმა. თვალი გაახილა და თავს წამომდგარი ხუთიოდე უცხო და ნაცნობი დაინახა... ზოგი რას ეუბნებოდა, ზოგი რას ხუმრობდა და იცინოდა. მალაქიამ წინსაფარიც კი გაიმეტა, ნიკოს ტალახში მოსვრილი მარცხენა ხელის შესაწმენდად. მერე სინანულით ჩაილაპარაკა — ამისთანა გულჩვილმა კაცმა ამ გაუტანელ ქვეყანაზე რაფერ უნდა იცხოვროსო. ვიღაცამ იხუმრა — ნიკალა იმ კუჭივითაა — ყველაფერს რომ იტანს, ღორის ხორცის მეტსო... მაგასაც იმ ღორის ხორცივით რაღაც საწყენი შეხვედრიაო.

— მაინც ეგრე როგორ დავარდა... დაინახე? ერთბაშად გახვრეტილი ჰაერის ბუშტი რომ დაიჩუტება, ეგრე არ წავიდა ეს ამსიგრძე კაცი?! — თქვა ამფსონებთან ერთად საქეიფოდ მოსულმა მეთუნუქემ, რომელიც ამ ამბავს შეესწრო.

ნიკალას იღლიებში ხელი მოსჭიდეს და ნელა წამოაყენეს.

— ჰა, დადექ ფეხზე, რა წაქცეულ ჭიშკარივით გვეყუდები. — ხრინწიან ხმაზე ნიკალამ ადვილად

იცნო მეფურნე წყალობა. ნიკო ჯერ ისევ ტორტმანებდა, თავბრუდახვეულივით იყო, და ამიტომ ვერ გაეშვათ ხელი, ისევ მხრებში ედგნენ მალაქია და წყალობა. ეტყობოდა — თანაგრძნობა და შებრალება ამათ სხვებზე ცოტა მეტი ჰქონდათ, და ახლა, ძუნწად, მაგრამ მაინც ხარჯავდნენ ამ სიკეთეს ნიკალასთვის.

ნიკომ შუბლზე ხელი ისე გადაისვა, თითქოს სიმწრის ოფლს იწმენდსო, მერე შემოლობილის მხარეს რომ იდგა და ეფარებოდა, იმ უცხო, სეირის მოყვარულს ანიშნა — განზე დადექი, ჩამომეცალეო. ერთხელ კიდევ შიშით შეავლო თვალი გავაზე თეთრლაქადაყოლებულ შვლის ტყავს და სინანულით ჩაილაპარაკა:

— სწამს ღმერთი ახლა იმასა?..

— ვისა, ნიკალა? — იკითხა წყალობამ.

ნიკომ შეხედა და არაფერი უთხრა. მხოლოდ გულის სიღრმეში გაეპასუხა წყალობას — „იმას, ვინც დაკლა". მალაქიასა და წყალობას ხელი გააშვებინა, შემოლობილისაკენ ბორძიკით გაემართა. სარებზე გადაფენილ, სველ ტყავს თეთრ ლაქაზე აკანკალებული ხელი თითის წვერებით შეახო... და თითქოს ტილოზე ფერს უსვამსო, თეთრი ლაქის ნაპირი საჩვენებელი თითით ნელა მოხაზა...

— ე მანდ, არ გაგიჟდეს... — წაიჩურჩულა წყალობამ. მისმა ვარაუდმა მალაქიაც დააფიქრა. სხვებმა კი მოულოდნელად და მოურიდებლად გაიცინეს. სიცილზე ნიკომ მოიხედა და... ეს მოხედვა ძვირად

დაუჯდა... სანამ სიცილის საღერღელაშლილებს შეხედავდა, იქვე, თუთის ხის ძირას, თვალი მოჰკრა დაუდევრად მიგდებულ შვლის მოჭრილ თავს. ცალი რქა უკვე მოტეხილი ჰქონდა, ეტყობა, თავის ჯალათებს გასძალიანებია, ფართოდ გახელილი თვალები კი გაოცებული მზერით თითქო ცის ლაჟვარდს მიშტერებოდნენ.

ნიკოს სახეზე აშკარად გამოხატულ მწუხარებას ისევე არავინ შეუძრწუნებია, როგორც იმ შვლის მოჭრილ თავს.

ყველაფერს, რაც კი ადამიანის ხელიდან გამოსულიყო, ეს ხალხი უკვე დიდიხანია არა მარტო შერიგებოდა, იმასაც მისჩვეოდა, გულგრილად ეცქირა. თითქოს მარტო ის ერთი ადამიანი — ნიკო ფიროსმანაშვილი გამოემეტებინა გამჩენს სხვისი ტანჯვისა, ტკივილისა თუ უსამართლობის გასაზიარებლად, გულთან ახლოს მისატანად. სხვა კი ყველა თავისუფალი იყო ამ „სასჯელისაგან“ და, რა თქმა უნდა, უგრძნობელისა და უგუნურის პირობაზე, ბედნიერიც. თუ ქვასავით ყოფნა ბედნიერებაა ასეთ შემთხვევაში, თუმცა, ვინ იცის, ამ საზარელ წუთებში ნიკო ფიროსმანაშვილი არც იმაზე იტყოდა უარს, რომ გაქვავებულიყო.

ნიკალას დაბრუნება ჭრაქუამაც შეიტყო, მუშტრის ლხინსა და ტრაქტირის ორომტრიალში იმას ახლა სად ეცალა ვიღაც ნიკალასათვის, მაგრამ ანაზდად იმ ფარნის მოხატვის საჭიროებამ და ბედ გაცემულმა მანეთიანმა ტრაქტირის პატრონი ეზოში გა-

მოახედა, თან სამიოდე შეზარხოშებული არიფიც გამოჰყვა. იმათთვის ჭრაქუას უკვე მოესწრო ეთქვა — აი, თქვენ რომ შვლის მწვადს არა სჭამთ? ნახეთ, იმ ღვთის გლახა მღებავმა — ნიკალა გოდროვიჩმა რა დღე დაგვაწიოსო. არიფებს, რა თქმა უნდა, გული ყელში მოებჯინათ და ჭრაქუს უმალ მხარში ამოუდგნენ.

ნიკომ შორიდანვე დაინახა, რომ ის ოთხი კაცი— ერთი ყველაზე გამხდარი და მაღალი, დანარჩენი სამი, მეტნაკლები სიმაღლისა, მაგრამ ერთნაირად ჩასუქებული, — ტრაქტირის უკანა შესასვლელთან გამწკრივებული, თანაც სასაცილოდ გაფუყული და დოინჯშემოყრილი იდგა.

ნიკო ნელა მოაბიჯებდა. ცალ ხელში ფუნჯები ეჭირა, მეორე ხელს კი დროდადრო რატომღაც თავზე ჩამოისვამდა ხოლმე, თითქოს თმა დასველებია და წყლის ჩამოწურვას ლამობსო.

ჯიუტად თავდახრილ, აგრე მწყრალად გამომზირალ ნიკალას რომ შეხედა, ჭრაქუას შიში მაინც შეეპარა, თუმცა არც მშიშარა იყო და, ახლა მით უმეტეს, არც მარტო გახლდათ... მაგრამ იმ უნამუსობამ, რაც ჩაიდინა, იმ უპირობამ, ნიკალასათვის ზარზეიმით მიცემული სიტყვა რომ ასე მალე გასტეხა, გათამამებული მიკიტანი შეუმჩნევლად და ერთბაშად დააძაბუნა. მაგრამ იმის გაფიქრებამ — „ეგრე ვითომ რას უნდა შევეშინებინე, ძმაკაცებისა მაინც არა მრცხვენიანო?“, სული მოათქმევინა. ჭრაქუამ ერთი

რიხიანად ჩაახველა და მოახლოებულ ნიკალას ისე ურცხვად შეაგება თითქოს აქ არაფერიაო:

— კაცო, ნიკალაი... — უნდოდა, სახელისათვის ზედ გოდროვიჩიც დაეყოლებინა, მაგრამ გადაიფიქრა. — სად დაიკარგე, შე ღმერთძაღლო, შენა, ა?!

ნიკოს გადაწყვეტილი ჰქონდა, ისე ჩაევლო, ხმა არ გაეცა, „რა ღირსიაო". მაგრამ ჭრაქუას იმ ხმელ-ხმელი და მაღალ-მაღალი არიფის მკლავი ერთბაშად შლაგბაუმივით გამოტყვრა და ნიკალას გზა გადაუკეტა. ნიკომ თავი ასწია და უკიდურესად დანაღვლიანებული თვალებით შეხედა იმ მაღალ, წითელახალუხიან კაცს. შეხედა და უმალ იცნო, თუმცა სახელი ვერ გაიხსენა.

ნიკალას წუთიერი შეყოვნებით ჭრაქუამ ისარგებლა, მოსწრებული სიტყვა მარჯვედ ესროლა დარდისაგან გათავებულ მხატვარს.

— კაცო, გესმის, რა დღეში ჩამაგდე? აქეთ რომ შენს ლოდინში ლამის არ გავგიჟდი? იქით, ამასობაში შველი კვდება! ერთი მითხარი, რა მექნა? შენ არა თქვი, ახლავე მოვალო!..

— გესმის, ნიკალა! ჭრაქუას რაღა უნდა ექნა?

— ხომ იცი, — სიტყვა პირშივე გამოსტაცა ჭრაქუამ არიფს, — თუ არ დაასწარ, სანამ პირუტყვი მოკვდება, თუ სისხლი არ გამოუშვი, მორჩა, იმოდენა ხორცი გადასაგდებ ლეშად იქცევა! შენ ხომ იცი, არა? ერთი მითხარ, რა მექნა!

— ჰა, რა ექნა? — ჩაურთო მაღალმა.

— მეთქი, რა ექნა? ვაჰ! — მაღალს მსუქანი წაეშველა.

— ჭრაქუას რა ექნა? — არც მეორე მსუქანმა დააყოვნა, ჭრაქუას წაშველებოდა.

ნიკალა ცოტა კიდევაც გააბრუა ამ შეძახილებმა, ცოტა გულზედაც მოეშვა, მაგრამ არც ისე, რომ ყველაფერი დაეჯერებინა და ჭრაქუასთან შერიგებაზე ეფიქრა. იდგა და, რომ ეგონათ — ჩვენ გვისმენსო, ისევ შველზე ფიქრობდა... ხან ცოცხალი ელანდებოდა, ხან სარებზე გადაფენილი იმისი ტყავი, ხანაც ის მოჭრილი თავი და ღიად დარჩენილ თვალთა ცისკენ მიქცეული, გაციებული მზერა...

ჭრაქუამ სამიოდე სწრაფი, მოკლე ნაბიჯი გადადგა. ნიკალას ბეჭზე ხელი დაჰკრა. ფიროსმანაშვილი შეკრთა და გამოერკვა. ჭრაქუას ისეთი სევდაჩაგუბებული მზერა შეაგება, გაციებულ გულსაც კი შესძრავდა. ტრაქტირის პატრონი ერთი კი შეცბა, მაგრამ ნირი მაინც ვერ აცვლევინა ამ შემოხედვამ. ყელში აყიჭყიჭებული კილოთი წამოიწყო:

— შენც ერთი... აგიჩემებია რაღა, ე მაგ მხეცების ხატვა!.. ხან აქლემიო, ხან დათვიო, ხან დედაღორი და გარეული ტახიო... კარგი რა, ნამუსი აღარ არის?! მაგათ რა შველა და არიფობა უნდა გაგიწიონ? გასმევენ, გაჭმევენ, სამუშაოს გიშოვნიან, თუ ღამეს ჭერქვეშ გაგათევინებენ?! იცი, რა, ნიკალა? თუ კაცი ხარ, მოეშვი, დამიჯერე, როგორც წეღან არა ვთქვი? მოეშვი! ე მაგ მხეცების ქომაგობასა და ხატვას არ გირჩევნია...

ნიკომ თავი ისე მოულოდნელად ასწია და ახლა უკვე გამომწვევად შეაცქერდა ჭრაქუას, რომ სიტყვა ერთბაშად შეაწყვეტინა.

— მაგათ მოვეშვა და... შენ დაგხატო? — ნიკომ ისე იკითხა, ჭრაქუასათვის მზერა არ მოუშორებია, რაღაც ავი თვალით აათვალ-ჩაათვალიერა და მზერა მის ღიპზე შეაჩერა, — იცი, რა გითხრა, მე ეგეთ მხეცებს არა ვხატავ! — თქვა და ადგილიდან ერთბაშად მოსწყდა. წავიდა.

არიფები სახტად დარჩნენ. ერთმანეთს კი გადახედეს, თვალები მიატრიალ-მოატრიალეს, მაგრამ პირდაღებულებს სიტყვა ვერ დაეძრათ. ჯერ ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ ყველაფერს მიხვდნენ და არ იციან, რა მოიმოქმედონო, იდგნენ ასე გაშტერებულები. ჭრაქუაც სხვებზე არა ნაკლებად გაოგნებული გამოიყურებოდა და სანამ არიფები გონს მოვიდოდნენ, ნიკო როგორც წავიდა, ისევე უეცრად მობრუნდა უკან ალაყაფთან და ჭრაქუას ახლა დამუქრებულივით მიაშურა. თანაც მარჯვენა ხელი ბეჭებში დავიწროვებული პიჯაკის ჯიბეში ჩაიყო და არიფებს რომ ეგონათ, დანა ხომ არ უნდა ამოიღოსო, მოულოდნელად ნიკომ ის მანეთიანი, წელან ჭრაქუასაგან რომ ისესხა, მოჭმუჭნული სახეში მიახალა გაფითრებულ მიკიტანს და, აღარც შეუხედავს, ისევე სწრაფად შემობრუნებულმა გასასვლელს მიაშურა.

ფიროსმანაშვილმა ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა ყაყანით აკლებულ ქარვასლას. ღვინის აღმართის დასა-

წყისში, დარია დედოფლის მრგვალი აივნის ქვემოთ მუხლი შეასვენა. აქამდე ისე მოიჩქაროდა, თითქოს მოსდევენო. რომც გამოჰკიდებოდნენ, გასაკვირი იქნებოდა? ქალაქელი, კინტო იქნება, ნაყარაჩოხალი, თუ სხვა ვინმე, შეურაცხყოფას ფხიზელიც ვერ იტანს და, ვის გაუკვირდება, თუ ნაღვინევი არ გაპატიებს. მაგრამ მდევარი არ ჩანდა. ნიკო ნახევრად შებრუნდა, ქვემოთ, მტკვრის პირისა და ავლაბრის ალმართს შუა კონცხივით შემოჭრილ თითო, ორ-ორ სართულიანი სახლების, ტრაქტირების, ღვინის სარდაფების თუ ხარახურის ჩამტვერილი სავაჭროების მწკრივს გადახედა და ისე თქვა, — „მშვიდობით რიყეო“, თითქოს გამოქცეული პატიმარი ციხეს ემშვიდობებოდა. ღვინის ალმართს ნელა შეუყვა... მეთუნუქის დუქანს რომ ჩაუარა, ცალ ყურზე ხელი აიფარა, თუნუქზე მომუშავეთა ჩაქუჩების ჭახუნს, თუნუქის ჟღრიალს რა სმენა გაუძლებდა... თუმცა გაძლებაზე მეტი არ იყო იმათთვის, ვინც იმ დუქანში თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე მუშაობდა?

ნიკოს ღვინის ალმართის ბოლოში, მარცხნივ, ბაღისაკენ უნდა აეღო გეზი. იფიქრა, იქნებ სადმე განმარტოებით ჩამოვჯდე და სული მოვითქვა იმ სულძაღლების გადამკიდემო. გონიც მოეკრიბა, გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა. მაგრამ... ქუჩაში მიმავალს ერთბაშად გული აუჩუყდა... იმ შვლის ცალრქამოტეხილი თავი აეკვიატა, ცისკენ მიპყრობილი უსიცოცხლო, ღიად დარჩენილი თვალებიც გონებიდან ვეღარ ამოეშალა, გამჭვირვალე ლანდივით

თვალწინ ეხატებოდა. ისე ცხადად ხედავდა, თითქოს იმ მოჭრილ თავს ხელახლა გადასწყდომოდეს... მერე შველი მის თვალწინ ისევ გაცოცხლდა... მისი ხე-შეში, მუქი აგურისფერი ბალანის შეხებისას ისევ ისე გრძნობდა სხეულის სითბოს. თუ წელან, იქ, ჭრა-ქუასთან ყელში რაღაც გაეჩხირა უშველებელ ბოღ-მად და აღარც ხმა ამოაღებინა, აღარც ცრემლი გად-მოადინა, ახლა უეცრად იმ მოჭრილი თავის, თუ შვლის ცოცხლად მოლანდებამ ცრემლით თვალები აუბრჭყვიალა, ერთბაშად დაბრმავებულივით ფეხი ველარ გადადგა. საგონებელში ჩავარდა. „რაღა ეხლა ირევა ამოდენა ხალხი ქუჩაში... ისე როგორ იქნება, ნაცნობს ვისმე არ გადავეყარო და... ხომ შევრცხვი... ფიროსმანაშვილი ტირისო, არ გაუკვირდებათ? წყე-ნით ვის უნდა ეწყინოს, გახარებით კი, ვინ იცის, რამდენს გაუხარდება... ეგეთი ხალხი კი ისე მომრავ-ლდა... შეხედავ, სახე ადამიანისა აქვს, გული კი ქვი-სა!.. მართალია, მე კი არა, „ვეფხისტყაოსნის“ დევ-გმირებიცა ტირიან, მაგრამ ის სხვა ხალხი და სხვა დრო იყო... თუ აქ სადმე თავი არ შევაფარე, ხვალ მთელ ქალაქს ეცოდინება ჩემი ამბავი“...

სადაც კი შეიხედავდა, ნიკოს ყველგან მხიარუ-ლი შეძახილით ეგებებოდნენ, მაგრამ... ეს შეძახილი ყველგან ერთი იყო — აბა ნიკალას არაყი — დიდი ჭიქით, შავი ღვინო — მომცრო ყანწით, ლუდი — ნა-ხევარლიტრიანი ჭიქით...

„რა მეარაყება და მეღვინება... მაგათ რა იციან, გულში რა ბოღმა ტრიალებს და ქვეყანაზე რა ცოდ-

ვის კითხვაა. თუმცა როგორ არ იციან! იციან და ე მაგ ცეცხლივით არაყით ფიქრობენ გულზე მოდებუ-ლი ცეცხლის ჩაქრობას... მეც რამდენჯერ მიფიქრია და მიცდია, მაგრამ თურმე ეგეთ ცეცხლზე, დარდსა და ბოღმას რომ გაუჩენია, არყის დასხმა გაგონილა? ისიც ჩვენებურისა!“.

ბოლოს ნიკომ ისევ ოქრუას შეაფარა თავი და ღამის გათევაც რაჭველების ჭერქვეშ გადაწყვიტა.

ოქრუა, ბედად, სწორედ დუქნის ზღურბლზე შე-მოხვდა ნიკოს, და ეს თავით ფეხებამდე გათეთრე-ბული მოხუცი თვალში სასიამოვნოდ ეცა. ოქრუას თავი ახლაც თეთრი ხილაბანდით ჰქონდა წაკრული. მტკაველის სიფართე და სიგანე, გაფუებული წვერიც თეთრად უქათქათებდა დაუდევრად მოღეღილ მკერ-დზე. თეთრი პერანგის სახელოები ჩამოშვებული ჰქონდა მოხუცს. თეთრი წინსაფარი კი ცალი ყურით აეკეცა. აკეცილი წინსაფრის მხარეს ჩანდა მხოლოდ მისი გადახუნებული, ფეხის ირგვლივ წრიულად და-ნაოჭებული ხვანჯრიანი შარვლის ცალი ტოტი. ფე-ხები, მართალია, შავ ჩუსტებში ჰქონდა წაყოფილი, მაგრამ ისიც სულ ფქვილით იყო გადათეთრებული. ერთადერთი ოქრუას ღია ცისფერი გუგები ვერ დაე-ფარა ფქვილის მტვერს.

თუმცა ჭერთან ერთად ღვინოც გულით იყო შე-მოთავაზებული, მაგრამ მას არც ვახშმად მიჰკარებია ნიკო. რაჭველი მეპურეები წინდაწინვე ამაოდ აგუ-ლიანებდნენ ფიროსმანაშვილს:

— ნიკალა, რაკიღა გვესტუმრე, ჰო რა ღვინოს

დაგაყოლებინებთ ბატკნის მწვადზე! ამ კახელებმა ყურები კი გაგვიხვრიტეთ თქვენი საფერავის ქებით, მარა ყიფიანურისთანა ღვინო, ტყუილია!

ნიკოს კეთილად გაეღიმა.

— ახლა რომ ვთქვათ, თქვენ ყიფიანური მოგწონდეთ, კახურმა საფერავმა რა დააშავა! — დინჯად შენიშნა ნიკომ. — იმას თავისი მსმელი ჰყავს. საფერავის მოყვარულს თქვენებური ღვინო წყალგარეული და დაშაქრული ეგონება!

— ბიჭოს, ქვე არ მოგვსპო ჩვენი ღვინიანად ამ კახელმა! ოქრუა, გესმის?

— მე კი მესმის, შენ თუ გაიგე, სპირიდონა, რა ჩაგიქარაგმა — მე მარტო კახურ საფერავს ვსვამო...

— შე კაცო! ღვინის აღმართზე ვართ, წყლის ხომ არა. თვალის დახამხამებაში გადავირბენ ეგერ, მაჩხანელთან და... ნიკალას საყვარელ საფერავს ხელად გავაჩენ! ქვე ის მითხარი, ნიკალა, ერთი ლიტრა გეყოფა?

ფეხზე წამომხტარ სპირიდონას ცარიელ ბოთლზე ნიკომ ხელი უტაცა.

— როგორც კაცი, გეუბნები, ერთი ლიტრის დამლევი კი არა, დღეს ერთი წვეთის გამსინჯავიც არა ვარ!

— კაი, მეეშვი... რა იცი, კაცი რა გუნებაზეა, ვერ ხედავ? გულით ამბობს...

ოქრუას შენიშვნამ სპირიდონა ისევ თავის ადგილზე დასვა.

ღვინოს აღარც მეპურეები მისძალებიან. რაც

სადღეგრძელოებს ეყო, ოთხ-ოთხი მომცრო ხის ჯამით და თითო ჭინჭილით მოიკლეს წყურვილი. მართალია, არ დამთვრალან, მაგრამ სიმღერაზე მაინც ვერ თქვეს უარი. „ქვედრულა მოდიდებულა“ ჩვეულებრივ ახლაც სპირიდონმა წამოიწყო...

ნიკომ იფიქრა — სანამ რაჭველები „ქვედრულას“ ჩაათავებდნენ, კაცი აქვე, ახლოს, საღებავების დუქანში მისვლასა და უკან გამობრუნებას კი არა, მთელი ამ უბნის შემოვლას მოასწრებსო და წამოდგა.

რაჭველებმა სიმღერა შეწყვიტეს.

— ნიკალა, თუ არც სიმღერის გუნებაზე ხარ, ეგერ, კუთხეში გეიგე ტომრები და წამოწექი, მე შენ გეტყვი, არ გვაქვს თავსაყრელად, — წყნარად შენიშნა ოქრუამ.

— არა, კაცო, ძილისთვის სადა მცალია, — იუარა ნიკომ, — თავზე ცეცხლი მიკიდია...

— ცეცხლი ჩვენ უნდა გვეკიდოს... თბვი სულ იმ თორნეში გვაქვს გადაყოფილი.

„ეგ სხვა ცეცხლია“, — გაიფიქრა ნიკომ და გუნებაში იმის ვარაუდს შეუდგა — როგორ აჯობებდა — რაღა დილისათვის გადაედო, სამუშაო ყუთი და უკვე გაზავებულსაღებავებიანი შუშის ქილები, ერთი ნახევარლიტრიანი ზეთი აქვე ახლოს, საღებავების დუქანში რომ ჰქონდა მიბარებული, ახლავე ამოეტანა. თან ცისფერი და აგურისფერი ფხვნილიც გამოეყოლებინა, თუ ნისიად მისცემდნენ. „არა სჯობია? ყველაფერი ხელთა მქონდეს... ხვალ რა ვიცი, საით გამიწევს გული... დილაადრიან კი

შეიძლება საღებავების დუქანი ღია არ დამხვდეს... საქმე რათ გავიძნელო".

ხელახლა წამოწყებული „ქვედრულა" რაჭველებს აღარ შეუწყვეტიათ. გასასვლელისაკენ მიმავალ ნიკოს მხოლოდ თვალი გააყოლეს და, თითქოს მიაცილებენო, ხმას უფრო აუწიეს. გასასვლელთან ნიკო მობრუნდა.

— ემ წუთში დავბრუნდები. ის ჩემი ფუნჯები მანდ, სკამზე, იდოს.

ოქრუას თვალი არ მოუცილებია, სანამ ნიკომ შუაკარი არ გაიხურა. მერე სამფეხა სკამზე ბაღდადში გამოკრულ ფუნჯებს დააცქერდა და ისე, რომ სიმღერა არ შეუწყვეტია, დარწმუნებულმა გაიფიქრა — „მოვა აბა სად წავა... თუმცა, ერთხელ სწორედ ასე არ გამოგვავლო ჩალა პირში?"

ოქრუას ნიკალა უყვარდა. ნიკოც პატივს სცემდა, ამის დასადასტურებლად ისიც კმაროდა, ამ ორიოდე წლის წინ ცხელ-ცხელი შოთი პურით ხელში რომ დახატა და აჩუქა. ოქრუამ ის სურათი სოფელში გაგზავნა, მეზობლებთან თავის მოსაწონებლად — აქაო და თქვენს ოქროს ქალაქელი მხატვრები ისე დიდ პატივს სცემენ, რომ კიდევაც ხატავენო.

რაჭველ მეპურეებს „ქვედრულა" დასრულებული არ ჰქონდათ, რომ ნიკომ მართლაც მოასწრო დაბრუნება.

— ყოჩაღ, ნიკალა! — გაოცებით წამოიძახა, მერე კეთილი ღიმილიც დააყოლა ოქრუამ ამ წამოძახილს.

ნიკომ არაფერი უპასუხა, მხარზე ტყავის ქამრით ჩამოკიდებული ყუთი მოიხსნა და ქაღალდის დიდ პარკში ჩაწყობილ შუშის ქილებთან ერთად კუთხეში დააწყო. ბაღდადში გამოკრული ფუნჯებიც შუშის ქილების გვერდით ქაღალდის პარკში ჩადო. სამფეხა სკამზე კი თვითონ ჩამოჯდა.

— ნიკალა, აქეთ მოიწი. წეღან რომ ერთი ლუკმა გასინჯე, შე კაცო, ის გეყოფა? მართალია, შვლის არ არის, მაგრამ ბატკნის მწვადი რა, დასაწუნია?

შვლის ხსენებაზე ნიკალას კრიჭა უფრო შეეკრა, შავი ფიქრიც ერთბაშად ისევ წინანდებური ძალით შემოაწვა. თავისი სამფეხა სკამით მაგიდას კი მიუჯდა, მაგრამ პირი არაფრისათვის დაუკარებია.

რაჭველები თავიდან იწყებდნენ „ქვედრულას“ და ნიკალასათვის ჯერ არ ეცალათ. ნიკალას კი ისევ თვალწინ დაუდგა ის უღვთოდ დაკლული შველი... ჯერ გავაზე შეფენილი თეთრი ლაქა მოელანდა, მერე რქაწატეხილი მოჭრილი თავი, მერე ღიად დარჩენილი თვალების უსიცოცხლო მზერა.

— ეგ მე აღარ მომასვენებს! — თავისდაუნებლიეთ წამოიძახა ნიკალამ და შეცბა... მეპურეებმა სიმღერა ისევ შეწყვიტეს. ნიკალას შეაცქერდნენ.

ნიკო უხერხულობაში ჩააგდო სამი კაცის ამ გაოცებით მოპყრობილმა მზერამ. თავის დასახსნელად რაღაც დარცხვენით თქვა:

— გამახსენდა რა, ისა... რაღა ეს ქვეყნიერება და რაღა კაცის გონება!.. დადიხარ და რას არ ფიქრობ... ამდენი რამე მაინც სად ეტევა!..

— კაცო, ნიკალა, ჩვენ ღვინოს ვსვამთ და არ დავმთვრალვართ, შენ კი, რა მთვრალივით ლაპარაკობ...

— როგორ ფიქრობთ, ე მაგ თქვენი ყიფიანური ღვინო, ჩემს დარდზე უფრო მაგარია? — ნიკალა შეიშმუშნა, წამოდგომა დააპირა. — თუ აქ ღამეს მათევინებთ, გამათევინეთ, თუ არა და... მივდივარ!..

— ნიკალა! — ოქრუამ მკლავი შემართა, საჩვენებელი თითიც გამაფრთხილებლად ასწია. — ყიფიანური დაგვიწუნე? დაგვიწუნე, ბატკნის მწვადი დაგვიწუნე? დაგვიწუნე. ჰოდა, თუ ამ ჭერქვეშ ყველაფერს ასე დაგვიწუნებ... ეგერ, სასთუმალს ქვეშ ბაბუაჩემის ნაქონი სატევარი რომ მიდევს, თუ არ გავაძრო... ქვე მოგიკვდეს ოქრუა!

კრინტი აღარავის დაუძრავს. უხმოდ დაასრულეს პურობა. უხმოდ აალაგეს სუფრა, უხმოდ გაიგეს თავთავის ნაჩვევ ადგილზე ფქვილის ტომრები და უხმოდ წამოწვნენ ყველანი. თორნის დუქნის უკანა თვალში, სადაც პურის მოსაზელი დიდი ხის ვარცლი იყო გამართული, და სადაც ახლა ოთხი კაცი იწვა ტომრებგაგებულ მიწის იატაკზე, სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ ოქრუას ხვრინვა ისმოდა. მას, ჩვეულებისამებრ, სასთუმალზე თავის მიდების უმალ ჩასძინებოდა. ნიკო კი თავქვეშ ხელებშემოწყობილი სიბნელეში ფართოდ თვალებგახელილი მისჩერებოდა ფქვილით შეთეთრებული ჭერის კოჭებს, ლანდად რომ ჩანდა, მაგრამ იქაც იმ შვლის მოჭრილი

თავის მეტს ვერაფერს ხედავდა. მისჩერებოდა და დაუსრულებლად, უცნაურის ახირებით სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა გუნებაში — „ეგ მე აღარ მომასვენებს!“

როდის-როდის ნიკოსაც ჩაეძინა, მაგრამ მისი ძილი და ერთბაშად ჩამოვარდნილი მყუდროება, რასაც მხოლოდ მრავალხმოვანი ხვრინვის დისონანსი არღვევდა, დიდხანს არ გაგრძელებულა. იმ ღამეში ნიკო უეცრად წამოჯდა ლოგინში და ნამძინარევი ხმით დაიძახა:

— სად არის... ისა... კაცო, არ გესმით?!..

სპირიდონა და იონა უმალ წამოცვივდნენ ზეზე. დაფეთებულებს გული საგულედან ამოვარდნოდათ. სიბნელეში დინჯად გაისმა ცოტა მოგვიანებით გაღვიძებული ოქრუას ხმა, რომელსაც ძილში მკაფიოდ ჩაესმა ის უეცარი წამოძახილი.

— ვინა, ნიკალა?..

— გინდა დაიჯერეთ, გინდა-არა... მეძახდა, კაცო... ბღავილი მომესმა... ის იყო!..

ამ „განმარტებამ“ ყველას ენა დაუბა და ჩააფიქრა. ვერ გაეგოთ, რა ამბავი იყო ნიკალას თავს.

სპირიდონამ ლამფა აანთო, ნიკალას წინ ჩაიჩოქა და სახეში მიანათა. გულის სიღრმეში დაეჭვებული მეთორნე შეშინებული თვალებით მიაშტერდა ნიკალას, რომელიც ტომრების ლოგინზე წამომჯდარიყო, ორივე ხელი მოკეცილ მუხლებზე შემოეხვია და რაღაც შებრწუნებული გამოიყურებოდა. ნამძინარევს, მართალია, სინათლე თვალს სჭრიდა, მაგრამ

მაინც არ ეპუებოდა. ფართოდ გახელილი თვალის გუგებზე შუქის ანარეკლი უცნაურად ელავდა... სპირიდონა მის დანახვაზე ცოტა კიდევაც შეცბა — „ხომ არ გაგიჟდა ეს ღმერთგამწყრალი... რომ დაგვერიოს, სად გინდა გაასწრო“. მაგრამ ისიც ახსოვდა მეთორნეს, ნიკალაზე უფრო თვინიერი, სათნო და წყნარი კაცი მეორე არ მოიძებნებოდა. იქნება ამიტომაც უნებლიეთ აღძრული ეჭვი „გაგიჟებისა“ თავისთავად გაიფანტა.

— რა იყო, რას დაგვაფეთე ამ შუაღამეზე ეს ნაჯაფი და „ნასვამი“ ხალხი... ვის ელაპარაკებოდი, რა თქვი, ვინ ბღავისო?!.

ნიკომ დახრილი ქუთუთოები უმალ შეატოკა და ანთებული მზერა მეპურეს შეაფეთა.

— შველი კაცო, აი ისა, რო დაკლეს...

— სად, ვინ დაკლა?!.

სპირიდონა თითქო კიდევ რამემ შეაეჭვა — რას ლაპარაკობს ეს კაციო — ლამფა ხელმეორედ მიანათა ნიკალას, მაგრამ ის ახლა უფრო დაწყნარებული და „დალაგებული“ გამოიყურებოდა. ლამფის შუქს ხელის მოჩრდილებით მზერა მოარიდა.

— სპირიდონა, ჩააქვრე მაგ ლამფა და დეეგდე შენთვის, — ძილმორეულისა და გაჯავრებულის ხმით წამოიძახა გვერდშებრუნებულმა ოქრუამ,—რა დროს ზღაპრებია... კაცს რაღაცა დასიზმრებია... თქვენც იშოვეთ კუდის გამოსაბმელი... ქვე აღარ მომასვენოთ ეს დროული კაცი... — ნათქვამს მუქარასავით დააყოლა: — ის კი არ იციან ამათ, უთენია რომ წამოვყრი

ზეზე... ძილგატეხილი კაცი რა ცომს მოზილავს, თუ იცით?!.

ერთ ძალუმ ამოქშენაზე ყველა მიხვდა, რომ ოქრუამ მოისვენა და ძილისთვის მოემზადა.

სპირიდონამ უხმოდ შეასრულა ოქრუას ნება. კიდევ რამდენიმე წუთი და ყველაფერი მიწყნარდა. ნიკოს გარდა ძილი ყველას უმალ მოეკიდა და კვლავ გაგრძელდა უნებლიეთ შეწყვეტილი, სხვადასხვა ტემპისა და ტონალობის სამხმოვანი ხვრინვა თავისი დისონანსით.

ფიროსმანაშვილი კი იწვა ასე, ჭერისაკენ მზერამიციებული და მარტო იმის ნატვრაში იყო — ნეტავი მალე გათენდესო. სიცხე, მართალია, არ ჰქონდა, მაგრამ ავადმყოფს კი ნამდვილად ჰგავდა თავისი გუნებაგანწყობილებით და რაღაც უცნაური შეგრძნებით. სიცხიანის მოუსვენრობისა. ჩუმად ბორგავდა და იშმუშნებოდა. სულშეგუბებულივით, დროდადრო ჩუმადვე ამოიოხრებდა, თან ყოველ ამოოხვრაზე სიბნელეში იქით იცქირებოდა, სადაც რაჭველი მეთორნეების ხვრინვის ეს რაღაც უცნაური „ფუგა“ სრულდებოდა.

ნიკო ხან თავქვეშ შემოიწყობდა ხელებს, ხან მკერდზე დაიკრეფდა, თვალდახუჭული განაგრძობდა ფიქრს. მერე უცებ ორივე ხელისგულს ყურებზე მჭიდროდ აიფარებდა, მაგრამ ის საბედისწერო აკვიატებული ფიქრი და ხილვა მაინც ჯიუტად ეძალებოდა. მართალია, აღარც ხმადაბლა, აღარც გუნებაში იმ ამოჩემებულ — „ეგ მე არ მომასვენებსო“ —

აღარ იმეორებდა, რადგან უკვე აშკარად ატყობდა, იმ შვლის ხატების წყალობით ნაშუადღევს აქეთ მოსვენება სამუდამოდ დაკარგა და ახლა ფიროსმანაშვილს მეპურეების ეს გემრიელი, თუმცა ხმაშეუწყობელი ხვრინვა, აგრერიგად რომ აღიზიანებდა და სტანჯავდა, არ შეეძლო შეეწყვიტა, მუჯლუგუნით გაეღვიძებინა სამივენი და ეყვირა — ღმერთი არა გწამთ, რა დროს ძილია, კაცი ლამის გავგიჟდეო. არ შეეძლო და რა ექნა... ამისი ჩამდენი ნიკო ფიროსმანაშვილი არ იყო, არ იყო განა იმიტომ, რომ ეშინოდა — ცემით არ გამაგდონ აქედანო. არა. უბრალოდ, ეს პატიოსანი, მთელი დღის ნაჯაფი ხალხი ებრალებოდა. მათი ბედნიერება ხომ ამ გემრიელი, უდრტვინველი ძილით ამოიწურებოდა და ნიკო ფიროსმანაშვილისთანა შემწყნარებლური გულის პატრონს ის ერჩია, მოთმინებით აეტანა ამაღამინდელი ტანჯვაც, თუმცა „ფიალაში" მოთმინების წვეთზე მეტი აღარც იყო დარჩენილი.

სხვა რომ ველარაფერი იღონა, წელან ისე უღონოდ და უნუგეშოდ ძირს ჩამოყრილი ხელები კვლავ ხუფებივით შემოაჭდო ყურებს და ერთხანს ასე დაყო ახლა ცოტა ცნობისმოყვარეობააღძრულმაც კი... ისეთი შხუილი და გუგუნი ჩაესმოდა ყურებზე ხელისგულებშემოჭდობილს. ეს უცნაური და იდუმალი შხუილ-გუგუნი უფრო ადვილი ასატანი იყო, ვიდრე მძინარის უდარდელი ხვრინვა. ნიკო იმ ყოვლის დამთრგუნველი უდარდელობის მეტს ყველაფერს ადვილად იტანდა და ეგუებოდა. ცხოვრებაში მისთვის

არაფერი ისე აშკარად არ ამხელდა ადამიანის გრძნობისა და გონების სიცარიელეს, როგორც ეს უცნაური უდარდელობა. მაგრამ ახლა რა საყვედური უნდა გეთქვა მძინარისათვის, რომელიც თავისთავს არც კი ეკუთვნის.

ამ ღამემ არა ნაკლებად გატანჯა ფიროსმანაშვილი, ვიდრე იქ, ჭრაქუას „სასტუმროში“ გათეულმა. თუმცა რა შედარება იყო... სად ის ჭრაქის ბოლით მოწამლული ჰაერი და სად კაცთა უპირობით, გულცივობითა და უნამუსობით მოწამლული სისხლი. ჭრაქუას უპირობამ სწორედ სისხლი მოუწამლა ნიკალას. და სწორედ ამან ამოწურა ისედაც მოუსვენარი და აგრერიგად აფორიაქებული კაცის მოთმინება. ამიტომაც ნატრობდა მალე გათენებას, რომ იქნებ დღის სინათლეს მაინც მოჰყოლოდა მცირეოდენი შვება.

ინათა თუ არა, ნიკოს ბევრი აღარ უფიქრია; წამოუსვა ხელი თავის ავლადიდებას და ისე ჩუმად გაიპარა ოთახიდან, მეპურეებს არაფერი გაუგიათ. მხოლოდ დუქანში შემოსასვლელი კარის ურდულის დაძრობისას, რაღაც ხრიგინისებური რომ ჩაესმა ძილშიაც ფხიზელ იონას, ჯერ დააყურადა, მერე ოქრუა და სპირიდონაც მუჯლუგუნით გააღვიძა და უჩურჩულა — დუქანში ქურდები შემოპარულანო. ოქრუამ, ინსტინქტურად ბალიშს ქვეშ ამოდებული სატევრის ტარს წაავლო ხელი, მერე იქითაც გაიხედა, სადაც ნიკალა ეგულებოდა, ყველაფერს მიხვდა, გაეცინა. ლოგინი ცარიელი იყო.

— გაპარულა. — თქვა რაღაც უდარდელად, ყბის ამოგდებამდე ფართოდ გააღო პირი, მადიანად დაამთქნარა და კვლავ სასთუმალზე მიდო თავი.

სწორედ ამ დროს დაიძახა ნიკალამაც:

— მივდივარ, დუქანს მიხედეთ...

კარი ისე გაიჯახუნა, დუქანი დარაბებიან-კოჭებიანად შეინძრა.

— ე! — წამოიძახა ოქრომ, — ქვე ღმერთი გამიწყრეს, თუ მეორე მაგისთანა კაცის მნახველი ვიყო.

ოქრო მართალს ამბობდა, თუმცა არ იცოდა, რომ მისი ბედნიერება სწორედ ის იყო, რომ ასეთი კაცი ნახა და ამ კაცმა... დახატა.

ფიროსმანაშვილი მეტეხის ხიდით გაღმა გავიდა. თათრის მოედანზე ბაზარი ის იყო, ივსებოდა. ხმაური წუთი-წუთს მატულობდა. მუშტრის მისაზიდად რა შეძახილს არ გაიგონებდით. ქართული, თათრული, სომხური მახვილსიტყვაობის კორიანტელში, დახლებსა, მერხებსა თუ პირდაპირ მიწაზე დაფენილ ბაღდადზე ხილისა, სანოვაგისა თუ ათასნაირი ხარახურის გროვა კაცს გააბრუებდა და თვალს აუჭრელებდა.

ნიკოს კინაღამ წასძლია სულმა იმ ლიანგში გარეულიყო, ბაზარში აევლ-ჩაევლო. თვალი გაეძღო ამ სიუხვით, ეყნოსა ატმისა თუ კომშის სურნელი, მაგრამ თავისი დარდი სხვა მხრით ეწეოდა და ისიც აჰყვა, დაემორჩილა ამ იდუმალ ლტოლვას...

ორთაჭალისაკენ მიმავალს, სანამ ეტლი წამოეწე-

ოდა, ჯერ კიდევ შორიდან მოესმა არღნის ხმა. და რაც უფრო ახლოვდებოდა ეტლი, ხმაც თანდათან ძლიერდებოდა.

საკვირველი იყო, რომ ახლა არღანი თავისებური გამყივანი ხმით არ აყრუებდა ჯერ კიდევ დილის ბინდბუნდში გაყუჩებულ ქუჩას, ქუჩაბანდებს. მეარღნე ნელა ატრიალებდა სახელურს და მიდამოს ეფინებოდა რაღაც საამო ღუღუნის მსგავსი, თვლემის მომგვრელი ჰანგი სიმღერისა — „საყვარლისა ეშხითა“... ეტლში მარტო ერთი კინტო და მეარღნე სხედან პირისპირ. მეარღნე ფხიზელი ჩანს, კინტო კი გასავათებული მთვრალია. დროდადრო რაღაც წამოუვლის ხოლმე, ზეზე რწევითა და ტორტმანით წამოიმართება, ჰაერში წითელ ბაღდადს აფრიალებს და სიმღერის ტაქტს თავისი ხრინწიანი ხმის აყოლებით ფლეთს. არღანზე წამოფოფრილ კინტოს ჭიპთან ხელის მიბჯენით ნელა უბიძგებს მეარღნე და ისიც უგონოდ ჩაენარცხება სავარძლის ბალიშში. ერთხანს გაყუჩებულია, მერე ისევ მოუვლის ჟინი, ისევ წამოიჭრება ზეზე.

ნიკოს არღანი არ უყვარს, „ყურს მჭრისო“, — იტყვის ხოლმე. მაგრამ თურმე რა არღნის ბრალია, როცა მეარღნეს სმენა ღალატობს.

ნიკო ყურს უგდებს, ახლა რაღაც ზედმეტად სევდიანი ეჩვენება „საყვარლისა ეშხითა“ და დროდადრო თვალსაც კი ხუჭავს, რომ მარტო ჰანგი ჩაესმოდეს და არაფერს ხედავდეს...

ეტლი ნელა მიირწევა, და საკვირველია, ახლა ამ ჰანგს ცხენის ნალების ტკაცატკუციც არ უშლის...

ნიკომ ნაბიჯს მოუჩქარა, ეტლს რომ დიდად არ ჩამორჩეს. იმ ჰანგმა ისე გაიტაცა, თან რაღაც ისეთი უცნაური შფოთვა დაეუფლა, თითქო რამეს იგონებსო და ვერ გაუხსენებია, გულიდან გადავარდნია და დაკარგული ნივთივით ეძებს სადღაც ჯურღმულებში თავისი გონებისა. და უეცრად პოულობს, ხვდება... აი თურმე რამ გაათენებინა ღამე თეთრად ოქრუას იმ საოცარი მყუდროებით მოცულ დუქანში, რამ ააკვრევინა ისე უდროო დროს - გუდა-ნაბადი, რა აწუხებდა, რამ დაუკარგა მოსვენება... მიხვდა, რომ იქ, ოქრუას დუქანში, იმ სიჩუმემ ხატვის ჟინი გაუნელა. ფიროსმანაშვილი არ იყო მიჩვეული უმუსიკოდ, ჰანგების თანხლების გარეშე ფიქრსა და მუშაობას, და ახლა, როცა თუნდაც ის „საყვარლისა ეშხითა“ მოესმა, თითქო სული მოათქმევინესო, სწორედ რომ მონათლა ფიროსმანაშვილი იმ ჰანგმა; თითქოს მის პოეტურ სულს ფრთები გამოესხა და ცაში აიჭრა...

ფიროსმანაშვილის მისვლა „ელდორადოში“ მზარეულის მეტს არავის შეუტყვია. ნიკო მთავარ შესასვლელს მოერიდა. შორიახლოდან შეავლო თვალი დიდ აბრას და ბაღის ბოლოს, პატარა სათადარიგო ჭიშკრით შესულმა სანოვაგის და ღვინის კასრების საწყობის უკანა მხარეს შეაფარა თავი. ნაცნობ მზარეულს — ყაბარდოელ სოლოხას, ბიჭი გაუგზავნა — აქა ვარ, საქმე მაქვს და ახლავე მინახულეო.

სოლოხას რამე საჩქაროდ მოსაგვარებელი საქმე

არა ჰქონდა, ყველაფრის თადარიგი უკვე დაეჭირა და ნიკოს სანახავად მაშინვე გაეშურა. ბიჭი წინ მირბოდა.

— ნიკო! რას იმალები? კაცი ხომ არ მოგიკლავს? — სიცილში დაკრეჭილმა მთიელის კბილებმა თეთრად იელვა. — საწყობის უკანა კედელთან გადაჭრილ მორზე ჩამომჯდარ ნიკოს მაღლა აწეული მარჯვენა ხელით თეატრალურად მიესალმა. — კაცო, დღე ერთია და ნატვრა ათი! ის ღმერთძაღლი ნიკალა სად დაგვეკარგაო, სულ ამას გაიძახის ჩვენი ხაზეინი. აფსუსი არ არის, მაგის სურათები ელდორადოს მაგიერ ქეციანი რიყელებისა თუ სხვა ვიგინდარების ტრაქტირებსა და სარდაფებს ამშვენებდესო...

სოლოხას მისვლისთანავე ფეხზე წამომდგარი ნიკო თავდახრილი უსმენდა... ეს მისი დიდი ღირსება იყო — მოსმენის უნარი. სულელი არასოდეს არ გაცლის, სათქმელს წარამარა გაწყვეტინებს, ჭკვიანი კი ბოლომდისაც მოგისმენს, თვითონაც ჩაფიქრდება და ჭკვიანურ პასუხსაც გაგცემს... თუ პასუხი საერთოდ საჭიროდ ჩასთვალა, ზოგჯერ დუმილიც ხომ პასუხია.

— ჰოდა, როგორც ხედავ, მოვედი. — დინჯად თქვა ნიკომ. მზარეულისათვის არათუ არ შეუცინია, არც შეუხედავს. თავდასრილი, თითქო პასუხს ელისო, გაბუტულივით გარინდებული იდგა. მერე იქვე მორის გვერდით დაწყობილ თავის ყუთსა და სქელი ქაღალდის პარკს მიუბრუნდა, მიქექ-მოქექა... უცებ

წელში ისევ გასწორდა და ცოტა მწყრალად უთხრა, მისი მოსვლით ნასიამოვნებ სოლოხას:

— თუ მაბინავებ, დამაბინავე, მეჩქარება... სადა მცალია... სამუშაოდ მოვედი...

— სად გინდა, ნიკო? აგერ, კასრების საწყობში, თუ იქ, თივისა და შეშის ფარდულში...

— სადაც მეტი ხალვათობა და... სინათლეა.

— მაშინ, ფარდული გირჩევნია.

ნიკომ ყუთსა და ქაღალდის პარკს ხელი წამოავლო და ფარდულისაკენ გაემართა... რაზა გადასწია, ფიცრის უბრალო, მაგრამ მძიმე კარი ჭრიალით გაიღო. თივის სუნი ეცა. ესიამოვნა. ჯვარედინად, ერთი არშინის სიმაღლეზე დაწყობილ, ერთ ზომაზე დაჭრილ შეშაზე ნიკომ ყუთი და პარკი დადო. მერე დოინჯშემოყრილმა იქაურობის ავკარგით დაინტერესებული კაცის თვალით მიიხედ-მოიხედა. ამასობაში რაღაც გაახსენდა, კარის ზღურბლთან აჩქარებით მიიჭრა და სამზარეულოსაკენ მიმავალ სოლოხას მიაძახა:

— დაიცა, კაცო! სად გარბიხარ...

მზარეულმა ნიკოს ხასიათის ასავალ-დასავალი კარგად იცოდა. გაეცინა და მისკენ თვითონ გაეშურა.

— იცი, რა გითხრა, — ხმადაბლა დაიწყო ნიკომ, — თუ ამას მადლად სთვლი, მაშინ მარილიც... ისე, ბლომად რა, მოხარშულ ბეჭს რომ მოაყრი ხოლმე...

— გისმენ, ნიკო.

— მუშამბა მჭირდება, მხოლოდ... შავი! ხუთ მტკაველზე ნაკლები არ იყოს სიგრძითა და სიგანით. ხომ იცი, სამაგიეროს ან გიყიდით, ან რამე სურათში გამომიქვითავთ და ის იქნება! აგერ, ბიჭს გამოატანე.

— ეგ დახლიდარს სთხოვე, ან დამლაგებელ სონას. ძველ მუშამბებს ის ინახავს ხოლმე.

— ,ძველი რად მინდა... შენცა თქვი...

— მაგიდის კუთხეებზე ჩამოფარებული ადგილი თუ გაცვეთილი იქნება, რა უჭირს, ნაპირს გარშემო შემოაჭრი და, შუაგული ხომ მთელია.

— იცი, რა, სოლოხა! ეხლა სალაპარაკოდ არა მცალია. ბაღში გამოჩენისა და სალამ-ქალამის თავიც არა მაქვს... სონას ჩემს მაგივრად უთხარი...

სოლოხამ იცოდა, ნიკოს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, როცა მუშაობის ჟინი მოუვლიდა, მაშინ ხომ არც შემოგხედავდა, გულჩათხრობილი დუმდა. ამიტომაც უსიტყვოდ გატრიალდა. თან ბიჭსაც ანიშნა, გამომყევიო. ნიკო კარებში რომ შებრუნდა, ერთბაშად ისევ გარეთ გამოიჭრა, მზარეულს დაეწია. ფეხის ხმაზე სოლოხამაც მოიხედა და გაუკვირდა, ნიკო ფარდულში ეგულებოდა.

— რა მოხდა ნიკო?

— არაფერი. იცი, კიდევ რა სათხოვარი მაქვს?— არავინ უსმენდა, მაგრამ ნიკომ მაინც ყურთან უჩურჩულა მზარეულს, — ა-იქ, მეზურნეები რომ სხედან, როცა მოქეიფენი სუფრაზე მიიწვევენ, ნეტავი რამე მუხამბაზივით დააკვნესონ...

სოლოხას არ გაჰკვირვებია.

— ეგ რა არის!.. იმ ქოსას ერთი რომ ვუთხრა, მეტი არ უნდა...

— გესმის, ისე არ უთხრა, მთელ ბაღში ხმა დაირხეს...

— რას ლაპარაკობ... ჩავუვლი და წავჩურჩულებ... ეგ ჩემზედ იყოს.

ნიკომ გაიფიქრა და გაოცდა:

„მეც არ ვიცი, რა მემართება... როცა ჩემი-გუნების შესაფერის ჰანგს ვუსმენ, უკეთესად ვმუშაობ... მაგათი ბრალია, ეგრე მიმაჩვიეს!..“

— სოლოხა! მყუდროება მიყვარს, მაგრამ სიჩუმეს ვერ ვიტან... სიცარიელესავით არის!. სიცარიელე კი რა ხეირია, გულში იქნება თუ გარეთ, ჩვენ გარშემო!..

— გინდა, ჯიბეში!.. — თავისი შენიშვნით კმაყოფილმა მზარეულმა ისე გადაიხარხარა, ახლა ვის რა უნდა ეთხოვა, რომ არ შეესრულებინა. — კარგი, ნიკო! — თქვა მოკლედ და ბიჭს ხელი წამოუქნია, გამომყევიო.

— სოლოხა! — მზარეულს ხუთი ნაბიჯიც არ გადაედგა, კვლავ უხმო ნიკალამ, — ხომ იცი, ლოდინი არ მიყვარს.

— ვიცი! — მიუგო ნახევრადშემობრუნებულმა სოლოხამ „გაჭირვეულებულ“ ფიროსმანაშვილს, მაღლა აწეული ხელითაც ანიშნა — არხეინად იყავიო და, გზა განაგრძო.

სოლოხას უკვირდა, ეს მღებავი ასე როგორ გვიმორჩილებს უმცროსსაც, უფროსსაც... რასაც იტყვის,

თითქოს მაგისი შეგირდები ვიყვნეთ, ყველაფერს უსიტყვოდ ვუსრულებთო.

ყველა გრძნობდა, რომ ნიკოს სურვილის შესრულებას იმათ არც შიში უკარნახებდა, არც რაიმე სხვა იძულება, პირიქით, საკვირველი ის იყო, ყველას სიამოვნებდა, თუ ფიროსმანაშვილს რამეს გაუკეთებდნენ, თუ მის გულს მოიგებდნენ.

სწორედ იმ დროს, ნიკომ ხელში ფუნჯი რომ აიღო და ჯაგრის მოქნილობა ხელისგულზე მოსინჯა, ბაღში, შორიახლოს, გაისმა მუხამბაზის ჰანგი. მეზურნეებმა ნელა ჩაჰბერეს თავიანთ დუდუკს და საამო ბგერაც შემპარავად, კვამლივით გაიკლაკნა, გაიშალა და წამოეფინა იქაურობას. თითქო იმ ჰანგის ბგერებად შეკრული თაიგული ვინმეს უხილავ ხელს ნიკოსთვისაც მიერთმიოს, ფარდულსაც ისე მოეფინა მისი „სურნელი“. წუთით დაყურადებულ ფიროსმანაშვილს უცებ ისე მოეჩვენა, თითქოს ბგერა შოლტივით მოიქნიესო, როცა ჰანგი გაძლიერდა, მაღლა-მაღლა წავიდა და ჟრჟოლის მომგვრელად დაირხა...

სქელი შუშის ორმტკავლიან ნაჭერზე გახსნილი საღებავებიდან ცისფერს სამი თითის სიფართე ფუნჯი წამოუსვა ნიკომ და ხელის პირველი მარჯვე მოქნევით ფუნჯმა და ფერმა მუშამბა ცისფრად გადასერა...

ნიკოს უკვე აღარ ესმოდა მუხამბაზის ჰანგი, დუდუკების ნელი წაბმული კვნესა... ის ახლა სხვა მუსიკას, სხვა ჟრჟოლას აეტანა, სხვა ხილვას შთაენ-

თქა ფიროსმანაშვილის მთელი არსება. მისთვის უკვე არაფერი აღარ არსებობდა ფუნჯისა, საღებავებისა და იმ შვლის მოლანდებასავით გამჭვირვალე გამოსახულების გარდა, ასე მკაფიოდ რომ აღბეჭდილიყო მეხსიერებაში...

ნაშუადღევს, ოთხიოდე საათის შემდეგ, სოლოხამ ფარდულს რომ ჩაუარა, ნიკოც გაახსენდა. თუმცა საქმეზე მიეჩქარებოდა, ცნობისმოყვარეობამ მაინც მიაბრუნა უკან და ფარდულში შეახედა. მუშაობაში გართულმა ნიკომ კარის ჭრიალზე მოიხედა, მაგრამ, მგონია, ვერც კი იცნო, ზღურბლზე თუ სოლოხა იდგა. თავისი გაშმაგება ფიროსმანაშვილს ჯერ არ განელებოდა და სიცხიანივით მის ანთებულ მზერას ახლა არაფრის გარჩევა არ შეეძლო იმ ერთადერთი შინაგანი ხილვის გარდა. ეს ხილვა მუშამბაზე იბადებოდა საოცარი სისწრაფით და სახტად დარჩენილი მზარეულიც ისე იდგა კარის ზღურბლზე, თითქო სასწაულს შეესწროო.

ამ სანახაობით მონუსხული სოლოხა მალე მიხვდა, რომ აქ ზედმეტი იყო, მხატვარს ალბათ ხელს უშლიდა, მაგრამ სანამ იქაურობას გაეცლებოდა, გულმა მაინც ვერ მოუთმინა ფიროსმანაშვილისათვის არ ეთქვა:

— ნიკო! ღმერთი გამიწყრეს, თუ შენი ფასი, ჯერ იმ ღმერთის გარდა, ვინმემ იცოდეს!

არშბა

მატარებელი ნელი სვლით უახლოვდებოდა სადგურს.

არშბა ვაგონის კარებში, კიბის თავზე იდგა.

მოსულთა შესახვედრად სადგურის ბაქანზე მოფუსფუსე ხალხში ანაზდად ტაბაღუას მოჰკრა თვალი.

ტაბაღუას, ეტყობა, უკვე შეენიშნა ის და ფრთხილად, მალულად უთვალთვალებდა.

ამ უსიამოვნო ხილვამ არშბას გუნებაც შეუცვალა და იერიც; გაიფიქრა: უკანვე შებრუნებულიყო, მეორე მხრიდან ჩასულიყო, შორი გზა მოევლო, მოთვალთვალისათვის კვალი აერია, მაგრამ... გარდა იმისა, რომ ტალანში გაჭედილი ხალხი გზას ვერ დაუთმობდა, დამალვა, მხდალსავით გაპარვა არ შვენოდა.

ასეთი აზრი არასოდეს თავში არ მოსვლია. თვითონვე გაუკვირდა.

ეს არ იყო ჩვეულებრივი შიში.

შიში ვერც აიძულებდა მას, იქნება იმიტომაც, ჯერ არ განეცადა იგი ისე ძლიერად, რომ მისთვის დაეთმო.

ნაუცბათევი გადაწყვეტილება უმალვე უკუაგდო.

ან კი, ამ გადაწყვეტილებისამებრ რომ მოქცეულიყო, სად გაეცეოდა ტაბაღუას თვალებს?

თავი შეიკავა, ხალხს დინჯად ჩამოჰყვა.

ნაბდის კალთები მჭიდროდ შემოიკეცა ტანზე, შალის შავი ყაბალახი, რომლის ცალი ტოტი კისერზე ჰქონდა მოხვეული, წარბებამდე დასწია.

თავდახრილმა, თითქოს „ის" სულაც არ შეენიშნოს, სწრაფად გადაირბინა მაზუთით გაშავებული ქვიშაში ცივად მოელვარე ლიანდაგის ზოლები...

სადგურს მიაშურა, მოგრძო ერთსართულიან ხის შენობას.

ტალახით შეზინზლილ დაბალ ხის კიბეზე ხალხს მიჰყვა.

ბუფეტიდან მგზავრების მოსაცდელ ოთახში გავიდა.

ფოსტით ახლახან მოტანილი „საბჭოთა აფხაზეთი" იყიდა, გაზეთი გაშალა, აიფარა, სათაურებს გადაავლო თვალი და... მალულად შემოსასვლელისაკენ გაიხედა.

„ის" არსად ჩანდა.

დამშვიდებულმა, კითხვით გართულმა, ერთი წუთის შემდეგ ისევ შემოსასვლელს მიაპყრო თვალი. მერე გაზეთი დაკეცა, ჩოხის უბეში შეინახა და ოთახიდან გავიდა.

შეაჟრჟოლა: ქარს ძალა მომატებოდა, დეკემბრის სუსხიც უფრო საგრძნობი იყო, თითქოს ნემსით ჩხვლეტდა სახეს უხილავი ხელი.

„იქნებ თოვაც დაიწყოს ამაღამ. დროა“, — გაიფიქრა და ცას გახედა. ალვის ხის კენწეროებამდე დაშვებულ ნისლს ამოევსო სივრცე...

ავტობუსი მატარებლის მოსვლის დროს აკარმარაში მიმავალ მგზავრებს მოსაცდელთან, ჩვეულებრივ, არ დახვედრია.

არშბა სხვებზე უფრო დააღონა ამ ამბავმა. ერთხანს უცადა, მგზავრებს საუბარი გაუბა, მერე წინ და უკან სიარულს მოჰყვა, მაგრამ გული მაინც ვერ დაიყოლია, ვერ მოისვენა.

სიარული რომ მოსწყინდა და სუსხმაც შეაწუხა, გარეთ სიცივეში ლოდინს მახლობელ სასადილოში შესვლა ამჯობინა.

დერეფანივით წაგრძელებულ სასადილოს დაბალ, შეუღებავ ფიცრის ჭერზე სამგან კიაფობდა პატარა ელნათურა და კვერცხის გულივით მუქ, ყვითელ შუქს ჰფენდა იქაურობას.

ბუზებს დაეწინწკლათ შავი წერტილებით ნათურების ზედაპირი.

დაბალ ჭერქვეშ, ჰაერში, იდგა საჭმელების სუნი და პაპიროსის ბოლი — აქა-იქ მუქი ნაცრისფერი, აქა-იქ თხელი მოლურჯო.

არშბამ ფრთხილად მიიხურა კარი. იგი გრძნობდა, ნაბადს შემოყოლილი სუსხი როგორ ნელდებოდა

და ქრებოდა საჭმლის სუნით შეზავებულ სასადილოს თბილ ჰაერში.

არშბამ ნაბდის საყელოს თასმები შეიხსნა, შვებით ამოისუნთქა, იქაურობა მოათვალიერა.

ხალხს ბლომად მოეყარა თავი.

უსიამოვნო ხმაური, ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე, კილოზე და ხმაზე, სიცილი, უეცარი შეძახილი და ჭურჭლის წკარუნი ყურთასმენას ახშობდა.

ყოყმანით ერთი ნაბიჯი უკან გადადგა, კარის სახელურს მისწვდა, არ ესიამოვნა, მოქეიფეებით სავსე რომ დახვდა სასადილო.

ყველას აქ შეუფარებია თავი.

ერთი თავისუფალი, პატარა მაგიდაც არ ჩანდა, შეუმჩნევლად რომ მისჯდომოდა, ჩუმად ევახშმა და თანაც ავტობუსის საყვირისათვის ყური ეგდო.

შემწვარი სულგუნისა და ცხელი ღომის სუნმა მადა გაუღვიძა, აიძულა, ადგილი მოეძებნა.

ნაბდის ნაპირებს ხელი მოავლო, შემოიკეცა — გასასვლელში ჩახერგილი სკამებისათვის რომ არ წამოედო და ყურადღება არ მიექცია.

სასადილოს ბოლოში თავისუფალი ადგილი ჩანდა, იქით გაეშურა, კედლის კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან გაჩერდა, შეაკრთო უეცარმა, არეულმა შეძახილებმა. „არშბა!“ „აქეთ, აქეთ“. „გაუმარჯოს!“

მოპირდაპირე კუთხეში ხუთი აფხაზი შემოსჯდომოდა გაშლილ სუფრას.

ქეიფობდნენ, ლაზღანდარობდნენ. მაგიდაზე ეწყო საჭმელების მონარჩენით მოსვრილი თეფშები, ერთ

მხარეს ცარიელი, მეორე მხარეს სავსე ბოთლების გროვა. მარტო მაღალყელიანი შუშის ვაზა იდგა წესიერად.

ვაზაში ვარდები ეწყო.

ვარდებს მთვრალებივით გადმოეკიდათ თავები.

ვაზა ვიღაცას პირთამდე წითელი ღვინით აევსო.

როცა არშბამ ნაბიჯი გადადგა, ხუთივე აფხაზი ფეხზე იდგა.

ხუთივე არშბას შესცქეროდა ღიმილით.

ხუთივეს ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა ხელში — მისკენ გაწვდილი.

დაღონდა არშბა. ცხადი იყო, მათგან თავს ვეღარ დააღწევდა ადვილად.

მივიდა, მიესალმა.

ამ ხუთში ერთი ტაბაღუას ნათესავი იყო.

არშბა თამამად მიესალმა მასაც.

ყველანი დასხდნენ, მაღალმა, ნაცრისფერჩოხიანმა ბარციცმა გვერდით მოისვა არშბა.

— ვინც მოვიდა, — დაიწყო მან, წუთით შედგა, დანარჩენებს გადახედა, მარჯვე სიტყვას არჩევდა.

არშბას პირდაპირ მჯდარმა აღარ აცალა, სათქმელი მოსტაცა და უბრალოდ დააბოლოვა:

— გაუ-მარ-ჯოს!

ყველამ გაიმეორა მისი ნათქვამი.

ჭიქები ერთმანეთს შეეხნენ და წკრიალით დაუდასტურეს არშბას მეგობრობის ნებასურვილის სიწმინდე.

ბარციცმა დიდი ჭიქა შემოსწრებულს მიაწოდა.

არშბამ ყოყმანით ჩამოართვა, მეგობრებს, ნაცნობებს გადახედა, დინჯად თავი დაუქნია, ფეხზე ამდგარმა სათითაოდ შეახო მეგობრების ჭიქას თავისი ჭიქა და უსიტყვოდ დალია.

ცარიელი ჭიქა ცარიელ ბოთლს ჩამოაცვა და განზე დადგა.

ისევ თავიდან დაიწყო სმა და სიმღერა.

არშბაც აჰყვა, თუმცა სიმღერის გუნებაზე ჯერ კიდევ არ იყო.

ღვინომ ნელ-ნელა გაუხალისა გუნება, აალაპარაკა, აამღერა.

ბოლოს მაინც გაიხსენა ავტობუსი, მორჩილად სთხოვა თამადას — გაეშვა, კისერშიც აკოცა, მაგრამ ვერაფერს გახდა, არ გაუვიდა ხვეწნა.

რამდენიმე ბოთლი ღვინო კიდევ მოატანინა ბარციცმა.

მწვადებიც შეუკვეთა.

— თუ ლხინია, ლხინი იყოს... ამაღამ აქა ვართ! — ამაყად, თანაც მუქარით წარმოთქვა ბარციცმა და არშბას გადახედა.

ეს შენიშვნა ყველაზე მეტად თითქოს მას ეხებოდა.

არშბამ გაუღიმა, თავი დახარა.

— მეჩქარება, ხალხო, თორემ.

— თორემ? საით გეჩქარება?! — გაიკვირვა ბარციცმა და მარცხენა თვალი ისე მოხუჭა, თითქოს მიზანში იღებდა არშბას.

— აკარმარაში მივალ. ერთმა ავტობუსმა უკვე...

— სად არშბა, სად ავტობუსი?!

— როცა გეჩქარება?!

— ცხენზე ჩქარა ავტობუსი ვერ ივლის ჩვენს გზებზე!

— ვერ ივლის, — მშვიდად მიუგო, დაეთანხმა მთვრალს არშბა.

— მაშ?

— მაგრამ... როცა ცხენი არა გყავს?

— მე გიშოვი, ჩვენც იქით მივალთ! — მიუგო და ჭიქა ასწია ბარციცმა.

ყოველი სადღეგრძელოს შესმის შემდეგ დგებოდა, ემშვიდობებოდა, მაგრამ წასვლას მაინც ვერ ახერხებდა არშბა.

მისი ქამრის ბალთაზე მაგრად მოეჭირა ხელი ბარციცს, არ უშვებდა.

სკამზე ნახევრად იჯდა არშბა, ველარ ითმენდა, მოცდას ველარ იტანდა.

თვალი გასასვლელისაკენ ეჭირა.

გული მოსდიოდა ამხანაგებზე. მაინც ღიმილით უცქეროდა. მთვრალს ვერ დაემდურები.

ბოლოს გააშვებინა თუ არა ხელი ბალთაზე, გასაქცევად მომზადებულმა განზე გაიხედა — გზაში ხომ არაფერი შეუშლიდა ხელს.

ხელმეორედ, დასარწმუნებლად იქით გახედვას ველარ ბედავდა: შემოსასვლელში, კედელთან, იქნება მართლა „ის“ იდგა და უთვალთვალებდა.

დარწმუნებული იყო ტაბაღუას არ გაუჭირდებოდა მისი მიგნება. გულის გასამაგრებლად არშბამ

ორჯერ აავსო დიდი ჭიქა და ჩუმად, უდღეგრძელებლად დალია.

ტაბაღუაზე ფიქრი მართლაც გაუნელა ღვინომ და ბოლოს სულ გადაავიწყდა.

თვლემა შეეპარა.

ჭიქების წკარუნი, ლაპარაკი, სიცილი თანამესუფრეებისა ახლა ისე ესმოდა, თითქოს შორიდან, ჯურღმულიდან მოედინებოდა.

მხოლოდ ერთხელ გამოაფხიზლა მხარზე შემოკრულმა ბარციცის ხელმა.

სუფრის გარშემო მსხდომთა ღვინისაგან აწითლებული სახეები სანთლის ალივით ირხეოდნენ და ბურუსში გაფერმკრთალებულივით ეჩვენებოდნენ არშბას.

იგი წუთით გამოფხიზლდა, მაგრამ ისევ მალე დახარა თავი, მკლავებით მაგიდას დაეყრდნო, ჩათვლიმა.

ქარი სისინებდა. დეკემბრის სუსხი თითქო კაწრავდა სახეს, ხელებს.

არშბა ავტობუსის მოსაცდელთან მივიდა, ხის გრძელ სკამზე ჩამომსხდარ მგზავრებს გახედა, გაკვირვებით იკითხა:

— როდის წავა ავტობუსი?

— ჯერაც არ დაბრუნებულა, წასვლა ვინ იცის?! — უკმაყოფილოდ მიუგო მოხუცმა თავშალწამოხურულმა ქალმა.

სკამის თავისუფალ ნაპირზე ჩამოჯდა დაღონებული არშბა.

ნაბადში სახე ჩამალა, გაინაბა, მაგრამ ვერც ამ ყოფაში გაძლო დიდხანს.

ხან ავტობუსზე ფიქრი და აკარმარაში დაგვიანების ამბავი, ხან ტაბაღუასთან მოულოდნელი და არასასიამოვნო შეხვედრის მოგონება არ ასვენებდა.

მისი სახე, მისი თვალების ცივი მზერა და საოცარი მოძრაობა ელანდებოდა წამდაუწუმ...

ადგა არშბა, ნაბადში ტანი შეარხია შეციებულივით, მერე მიიხედ-მოიხედა და უცებ... მოშორებით ბოძთან, ჩრდილში ატუზულ ტაბაღუას რომ მოჰკრა თვალი, დამფრთხალ კუსავით ჩამალა თავი ნაბადში... გაიარ-გამოიარა.

ისევ შეჩერდა.

წუთით ჩაფიქრდა: „მეტხანს მოცდა შეუძლებელია, შუაღამე მოახლოვდა უკვე".

„ისიც" მოსვენებას აღარ აძლევს, სულს უშფოთებს.

გაახსენდა არშბას: ხუთი წელია, რაც... ეს უკან დევნა, დაუსრულებელი, უცნაური, უმიზნო. ეს თვალთვალი. ტაბაღუას მშვიდი, ფერმკრთალი სახე, თვალთა უმოძრაობა აუტანელია არშბასთანა ვაჟკაცისათვის.

სადაც არ არის, იქაც ელანდება.

აღარც მძინარეს ასვენებს, აღარც ფხიზელს.

ფხიზლისთვის უფრო ძნელი ყოფილა.

...ხუთი წლის წინათ დაიწყო.

არშბა ტაბაღუების სასიძო იყო. ორივე ოჯახი ემზადებოდა ქორწილისათვის.

ყველაფერი კეთილად მიმდინარეობდა იმ უბედურ, უიღბლო დღეს ტაბაღუას უმცროს ძმას რომ არ აეჩემებინა სიძესთან ერთად ტყეში წასვლა.

იმ უბედურ დღეს არშბას მიერ მოჭრილ ხეს ტოტი რომ არ ჩამოეკრა გათამამებული ბავშვისათვის, ქვეშ რომ არ მოეყოლებინა და სასიკვდილოდ არ დაეშავებინა...

არშბამ სახლამდე ხელით ატარა დაშავებული.

მის უფროს ძმას უამბო ყველაფერი.

იმედოვნებდა, აპატიებდნენ უთუოდ.

მართლაც აპატიებდნენ, ბავშვი რომ...

მაგრამ ბავშვი მოკვდა.

იმ დღიდან ორი გვარი გადაეკიდა ერთმანეთს. იმ დღიდან გვარისა და ოჯახის იმედს, საკუთარი აჩრდილივით, განუწყვეტლად სდევდა ტაბაღუა.

დაჰყვებოდა შორიახლოს.

უთვალთვალებდა ჩუმად, ფრთხილად.

არშბა მოსალოდნელ ხიფათს არ ერიდებოდა.

თამამად დადიოდა ყველგან, ყოველთვის. მაინც ელოდა.

ტაბაღუა კი შემთხვევას ეძებდა, ალბათ, მაგრამ რამდენი იყო ისეთი შემთხვევა.

განზრახვა იქნებ შეუმჩნევლად უნდოდა მოეყვანა სისრულეში.

რაკი არშბა სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო, ტაბაღუასათვის ერთი გზაღა რჩებოდა მიზნის მისაღწევად: ისე გაექრო მოსისხლე, რომ ამ ბოროტებაში მასზე ეჭვი ვერ მიეტანათ.

ამიტომ შეგნებულად გაურბოდა პირისპირ, მით უმეტეს, ვინმეს თანდასწრებით, არშბასთან შეხვედრას და შებრძოლებას.

არშბას სანატრელად გაუხადა ტაბაღუამ ამ გაჭიანურებული საქმის დაბოლოება.

მარტო დაჰყვებოდა, უთვალთვალებდა, თითქოს ამ ხერხით ლამობდა მის დამორჩილებას, გაქრობას.

„ნუთუ ის ბავშვი, ვის სიკვდილშიც ბრალი არ მიმიძღვის, ვერ ისვენებს, სანამ თავის გვერდით არ მიმიწვენს?“

არშბა შეიშმუშნება, გაივლ-გამოივლის.

შავ შოხაზე შავი ნაბადი, შავ ნაბადზე ბნელი ღამე დასწოლია და შთაუნთქავს, გაუჩინარებია.

მაინც თითქოს მასზე უკეთესად არავინ მოჩანს იქ. უკეთესად ტაბაღუას თვალი ვერავის ამჩნევს.

სახე თვალებამდე ჩაუმალავს ნაბადში.

თვალებს აცეცებს, ტაბაღუას ეძებს, მაგრამ ის უკვე ახლომახლო აღარსად ჩანს.

არშბა შეჩერდება, ყურს მიუგდებს, თითქოს რაღაც ჩუმი, საეჭვო შრიალი მოესმა ზურგიდან.

მიბრუნებას ვერ ბედავს, ვერ მოუხერხებია: ახლა იქნებ ზურგს უკან დგას ტაბაღუა.

მოახლოებული ხალხის ყაყანი, სიცილი ძალაუნებურად მიახედებს ზურგისაკენ არშბას. მიხვდება. მოქეიფენი აშლილან, აქეთ მოდიან და, თუ ისევ ჩაიგდეს არშბა ხელში, მაშინ დილამდე ვეღარ გაუსსლტება მათ.

ესეც აიძულებს, ავტობუსს აღარ მოუცადოს,

რადგან ცხენის შოვნის იმედიც არა აქვს, აკარმარისაკენ ფეხით გაუდგება გზას.

ასიოდე ნაბიჯს რომ გაივლის, მობრუნდება და უცებ ინატრებს: შემხვდებოდეს ნეტავი ვინმე ფხიზელი მგზავრი.

მარტო მოსაწყენია მგზავრობა, ისიც ზამთრის უგემური საღამოს ბინდბუნდში, სუსხში, აჩონჩხილი ტყის გაზვიადებულ მყუდროებაში, მარცხნივ რომ აკრავს გზას, მდინარის შორეულ შხუილ-შიშინში, ხეობიდან რომ მოისმის.

მიდის არშბა და ამ დუმილში, ამაზრზენ მყუდროებაში თითქოს ესმის, საკუთარი ფეხის ხმის გარდა, ვიღაც უხილავის ფეხის ხმაც... დროდადრო მკაფიოდ არჩევს, სმენა კარგი აქვს, არ მოტყუვდება. მიიხედავს: მომეჩვენაო, — გაიფიქრებს, სიმღერას წამოიწყებს...

ტაბაღუაზე ფიქრი მაინც არ ასვენებს, ფეხის ხმა დროდადრო ისევ მკაფიოდ ესმის და ახელებს.

ელსადგურის საგუბრის ზემოთ კვლავ შეჩერდება, მიიხედავს, გავლილ გზას დააკვირდება.

ხიდთან მოძრავ სილუეტს მოჰკრავს თვალს.

ჯერ ხეს მიამსგავსებს. იმ ალაგს, თუ ცოტა მოშორებით, მართლა იყო და არშბასაც ახსოვდა გადაჭრილი ხე — მოჩვენების მსგავსი, მაგრამ ახლა ძნელი გასარჩევი იყო ბინდბუნდში — მართლა ხე მიამსგავსა კაცს თუ კაცი ხეს.

როცა არშბამ ნაბიჯი გადადგა და ეს „ხეც“ ად-

გილიდან დაიძრა, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, რომ არც თვალი ატყუებდა, არც ალღო ღალატობდა.

არშბამ გათოშილ სახეზე ხელი მოისვა, ყაბალახი შეისწორა და უცებ... გიჟივით გადაიხარხარა. მერე ხარხარს თანდათან უკლო და ღიღინით განაგრძო გზა.

„რა მოთმინება, რა გული უნდა ჰქონდეს მოთვალთვალეს“, — ფიქრობდა, უკვირდა.

ისიც უკვირდა: — ტაბაღუა მხდალი არ ყოფილა არასოდეს: „კარგად ვიცი, მაგრამ... იქნებ, ჩემთან მტრობამ, დაუსრულებელმა თვალთვალმა წაახდინა კაცი?“

იქნებ, არც სურს თვითონ, იქნებ განგებ აჭიანურებს დროს!.

მიდის, ბარბაცებს არშბა... ტაბაღუაც მიჰყვება კვალდაკვალ...

გზა ჯერ კიდევ ბევრია წინ.

დიდხანს უნდა იარონ ასე.

ივლიან, მეტის ატანა რომ შეეძლოს არშბას.

მოთმინებაც დაილია.

მოსახვევთან მიახლოებამ რაღაც მოაგონა. არა, წინ უფრო კარგი თავშესაფარი ეგულება. იქ აჯობებს.

ჩაუხვევს თუ არა, გზის პირას ლოდებზე გადახტება...

იშიშვლებს ხანჯალს, ჯაგებში გადაეშვება, გაჰკაფავს ვიწროდ, ჩაძვრება, ჩაიმალება.

ასე ელოდა. ტაბაღუამაც არ დააყოვნა;

დაუახლოვდა, ფრთხილად შემოუარა მოსახვევს;

ჯერ გზას გახედა, რაკი მგზავრი ვერსად იხილა, ქვებს გადაღმა ეჭვით გადახედა ჯაგებს;

მერე ყოყმანით, ფუსფუსით განაგრძო გზა.

თვალებს აცეცებდა ბნელში.

ეძებდა არშბას. თანაც უკვირდა, ალბათ, ასე რომ გაუსხლტა თვალსა და ხელს შუა.

ოციოდე ნაბიჯი გაირბინა წინ, შეჩერდა.

ვერ გადაწყვიტა: განეგრძო გზა თუ უკან დაბრუნებულიყო და იქ მოსახვევთან დალოდებოდა.

მალე ისევ უკან დაბრუნდა გაოცებული.

მოსახვევთან ნაბიჯი შეანელა, დოინჯი შემოიყარა, შეისვენა...

გამალებით უცემდა გული; მერე მარცხნივ ლოდებზე აცოცდა, სიღრმეში გადაიხედა.

გულდასმით მოათვალიერა ჯაგები.

ეჭვი ვერაფერზე მიიტანა.

კვალს ვერსად მიაგნო.

არშბა საფარიდან უთვალთვალებდა ყურადღებით, მომწყვდეული ნადირის გულისძგერით.

ხედავდა ცხადად: რა თავგანწირვით, მონდომებით ეძებდა მოსისხლე.

ტაბაღუამ ყური მიუგდო...

ერთხანს ასე უსმენდა ქვებზე უძრავად მდგარი.

არსით სულიერის ხმა არ ისმოდა.

ხანდახან მარტო ქარი თუ შეარხევდა ტყეში ხმელ ტოტებს, კენწეროებს აჩონჩხილ ხეებისას.

დაღონდა, თანაც მოუსვენრობამ, შიშმა იმატა მის გულში.

სწრაფად გადმოხტა გზაზე, ქვემოთ ხეობაში გადაიხედა. „მაშ, გამასწრო“, — დაასკვნა ბოლოს.

ერთხელ კიდევ გადახედა გზას, წინაც, უკანაც, მერე რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავქვე დაეშვა.

აკარმარისაკენ განაგრძო გზა.

არშბა ისევ ყურს უგდებდა.

ჯერ კიდევ ვერ ბედავდა გამოჩენას.

სანამ ტაბაღუას ფეხის ხმა სავსებით არ მიწყდა, ადგილიდან არ დაძრულა.

რაკი დარწმუნდა: გაოცებული და გაწბილებული უკვე შორს იქნებოდა მისგან, ფრთხილად წამოჰყო თავი ჯაგებიდან.

ამობობღდა, გადმოალაჯა ლოდებს.

გზის პირს გაჰყვა.

წინ და უკან იხედებოდა წამდაუწუმ... ვინ იცის... ეჭვობდა მაინც...

ხეობაში გადაიხედა.

ბინდბუნდში ძლივს მოჩანდა მდინარე, დინების ხმა კი მკაფიოდ ისმოდა.

გზის ნაპირას ჩამოჯდა ერთგან, ფეხით ნიადაგი მოსინჯა, მოკეცილი ნაბადი მხარზე შემოიდო და ფრთხილად იწყო სვლა ქვემოთ.

განწირულივით ყველაფერს ეპატრონებოდა...

ხან ბუჩქის ტოტებს მოავლებდა ხელს, ხან მოზრდილ ქვებს, ხან სველ მიწას... მერე, რაკი ფეხს

გაიმაგრებდა რამეზე, ჩაეშვებოდა ქვემოთ ნელნელა.

მიბობღავდა, მიხოხავდა ქვემოთ, ბნელში, — უსასრულო წყვდიადში და მაინც უხაროდა, რომ ასე ოოლად დააღწია თავი.

ხელებდაკაწრულმა, ნაცემივით დაბეგვილმა და მოქანცულმა, როგორც კი ჩააღწია მდინარის დაქანებულ, თხელ ფენებად მიწყობილ კლდოვან ნაპირზე, ჩახტა, ჩაჯდა და გაიბანა.

მარტო ახლა იგრძნო სიცივე, მწველი სუსხი. ნაბადი გაშალა, ისევ მოიხურა.

რამდენიმე წუთს ასე იჯდა, თბებოდა.

მერე გადაინაცვლა. უკეთესი ადგილი მოძებნა სულის მოსათქმელად:

„რაც იყო, იყო. უფრო მეტი დაბრკოლებაც უნდა გადავლახო...“

დროის მოსაგებად და მანძილის შესამოკლებლად მდინარეში ფეხით გასვლა არ აცდება.

ხიდი ახლომახლო არსად ეგულება.

თანაც საშიშია ხიდზე გასვლა, რომც იყოს, ადვილად შენიშნავს გაწბილებული და თვალგაწაფული ტაბალუა.

აქ ერთვან ისეთი ფონი ეგულება, წყალი შეიძლება მუხლებამდე ვერ შემოწვდეს.

როცა წყალში ჩაჰყო ფეხი, შეაჟრჟოლა, მაგრამ გადარჩენის იმედმა და რწმენამ ერთხელ კიდევ უბიძგა და მეორე ნაბიჯიც გადაადგმევინა.

წყალი არც ისე ცივი ეჩვენა, როგორც მოელოდა.

მდინარის შუამდე რომ მიაღწია, ანაზდად უკან მოიხედა ნაპირის დასანახავად და... ნაპირთან ტაბაღუაც დალანდა.

ტაბაღუა წყალში ფრთხილად მოაბიჯებდა, გასიპულ ქვებზე წამდაუწუმ ფეხი უსხლტებოდა, ხელებს იქნევდა, აქეთ-იქით ქანაობდა.

არშბა ნაპირზე გავიდა.

მოკეცილი ნაბადი რიყეზე დააგდო.

ჩოხის სახელოები წამოიკაპიწა, მერე დოინჯი შემოიყარა და ტაბაღუას დაუწყო ლოდინი... ელოდა განრისხებული.

სანამ ნაპირზე გამოვიდოდა, ტაბაღუა შეჩერდა, არშბას ქურდულად შეავლო თვალი და თავდახრილმა რამდენიმე ნაბიჯი კიდევ წადგა წინ.

წყლიდან ამოვიდა.

არშბაც თვალს არ აშორებდა, ათვალიერებდა.

აკვირვებდა ლანდის მსგავსი უწყინარობა მოსისხლისა.

რამდენიმე წუთი ამ მდგომარეობაში დაჰყვეს.

არც ერთი ადგილიდან არ იძროდა.

არშბას რისხვა მოეშვა გულზე.

თავი დახარა, თითქოს მორჩილებას უცხადებდა მოსისხლეს. ხანდახან წელზე თუ შეავლებდა თვალს, ტაბაღუას ხელი ხანჯლის ტარზე წაევლო.

მთვლემარესავით მოთენთილ არშბას უეცრად რაღაც მოხვდა თავში.

დაბარბაცდა, ხელები გაასავსავა, ასწია თავი, მაგრამ ვერაფერი გაარჩია.

სისხლს დაეფარა შუბლი, თვალები და ღაწვები.

კიდევ შეტორტმანდა არშბა, წაიხარა, ხელში რაღაც მოჰყვა, ჩაბღუჯა და თვალი გაახილა.

შეშფოთებული უმალვე წამოიჭრა ზეზე.

ტაბაღუას მკლავს კი ინსტინქტურად ხელს არ უშვებდა.

...ტაბაღუა არშბას გვერდით, გაწყობილ სუფრასთან იჯდა და ელოდა, სანამ გაიღვიძებდა.

ტაბაღუა იღიმებოდა.

გათენებულიყო.

სასადილოში არავინ ჩანდა, გარდა მზარეულისა, რომელსაც სარკის ნატეხი ეჭირა ხელში და ხის სავარცხლით სველ თმას ივარცხნიდა.

ტაბაღუამ დის წერილი გადასცა არშბას. სიტყვიერადაც ახარა:

— თავს იკლავს, სულ გიგონებს, ჩამოსმა, ლანდს დაემსგავსა. ისევ უყვარხარ... დიდიხანია მთხოვდა, მენახე. ჯერ არ ვკადრულობდი, მერე ვერ გავბედე, მერე კიდევ ვეღარ მოვაჩერხე ხელსაყრელ ალაგს შეხვედრა.

მაგიდაზე რამდენიმე ბოთლი ღვინო, ღომი, სულგუნი და ჯამით ხორცი იდგა.

ღომს ჯერ კიდევ ორთქლი ასდიოდა.

არშბამ წერილიც წაიკითხა, ტაბაღუას სიტყვაც მოისმინა, მაგრამ გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო.

ვერ დარწმუნებულიყო, რომ ეს ყველაფერი ცხადად ხდებოდა და მის ტანჯვას ბოლო მოეღო.

პასუხი დაუგვიანდა.

თავს მაღლა ვერა სწევდა.

ტაბაღუა კი ულიმოდა და პასუხს ელოდა.

„ისევ გიყვარს?!“ — კითხულობდა გუნებაში ტაბაღუა. — „როგორც მიყვარდა, ახლა უფრო მეტად მიყვარს“, — იმეორებდა თავის გულში არშბა, მაგრამ ეს სიხარული, ეს გულის წადილი, რატომღაც, სიტყვით ვერ გამოეთქვა.

ასფალტი

საგონებელში ჩავარდნილს, ძილგატეხილს დილით წამოდგომა ისე გაუჭირდა, ავად ხომ არ ვარო, გაიფიქრა და, თავს ძალა დაატანა, წელიც, რომ იტყვიან, მოწყვეტილივით აითრია. „რა უბედურება ყოფილა ეს გამუდმებული ფიქრი“... ლოგინის ნაპირზე ჩამომჯდარმა უხალისოდ მიიხედ-მოიხედა... რაც ხელში მოჰყვა, ჩაიცვა. მუქ-მწვანე პერანგს რა ფერის შარვალი, წინდა ან ფეხსაცმელი მოუხდებოდა, ამაზე ახლა აღარ უფიქრია. აღარც სარკეში ჩაუხედავს, წვერის გაპარსვაც არ გახსენებია, და წარმოიდგინეთ, როგორც სჩვეოდა, დედასაც არ შეხმიანებია — მივდივარო... დღეს თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო ოცდახუთი წლის კაცის ცხოვრებაში, რომ ასე მოულოდნელად ყველაფერზე ხელის ჩაქნევის წადილმა მოუარა. ეს დღე რაღაც უცნაურად გათენდა. ამ განწყობილებამდე ის არც იოლად და, მით უმეტეს, არც ერთბაშად მისულა. გრძელი ისტორია იყო... მერაბის ამ-

გვარ ფერიცვალებას, მისთვის ესოდენ უცხო სულის-კვეთებამდე მისვლას თითქმის წელიწადი დასჭირდა. ეს ყველაზე ძნელად გასავლელი და უსიამოვნო მოულოდნელობებით აღსავსე წელიწადი იყო, მისი რწმენის, ნებისყოფის, არა მარტო ფიზიკური, სულიერი ძალის გამოცდის ხანგრძლივი და მომქანცველი პროცესი; როცა ბრძოლისათვის საკმარისი გამოცდილება არ გაგაჩნია, დასაწყისშივე მთელს იმედებს მხოლოდ შენს ბავშვურ ოპტიმიზმზე ამყარებ...

მერაბმა სადარბაზო მისასვლელის კარი დაუდევრად გააღო, ზღურბლზე ცოტა შეყოვნდა. ქუჩის გადაღმა მოპირდაპირე სახლის ფასადმა უსიამოვნოდ მოსჭრა თვალი. იქნებ იმიტომაც, რომ სადარბაზოში ნახევრად ბნელოდა. ბაცი ნარინჯისფრად შეღებილი სახლის ფასადი მზეს გაენათებინა და ეს არქიტექტურულადაც უგემოვნო, ახლა ასე მჭახედ ალაპლაპებული ფასადი განა მარტო მხედველობას, ნერვებსაც აღიზიანებდა. მერაბმა სახე მოიჩრდილა. მერე თავი დახარა და ერთბაშად ისეთი გაოცებით დააკვირდა ვიწრო ტროტუარის ასფალტს, რასაც მხოლოდ იშვიათი მოულოდნელობა იწვევდა ხოლმე. ტროტუარის ასფალტი ამ ერთი კვირის წინ დააგეს, მაგრამ საკვირველი რამ მომხდარიყო: მერაბი ერთხანს გაოცებული დასცქეროდა ასფალტს, მერე სადარბაზო მისასვლელის ზღურბლიდან ქვის ორსაფეხურიან კიბეს გადაალაჯა და ერთბაშად ჩაიმუხლა. ტროტუარის გაყოლებაზე ასფალტი აქა-იქ ამობურცულიყო; ეს, ბავშვის მუშტისხელა ბორცვები ზოგან

მხოლოდ დამსკდარი ჩანდა, ზოგან კი ნორჩი ბალახის ორ-სამ ღეროს ამოეყო წვერი. ერთგან ბალახის მთელ ბღუჯასაც ემძლავრა. სწორედ ამ მოზრდილ ბღუჯად ამოსული ბალახის წინ ჩაიჩოქა მერაბმა და მის ჯერ კიდევ საოცრად ნაზ, ქათქათა მწვანე ღეროებს გადაუსვა ხელი. სხვა დროს, სხვა განწყობილებით შეპყრობილის ყურადღება იქნებ ასერიგად არც მიექცია, შეიძლება გაჰკვირვებოდა, გასცინებოდა, მაგრამ გაოცება, აღტაცება არ დაუფლებოდა... რას ამბობთ... ის ცხელი, მყრალი, სულისმომხუთველი ასფალტი, ამასწინათ რომ საგულდაგულოდ ამოძირკვული ბალახის და მოსწორებული ოღროჩოღრო ტროტუარის გასწვრივ დაახვავეს, გაშალეს, მერე მანქანის უშველებელი ცილინდრული საგორავით ტროტუარს ლავაშივით გააკრეს... დღეს ალაგ-ალაგ ასე უცნაურად ამობურცულა, დამსკდარა... მერე და რას მოუხდენია ეს სასწაული!.. რაღაც განგებით გაცოცხლებულ ბალახს ასე უმძლავრია და ახლა მისი გასაოცრად ნაზი ღეროები რომ მზეს უცინის... არა, ეს თითქმის დაუჯერებელია... დაუჯერებელია სიცოცხლის ძალის, რწმენის ეს ყოვლისშემძლეობა... რა საოცარი გაკვეთილი იყო მერაბისათვის. მის თვალში ეს შემთხვევა უნებლიეთ ყველა სარდლის გამარჯვებას და მოგებულ ბრძოლებს ჩრდილავდა, რაც კი სახელმძღვანელოებს შემოუნახავთ. ჯერ გაოცებული, შემდეგ გახარებული ბიჭი უცნაურად ძალამოცემული წამოიჭრა ზეზე, გიჟივით შევარდა სადარბაზოში, კიბე ხუთ-ხუთ საფეხურზე ხტომით აირბინა.

გასაღები თან ჰქონდა, მაგრამ ზარით და კარზე რახუნით აიკლო ბინა. თუ აქამდე დარდსა და უგუნებობას ასე თუ ისე უმკლავდებოდა, ახლა სიხარულს რატომღაც ველარ იმორჩილებდა. სიხარული თითქო მოერია ჭაბუკს, როგორც უბელო ცხენმა, ზურგზე მოიგდო და გააქროლა... ამ სიხარულს ახლა ისე ჩასჭიდებოდა მერაბი, როგორც უბელო ცხენის ქარში გაშლილ ფაფარს გამოუცდელი მხედარი. დედა ფეთებით მოაწყდა კარებს... მერაბი რომ შერჩა ხელში, გაოცდა. ის შინ ეგონა, რაკი ჩვეულებრივი გაფრთხილება — მივდივარო, — არ გაუგონია. თანაც ასე აღგზნებული რომ დაინახა შვილი, გაოცდა. ამ ყოფაში ის ჯერ არ ენახა. მერაბი წყნარი, ზედმიწევნით თავაზიანი და ერთი შეხედვით ბედის მორჩილი ბიჭი ჩანდა... ეს მერაბი კი ერთი წუთის წინ შინ რომ დაფეთებულივით შემოიჭრა, არაფრით არ ჰგავდა იმ მერაბს, როგორსაც აქამდე იცნობდნენ შინაურები თუ მეზობლები.

რაწამს კარი გაიღო, მერაბი დედას ეცა, ლოყაზე აკოცა. მერე ბეჭებს ქვემოთ მკლავებშემოხვეჯული დედა მსუბუქად მოიქნია, შემოაბზრიალა.

— დედა! სანამ წვერის გასაპარს წყალს გავაცხელებდე, გუშინ რომ გამირეცხე, ის თეთრი პერანგი გამიუთოვე, ხომ იცი, ყველაფერი მეხერხება პერანგის გაუთოვების მეტი.

დედა კი გაოცებისაგან სმას ჯერ კიდევ ვერ იღებდა, ეკითხა — რა დაგემართა, რა მოხდა, რა ამბავია ჩვენს თავსო, მერე კი, როცა სული მოითქვა

და ენა მოიბრუნა, ვინ მოუსმინა, ვინ აცალა რამის კითხვა. მერაბი სამზარეულოსაკენ გაიქცა, გაზქურა აანთო და გასაპარსად რომ ეყოფოდა, ჩაიდნით იმდენი წყალი შემოდგა ცეცხლზე. საპარსი მოწყობილობაც მოამზადა. წყალი ერთ წამში გაცხელდა. ალუმინის ჭიქაში აქაფებული საპონი ფუნჯით სწრაფად მოისვა, ყბებზე სწრაფად გაჩნდა ქაფის თეთრი წვერი. ადრე თუ ყველაფერს აუჩქარებლად აკეთებდა, ახლა წინააღმდეგ ჩვეულებისა, წვერის პარსვას თვალის დახამხამებაში რომ მორჩა, თვითონვე გაუკვირდა. არც ცივის, არც ცხელი წყლის ონკანში წყალი არ მოდიოდა. გასაპარსად გაცხელებული წყლის მონარჩენი ჩაიდნიდან კილოიან შუშის ქილაში ჩაასხა, ცივით გადაანელა და საპონშემშრალი პირისახე და კისერი საგულდაგულოდ ჩამოიბანა... სწრაფად შეიმშრალა და სანამ დედას უხმობდა, ტანისამოსის გამოცვლას შეუდგა. დედამ მერაბს საგულდაგულოდ გაუთოებულ-გაქათქათებული პერანგი შემოუტანა, საყელოს გახამებაც არ დავიწყებია. მერაბს არ მორიდებია, დედას რომ სპორტულ ტრუსის ამარა დახვდა. დედას ბიჭზე მზე ამოსდიოდა და ნახევრად შიშველს შეხედავდა, თუ ჩაცმულს, მისთვის ერთნაირად საყვარელი იყო. ახლა ხომ მერაბი მართლა კარგი შესახედავი იყო. სოფელში ჩასვლამდე, ერთი კვირით ზღვაზე ნამყოფს, მზეზე გარუჯული კანი, რომ იტყვიან, მართლაც ბრინჯაოსფრად ულაპლაპებდა. უცნაურია, მაგრამ მზეში დამწვარის სი-

შიშველე იმდენად არ ეხამუშება თვალს, რამდენადაც ქაღალდივით კანგადათეთრებულისა.

— მერაბ...

— ვიცი, ვიცი, დედა, რისი თქმაც გინდა. — ყურებში თითები დაიცო. მოდური ცეკვის რამდენიმე ილეთით და შესაბამისი ჰანგით სცადა გამოეხატა ის სიხარული, რასაც გული ვერა და ვერ იტევდა.

მერაბმა საგანგებოდ გაუთოებული პერანგი მაღლა ასწია, შეაბრუნ-შემოაბრუნა და სკამის საზურგეს ფრთხილად მიაფინა.

დედას გულის სიღრმეში ეამა, რომ შვილს ასიამოვნა...

— დედა, ახლა ერთი კარგი მსუბუქი საუზმეც შენზეა... ერბო-კვერცხი დაფშვნილი ყველით! შიგადაშიგ პამიდვრის ნაჭრებსაც თუ ჩააწყობ, ხომ სულ უკეთესი!..

— მეტი არაფერი? — გაიცინა დედამ და გატრიალდა.

მერაბი ახლა სველი ტილოთი იზელდა ტანს წელამდე. მერე თავის კარადას გადახედა, ოდნავ ცისფერი რომ გადაჰკრავდა, ის ნაცრისფერი შარვალი შეარჩია და ჩაიცვა. შარვალს საოცრად მოუხდა თეთრი პერანგი. პერანგს რომ იცვამდა, გახამებული სახელოები შიშველ მკლავებზე ცივად შეეხო და სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა. თეთრი წინდები და თაგვისფერი, სინთეტიკური ტყავის ტუფლები მის ჩაცმულობას საუცხოოდ ეხამებოდა.

მერაბმა სასწრაფოდ ისაუზმა. საქაღალდეში

რამდენიმე თავისი ნამუშევარი ჩადო და გაიხედ-გამოიხედა. რაკი ოთახში არავინ იყო, თავისი პატარა მაგიდის უჯრა გამოაღო და ქაღალდები აქექა. საიდანღაც გამოაძვრინა მწვანე ლედერინისგარეკანიანი საერთო რვეული. გადაფურცლა. ნაწერით ნახევარი რვეული უკვე სავსე იყო. მერაბმა ბოლო ჩანაწერი გულდასმით გადაიკითხა და მომდევნო ფურცელზე გაკრული ხელით რამდენიმე სტრიქონი დაწერა. რვეული ისევ უჯრაში ჩადო, თითქო მალავსო, ბოლომდე შეაცურა და უჯრა რომ მიკეტა, ისევ გაიხედ-გამოიხედა. ოთახში არავინ იყო, მაგრამ დედის თვალს მაინც არაფერი გამოჰპარვია.

მერაბმა ხმამაღლა გასძახა — დედა, მივდივარო, და პასუხისათვის აღარ დაუცდია. კარი ისე გაიხურა, ოთახი შეიძრა... ერთხელ კიდევ შეიძრა დედის გულიც და სულის მყუდროებაც... რაწამს მერაბი სახლიდან გავიდა, დედა წინა ფანჯარას გადაეყუდა და ბიჭს თვალი გაადევნა... მერაბი ისე მხნედ, რაღაც გამომწვევად მიაბიჯებდა, დედას ჯერაც ვერ აეხსნა მისი ასეთი ფერისცვალება... როცა ბიჭი თვალს მიეფარა, დედა ერთხანს კიდევ იცქირებოდა ფანჯარაში, მაგრამ ახლა უკვე ვერავის ვეღარ ხედავდა ფიქრში წასული... როდის-როდის გამობრუნდა უკან, ანაზდად გაახსენდა, წეღან თვალი რომ მოჰკრა — თავის პატარა მაგიდის უჯრიდან მერაბმა მწვანე ლედერინისყდიანი საერთო რვეული როგორ მალულად ამოიღო...

თვითონაც არ იცოდა, რამ წააქეზა, რამ გააბე-

დვინა — ვაჟის გამოუცნობი სიხარულის შეტყობის წადილმა, ათასმა ეჭვმა, ავის თუ კარგის ვარაუდმა, ცნობისმოყვარეობამ...

მწვანე ლედერინისყდიანი რვეული უჯრაში ადვილად იპოვა. დედამ იცოდა, რომ სხვისი ნაწერის მალულად წაკითხვა ადამიანის სულში ჩახედვას ნიშნავს, და თუ აქამდე თავს ამის ნებას არ აძლევდა, დღეს შვილის საქციელმა ყველაფერი დაავიწყა, ის კი არა, თავს ახლა ვალდებულადაც თვლიდა, ყველაფერი სცოდნოდა, რაც მერაბს ეხებოდა... დედას ხომ შვილისთვის მხოლოდ კარგი სურს... სანამ რვეულის პირველ ფურცელს გადაშლიდა, ისიც იფიქრა, რაიმე საიდუმლო რომ იყოს, უფრო უკეთესად დამალვაც არ გაუჭირდებოდაო და... მწვანე ლედერინის ყდა ფრთხილად გადაკეცა...

10 სექტემბერი,

ერთ კვირას ზღვაზე ვიყავი, ათი დღე სოფელში გავატარე... იქ რომ სანტექნიკა ქალაქის დონეზე იყოს, ალბათ, სოფელში ცხოვრებას ვამჯობინებდი. რა ახლოს არიან ადამიანები არა მარტო ბუნებასთან, თავის ბუნებაც კი... სოფელში სულ სხვაგვარად გრძნობ თავს... ქალაქში ისე დადიხარ, თითქოს სული გაქვს ამორთმეული. ამ დილით ჩამოვედი თუ არა, „დეკორაცია შევიცვალე“ — ტანსაცმელი გამოვიცვალე, გავიპარსე, „ქალაქურ კალაპოტში“ ჩავდექი და უმალ გამომცემლობისაკენ გავსწიე... არ ვიცი, რა უფრო მიზიდავდა იქით — გამომცემლო-

ბაში მხატვრად მოწყობის სურვილი, თუ მისი ნახვა... თუნდაც ერთხელ რომ დამელანდა...

გამომცემლობის დირექტორის მისაღები ოთახის კარი ღია იყო. ტექნიკურ მდივანს, რაც კი შემეძლო, მორიდებულის კილოთი ვკითხე:

— დირექტორი თუ ბრძანდება... კაბინეტში?

— დირექტორი თავის კაბინეტშია, მხოლოდ უნდა დაელოდოთ. — თვალი იქით მყოფებზე მანიშნა. კაბინეტის კართან, აქეთ-იქით მცველებივით ისხდნენ ქალი და კაცი. ისინი მორიდებით შევათვალიერე. ქალი წყნარად, უძრავად, რაღაც გაქვავებულივით იჯდა. მხოლოდ მისი წითელი კაბა შეიძლებოდა მოგხვედროდათ თვალში. მის მდუმარებაში თუ გარინდებაში იყო რაღაც სიცარიელის გრძნობის აღმძვრელი. სათვალიანი, შუახნის მამაკაცი კი, რომლის გრძელ კანჭებს შარვლის სივიწროვე კიდევ უფრო ათვალსაჩინოებდა, წუთი არ გავიდოდა, მუხლზე შემოდებული ფეხი რომ არ შეენაცვლებინა. ოც წუთს მომიხდა ლოდინი, სანამ დირექტორი ჩემზე ადრე მოსულებს გაისტუმრებდა, შემდეგ ჩემი შესვლის ჯერიც დადგა. მდივანმა ჩემი ვინაობა მოახსენა. კაბინეტში შესვლისას თან რაღაც შიში შემყვა. შორიახლოს შევჩერდი. დირექტორი არც ფეხზე წამომდგარა, არც მომსალმებია, დამინახა თუ არა, უმალ საყვედური შემომაგება:

— სად ხარ, ბიჭო? მე ორი კვირის წინ დაგიბარე... აგერ, ა, კალენდრის ფურცელზე მქონდა ჩაწერილი, — კალენდარი სასწრაფოდ გადაფურცლა,

მინაწერი იპოვა, — ხომ არ იფიქრე, დამავიწყდებოდა, ან გატყუებდი... შენ კი, ძამია... მოდი ახლოს, ჩამოჯექი.

თავი დავხარე, მწვანე მაუდგადაფარებულ გრძელ მაგიდას მივაშურე, რომელიც დომინოს ქვასავით შუაში იყო მიბჯენილი დირექტორის ძველმოდურ ოთხკუთხ მაგიდასთან. მეტისმეტად უცნაური გამოდგა ჩემთვის ეს მეორე შეხვედრა. სულ დუმილი და დამუნჯებაც არ ივარგებდა, რამე უნდა მეთქვა ან თავის გასამართლებელი ან მოსაბოდიშებელი და მეც, როგორც იყო, ამოვიღე ხმა.

— ბატონო ვარლამ, მეგონა, თქვენც შვებულებაში იქნებოდით... მაშინ თქვენთან რომ ვიყავი, დერეფანში ყური მოვკარი, ვიღაცამ თქვა, ბატონი ვარლამი ამ ათ დღეში წავა დასასვენებლადო...

ჩემი დაგვიანება დედის ბრალი უფრო იყო, სოფლიდან დროზე რომ არ გამომიშვა, მაგრამ ამისი გამხელა დირექტორთან შეიძლებოდა?.. თანაც ჭკვიანი რის ჭკვიანია, თუ ყველაფერი სხვას გადააბრალა... ასე მარტო სულელები იქცევიან... მე კი მინდა ჭკვიანად მთვლიდნენ... ცხოვრება, მართალია, ჭადრაკის თამაში არ არის, მაგრამ, თუ ჭკვიანი და წინდახედული ხარ, შენს „სვლას“ რა მოჰყვება, ხომ უნდა იფიქრო. ჩემს წაჩურჩულებაზე ვარლამმა თავი ასწია, შემომხედა, ჩაიცინა და ისევ რაღაც ქაღალდის კითხვა განაგრძო, მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ შენიშნა:

— ეგ ნიკო იქნებოდა, ალბათ უნდოდა, რომელი-

ღაც აბეზარ ავტორთან შეხვედრა აეცილებინა ჩემთვის და, თავისი ჭკუით, ატყუებდა. აბეზარი ავტორის მოტყუებას, ისევ დროზე მოშორება სჯობია... მაშ ასე, მერაბ, იმედია, აწი მაინც აღარ დაიკარგები... მე წინ გეწეოდე და შენ ბაწარმობმულ ხბოსავით სულ უკან იქაჩებოდე, რა გამოვა...

დირექტორმა ღილაკს თითი დააჭირა. კარი უმალ გაიღო და ზღურბლზე ჩარჩოში ჩასმული სურათივით გამოისახა ის ლამაზი გოგონა... ბიჭურად შეკრეჭილი, საფეთქლებთან ცოტა განზრახ აჩეჩილი შავი თმა, შავ-შავი თვალები და თეთრი სწორნაკვთებიანი სახე უნებლიეთ იწვევდა მოწონების ცდუნებას, მაგრამ მე ახლა იმ ელ-გრეკოს მადონასავით გოგონას მეტი აღარავინ მომწონდა ამ ქვეყანაზე. ასეთი მსგავსება მაინც გამომცემლობის კორექტორსა და ელ-გრეკოს შორეულ მადონას შორის გულუბრყვილოდ მიკვირდა.

— ასშათ, გურამი მოვიდეს, — შემოსვლისთანავე შეაგება დირექტორმა ტექნიკურ მდივანს.

— არ გახლავთ. შენობიდან გასულია.

— თუ იცი, ქალაქიდანაც ხომ არ „გავა"? — ირონიით შენიშნა დირექტორმა.

— სტამბაში გახლავთ.

— კარგი.

ცოცხალი გამოსახულება ისევ დაფარა შავი ლედერინით აკრულმა კარმა.

— მერაბ, — დირექტორი წამოდგა, — რაც საჭიროა, გამომცემლობის მთავარ მხატვარსაც და ჩემს

შემცვლელსაც ვეტყვი. ჰო, სულ დამავიწყდა მეთქვა... აქედან გადამიყვანეს, ბიჭო... დამაწინაურეს, — კილოზე შევატყვე, რომ დაწინაურება სულაც არ ესიამოვნებოდა ვარლამს, — მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს ჩვენი საქმისათვის. მეც რომ არ გავაფრთხილო, ახალმა დირექტორმა როგორ შეიძლება უარი თქვას ნიჭიერი მხატვრის მიღებაზე. ეს ასე. ახლა შენ გინდა დაელოდე მთავარ მხატვარს, გინდა ხვალ მიაკითხე. მე გავაფრთხილებ, რაიმე კარგი გასაფორმებელი წიგნი მოგცეს... ან აქამდე სად იყავი, შტატში ჩარიცხვას რას ელოდებოდი...

ვარლამის მზრუნველობამ ცოტა გამათამამა და ჩემი გულუბრყვილობა უმალ გამოვამჟღავნე.

— აქამდეც რამდენჯერ ვიყავი, მაგრამ... იმ ერთი გაფორმების მერე, თქვენც რომ მოგწონებიათ, სულ მეუბნებოდნენ — შენი შესაფერისი ჯერჯერობით არაფერი გვაქვს, წიგნების დიდი უმრავლესობა მხატვრულად უკვე გაფორმებულია, რადგან შარშანდელი გეგმიდან წლევანდელში გადმოიტანესო.

ვარლამმა ისევ ჩაიცინა, ბეჭზე ხელი მომხვია, გასასვლელისაკენ დავიძარით. მისი მკლავი რაღაც მძიმედ მედო კისერთან, თითქოს სიარულში მბოჭავდა.

— რაც ერთხელ არ გამოვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არასოდეს გამოვა. ხვალ უსათუოდ მიაკითხე მთავარ მხატვარს. ნახვამდის.

ცოტა გამხნევებული გამოვეშურე შინისაკენ. გზაში იმაზე ვფიქრობდი, ადრე სოფელში წასვლამ-

დე რომ გამომიტყდა გურამი გულახდილ საუბარში. ვარლამის ყურადღება სამხატვრო საბჭოს სხდომაზე ერთი უცხოური რომანის გაფორმებით მიმიქცევია. სხვათა შორის ვარლამს გემოვნება აქვს, მთავარი მხატვრის კარნახი — ეს კარგია, ეს მხატვრულად სუსტიაო, თურმე არ სჭირდება. ეს თვითონ გურამმა მითხრა და აი, ამასწინანდელ სამხატვრო სხდომაზე ნამუშევრები რომ მაგიდაზე გაუშლიათ საბჭოს წევრებისათვის საჩვენებლად, ვარლამს ისე მოსწონებია ჩემი ნამუშევარი, ვერ მოუთმენია, როცა მარტონი დარჩებოდნენ, მაშინ ეთქვა გურამისათვის — მხატვარს ამ გაფორმებაში უმაღლესი ტარიფის მიხედვით გამოუწერე ჰონორარიო. მთავარი მხატვარი გამომიტყდა — ეს რომ მითხრა ვარლამმა, გამეცინაო.

— რა გაცინებს? — დაინტერესდა ვარლამი.

— ერთხელ რომ უმაღლესი ტარიფით გამოვუწერო, მერე საშუალო ტარიფით გამოწერილს აღარ დაგვჯერდება.

— თუკი ისევ ასეთ საუცხოო ნამუშევარს წარმოადგენს, საშუალო ტარიფით რატომ უნდა გამოუწერო? შენც კარგად ხედავ, ნამდვილად ნიჭიერი არც ისე ბევრია!

— სამაგიეროდ, რომ იცოდეთ, რამდენია პრეტენზიის მქონე... ბატონო ვარლამ, ისე ვატყობ, თქვენ მე მხატვრებს ამიჯანყებთ... ზოგიერთები მერაბის ასეთ გამორჩევას მე დამაბრალებენ და ათასნაირ კუდს გამოაბამენ... შეიძლება ისიც კი დამწამონ... ჰონორარს უყოფსო...

— ნუ გეშინია... ყველას ეტყობა, რა კაციცაა... საკმარისია ერთი თვალებში შემოგხედოს... რომ...

— კაცი რომ სიგლახეს მიეჩვევა, მერე მის თვალებშიაც ძნელია ამოიკითხო... მართალი!...

— ახლა, კაცმა რომ თქვას, შენ შეიძლება აღარც მიგდო ყური, მე აქ დღეს ვარ, ხვალ კი სხვა უფროსი მოგევლინება. მაგრამ ეცადე, სინდისის გზით იარო... ხალხს, ქვეყანას, საქმეს მარტო ნიჭიერი გამოადგება. ეს იცოდე!

შინ კარგ გუნებაზე დავბრუნდი. საღამოთი საჯაროსაკენ გავსწიე, მაგრამ გზაში ამხანაგებს გადავეყარე და გეზი შემაცვლევინეს — კინოში ამოვყავი თავი.

ყურში აქამდე მესმოდა, ვარლამს რომ უთქვამს კაბინეტში თანამშრომლების თანდასწრებით — მომწონს ეგ ბიჭი, როგორც მხატვარი და როგორც ადამიანი, მინდა ჩვენთან რიგით მხატვრად მოვაწყო და თუ ივარგებს, წინ მერე თავისითაც წაიწევსო.

11 სექტემბერი.

გუშინდელს აქეთ სულ ის მახსოვდა, დღეს მთავარ მხატვართან უნდა მივსულიყავი. დილით ძალიან ადრე გამეღვიძა... დრო ძლივს გავიდა. ათ საათზე ადრე ხომ ვერ მივადგებოდი გამომცემლობას. თერთმეტის ნახევარზე უკვე გამომცემლობაში ვიყავი. მთავარი მხატვარი ორი საათის დაგვიანებით მოვიდა. მთხოვეს, მაგრამ ოთახში არ მოვიცადე; დერეფანში ვცემდი ბოლთას იმის იმედით, რომ ელ-გრეკოს მადონა ერთხელ მაინც გამოიხედავდა გარეთ,

მაგრამ ამაოდ. საკვირველია, იმ ოთახის კარი ერთხელაც არ გაღებულა, სადაც ის და კიდევ ორი კორექტორი ზის. დერეფანში მთავარი მსატვარი გამოჩნდა. დირექტორთან აპირებდა შესვლას. მე ხელით ვანიშნე, ერთი წუთი მოეცადა, და ნაბიჯს ავუჩქარე.

— რა იყო, მერაბ? — სალამის მაგივრად შემომაგება თავისი გაოცება.

— არაფერი, ბატონო გურამ. გუშინ დირექტორთან ვიყავი...

— ვიცი.

— მითხრა, თქვენთან უსათუოდ შემომევლო...

— მეც მითხრა. თუ დამიჯერებ, შვილს გეფიცები, ახლა რაიმე საინტერესო წიგნი კი არა, უინტერესოც აღარ დარჩა გასაფორმებელი...

— მეც ვიცოდი, მაგრამ ბატონი ვარლამი რატომღაც ვერ დავაჯერე...

— აქ შტატში მოწყობაზე რა გითხრა? ჩემთან რომ გგზავნის, რაც თვითონ შეუძლია, ჯერ ის გაგიკეთოს...

გურამს ჩემთვის აღარაფერი უთქვამს, უკითხავად შევიდა დირექტორთან.

მე კი გავიფიქრე — დაწესებულებაში, ალბათ, სხვაგვარად შეუძლებელია, ყველანი ერთმანეთს კრიჭაში უდგანან... ზურგს უკან!.. სხვის თვალში კაი კაცად მოჩვენებისა და თვითდაზღვევის უკეთესი საშუალება, ალბათ, არ არსებობს. მე კი პირში ჩალა-გამოვლებულივით დავბრუნდი უკან. რომელია მართალი? კაცმა რომ თქვას, ხომ შეიძლება ვარლამს არ

ჰქონდეს სწორი წარმოდგენა, რა ვითარებაა მთავარი მხატვრის უბანზე? მაგრამ მაშინ რაღა ხელმძღვანელია? ერთი სიტყვით, ამ უბანზე ბურუსია...

12 სექტემბერი.

ამ დილით მთავარმა მხატვარმა ჩემს მეზობელთან დარეკა (მისი ტელეფონის ნომერი დავუტოვე გამომცემლობას). გუშინწინ დამავიწყდა გამეფრთხილებინე — ხელშეკრულება ვერ გაგვიფორმებია იმ ნამუშევარზე, რომელიც უკვე მოწონებულია, — ზოგიერთი ცნობაა საჭირო. უსათუოდ შემოიარეო.

ნახევარ საათში გამომცემლობაში ვიყავი.

მთავარ მხატვარს თავის დამსახურებად არ ჩაუთვლია, არ დაუფარავს, ვინც იყო ჩემთვის უმაღლესი ტარიფით გადახდის ინიციატორი. როდესაც ხელშეკრულების სამ თუ ოთხ ცალს (კარგად არ მახსოვს) ხელი მოვაწერე და წასვლა დავაპირე მთავარმა მხატვარმა კარებში დამადევნა სიტყვა:

— მერაბ, ახალ დირექტორს შენი ნახვა უნდა, შეიარე. მდივანს უთხარი — დაბარებული ვარ-თქო და შეგიშვებს, ხალხიც რომ იყოს, არ გალოდინებს.

დირექტორი მარტო არ იყო, მაგრამ მიღებაზე უარი მაინც არ უთქვამს. გულის სიღრმეში მესიამოვნა, რომ არ მალოდინეს და ის სიამოვნება, რაც ჩემი ნამუშევრის უმაღლესი ტარიფით შეფასებას მოჰყვა, იქვე არ წამამწარეს.

დირექტორს მარცხენა ხელში ტელეფონის ყურმილი ეჭირა, მარჯვენათი ის იყო ნომრის აკრეფას აპირებდა, მაგრამ რომ დამინახა, იმ ხელით უსი-

ჩუყვოდ მიმიხმო და მანიშნა — დაჯექიო. ეს ისე თავისუფლად და ძალდაუტანებლად გააკეთა, არ შეიძლებოდა შენი გული არ მოეგო ამგვარ უშუალობას, რასაც მხოლოდ ადამიანთან სიახლოვე და პატივისცემა განაპირობებს ხოლმე. მე კი ჯერ სრულიად უცხო ვიყავი მისთვის. ამ კაცს პირველად შევხვდი, და ახლა ის მიკვირდა, ასე სიტყვის უთქმელად როგორ მოახერხა ჩემი გულის მოგება-მეთქი. ვიჯექი და ვუსმენდი, რას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს მაგიდის ცალ მხარეს ჩამწკრივებული რედაქტორები.

დირექტორი კი რომელიღაც სტამბის ხელმძღვანელს ელაპარაკებოდა, ეკამათებოდა, ბოლოს უკმაყოფილოდ უთხრა — კარგი, ბატონო, აწი მეცოდინებაო, და ყურმილი დაუდევრად დააგდო ორკაპზე. ერთი შეხედვით სულაც რომ არ იყო ამისი საჭიროება, მაგიდაზე ქაღალდები და ბროშურები აქეთ-იქით გადააწყ-გადმოაწყო, ალბათ, ეს ნაცადი ხერხი იყო ნერვების დასაწყნარებლად; სახეზე შესამჩნევად წამოწითლებულს, ნახევარ წუთში სიწითლემ გადაუარა.

— ამ დასაწვავ სავარძელში მოკალათებულს, — დამცინავი ღიმილით შენიშნა. დირექტორმა, — ყოველდღე ათასი უსიამოვნება რომ უნდა შეგემთხვეს, ეს ჩვეულებრივ ამბად იქცა და ქვაც რომ იყო, ვერ გაუძლებდი, ერთი-ორი სიამოვნებაც რომ არ ახლდეს ჩვენს წვალებას.

რედაქტორებმა უმალ ჩასჭიდეს ხელი დირექტო-

რის შენიშვნას და ვიწ საით გამოაბა ყური, ვიწ — საით.

— მაგას თუ გინდა შევურიგდეთ, ვთქვათ, დამფასებელი ყოველთვის არ ჩანს...

ტელეფონის ზარმა დირექტორს სიტყვა შეაწყვეტინა.

— გისმენთ... — და ჯერ მეტი არაფერი ეთქვა, რომ მოულოდნელად გადაიხარხარა. — არა, გენაცვალე, სისხლის გადასხმის ინსტიტუტი როგორ იქნება, როცა გამშრალი გვაქვს, და ცოტა მაინც თუ ვინმეს შეგვრჩა, ისიც ბოღმისაგან მოწამლულია. რა მეხუმრება, რას ვიცინი?... აკაკი მაინც არ წაგიკითხავთ?... რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეაო... აი სწორედ ეს ცრემლზე მწარე სიცილი მოგვისაჯა ატს-მა ჩვენც, თქვენც და მუშაობის საშუალებას არ გვაძლევს... კარგად, კარგად ბრძანდებოდეთ...

მართალია, რაც კაბინეტში შემოვედი, ამ ახალი დირექტორისადმი სიმპათიით გავიმსჭვალე, მაგრამ მისი ასეთი პრტყელ-პრტყელი ლაპარაკი ტელეფონით რატომღაც არ მომეწონა. თუ არ გინდა მუშაობა და ასე გაწუხებს თანამდებობა, მართლა მისჯილი ხომ არ გაქვს, რომ ვადამდე ითმენდე... როდის ყოფილა ხელმძღვანელის და მოღვაწის სავარძელი საქანელა, რომ თავს ბედნიერად გრძნობდე. მე მგონია, როცა ის საქმე გიყვარს, რასაც აკეთებ, სიძნელეც ნაკლებად გაწუხებს და ზოგჯერ ვერც ამჩნევ...

— ბატონო გერონტი, ერთი-ორი ამხანაგი რომ იგვიანებს, როდემდის ველოდოთ, ხომ არ დაგვეწყო...

„გერონტი“, არ დამავიწყდეს, გავიფიქრე და დირექტორს მივაჩერდი. მან ის იყო ღილაკს თითი დააჭირა და კარს რომ გახედა, მეც მოვხვდი თვალში. უმალ წამოდგა, ხელით თავისთან მიხმო. მე სწრაფად მივედი.

— აგერ ახლა არ მითხრა ჩემმა მდივანმა!.. რამ დამავიწყა შენი სახელი.

— მერაბი, ბატონო გერონტი.

— მერაბ, შენს შესახებ ვარლამი მელაპარაკა, ნიჭიერი მხატვარია, ხელი შეუწყეო. ვარლამს რომ არ ეთქვა, მე აქ ნიჭიერების გასარეკად ხომ არ მოვსულვარ... მხოლოდ ახლა ცოტა გასაჭირი მაქვს... როგორც კი შტატს დამიმტკიცებენ... ჯერ კი მხოლოდ შემცირებაზეა ლაპარაკი. ერთი სიტყვით, უნდა შეგვახსენო ხოლმე თავი, შემოიარო, თუ რამე საჩქაროდ გადასაწყვეტი შეიქნა, მდივანს დავარეკინებ შენთან. ტელეფონი ხომ გაქვს?

— დიახ, მეზობელს აქვს...

— ჰოდა ასე, ჩემო...

— მერაბ.

— მერაბ, მერაბ... აბა ვიყოთ ამიერიდან მეგობრები!

ახლობლებივით დავშორდით ერთმანეთს. გზაში იმაზე ვფიქრობდი, ხომ არ იქნება ნაადრევი, თავი დავაჯერო — ეს ახალი დირექტორი ძველს, მგონია, კიდევაც სჯობია-მეთქი. არა. ახალ ცოცხს კაცი აგრე ადვილად არ უნდა ენდოს.

18 სექტემბერი.

სად ველოდო შეკვეთებს...

გადავწყვიტე, ჩემთვის დავასურათო ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“. ეს მოთხრობა ძალიან მომწონს თავისი მძაფრი დრამატული პერიპეტიებით, ხასიათების გამჟღავნების, განვითარების ლოგიკურობით საპირისპირო სიტუაციებში, ოსტატურად ნაძერწი ტიპებით, ხელშესახებად დახატული პორტრეტებით პერსონაჟებისა... ფანქრით მოვსინჯე კუზმა მრისხანის და უჯუშ ემხას პორტრეტები. წაშუადღევს შევიარე გამომცემლობაშიაც. მდივანმა მითხრა — ბატონ გერონტის თათბირი აქვს. მოცდას არ გირჩევ, თუ გინდა, ვკითხავ. ვთხოვე გადაეცა, — მერაბი კითხულობს — ახალი ხომ არაფერია-თქო. მდივანმა რაღაც ქაღალდები და ახალი გამოცემული წიგნის სასიგნალო ცალი შეუტანა. ორიოდე წუთში კაბინეტიდან გამოსულმა კარიც მაგრად გამოიკეტა და გასაღებიც გამოიღო. ეს ყველაფერი ცუდად მენიშნა. ვერც სახეზე შევატყვე ჩემთვის რაიმე სასიკეთო პასუხის მომასწავებელი. დაჯდა, ფურცელჩატანებული წიგნი გადაშალა და სანამ კითხვას გააგრძელებდა, თავი არ აუწევია, ისე მაუწყა — ვუთხარი, რომ მოხვედით, მაგრამ არაფერი მიპასუხა, დღის ბოლოს, ან ხვალ დამირეკეთ, კიდევ ვკითხავ...

არ ვიცი, ეკუთვნოდა თუ არა, მაგრამ მე მადლობა მაინც გადავუხადე მდივანს და, რაღაც შერცხვენილივით გამოვბრუნდი... თანამდებობის ხალხს თუ თათბირი აქვს, ადამიანი აღარ ახსოვს. არა, რა თქმა

უნდა, ამას ყველაზე ვერ იტყვი, ეს მხოლოდ სულით პატარა ადამიანებს ეხება... დღეს გამომცემლობაში მისვლა მაინც ღირდა თურმე. თუ დირექტორი ვერა, ელ-გრეკოს მადონა ხომ ვნახე... რა სახე აქვს, რა საუცხოო ოვალი, რა თვალები, რა მშვიდი გამოხედვა, რა მიმზიდველი იერი! მთავარ მხატვართან აღარ შევსულვარ. ელ-გრეკოს მადონამ ისე დამარეტიანა, არავის დანახვა აღარ მინდოდა, მით უმეტეს, პროზაულ საგანზე საუბარი... არის წუთები, როცა მხოლოდ შორეული ოცნებით შეიძლება იკვებებოდე...

25 სექტემბერი.

ერთი კვირა გავიდა, რაც გამომცემლობაში აღარც გამივლია, აღარც დამირეკავს. სამაგიეროდ „ჰაკი აძბას“ ორი ილუსტრაციის დამთავრებას აღარაფერი მიკლია. საღამოობით თითქმის ყოველდღე საჯაროში ვარ. ვქექავ წიგნებს, ჟურნალებს, ვეძებ მასალებს. საოცარია, როგორ ამდიდრებს ადამიანს ძნელი ამოცანის დასახვა და მის გადასალახავად მთელი შენი ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზება. კაცი ვერც წარმოიდგენს რამდენი ძიება, ფიქრი და ხშირად აღმოჩენის სიხარულიც ახლავს დასახული ამოცანის ლაბირინთებში გზის საპოვნელად ხეტიალს, რამდენი რამეა გადასაწყვეტი ილუსტრაციის დონეზეც კი — შინაარსი, ხასიათი, ფორმა, ტენდენცია, პათოსი. რა ძნელია სანამ ნათლად გამოიკვეთებოდეს, რას აკეთებ, რატომ და რისთვის... რა გასაჭირი ადგას შემოქმედს, თუ პასუხისმგებლობას გრძნობს და, ამ დროს ფიქრი იმაზე, დღეს

რომ მიხვიდე გამომცემლობაში, დირექტორი მიგიღებს თუ არა? ან რა გუნებაზე დაგხვდება... შენს გუნებას კი ვინ უწევს ანგარიშს... კაცმა რომ თქვას, აქამდე ერთხელ მაინც უნდა გამევლო; თუ მიატოვებ, შენი საქმე თავისით ხომ არ გაკეთდება... მაინც რა მიყო იმ ვარლამმა! ვიყავი ჩემთვის, ველოდი შეკვეთას, რას მაგულიანებდა, მხატვრად უნდა მოგიწვიო, შენისთანა გემოვნებიანი ხალხი გვჭირდება, გამომცემლობის სამხატვრო სექტორიც თავისებური სკოლაა. აკადემიის შემდეგ სხვაგან სად წავა მხატვარი-გრაფიკოსი, და წარმოგიდგენია, ვინმე უნიჭომ რომ ჩაიგდოს ხელში ეს უბანი, ნიჭიერებს რა დღეს დააყრისო!.. არა, წესით უნდა მივსულიყავი, თუნდაც იმ ელ-გრეკოს მადონას ხათრით, თუმცა ჯერ არც კი მიცნობს... გაცნობას და დაახლოებას კი რატომღაც არ ვჩქარობ.

29 სექტემბერი.

რამდენ ხანს ვემზადებოდი გამომცემლობაში წასასვლელად და... მერე რა? ნეტავი არ წავსულიყავი. ერთ საათს ველოდი დირექტორს. „ბატონ“ გერონტის მდივნისთვის უთქვამს, მომიცადოსო... ბოლოს გამოირკვა, რომ დირექტორი გვერდის კარიდან გასულა. მდივანმა რომ შეიხედა, კაბინეტი ცარიელი იყო. რაკი არაფერი უთქვამს წასვლის თაობაზე, შეიძლება მალე დაბრუნდესო, დამაიმედა მდივანმა. მე, ალბათ, შესამჩნევად თუ არა, ცოტა მაინც წამოვწითლდი სახეზე, რადგან ვიგრძენი, როგორ მომაწვა ხისხლი თავში... ველოდი კიდევ ერთ საათს. ტელე-

ფოწის ზარის ხმაზე მდივანმა წიგნის კითხვას თავი ანება და ყურმილი აიღო. როცა ყურმილი დადო, მითხრა — დღეს ტყუილად მოგიხდათ ლოდინი, დირექტორმა დარეკა — კომიტეტში ვარო; თათბირი შეიძლება დღის ბოლომდე გაგრძელდეს, ნურავინ დამელოდებაო. უსერხულად გავიღიმე, გალახულივით თავჩაღუნულმა დავტოვე იქაურობა. დერეფანში რომ გამოვედი, პირველად ის ვინატრე, ნეტავი ახლა ელგრეკოს მადონა არ შემხვდებოდეს-მეთქი. იმ წუთში, ალბათ, სახეზე კიდევ მემჩნეოდა გაწბილების, დამცირების, შეურაცხყოფის კვალი... სხვა თუ არა, საბედნიეროდ, ეს სურვილი მაინც ამისრულდა.

2 ოქტომბერი.

ხელშეკრულებას რომ მიფორმებდნენ, მაშინ მთავარმა მხატვარმა გამაფრთხილა, თვის ორ ან ჩვიდმეტ რიცხვში ბუღალტერიას მიაკითხე, ხელფასთან ერთად იმ დღეებში ჰონორარისთვისაც ცოტაოდენი თანხა გამოაქვთ და... კარს ვინც დააკაკუნებს, იმას გაუღებენო!

დღეს ორი რიცხვია. მივაკითხე გამომცემლობის ბუღალტერიას. ბევრი ძებნეს ჩემი ხელშეკრულების კვალი დავთრებსა და რაღაც ბარათებში, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მითხრეს, ისევ გურამს მიაკითხე, ის გეტყვის, გადმოუგზავნეს თუ არა შენი ხელშეკრულება ბუღალტერიასო. ძალიან მიჭირდა იქით გახედვა, მაგრამ რას ვიზამდი. მოულოდნელად დერეფანში დირექტორს გადავეყარე. ჯერ თითქოს ვერ მიცნო, მერე მობრუნდა, გამიცინა და მომაძახა, იმ საქმეს

ჯერ კარგი პირი არ უჩანს, ცოტა კიდევ მოვიცადოთ, ვნახოთ, რა გადაწყდება, შტატს დამიმატებენ თუ არაო...

ეს ყველაფერი ძალიან დამაჯერებლად და გამოკვეთილად თქვა, მაგრამ მე უკვე მაინც ვერც ერთი სიტყვა ვერ დავიჯერე.

მთავარი მსატვარი ადგილზე არ დამხვდა. მისმა მდივანმა მითხრა — ჯერ ხელშეკრულებები ჩვენთან არის, დირექტორმა შემოგვითვალა, როცა დაგროვდება, ხელს ერთად მოვაწერო... ელოდე, ხელშეკრულებები როდის დაგროვდება, როდის მოისურვებს დირექტორი ხელის მოწერას, როდის გასცემს განკარგულებას — ბუღალტერიას ჩააბარეთო და როდის მოეპრიანება ბუღალტერიას მოწყალეს თვალით გადმოხედოს... ნერვები... გაძლება... მოთმინება... გამომცემლობიდან ისე გაბრუებული გამოვედი, ელგრეკოს მადონაც კი არ გამხსენებია, იქნებ კიდევაც ჩამიარა გვერდით და ვერ შევამჩნიე...

10 ოქტომბერი.

ბალზაკს უთქვამს — გამოსავალი ყოველთვის არსებობს, საქმე ის არის, თუ იპოვიო. გამოსავალი მე კი არა, ტარიელმაც ვერ იპოვა, სანამ ავთანდილმა ტარიელი არ იპოვა. ახლა იმის-იმედად ვიყო, მეც გამომიჩნდება ავთანდილი და მიპოვის-მეთქი... სწორედ ამან შემაგულიანა გამომცემლობაში კიდევ ერთხელ მისვლაზე. დირექტორის მოსაცდელში რომ შევიხედე, მდივანმა გოგონამ ერთი შემავლო თვალი და უმალ თავი ჩაღუნა, ვითომ უჯრაში რაღაც ქაღალ-

დის ძებნით იყო გართული... დერეფანში ის ორი რედაქტორი შემომხვდა, ამასწინათ დირექტორთან რომ ისხდნენ... მიცნეს, მაგრამ არ მომესალმნენ, თვალი ოსტატურად ამარიდეს... მივხვდი, რომ ეს დირექტორის ჩემდამი არაკეთილგანწყობილების ბრალი იყო. ცოტა ადრე, ვარლამის დირექტორობის დროს, იგივე რედაქტორები სალამს ისე მაძლევდნენ, მათი გადაჭარბებული თავაზიანობა უხერხულობაშიაც კი მაგდებდა... როგორც ბარომეტრის მიხედვით ტყობილობ ტაროსის ცვალებადობას, ისე სელქვეითების დამოკიდებულების მიხედვით სულ ადვილად შეგიძლია გამოარკვიო მათი უფროსის დამოკიდებულება შენდამი... ერთი პირობა მწარედ გამეცინა გუნებაში „ბატონი“ გერონტის მისამართით... კაცის ფორმა თურმე ჯერ კიდევ არ ნიშნავს კაცობას. მთავარი მაინც ის კი არ ყოფილა, როგორია ჭურჭელი გარეგნულად, არამედ შიგ რა ასხია. ამასწინათ ბიჭებმა რომ კინოში ძალით წამიყვანეს, სწორედ საამისო გაკვეთილი მივიღე. ერთ საცოდავ გოგონას ჯელსომინას თამაშობდა ჯულიეტა მაზინა... ასე საოცრად ულამაზო მსახიობი ჯერ ეკრანზე არ მინახავს, მაგრამ რა დიდებულად თამაშობდა, მიუხედავად ულამაზო გარეგნობისა. სურვილი აღმეძრა, ნეტავი ანა კარენინას როლში მაჩვენა-მეთქი... და მე დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი ლამაზი მას ალბათ ამ როლში ვერ შეედრებოდა. ამ ფიქრში მთავარი მხატვრის ოთახის კარს მივადექი, და როგორც ზღაპარში, კარი მოულოდნელად თავისით გაიღო. სინამდვილეში

თავისით არ გაღებულა, შიგა სახელურზე ჯერ კიდევ ეჭირა ხელი ერთ ხნიერ მხატვარს, მაგრამ კარს უკან მდგომს ვერ ვხედავდი. ხნიერი მხატვარი გამოემშვიდობა გურამს და წავიდა. დამინახა თუ არა გურამმა, უმალ ხელით თავისთან მიხმო. იერზე შევატყვე, რომ ჩემი გამოჩენით გავახარე. ამან მეც გამახარა გუნებაში, რადგან იმაზე უარესი არაფერია, როცა შენი დანახვა არ ესიამოვნებათ... ოთახში მარტო ჩვენ ორნი ვიყავით. რომ შევედი, მითხრა, კარი კარგად დახურეო; უკვე ფეხზე წამომდგარი ფანჯარასთან მივიდა. რაღაც საეჭვოდ იცინოდა. ეს სიცილი საოცარი ანარეკლი იყო იმისა, რასაც ფიქრობდა. მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— გუშინ გერონტიმ დამიბარა, მარტო ვიყავით. საიდუმლოსავით მითხრა — კომიტეტში მთხოვეს ერთი გოგოს ჩვენთან მხატვრის ადგილზე გაფორმება, კომიტეტში კი ზემოდან უთსოვია ვიღაცას... ახლა რა ვქნათ... რა ვუყოთ იმ ბიჭს, ვარლამი რომ შეჰპირებია აქ მხატვრად მოწყობას. მეც ერთი პირობა დაბეჯითებით არა, მაგრამ ცალყბად ხომ მაინც ვპირდებოდი.

— მერე რას შეჰპირდით, ბატონო გერონტი?

— როცა ხელმძღვანელობა „გთხოვს“, გამოსავალი მხოლოდ ერთია... საქმე ისაა, შენ როგორმე უნდა გამომიყვანო ამ უხერხული მდგომარეობიდან.

— როგორ? არ მესმის...

— რა არ გესმის, ამხელა კაცს ჰკუა მე გასწავლო?.. იმ ბიჭს რა ჰქვია?..

— მერაბი.

— მერაბს უნდა უთხრა, „აუხსნა“, დააჯერო, რომ ამჯერად მისი მიღება არ ხერხდება... და საერთოდ შენ იცი, დასაბუთების რა მარჯვე ვარიანტსაც გამონახავ...

— მე ვერაფერს ვერ გამოვნახავ, ბატონო გერონტი...

— ბიჭო უფროსს და ხელმძღვანელს ასე ვინ ელაპარაკება?

— თუ გნებავთ... განცხადებას დავწერ და წავალ.

გერონტი ერთბაშად აღშფოთდა და... აფეთქდა... შუა დარბაზში რომ მეთათბირებოდა, უცბად ადგილიდან მოსწყდა, თავის მაგიდას მიუჯდა, უნდოდა, სადღაც დაერეკა, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ ზეზე წამოიჭრა...

— რას ჰგავს ეს, რა ლაპარაკია... შენ, ბიძია, გუნებაში იქნებ ის უფრო გესიამოვნოს, მე დავწერო განცხადება... ეს რომ გავაკეთო, შეიძლება სად გამგზავნონ ჩემმა უფროსებმა, იცი?

— სად, ბატონო გერონტი? — კეთილმოსურნის ღიმილით შეეკითხე ბატონ გერონტის და მის მაგიდას ორივე ხელით დავეყრდნე.

გერონტიმ ბრაზით შემავლო თვალი და ხმადაბლა მითხრა:

— სა-გი-ჟეთ-ში!

კაბინეტში მხატვრული ლიტერატურის სექტორის გამგე შემოვიდა.

ჩვენი ლაპარაკი შეწყდა.

— კარგი, წადი, იფიქრე, სვალამდე დროა... — მითხრა და უმალ სექტორის გამგეს მიუბრუნდა.

მე კაბინეტიდან გამოვედი. ეს სვალეც გათენდა, ჩემო მერაბ, ჯერ არ დავუძახივარ...

მე დაძაბული ვუსმენდი. ჯერ გავბრაზდი გუნებაში, მერე რაღაც სინანული მომეძალა, ზოგს რომ ასე ეადვილება ადამიანის ბედით და ინტერესებით თამაში, ვცადე, შევრიგებოდი შექმნილ ვითარებას, მაგრამ სადღაც ამასობაში თავმოყვარეობამაც გაიღვიძა. გავიფიქრე, გადავწყვიტე, არასგზით არ შეიძლებოდა შერიგება, დათმობა, მართალია, იქნებ ის უფრო ადვილად და მეტს აღწევს, ვინც რევერანსებით იწყებს. მაგრამ ჩემთვის რევერანსებით ლაპარაკი არ უსწავლებიათ... ბაბუა ძველი რევოლუციონერი იყო, მამა სამამულო ომში დაიღუპა, დედა ილიას, ვაჟას, ყაზბეგის, ლეო ქიაჩელის ნაწარმოებების სულისკვეთებით მზრდიდა... ყურში სულ ის მესმოდა და ახლაც მესმის — „ვერ მააწონებთ კარგს ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაშიაო“... მე კი თავზე ლაფს მასხამდნენ, არარაობად მსახავდნენ და ეს მოვიწონო?..

— რას იტყვი, მერაბ?.. — უეცრად ჩამესმა ჩაფიქრებულს და ამ კითხვამ ისე იმოქმედა, თითქოს კლდის პირას ვიდექი და ვიღაცამ შემანჯღრია.

— თქვენ რას მირჩევთ? — ჩემს მდგომარეობაში უკეთეს პასუხს თუ შეკითხვას კაცი ვერ მოძებნიდა.

გურამი ერთხანს დუმდა. მერე თავის მაგიდას მიუჯდა, მეც ხელით მანიშნა, ჩამოჯექიო და მაგი-

დაზე იდაყვდაყრდნობილმა საგონებელში ჩავარდნილივით რაღაც გაკვირვებითა და გამომცდელის თვალებით შემომხედა.

— მე თუ რამე რჩევა შემიძლია, ისევ ჩემს თავს უნდა ვურჩიო, — მითხრა გურამმა, — როგორმე ავიცილო იმ გოგოს აქ ჩამოთესლება. შორიდან ვიცნობ, ერთი უნიჭო და ინტრიგანია.

— მერე... თუ მასეთია, რად უნდათ ან „ზევით“ ან „ქვევით“.

— არ დაიჯერო, ყველაფერი გერონტის მოგონილია... შეიძლება იმ გოგოს „ზევითაც“ ჰყავს ვინმე, მაგრამ მე ხომ ვიცი, საიდანაც მოდის ეს ყველაფერი: ის გოგო გერონტის ნათესავი ყოფილა!.. დღეს დილით, აქვე ყველაფერი გამოვარკვიე... მე მხოლოდ შენ გიჭერ მხარს... ახლა უნიჭოები მაკლია, დავისვა და იმათ მატრაკვეცობას ვუყურო, სისხლი ხმის ამოუღებლად გავაშრობინო?

— მხარდაჭერისთვის... მადლობელი ვარ, მაგრამ... ეს ძვირად რომ დაგიჯდეთ, ბატონო გურამ?

— მე მგონია... პირფერობა და უპრინციპობა უფრო ძვირად უჯდება ადამიანს საბოლოო ანგარიშით...

— მე შემიძლია ჩემმა თავმოყვარეობამ არ დამახევინოს უკან, მაგრამ, რას მივაღწევ?..

— რა, დათმობით კი აღწევ რამეს?!.

ამ წუთში ელ-გრეკოს მადონაც გამახსენდა. თურმე მის ყურამდეც მიუღწევია, რომ გამომცემლობაში რიგით მხატვრად ჩემი მიღების თაობაზე

ყოფილა ლაპარაკი და... დაინტერესებულა... წარმოგიდგენიათ, რომ არ მიმიღონ რა სირცხვილი იქნება!.. ყველა თუ არა, უმრავლესობა მაინც ხომ იმას იფიქრებს — არ შეეფერებოდა, ალბათ, საქმეს და იმიტომ არ მიიღესო... სადღა მიდიხარ, ელ-გრეკოს მადონასაც რომ ასეთი შთაბეჭდილება დარჩეს ჩემზე!..

— თუ მოსვლა გიჭირს, ორ დღეში ერთხელ დამირეკე მაინც, მართალია, ტელეფონით ვერაფერს გეტყვი, მაგრამ იმის თქმას რა დამიშლის, უსათუოდ შემოიარე-მეთქი. ახლა ვნახოთ, დღეს თუ კიდევ დამიბარა, რას მეტყვის „ბატონი“ გერონტი. იცოდე, მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, იმ გოგოს დანახვა არ მინდა... ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ჩვენს ფრონტზე.

მადლიერის ღიმილით ჩამოვართვი ხელი. ახლა კაცი რომ მხარს გიჭერდეს საქმის ინტერესით, დიდი იშვიათობაა. ნიჭიერი და უნიჭო ერთმანეთში აირია... თითქო სულ ერთი იყოს, იტალიური სკოლის დონეზე ხარ, ვთქვათ, ტიტო გობივით ბარიტონი, თუ ესტრადის მჩხავანა კატა მოდური რეპერტუარით, — იმასაც მომღერალი ჰქვია, ამასაც.

20 ოქტომბერი.

პირობა ვერ შევასრულე — გურამს ვერ დავურეკე. არ ვიცი, რა მოხდა. კაცმა რომ თქვას, ღირს ამ უსინდისობაში შეტაპვა?

27 ოქტომბერი.

ამ დილით გამომცემლობის დირექტორის მდივან-

მა დამირეკა. ბატონი გერონტი გთხოვთ, დღეს, სამ საათზე გამომცემლობაში მოხვიდეთო. რას ვიზამდი. მივედი. მოახსენეს თუ არა, მაშინვე მიმიღო. სალამი შორიდან შემომაგება. საუბარი შორიდან დაიწყო, — ამ შემოდგომაზე წვიმამ რომ მოუხშირა, თბილისს ასეთი რამ არ სჩვევიაო, ამინდს ჯანმრთელობის საკითხები მოჰყვა, მერე — მობოდიშება, პასუხზე ამდენი რომ გალოდინეთო.

— რა ვქნათ, ყველაფერი რომ ჩემზე იყოს დამოკიდებული... რაღა აჯობებდა... მერაბ, აქამდე შენ გქონდა ჩემთან სათხოვარი, ახლა... მე მაქვს!

— რა, ბატონო გერონტი?! — გაკვირვებით შევხედე და გაუბედავად ვიკითხე.

— რა და... შენ თუ ახლა ამ გასაჭირიდან მიხსნი... ბიჭო, იმ ადგილზე, შენ რომ გპირდებოდით, უფროსებმა სხვისი დანიშვნა მთხოვეს... შენ არ იცი, ეს რას ნიშნავს...

— ვისი დანიშვნაც გთხოვეს, თუ ის საქმისთვის უფრო გამოსადეგია...

გერონტიმ ერთი გაოცებით და უკმაყოფილოდ შემავლო თვალი, დაცინვით მკითხა:

— რამდენი წლის ხარ?..

მე რაღაც შევყოყმანდი, მაგრამ მაინც ვუპასუხე:

— ოცდა... ხუთის...

— მერე?! — წამოიძახა „გაოცებულმა". — გააღე პირი... რავა, ამ ხნის კაცს სიბრძნის კბილი ჯერ კიდევ არ ამოგსვლია? მე რომ აქ მნიშნავდნენ, როგორ ფიქრობ, ამ საქმისთვის ჩემზე უკეთესი აღარ მოი-

ძებნებოდა? ახლა მჯობნის მჯობნს ვინ ეძებს — ყველაზე უკეთესი ის არის, ვინც შენ გამოგადგება...

— ბატონო გერონტი, მართალია, თქვენი მოსაზრებით სიბრძნის კბილი ჯერ არ ამომსვლია, მაგრამ... მე მაინც იმას გეტყოდით, აგრე მარტო ოჯახის დონეზე შეიძლება იმსჯელო. სუფრაზე რომ სხდებიან, შინაურებში კრეტინიც რომ ერიოს, იმასაც ვერ ეტყვიან უარს ლუკმაზე, აქ კი დაწესებულებაა, სახელმწიფოს ინტერესების დონეზეა ლაპარაკი...

— შენ რა ფაკულტეტი გაქვს დამთავრებული?

— სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი.

— სხვა არაფერი? დაუსწრებლად იურიდიულ ფაკულტეტზეც ხომ არ სწავლობდი?!.

— რატომ მეკითხებით, ბატონო გერონტი?..

— რატომ და, სიტყვა ვერ მოგიგე... ძველი სასამართლოს ვექილივით გაქვს ენა მოჭნილი. მე მეგონა, ახალგაზრდაა, უფროსების რიდი-ექნება, ვეტყვი ჩემს გასაჭირს, გაიგებს ჩემს მდგომარეობას, დამეხმარება, მიხსნის-მეთქი, შენ კი...

დირექტორის მსჯელობა და ჭკუა არც იმ მხრივ მომეწონა, რომ თითქმის ყველა ფრჩხილი გახსნა. ეს არ იყო გულახდილობა. ის მოელოდა, ერთ შეცდომას მაინც დავუშვებდი ჩემს სვლებში. ალბათ, ფიქრობდა, რომ თეთრი ფიგურებით თამაშობდა შავების წინააღმდეგ... მაგრამ რა უფრო მნიშვნელოვანია, ფიგურების ფერი თუ უნარი... როგორ? შავებით

პარტიას ვერ იგებენ?.. რაკი დარწმუნდა, პოზიციას არ ვთმობდი, სხვა ხერხს მიმართა.

— კარგი, საუბარი ამით დავამთავროთ. საქმეზე ლაპარაკი კი სხვა დროისთვის გადავდოთ. ახლა გურამთან შეიარე, ერთი კარგი წიგნი აქვს გასაფორმებელი და მე ვთხოვე სხვას არავის გადასცეს, შენ მოგანდოს მისი გაკეთება...

თავაზიანად გამოვემშვიდობე და კაბინეტიდან რომ გამოვედი, ასე მეგონა, აქამდე სული მეხუთებოდა და ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქე-მეთქი. მოსაცდელში ბარე ხუთი კაცი ელოდა ჩემს გამოსვლას. ყველას ძალიან უკმაყოფილო იერი ჰქონდა, დირექტორთან ჩემი საუბარი რომ იმდენხანს გაგრძელდა. აქვე მოსაცდელში იყო ის ჩემი ოცნებაც — ელ-გრეკოს მადონა. მდივანს ეხვეწებოდა, რაღაც ქაღალდის შეტანას სთხოვდა დირექტორთან. ერთი შევავლე თვალი და მოსაცდელიდან გავედი, რადგან ყველა მე შემომცქეროდა, თითქოს მე ვიყავი დამნაშავე, რომ დირექტორის განკარგულებით მდივანმა კაბინეტში არავინ შეუშვა, სანამ იქ ვიყავი.

ვეახელი გურამს. ტელეფონით ლაპარაკობდა. ლაპარაკი რომ დაასრულა და ყურმილი დადო, სახეგაბადრულმა სიცილით თქვა:

— კომედიაა!

მე ვიდექი და გაკვირვებული შევცქეროდი, რადგან სიტყვა „კომედიას“ და ჩემს მისვლას რაღაც კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან.

— ბატონო გურამ, — წამოვიწყე ცოტა დარცხვე-

ნით, — დირექტორმა დამიბარა. მელაპარაკა. მერე თქვენთან გამომგზავნა.

— ახლა სწორედ დირექტორი მელაპარაკა. რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე?!.

— რა იყო?.. — ცოტა არ იყოს, შევწუხდი, თუმცა გურამი სიცილს ვერ იკავებდა.

— აგერ, დამირეკა და... მიბრძანა — შენ რომ ბოდლერის წიგნის გაფორმებას შეპირებიხარ, იმ მხატვრის მაგიერ ეგ ავტორი გასაფორმებლად მერაბს მიეციო... მართალია, ხელშეკრულება არ გამიფორმებია, მაგრამ ხომ დავავალე და ახლა როგორ გინდა უთხრა უარი, მერე კარგი მხატვარი და თან ისე თავმოყვარე მაინც არ იყოს... ეს გერონტი ნამდვილად გამაგიჟებს...

— ბატონო გურამ! — წამოვიწყე მცირე დუმილის შემდეგ. — თქვენ რომ ეს ჩაიდინოთ, მე ავიღებ? რაც უნდა იყოს, ერთი წიგნის გაფორმებაზე მეტი არ ღირს კოლეგას შეუვალობა და ეთიკის ცნება?

— მერე როგორ შევათავსოთ ეთიკის ცნების ეს განსხვავებული კატეგორიები... ჩვენსა და გერონტის შორის?

რა მეთქვა, რა მერჩია ორ ცეცხლს შუა მოხვედრილი გურამისათვის.

— არ იკისრა-თქო, ასე უთხარით, გურამ, „ბატონ“ გერონტის.

— კაცმა რომ თქვას, როგორ გაუბედავ, თორემ ხომ უნდა უთხრა, ნიჭიერი და პატიოსანი ხალხი ასეთ ხაფანგში არ ებმება-მეთქი. ვითომ, თავისი ვა-

რაუდით, შენი გულის მოგება სცადა. რა ფასი აქვს ასეთ გულის მოგებას, თუ თავს წაგაგებინებს...

— გურამ, მადლობელი ვარ თქვენი მხარდაჭერისთვისაც და გულახდილობისთვისაც!

— შენ რა გიჭირს, წახვალ და... მე ვიკითხო, რა მაგარ-მაგარ კაკალს დამამტვრევს თავზე ბატონი გერონტი...

— მეტი რა გზა აქვს გრდემლს, უნდა გაუძლოს, — ხუმრობით გამოვემშვიდობე გურამს და წამოვედი. გზაში ვფიქრობდი, აქ მომსვლელი აწი ნამდვილად არ ვიქნებოდი, ის ელ-გრეკოს მადონა რომ არ მეგულებოდეს-მეთქი...

18 დეკემბერი.

ახლოვდება ახალი წელიწადი. რა დრო გავიდა და აქამდე „ჰაკი აძბას“ სამ ილუსტრაციაზე მეტი ვერ გავაკეთე. არ მინდა, მაგრამ გერონტიზე ფიქრი თავიდან არ მშორდება და მიშლის, მდივანს ორჯერ დაურეკავს მეზობელთან, გამომცემლობაში დავუბარებივარ. თავს ძალა ვერ დავატანე, რომ წავსულიყავი. სულ ერთია, გერონტისთანებთან საერთო ენას ვერ გამოვნახავ...

20 აპრილი.

დღეს გამომცემლობას ავუარ-ჩავუარე, რამდენი ხანი გავიდა მას მერე და გერონტის უპირობა მაინც ვერ დავივიწყე... ის თავის ნათესავი ჯერ კიდევ არ დაუნიშნავსო, მითხრეს... ქუჩიდან მოულოდნელად დავინახე ელ-გრეკოს მადონა. სხვა გოგონებთან ერთად ფანჯარაში იცქირებოდა და იცინოდა. იშვია-

თია, ადამიანს რომ დუმილიც და სიცილიც ასე ერთნაირად უხდებოდეს...

8 მაისი.

დღეს დილით გურამი შემხვდა. მისაყვედურა. სადა ხარ, რამდენი გირეკეთ, მეზობელი სულ ერთსა და იმავეს გვეუბნებოდა — თბილისში არ არისო...

— მართალია, სოფელში ვიყავი...

— კიდევ კარგი, შეგხვდი... თუ ხელი არ ჩაგიქნევია, კიდევ შეიძლება ჰქონდეს აზრი ერთი-ორჯერ გაბრძოლებას, ის გოგო ჯერ არ დაუნიშნავს ჩემთან, მაგრამ ბევრიც აღარ უკლია...

— თქვენთან მუშაობა შარშანაც ძალიან მინდოდა, ახლაც მინდა, მაგრამ მეტი უსიამოვნების ატანა აღარ შემიძლია... კიდევ კარგი კრივს არ ვსწავლობდი, თორემ...

— გასაგებია... მაგრამ შენს საქმეში რა, ცუდი „მოკრივე" ხარ?!.

არაფერი მიპასუხნია. გავუღიმე. ხელი ჩამოვართვი და წავედი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარე, ანაზდად გავიფიქრე სინანულით, ნეტავი გურამი არ შემხვედროდა-მეთქი... ამ შეხვედრამ ხელახლა ამიშალა დარდი, მოულოდნელად ამაფორიაქა...

9 მაისი.

მადლობა ბალახს!

რა მღელვარებით, რა გულისხეთქვით გადაიკითხა დღიური. სულ იმის შიშში იყო, მერაბმა არ მომისწროსო. ასეთი მღელვარება დედის გულს ჯერ

არ გამოეცადა... უკვირდა, რომ ამ ხნის განმავლობაში შვილი არაფერს ეუბნებოდა, რჩევას არ ეკითხებოდა. პირიქით, თურმე საოცარი ოსტატობით მალავდა თავის ჭირს. დედა მხოლოდ ბოლო ჩანაწერებმა გააოცა. რას ნიშნავს ეს „მადლობა ბალახს“. ალბათ, „მადლობა ალახს“ უნდა იყოს, მაგრამ სიჩქარეში შეცდომა მოსვლია. ბოლო სიტყვაში მეორე შეცდომაც რომ არის — ვინ წერს ახლა „ალახს“, უნდა იყოს „ალაჰს“. ქართული ენის მასწავლებლის შვილი მაინც არ იყო, მერაბ!

რაც მერაბმა იცოდა, ის მარტო დედამ კი არა, ალაჰმაც არ იცოდა.

კორდელია

ამ ბინდბუნდში ზღვის ნაპირს ერთი კაცილა შემორჩენოდა, ის ნელა, დაფიქრებული მიაბიჯებდა გაუკაცრიელებულ ნაპირზე. წელზემოთ შიშველს ბეჭზე გადაკიდებული მსუბუქი სპორტული ხალათი საკიდში გაყრილი საჩვენებელი თითით ეჭირა. ქვიშის სიღრმეში შემორჩენილი სიმხურვალე ჯერ კიდევ იგრძნობოდა, თუმცა მზე რახნის ჩასული იყო. ფეხთ თხელლანჩიანი სპორტულივე ჩუსტები ეცვა, მაგრამ ქვიშას ფეხქვეშ მაინც ძალუმი ხრაშახრუში გაუდიოდა და ეს ხმა რატომღაც სიამოვნებას ჰგვრიდა. ამ სიამოვნებას და ძალდაუტანებელ ფიქრს ისიც უწყობდა ხელს, რომ ზღვა ახლა „ჩურჩულის“ გუნებაზე იყო; ტალღა ტალღას მოსდევდა, ვინ იცის, რამსიშორედან და ნელი შრიალ-შმაშურით მარაოსავით შლიდა ამ ბინდბუნდში ძნელად, მაგრამ ჯერაც გასარჩევი ქაფის თეთრ, მსუბუქ არშიებს...

შეუმჩნევლად ამხანაგი წამოეწია და ისე უხმო — ზაზა, უ-უ! — თითქოს ძალიან შორიდან ეძახდა. ზა-

ზასაც სწორედ შორი ძახილივით ჩაესმა და ერთბაშად მობრუნდა თუ არა, სახტად დარჩა: ამხანაგი მისგან მხოლოდ ხუთიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული.

ზაზას მისი დანახვა ესიამოვნა, ბინდბუნდის მიუხედავად, უმალ იცნო, მაგრამ გული მაინც დასწყდა რაღაცაზე. იქნებ იმაზედაც, რომ მარტოდმარტო მიმავალი თავს ისე გრძნობდა, თითქოს ამოდენა სტიქიის — მძიმედ ატორტმანებული ზღვის — უსაზღვრო სივრცის ბატონ-პატრონი ყოფილიყოს და უეცრად იგი ვინმეს წაერთმიოს.

— სოსო, რა ზღვის ქაფიდან ამოსულივით გამომეცხადე?!

— ამ ქვიშაში ჩემი ფეხის ხმა შენი ნაბიჯის ექო ხომ არ გეგონა, რომ არ იხედებოდი?

— რა ვიცი, სოსო... რომ ვთქვა, ფიქრით ისე ვიყავი გატაცებულიო... თუ დამიჯერებ, არ იქნება მართალი. უბრალოდ მსიამოვნებდა ქვიშაში რომ მივაბიჯებდი, ზღვის ტალღის ჩუმი ტლაშუნი რომ მესმოდა და თანაც შიშით თვალს ძლივს ვუსწორებდი ამ უზარმაზარი, შავად მოტორტმანე მარილიანი წყლის იდუმალებას!.. წარმოგიდგენია, რა ამბავია ახლა იქ, — ზაზა დაიხარა, ხელში მოზრდილი კენჭების გროვა მოჰყვა, ერთი ბლუჯა ზღვაში ისროლა, — ათი, ასი, ათასი მეტრის სიღრმეში!

— ზღვაში და ისიც ათასი მეტრის სიღრმეზე კი არა, ხშირად ის არ ვიცით აქ, ხმელეთზე ჩვენგან ოცი მეტრის დაშორებით, რა ხდება!

გზა განაგრძეს. ორი მამაკაცის შეწყობილი ნაბიჯის ხმა ქვიშაში ახლა უფრო ძალუმად გაისმოდა.

სოსომ თვალით მოლანდა და უკითხავად გამოაცალა ზაზას იღლიაში გაჩრილი წიგნი. მუქ ყდაზე ბინდბუნდში წარწერა ძნელი გასარჩევი იყო, ამიტომაც გადაშალა და სატიტულო ფურცელს დააკვირდა.

— რუსთაველი?! აგარაკზე ვინ კითხულობს ბიჭო „ვეფხისტყაოსანს"?!

— მე ვკითხულობ!

— ფილოლოგი მესმის, მაგრამ არქეოლოგმა რა უნდა იპოვო „ვეფხისტყაოსანში"?

— რასაც ფილოლოგები ვერ პოულობენ!

ფურცლებს შუა თითჩატანებული წიგნი სოსომ მაღლა ასწია და შესავლის პირველი სტრიქონი „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა" — პათეტიკურად წარმოთქვა.

— არა უშავს! — წაქეზების და მოწონების კილოთი შენიშნა ზაზამ, — შენი ხმის ტემბრი ყოველთვის მომწონდა...

— ზღვის ტალღების აკომპანემენტი რომ არა, „ვეფხისტყაოსნის" ასე წაკითხვა ნამდვილად ყალბი იქნებოდა...

— რა დროს ხუმრობაა?!.

— ნამდვილად გეუბნები, გარემოს, განწყობილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს! რაც თეატრზე ფანატიკურად შეყვარებულ აუდიტორიაში საშუალო

მსახიობსაც კი დიდებულად გამოგივა, ბაზარში იმან შეიძლება სასაცილოდ გაქციოს!.. რა გასაკვირია, რუსთაველის დიდებული სტრიქონი თუ უფრო შთამაგონებლად და დრამატულადაც გაისმის, როცა ზღვაც გეხმიანება!.. ასე აშკარად სად იგრძნობა სამყაროს შემოქმედის ყოვლისშემძლეობა!

— გაიხსენე კიდევ რომელიმე სტროფი! — გულით სთხოვა ზაზამ კითხვის ეშხზე მოსულ მეგობარს.

სოსომ მრგვალად მოკეცა წიგნი. თითქოს მიფრინავენო, ისე ჩაიფრთხიალეს ფურცლებმა... სოსოს დიდხანს ფიქრი არ დასჭირვებია, მცირე პაუზა მხოლოდ განწყობილების და მოლოდინის გასაძლიერებლად მოიშველია.

„ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“ — სოსომ ისე წაიკითხა, განცვიფრებული ზაზა რამდენიმე წუთს დუმდა, სოსოს ხმით წარმოთქმული სტრიქონები ყურში ისევ ისე ჩაესმოდა და ეგონა, ახლა იგი ზღვის ტალღებს მოჰქონდა.

აღელვებული, ქანცგამოცლილი სოსო კი იდგა და ელოდა, რას იტყოდა მეგობარი. მისი დუმილი ისე ენიშნა, რომ ეს წაკითხვა ზაზას არ მოეწონა და ახლა, უხერხულობაში ჩავარდნილს, აღარ იცოდა, რა ექნა და რა ეთქვა. მაგრამ გაიგონა თუ არა ზაზას ხმა — „სოსო, შენი ჭირიმე, ის ერთი სტროფი — „თუ საწუთრომან დამამხოს“... — ხელახლა წაიკითხეო, სოსოს ერთბაშად გული ბავშვივით აუჩუყდა და სიხარულის ცრემლი მოერია. ზაზას ოდნავ

გაბზარულ ხმაში სოსომ უმალ ამოიკითხა, უმალ იგრძნო, რა შთაბეჭდილებაც მოეხდინა მის წაკითხვას. სოსომ თხოვნა იმ წამსვე ვერ შეუსრულა ამხანაგს. ცოტა გავიაროთო — თქვა და, სცადა სიარულში ის სულიერი წონასწორობა აღედგინა, რაც ფარულად აღძრულმა სიხარულმა დაურღვია.

ასიოდე ნაბიჯი რომ ასე დუმილში გაიარეს, სოსო უეცრად შედგა და დაიწყო, ახლა ცოტა უფრო დინჯად და ძალდაუტანებლად, მაგრამ ფარული მღელვარებით და სულში ჩამწვდომად:

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ გაზრდილთა და ვერცა მისანდომელმან,-
მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე — მლმობელმან.

როცა სოსო გაჩუმდა, ზაზა ეცა და მაგრად ჩაიკრა გულში ამხანაგი. ქების სიტყვა არ უთქვამს, საერთოდ ხმა არ ამოუღია, რადგან სულ ერთიანად კანკალებდა და ენა ალარ ემორჩილებოდა.

ერთხანს ასე დადუმებულნი მიაბიჯებდნენ ორივენი.

— სოსო, იცი რა გითხრა? — მოულოდნელად წამოიწყო ზაზამ, — მსახიობებს თუ ვერ დავწამებ, ისე, იმდენი ჩვენ ვიცოცხლოთ, პოეტებად რომ მოაქვთ თავი, ბევრს „ვეფხისტყაოსანიც“ კი ბოლომდე არ აქვს წაკითხული. ისწავლიან სკოლაში პროგრამით გათვალისწინებულ რამდენიმე თავს, ბოლოს მეხსიერებას ძლივს შემორჩება ორიოდე გაზეპირე-

ბული აფორიზმი და „ვეფხისტყაოსანთან“ საქმე მოთავებულია! მერე ასეთი განათლებამოსილი და სუფრის დონეზე თავისი ერის და ლიტერატურის მოსიყვარულე ამხანაგი დასწერს ორ-სამ ღერ ლექსს, თანაც ქვეყანას უმტკიცებს „ჩემი სჯობსო“ და ზოგი კრიტიკოსის შემწეობით კაი ხანს „უცილობლობს, ვითა ჯორი“. არა, გენაცვალე! ჯერ არ მომხდარა, ცუდი მკითხველი კარგი მწერალი ყოფილიყოს! — ზაზა ერთბაშად შედგა, სოსოს გაოცებით გადახედა, ხმადაბლა ჩაიცინა, — კაცმა რომ თქვას, ასე რამ გამაცხარა?!.. ხედავ, ზღვა რა დინჯად ირწევა!..

— ახლა ვერ ვხედავ, მაგრამ... მაგან რომ გაცხარება იცის, შენს მტერს!

— ისეთი რამე მითხარი, თითქოს მაგ ზღვის წყალი ჩემთვის თავზე გადაგესხას!

— შენ ის თქვი, ხომ მოგიხდა!

— ნამდვილად, სოსო!

არის წუთები, როდესაც ადამიანი საოცრად გულღია და გულწრფელია. ეს გულწრფელობა სუფევდა ახლა მათს სიცილშიაც და დუმილშიაც.

— ზაზა, ამ ლაპარაკში, იცი, რა მომაგონდა... მაგრამ ჯერ შენ მითხარი, რაკი „ვეფხისტყაოსანს“ ასე მუდამ გულთან ახლოს ატარებ... „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო, — იმასაც ხომ არ ნიშნავს რომ რუსთაველამდეც, რუსთაველის დროსაც და რუსთაველის შემდეგაც დაჯერება და რითიმე დაკმაყოფილება ადამიანის

შინაგანი ბუნების თვისება არ არის, ჩვენმა საუკუნემ რა, გაიზიარა, დაუჯერა რუსთაველს?..

— ჯერ არ ვიცი, — ისე სწრაფად მიუგო ზაზამ, ეტყობოდა, ამ საკითხზე კამათს არ მოელოდა.

სოსომ არაფერი უპასუხა. შარვლის უკანა ჯიბეზე ხელი მოისვა და ერთხანს რაღაცას ფრთხილად ექაჩებოდა. მერე, როგორც იყო, რბილყდიანი, კარგად მოჭმუჭნული წიგნი დააძრო და ხელისგულზე ამაოდ სცადა მისი გასწორება.

— შენ გგონია, მე კი „უიარაღოდ“ დავდივარ? — და წიგნი ზაზას გაუწოდა.

ზაზამ გაწოდებული წიგნი ჩამოართვა, გაქექილ ყდაზე სათაური ძლივს გაარჩია, ასო-ასო ამოიკითხა.

— ისეთი იარაღი დამიპირისპირე... „მეფე ლირს“ ეხუმრები?!

— ამ სეზონში ვაპირებთ დადგმას. ერთ პატარა როლს მეც ვებღაუჭები. გახსოვს, რას ამბობს შექსპირი ლირის პირით? „ადამიანს რომ იმაზედ მეტი არ მისცე, რაც სჭირდება, ხომ მხეცად გადაიქცევაო“.

— მერე რას ნიშნავს „იმაზედ მეტი“ და „რაც სჭირდება“? მართალია, რუსთაველის აფორიზმი ჩვენთვის მიუღებელ მოსაზრებასაც შეიცავს, მაგრამ „დასჯერდიო“ რომ გაფრთხილებს, იქნებ შენს სულიერ წონასწორობაზედაც ზრუნავს. გენიოსის აზრი ხომ არასოდეს ერთგანზომილებიანი არ არის!..

— ან საერთოდ რაში იცავს წონასწორობას?..

კაცობრიობა შექსპირის ავი წინასწარმეტყველების დემონსტრაციას ახდენს, იმაზე მეტს მოითხოვს, თითქმის ყველაფერში, რაც სჭირდება, თუ არა და იმუქრება — მხეცად გადავიქცევიო!..

— შენს მტერს!.. მერე, ვინმე როდისმე ახერხებდა ან მოახერხებს ადამიანის სურვილების წესიერ კალაპოტში ჩაყენებას? საერთოდ, დათრგუნვას თუ არა, ოდნავ შეზღუდვას მაინც? აზრი, რომელიც შექსპირმა მეფე ლირს გამოათქმევინა, სინამდვილეში დასაყრდენს ვერ პოულობს, თუ ქვეყანაზე წესრიგია!

— რას ეძახი წესრიგს? ყველამ თითო ლუკმა იკმაროს? მგელმა ცხვარი არ შეჭამოს?

— ეს ქვეყანა, მარტო ცხვრების, ან მარტო მგლებისა არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება. იმიტომ კი არა, რომ ეს არ მოხერხდება, უფრო იმიტომ, რომ ამას ვერ მოითმენს წონასწორობის და კანონზომიერების ლოგიკა.

— ჩემო ზაზა, რაც გაბატონდება, მერე ყველაფერი იმას ემორჩილება. თუ წონასწორობის ლოგიკას რკინის კანონი აქვს, შეგუების აუცილებლობა თავისი სიმტკიცით ცეცხლში ნაწრთობ ფოლადს ჰგავს: რაც არსებულ პირობებს და გარემოს ვერ ეგუება, იღუპება!

— ზოგჯერ, სოსო, სათნოებას, ზოგჯერაც ბოროტებას არსებული პირობები და გარემო ვერ გუობს, მაგრამ ისინი მაინც არ იღუპებიან...

— სამაგიეროდ... ხომ ინიღბებიან... უკვე რამ-

დენი საუკუნეა, რაც ადამიანი აღმოჩენილია, მაგრამ... შესწავლილი არ არის! მისი ბუნება აღმომჩენმა კი არ იცის, — შემქმნელმა!.. შემქმნელს კი ადამიანი თავისი ხუთი გრძნობიდან ფიზიკურად ჯერჯერობით ვერც ერთით ვერ ეხება... ვერც ერთით ვერ შეუცვნია! ადამიანს შეუძლია თვით დედამიწაც კი დაშალოს, მაგრამ შექმნით ხომ ვერ შექმნის?!.

— ეგ ხომ აგრეა. შენ ის თქვი, გაღორებისა და საერთოდ მხეცად ადამიანის გადაქცევის საშიშროება ქვეყანას რატომ უნდა მოვლინებოდა, თუ ადამიანი მართლაც ბუნების გვირგვინია!..

— რა მნიშვნელობა აქვს, თვითონ რას დაირქმევს ადამიანი... ჩვენ თუ ადვილად ვერ ავუხსნით ერთმანეთს იმ საჭირბოროტო მდგომარეობის მიზეზს, ხომ ვგრძნობთ მაინც, როგორც ღამეში კაცი ხელის ფათურით რასაც წააწყდება, გრძნობს, რაა იგი, თუმც ვერ ხედავს. ერთ-ერთი მიზეზი კი, შეიძლება სხვა მიზეზებზე უფრო აშკარა და ხილული, ისიც იყოს, რომ... იმ რწმენას, რომელიც სასურველ წესრიგს განაპირობებდა, შიშის საფუძველი გამოეცალა. შიშის გარეშე კი რწმენა ადამიანთა უმრავლესობისათვის ის თოფია, რომელიც თურმე ხისაგან ყოფილა გამოთლილი და სანამ დამიზნებული იყო... მე, რა თქმა უნდა, ცხოველურ, ბიოლოგიურ შიშს არ ვგულისხმობ, ან რაც შეგნებულის სულისკვეთებას თრგუნავს და შეუგნებელს ალაღებს. რელიგიის დონეზე მორწმუნის შიში მხოლოდ იმით იყო გაპირო-

ბებული, რომ, თუ სიცოცხლეში უღირსად მოიქცეოდა, სამოთხის მაგივრად ჯოჯოხეთში მოხვდებოდა. საქმე ისაა, რომ დაირღვა ერთი დიდი კანონზომიერება. დაირღვა ისე, რომ ეს სულაც არ გვსურდა და არც მოველოდით: უგულებელვყავით საქმისათვის ნამდვილად მოწოდებული, თავდადებული, ერთგული და... სრულიად სამართლიანად აღმოვჩნდით... მეფე ლირის მდგომარეობაში! ვენდეთ ფარისეველ ასულებს და, შევაჩვენეთ ჭეშმარიტად სათნო კორდელია. ეგ კი ისეთი შეცდომაა, რასაც პატიება არ მოჰყვება ხოლმე!

— მეფე ლირის ცოდვას მაინც ის ამსუბუქებს, რომ გულწრფელად, გულუბრყვილოდ ცდებოდა და არა ანგარების, ღორობის, გამორჩენის საბაბით, ის კი, ვისაც შენ გულისხმობ, იმიტომ „ცდებოდა“, იმიტომ სჩადიოდა ბოროტებას, რომ ამ ბოროტებაზე ხელს ითბობდა. სტენდალი მეტს კი არაფერს ამბობს: — ბოროტმოქმედებას სჩადის ის, ვისთვისაც ხელსაყრელიაო“...

სოსო ისე მიაბიჯებდა გულ-ხელ დაკრეფილი და თავაწეული, თითქოს შორს სადღაც რაღაც შენიშნაო, ზაზას კი თავი ჩაეღუნა, ხელებიც უკან შემოეწყო და შეწუვეტილ სიტყვას ფიქრში აგრძელებდა.

— რას გაჩუმებულხარ?

ზაზა გამოერკვა, სოსოს მოულოდნელი შეკითხვა და ქვიშის ხრაშა-ხრუში ერთად ჩაესმა... საოცარია, ფიქრის დროს რარიგ სჩვევია სმენას „დახშობა“.

— ეს ლაპარაკი შორს წაგვიყვანს...

— რა ლაპარაკი... ზაზა?

— რაც აქამდე ვთქვი!! ცოტა ვილაპარაკეთ? მაგრამ ბოლოს მაინც ვიტყოდი...

— მართლა, ხედავ რამსიშორეზე წამოვსულვართ! არ მოვბრუნდეთ უკან?

— ჩვენს შეხედულებებში? — და მისი სიცილი ამ ღამეში რაღაც უცნაურად გაისმა.

— ღმერთმა დაგვიფაროს, — სიცილითვე შეაგება სოსომ.

— ბოლოს... რას ვიტყოდიო... რატომ აღარ თქვი?..

— ბოლოს ვიტყოდი... თუ ბუნებაში ყველაფერი ზემოდან მოდის — წვიმა, თოვლი, სეტყვა, მეხი, და, რაც მთავარია, მზის სინათლე... ასევე ადამიანთა საზოგადოებაშიც თითქმის ყველაფერი „ზემოდან“ მოდის — შეხედულება, რწმენა, მორალი, ცხოვრების წესი, კულტურა, კანონი, — სოსო შეჩერდა, და ბოლო სიტყვები ისე წარმოთქვა, ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ, თითქოს სცენაზე იყო და არა ზღვის პირად, ერთადერთი ამხანაგის ამარა, — ამიტომ არის საჭირო დიდი სიწმინდე და სიფრთხილე, უპირველეს ყოვლისა, ზემოთ!

გზა ისევ განაგრძეს. მცირეოდენი დუმილის შემდეგ სიტყვა ზაზამ წამოიწყო.

— გეთანხმები. შენც რამდენჯერ გინახავს, ალბათ... მოსკოვში, წითელ მოედანზე დღესაც დგას... ვასილ ნეტარის სახელობის ტაძარი!..

— თვალწინ მიდგას მისი გუმბათი.

— ეტყობა, კეთილმა სახელმა გადაარჩინა ტაძარიც და ის მორწმუნეც... მაგრამ რა გადაარჩენს ურწმუნოს? წარმოგიდგენია, რამდენად ხელსაყრელი ყოფილა რწმენის ტაძრის აგება, მიწაზე იქნება თუ სულში, საკუთარ ბუნაგსა და აგარაკებთან შედარებით, მთასა თუ ბარში!!!

— ზაზა, იცი რა გითხრა? ტრაგედია ის არის, რომ ზოგს ეგ შენი სიწმინდე და რწმენა ფეხებზე ჰკიდია, თუმცა ანგელოზივით გამოიყურება, მარტო გარეგნობით კი არა, შეხედულებითაც! მთავარია — უნდა შეგეძლოს თამაში!

— მთავარია... მიზეზი! ბოროტებას თუ ღორობას ბოლოს ვერ მოუღებ, თუ მარტო შედეგს ებრძოლე!.. მთავარია, მიზეზი. მიზეზის მიზეზი კი, ვინ იცის, სად, როდის ჩაისახა იმ ღორის სულში!..

— „აი მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი“.

— ოტელო...

— მიზეზის მიგნებამ კი ოტელო... ტრაგედიამდე მიიყვანა!

— ტრაგედიამდე ოტელო იმან მიიყვანა, რომ... მიზეზს ვერ მიაგნო. აი, მეფე ლირმა კი ბოლოს მიაგნო, მიხვდა და... გაგიჟდა.

— ზაზა... ამ ღამეში რა, იმისთვის შემხვდი, რომ... გამაგიჟო? მაცალე, თუ ძმა ხარ, სანამ იმ როლს ვითამაშებდე და მერე...

— ცხოვრებაში, ჩემო სოსო, ყველანი ვცდილობთ ჩვენი როლი წყნარი იყოს, მხოლოდ სცენაზე გვი-

ყვარს შფოთიანი, რისკიანი და ტრაგიკული როლის თამაში!

— ეგ... მართალია!

— ესეც არის მიზეზი, რომ საჭიროების შემთხვევაში ერთსულოვნება გვღალატობს! ერთმანეთს ვერ ვშველით ეს წესიერი ხალხი! მხარში არ ვუდგევართ სიმართლეს, სიწმინდეს, პატიოსნებას, გაბედულებას! თუ ავკაცობა, ბოროტება პირადად ჩვენს სიმართლეს, ჩვენს პატიოსნებას, ჩვენს დოვლათს, ჩვენს ღირსებას ემუქრება, მაშინ, იცოცხლე! ამიტომაც ვართ ასე ყველანი ჩვენ ჩვენთვის და თანაც ბატებივით დაფანტულები... ამ ბატისტვინობას კი ადამიანში ძნელად აღმოფხვრი!..

სოსო შედგა. თავი საგონებელში ჩავარდნილივით მოიქექა და დამნაშავესავით ჩაილაპარაკა:

— მე, ჩემო ზაზა, ერთი იმ „დაფანტულ ბატთაგანი“ უკვე მივსულვარ სახლთან და... რაც უნდა მოხდეს, თუნდ დედამიწა გადაყირავდეს, ჩრდილოეთ პოლუსი ქვემოთ მოექცეს, სამხრეთი — ზემოთ, ისევ პოლუსებად დარჩებიან და... ზოგი რამ, ალბათ, პოლუსებთან ერთად ადამიანის შეგნებაში თუნდ იმ პოლუსებივით გადაყირავებული, არ მოისპობა, — ისევ ის სახელი ერქმევა და ისევ ის შინაარსი ექნება! ახლა, ღამე მშვიდობისა! იცოდე, თუ რამე ტრაგიკული დაგესიზმროს, მე არ დამაბრალო!

გამოსამშვიდობებლად რომ მკლავი ასწია, ახლა მიაქცია ყურადღება, ხელში ზაზას „ვეფხისტყაოსანი“ ეჭირა.

— კინაღამ თან არ გამყვა? მაპატიე, ზაზა, რომ გტოვებ... მაგრამ რას ჰქვია — გტოვებო! რა გიშავს! ზღვისა და რუსთაველის ამარა გტოვებ, მარტოს ხომ არა?!

ზაზამ „ვეფხისტყაოსანს“ ხელი ისე მოუჭირა, თითქოს მართლა მის ამარა დარჩენილიყოს ამ უსაშველო სიბნელით ამოვსებულ ღამეში... ცდილობდა, აღარაფერზე ეფიქრა, ფეხქვეშ ქვიშის ხრაშახრუშით გაერთო თავი და გადაეყოლებინა გული, მაგრამ კაცი ფიქრთან რამეს გააწყობს, მით უმეტეს, ერთხელ თუ აიშალა და აიწევწა?.. „რაო, რა თქვა წეღან სოსომ? რელიგიის დონეზე მორწმუნის შიში იმით იყო გაპირობებული, თუ სიცოცხლეში უღირსად მოიქცეოდა, სამოთხის მაგივრად ჯოჯოხეთში მოხვდებოდაო? გამოგონილ ჯოჯოხეთში მოხვედრის რეალური შიში კი იდეალური ლაგამი აღმოჩნდა, რომელიც რელიგიის მსახურებმა თავისთვის ხელსაყრელი წესრიგის დასამყარებლად მოიმარჯვეს. ჩვენ ეს დამამცირებელი შიში გავუქარწყლეთ, „ლაგამი“ ისე ადვილად მოვხსენით ადამიანს, როგორც ბაღებს რკინის მოაჯირი, და დავტოვეთ იგი საკუთარი შეგნებისა და სინდისის ამარა... მაგრამ მალე იმის მოწმე გავხდით, რომ ბევრი „ბაღი“ გადაიჯეგა. ცხოვრებას დაწერილთან ერთად თავისი დაუწერელი კანონიც აქვს, და ის აჩრდილივით არ შორდება ადამიანს არსებობისათვის ბრძოლაში. როცა გონებას შია, ადამიანი ადამიანობის ზღვარს არ გადადის, მაგრამ აბა ნახეთ, როცა კუჭს შია, რად შეიძლება

იქცეს ადამიანი! ამიტომაცაა კანონი, იდეალურიც კი, ხშირად იდეალურად უძლური, დაიცვას ის, რაც ამ სამყაროს და ადამიანის მოდგმას ალამაზებს, მისი არსებობის აზრს ამართლებს!.. ბოროტებას რომ თავგამოდებული და თავზეხელაღებული მსახურები ჰყავს, საამისო მაგალითები ყველა დროში გამოინახება, მაგრამ ხშირად ბოროტებას ჩვენ ვჭვრეტთ მხოლოდ მატერიალური დოვლათის მითვისების თუ განადგურების ფონზე. სულიერი ავლადიდების ხელყოფა კი, არა მთელი ერის, არამედ ცალკეული ადამიანების ტრაგედიად გვესახება!.. შეიძლება დაირღვეს წესრიგი ქუჩაში, ბაზარში, მაგრამ ტაძარში ეს შეუძლებელია! ქორვაჭარი ბაზარში — ჩვეულებრივი ამბავია, „ქორვაჭარი“ ტაძარში — ერის ტრაგედიაა! ახლა კი საკითხავია, სად მეტია ეს ქორვაჭრები?“

ზაზა წუთით შეჩერდა და შუბლზე, თმაზე ხელი ისე გადაისვა, თითქოს ფიქრის „ღრუბელი“ სურს გადაიყაროსო, კვლავ ინერციით განაგრძო გზა... ქვიშას ისევ ისე, სმენისათვის სასიამოვნო ხრაშახრუში გაუდიოდა ფეხქვეშ. ზღვა ისევ ისე „ჩურჩულის“ გუნებაზე იყო, თუმც ახლა ოდნავ უფრო მკაფიოდ ისმოდა ტალღის მიმოქცევისას ჩვეულებრივი, შიშინისებური ხმა... ტალღა კვლავ მისდევდა ტალღას და მოსწორებული ქვიშის ზედაპირზე, ალბათ, ისევ მარაოსავით შლიდა ქაფის თეთრ, მსუბუქ არშიებს...

ზაზას ერთხელ კიდევ გაახსენდა სოსოსთან საუბარი მეფე ლირის გამო და მოულოდნელად ხმამაღლა წარმოთქვა, რაც გაიფიქრა:

— მთავარია, გამოიცნო კორდელია!

ძალთა უჩვეულო მობილიზება

ჩვენს რესპუბლიკაში რა ხანია მიმდინარეობს ძალთა უჩვეულო მობილიზება, სიძნელეთა დაძლევისა და ქვეყნის აყვავების გეგმის ხორცშესასხმელად. ძალთა ეს უჩვეულო მობილიზება გარდუვალად უნდა შეხებოდა და შეეხო კიდევაც მწერლობის აქტივსაც; და ის აღმოჩნდა არა მარტო მოწინავეთა რიგებში, არამედ ყურადღების ცენტრშიაც კი; დროულად და ნიჭიერად თქმულ მწერლის სიტყვას აქვს მაგიური ძალა, და ეს სიტყვა, როგორც საქმეს ეტყობა, დღეს ხალხს, ქვეყანას ოქროს ფასად უღირს.

საქმე ახლა ამ სიტყვის თქმასა და შესრულებაზეა. იმ ძნელ, მაგრამ ლოგიკურ პროცესში, რომელიც დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს წარსულის ნაკლოვანებათა დაძლევისა თუ დიდ, კეთილშობილურ მიზანდასახულებათა შესრულების მხრივ, აღსანიშნავია ერთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გარემოება: რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ

იმთავითვე მიიღო ჭეშმარიტად სწორი გადაწყვეტილება — ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე საქმე მიენდო კულტურული და პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ადამიანებისათვის. ყოვლად შეუძლებელია ეჭვი შეიტანო ამ ადამიანების უმრავლესობის ნიჭიერებასა, მოწოდებასა და საქმის სიყვარულში.

ათიოდე მწერალს ახალი ნაწარმოებების დასაწერად გაუფორმეს ექვსი, თუ თორმეტთვიანი, დღემდე არნახული მივლინება. პრესა დაინტერესებულია მხოლოდ ამ ათიოდე მივლინება გაფორმებული მწერლით. დროდადრო იბეჭდებოდა მათი შემოქმედებითი ანგარიში, თუ ინტერვიუ; და, გვინდა თუ არა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იმ დიდ შრომითს პათოსს რომელიც სუფევს რესპუბლიკაში, მიმდინარე პროცესს, მხოლოდ ეს ათიოდე მწერალი ეხმაურება, იზიარებს, დანარჩენი, 390 მწერალი კი, ოთხასიდან, მხოლოდ სეირს უყურებს. სინამდვილეში ასეთი ვითარება სულაც არა გვაქვს, მაგრამ, ნათქვამია, რაც არა ჩანს, არ არსებობსო. მე მგონია, იმ დიდი საქმისა და ღონისძიებებისათვის, რაც ჩვენს თვალწინ ხორციელდება, აჯობებდა, რომ მწერალთა ანგარიში და ინტერვიუ სინამდვილისათვის შეგვეფარდებინა. თქვენ წარმოგიდგენიათ რა შთაბეჭდილება შეექმნება მკითხველს, ხალხს, როცა-შეიტყობს, რომ ათი კი არა, თურმე ასი და მეტი მწერალი მუშაობს ახალ ნაწარმოებზე. გარდა ამისა, ზოგ მკითხველს ერთი მწერალი მოსწონს, ზოგს — მეორე, და თუ ის თავის საყვარელ მწერალს ვერ

იხილავს მათ შორის, ვინც ახალ ნაწარმოებებს გვპირდება, სინანულის გრძნობის მეტი რა დაეუფლება? და რა გარანტია გვაქვს, რომ მკითხველისათვის საყვარელი ყველა მწერალი აღმოჩნდება იმ მივლინებაგაფორმებულ ათეულში? ესეც რომ არ იყოს, მწერლობა ხომ ისეთი საქმეა, შეუძლებელია, წინასწარ განსაზღვრო — მივლინებაგაფორმებული უფრო უკეთესს დასწერს, თუ მივლინებაგაუფორმებელი. აქ ანგარიშგასაწევია შემდეგი გარემოებაც: თუ ერთ მწერალს ამჩნევ, მის გვერდით კი, ზოგჯერ, უკეთესს ვერ ამჩნევ, ყურადღებას არ აქცევ, არაფრად აგდებ, ასეთი წევრი, რომელიც გნებავთ კავშირისა და კოლექტივისა, თავისდაუნებლიეთ, შეუმჩნევლად იმსჭვალება ჯერ ალბათ მსუბუქი წყენის, შემდეგ შეურაცხყოფის სულისკვეთებით, და ეს სულისკვეთება ხშირად ვლინდება ჩვენთვის საკმაოდ ცნობილ ნიჰილიზმსა და ცინიზმშიაც კი. ხომ ამოიკითხავენ ხოლმე მწკრივში მდგომ ჯარისკაცებს უკლებლივ — მაღალია ის, თუ დაბალი, ღონიერია თუ სუსტი, მეტად ნიჭიერია თუ ნაკლებად; სწორედ ამგვარი, ჯარისკაცებისადმი დამოკიდებულების სულისკვეთება უნდა სუფევდეს მწერალთა, თუ რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა მიმართ; ვერ ვიტყვი, რომ ყველა მწერალს საერთოდ, ან ერთნაირად სჭირდებოდეს ასეთი ყურადღება, მაგრამ ყურადღება რომ საჭიროა, ამას არ უნდა მტკიცება. რაღა შორს წავიდეთ. გავიხსენოთ ჩვენი სახელოვანი ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“. გახსოვთ, რა სასწაული მოახდინა ამ ბე-

ჩავი კაცის ცხოვრებაში უბრალო ყურადღებამ? არც ერთი მწერალი, არც ერთ დროში, გულხელდაკრეფილი არ მჯდარა, თუ ის მართლა მწერალი იყო. საქმე ეს არ არის, საქმე იმ სულისკვეთებაშია, რომელსაც უნერგავს კოლექტივი თავის წევრს. მწერლისთვის, შემოქმედისთვის არ არსებობს საპენსიო და საერთოდ ასაკი, ასე რომ არ იყოს, რა ათქმევინებდა 67 წლის ვიქტორ ჰიუგოს — ჩემი საუკეთესო რომანი ჯერ არ დამიწერიაო და, მართლაც, ამის შემდეგ დაწერა — „კაცი, რომელიც იცინის“. ან, როგორ დაწერდა შალვა დადიანი თავის საუკეთესო რომანს — „გვირგვილიანების ოჯახს“ ოთხმოცი წლის ასაკში?

მეორე უკიდურესობა?! 18 წლის არტურ რემბომ დაასრულა თავისი დიდებული პოეტური შემოქმედება, ხოლო 18 წლის ბარათაშვილმა დაწერა თავისი ფილოსოფიური ლირიკის შედევრი „შემოღამება მთაწმინდაზე“. ეს იგივეა, 22 წლის კიკვიძეს რომ დივიზია ანდეს. ჩვენ ხშირად უსაფუძვლოდ ვებღაუჭებით გამოცდილების შაბლონს. ერთი მითხარით, რა გამოცდილება აქვს კვერცხიდან ახლად გამოჩეკილ იხვის ჭუჭულს ცურვაში? საქმე ისაა — იხვის ჭუჭულად უნდა დაიბადო, თორემ როდის ყოფილა, გამოცდილებას ქათამი იხვად ექციოს!

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ მოგახსენებთ, რომ ზოგ შემთხვევაში თანამდებობა იქცა არა იმ საქმისათვის თავდადების ტრამპლინად, რომლის ხელმძღვანელობაც დაუკისრებიათ. ეს დღესავით ნათელი

იყო გუშინაც და დღესავით ნათელია დღემდე. მაგრამ ისიც საკითხავია, თუ თანამდებობის გარეშე ვერაფერს ვერ მოაგვარებ, ვერაფერს ვერ მიაღწევ, რა გზას დაადგეს კაცი?

გზას და სწორ გეზს ყოველთვის გვიჩვენებდა პარტია, მაგრამ რაკი კონტროლს ვერავინ უწევდა დღემდე, არა მარტო მწერლობაში, ხელმძღვანელთა ნაწილი ყოველთვის ცდილობდა დიდი და სწორი გზიდან თავისი ვიწრო ინტერესებისაკენ მიმავალ ბილიკზე გადაეხვია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 28 თებერვლის პლენუმზე მკაფიოდ და ყველასათვის გასაგებად ითქვა — „ყოველ კომუნისტს უნდა ახსოვდეს, რომ როცა მას ნდობას უწევენ და ამა თუ იმ ხელმძღვანელ ორგანოში ირჩევენ, იგი თავის თავს აღარ ეკუთვნის. ეს აძლევს მას მხოლოდ ერთ უპირატესობას, — იმუშაოს მაქსიმალურად ხალხის კეთილდღეობისათვის. ეს აძლევს მას ლენინური ტიპის ხელმძღვანელის ყველა უფლებას, მაგრამ ართმევს მხოლოდ ერთს: ცუდად მუშაობის უფლებას. ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა, ან არჩევა პრივილეგია კი არ არის, პასუხისმგებლობაა“. ხელმძღვანელობის ნიჭი ისევე იშვიათია, როგორც პოეტური, და ორივეს ერთად ღმერთი ძნელად თუ გაიმეტებს ერთი პიროვნებისათვის.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ დიდი ილია ჭავჭავაძის მამულიშვილობით, მაღალი პატრიოტული შეგნებით და... ხშირად ვცდილობთ, ილია ჭავჭავა-

ძის როლი ვითამაშოთ. ილია ჭავჭავაძე კი შექსპირის პერსონაჟი არ არის; ილია ჭავჭავაძედ უნდა დაიბადო.

როცა ამ დიდმა მამულიშვილმა ბანკის საქმის გაძღოლა იკისრა, გახსოვთ რა მოხდა? თითქმის თავი დაანება საკუთარ მხატვრულ შემოქმედებას. აი, ზოგჯერ რა მსხვერპლს გააღებინებს გენიოსსაც კი დიდი მამულიშვილობა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება. ჩვენ ხშირად ბევრ რამეს უკვე შეუწყნარებლად იოლად ვუცქერით და მათ შორის პატრიოტობასაც. ყოველ დილას, ფაციფუცით, სამსახურში წასვლამდე, პატრიოტულ თემაზე ლექსები წერო, ასეთი პატრიოტიზმი ჰგავს დილის ვარჯიშს ორკილოგრამიანი განტელებით, მაშინ როდესაც ეს ტვირთი იგივეა, რაც ოცფუთიანი შტანგაა, თუმცა ისიც ხდება, რომ ორ კილოგრამზე მეტს რომ ვერ ასწევს რომელიმე პოეტი თუ პროზაიკოსი, თავისი მსუბუქი კალმით ზოგი კრიტიკოსი გვამცნობს ხოლმე — ოცი ფუთი ასწიაო. სწორედ ასეთ არბიტრებს გამოჰყავთ წონასწორობიდან თვით ყველაზე დინჯი, თავდაჯერებული და დამსახურებულიც კი. ასეთი მაგალითები რყვნიან არა მარტო ერთეულ მწერლებს, არამედ ხალხსაც, რადგან ეს ჭირია, და ჭირი კი, როგორც იცით, გადამდებია. ძალიან ყალბად გვესმის სამშობლოს სიყვარული იმ მხრივაც, რომ ამ გრძნობის გამოხატვის საშუალებათა ფოკუსად მხოლოდ ლექსი მიგვაჩნია. არის პატარა განსხვავება, სად მოგიხდა ამ სიყვარულის ფიცის წარმოთქმა —

კრწანისთან, სტალინგრადის ნანგრევებში, მარტენის ღუმელთან, თუ „ივერიის“ რესტორანში?

სამშობლოს სიყვარული ჩვენი პოეტების ლექსთა დიდ უმრავლესობაში უთქმელად არ იგრძნობა. ამიტომ ხომ არ გვეფიცებიან ისინი ყოველ დილას ახალ-ახალი ლექსით სამშობლოს სიყვარულს! მე სამშობლოს სიყვარულს და სიამაყეს ვხედავ იმაშიაც კი, როცა საფრანგეთისა და ბრაზილიის სტადიონები ქუხდნენ შეძახილით — „ვივა, მესხი“. ეს არ იყო იოლად მოპოვებული სიყვარული: ნიჭს წინ უძღოდა თავგანწირვა, შრომა და საკუთარი ღირსების შეგნება. მესხის ნიჭი იმაში მდგომარეობს, რომ მან მიაგნო თავის ნამდვილ მოწოდებას, თავისი თავი იპოვა, მაშინ, როცა რამდენი დაკარგული თავი ჰკიდია გადამწვარ ნათურასავით ჩვენი ლიტერატურის „ჭერში“. და ამის გამო, რამდენი პატრიოტი დაიკარგა უკვალოდ, რაკი ის საქმე აიხირა, რისი გაკეთების უნარიც არ შესწევდა, საამისო ილუზიის შექმნა კი კრიტიკოსებს დააკისრა. მე სამშობლოს სიყვარულს ვხედავ იმაშიაც, როდესაც წყნარი ოკეანის უსაზღვროებაზე გადაფრენის დროს, თვითმფრინავის კატასტროფის მომენტში, პროფესორი ჟორდანია თავის ჟილეტს უთმობს უბილეთო მგზავრს, — ბრაზილიელ გოგონას, იცის რა წინასწარ, რომ ეს თავის დაღუპვას ნიშნავს, და მართლაც, 190 მგზავრიდან იღუპება მხოლოდ ერთი — ჟორდანია!

ადამიანისა და სამშობლოს სიყვარულში რომელი ლექსი შეედრება ამ ნაბიჯს უკვდავებისაკენ? და

რით არის საბჭოთა მოქალაქის ეს თავგანწირვა ცოტნე დადიანის მაგალითზე ნაკლები? ამ მაგალითს რომ გაუტოლდეს, სამშობლოს, ადამიანის სიყვარულში, წარმოგიდგენიათ რა ლექსი უნდა იყოს ის ლექსი? ჩვენ კი ყველაფერს იოლად ვუცქერით. ზოგი იტყვის, ან გაიფიქრებს, მაშ სამშობლოზე ლექსები არ ვწეროთო! განყენებული და ფშუტე ლექსი — არა; და თუ მაინც დასწერ, მერე ასეთ ლექსს რომ კრიტიკოსი გიქებს, პირველი მტერი ის არის, არა მარტო პოეტისა... შენ პატივმოყვარეობა წნევასავით გაწუხებდეს, სამშობლო და პატრიოტიზმი რა შუაშია? წვერის გასაპარსი ფულის საშოვნელად არ დაუწერია პოეტს ეს სტრიქონები:

«Я с теми кто вышел стройть и месть
В сплошной лихорадке буден,
Отечество славлю, которое есть,
Но трижды — которое будет.»

ან

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ პოეტები საქართველოსი".

ხომ ვიტყუებთ თავს, როცა ვამბობთ — ხუთასი მწერალი და რვაასი მხატვარი გვყავსო. უნიჭოს გათანაბრება უფლებებში ნიჭიერთან ჩვენი დროის ყველაზე დიდი უბედურებაა. უნიჭო მორალური დეზერტირია; უნიჭო ადამიანი არ არსებობს, არსებობს გზადაბნეული ადამიანი; ნებსით თუ უნებლიეთ ის იქ არ დგას, სადაც უნდა იდგეს.

იმის მაგივრად, რომ ვზრდიდეთ ხელოვანს,

ვზრდით ხელოსანს, რადგან აღმზრდელიც ხშირად ხელოსანია. ერთი მიზეზი ესეცაა, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ხშირად ბრძოლა წარმოებს არა ლიტერატურისა და ხელოვნების ინტერესების დონეზე.

სირთულე და დაძაბულობა ჩვენი დღევანდელი საქვეყნო საზრუნავის შესაბამისად კიდევ უფრო გაიზრდება. თავის მომავალ მუშაობაში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, ალბათ, გაითვალისწინებს წარსული წლების მწარე გამოცდილებასაც, როდესაც მწერალსაც და ნაწარმოებსაც აკლდა სწორედ მრისი, როგორც მზრუნველის და მოამაგის, ყურადღება უმაღლეს დონეზე. რამდენიმე წლის წინ, თეატრალური საზოგადოების პლენუმზე, ჩვენმა სახელოვანმა ვერიკო ანჯაფარიძემ თქვა: „ლაპარაკობენ, რომ მარჯანიშვილს მეთოდი არა ჰქონდაო. არა, ეს არ არის მართალი. მას ჰქონდა მეთოდი და ეს მდგომარეობდა იმაში, რომ მსახიობი გარემოსილი იყო მამობრივი მზრუნველობით და სიყვარულით“.

იმას ვამბობდი, მწერალსა და ნაწარმოებს აკლდა ყურადღება-მეთქი. რამდენიც უნდა დაწერილიყო, რაც უნდა დაწერილიყო, ზეპირ გამოსვლებსა თუ პრესაში მაინც ჯიუტად გაისმოდა — ქართველი მწერლები ვალში არიან თანამედროვეობის წინაშე, სათანადოდ არ არის ასახული მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენტის ყოფა და საქმიანობაო.

ჯერ ის ვიკითხოთ — არის კი ისეთი მწერალი, რომელსაც სურდეს ვალი ემართოს, რომელსაც არ

უნდოდეს მეტისა და უკეთესის დაწერა, ვიდრე დაუწერია? მე მგონია, არ არის; და თუ არ არის, საკითხავია — რა უშლის ხელს ქართველ მწერალს — დაწეროს მეტი და უკეთესი? არასაკმარისი ნიჭი? არასაკმარისი მატერიალური პირობები? ახლა ისიც ვიკითხოთ, რაც არათუ ორმოცდაათისა და ოცდახუთის, სულ ცოტა, ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე მარტო რომანები დაწერილა, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დამფასებელს, მკითხველს, ხალხს ეუწყა რამე ამ ხუთწლიანი მოსავლის შესახებ ობიექტური შემფასებლის დონეზე? ქართველ მწერალს თუ რამე აკლია, აკლია მის მიერ დღემდე გაკეთებულის მაღალ დონეზე შეფასების და პროპაგანდის საჭიროება, პროპაგანდისა სახელმწიფო ინტერესების პოზიციიდან, და არა ძმაბიჭობისა. ძმაბიჭობამ დიდი ზიანი მოგვაყენა და, მე მგონია, გვეყოფა ძმაბიჭობის ამ ლაყე კვერცხებზე ჯდომა!

შეხედა თუ არა ვინმემ ქართული პროზის ამ უზარმაზარ მოსავალს დიდი მზრუნველის თვალით, და ამავე დროს გაიხსენა თუ არა ლევ ტოლსტოის მკაცრი, უკომპრომისო შეხედულება — „Есть только одна точка зрения, или это произведение искусства, или нет". და ამ დროს საქართველოში, მწერალთა კავშირის წევრთა სიით, 80-მდე კრიტიკოსია, და იმის მაგივრად, კრიტიკა აღმოჩენილიყო ვალის ქვაბში, იქ აღმოჩნდა პროზა, სწორედ კრიტიკის წყალობით.

საერთოდ, როდესაც ლაპარაკია ვალზე მწერლო-

ბაში, წაკითხული კი გვაქვს იმისი მეოთხედი მაინც, რაც დაიწერა? გააჩნია, ვალს როგორ გავიგებთ. მწერალი თუ მწერალია, და არა კაცი ნინოშვილის „მოსეს“ დონეზე, ის სიკვდილამდე ვალშია თავისი ხალხის, თავისი მშობლიური ლიტერატურის წინაშე. ჭეშმარიტი ვალის გრძნობა ამაშია, და ამგვარ ვალში ყოფნას ყველა ჭეშმარიტი მწერალი დაგიდასტურებთ.

კარგი მკითხველისაგან მე ვალის თაობაზე არაფერი მსმენია, მკითხველი უფრო მეტად იმას უჩივის, რომ ქართველი პროზაიკოსების წიგნები დროის დიდი ინტერვალით და არასაკმარისი ტირაჟით გამოდისო.

კარგი წიგნი მაღაზიის თაროს კი არა, მზის სინათლეს ვერ ნახულობს, ისე ქრება. თუ წიგნს ასიათასიანი ტირაჟით მოითხოვს მკითხველი, ჩვენ კი ათი ათასს ვბეჭდავთ, ხომ უდრის ეს ოთხმოცდაათიათას განაწყენებულ და დაკარგულ მკითხველს? „გუშინ“ დაწერილი რომანები იმიტომაც შეგახსენეთ, არავინ იფიქროს, ეს ყველაფერი უკვე ჩამოწერილი და დავიწყებულია.

როგორც პრესა გვატყობინებს, ათიოდე მწერალი მუშაობაში მკლავებდაკაპიწებული ჩაბმულა. ზოგი რომანს გვპირდება, ზოგი პოემას, ლექსების ციკლს, პიესას, თუ ნარკვევების კრებულს. ეს, რაც ვიცით. ახლა, რაც არ ვიცით, კიდევ რამდენი მუშაობს? ღმერთმა ქნას, არნახული მოსავალი მოგვეწიოს!

1974

განუყოფელი ცნებები

ვინ იცის, მწერლობა და მხატვრობა იქნებ იმის სურვილმაც წარმოშვა, ადამიანს თავისი თავი დაენახა, თავისი არსებობის, საქმიანობის, საქციელის არსი შეეცნო, საკუთარი ნაღვაწი და გამოცდილება კი მომავალი თაობებისათვის შემოენახა, როგორც არსებობის კვალი და გამართლება. ამ მიმართულებით მწერლობის მონაპოვარი და მისია იმდენად დიდია, ცივილიზებულ კაცობრიობას ამ აღმოჩენის გარეშე თავისი არსებობა უკვე ვეღარც წარმოუდგენია. მართლაც და რას ემსგავსებოდა გონიერი ადამიანის ცხოვრება ჰომეროსის, დანტეს, რუსთაველის, შექსპირის, სერვანტესის, ბალზაკის, დოსტოევსკისა და ტოლსტოის ქმნილებების გარეშე, რომლებმაც უხსოვარი დროიდან ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟამდე გვაზიარეს კაცობრიობის ეგზომ მშფოთვარე სულიერ და ფიზიკურ ცხოვრებას. და ეს პროცესი სამწერლო მოღვაწეობისა დღემდე წარმატებით გრძელდება. გრძელდება ჭიდილიც კეთილსა და ბოროტს შორის,

და ყველა ადამიანური ვნებები ახალ ვითარებაში სათანადო გამოხატულებას პოულობენ თანამედროვეობის ამსახველ ქმნილებებში. გარდა იმისა, რომ მწერლობამ გარკვეული როლი უნდა შეასრულოს დღევანდელი ადამიანის სულიერი ფორმირების საქმეში, მისი ქმნილება ამავე დროს კვლავაც უნდა რჩებოდეს უტყუარ მსატვრულ დოკუმენტად.

პასუხისმგებლობა მწერლობისა დღევანდელი ადამიანის ვნებების, მისი სულიერი ცხოვრების ასახვის საქმეში იმდენად დიდი და საპატიოა, რომ შეიძლება არც იყოს სხვა უფრო ძნელად გადასაწყვეტი საკითხი, ვიდრე მსატვრული ნაწარმოების დაწერის განზრახვაა, ამ გადაწყვეტილების მიღებაა, მის შესრულებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ყველა დიდი შემოქმედი ამ პასუხისმგებლობას მთელი სერიოზულობითა და სიმწვავით გრძნობდა ყოველთვის და მათი შემოქმედებაც გმირული შემართებით იყო აღბეჭდილი. საგულისხმო აქ ისიცაა, რომ კაცობრიობის წინსვლისა და საერთოდ სიკეთის სამსახურში მწერალს არაიშვიათად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უხდებოდა იმ ბნელ ძალებთან, რომელთაც საკუთარი სახის დანახვა ყოველთვის უსიამოვნებისა და შიშის გრძნობას ჰგვრიდა. ამიტომაც ყველა ეპოქაში მწერალი და მწერლობა ვაჟკაცობისა და სიბრძნის ცნებასთან იყო გაიგივებული; ვაჟკაცობის ცნებასთან, იმიტომ, რომ მწერალი ყოველთვის იყო სიმართლის მედროშე და გაბედული პირშიმთქმელი, მიუხედავად იმისა ცხენი „შეკაზმული“ ჰყავდა თუ

არა, სიბრძნისა იმიტომ, რომ ბრძნული დასკვნის გამოტანა ცხოვრების ავ-კარგზე მხოლოდ ბრძენს შეუძლია. რუსთაველის მიერ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „შაირობა... სიბრძნისაა ერთი დარგი"-ო. (ცხადია, „შაირობა", ფართო მნიშვნელობით, თვით პოეზიაა).

ხშირად წერენ, ლაპარაკობენ, ამტკიცებენ რომელიმე ნაწარმოებთან დაკავშირებით, ამა და ამ მწერალმა ცხოვრება არ იცის და, მისი ნაწარმოებიც იმიტომაა სუსტიო. ჩემი აზრით, ეს აბსურდია. სუსტი იმიტომაა, რომ ის პიროვნება მწერალი არ არის მოწოდებით, ან რაიმე ცდუნებას შეუპყრია და ხელი ისეთი რამისთვის მოუკიდია, რაც მისი ბუნებისათვის უცხო იყო. განა შეიძლება, მწერალი იყო და ცხოვრების ასავალ-დასავალი არ გაგეგებოდეს? თუ მწერალი ნამდვილად შემოქმედია, და არა გზას აცდენილი კაცი, მას ვერავინ უსაყვედურებს, ცხოვრება არ იცისო. და საერთოდ შეიძლება განა იმაზე წერა, რაც არ იცი? და საერთოდ მოუვა ასეთი შეცდომა ნამდვილ მწერალს? თუ მას ცხოვრებისეულ მასალასთან თავისი სულიერი და ფიზიკური კონტაქტი არ აკავშირებს, როგორ შეიძლება ასეთი მასალა სულში მომწიფდეს და, მით უმეტეს, იშვას... ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება — გარკვეული ჩანასახის გარეშე ნაყოფი არა ჩნდება, და არც არაფერი იბადება. თვითონ მწერლის ფიზიკური არსებობა, საზოგადოებრივი ურთიერთობა, ვნებები, ინტერესები თავისთავად ცხოვრება არ არის, გაპირობებული მო-

ღვაწეობის სფეროთი, ხასიათით და მასშტაბით? ჩვენი საუკუნის უდიდესმა ფრანგმა მწერალმა მარსელ პრუსტმა (რომელიც ავადმყოფობის გამო სიჭაბუკეშივე ჩაიკეტა საცობის ხის ფურცლით აკრულ, ყრუდ დახშულ ოთახში, გარესამყაროს ხმაურს რომ მის ყურამდე არ მიეღწია) დახატა საფრანგეთის არისტოკრატიის (თავისთვის სულიერად და ფიზიკურად ესოდენ ახლობელი ვიწრო წრის) უზარმაზარი სურათი. ნაადრევ გამოთიშვას ცხოვრების ორომტრიალიდან მისთვის ხელი არ შეუშლია, შეექმნა თხუთმეტტომიანი ეპოპეა.

ნიკოლოზ ოსტროვსკიმ, დაბრმავებულმა, მძიმე სენით ახალგაზრდობაშივე ლოგინს მიჯაჭვულმა, შექმნა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რამაც სასწაულის შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიო საზოგადოებრიობაზე.

ფაშიზმის საპყრობილეში მოხვედრილმა, ტანჯულმა პოეტმა მუსა ჯალილმა კი შექმნა პოეტური აღსარების აწ საქვეყნოდ ცნობილი ციკლი „მოაბიტის დღიურის“ სახელწოდებით. ცხოვრებისეულმა მასალამ, მათს სულში ესოდენ დიდი ტკივილით რომ გაიარა,შეაქმნევინა სამივე მწერალს ცხოვრების ცოდნით, ადამიანის სულში ღრმა წვდომის ნიშნით აღბეჭდილი ნაწარმოებები.

ემილ ზოლასათვის საკმარისი იყო, ორი კვირა იმ გარემოში, იმ ადამიანთა შორის ეცხოვრა, ვისზედაც რომანის დაწერა ჰქონდა განზრახული. და ეს დრო საკმარისი იყო მისთვის ისეთი ნაწარმოების

შესაქმნელად, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს არც მხატვრული ღირებულება და არც ზემოქმედების ძალა. შეუძლებელია, ამ ნაწარმოებების მიხედვით, ბევრიც რომ ეცადო, ემილ ზოლა დაიჭირო ტყუილში, რაიმე ცხოვრებისეულ შეუსაბამობაში, დასწამო ცხოვრების უცოდინარობა, ან ზერელობა. მწერალი იმ ორიოდე კვირის მანძილზე ახერხებდა იმდენის დანახვას, მოვლენისა თუ ადამიანის სულის სიღრმეში ისერიგად წვდომას, რასაც ვერასოდეს ვერ მოახერხებდნენ მისი რომანების, ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული პერსონაჟების პროტოტიპები, თუნდაც მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე. ცხადია, მწერალი ხელცარიელი არ მიდიოდა ცხოვრებისეული მასალის მოსაპოვებლად. იდეური ჩანაფიქრი, ფილოსოფიური კონცეფცია, მისთვის უკვე გამოკვეთილი და დღესავით ნათელი იყო, თანაც მას ზედმიწევნით შეცნობილი ჰქონდა ადამიანის ბუნება.

კოლმეურნეობის რომელმა თავმჯდომარემ დაგვიწერა საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე „გვადი ბიგვაზე“ უკეთესი რომანი? ლეო ქიაჩელი ხომ ვერ შეედრებოდა რომელიმე თავმჯდომარეს საკოლმეურნეო ცხოვრების საფუძვლიან ცოდნაში?! მაგრამ ცხოვრების ცოდნა რიგითი ადამიანისა და მწერლისათვის სრულიად განსხვავებული ცნებებია. ამ ცნებებს კი მავანნი ძალიან ხშირად აიგივებენ, და წერენ ცხოვრების ცოდნა-არცოდნის საკითხებზე მწერლების გასაგონად.

თუ ადამიანი თავისი ფიქრისა და გრძნობის რომელიმე ფორმაში გამოთქმის უნარითაა მომადლებული, დანარჩენის კარნახი, რა, როდის და როგორ თქვას, უკვე ზედმეტია. აი, ამ თავის დროზე თქმის აუცილებლობითაა გაპირობებული „მთაწმინდის მთვარის“ დაწერა 1915 წელს, „დროშები ჩქარა“ — 1917 წელს, ხოლო „ქებათა ქება ნიკორწმინდასი“ 1947 წელს. განა შესაძლებელია ან წარმოსადგენია ეს პროცესი და ეს ლოგიკა პირუკუ?..

დიდი იტალიელი კომპოზიტორის — ვერდისათვის — ეგვიპტის მთავრობას შეუკვეთია ოპერის დაწერა სუეცის არხის მშენებლობის დამთავრებისათვის გათვალისწინებული ზეიმის შესამკობად. ვერდის უარი უთქვამს, მაგრამ გასულა დრო და კომპოზიტორს შემკვეთლებისათვის ახლა თვითონ შეუთავაზებია ოპერის სიუჟეტი... არა სუეცის არხის მშენებლობის თემაზე, არამედ... აიდას ტრაგიკულ სიყვარულზე.

საგულისხმო ფაქტია. მარტო ხელშეკრულება, შეკვეთა და თუნდაც მასალის შესწავლა არ კმარა მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. ვერდიმ თავისი მაგალითით ერთხელ კიდევ ცხადყო ის ჭეშმარიტება, რომ არ შეიძლება იმაზე წერა, რაც სულის სიღრმემდე არ გძრავს, რაც არ არის ზედგამოჭრილი იმ ფორმისათვის, რითაც გინდა გამოხატო სათქმელი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სუეცის არხის მშენებლობის, თუ სხვა რამ მსგავსი თემა იმ ქვეყნის ისტორიიდან, არავის არ აღელვებდა. მისი მომღერა-

ლიც უთუოდ მოიძებნებოდა. „კაცია ადამიანის?!“ თემა, მთელი მისი სულიერი ატმოსფერო ილია ჭავჭავაძეს აღელვებდა, ტანჯავდა ეგზომ ძლიერად, და ამიტომაც გააყოლა მას თავისი გულის მთელი სიმხურვალე, ამიტომაც დაწერა; მაგრამ იმავე თემას შეუძლებელი იყო, აეღელვებინა ვაჟა-ფშაველა: ის ამ დროს „სტუმარ-მასპინძლის“ ტრაგედიაზე ფიქრობდა. ყველაფერზე წერა არც ცხოვრების ცოდნას მოასწავებს, არც დიდ ტალანტს, და შეიძლება ასეთ მწერალს არც არაფერი შერჩეს ხელში.

ყველა ერს აქვს თავისი ცხოვრება, გაპირობებული ისტორიით, გეოგრაფიით, კულტურით, ტემპერამენტით და სახელმწიფოებრივი მართვის ფორმით. მწერალი და საერთოდ ხელოვანი კი თავისი ერის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, თავისი დროის შთაგონებული მომღერალი და პირუთვნელი მსაჯული უნდა იყოს.

1972

«ვედრება»

ქართულ კინემატოგრაფიაში იმთავითვე შეიქმნა ტრადიცია კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ეკრანიზებისა.

ქართველ ავტორთაგან ყურადღება მიიქციეს: დ. ჭონქაძემ, ე. ნინოშვილმა, ა. ყაზბეგმა, აკაკიმ, ილიამ, გ. წერეთელმა, შ. არაგვისპირელმა, ნ. ლომოურმა, ნ. ნაკაშიძემ და სხვ.

არაქართველ ავტორთა ნაწარმოებების ხვედრითი წონაც არ იყო უმნიშვნელო: ბლიახინის „წითელი ეშმაკუნები“, ცვაიგის „ამოკი“, ერენბურგის „კომუნარის ჩიბუხი“, ვოინიჩის „კრაზანა“, ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“, ბერკოვიჩის „ბოშას სისხლი“, იუჯინ ო'ნილის „ქალი ბაზრობიდან“ და სხვა. ამათგან ბევრი დავიწყებას მიეცა, მაგრამ ერთეულები დღემდე ინარჩუნებენ სიცოცხლეს არა მარტო მაყურებელთა ხსოვნაში, არამედ ქართულ კინემატოგრაფიაშიც. ეს ის ერთეულებია, რომლებიც ბრმად არ მისდევენ ლიტერატურულ ტექსტს და კი-

ნოს სპეციფიკის თვალსაზრისითაც თავისთავში შეიცავენ არა მარტო რაღაც ახალს, არამედ ზოგჯერ ნოვატორულსაც კი.

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას, მას ერთი შეხედვით, უეჭველად უნდა გამოეწვია ცხოველი ინტერესი ქართველ კინემატოგრაფისტთა შორის. მაგრამ ეს არ მოხდა, ჩემთვის პირადად სრულიად გარკვეული მიზეზების გამო. ის პრობლემები, რომლებსაც ვაჟა აყენებს თავის ნაწარმოებებში, ერთი მხრივ, მთელი სიმწვავით მხოლოდ ახლა წამოიჭრა ჩვენ წინაშე; მეორე მხრივ, თუ შემოქმედი იმ მასალას ჰკიდებს ხელს, რისი შემწეობითაც თავის სათქმელს გამოხატავს, ალბათ დღემდე არ ჩანდა ისეთი კინოხელოვანი, რომელიც თავისი გულისტკივილის სათქმელად ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას მიმართავდა; და იქნებ ამის თქმა მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. თვით „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციაზედაც კი იყო ლაპარაკი და პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა, როდესაც ოციან წლებში „ნიბელუნგების“ ავტორს, ფრიც ლანგს, თითქოს და შესთავაზეს მისი გადაღება, მაგრამ ეს წამოწყება ჩაიშალა.

თუკი წარსულის რომელიმე ლიტერატურული ქმნილება კინოში განსახორციელებლად დიდ სირთულეს შეიცავს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ, რასაკვირველია, ეს ვაჟა-ფშაველას პოემებია. მათთვის ამ თვალსაზრისით ხელის ხლება რომ გმირობას უდრის, ამას ის დუმილიც ამტკიცებს, რომელიც ვაჟას ნა-

წარმოებების ეკრანიზაციის საკითხში დღემდე სუფევდა.

ასეთი გაბედული ნაბიჯი ქართულ კინემატოგრაფიაში ბოლოს და ბოლოს გადაიდგა და ეს ითავა ყველა ჩვენგანისათვის კარგად ცნობილმა, ქართველ კინოხელოვანთა ახალი თაობის წარმომადგენელმა — თენგიზ აბულაძემ; ამის თაობაზე უკვე ითქვა, და მომავალშიც იტყვიან. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც ამ ნაბიჯის გადადგმა იყო.

მეორე კითხვა, რომელიც პირველიდან უშუალოდ გამომდინარეობს, ისაა, თუ როგორ ჰრის ეს ნაბიჯი გადადგმული. ვიდრე ამ საკითხს უშუალოდ შევეხებოდეთ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყაროსა და ვნებების ეკრანიზაციის საქმეში თენგიზ აბულაძეს წინაპარი და გზის გამკვლევი არა ჰყოლია, მაგრამ იგივე სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ „ვედრება“ ცარიელ ადგილზე მაინც არ აღმოცენებულა, — ქართულ კინოხელოვნებას თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ჰყავდა ნოვატორი-რეჟისორები, და „ვედრების“ წინამორბედი უთუოდ გახლავთ მთის ხალხის თემაზე წარსულში შექმნილი ორი ბრწყინვალე ქართული ფილმი — „ელისო“ და „უკანასკნელი ჯვაროსნები“. თუ ეს ფილმები აბულაძის გაბედული ნაბიჯისათვის იყო ერთგვარი სტიმული, სამაგიეროდ ეს ფილმები ჩვენგან, კინოხელოვნების შემდგომ მონაპოვართა თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ისეა დაშორებული და, მეორე მხრივ, წმინდა

სელწერის თვალსაზრისითაც ისეთი ინდივიდუალობითაა აღბეჭდილი, რომ მათს გზას აბულაძე ბრმად ვერ გაჰყვებოდა, და როგორც ჭეშმარიტი ხელოვანი, ის სწორედ თავისი გზით წავიდა.

ყოველი შემოქმედი, რომელიც გარკვეული სულიერი სიახლოვით გაპირობებულ მასალას ჰკიდებს ხელს, რა ჟანრის წარმომადგენელიც უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იმით, თუ როგორ გააკეთებს, როგორ შეასხამს სორცს ამ მასალას. რისი თქმაც მსურს, უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, გაგახსენებთ ერთ მაგალითს მხატვრობიდან: იშვიათად იქნება ქართველი კაცი, რომელსაც იმერეთი არ ენახოს. მაგრამ რა ერთფეროვანი იყო ეს ხილვა, სანამ დავით კაკაბაძე მოვიდოდა. დავით კაკაბაძემ იმერეთის პეიზაჟი დაგვანახვა სულ სხვა თვალით და, მხატვრის ამ, ერთი შეხედვით უცნაური აღმოჩენის შემდეგ, თვით რეალურ იმერეთსაც ახლა დავით კაკაბაძის თვალით დავუწყეთ ცქერა. შემოქმედებაში ყველაზე დიდი მონაპოვარი სწორედ ისაა, რომ ხელოვანმა შესძლოს, თავისი თვალით დაგვანახვოს საგანი თუ სამყარო (რასაკვირველია, მე ვგულისხმობ რეალისტურ ხედვას). ამას მოწმობს ლიტერატურის მრავალი მაგალითიც:

გალაკტიონ ტაბიძემდე არსებობდა ერთი ნიკორწმინდა — ერთი ტაძარი. მას შემდეგ, რაც გალაკტიონმა დაწერა „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, არსებობს ორი ნიკორწმინდა — ორი ტაძარი — ერთი რაჭის მიწაზე, მეორე გალაკტიონის პოეზიაში. და მე

არ ვიცი, რომელი უფრო დიდია, მაგრამ ის კი ვიცი — რარიგ სჭირდებათ ამიერიდან მათ ერთმანეთი — ტაძარს ლექსად აღვლენილი ხილვა და ლექსს— ტაძარი.

რაც შეეხება „ვედრებას“, იგი თ. აბულაძის მიერ დანასული ვაჟა-ფშაველას სამყაროს ერთი მონაკვეთია, და მე პირადად ვაჟა-ფშაველას ეგოდენ თვალუწვდენი სიმაღლის შემოქმედების ზოგიერთი ნიმუში თუ ხილვა ვეღარ წარმომიდგენია იმ კადრების გარეშე, რომლებიც განცვიფრების, აღტაცებისა და ეროვნული სიამაყის კეთილშობილურ გრძნობას იწვევს ჩვენში, — ჩვენში-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მე „ვედრების“ ამგვარად აღქმაში მარტო არა ვარ.

ამრიგად, ახდა ჩვენი კიდევ ერთი დიდიხნის ნატვრა — ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებების პერსონაჟები მოევლინენ ეკრანს. ასე გაჩნდა თენგიზ აბულაძის ფილმი „ვედრება“. და ის, რაც აქამდე ყოველი ჩვენგანის წარმოდგენაში ნებისმიერი წარმოსახვით ცოცხლობდა, დღეს ხორცი შეისხა და კონკრეტულ სახეებში გამოგვეცხადა. ჩვენი მაყურებელი, ჩვენი საზოგადოებრიობა ახლა იმის განსჯაშია, როგორ გადაიდგა ეს ნაბიჯი; ყველას გული ერთნაირად მოიცვა თავშეუკავებელმა ვნებათაღელვამ — ლიტერატურის სპეციალისტებისა თუ პატივისმცემლებისა, კინოპროფესიონალებისა თუ არაპროფესიონალებისა. მე მგონია, ამ ვაი-უშველებელში ცოტა წყალი აიმღვ-

რა და ყველაფრის ისე დანახვა, როგორც ეს იმთავითვე საჭიროც იყო და შესაძლებელიც, შეუძლებელი გახდა ზოგისთვის მაინც. დროის სულ მცირე მონაკვეთში ფილმს მოჰყვა ქართული სინამდვილისათვის არნახული გამოხმაურება პრესაში. მაგრამ ამ გამოხმაურებაში, სამწუხაროდ, ფუჭი ხმაური უფრო მეტი იყო, ვიდრე მომხდარი ფაქტის ჯეროვნად შეფასების ცდა. მე მხედველობაში მაქვს „ვედრების“ გამო დაბეჭდილი ის წერილები, სადაც საქმე ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს თენგიზ აბულაძე ხელყოფს, ებრძვის და ჩვენ კი მისგან გააფთრებით. ვიცავთ ვაჟა-ფშაველას ინტერესებს არა მარტო კინემატოგრაფიაში, თქვენ წარმოიდგინეთ, ლიტერატურაშიც კი.

ზოგიერთი „გულმოწყალე“ ავტორი იქამდისაც კი მიდიოდა, რომ აბულაძეს თავის რეცეპტსაც სთავაზობდა, — როგორ უნდა დაედგა მას ფილმი, რომელი ნაწარმოებები აერჩია დასადგმელად და სხვა ამგვარი შუმი გულუბრყვილობანი. ნიჭის მადლით გაპირობებული, ხელოვანის აზროვნების თითქმის შეუცნობელი პროცესი ვერ ითმენს უადგილო ჩარევას.

ჩვენ ხომ არ მოგვივა აზრად, მწერლებმა ან კინემატოგრაფისტებმა ვურჩიოთ ქირურგს — როგორ გააკეთოს გულის ან ტვინის ოპერაცია. ზოგიერთი კი, როგორც ვთქვი, თავს ნებას აძლევს, ასეთი რჩევით მიმართოს მწერალს, მხატვარს თუ რეჟისორს. რა ვუყოთ, რომ მწერლები და მხატვრები ასე მომ-

რავლდნენ. მათში ნამდვილად ნიჭიერი ისევე ცოტაა, როგორც ყოველთვის იყო ცოტა და მომავალშიაც იქნება ცოტა. და ხდება ისე, რომ ხშირად სწორედ ამ „ცოტას“ გადავატეხთ ხოლმე თავზე ყველა ჯოხს, რაც კი ხელში მოგვხვდება. გაკრიტიკების ჟინით შეპყრობილთა შორის ყველა კეთილის მსურველი როდია და მათ კარგად იციან, საიდან უნდა შეუდგე შენობის დანგრევას; საჭირო არ არის ეს საქმე სახურავიდან დაიწყო, გამოუთხარე ძირი მის საყრდენებს და შენობაც ერთბაშად ჩაიქცევა; შენობის ამგვარად დანგრევის კლასიკური მაგალითი იყო — ახლო წარსულში ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის ლაშქრობა — ფიროსმანის, გუდიაშვილისა და კაკაბაძის შემოქმედების წინააღმდეგ. გამოაცალე ქართულ ფერწერას ფიროსმანი, კაკაბაძე, გუდიაშვილი და თუ მთლიანად არა, სანახევროდ ხომ მაინც დანგრეული აღმოჩნდება ქართული ხელოვნების შენობა!

გამოაცალეთ დღევანდელ ქართულ კინოხელოვნებას თენგიზ აბულაძე, ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, რევაზ ჩხეიძე და აცინეთ მტერი! ჩემი აზრით, განუკითხაობის და გაბიაბრუების დაღით აღბეჭდილი კრიტიკა მთლიანად თუ არა, შეგნებულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც და შეუგნებლად მაინც, ამ პათოსითაა გამსჭვალული.

რა შემთხვევაში უნდა ჩაგვეთვალა თენგიზ აბულაძის მიერ გადადგმული ნაბიჯი საზიანოდ, როგორც ერთნი ამტკიცებენ და, რა შემთხვევაში უნდა

ჩაგვეთვალა სასახელოდ, როგორც მეორენი ამბობენ. საზიანოდ უნდა ჩაგვეთვალა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ „ვედრების“, როგორც მხატვრული ნაწარმოების, გამოჩენისა საერთოდ შეგვრცხვებოდა, სასახელოდ უნდა ჩაგვეთვალა იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოჩენა, რა მანძილზედაც არ მოხდებოდა იგი, საამაყო იქნებოდა ჩვენთვის.

ყველანი დამეთანხმებით, რომ თენგიზ აბულაძე ვაჟა-ფშაველას სიმაღლის შემოქმედი არ არის კინემატოგრაფიაში, ასევე უნდა დამეთანხმოთ იმაშიაც, რომ, მიუხედავად ამისა, „ვედრების“ ამა თუ იმ ნაწილში რეჟისორი ისეთ წიაღსვლებს აკეთებს და ისეთ სიმაღლეს აღწევს, რომ თითქმის უტოლდება თავისი პათოსით ჩვენს წარმოსახვაში დამკვიდრებულ ვაჟასეულ მხატვრულ სახეებსა და ხილვებს. ეს კი ისეთი მონაპოვარია, რომელზედაც ჯერ კიდევ გუშინ ოცნებაც არ შეგვეძლო. მოკამათეთა ერთი წყება გამომწვევად კითხულობს — შეიძლებოდა თუ არა ამდენი ნაწარმოების ერთ ფილმში თავმოყრაო და გამარჯვებულის კილოთი უპასუხებს — არ შეიძლებოდაო! („დაკარგული სამოთხე“? „პალიასტომი“?). საქმე ის კი არ არის, შეიძლებოდა თუ არ შეიძლებოდა, საქმე ისაა — შესძლებდა თუ არა რეჟისორი ამ მასალის ყველა მონაკვეთს ერთნაირად გამკლავებოდა. არც ყოფილა და არც არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ხელოვანი თავისი ქმნილების ყველა ნაწილში ერთ დონეზე იდგეს. არც აბულაძის ფილმშია შესრულებული ყველაფერი ერთ დონეზე,

მაგრამ ამისი მიზეზი ის სულაც არ არის, რომ ერთ ფილმში მან ვაჟას რამდენიმე ნაწარმოებს მოუყარა თავი, — ეს თავმოყრა იმ ამოცანის შესაბამისად, როგორც რეჟისორს დაუსახავს, ზოგ შემთხვევაში არა მარტო გამართლებული, აუცილებელიცაა.

ერთი მაგალითი.

„ალუდა ქეთელაურის“ ერთ ეპიზოდში დაუფარავად, დაუზოგავად, შემზარავი სისასტიკით ნაჩვენებია პირუტყვის — ცხვრისა თუ ხარის — დაკვლა. დაკვლის ასე ჩვენებისას რეჟისორს რომ დიდი მიზანი და სათქმელი არ ჰქონოდა, მისი მხრით ეს იქნებოდა არა მარტო ზომიერების გრძნობის დაკარგვა, შეიძლება—დანაშაულიც. მაგრამ ფილმის მეორე მონაკვეთში („სტუმარ-მასპინძელი“) ჩვენ მოწმენი ვხდებით იმისა, რომ იმ ცხვარსა თუ ხარსავით — ესე იგი, პირუტყვის დონეზე, ადამიანები კლავენ ბუნების გვირგვინსა და მშვენებას — ადამიანს. და ამ ბრწყინვალედ მიგნებული შეპირისპირების მაგალითზე ამ შემთხვევაშიაც ვაჟა-ფშაველას სულისკვეთების ერთგული აბულაძე გაგვახსენებს ვაჟასავე ნათქვამს — „არ შეიძლება მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენი კაცობისა“. ლამაზი არსის დაღუპვის საფრთხე ვაჟას გმირების მაგალითზე ფილმში ნაჩვენებია ორ ასპექტში — ზვიადაურის დაკვლა და მაცილის პირუტყვული ინსტინქტების ქადაგება. თენგიზ აბულაძეს ისღა დარჩენია დაუმატოს, რომ მოგვიწოდოს — შევებრძოლოთ ამ ტენდენციებს. ვისაც ამისი საჭიროება ან აუცილებლობა არ ესმის, შეიძლება ითქვას,

რომ არ ესმის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პათოსი. ჩემი ღრმა რწმენით, არც ვაჟა-ფშაველას და არც თენგიზ აბულაძის გაგება ამ ასპექტში არ გაუჭირდება არა თუ ქართველ, არც რუს, არც ფრანგ, არც იტალიელ, აფრიკელ თუ აზიელ მაყურებელს. „ვედრებისადმი“ კრიტიკულად განწყობილნიც კი (ზოგიერთნი) იძულებულნი არიან აღნიშნონ ის დიდი მიღწევა, რომ რეჟისორმა მოახერხა გამოსახულებისა და ლექსის შერწყმა. სხვა რამ ღირსება „ვედრებას“ რომც არ გააჩნდეს, მარტო ეს გარემოება იმდენად მნიშვნელოვანია, ვერავითარი ნაკლი ამ მონაპოვარს ვერ დაჩრდილავდა. და მართლაც, რა დიდებულად ჟღერს ვაჟას პოეტური სტრიქონი ეკრანიდან, და როცა იმასაც გაიფიქრებ, რომ არ არსებობს კინოზე უფრო დიდი და ყოვლის მომცველი ტრიბუნა და პროპაგანდისტი, სიხარულისაგან გაოგნებული და თავბრუდახვეული ზიხარ დარბაზში და ლოცავ იმ წამს, როდესაც თენგიზ აბულაძეს აზრად მოუვიდა ვაჟა-ფშაველას ამ ტრიბუნასთან მიწვევა! ვაჟას ლექსი ერთბაშად იქცა მილიონების საკუთრებად. რა თქმა უნდა, არსებობს ერთი დაბრკოლება, რომელიც, არ ვიცი, როგორი წარმატებით გადაილახება — როგორ ელფერს მიიღებს ვაჟას უკვე სხვა ენებზე თარგმნილი პოეტური სტრიქონი. მე მგონია, ეს გარემოებაც რომ იმთავითვე გათვალისწინებული იყო რეჟისორის მიერ, იქიდანაც ჩანს, რომ გამოსახულება, მე ვიტყოდი, არა მარტო მაქსიმალურად, თითქმის განსაცვიფრებლად მეტყველია. და ვაჟას პერსო-

ნაჭების სულში წვდომა შესაძლებელი გახდება, ალბათ, თვით თარგმნილი ტექსტითაც კი.

თენგიზ აბულაძე ადამიანების ჩვენებისას მარჯვედ იყენებს მუნჯი კინოს არაერთ მონაპოვარს, მუნჯი კინოს უდიდესი მიღწევა კი იყო ხმის გარეშე მაყურებელზე ზემოქმედება წმინდა პლასტიკური საშუალებით.

თუ „ვედრებაში“ რეჟისორმა შესძლო პოეტური სტრიქონისა და გამოსახულების ბრწყინვალედ შერწყმა, ამასვე ვერ ვიტყვით ლექსად დაწერილ ნაწარმოებებსა და პროზად დაწერილი ნაწარმოებების ურთიერთშერწყმის შესახებ. არ იქნება რაიმე პარადოქსი, და მით უმეტეს, დანაშაული, თუ ვიტყვით, რომ ვაჟას პროზაული ნიმუშების უმეტესობა — „საახალწლო სიზმარი“, „მოჩვენება“ და მისთანანი არ დგანან მისივე „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ დონეზე. ჩემი აზრით, ესეც უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რომ რეჟისორმა ზოგ შემთხვევაში ვერ შესძლო პლასტიკურად ამ მასალის ისევე, იმ ძალით წარმოსახვა, რომ იგი გაეთანაბრებინა გენიალური პოემებით გაპირობებული გამომსახველობის დონისათვის. ეს გარემოება იმდენად თვალშისაცემი არ იქნებოდა, რომ ფილმის დრამატურგია ყველა შემთხვევაში იდგეს რეჟისურის დონეზე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დრამატურგიულად უფრო ოსტატურად დაკავშირება რომანტიკულისა და ნატურალისტურად გაშიშვლებული ზოგი პერსონაჟის ვნებებისა, რა თქმა უნდა, ფილმს უფრო

მთლიანი სახე ექნებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ვედრების“ აღქმას მთლიანად ეს ისე არ უშლის, როგორც ამას ზოგიერთი გვიხატავს. ერთ შემთხვევაში თვითონ რეჟისორს შეჰყავს შეცდომაში მკითხველი, როცა აცხადებს, რომ ფილმი სამი ნოველისაგან შედგებაო და მესამე ნოველად გულისხმობს ცალკეულ ეპიზოდებად მთელი ფილმის მანძილზე აქა-იქ ჩართულ მოთხრობისა თუ ლექსიდან მომდინარე სიუჟეტებს თუ პასაჟებს. მესამე ნოველა არ არსებობს იმ სახით, როგორითაც პირველი ორი „ნოველა“.

მაქვს ერთი არსებითი ხასიათის შენიშვნაც. მე პირადად დასაშვებად მიმაჩნია სამგლოვიარო პროცესიის ისე ჩვენებაც და სხვა მოტივებიც, გინდა ფელინისეულად ჩაუთვალონ ზოგიერთებმა იგი რეჟისორს და, გინდა ბერგმანისეულად, მაგრამ სიკეთის, ანუ ქალი-იდეალის ისე ჩვენება, როგორც ეს ფილმშია, მე პირადად არ მაკმაყოფილებს. მართალია, თქმა ადვილია, მაგრამ ამას მაინც თენგიზ აბულაძის შესაძლებლობა გვალაპარაკებს.

აი როგორ ხატავს თვითონ ვაჟა ამ ქალს „საახალწლო სიზმარში“ — „... ბველი კაბა ეცვა, ფეხშიშველი, მაგრამ ლამაზი, სამოთხე გარდაქმნილიყო ქალად და მოვიდა ჩემთან. მკერდი ნახევრამდე გადაღეღილი ჰქონდა, ზედ ია და ვარდი ჰყვაოდა, იმის თვალებში ღმერთებს დაესადგურათ, დიდი ოკეანე იმის თმად ქცეულიყო, მთელი ჩვენი პლანეტი — იმის სახედ“.

მწერალი ამ სიკეთედ მოვლენილ არსებას ხორციელადაც ხატავს და მე ეს ქალი ამის გამო ცოტა სხვაგვარად წარმოვიდგინე, მის კინემატოგრაფიულ ინტერპრეტაციაში რეჟისორს ვერ დავეთანხმე, რადგანაც ამ შემთხვევაში მან ვერ დამაჯერა. თუმცა ისიც უნდა ავღნიშნო, რომ ამ ქალის სახესთან დაკავშირებულია ფილმის ერთი ბრწყინვალე კადრი, როცა ქალი ჩამუქებული მთების ფონზე მოაბიჯებს კაშკაშა სითეთრემდე განათებულ პურის ყანაში. ამ შემთხვევაში ქალის გამოსახულებაც ამაღლებული და პოეტური ჩანს, მაგრამ ამ ღირსებას სხვა ვითარებაში ის ვეღარ ინარჩუნებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, „ვედრების“ ღირსებას ვერ ჩრდილავს მისი ნაკლი, ამიტომ ჩემთვის იგი რჩება ქართული კინოხელოვნების მეტად სერიოზულ მიღწევად არა მარტო მისი განვითარების ამ ეტაპზე, არამედ მომავალშიც.

1968

კვლავ ცაბუნია

კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ცაბუნიას“ შესახებ ბევრი საგულისხმო რამ ითქვა და დაიწერა. ეს განსაკუთრებული ყურადღება თანამედროვე ქართული პროზის დიდოსტატის მოთხრობამ დამსახურებულად მიიპყრო. საკვირველი თითქოს აქ არაფერია: კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებს მკითხველისა და კრიტიკის ყურადღება არც აკლდა, არც აკლია და ალბათ არც მოაკლდება, მაგრამ „ცაბუნია“ მაინც გამონაკლისივით ჩანს. მიზეზის პოვნა ძნელია. ასეთი ხვედრი ერგო ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცს“, ლეო ქიაჩელის „თავადის ქალ მაიას“ ჩეხოვის „კაცს ფუტლარში“, მერიმეს „კარმენს“, სტენდალის „ჩენჩის“, თუმცა ამ ავტორებს სხვა უფრო გახმაურებული ნაწარმოებებიც აქვთ.

მაინც რა განაპირობებს კერძოდ „ცაბუნიას“ პოპულარობას მკითხველთა შორის და აღიარებას კრიტიკოსთა მიერ? ერთი შეხედვით და უპირველეს ყოვლისა, მწერლის ოსტატობაც, დიდი უშუა-

ლობით აღბეჭდილი პორტრეტებიც — ცაბუნიასი, ვალიკო აბულაძისა, მოხუცი დარაჯისა, არჩილ მესხისა და, რა თქმა უნდა, სიტუაციაც. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით; საიდუმლოება კი წარმატებისა სულ სხვაგან ძევს. ყველა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების ტექსტს თან ახლავს ღრმა შრის სახით ქვეტექსტიც. სწორედ ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ნაწარმოებში ყველა პოულობს საზრდოს — ღრმად ჩახედულიც და ჩაუხედავიც. აქ არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ ავტორი ცაბუნიას სახით ზოგადადამიანურ ხასიათს ხატავს. რომელი ქვეყნის მკითხველმაც უნდა წაიკითხოს ეს მოთხრობა, ცაბუნიაში უეჭველად შეიცნობს ისეთ ადამიანურ ხასიათს, რომელსაც თავისი ხალხის წიაღშიც იპოვის. ამ საიდუმლოებას პროზის ოსტატისა ქართულ სინამდვილეში ყველაზე მეტად ფლობს დავით კლდიაშვილი, რომელიც იმერეთის მასალაზე ძერწავს სწორედ ზოგადადამიანურსა და ზოგადსაკაცობრიო ხასიათებს, და ამავე დროს წარმოადგენს უაღრესად ეროვნულ მოვლენას.

რა მარტივია თავისთავად ამბავი, რომელიც „ცაბუნიას“ უდევს საფუძვლად: რახანია, ყოველ დილას, თერთმეტი წლის ცაბუნია ბათუმის მატარებლის ჩამოდგომამდე სამტრედიის სადგურისაკენ მიიჩქარის; იქნებ ღმერთი შეეწიოს და სანიტარულ ვაგონში იპოვოს ვინმე დაჭრილი ჯარისკაცი, რომელსაც მამამისის ასავალ-დასავალი ეცოდინება. და მიუხედავად ამბის ამ სიმარტივისა, შეუძლებელია მო-

ხრობის გულგრილად წაკითხვა. ცაბუნიას პირველი ხმის ამოღებისთანავე მყარდება საოცარი სულიერი ინტიმი მკითხველსა და პერსონაჟს შორის. — „დე, მოვიხურო შენი ღაზლი?“ მერე ის თეთრი ბატივით კარადის უჯრიდან ამოფრენილი ღუნღუღა ღაზლი, რომლის მოუთელავი ბეწვი ჯერ კიდევ შუშხავს თავ-კისერს, ცაბუნიას ჭორფლიანი ცხვირი, ბუხართან დაბრაწული წვივები, ცხვირიანი კალოშები, ატალახებულ შარაგზაზე მისი ტყაპუნის ნაცნობი ხმა, მეზობლების ირონიული შენიშვნა, ზუსტად და ლაკონიურად დახატული პერსონაჟები, გარემო, ვითარება — ეს ყველაფერი ისე უნებლიეთ და შეუმჩნევლად იპყრობს მთელს თქვენს არსებას, რომ თავი ამ ამბის უშუალო მონაწილე გგონიათ, თითქოს ეს ყველაფერი თქვენ თვალწინ ხდებოდეს. მწერალი საჭირო სიტყვას ისე მარჯვედ სვამს ფრაზაში, თითქოს წმინდა ნემსის უხილავ ყუნწში ნერწყვით დასველებული ძაფის წვერს იმ გასაოცარი სიზუსტით უყრიდეს, რაც უნებლიე გაკვირვებას იწვევს ხოლმე. დაკვირვებული მკითხველი იმასაც თავიდანვე გრძნობს, რომ ავტორი თავისი გმირის გვერდით არის სადღაც უხილავად. ამ უხილავად ყოფნას პერსონაჟის გვერდით ერთხელ მაინც ამხელს ავტორი, როცა ესოდენ თანაგრძნობით შენიშნავს — „თუ საშველი დაგვადგა და ცოტა გამოიდარა...“ თითქოს უფრო ბუნებრივი იქნებოდა, ავტორს რომ ეთქვა — თუ საშველი დაადგა და ცოტა გამოიდარაო, მაგრამ ის ხაზგასმით ამბობს, თუ საშველი დაგვად-

გაო; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცაბუნიას საზრუნველი, ფიქრი, წუხილი ავტორს ისე ახლოს მიაქვს გულთან, როგორც საკუთარი. სწორედ მათი — ავტორისა და პერსონაჟის — ერთ „გამოსახულებად“ ქცევა, ფოტოაპარატის შუშაზე აღბეჭდილი, ფოკუსის მონახვამდე გაორებულ გამოსახულებასავით იძლევა იმ გასაოცარ შედეგს, რომ ცაბუნია წარმოგიდგებათ არა მარტო ნიჭიერად დახატულ პერსონაჟად, არამედ თქვენს გვერდით მყოფ ცოცხალ არსებადაც კი. პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ავტორი რეალურ პიროვნებას აღწერს თუ გამოგონილს ხატავს, — საქმე ამჯერად ბელეტრისტული ხერხით ისეთ წარმოსახვაშია, რომ ის დამაჯერებელი იყოს.

ამ მოთხრობაში, უპირველეს ყოვლისა, მე მხიბლავს მისი ფილოსოფიური სარჩული, თორემ „ცაბუნიასათვის“ დამახასიათებელი ენობრივი ქსოვილის ხარისხს, პერსონაჟების ხატვის ოსტატობას, ფსიქოლოგიური ნახატის სიზუსტეს, სათქმელის სიცხადეს, ესოდენ მარჯვედ და მკაფიოდ ფიქსირებულ ფიზიკურ თუ სულიერ მოძრაობას, ცინცხალ დეტალსა და ნიუანსს კ. ლორთქიფანიძის ამ ციკლის („სიკვდილი ცოტას მოიცდის“) სხვა, რომელიც განებავთ, მოთხრობაშიც იპოვით. ცაბუნიას ფილოსოფიურ სარჩულზე დაფიქრებამ უნებლიეთ გამახსენა ჰემინგუეის მოთხრობა „მოხუცი და ზღვა“. რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ ეს ამბავი, მოხუც მეთევზეს — სანტიაგოსა და თერთმეტი წლის ბავშვს—ცაბუნიას— შორის, მართლაც, შეიძლება აღმოაჩინოს კაცმა შე-

ხების ხილული თუ უხილავი წერტილები. მოხუც მეთევზეს სანტიაგოსა და თერთმეტი წლის ბავშვს—ცაბუნიას — ერთი მიზანი ამოძრავებთ, ერთი სურვილი უკარგავთ მოსვენებას, — რადაც უნდა დაუჯდეთ, მიაღწიონ თავიანთ საწადელს, რომელიც ჩრდილავს მათს არსებაში ყველა სხვა სურვილს, ოცნებას. სანტიაგოსათვის ესაა დიდი თევზის დაჭერა, ცაბუნიასათვის — დაჭრილ ჯარისკაცთა შორის იმ ადამიანის პოვნა, რომელიც ფრონტზე მყოფი მამის ამბავს შეატყობინებს. ორივე პერსონაჟის ცხოვრებაში ამ ჯიუტ სურვილს დიდი მორალური სარჩულიც უდევს, — როგორც ასრულების, ისე აუსრულებლობის შემთხვევაში მას შეუძლია შეცვალოს გმირის მთელი შემდგომი ცხოვრება, აღადგინოს, ან საბოლოოდ დაარღვიოს მისი სულიერი წონასწორობა.

თავისი აკვიატებული და ყოვლის დამთრგუნველი წადილი სანტიაგოში ვერ გაუნელებია ზღვაში სათევზაოდ უკვე ოთხმოცდასამჯერ ფუჭად გასვლას; ვინ იცის, ღერამდენედ გარბის დედის ღაზლში გახვეული ცაბუნია ვეებერთელა ცხვირიანი კალოშების ტყაპუნით ატალახებულ შარაგზაზე, სადგურში მატარებლის დასახვედრად, სანიტარული ვაგონის კუპეების მოსაჩხრეკად, და იმის საკითხავად — ხომ არავის შეგხვედრიათ ფრონტზე მამაჩემი — ვალიკო აბულაძეო, და ვინ იცის, მერამდენედ გაწბილებული ბრუნდება. უკან ცაბუნია. ბოლოს, სანტიაგოსაც, ცაბუნიასაც ბედი გაუღიმებთ: სანტიაგო იჭერს უშველებელ, ნანატრ თევზს, ცაბუნია კი — უშველებელ

ტყუილს. ორივე კმაყოფილი და ბედნიერია, მაგრამ... სანტიაგოს ნაპირზე გამოტანამდე ზვიგენები თევზს ზღვაშივე შეუჭამენ, ცაბუნიასათვის საგანგებოდ ტყუილის შემთხვზელი კი ჰოსპიტლიდან გაქცევას აპირებს; თუმცა ტყუილის თქმა სიკეთემ უკარნახა, მაგრამ ის გრძნობს, რომ შეუძლებელია ამ ტყუილმა ბოლომდე გაუძლოს ზვიგენივით ულმობელ სინამდვილეს. მართალია, ცაბუნიას ავტორი ჰემინგუეის სანტიაგოსავით არ იმეტებს და მესხის პირით ამცნობს მკითხველს — „ზოგჯერ კაცს გამოიტირებ, ჯვარს დაუსვამ, მერე ერთ მშვენიერ დღეს გაიხედავ და ის კაცი აგერ არ მოდის ცოცხალი და ჯანმრთელი?!“ მაგრამ ეს მაინც ის ოპტიმიზმია, დამარცხებულ სანტიაგოს ძილში ლომები რომ ესიზმრება...

1971

აკაკი გაწერელია— პროზის ოსტატი

კავკასიის მთიელთა შეუპოვარმა, ხანგრძლივმა თავდაცვითმა ბრძოლებმა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, შამილის პიროვნებამ ჯერ კიდევ სიჭაბუკეში მიიქცია აკაკი გაწერელიას განსაკუთრებული ყურადღება. ის საფუძვლიანად ეცნობა კავკასიაში წარმოებული ბრძოლების ვრცელ მატიანეებს, ამ ბრძოლების მონაწილეთა მოგონებებს, მოგზაურობს დაღესტანში და გადაწყვეტს — დაწეროს აქ, ამ მხარეში, გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულში დატრიალებული ტრაგედიის მთავარ გმირზე — შამილზე — ბიოგრაფიული რომანი. ასე ეყრება საფუძველი მწერლის დიდ ოცნებას, რასაც დინჯად, აუჩქარებლად, მაგრამ მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს აკაკი გაწერელია აგერ უკვე სამი ათეული წლის მანძილზე. ასეთი ხანგრძლივი და მძიმე შრომა მწერლის დიდ შინაგან პასუხისმგებლობასა და ამ მასშტაბური, რთული თე-

მის, შამილის ლეგენდარული პიროვნების განსაკუთრებულ სიყვარულსა და მოწიწებაზე მეტყველებს, უპირველეს ყოვლისა.

„ამზათი ანუ სევილიის დილა მთაში“ დოკუმენტური ეპოსის — „შამილის“ ერთი მონაკვეთია, რაც, თავისთავად, ავტორის მხატვრული ოსტატობის წყალობით დამოუკიდებელ, მე ვიტყოდი, ბრწყინვალე ნოველად იქცა. შამილის ნაიბის სახელთან ერთად ნაწარმოების სათაურში გამოტანილი „სევილიის დილა“ უეჭველად მიგვანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ ნოველაში მოთხრობილი ამბავი არ არის მარტო შამილისდროინდელი დაღესტნის ტრაგედია, ადგილობრივი მნიშვნელობის შემთხვევა; რომ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ასეთ ხვედრს ყოველ ეპოქაში და დედამიწის ყველა კუთხეში იზიარებდნენ. იშვიათია, როდესაც ისტორიულ მასალაზე აგებული ნაწარმოები აღძრავს მკითხველში არა მარტო ისტორიული ფაქტებით განპირობებულ ემოციებს, არამედ ზოგად ადამიანურსა და ზოგადკაცობრიოსაც. ბუნებრივია, ასე მწვავედ განცდილი წარსული თანამედროვე მწერლის მიერ სათანადოდ უპასუხებს დღევანდელი ადამიანისათვის საჭირბოროტო საკითხებსაც.

ჩვენ, ქართველებს, არა მარტო პოეზიაში, პროზაშიაც მოგვეპოვება საქვეყნოდ თავის გამოსაჩენი ნაწარმოებები, მაგრამ ხშირად მაინც მონატრებული ვართ იმ ჭეშმარიტი ოსტატობით აღბეჭდილ ქმნილებებს, რაც დროდადრო გაგვიღვიძებდა ხოლმე თავ-

მოყვარეობის გრძნობას და სხვასაც დაარწმუნებდა, რომ ჩვენი დიდი პოტენციური შესაძლებლობანი კვლავაც განუზომელია, დახარჯული და ამოწურული არ არის. ისინი, ვინც რამდენიმე ათეული წელია მხარდამხარ ვიღწვით, თითქოს კარგად ვიცნობთ ერთმანეთის შემოქმედებასაც და შესაძლებლობასაც, მაგრამ ასეთი თვითდარწმუნება და ვარაუდი ზოგჯერ თურმე ესოდენ ფუჭი და მაცდურია. ამისი ერთი მაგალითია აკაკი გაწერელიას „ამზათი ანუ სევილიის დილა მთაში“. აკაკი გაწერელიას ბელეტრისტული ტალანტის, გემოვნებისა და კულტურის სხვა მრავალ პატივისმცემელთან ერთად მისი ამ ნაწარმოების გამოქვეყნებამ ჩემი ყურადღებაც უმალ მიიქცია; მიუხედავად იმისა, რომ აკ. გაწერელიას დოკუმენტური ეპოსის — „შამილის“ — რამდენიმე ეპიზოდი ადრეც წამიკითხავს, „ამზათმა ანუ სევილიის დილამ მთაში“ მაინც განსაკუთრებული და წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. აქ, უპირველეს ყოვლისა, მწერლის ოსტატობა სულ სხვა ხარისხში ამაღლებული ჩანს და მასალაც, გატარებული, როგორც იტყვიან, მწერლის სულის პრიზმაში, შეფერილია სწორედ ამ მწერლის სულიერი ავლადიდების, ტკივილის, მრწამსისა და იმ ჭეშმარიტ ღირებულებათა შეცნობის ელფერით, რასაც მწერალი მხოლოდ თავისი სრული სიმწიფის ხანაში ეზიარება ხოლმე.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ამ ნოველის მთავარი გმირის — ამზათის-აღსასრული უნებლიეთ გა-

გონებს ვაჟა-ფშაველას „ბაკურს“. საერთოდ „ამ-ზათში“ აღწერილ ამბავს იმ დასკვნამდე მიჰყავს მკითხველი, რომ ვაჟა-ფშაველას შემდეგ აკაკი გა-წერელიამდე ქართულ ლიტერატურაში როგორღაც აღარავის გაუმახვილებია ყურადღება იმ მნიშვნე-ლოვან გარემოებაზე, რომ მტერი შეიძლება პატივის-ცემასაც კი იმსახურებდეს, თუ ის მაღალადამიანურ ღირსებას ატარებს. ეს ღირსება მას უღირს თანამე-მამულეებსაც კი აუმხედრებს ხოლმე, და ასეთი ადა-მიანი ხშირად სწორედ ამ ღირსების მსხვერპლიც ხდება. აკაკი გაწერელია „ამზათში“ მიზნად ისახავს დაგვიხატოს სინამდვილეში არსებული ასეთი ბედის კაცი, და მწერალი მხატვრულად ესოდენ ნიჭიერად ხორცშესხმულ ამბავში ამ მიზანს აღწევს. აღწევს ფრაზის უკიდურესი გამჭვირვალებით, რაც არ გა-მორიცხავს ინდივიდუალურ ხელწერას; ეს ამ შემ-თხვევაში მომდინარეობს და გაპირობებულია ავტო-რის შინაგანი „მე“-ს ლოგიკური, ძალდაუტანებელი ბუნებრიობით და არა ხელოვნურად შეთხზული და რაიმე სტილისტური მანიპულაციის შედეგად მიღე-ბული ეფექტით.

აღწევს ცალკეულ პერსონაჟთა პორტრეტების ჯვარედინი ხატვის გზით, ფიზიკურისა და სულიე-რისა ერთდროულად.

აღწევს მოვლენის, ვითარების არსში ღრმად წვდომის ფასად, განზოგადების იმ იშვიათი უნარის წყალობით, როცა შემოქმედი ასე ცხადად ჭვრეტს კონკრეტულში ზოგადადამიანურს და პოულობს მის-

თვის მხატვრული გამოსახვის ზუსტ ფორმას. ამას ყველაფერს კი განაპირობებს არა მარტო მწერლის ბელეტრისტული ტალანტი, უტყუარი ალღო, საგნის ღრმა ცოდნა, არამედ ის სულიერი ავლადიდებაც (შინაგანი კულტურა, შერწყმული დაუღალავი შრომით მოპოვებული ცოდნის უზარმაზარ მარაგთან), ურომლისოდაც საერთოდ საყურადღებო და მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა. როდესაც ბალზაკის „გლეხებს“ ვკითხულობ, ყოველთვის მაოცებს მისი ინტელექტი. იგი ამ რომანის პერსონაჟების — გლეხების — ხასიათთა, ვნებათა, ზრახვათა ხატვისას გვევლინება როგორც დიდი ერუდიციის მქონე ხელოვანი; ამიტომაც არის იგი დიდი, ჭეშმარიტი რეალისტი და არა ნატურალისტი. დოკუმენტური ეპოსის — „შამილის“ — ცალკეულ მონაკვეთებში, კერძოდ „ამზათში“, აკაკი გაწერელია (რა თქმა უნდა, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში) სწორედ ამ ტიპის-შემოქმედს მაგონებს.

მწერლის მიერ აღწერილ ამბავს ისე აღიქვამ, თითქოს მთელი ტომი წაგეკითხოს. შეუძლებელია მკითხველს დაავიწყდეს, თუმც ასე ძუნწად, მაგრამ დიდი არტისტულობით დახატული პერსონაჟები — გენერალ-ადიუტანტი ბარიატინსკი, „უჩ-გიოზი“ ევდოკიმოვი, თვით ამზათი და მისი უღირსი თანამემამულენი — დუგა და სურაიპი.

არ შეიძლება მკითხველი სულის სიღრმემდე არ შეძრას ამზათისა და მისი ჯალაბის აღსასრულმა. როცა ბრძოლაა, ომია, ვაჟკაცობის გამოჩენის ერ-

თადერთი საშუალება თითქოს მხოლოდ ომისა და ბრძოლის ასპარეზია, მაგრამ თურმე ვაჟკაცი რის ვაჟკაცია, თუ თავის აღსასრულს სრულიად მარტოც კი ვერ უპოვის ვაჟკაცობისა და ღირსების შესაფერის გამოხატულებას. განა შეიძლება არ აღგვაშფოთოს ამზათის უღირსი თანამემამულეების საქციელმა?! ამ ჯურის ხალხზე მწერალი მოსწრებულად შენიშნავს — „... ნაძირალათა და გარეწართა ბრბო ხანჯლებს მაშინ იშიშვლებს, როცა მას ქვეყნის მტრის ძალა უმაგრებს ზურგს“.

და შეუძლებელია, ნათელი არ მოჰფინოს სულს ნოველის ეპილოგმა, სადაც ამზათს, ამ კაცურ კაცს, თავისი ხალხის ერთგულ შვილს, ლხინსა და ჭირში სამაგალითო ვაჟკაცს ავტორი ძმას უწოდებს და ასცამეტი წლის დაგვიანებით მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს უღირსი თანამემამულეებისაგან სასიკვდილოდ გამეტებულ თავისი კუთხის პატრიოტს.

საქართველოს დღემდე ახსოვს წარსულში ასე გახშირებული ლეკთა ბრბოების თარეში დაღესტნის მოსაზღვრე საქართველოს განაპირა რაიონებში, მაგრამ აკაკი გაწერელიას მიერ დახატული ამზათი გარწმუნებს, რომ ამგვარი თარეშის სულისჩამდგმელი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამზათი და დაღესტნის სხვა მისი მსგავსი ღირსეული შვილი, — იმ თარეშის სულისჩამდგმელნი ყოველთვის იყვნენ დუგებისა და სურაიპების მსგავსნი, რომელთაც არც თავად გააჩნდათ და არც სხვაში

აფასებდნენ ადამიანურ ღირსებას და ვაჟკაცურ თავმოყვარეობას.

მასალა მაშინ ცოცხლდება, როცა მას ოსტატის ხელი შეეხება. ამაში ჩვენ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა აკაკი გაწერელიას ნოველამ — „ამზათი ანუ სევილიის დილა მთაში“. ამ ნაწარმოების წაკითხვამ შეუძლებელია, არ განგაცდევინოთ ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება და არ დაგაფიქროთ ბევრ რამეზე. მისი გმირები თქვენს თვალში ამაღლებულად გამოიყურებიან. ეს ის ადამიანებია, რომელთაც უანგაროდ უყვარდათ წარსულში და უყვართ დღესაც თავისი ალალი მოძმეც და სამშობლოც.

1971

«წითელი ღრუბლები»

ეს პირველი შემთხვევაა ქართულ ლიტერატურაში, რომ მწერალმა რომანის მთავარ გმირად აირჩია ჟურნალისტი, თანაც გამოუცდელი, რათა ცხოვრების ყველა მოვლენა, ავი თუ კარგი, ამჯერად გვეხილა მისი თვალით. ამასთანავე ჩვენ იმის მოწმენიც ვხდებით, ამ ახალგაზრდა ჟურნალისტს რამდენ რამეზე აეხილა თვალი. რომანის იდეური ჩანაფიქრიც მოქცეულია სწორედ მისი თვალის გახელასა და ახელას შორის განვლილ დროსა და მომხდარ ამბებს შუა. ცხოვრების ეს მოკლე მონაკვეთი, დაახლოებით ერთი თვე, არ არის მდიდარი და მრავალფეროვანი მოვლენებით, მაგრამ მდიდარი და მნიშვნელოვანია სულიერი ძვრებით. ამთავითვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც; ჯერჯერობით გულისწყრომას არა, მაგრამ გაკვირვებას კი იწვევს ის ამბავი, რომ, თუ მკითხველი ყურადღებით შეხვდა ედიშერ ყიფიანის პირველი რომანის — „წითელი ღრუბლების“ — გამოქვეყნებას „მნათობის“ ფურ-

ცლებზე, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოცემას, ქართველი კრიტიკოსების მთელი არმია დღემდე ბეჯითად დუმს (გარდა ერთი გამონაკლისისა. ბ. ჟღენტმა თავის ორ მიმოხილვით წერილში გაკვრით მოიხსენია და შეაფასა იგი). ისეთი ნაწარმოების გამოჩენისას კი, როგორიც „წითელი ღრუბლებია“, მე მგონია, ჩვენს კრიტიკას დუმილის საფუძველი და მით უმეტეს — უფლება თითქოს არ უნდა ჰქონდეს (წიგნი გამოვიდა 1968 წელს). „წითელი ღრუბლები“ ერთ ასპექტში გამსჭვალულია ბოროტებასთან ბრძოლისა და მექრთამეობის მხილების პათოსით. მექრთამეობა ლენინმა თავის დროზე „მესამე მტრის“ სახელით მონათლა.

თუნდაც ერთი მექრთამის არსებობა ხელმძღვანელობაში — ნიშნავს ათასობით მექრთამის გაჩენას ხალხში. ამ გარემოებაზე სერიოზული ყურადღების გამახვილების თვალსაზრისით „წითელ ღრუბლებს“ პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ლიტერატურაში, თუ მას ვთვლით ჩვენი ცხოვრების ყოველგვარ მანკიერებასთან შეურიგებელ, მებრძოლ ლიტერატურად.

მწერალი ბოროტების მარტო ამ ფორმის მხილებით არ კმაყოფილდება. ბოროტებას იგი ორ სიბრტყეზე გვიჩვენებს: მატერიალურსა და სულიერზე. მატერიალურ სიბრტყეზეა ბენედიქტე ზიბზიბაძე — რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, რომელსაც მთელი ქსელი შეუქმნია ახალი აშენებული თუ ძველი ბინებით ვაჭრობის საქმეში. სულიერ სიბ-

რტყეზეა ახალბედა ჟურნალისტის — ჯაბა ალავიძის არსებაში ღვთაებად დასახული სიყვარულის საგანი — დუდანა, რომელიც თურმე სხვასთან ათევს ღამეებს, ჯაბას უახლოეს მეგობართან — ახალგაზრდა კინორეჟისორთან — გურამთან, ეძლევა ფარულ სასიყვარულო ორგიას. სწორედ ამ „ორ ცეცხლს შუა“ მოქცეულ ჯაბას სახეს გვიხატავს ავტორი თავის რომანში.

„წითელი ღრუბლები“ შედგება ვრცელი საექსპოზიციო თავისა („მოქმედი პირნი“) და ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილია „დუმილი“, მეორე — „ამბოხება“. „მოქმედი პირნის“ ქვეთავებია — „ჯაბა ალავიძე — ჟურნალისტი, 24 წლის“, „ბენედიქტე ზიბზიბაძე — რაიაღმასკომის თანამშრომელი,. 47 წლის“ და „სამსონი — თეთრი წერტილები...“ როგორც საექსპოზიციო ნაწილის ქვეთავებიდან ჩანს, ავტორი საგანგებოდ გამოყოფს ამ სამ პერსონაჟს და, მისი აზრით, სწორედ ესენი განაპირობებენ და ქმნიან რომანის იდეურ — მორალურ ატმოსფეროს. ავტორს შეიძლება დაეთანხმოთ იმ შემთხვევაში, თუ თავისი რომანის სოციოლოგიურ ასპექტს თვლის უფრო მნიშვნელოვნად იმ სულიერ კოლიზიასთან შედარებით, რაც იქმნება ჯაბა-დუდანას ურთიერთობის საფუძველზე. მართალია, ეს კოლიზია ცალმხრივია. დუდანა არ არის დახატული ჯაბას ღირსეულ პარტნიორად. ჩვენ არ ვიცნობთ მას ისე ღრმად და საფუძვლიანად როგორც ჯაბას თავისი სულიერი სამყაროთი, ფიქრებით, ვნებებით, მისწრაფებებით.

ჯაბა ალავიძე რომანის მთავარი პერსონაჟი და ყველა ტენდენციების თუ ინტერესების ფოკუსია. ჯაბა — დუდანასა და ჯაბა-ბენედიქტეს ინტერესები სუსტად, მაგრამ მაინც უკავშირდებიან ერთმანეთს, ცალ-ცალკე რომანის სიუჟეტურ ქსოვილში კი ისინი მკაფიოდ არიან გამოძერწილნი. ავტორს ჯაბა — ახალგაზრდა ჟურნალისტი დახატული ჰყავს თითქმის ყველა ასპექტში, რაც კი მის ადამიანურ ვნებებს და მოქალაქეობრივ რაობას ეხება. ჯაბას მამა სამამულო ომში დაღუპულა, დედას იგი რის ვაი-ვაგლახით გაუზრდია. ისინი ერთი სახლის ოთახად გადაკეთებულ სხვენში შეხიზნულან. დედა რახანია მტკივნეულად განიცდის უბინაობას. ჯაბას თავის სამოღვაწეო ასპარეზად ჟურნალისტობა აურჩევია და რომანიც იწყება ჟურნალისტის მორიგი რეიდით. რედაქციას მისთვის სტუდენტთა ბალ-მასკარადის რეპორტაჟი დაუვალებია. ამ რეიდს წინ უსწრებს ჯაბას გაღვიძება, ოჯახური ყოფის რამდენიმე ეპიზოდი და თეატრში მისვლა სამასკარადო კოსტუმის შესარჩევად. ახალგაზრდა ჟურნალისტი, გარდა სარეპორტაჟო მასალისა, მასკარადზე პოულობს ბევრ სხვა რამესაც, რაც ჭაბუკურ ვნებებს, ემოციებსა და ბუნებრივ გატაცებას უკავშირდება; აქ ის პოულობს მომავალ გულის სწორს, თამილას, რომელიც სიმახინჯის განსახიერებად მოეჩვენება, როცა ნიღაბს ააგლეჯს ძალით. აქ ხვდება დუდანა ჯაბას, რომლის შესახებ, თამილასაგან განსხვავებით, მან არაფერი არ იცის. მას შემდეგ კი, რაც ჯაბა და მისი მეგობა-

რი გურამი ქუჩაში შემთხვევით გაიცნობენ ულამაზეს გოგონას — დუდანას, ჯაბას არსებაში ყველა მისწრაფებას ჩრდილავს იგი. გურამი ახალგაზრდა კინორეჟისორია და დუდანას უმალ სადიპლომო ფილმში თამაშს შესთავაზებს. გოგონა უარზეა. გურამი ატყობს, რომ ეს უარი საბოლოო არ არის. დუდანას უფრო ჯაბა აინტერესებს. ვაჟი სტუდენტთა ამასწინანდელ ბალ-მასკარადზე უნახავს და თურმე სურვილი კლავდა, კვლავ შეხვედროდა მას. ნიღბიან ბოშას — კოსტუმიან გოგონას — ჯაბამ ყვავილი აჩუქა. ეს გოგონა იყო სწორედ დუდანა. ახლა კი, გაცნობის შემდეგ ჯაბას დუდანა თავდავიწყებით შეუყვარდება. მალე ჯაბა არკვევს, რომ დუდანა იმ კაცის ნათესავი ყოფილა, ვისზედაც დამოკიდებულია ახალი ბინის მიღება. ეს კაცი არის „გამობრძმედილი“ მექრთამე — ბენედიქტე — რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. ეს გარემოება ძალიან ართულებს ჯაბას მდგომარეობას. ჯაბასათვის უკვე ცხადი ხდება, რომ დუდანასთან დაახლოება ბინის საკითხსაც თავისთავად გადაჭრის. დედის ოცნებაც ახდება, — მისი ჟურნალისტობა ჯაბას შინაგანად მოუწოდებს — დადგეს პირად ინტერესებზე მაღლა და, მიუხედავად ყველაფრისა, ამხილოს ბოროტმოქმედი ბენედიქტე. ჯაბა საამისო ძალას თავის თავში ვერ პოულობს; ის კი არა, იგი უნებლიეთ ბენედიქტეს განდიდების ხელშემწყობადაც გამოდის, როცა თავის რუს კოლეგას, ვიტალი პეჩნევს, უთმობს ფოტოს ბენედიქტეს გამოსახულებით მშენებლობა-

ზე. ეს ფოტო ერთ ცნობილ რუსულ ჟურნალში იბეჭდება ჯაბას გვარით. მაგრამ რაწამს ჯაბა დარწმუნდება, დუდანა მისთვის დაკარგულია (იგი მეგობრის ხასა ყოფილა!), მიდის ბენედიქტესთან და მისი კაბინეტიდან ურეკავს უშიშროების მინისტრის მოადგილეს ბენედიქტეს დანაშაულებრივ საქმიანობაზე (სინამდვილეში ბენედიქტეს ატყუებს, რეკავს ალალბედზე, სხვა ნომრით). ბენედიქტე იქვე, კაბინეტში, ესვრის ჯაბას რევოლვერს. ჭრილობამოუშუშებელი ჯაბა პოულობს იმ გოგონას — თამილას, რომელსაც ნიღაბი ჩამოჰგლიჯა მასკარადის შემდეგ და, როგორც იტყვიან — სიყვარულის საქმე ცაში წყდებაო — ეს ორი ახალგაზრდაც ცაში შესცქერის წითელ ღრუბლებს დამსგავსებულ, კოსმოსური მასშტაბის თავიანთ ლანდებს.

ბენედიქტეს საქმიანობას სიუჟეტურად უკავშირდება კიდევ ერთი ადამიანის ბედიც. ეს არის სამსონი. ცოლის გარდაცვალების შემდეგ შინ დაბრუნებული სამსონი ხაღათას ძილს შეუპყრია და უკვე რახანია ჩონჩხადქცეული უძრავად დევს საწოლზე. მას ხელოვნურად კვებავენ. სამსონი სამი ოთახის მფლობელია. ეს გარემოება იქცევს ბენედიქტეს ერთი „რწმუნებულის" განსაკუთრებულ ყურადღებას. გადაწყდება, რომ მომაკვდავ მოხუცს ბინაში შეუსახლონ ბენედიქტეს ნათესავი — დუდანა. სამსონის სიკვდილის შემდეგ ამ გზით ბინას უფრო ადვილად ჩაიგდებენ ხელში ბენედიქტე და მისი ამალა. შემდეგ კი გაასაღებენ. სამსონი, მართალია, სა-

ღათას ძილითაა შეპყრობილი, მაგრამ მისი გონება დროდადრო ფხიზლდება და ცნობიერებაში წყვეტილ ნაკადებად შიედინება მოგონებათა მთელი წყება. ამ კაცს, მართალია, არ შეუძლია განძრევა, ლაპარაკი, მაგრამ ასეთ წუთებში ყველაფერი ესმის, გრძნობს, რაც მის სიახლოვეს ხდება, და უკვირს — რა ამბავია მის თავს. საბოლოოდ სამსონი საღათას ძილს თავს აღწევს, მოიკეთებს, ბენედიქტესა და მისი ამალის ზრახვებსაც ბოლო ეღება.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ეს პერსონაჟი — სამსონი, როგორადაც ის ედიშერ ყიფიანს ჰყავს დახატული, ერთ რომანად ღირს. ედიშერ ყიფიანის მწერლური შესაძლებლობის შეცნობა რომანში მკითხველისათვის სწორედ სამსონის ხატვით იწყება. ამ პერსონაჟის ხატვაში ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ვლინდება ავტორის ბელეტრისტული ოსტატობაც და იმ ხერხების გონივრულად გამოყენებაც, რაც ახალი დროის ლიტერატურისა თუ ხელოვნების თვალსაჩინო მონაპოვრად ითვლება, — იქნება ეს შინაგანი მონოლოგი, თუ პარალელური მონტაჟი. სამსონის დონეზეა დახატული კიდევ უფრო ლაკონური, და შეიძლება უფრო ზუსტი ფსიქოლოგიური ნიუანსებით და მიგნებებით აღბეჭდილი, ჟურნალის რედაქციის განყოფილების გამგის — ანგიას სახე. თუ ყველაზე მეტი „ფართობი“ რომანში ჯაბასა და ბენედიქტეს უჭირავთ, ყველაზე ორიგინალური მწერლური მიგნების, შეიძლება ითქვას — აღმოჩენის დონეზე, ჩემი აზრით, დგანან მხოლოდ სამსონი და ანგია.

რაც შეეხება ბენედიქტეს, მართალია, ამ ჯურის პერსონაჟის — მექრთამის — გამოჩენა ქართულ ლიტერატურაში პირველი შემთხვევა არ არის, მაგრამ ავტორს ის ისე ჰყავს დახატული მთელ რიგ სიტუაციებში (თანამზრახველებთან თათბირი, გარიგება, კინკლაობა, წიგნის ფურცლებს შუა ჩაწყობილი ფულის ალერსი ხარბი თვალით, ცალკეული ფრაზები, რომლებიც ახსოვს ბენედიქტეს, სწორედ იმ წიგნების ფურცლებზე ამოკითხული, სადაც ფული უწყვია, და ბოლოს, არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ უთუოდ რაღაც იგავური მინიშნებით აღბეჭდილი საბაგირო გზის ვაგონი, რომელიც ბენედიქტეს სახლის თავზე რომ გადაივლის ხოლმე ხან ზედ სახურავის გასწვრივ შეჩერდება და მექრთამესაც ავად ენიშნება, — ხომ არ მითვალთვალებენო), ყოველივე ამის წყალობით მკაფიოდ იკვეთება „ვარიანტი“ ამ ტიპის ბოროტმოქმედისა. ერთი მხრივ, თავისი ზრახვებითა და მოხვეჭისადმი ცხოველური მისწრაფებით მკითხველში სათანადო რეაქციას იწვევს ეს ადამიანი, მაგრამ, მეორე მხრივ, ზოგჯერ თითქოს გეცოდება კიდეც, რადგან აშკარად გრძნობ მისი აღსასრულის გარდუვალობას; რომ იმ გზას, რომელსაც ბენედიქტეები დასდგომიან, სიკეთისაკენ არ მიჰყავს კაცი, გეცოდება, რადგანაც გიკვირს, როგორ უნდა იმეტებდეს თავს ადამიანი ასეთ ჭუჭყში ხელის საფათურებლად! სამწუხაროდ, ბენედიქტეს ასეთი გატაცება ნაწილობრივ დაუჯერებელია, რადგან ხასიათს არ გააჩნია იმის გარკვეული წინაპირობა, რასაც

გარდუვალად ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა მიეყვანა იგი ამ ბოროტმოქმედებამდე: რა გარემოებამ განაპირობა ხალხის დოვლათით მოვაჭრის ტიპი ჩვენს სინამდვილეში. საგულისხმოა, რომ გარდა ჯაბასი (და ნაწილობრივ სამსონისა), თითქმის ყველა პერსონაჟი უწარსულოდ, უბიოგრაფიოდ, განვითარების გარეშე (ნოველის პერსონაჟების მსგავსად) შემოდის „წითელ ღრუბლებში“. ხომ არ არის ეს გარემოება იმის მომასწავებელი, რომ ქართულ ლიტერატურაში ფეხს იკიდებს ერთპერსონაჟიანი რომანი? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა პერსონაჟებისაგან განსხვავებით, საკმარისად სრულია ბიოგრაფიის მხრივ და საფუძვლიანად მოტივირებულიცაა ჯაბას ხასიათი, პიროვნება. ავტორი დიდ ადგილს უთმობს სწორედ ხასიათის ჩამოყალიბების პროცესს ოჯახურ გარემოში — იმას, თუ რას უნერგავდა, რას უშლიდა, რაზე აქეზებდა დედა არა მარტო ბავშვობაში, უფრო გვიანაც; რა სულისკვეთებით ზრდიდა შვილსა და მოქალაქეს. ბენედიქტესთან დაპირისპირებამდე და დუდანასთან ურთიერთობამდე ჩვენ წინ დგას უკვე საკმაოდ ხორცშესხმული და მხატვრულად გამოკვეთილი მთავარი მოქმედი პირი რომანისა; ჯაბას, ბენედიქტეს, დუდანასა და სხვათა ინტერესები უპირისპირდებიან რა ერთმანეთს (პასიურად), ქმნიან სიუჟეტური სვლებით გაპირობებულ ნაწარმოების „ჩონჩხს“ თავისი „სისხლხორცით“, რაც გარეგნულად შემოსილია (სამწუხაროდ, არათანაბარი ხარისხის) ენობრივი ქსოვილით. და თუ მკითხველი

მას გულდასმით არ გაეცნობა, ის ყოვლად წარმოუდგენელია, ვისიც გნებავთ და რა მოცულობისაც გნებავთ, წერილმა მას შეუქმნას მიახლოებითი წარმოდგენაც კი იმაზე, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს ნაწარმოები. ამ თვალსაზრისით ძნელია არ დაეთანხმოთ ჰეგელს, რომელიც თავის გენიალურ „ესთეტიკაში“ ამბობს — „ხელოვნება თუმცა მისაწვდომია ფილოსოფიური აზრისათვის, მაგრამ მაინც არ წარმოადგენს ხელსაყრელ საგანს მეცნიერული კვლევისათვის, რამეთუ სილამაზე ხელოვნებაში შეიძლება აღიქვა მხოლოდ გრძნობის, შეგრძნების, ჭვრეტის, წარმოსახვის მეშვეობით“.

ნაწარმოების მხატვრული შეფასება არ გულისხმობს შინაარსის, სიუჟეტის დეტალურ გადმოცემას, რადგან, ზემოთ აღნიშნულის გარდა, ზოგჯერ მარტივსიუჟეტიან ნაწარმოებსაც ახასიათებს უაღრესად რთული განვითარება არა ზედაპირულად, ფიზიკური მოძრაობის, არამედ ქვემდინარების საზით, — პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობის ფიქსირების გზით. მსოფლიო ლიტერატურაში ამისი საუკეთესო მაგალითია შოდერლო დე ლაკლოს „სახიფათო ურთიერთობანი“ და მარსელ პრუსტის მთელი შემოქმედება. მარსელ პრუსტი თავის რომანებში გულთამხილავისა და მხატვრის უდიდესი ოსტატობით გვიჩვენებს პერსონაჟის მარტივი ფიზიკური მოძრაობის შედეგად სულში აღძრული ურთულესი პროცესის პროექციას.

მეც ამჯერად მკითხველის ყურადღება მინდა შე-

ვაჩერო არა „წითელი ღრუბლების“ შინაარსზე საერთოდ, არამედ შინაარსის ზოგიერთ საკვანძო მომენტზე და მთელ რიგ ღონისძიებებთან ერთად (რომლებიც ზემოთ ნაწილობრივ უკვე მოვიხსენიე) აღვნიშნო ისიც, რა არ მაკმაყოფილებს, რა არ მომწონს და რა არის, ჩემი აზრით, დამაჯერებლობას მოკლებული რომანში.

არ მომწონს აქა-იქ დაუდევრობით აღბეჭდილი ენობრივი ქსოვილის ნაწილი და ცალკეული ფრაზა არაზუსტი გამოთქმებითურთ.

რომანში ხატვის ოსტატობა უფრო მაღლა დგას თხრობის ოსტატობაზე, რაც ერთგვარად აძნელებს კითხვას. ეს გარემოება შედარებით უფრო საგრძნობია რომანის პირველ ნაწილში, მაგრამ იმ ეპიზოდიდან, როდესაც ჯაბას წამოუვლის რაღაც ჟინი და სამსონის ბინის კარზე აკაკუნებს (იქ დუდანა ეგულება), როგორც იტყვიან, მოულოდნელად იხსნება ცა და აშკარად მატულობს ნაწარმოებისადმი ინტერესიც. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი ფსიქოლოგიური მომენტი: როცა ესა თუ ის ეპიზოდი, ფრაზა, ზუსტი ნახატი მოგწონს, აღარ აკვირდები, სად როგორი ენობრივი ლაფსუსია, ასეთ შემთხვევაში კიდევაც რომ შეამჩნიო მსგავსი რამ, გინდა ყველაფერი აპატიო ავტორს, რადგან მან მოგანიჭა სიხარული, აღგიძრა ესთეტიკური ემოცია, გაზიარა რაღაც მნიშვნელოვანსა და მოულოდნელს. ასეთი ეპიზოდები „წითელ ღრუბლებში“ საკმაოდაა და ეს აძლევს მას არა მარტო ორიგინალურ, არამედ

ხშირად საკითხავადაც სასიამოვნო ნაწარმოების იერს. რომანის საექსპოზიციო ნაწილში, ასეთია თეატრის საგარდერობოს ეპიზოდი, სადაც ხატვა, ავტორისეული თხრობა, დიალოგი ქმნიან სათანადო განწყობილებასა და კოლორიტს, განუმეორებელი მეგარდერობის — ძია ნიკალას — ესოდენ ახლობელ და ადამიანური უშუალობით მკაფიოდ აღბეჭდილ სახესთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ რომანის მთავარი პერსონაჟის — ჯაბას — სახე თავისთავში არ ატარებს მხატვრული მიგნებისა თუ გადაწყვეტის თვალსაზრისით ისეთი ორიგინალობის კვალს, როგორსაც ავტორი გვიჩვენებს სამსონის, ანგიას, ან თუნდაც ეპიზოდური პერსონაჟის — „კონიაკის“ — მაგალითზე, — ის უდავოდ საინტერესოდაა გამოძერწილი და ძირითადად აკმაყოფილებს კიდეც რომანის პერსონაჟისათვის საჭირო, ყოველმხრივ, მრავალწახნაგოვნად ჩვენების მოთხოვნილებას. უკვე აღვნიშნეთ, რომ ავტორი დეტალურად გვაცნობს მის როგორც ფიზიკურ თავისებურებას, ისე სულიერ და ინტელექტუალურ ავლადიდებას. თქვენ ისე ახლოს და ისე ღრმად ეცნობით ჯაბას, რომ დაახლოებით შეგიძლიათ ივარაუდოთ, როგორ გამოამჟღავნებს თავს ამა თუ იმ სიტუაციაში და მას ხშირად თანაუგრძნობთ. ეს სიახლოვე, ეს გარკვეული ინტიმი, რომელიც მყარდება პერსონაჟსა და მკითხველს შორის, მის სასარგებლოდ განაწყობს ამ უკანასკნელს; და შემდგომში მისი ბედით დაინტერესება იმდენად

ცდიდია, რომ თქვენ ფიზიკურ ტკივილსაც კი გაყენებთ მისი წარუმატებლობა, შეცდომით გადადგმული ნაბიჯი თუ გარეშეთა უსამართლო მოპყრობა ჯაბასადმი. ასე ოსტატურად ჩვენება, ასე დაახლოება პერსონაჟისა მკითხველთან თუ მწერლის უდავო წარმატებაა, ეს წარმატება გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს: მკითხველი ასეთ შემთხვევაში მეტისმეტად ყურადღებაგამახვილებული ხდება და უმნიშვნელო ლაფსუსიც კი მწერლისა, შეცდომას რომ თავი დავანებოთ, უფრო გაზვიადებულად ეჩვენება; და რამდენადაც ლმობიერებით არის გამსჭვალული პერსონაჟისადმი, იმდენად ულმობელია მწერლის მიმართ.

ჯაბა — კეთილი, დამთმობი, დიდსულოვანი, განსჯის უნარის მქონე ახალგაზრდაა, რა ვუყოთ თუ ხშირად ადვილად ღიზიანდება, მაშინაც კი, როცა დედას ეკამათება. ის თავმოყვარეცაა. ენდობა ადამიანებს, რადგან თვითონ არის ნდობის მადლით მოსილი; და ეს ნდობა, ეს სიკეთე, სულიერი სიწმინდე მას მიაჩნია აუცილებელ პირობად არა მარტო ჩვეულებრივი ურთიერთობის, არამედ, საერთოდ, არსებობის თვალსაზრისითაც. როდესაც მას შეყვარებულის — დუდანას — საქციელში ეჭვის აღმძვრელ ბარათს სწერს ამხანაგი რაიონიდან, ჯაბა, რა თქმა უნდა, მტკივნეულად განიცდის ამ ცნობას, მაგრამ თავს ძალას ატანს, რომ არ დაიჯეროს ეს ამბავი: ღალატი, ისიც სიყვარულში, მას ჯერ კიდევ დაუჯერებელ ამბად მიაჩნია. ჯაბა ჯერ კიდევ არ არის ნაზიარები თავისი თაობის ზოგიერთი წარმომადგე-

ნელივით ბევრ რამეს, რაც ასე ხშირად თან სდევს ჩვენს არსებობას. მაგრამ მას შემდეგაც კი, როცა ჯაბასათვის ცხადი ხდება ყველაფერი, აღარ შეუძლია გაექცეს ულმობელ და უხეშ სინამდვილეს, ჯაბა თავისთავში მაინც პოულობს დიდი, შეუბღალავი რწმენის დასაყრდენს; ის არ იმსჭვალება ზოგიერთებივით არც ადამიანის სიძულვილით, არც სიყვარულისადმი საყოველთაო და ამ შემთხვევაში მოსალოდნელი ურწმუნოებით, — ამის შემდეგაც სწამს ადამიანობაც, მეგობრობაც და სიყვარულიც. ადვილად ხვდება, რომ სინამდვილე თუმც მკაცრია, მაგრამ ეს არ არის მისი ერთადერთი გამოვლინება.

რომანში მრავალი კრიტიკული მომენტი და ვითარებაა. ზოგ მათგანს ავტორი თავის პერსონაჟთან ერთად მარჯვედ აღწევს თავს, მაგრამ ამ გამარჯვებებს, ჩემი აზრით, მოსდევს ორიოდე მარცხიც, ერთი ასეთი მომენტია მთვრალი ჯაბას მისვლა გურამისთან. მეგობრები კამათობენ და ბოლოს ჯაბას ერთ გამომწვევ ფრაზაზე — დუდანა შენ ზედაც არ შემოგაფურთხებსო — გურამი მოულოდნელად აღებს მეზობელი ოთახის კარს, ანთებს ნათურას და, ჯაბას თვალწინ გადაიშლება წარმოუდგენელი სანახაობა: „ტახტზე გულაღმა ეძინა დუდანას, საბანი გადახდოდა. ცალი ფეხი მოეღუნა, თითქოს კიბეზე ადიოდა. თავი უკან გადაეგდო, მთელი სხეული სადღაც, ზემოთ მილივლივებდა ენით აუწერელი ნეტარების შესასრუტავად. ძუძუების ცხელი ჩრდილი კედელზე მძიმედ ადი-ჩადიოდა“. ამას ისიც დავუმატოთ,

რომ დუდანა მთვრალია. ვის შეუძლია უარყოს, რომ ხდება ასეთიც და უარესი რამეც, მაგრამ ცხოვრებისეული ფაქტისაგან (რომელიც უყოყმანოდ გვჯერა ხოლმე) ლიტერატურულ ფაქტს ისიც ასხვავებს, რომ ლიტერატურული ფაქტი (რაკი მას განზოგადების პრეტენზია აქვს) ყოველთვის მოტივირებული და ლოგიკური კანონზომიერებით არის ნაკარნახევი, რასაც აგრეთვე დამაჯერებელს ხდის თვით სათანადო მხატვრული ოსტატობა. მე პირადად ამ ეპიზოდში ვერც ლოგიკური კანონზომიერების კვალს ვატყობ და ვერც მხატვრული ოსტატობით გაპირობებულ დამაჯერებლობას. გოგონა, რომელიც ჯაბას თანდასწრებით, რეჟისორის წინადადებაზე — ითამაშოს მის ფილმში, — ამბობს: მე არ გამოვდგები, სემინარებზეც კი ვწითლდები ხოლმე, როცა ლექტორს ვუპასუხებ, დამცინიან ამხანაგებიო, — ხომ უნდა ვიცოდეთ, როგორ გააკეთა ასეთი ნახტომი უკიდურესი სიმორცხვიდან უკიდურეს ურცხვობამდე.

საქმეს ვერ შველის ავტორის ფსევდორომანტიკული ფრაზა პერსონაჟის ტრაგიკული მდგომარეობის გადმოსაცემად — „ჯაბა კედელს წაეპოტინა, რომ არ წაქცეულიყო. იგრძნო, როგორ შედგა გული, შეყოვნდა, თითქოს მერყეობდა: სამუდამოდ დადუმებულიყო თუ კიდევ განეგრძო ფეთქვა. ბოლოს მძლავრად შეფართქალდა და ტალღასავით ააგდო სისხლი ტანში“. ავტორს ასეთი რამ არ მოსდის, სამსონის ან ანგიას ხატვის დროს. ჩემი აზრით, აქ აშ-

კარად არ არის მონახული პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის ზუსტი სიტყვიერი შესატყვისი.

რა გამომწვევადაც უნდა ელაპარაკო ადამიანს, არა მგონია, მთვრალიც კი ის იქამდე მივიდეს, სადამდეც გურამი მიდის, უფრო სწორად, ის ავტორს მიჰყავს. აქ ორი ერთიმეორეზე მძიმე და დაუსაბუთებელ ბრალდებას უყენებს ავტორი გურამსა და დუდანას: არც გურამი, არც მით უმეტეს დუდანა, მთელი რომანის მანძილზე არ ამჟღავნებენ, თუ მათ ადამიანური თავმოყვარეობის, ღირსების დაკარგვის, უბრალოდ, გათახსირების ამ დონემდე შესწევთ მისვლა. (გურამმა იცის, რომ დუდანა გაგიჟებით უყვარს ჯაბას; დუდანამაც იცის, ხედავს, რარიგ ეტრფის მას ჯაბა). ამ გარემოების ასეთ უეცარ ცვალებადობას (ვიმეორებთ—შესაძლებელს) მხატვრული დამაჯერებლობა, დასაბუთება სჭირდებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გაკვირვებას იწვევს ის ამბავიც, რომ ასე, ხასადქცეულ დუდანას (თურმე არ არის გამორიცხული) გურამი ცოლად ითხოვს:

„— ჯერ არ მოგიწერიათ სელი?

— ჯერ არც ვაპირებ...“ ესე იგი, მაინც აპირებს გურამი დუდანას ცოლად შერთვას და ავტორს ამის შემდეგ სურს დაგვაჯეროს, რომ ვის შერთვასაც აპირებს გურამი, იმ შიშვლად ტახტზე გაშხლართული და დამთვრალი ქალის საჩვენებლად შეჰყავს ჯაბა მეგობარს ოთახში?! ეს რომ ოდნავ მაინც რაიმე მხატვრულ ლოგიკას ემორჩილებოდეს, მაშინ ადამი-

ანის უხამსობისა და გადაგვარებისათვის აქ შეიძლებოდა დაგვესვა წერტილი. ვფიქრობთ, რომ ავტორი ცოტა უფრო უკეთესი წარმოდგენისაა თავის პერსონაჟებზე, ვიდრე მათი ასეთ ვითარებაში დახატვით შეექმნა მკითხველს, თუ ეს სიტუაცია, ჩვენი აზრით, მოკლებულია დამაჯერებლობას, სამაგიეროდ, სრულიად დამაჯერებლად გვეჩვენება, რომ სწორედ ჯაბასნაირი ხასიათისა და გულის ადამიანს შეიძლებოდა ეკითხა ისე გულუბრყვილოდ:

„— არ შესცივდება?“

დაიღუპა სიყვარული ერთი არსების სახით, მაგრამ ჯაბას გულში მაინც დარჩა რაღაც ისეთი, რაც მის ადამიანობასა და სულიერ სისპეტაკეზე ღაღადებს. აქ ავტორს ვერ შევედავებით: ის მართალია.

ეს ადამიანები გარკვეული თაობის წარმომადგენლები არიან. „წითელი ღრუბლების“ ავტორს სურს გვიჩვენოს ამ თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის ზნედაცემულობა, და სრულიად სამართლიანადაც, მაგრამ დაუსაბუთებლად. ასეთი ბრალდების გაზიარება ძნელია.

ავტორის მეორე, ასეთივე მხატვრული მარცხი გვგონია ბენედიქტეს მხილების ფორმა. მას შემდეგ, რაც ჯაბა კარგავს დუდანას, ეს გარემოება ერთბაშად მატებს არა მარტო გამბედაობას, არამედ ულვიძებს მოქალაქეობრივ თავმოყვარეობასაც. თუ აქამდე ჯაბა ბოროტებას ხელს უწყობდა (უნებლიეთ) მის განკარგულებაში არსებული საშუალებებით (ჟურნალისტია. ფოტოკორესპონდენტი), ახლა იმა-

ვე ბოროტებას იმავე საშუალებებით კი არ ებრძვის, არამედ ირჩევს რაღაც უცნაურ ფორმას. და ავტორი ადგმევინებს ისეთ ნაბიჯს, რაც ყოვლად დაუჯერებელია რეალურად გადაედგა იმ ჯაბას, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ: ჯაბა მიდის ბენედიქტესთან, ცოტას ალოდინებენ და მერე შეუშვებენ მასთან კაბინეტში. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ჯაბა ეუბნება ბენედიქტეს, ორასი ათასი მანეთი უნდა მასესხოო. ცხადია, განზრახ, გამოსაწვევად. გაშტერებული ბენედიქტე უარზეა, — სადა მაქვს მაგდენი ფულიო. ამის პასუხად ჯაბა ბენედიქტეს ისე მოაჩვენებს, ვითომ უშიშროების მინისტრის მოადგილეს ურეკავდეს: „პატივცემულო ლევან, ერთი, სასწრაფო საქმე მაქვს თქვენთან, ძალიან გთხოვთ, ჩაიწეროთ, მისმენთ? ჩალაურის ქუჩის 57 ნომერში... ცხოვრობს ვინმე ბენედიქტე ზიბზიბაძე... მექრთამე“. ბენედიქტე ვერ ხვდება, რომ ჯაბა მას სცდის, ატყუებს და, ეს გამოცდა ახალგაზრდა ჟურნალისტისათვის თავდება ტრაგიკულად: ბენედიქტე მას რევოლვერს ესვრის.

შეუძლებელია ავტორს ვინმემ უკარნახოს — რა, როგორ და როდის უნდა მომხდარიყო (რადგან მან ყველა მკითხველზე უკეთ იცის თავისი ნაწარმოების პერსონაჟთა ასავალ-დასავალი) და არც მე ვაპირებ ასეთ რამეს. მხოლოდ მინდა გამოვტყდე, რომ ბენედიქტეს დანაშაულებრივი მოღვაწეობის გამომჟღავნებას მოველოდი იმ მომენტში, როდესაც ჯაბა ჟურნალის რედაქტორისაგან ისმენს დარიგებას თავისი

გულწრფელი აღსარების შემდეგ (სხვათაშორის, ამ დროს კაბინეტში შემოდის უშიშროების მინისტრის მოადგილე — ლევან ქებურია). ამ საუბრისათვის რომ ანგიას მოეკრა ყური, ბენედიქტეს ვეღარაფერი უშველიდა. ბენედიქტეს საქმიანობის მხილების მისია ავტორს არც რომანში აღწერილი, არც სხვა მსგავსი ფორმით ჯაბასათვის არ უნდა დაეკისრებინა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მის არსებაში დაიმსხვრა სიყვარულის კერპი. ეს ჯაბას მკითხველის თვალში არაფერს მატებს; პირიქით, მისი ეს ნაბიჯი თითქოს თვალს გვიხელს და გვარწმუნებს ჯაბას უპრინციპობასა და ეგოისტობაში. სულ სხვაგვარი იდეალების მოტრფიალე და სხვაგვარი სულიერი წყობის ადამიანის ასე გარდასახვა ავტორის ნება-სურვილით ამ ხასიათთან შეუთავსებელია, უცხო შტრიხია, თუ, რა თქმა უნდა, ამას ქვეტექსტის სახით არ ახლავს ის ამბავი, რომ არც ჯაბაა კაი სულისა. ბენედიქტეს კაბინეტში აღწერილი, რეალურად მომხდარი ამბავი რომ იმ ფორმით ყოფილიყო გადმოცემული, რა ფორმითაც ავტორი ადრე ჯაბას მრავალ განზრახვას, ფიქრს, გაუბედავ ნაბიჯს გვაცნობს, როცა არაფერი არ სცილდებოდა ცნობიერების ზღვარს, არ იქცეოდა რეალობად, ახლაც ყველაფერი დამაჯერებელი და ბუნებრივი იქნებოდა. ჩვენ ამ შემთხვევაშიაც თანაგრძნობით შევხვდებოდით ჯაბას კიდევ ამ ერთ, მორიგ გაბედულ, მაგრამ გაუმჟღავნებელ განზრახვას და იქნებ იმაშიაც უფრო მეტად დავრწმუნებულიყავით, რომ ბოლოს და ბოლოს

ჯაბა შეებრძოლება და დასძლევს, უპირველეს ყოვლისა, თავის უნებისყოფობას. ახლა კი ჯაბას მიერ ავტორის ნებასურვილით ასეთი „გმირული“ ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ ზიანს აყენებს ამ ხასიათს. ლოგიკურად თუ მივუდგებით, გამოდის რომ, თუ დუდანა ჯაბას არ უღალატებდა, ჯაბაც არასგზით არ გაიმეტებდა დასალუპავად ბენედიქტეს.

მინდოდა მერწმუნა, რომ სამსონის საღათას ძილით შეპყრობა არ განისაზღვრებოდა ამ ამბის წმინდა ფიზიკური მდგომარეობით, — ძილი პირდაპირი მნიშვნელობით არ მინდოდა მიმეღო. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან შეამცირა ამისი ვარაუდი ამ ვითარების დასასრულმა; სამსონის მაგალითზე კი შეიძლებოდა მწერალს უფრო ღრმად და მკაფიოდ ეჩვენებინა ისიც, რომ სამსონივით ბევრს „სძინავს“ საღათას ძილით და ასეთი ადამიანების ბედს ყოველთვის განაგებენ არამზადები. სამსონისთანებს, მართალია, ყველაფერი ესმით, გრძნობენ, სწუხან, მაგრამ ხმა ვერ ამოუღიათ. ამგვარი სიმბოლიკა „საღათას“ ძილისა ნაწარმოების ღირებულებას, ალბათ, განუზომლად გაზრდიდა.

ბედნიერად მიგნებული, მოფიქრებული და შესრულებული სამსონი (მთელი საღათას ძილის პერიოდში) ბოლოს იღვიძებს, გონს მოდის და ერთბაშად ყველაფერი ისე მშვიდობიანად და უფერულად თავდება, — უბრალოდ გწყინს, ასე ადვილად რომ გაუშვა ხელიდან ავტორმა რაღაც უფრო დიდი მნიშვნელობის სათქმელი.

„წითელ ღრუბლებში“ უამრავი ცალკეული ნაკადია, მაგრამ გაუგებარია, ავტორი ვერ ახერხებს თუ არ ცდილობს ბევრი მათგანის შენაკადად ქცევას მთავარ მდინარებასთან, რომანის ძირითად ტენდენციებთან. ამას ხელს უწყობს ზედმეტი ფრაგმენტულობა. მაგრამ ამ სახითაც კი „წითელი ღრუბლები“ სერიოზული მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც უდავოდ იმსახურებს ყურადღებას, მასში აღძრული საკითხები კი — ფართო მსჯელობას.

რომანს შარავანდედად ადგას სიმბოლური სათაური „წითელი ღრუბლები“, რომლის მნიშვნელობაც ავტორს თვით ტექსტში აქვს ნაწილობრივ მინიშნებული. ერთ ასპექტში, ავტორის აზრით, მზის სხივის მთელი სიდიადე და სილამაზე მაშინ ჩანს ხოლმე, თუ სივრცეში მას სადმე შეხვდება სპეტაკი ღრუბლის ქულა. ეს ბედნიერი შეხვედრა არის სწორედ სიყვარულის — მაღალი გრძნობის — რაღაც კოსმოსური პროექციის გამოხატულება.

თუ შოთა რუსთაველს კრიტიკოსების დახმარებით არ დაუწერია თავისი გენიალური პოემა, სამაგიეროდ მის ნათქვამში — „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“ — პოულობს კრიტიკა თავისი გამართლებისა და დანიშნულების ახსნას, როცა ის გულწრფელი და სამართლიანია. კრიტიკა უნდა იყოს სწორედ ეს „სასარგებლო საუბარი“ ნაწარმოების როგორც მოწონების, ისე თუნდაც მისი დაწუნების შემთხვევაში. მხოლოდ და მხოლოდ „სასარგებლო საუბრის“ სურვილი იყო იმის სტიმული,

რომ მეთქვა ჩემი მოსაზრება ედიშერ ყიფიანის რომანის „წითელი ღრუბლების“ შესახებ.

არიან ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებით მოსწონთ ერთი რუსული ანდაზა — „Молчание — золото“, მაგრამ, ვინც კარგად დაკვირვებია, იმ ადამიანებისათვის დუმილი მანამდეა ოქრო, სანამ საქმე სხვის წარმატებას ეხება. ეს კარგად შენიღბული შური და ეგოიზმი ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდ ფეხმოკიდებულია. მე მგონია, არა მარტო ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა, იმ დიდი საქმის სიყვარულიც, რომლის საკურთხეველზეც ზოგს ლომის, ზოგს ჭიანჭველას წილი მიაქვს, გვავალებს ჩვენი პირადი წარმატებით გამოწვეული სიხარულის მცირე ნაწილი მაინც გავიმეტოთ სხვების წარმატების აღსანიშნავად.

1969

კარგი შვილების სადიდებელი

გასულ წელს ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი ლაოსის ხელისუფლებმა თავის ქვეყანაში მიიწვიეს, მეფე სი-სვანგ-ვონგის მონუმენტის შექმნა შესთავაზეს. მოქანდაკე მიწვეული იქნა არა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ პირდაპირ ეთხოვა უცხო ქვეყნის შვილის მონუმენტის შექმნა. ვინ მოთვლის რამდენი ქვეყანაა და, რამდენი მოქანდაკეა ქვეყნად; თავიანთი უყოყმანო არჩევანი კი ლაოსის მესვეურებმა ქართველ საბჭოთა მოქანდაკეზე შეაჩერეს. საკმარისი აღმოჩნდა მერაბ ბერძენიშვილის მხოლოდ ერთი ქანდაკება ენახათ, რომ უმალ მიეღოთ თავისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს არა მარტო მერაბ ბერძენიშვილის როგორც ხელოვანის წარმატებაზე, არამედ ქართული პლასტიკური ხე-

ლოვნების საგულისხმო აღიარებაზეც, მისი დღევანდელი გეოგრაფიული საზღვრების თანდათანობით გაფართოებაზე.

ხშირად რაიმე ფაქტი ხელახლა გადაგავლებინებს თვალს ხელოვანის მიერ განვლილი გზისათვის, და რწმუნდები, რომ ეს ხელახლა გადახედვა რარიგ საჭიროა და. სასარგებლოც.

მერაბ ბერძენიშვილი, მრავალი ცნობილი სკულპტურული პორტრეტის ავტორის, დარბაისელი ხელოვანის, ჩინებული პედაგოგის ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოში დავაჟკაცდა. ამ დავაჟკაცების მაუწყებელი იყო სწორედ მისი სადიპლომო თემა — რუსთაველი. როდესაც ჭაბუკმა მოქანდაკემ რუსთაველის ფიგურაზე მუშაობა დაასრულა, პედაგოგისათვის აშკარა გახდა, თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მისი ბუდიდან რა არწივიც უნდა აფრენილიყო. პირველი ფრთის გაშლა მეტად თამამი და თვალსაჩინო აღმოჩნდა. დიდ თემასთან შეჭიდება, დიდი ამოცანის დასახვა ხშირად იმის მომასწავებელიცაა, რომ შეჭიდების მოსურნე კარგად ვერ ითვალისწინებს, არ ესმის რა სიძნელესთან ექნება საქმე, ან საამისოდ მართლაც მომზადებულია და ღონეც ერჩის. მერაბ ბერძენიშვილს, როგორც მოვლენების განვითარებამ ცხადყო, სწორედ რომ ღონე ერჩოდა.

სადიპლომო თემის — რუსთაველის ფიგურაზე მუშაობის პროცესში საბოლოოდ ეყრება საფუძველი მის ესთეტიკას, იკვრება ძირითადი თემატური რკალი, მკაფიოდ ისახება ურთულესი ამოცანა: პლასტი-

კურად ხორცი შეასხას სულით ძლიერი, ტრაგიკული ბედის თანამემამულეებს — სამშობლოდან რვა საუკუნის წინ, შორს გადახვეწილ ბრძენ პოეტს — შოთა რუსთაველს; ჯერ ლეკთა ტყვეს, შემდეგ რუსეთის ხიზანსა და ქვეშევრდომს, ევროპაში შვიდწლიანი ომის მონაწილეს, პრუსიელების ტყვეს და ბოლოს მირგოროდში სამუდამოდ დასახლებულ დავით გურამიშვილს; სწორუპოვარ სარდალს, ოსმალეთში ტრაგიკულად აღსრულებულ გიორგი სააკაძეს; საბერძნეთის რბალს, ასევე ტრაგიკული ბედის კოლხ ქალს — მედეას.

ამიერიდან მერაბ ბერძენიშვილის სამოღვაწეო სფერო მონუმენტური ქანდაკებაა. მას იმთავითვე აღმოაჩნდა ამ ჟანრში წარმატებისათვის საჭირო თვისებები — მონუმენტურობისა და მასშტაბურობის გრძნობა, ეპიკური აზროვნების უნარი. დიდ ჭიდილში ჩაბმის წინ გასათვალისწინებელი იყო მსოფლიო მონუმენტური ქანდაკების უდიდესი მონაპოვარი, დღევანდელი თვალსაზრისი და პოზიცია, როგორც თემის გახსნის ახლებურ მიდგომაში ზიარება, ისე წმინდა პროფესიონალური კულტურის დონეზე ზრუნვა, ამასთან ერთად საკუთარი ხელწერის გაღრმავება, უფრო მკაფიოდ გამოვლენა და ის, რასაც ჩვენ ეროვნულობას ვუწოდებთ და რისი შეძენაც ჯერ არავის მოუხერხებია, თუ თან არ „დაჰყოლია“ კაცს, ისევე, როგორც გემოვნება და შინაგანი კულტურა.

ერთი შეხედვით გაკვირვებას იწვევს ის სწრაფი

ნახტომი, თუ გარდასახვა, რაც მოხდა აკადემიის კურსდამთავრებულის „უეცარი“ გადართვის თვალსაზრისით, აკადემიური კეთილსინდისიერებით და, რასაკვირველია, ნიჭიერად გამოძერწილი მოკრივის პორტრეტიდან რუსთაველის მასშტაბურ თემასა და ფიგურაზე. ვიდრე რუსთაველის მონუმენტზე შევჩერდებოდეთ, მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ მოქანდაკის მეორე ქმნილებას — „დავით გურამიშვილს“.

ქრონოლოგიურად მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებაში გურამიშვილის თემის პლასტიკურ ხორცშესხმას წინ უსწრებს სადიპლომო ნამუშევარი — „რუსთაველი“, მაგრამ „გურამიშვილის“ დადგმა „რუსთაველზე“ ადრე განხორციელდა და საზოგადოებაშიაც გარკვეული რეაქციის შედეგად დიდად გახმაურდა, როგორც თვით ნაწარმოები, ისე მისი ავტორის სახელი. ეს რეაქცია ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეებმა ვერ გამოიყენეს იმისათვის, რომ საზოგადოებისათვის ემცნოთ ქართულ პლასტიკურ ხელოვნებაში ახალი გზების ძიების დასაწყისი, ღირებულებათა გადასინჯვის კანონზომიერება. გაბედულ ნაბიჯს ქართველი მოქანდაკისა, არათუ წინ უსწრებდა გამომწვევი, გაბედული სიტყვა ხელოვნებათმცოდნეებისა, არამედ შემდეგშიაც ვერ ითქვა იგი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა ნაწარმოები, რომელიც აღბეჭდილია ნიჭიერების უტყუარი ბეჭდით და სიახლის გრძნობით, უმალვე ვერ პოულობს არათუ ფართო საზოგადოების, თვით პროფე-

სიონალების მსრით გაბედულ მხარდაჭერას და აღიარებას.როდენის „ბალზაკის“ მაგალითი რომ არ მოვიშველიოთ, არც ქართული სინამდვილეა ამ მხრივ ღარიბი.

რაც შეეხება მ. ბერძენიშვილის „გურამიშვილზე“ ატეხილ ზეპირ კამათს, აქაც მსგავს გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. საქმე ისაა, სკოლის მერხიდან ყოველი ქართველის ცნობიერებასა და მეხსიერებას განუყრელად მოსდევს გურამიშვილის ცოტად თუ ბევრად გამოკვეთილი, სტანდარტული ხატება. იგი ეყრდნობა როგორც პოეტის შემოქმედების ზედაპირულ გაგებას, ისე უცნაური თავგადასავლებით აჭრელებულ მის ბიოგრაფიას და ავტოპორტრეტად მიჩნეულ ჩანახატს თვით ავტორის ხელნაწერში. ბიოგრაფია — „დავითიანი“ — და ეს ჩანახატი, როგორც უკვე ვთქვით, მტკიცედ შემოინახა ჩვენმა ხსოვნამ, და უეცრად ამ ხილვაში გურამიშვილის სახის სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციის შემოჭრამ საზოგადოების ფართო ფენაში ადვილად გასაგები და მოსალოდნელი რეაქცია გამოიწვია. თვალი აქამდე ისეთი ნიმუშების ცქერას იყო შეჩვეული, რაც აკადემიზმისა და ნატურალიზმის საზღვრებს არ სცილდება, და ესეც ერთგვარად განამტკიცებდა სკოლის მერხიდან მეხსიერებაში აღბეჭდილი ხილვის კანონზომიერებას. სწორედ ამ ფონზე და ასეთ ვითარებაში სამართლიანობა მოითხოვდა თავიდანვე თქმულიყო, რომ „გურამიშვილით“ იწყება არა მარტო მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებითი ბიოგრა-

ფია, არამედ თვით ქართული, თვისობრივად ახალი მონუმენტური ქანდაკების ბიოგრაფიაც. ამ საკითხის ღრმად შესწავლა, იმ გზებისა და ხერხების პროფესიონალური ანალიზი, რა გზაც განვლო და რასაც მიაღწია დღევანდელმა ქართულმა მონუმენტურმა ქანდაკებამ, ბევრს რასმე საგულისხმოს ეტყვის ფართო საზოგადოებასაც და თავისთავად გაამდიდრებს ჩვენი ხელოვნებათმცოდნეობის ჯერაც ესოდენ ხალვათად მზირალ საგანძურის თაროებს.

მერაბ ბერძენიშვილის ქმნილებამ — „დავით გურამიშვილმა“ — თბილისში, ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, ერთ მეტად მყუდრო სკვერში დაიდო ბინა. მონუმენტი დაბალ კვარცხლბეკზე დგას. შემთხვევითი არ არის ამ გადაწყვეტაში ის, რომ „გურამიშვილი“ ძალიან ახლოსაა იმ მიწასთან, რომლის სიყვარულმაც ესოდენ მძაფრი, სულის ტკივილით გაპიროზებული აღსარება ათქმევინა რუსთაველის შემდეგ საქართველოს უპირველეს პოეტს.

მონუმენტი ერთბაშად, მთლიანობაში აღიქმება, და ის სისადავე, რითაც მიღწეულია ამ ერთბაშად აღქმის პირობა, თავიდანვე განაწყობს მნახველს იმის შესაცნობად, რომ მის წინ დგას ნათლის სვეტივით სადა, მაგრამ ამაღლებული ხატება პოეტისა; პოეტისა და მოქალაქისა, რომელმაც ასე წმინდად და ღირსეულად გამოატარა ქართველი კაცის სახელი ათასგვარი უკუღმართობით აღსავსე ცხოვრების გზაზე. მისი სულის სიმაღლე და ნათელი ვერ დათრ-

გუნა ვერც ლეკეთს დიღეგად მიჩენილი ორმოს სიბნელემ, ვერც მრავალმა მომდევნო განსაცდელმა.

მონუმენტზე გურამიშვილი წარმოგვიდგება ხანდაზმულ კაცად, რომლის ბრტყელი, განიერი ბეჭები და ღონიერი კისერი ჯერაც ამხელს მის ძლიერ ფიზიკურ აღნაგობას. იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელით პოეტს მკერდში ჩაუკრავს ვეებერთელა წიგნი. ეს არის „დავითიანი"; მისი პირმშოც, თავგადასავალიც, ანდერძიც და იმის მხილებაც, თუ რა ტკივილებით იყო აღბეჭდილი სამშობლოს სიყვარული, პოეტმა რომ გულის სიღრმეში ატარა ლეკეთს ტყვედ მოხვედრის დღიდან მირგოროდში სამუდამოდ დამკვიდრებამდე. ყერადღებას იქცევს მკერდში ჩაკრული წიგნის ვეებერთელა ზომა. „დავითიანი" მერაბ ბერძენიშვილის პლასტიკურ გადაწყვეტაში ასე გამოიყურება არა მარტო თავისი ზომით, არამედ თავისი მნიშვნელობითაც. როდენი ამბობს: „ჯერ ვაკეთებდი ზუსტ ეტიუდს ნატურიდან ისე, როგორც „ბრინჯაოს საუკუნისათვის", შემდეგ მივხვდი, რომ ხელოვნება მოითხოვს გაზვიადების მეტ სიგრძესა და განს. „კალეს მოქალაქეებით" დაწყებული, ჩემს მთავარ მიზნად იქცა ძიება მიზანშეწონილი გაზვიადებისა". ამ მიზანშეწონილი გაზვიადების მაგალითს ვპოულობთ მერაბ ბერძენიშვილის ყველა ქმნილებაში არა მარტო მთლიანის, ზოგჯერ თუნდაც რაიმე დეტალის სახითაც, და ის ხშირად გვაძლევს ჟასაღებს პიროვნების რაობის შესაცნობად. მოქანდაკე „გურამიშვილში" გვთავაზობს პოეტის ცხოვრების

ყველაზე დრამატულ მომენტს — გასრულებულია, ახდენილია დიდი ოცნება — მისი ამქვეყნიური ტანჯვით, ფიქრით, ეჭვით და იმედით აღსავსე წიგნის შექმნა. მაგრამ ყველაფერი შეიძლება მტკივნად იქცეს, თუ წიგნი კანონიერ მემკვიდრემდე — სამშობლომდე ვერ მიაღწევს და, მშობელი ხალხისათვის ცნობილი არ გახდება მისი ერთი ღირსეული შვილის ფიქრი, გრძნობა და ტკივილი. ამგვარი სულისკვეთების, დრამატული ვითარების მხილებაა „დავით გურამიშვილის“ სახეზე აღბეჭდილი განცდა და მასთან ერთად მარჯვენა ხელის ესოდენ მრავლისმეტყველი მოძრაობა.

სახეს მოქანდაკე ბერწავს დიდი შინაგანი ტკივილით შეძრულს, მაგრამ სახეზე აღბეჭდილი ტკივილი არ არის უბრალო მომაკვდავის ტკივილი, აქ საქმე გვაქვს დიდი ნებისყოფის ადამიანთან, იქნებ ამის მისანიშნებლად სჭირდება ხელოვანს რაღაც ის სევდანარევი ირონია, თუ უნებლიე ღიმილი, ამ ტკივილში რომ არის გარეული.

ამ ქმნილების პირველივე ხილვამ, შეიძლება ითქვას, სულის სიღრმემდე შემძრა, რადგან მასში დავინახე არა მარტო გურამიშვილის პიროვნების სრულიად ახლებურად, დიდი პლასტიკური ძალით წარმოჩენა, არამედ ჩვენ თვალწინ ნამდვილი შემოქმედის დაბადების ფაქტიც, შემოქმედისა, რომელსაც შესწევს ძალა არა მარტო თვითონ ჩაიხედოს ისეთი რთული, ტრაგიკული ბედის პიროვნების სულში,

როგორიც გურამიშვილია, არამედ ჩვენც ჩაგვახედოს და გვაზიაროს ჭეშმარიტ განცდას.

1966 წელს, როცა მთელი კულტურული კაცობრიობა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს ზეიმობდა, ეს მოვლენა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში იმითაც აღინიშნა, რომ მოსკოვში დაიდგა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული რუსთაველის ძეგლი. იგი მცირე ზომისაა მოქანდაკის სხვა მონუმენტებთან შედარებით, მაგრამ განუზომლად დიდია მისი მნიშვნელობა და აგრეთვე მერაბ ბერძენიშვილის წარმატებით მოპოვებული აღიარებაც ქართული პლასტიკური ხელოვნებისა ესოდენ დიდ სარბიელზე.

მსოფლიო აღიარება ქართული პოეტური გენიის — რუსთაველისა — მოსკოვით დაიწყო ჯერ კიდევ 1934 წელს, როცა საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე სვეტებიან დარბაზში ლიტერატურის გიგანტებს შორის რუსთაველის სურათმაც დაიჭირა თავისი კუთვნილი ადგილი.

რუსთაველის იდუმალი შარავანდედით მოსილი პიროვნების პლასტიკურად წარმოსახვა, ჩემი აზრით, არის ყველაზე სახიფათო გზა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის, მისი გმირების სულიერ სამყაროში შეჭრისა. ამ გაბედულებამ ჩვენ უნდა გვაზიაროს იმ პიროვნების სილვას, რომელსაც აგერ, უკვე რვა საუკუნე გვაშორებს და თითქმის ზეკაცად წარმოგვიდგება. ამ ამოცანას, მიუხედავად წარმოუდგენელი სიძნელისა, თითქმის ყველა მხატვარი, დიდი თუ პატარა, ეჯი-

დება; ყველას ერთნაირად აინტერესებს შოთა რუსთაველის „გამოცხადებას“, „სილვას“ ეზიაროს ამ გზით მაინც; ყველას თავისებურად წარმოუდგენია მისი ხატება, მაგრამ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, შედეგი ყველა შემთხვევაში სავალალოა. იმ „ერთ-ორ“ გამონაკლისს შორის მეგულება მერაბ ბერძენიშვილის „რუსთაველი“. შესაძლებლად მეჩვენება მისი სახის ამგვარად წარმოდგენა და, მართლაც, ეს მძიმე ნაბიჯი, ეს მძიმედ დახრილი თავი, ფიქრში წასული კაცის მძიმედვე დახრილი ქუთუთოები რაღაც ისეთი მოწიწების გრძნობას იწვევს, მდუმარედ ჭვრეტის სურვილს ბადებს, შენ თვითონ გიკვირს და თითქმის შიშიც გიპყრობს, უნებლიეთ დაცდენილმა სიტყვამ კი არა, თუნდაც აღტაცების გამომხატველმა ბგერამაც კი შეიძლება მის ფიქრს ხელი შეუშალოს... ამგვარ განცდას შეიძლება ნამდვილმა ხელოვნებამ გაზიაროს. და რაკი ასე განგაწყობს ეს სახე, რომ იდუმალ ფიქრსაც კი აღგიძრავს, ალბათ ამიტომაც გაჯერებს იგი.

რუსთაველზე ფიქრს, არ ვიცი რატომ, მაგრამ უნებლიეთ გადავყავარ სულ სხვა წიაღში... მესმის ზღვის ტალღის ნელი ხმაური, ამ ხმაურს კი მოსდევს სიზმარში ნახულის მსგავსი ხატება... კოლხი ქალის — მედეასი.

მედეას ლეგენდის არჩევანი თავისი მონუმენტის თემად მერაბ ბერძენიშვილისათვის სრულიად კანონზომიერი ჩანს. როგორც ვთქვით, მას განსაკუთრებით იზიდავს ტიტანური ვნებათაღელვის ადამია-

ნები. მათი დიდი ფსიქოლოგიური განცდის პლასტიკურად გადმოცემის შესაძლებლობა.

მედეას სული ევრიპიდემ ტრაგედიაში მოამწყვდია, მერაბ ბერძენიშვილმა კი მშობლიური ზღვის ნაპირზე აღმართულ ბრინჯაოს მონუმენტში. თუ ევრიპიდე ბოლომდე ამბობს სათქმელს, თუ მელეას თავისი შვილების მკვლელად გვთავაზობს და მსოფლიო დრამატული პოეზიის ეს გვირგვინოსანი მისი გაკვეთილით დღემდე ზარავს კაცობრიობას, მერაბ ბერძენიშვილს ამ ტრაგედიაში მედეას პიროვნება სხვა კუთხით აინტერესებს. იმ მომენტში, როცა ჩვენ „მედეას“ პირისპირ ვხვდებით, მისი ხელები საკუთარი შვილების სისხლით ჯერ კიდევ არ არის შეღებილი, იმიტომ ხომ არა, რომ მ. ბერძენიშვილს შედეგზე უფრო მიზეზი ზარავს, — მიზეზი შურისძიებისა, ის, რამაც კოლხ ქალს ასეთი საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა.

სხვა შემთხვევაშიაც, იქნება ეს „გურამიშვილი“ თუ „სააკაძე“ მერაბ ბერძენიშვილს ფინალი არ აინტერესებს. „გურამიშვილს“ მოაქვს ჩვენკენ მკერდში სასოებით ჩაკრული წიგნი, მაგრამ „დავითიანის“ ბედი მისთვის ჯერ კიდევ უცნობია, ისევე როგორც ღვთისმშობელს რაფაელის გენიალურ კომპოზიციაში მოჰყავს ჩვილი იესო, რათა კაცობრიობას გადასცეს იგი, მაგრამ რა ბედი ეწევა მის პირმშოს, ჯერ კიდევ არ იცის, თუმც დედის გული გრძნობს მოსალოდნელ ტრაგედიას. „სააკაძეს“ ხმალი ნახევრად გაუშიშვლებია. ბრძოლა იწყება, მაგრამ არავინ იცის,

რით დასრულდება იგი; ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მედეაც, გურამიშვილიც, სააკაძეც პირისპირ დგანან ბედისწერასთან, დგანან თავიანთ სიმართლეში დარწმუნებულნი, თავიანთი ღირსებისა და მოვალეობის შეგნების სიმაღლეზე.

მერაბ ბერძენიშვილის პოზიცია ყველა შემთხვევაში გაპირობებულია მისი ნატურის თავისებურებით, მისი ესთეტიკური მრწამსის ლოგიკით.

ამიტომაცაა, რომ ეს ყველაფერი ამაღლებული გრძნობით გვმუხტავს. ავტორთან ერთად პერსონაჟის ბედის, მისი დიდი სულიერი მღელვარების მოზიარედ გვხდის.

დგას მონუმენტი ზღვის ნაპირზე, სტიქიის პირისპირ, და მედეას მარტო სილუეტიც კი იქაურობას მსჭვალავს რაღაც დიდი მოლოდინის ჟრუანტელით, და ეს ზღვის ტალღის ჩუმი ბორგვაც ისე აღწევს ახლა შენამდე, როგორც ადამიანის მძიმე სუნთქვის ხმა.

ამ სილუეტში ნიშანდობლივია თავსაბურავი, რომელიც მძიმედ ეშვება კვარცხლბეკამდე. თავსაბურავის მოძრაობა უნებლიეთ იწვევს დიდი უბედურების საუწყებლად ჩამოშლილი ნაწნავის ასოციაციას, მაყურებელს შინაგანად აფორიაქებს. თავზე ნახევრად წამოხურული თავსაბურავის ნაპირი მედეას მაღლა აწეული მარცხენა ხელის ზურგით უჭირავს; ამიტომაც ცისკენ მიშვერილი ხელისგული, ოდნავ მოხრილი თითები სულ სხვა რამეზეა გამიზნული, ვიდრე თავსაბურავის დაჭერაა.

პირგამეხებულ, საშინელი გადაწყვეტილებით

აფორიაქებულ მედეას ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია შვილის სხეულისთვის ხელის მოცილება. და ეს მზრუნველი მოხვევა, ვინ იცის, იქნებ უანგარიშო მოძრაობაც კი ხელისა, რომლის ვეებერთელა მტევანი ბავშვის ზურგს ფარავს, აშკარად უპირისპირდება მაღლა აწეულ, მარცხენა ხელის სულ სხვა შინაარსით სავსე, იდუმალ მოძრაობას. ამ კონტრასტს, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, სულიერი მდგომარეობისა და აზრის ჭიდილისა მოქანდაკე გადმოგვცემს დიდი გრძნობითა და ოსტატობით. და როდესაც ხელოვანი დღევანდელ ადამიანს გაზიარებს დიდ განცდებს, ეს განა არ არის ნიჭის, გემოვნების, ოსტატობის ჭეშმარიტი დადასტურება? თქმა არ უნდა, თავისი წმინდა პლასტიკური ღირსებებით ეს ნამუშევარიც უაღრესად თანამედროვე და პოეტური ქმნილება რომ არ იყოს, შთაბეჭდილებაც არ იქნებოდა ასე დიდი და წარუშლელი.

და აი, ყველა ამ წარმატებების, მრავალი სიძნელის გადალახვის შემდეგ მერაბ ბერძენიშვილი კიდევ ერთი მძიმე შემოქმედებითი ბრძოლის გადასახდელად ემზადება, — ის ხელს ჰკიდებს ისეთი თემის, ისეთი პიროვნების პლასტიკურად ხორცშესხმას, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა საუკუნეთა მანძილზე აზრთა სხვადასხვაობის, მწვავე კამათის საგნად იყო ქცეული. ეს არის გიორგი სააკაძე.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტო ამ შემთხვევისათვის კი არა, საერთოდ, ყველა სხვა ღონისძიებებთან ერთად მონუმენტური ქანდაკების ოს-

ტატს — მერაბ ბერძენიშვილს — აღმოაჩნდა ისტორიზმის ზედმიწევნით გამასვილებული გრძნობაც.

ორიოდე სიტყვით გვინდა შევეხოთ საკაძის პიროვნებისა და ღვაწლის ეჭვის ქვეშ დაყენების მოარულ ცდას ჩვენს სინამდვილეში, და ხშირად იმათი მხრით, ვისთვისაც ის ყურმოკრული ამბების მეტი არაფერია. ჩვენ ვიცით, რა აზრისაა საკაძის შესახებ „ქართლის ცხოვრება“, რა აზრისაა ხალხი. ახლა გვსურს მკითხველს შევახსენოთ, რა აზრისაა ერთი დიდი პოეტი და მოქალაქე, რომელსაც პატრიოტობისა, ეროვნული შეგნებისა, ვაჟკაცობისა და ისტორიზმის განსაზღვრისას არაფერი ეშლება, — ესაა ვაჟა-ფშაველა. მისი ლექსი „გიორგი საკაძის სურათზე“ არის ამ ტრაგიკული ბედის ადამიანის (არა ინტრიგების სულისჩამდგმელი აზნაურის, როგორც ზოგს ჰგონია) ყველა უსამართლოდ მიწერილი ბრალდებისაგან ხსნისა და რეაბილიტაციის დამაჯერებელი ცდა. „თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება?“ — კითხულობს განცვიფრებული და შეშფოთებული ვაჟა-ფშაველა. შემდეგ კი უკვე აღშფოთებული განაგრძობს: „კარგის დაღუპვა რად გვენატრება, ჩვენი შვილისა, ჩვენივე ძმისა?!“ საქართველოსთვის ამ მტკივნეული საკითხის დასმა, ყურადღების ამგვარად გამახვილება მარტო საკაძის ტრაგედიის ფარგლებში არ ტოვებს ამ ეროვნულ უბედურებას.

ლექსი 1910 წელსაა დაწერილი და ესეც დიდად

საგულისხმოა: დაწერილია იმ პერიოდში, როცა ერთი დიდი ეროვნული ჭრილობიდან ისევ ჟონავს სისხლი.

დიდი პოეტი ლექსს წერს გიორგი სააკაძეზე და მას კარგ შვილად იხსენიებს. ამის შემდეგ ნურავინ დაიკვეხნის, რომ ვაჟა-ფშაველაზე უკეთ ამოიკითხა, უკეთესად ჩასწვდა იმას, რაც სააკაძის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ სწერია, ან უკეთ გაუგო ხალხს, როცა მან სააკაძის სახელი სიყვარულით შემოინახა. ვაჟას ლექსი გზას უხსნიდა მერაბ ბერძენიშვილს, მთელი თავისი ოსტატობა, მგზნებარება ტემპერამენტისა ჩაექსოვა სააკაძის პიროვნების პლასტიკურად წარმოსახვაში.

ჩვენს შეგნებას ყოველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები წარმართავს გარკვეული იდეის მიმართულებით; დღეს, როცა სააკაძის მონუმენტს შესცქერი, მასში ხედავ სააკაძის გამარჯვებას თავისი სამშობლოს მტრებზე. ასეთია ისტორიული სინამდვილე. სამშობლოსადმი თავდადების იდეა აქ პოულობს თავის ღირსეულ ხორცშესხმას, ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ „კარგი შვილების“ ღვაწლის დაფასების გამოხატულებას..

მ. ბერძენიშვილის ეს მონუმენტი კასპში დაიდგა. მაღალი პოსტამენტიდან გადასცქერის მშობლიურ მხარეს საომარ ცხენზე ამხედრებული გიორგი სააკაძე. ამ სწორუპოვარ გმირს სამასორმოცი წლის შემდეგ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება.

ეს მონუმენტი არ არის მარტო სააკაძის ღვაწლის

გახსენება და დაფასება. ხელოვნებაში თუ კონკრეტული განზოგადებულის სახეს არ ღებულობს, ის ქმნილება ჩანაფიქრშივე სუსტია. მერაბ ბერძენიშვილის „გიორგი სააკაძე“ იმითაცაა საყურადღებო, რომ მოქანდაკეს მიზნად არ დაუსახავს კონკრეტული ისტორიული პიროვნების ვიწრო ჩარჩოში ჩასმა. „სააკაძეში“ ხელოვანი ხედავს მტრის რისხვად ამხედრებულ ქართველ მეომარს, საქართველოს პატრიოტს, და არა მისი ერთი რომელიმე კუთხისას. მოქანდაკე არ აზუსტებს სააკაძის პორტრეტს, თუმცა ამისი საშუალება ჰქონდა და მერე რა „მაცდური“ იყო იგი! მას შეეძლო გამოეყენებინა კასტელის ჩინებული ნახატი, სადაც სააკაძე ესოდენ მიმზიდველი სახის რაინდად წარმოგვისახა იმ ეპოქის იტალიელმა მხატვარმა. მერაბ ბერძენიშვილი შთაგონებით ქმნის დიდი გამომსახველობის ძალის ჭეშმარიტად ფსიქოლოგიურ პორტრეტს, გატარებულს საკუთარი ხილვის პრიზმაში, თავისი რთული ამოცანის და დრამატული ვითარების შესაბამისს.

გარშემო არც ბრძოლის ველია, და არც მხედრობა ჩანს, მაგრამ ოსტატის ხელით გამოძერწილი და ბრინჯაოში ჩამოსხმული ცხენის მოძრაობაში ყოველი კუნთის თრთოლა, ბრძოლის ველზე ატეხილი ყიჟინის ანარეკლად, დაძაბულ მომენტზე უმძაფრეს რეაქციად აღიქვება. უნაგირზე წამოწეულ სააკაძეს ხმალი ნახევრად გაუშიშვლებია, ფეხის წვერები კი უზანგებში ისე გადაუღუნავს, ცხენისა და კაცის დაძაბულობას, ჩანს, რაღაც გადამწყვეტი მოძრაობა

უნდა მოჰყვეს. ხმალს ელვისებური კამარა ჯერ არ გაუკეთებია, მაგრამ ქარქაში უკვე ცას ხევს...

რა იყო მტრისთვის სააკაძის პიროვნებაში ყველაზე საშინელი და თავზარდამცემი? — თქმა არ უნდა, ამ სწორუპოვარი გმირის მკლავის ძალა, მოსაზრებულობა, ღვთით მომადლებული ნიჭი მხედართმთავრისა. ამ განსაკუთრებულ ძალას, უნარს შემართებისას, სჭირდება განსაკუთრებული ხაზგასმა პლასტიკურ ფორმაში გადატანისას და აქ საამისოდ მოქანდაკე იშველიებს იარაღის განსაკუთრებულ ზომას. უპირველეს ყოვლისა, ამით უნდა გაუსვას ხაზი და შეავსოს ის დაძაბულობა, რასაც ასე შეუპყრია და შეუნივთებია მხედარი და ცხენი.

თანამედროვეთა გადმოცემით, საკმარისი იყო თურმე სააკაძის ქარქაშიდან ამონათებული ხმლის დანახვა და ბრძოლის ჟინის აღმძვრელი ერთი გადაყივლებაც კი, რომ მტრის ლაშქრის დაწინაურებულ მხედრობას თავზარი დასცემოდა; იმ გადაყივლების გარეშეც ბრინჯაოში ხელოვანს ისეთი ძალით შთაუბერავს სული კაცისა და ცხენისათვის, რომ ბრძოლის ჟინის ალმურში ხვევს მნახველს და იმ შემართების თანაზიარს ხდის. და როცა იქაურობას ტოვებ, მაშინაც არ გცილდება, სულ თვალწინ გიდგას ეს სახე, ეს მოძრაობაში წარმოქმნილი, დახვეწილი ხაზები და სილუეტი მეომრისა და ცხენისა, ცას რომ შერწყმია და დიდებულ ხილვად გაფენილა სივრცეში.

„სააკაძეს“ მოჰყვა თბილისში, ფილარმონიის შე-

ნობის წინ აღმართული „მუზის“ მონუმენტი, „მუზას“ „ზაქარია ფალიაშვილი“, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერში დაიდგა.

ყველა ეს ქმნილება იმდენ ფიქრსა და ემოციას იწვევს, თემის შესაბამის ისეთ ჰეშმარიტ მხატვრულ გადაწყვეტას პოულობს მოქანდაკე, რომ მნახველს სიამაყის გრძნობა ეუფლება.

ახლო ხანში ლაოსის დედაქალაქში დაიდგმება მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული მეფე სი-სვანგ-ვონგის ბრინჯაოს მონუმენტი, ხოლო თბილისის ახლოს, მარნეულის კარიბჭესთან, აღიმართება სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი, რომლის მთავარი ნაწილი იქნება თერთმეტმეტრიანი ქანდაკება — „კიდევაც დაიზრდებიან“.

ამჯერად გაკვრითაც ვერ შევეხეთ მ. ბერძენიშვილის არა მარტო ზოგიერთ მონუმენტურ ქმნილებას („მუზა“, „ზაქარია ფალიაშვილი“), მის მრავალრიცხოვან მცირე ზომის პლასტიკურ ქმნილებასაც (მარჯანიშვილის პორტრეტი და სხვა), აგრეთვე დაზგურსა და წიგნის გრაფიკას, საერთაშორისო პრემიებით არაერთხელ აღნიშნულ პლაკატების სერიას, წიგნის გაფორმებას, სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებების ილუსტრაციებს, უცხოეთში მოგზაურობით შთაგონებულ ჩანახატებს. ეს მომავლის საქმეა.

მერაბ ბერძენიშვილის დიდი ტალანტით აღბეჭდილ შემოქმედებას უთვალავი თაყვანისმცემელი და დამფასებელი ჰყავს.

ვიტყვით სოლმე, თვალსაჩინო წვლილიო... მერაბ ბერძენიშვილის დიდი ოსტატობით, შთაგონებით, ეროვნული ელფერით აღბეჭდილი შემოქმედება — თვალსაჩინო წვლილზე მეტია. ეს ის წვლილია, რომელიც მის ზოგიერთ კოლეგასთან ერთად განსაზღვრავს დღევანდელი მონუმენტური ქანდაკების დონეს და განვითარებას საქართველოში, განაპირობებს მის აღიარებას დიდ სარბიელზე.

1975

ერთდროულად მიცქერიან...

წინ მიდევს ოციანი წლების ბოლოს გადაღებული ორი ფოტოსურათი, ერთდროულად მიცქერიან იაგო და ყვარყვარე. მათ ანსახიერებდა უშანგი ჩხეიძე. ერთდროულად ჩამესმის ყურში ორივეს ხმა, მართალია, განსხვავებული ხასიათისა, მაგრამ ორივე საოცრად ბუნებრივი, ადამიანური, დროდადრო ხმის ტემბრით მაინც მონათესავე და ნაცნობი...

როგორც ხმით, ისე გრიმით უშანგი სცენაზე სახეს არასოდეს იმ ზომამდე არ იცვლიდა, რომ ვერ გეცნოთ.

სწორედ იმ ხანებში და მერეც ხშირად ზოგი მსახიობი სცენაზე ფიტულს მაგონებდა, რომელსაც არ დაუშურებია გრიმის შესაძლებლობანი, რათა თავი ისე „გარდაესახა“, მაყურებელს იგი ვერასგზით ვერ ეცნო.

როლის შესაბამისად მსახიობის გარდასახვის გარეგნულ მხარეს უშანგი ამდიდრებდა, უპირისპირებდა წარმოსახვის ძალას. პერსონაჟის ხასიათს,

ნიღაბთან ერთად, ის ქმნიდა არა მარტო გრიმით, არამედ, და უპირველეს ყოვლისა, მისი სულის მაყურებლის წინაშე „ძერწვის“ ხელოვნებით. ეს პროცესი იყო სწორედ ის მაგია, რაც ასერიგად იმორჩილებდა მაყურებელს. უშანგის თამაშის დროს ვერც კი შეატყობდი, როგორ ქრებოდა სცენის ჩარჩო და როგორც ზღვის ტალღა ნაფოტს, ისე გათამაშებდა თავის ნებაზე — ზღვის ტალღასავით ლაღი და ძლიერი ნიჭი ამ აქტიორისა.

როგორც უკვე აღვნიშნე, უშანგი არასოდეს იქამდე არ მიდიოდა, რომ ის ვერ გეცნოთ, არასოდეს ბოროტად არ იყენებდა არც გრიმს, არც ხმას, არც სხვა რამ საშუალებას. პირიქით, მისი სცენაზე შემოსვლა და ცნობა ერთი იყო, მაგრამ, ამავე დროს, ხდებოდა ის სასწაულიც, რომ მის მიერ შექმნილ ნიღაბში უმალ შეიცნობდით იმასაც, ვისაც ასახიერებდა; მსახიობი აღარ გიტოვებდათ იმის საშუალებას, არათუ იმ წუთში, მერეც კი სხვაგვარად წარმოგედგინათ გოდუნი, იაგო, ყვარყვარე (და, ალბათ, ჰამლეტი, ჩენჩი). აი, სწორედ ეს ორი გარემოება — გამოჩენის უმალ მსახიობის ცნობა და ასევე უმალვე უყოყმანოდ მიღება, აღიარება იმისა, რომ უშანგის სახით ამჟამად თქვენ ნამდვილად გამოგეცხადათ იაგო თუ ყვარყვარე, იყო მსახიობის დიდი ტალანტის, ოსტატობის, ჭეშმარიტი გარდასახვის უნარის დადასტურება. სცენაზე შემოსულს კი არა, უშანგის სცენაზე შემოსვლამდეც, კულისებშივე იცნობდა ხოლმე მაყურებელი. სცენის ახლოს, ქანდარის კუთხეებში

მოკალათებული, დალანდავდა თუ არა კულისებში გამოჩენილ მსახიობს, უმალ ატეხდა, — რაღაც განსაკუთრებულად და უეცრად, — გაცხარებულ ტაშისცემას. და ეს ტაშისცემა რასაც ნიშნავდა, უმალ ხვდებოდა მთელი დარბაზი — მალე უშანგი უნდა გამოჩენილიყო.

ხოლო მისი უკვე სცენაზე გამოსვლა და რამდენიმე წუთს გაგრძელებული მხურვალე ოვაცია ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამგვარი შეხვედრა მაყურებლისა მსახიობთან უკვე ისეთ ატმოსფეროს, განწყობილებას ქმნიდა დარბაზში, რომ მღელვარებას, სიხარულს, ჯერ მხოლოდ საყვარელი მსახიობის გამოჩენით გამოწვეულს, რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინს საზღვარი არა ჰქონდა. გეგონებოდათ, ამ გაშმაგებულ ტაშისცემას ვეღარაფერი შეაჩერებსო, მაგრამ... საკმარისი იყო, დასაწყისში ოდნავ შემკრთალი და, ბუნებრივია, ზომაზე მეტად აღელვებული მსახიობის ერთი უსიტყვო ჟესტი, ან ბაგის შერხევა, რომ უეცრად ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ახლა სწორედ ეს სიჩუმე და მოლოდინი შეგძრავდათ. უშანგის ხმის ამოღება, პირველი ფრაზის გაგონება და მაყურებლის რაღაც უცნაური ურუანტელით შეპყრობა ერთი იყო. შეციებულივით ბუსუსებდაყრილი, მონუსხული უცქეროდი მის მოძრაობას, გესმოდა სიტყვა, რომელიც, დროდადრო, მართლაც რომ ცეცხლში ნაჭედი ფოლადივით ჟღერდა... და გაოცებდა, რა მკაფიოდ, რა ადვილად აღ-

წევდა იგი, თუნდაც ჩურჩულით წარმოთქმულს, თვით ქანდარის ბოლო რიგებამდეც კი!

რასაკვირველია, ასეთი მსახიობისათვის მარტო გრიმით „ჯადოქრობა“ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და მისი ეს შინაგანი გარდასახვის ჭეშმარიტი გზა, მაყურებლისათვის ეგზომ ხილული პროცესი, თითქოს თქვენ თვალწინ იმ ადამიანის სულში გადასახლებისა, ვისაც მსახიობი ასახიერებდა, სასწაულმოქმედად წარმოგიდგენდათ მას. უშანგი ჭეშმარიტად ფლობდა, თავისი განუმეორებელი ნიჭის წყალობით, მაყურებლის წინაშე პერსონაჟის სულის ძერწვის საიდუმლოს.

ჰამლეტისა და ჩენჩის გარდა, უშანგი თითქმის ყველა მთავარ როლში მინახავს, რაც მას რუსთაველის თუ მარჯანიშვილის თეატრის სცენებზე განუსახიერებია. ეს იყო დიდი ხნის წინათ, მაგრამ ზოგი რამ აქამდე მომყვება სიზმარეულ ხილვასავით. ქართული დრამის იმ დღესასწაულებად ქცეული, მარჯანიშვილისეული და ახმეტელისეული სპექტაკლებისაგან თუ მათში მონაწილე მსახიობებისაგან მხოლოდ ფოტოსურათები შემოგვრჩა... და აი, დღეს წინ მიდევს რაღაც განსაკუთრებულად ამოჩემებული ეს ორი ფოტოსურათი... ერთდროულად მიცქერიან იაგო და ყვარყვარე, ერთდროულად ჩამესმის ყურში ორივეს ხმა, რომელთა სცენურ სიცოცხლეს ოდესღაც სული შთაბერა უშანგიმ. და ახლა ისეთი განწყობილება მეუფლება, თითქოს უშანგისთან ერთად წავიდნენ ჰამლეტიც, იაგოც, ჩენჩიც, ყვარყვარეც, რად-

გან უშანგის შემდეგ ისინი სცენაზე იმ ძალით გაცოცხლებული აღარავის უნახავს.

ამ ორმა ფოტოსურათმა იმთავითვე მიიქცია ჩემი ყურადღება... იაგო და ყვარყვარე — ცა და დედამიწასავით ერთმანეთისაგან დაშორებული ორი ხასიათი, ორი ნიღაბი და... ზუსტად ერთნაირი პოზა! ერთს ყაბალახით წაუკრავს თავი, მეორეს — ტილოს ნაჭრით. ერთსაც, მეორესაც თხლად შეუკრეჭია ულვაში. ერთს ცოტათი შეუტოვებია წვერი ნიკაპზე, მეორეს — მეტად. ორივე ზის. ორივეს თავზე შემოუდვია ხელი. ამდენი საერთო რამ მათს გარეგნობასა თუ პოზაში და უფსკრული მათს სულიერ მდგომარეობასა და გამომეტყველებაში. ერთის გამოხედვაში — მზაკვრული ზრახვით და ბნელი ფიქრით შეპყრობილის გარინდება... ეს ის წამია, როცა ფიქრი ბორგავს და ადამიანი უსმენს არა მარტო საკუთარ გულისცემას, არამედ გულისთქმის იდუმალ ჩურჩულსაც; მეორის გამოხედვაში კი აშკარად, დაუფარავად ჩანს, ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი საგონებელში ჩავარდნილი ყვარყვარე — შემთხვევით აღზევებული და მერე უეცრად ძირს დანარცხებული, თავის მოსაწყლებით და მოკატუნებით რომ ცდილობს, ხიფათს დაუძვრეს. ზუსტად ერთნაირი პოზა, მაგრამ უფსკრული სულის ხატვისას: ორივე ფოტოზე ერთნაირად თავზე შემოდებული ხელი სულ „უმნიშვნელო“ განსხვავებით, ყვარყვარეს ხელი გაშლილია და ისე იკითხება, თითქოს ამ წუთში სწორედ ამით მიგანიშნებდეთ, რას ფიქრობს მისი პატრონი —

„ვაი, შენ, ჩემო თავოო“. იაგოს მუშტად შეკრული ხელი კი მისი ფიქრის, მისი ზრახვის, მისი მტკიცე გადაწყვეტილების მხილებაა.

წინ მიდევს ორი ფოტოსურათი... ერთდროულად მიცქერიან იაგო და ყვარყვარე. ერთდროულად ჩამესმის ყურში ორივეს ხმა, თუმც ესოდენ განსხვავებული, ხასიათის შესაბამისად, ინტონაციით, მაგრამ ორივე საოცრად ბუნებრივი, ადამიანური, დროდადრო ტემბრით მაინც მონათესავე და ნაცნობი... ხმა საბჭოთა ეპოქის ქართული თეატრის უპირველესი მსახიობის — უშანგი ჩხეიძისა.

1973

ღირსეულად ვალმოხდილი

როდესაც ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებას ეცნობი, ერთი მხრივ, გაოცებს მისი სულის წრთობისა და ინტელექტის ჩამოყალიბების ხანგრძლივი, რთული პროცესი, მეორე მხრივ, ხელოვნების საკურთხეველზე სიცოცხლის მსხვერპლად მიტანის მაგალითი. არათუ სიჭაბუკისა და ხანდაზმულობის, თვით ბავშვობის უზრუნველი წლებიც კი აფორიაქებული და აღსავსეა მუსიკით... ის თითქოს იშვა ქართული ხალხური მუსიკისა და საკულტო საგალობლების წიაღში. ადვილი წარმოსადგენია პატარა ბიჭუნა, რვა წლის ზაქარია, კათოლიკური საეკლესიო გუნდის მომღერლის სამოსელში. მისი დისკანტი ორღანოს ხმას ერთვის და „ავე მარიას“ ღვთაებრივ ჰანგებთან ერთად უსასრულობისაკენ მიჰქრის...

წარმოუდგენლად მცირე მონაკვეთი დროისა აშორებს ზაქარიას მშობლის „იავნანიდან“ „ავე მარიამდე“, მაგრამ რა ბუნებრივ, რა ლოგიკურ კანონზომიერებად ჩანს ყველაფერი, როცა საქმე ქართველთა ამ მუსიკალურ გენიას — ფალიაშვილს ეხება.

მუსიკით გატაცება თავდავიწყებამდე, მუსიკის სიყვარული სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება მის მხურვალე სულში და ამიერიდან ფალიაშვილის მთელი ცხოვრება, სიცოცხლის აზრი მუსიკაა მხოლოდ. მაგრამ არა უსაგნო, უდღეური და განყენებული, არამედ ეროვნული და საკაცობრიო ინტერესების გამომხატველი. შემთხვევითი არ იყო, რომ ადრიდანვე ზაქარია ფალიაშვილი მთელი თავისი არსებით და შეგნებით ეროვნული ხალხური მუსიკის ძირებს დაუკავშირდა და რუსულ თუ ევროპულ კლასიკურ მუსიკას ნაზიარები, ახალი ქართული მუსიკის გოლიათად წამოიმართა.

1903 წელს რუსეთიდან დაბრუნებული ფალიაშვილი, რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა დაოსტატების გრძელი და რთული გზა — ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის გუნდიდან მოსკოვის კონსერვატორიამდე, ღებულობს უთუოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და სწორ გადაწყვეტილებას, როგორიც კი შეეძლო მიეღო ხელოვანს, რომელსაც შემდგომში ესოდენ დიდი როლი უნდა შეესრულებინა ეროვნული მუსიკის გამდიდრებისა და საოპერო ხელოვნების საფუძვლის ჩაყრის საქმეში. ფონოგრაფით შეიარაღებული, ამჯერად ის მიემგზავრება სვანეთში, რათა უფრო ახლოს გაეცნოს ქართული ხალხური მუსიკის საგანძურის სვანურ ნიმუშებს (ადრე ამ მიზნით მან მოიარა გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი და რაჭა).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეკრებილ

ხალხურ სიმღერებს შემდეგ ის ცალკე კრებულადაც სცემს. და ასე, ბავშვობიდანვე ნაზიარები და გამოკვებილი, ერთი მხრივ, ეროვნული ხალხური, მეორე მხრივ, საკულტო და კლასიკური მუსიკის ჰანგებით, შეუმჩნევლად უახლოვდება თავის დიდ ოცნებად ქცეულ მიზანსა და საწადელს — დაწეროს ქართული ოპერა. როგორც დასტაქრის ხელის მოძრაობა რთული ოპერაციის დროს, ასევე ხელოვანის არჩევანი შეცდომას ვერ ითმენს. სწორედ ამ არჩევანში, საბედნიეროსა თუ საბედისწეროში, ჩანს დიდი ხელოვანის ალღო და ბუნება, რომელიც ყოველთვის ფლობს ხალხის ინტერესის, ადამიანური ვნებათაღელვის, ხასიათის დიდი სიღრმით გამოხატვის საიდუმლოს. ზაქარია ფალიაშვილის მიერ გადადგმული პირველივე ნაბიჯი ქართული ეროვნული ოპერის შექმნის გზაზე თვით კომპოზიტორისა და მთელი ჩვენი ხალხის, ჩვენი კულტურის საბედნიეროდ, უდიდესი გამარჯვებით დაგვირგვინდა — შეიქმნა „აბესალომ და ეთერი“. „ეთერიანის“ ქართული ხალხური ლეგენდა ადამიანური ღირსების საკაცობრიო სადიდებელია. ეს სადიდებელი შორეულ წარსულში შექმნა ჩვენმა ხალხმა და სწორედ ამიტომ, როცა მოგვევლინა ის ჯადოქარი ხელოვანი, ვინც ამ ლეგენდის სიმაღლე მუსიკალურ სულს შთაბერავდა თავის ქმნილებას, არ შეიძლებოდა ხალხს მისთვის ისეთივე პატივი არ მიეგო, რაც ერთ დროს რუსთაველს მიაგო, როცა მისი სახელი პოეზიის სინონიმად იწამა. „აბესალომისა და ეთერის“, „დაისის“ შექმნის

შემდეგ ფალიაშვილის სახელი თუ მუსიკის სინონიმად იქცა საქართველოში, მისი ქმნილებები, „აბესალომი“ და „დაისი“, თამამად ამოუდგნენ მხარში მსოფლიო საოპერო ხელოვნების ყველაზე აღიარებულ ნიმუშებს.

ქართველი მწერლებისათვის კი მუდამ სიამაყით მოსაგონრად დარჩება ის ფაქტი, რომ თუ დღეს საქართველოს მუსიკის სფეროშიაც ჰყავს თავისი უსახელოვანესი შვილების ტოლი ხელოვანი, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ერის მამას — ილია ჭავჭავაძეს. მან ჭაბუკ მუსიკოსს არ მოაკლო ზრუნვა, ამაგი და იმ დიდ გზაზე გაიყვანა, რასაც ასე ნატრობდა ქართველი ხალხის პოეტური გენია — ნიკოლოზ ბარათაშვილი.

დიდი ქართველი — ზაქარია ფალიაშვილი ღირსეულად ვალმოხდილი აღმოჩნდა როგორც ილია ჭავჭავაძის, ისე მთელი ჩვენი ერის წინაშე.

1971

ლიტერატურული კრიტიკის გვალვაში

როდესაც „მნათობში“ სოლომონ დემურხანაშვილის კრიტიკული წერილი წავიკითხე ჩემს რომანზე, ჩვეულებრივ, როგორც ხდება ხოლმე, პასუხის გაცემა არ მომსურვებია: რამდენს გამოუთქვამს თავისი აზრი დადებითთან ერთად უარყოფითიც, დაუსაბუთებელიც „ახალ ჰორიზონტზე“ ს. დემურხანაშვილამდე, და რამდენი გამოთქვამს, ალბათ, დემურხანაშვილის კრიტიკული წერილის შემდეგაც. აზრთა სხვადასხვაობა ისევე კანონზომიერია, როგორც გემოვნების კაპრიზები. მაგრამ იმ დღეებში ჩემი ყურადღება უნებლიეთ მიიქცია ერთმა უცნაურმა გარემოებამ. ზოგი მწერალი თუ კრიტიკოსი შორიახლოდან რაღაც ირონიულად გაღიმებული რომ შემათვალიერებდა, მერე მოსალმების მაგიერ მოულოდნელად თავს რაღაც არაბუნებრივი სიამაყით ასწევდა და ისე ჩამივლიდა. ესენი უმთავრესად იმ ჯგურის

მწერლები და კრიტიკოსები იყვნენ, მამალ თუთის ხეს რომ ჰგვანან: თუთის ხე ჰქვიათ, ნაყოფს კი არ ისხამენ. როცა ჩემი გაკვირვება ზოგიერთ ამხანაგს გავუზიარე, სიცილით მითხრეს — არ გეწყინოს, მაგრამ... ეგენი აღტაცებული არიან სოლომონ დემურხანაშვილის წერილით და, ამბობენ, ყველაფერი მართალიაო; თუმცა, ეტყობათ, შენი რომანი წაკითხული არა აქვთო. ამისი შეტყობა და იმ ცუდად შენიღბული „ინკოგნიტოების" მისამართით გაფიქრება ერთი იყო: „კი მაგრამ, რა გიხარიათ, თქვე საწყლებო? ის, რომ თქვენს თანამემამულეს უკიჟინეს — შენი რომანი რატომ უკეთესი არ არისო?" აქ სულაც არ არის საქმე სისუსტესა და სიბლიერეში. მთავარია, რა ჰგვრის კმაყოფილებას ასეთ ხალხს. რა სინანულის მომგვრელია უღონოთა ეს ფარული სიხარული და ფუჭი ნუგეში: თუ ჩვენ არაფერი არა ვართ, არც სხვა ყოფილა დიდი შვილიო. ზოგჯერ უღონო მოშურნეებს და კარგის მოძულეებს ავიწყდებათ ხოლმე სიხარულის წუთებში, რომ მოცარტს კი არ შურდა და სძულდა სალიერი, სალიერს შურდა და სძულდა მოცარტი. დღემდე გაუგებარია ჩემთვის, რაა სახარბიელი სალიერობაში, მაგრამ ესეცაა, რა ქნას მავანმა, თუ სალიერად დაიბადა, და არა მოცარტად.

იმ ფარულად მოძულეთა სიხარულმა შეიძლება ზედმეტადაც გამაღიზიანა, რაკი პასუხის გაცემა გადავწყვიტე. მით უმეტეს, ს. დემურხანაშვილმა უნებ-

ლიეთ ისეთი ხალხის წისქვილზე დაასხა წყალი თავისი წერილით, თვითონ მასაც რომ სძულს ცხოვრებასა და მწერლობაში, მაგრამ, ჩანს, ყველა მათგანი ჯერ სათანადოდ ვერ შეუცვნია და იქნებ მეგობარიც ჰგონია, რაკი ხშირად „ტკბილად“ საუბრობენ.

იმ საკითხთა წყება, რასაც ს. დემურხანაშვილი თავის კრიტიკულ წერილში აყენებს, რასაც ჩემი რომანის ნაკლად მიიჩნევს, მხოლოდ მაშინ შეიძლება მიიღოს და გაიზიაროს მკითხველმა, თუ ნაწარმოები არ აქვს წაკითხული (გუნებაში თქვას — ალბათ, ასეაო), ან იმ ჯურის მოშურნეებისა და მოძულეების კატეგორიას ეკუთვნის, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ს. დემურხანაშვილის უნებლიე შეცდომა — რომ მან აშკარად იჩქარა და ერთბაშად ვერ დაინახა ის, რისი დანახვაც აუცილებელია უაპელაციო მსჯავრის გამოტანისას, — მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მისატევებელი, ის რომ დამწყები, გამოუცდელი მწერალი და უპრინციპო კრიტიკოსი იყოს, მაგრამ ეს ხომ ასე არ არის; და მით უფრო საწყენია, რომ არა პირდაპირ, არამედ მისი მისამართით, ერთგვარად, შემოვლით მიხდება პასუხის გაცემა ზოგიერთი „ინკოგნიტოსათვის“, ვინც კი ჩემი რომანის გაკრიტიკებას თურმე ასე გაუხარებია. ასეთების ცხოვრებაში ყველაფერი უდღეურია, და მათ შორის, სხვის განაწყენებაზე აღმოცენებული სიხარულიც.

საერთოდ, თუ მწერალი უპასუხებს კრიტიკოსს, შეუძლებელია, წერილის წაკითხვამდე უნებლიეთ არ გაიფიქრონ — კრიტიკას ვერ ითმენსო; თუ არ უპასუხებს, იტყვიან — ალბათ, ეთანხმება, ან არაფრად აგდებს კრიტიკული შენიშვნების ავტორსო; პირადად ჩემთვის, სამივე გარემოება ამჯერად გამორიცხულია. პასუხის ერთადერთი გამართლება კი მხოლოდ ის იქნება, თუ მკითხველი დარწმუნდება, რომ იგი საჭირო იყო.

წერილის შესავალ ნაწილში, როგორც ამას კეთილგანწყობილება და თავაზიანობა მოითხოვს, ს. დემურხანაშვილი არ იშურებს ავტორისა და ნაწარმოების მიმართ ქების ეპითეტებს; წერილის მომდევნო, ვრცელ ნაწილში კი აღნუსხულია, როგორც ამას შემფასებლის მოვალეობა და პირდაპირობა მოითხოვს, ყველაფერი ის, რაც რეცენზენტის აზრით ნაწარმოების ნაკლია. ს. დემურხანაშვილი შესავალშივე წერს, რომ „ახალი ჰორიზონტი“ ურიგო შენამატი არ არის ჩვენი ლიტერატურისა, არც თემის აქტუალობით, სიახლით და არც მხატვრული ღირებულებით, მაგრამ ეს მაინც არ კმარა. ჩემი სურვილია, რომ იგი მხატვრულად უფრო მაღალ დონეზე იდგეს“. უფრო კეთილშობილური სურვილი წარმოუდგენელიცაა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო სულ სხვაგვარი ანალიზი ნაწარმოებისა, რომ მას ჩვენთვის ეჩვენებინა ნამდვილი ნაკლი და ამით მართლაც გაეწია ის სამსახური, რაც რეცენზენტმა, სამწუხაროდ, მხოლოდ სიტყვით დაისახა, საქმით კი მისი განხორ-

ციელება ვერ შესძლო. ბოლოს, წერილის დასკვნით ნაწილში, ს. დემურხანაშვილი გვირჩევს, ჩავუფიქრდეთ მის შენიშვნებს. წერილის გაცნობისთანავე ჩვენ მართლაც ჩაგვაფიქრა ერთმა გარემოებამ: წაკითხულია თუ არა ნაწარმოები? წერილის მიხედვით ეს არ ჩანს. საერთოდ როდის ითვლება წაკითხულად მხატვრული ნაწარმოები? უბრალო ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი რიგითი მკითხველი მხოლოდ იმით კმაყოფილდება, თუ ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავს ზერელედ გაეცნობა, მაგრამ იმ მკითხველს, რომელიც მხატვრული ნაწარმოების, როგორც გარკვეული ღირებულების, შეფასებას კისრულობს, უკვე განუზომელად მეტი მოეთხოვება: მან უნდა შესძლოს იდეური ჩანაფიქრის, კომპოზიციური არქიტექტონიკის, ავტორის პოზიციის, ნაწარმოების პათოსისა და ათასი სხვა განზომილების ამოხსნა და გარკვევა, ე. ი. უნდა მოამზადოს მკითხველი, როგორც ქრისტიანსენი ამბობს, ნაწარმოების გასაგებად. აი, ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, „ახალი ჰორიზონტი" ს. დემურხანაშვილის მიერ წაკითხული არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მარტო ამ თვალსაზრისით!

უპირველეს ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს რეცენზენტის გადაწყვეტილება: შეაფასოს არა მთლიანი ნაწარმოები, არამედ მხოლოდ მესამე, დასკვნითი ტომი. მე ჯერ არ მსმენია, როცა ნაწარმოები დამთავრებულია, შეეხო მხოლოდ მის ბოლო, დასკვნით ნაწილს, იმ მოტივით, რომ წინა ორი ტომი უკვე იყო

განხილული. განხილული კი იყო წინა ორი ტომი, მაგრამ ს. დემურხანაშვილს ხომ არ განუხილავს და შეუფასებია ისინი, ახლა უკან მიბრუნება და ერთხელ თქმულის გამეორება საჭიროდ აღარ ჩათვალა?

რეცენზენტის პირველი კრიტიკული შენიშვნა ასეთია — „როგორც კი ვიწყებთ ნაწარმოების კითხვას, პირველი ორი გვერდიდანვე ვგრძნობთ, რომ ეს მშვიდი, ერთ კალაპოტში ჩაყენებული თხრობა არსად არ შეიცვლებაო“ (ნაწარმოების, თუ მისი მესამე ტომის კითხვას?) ასეთი გულთმისანი ჯერ არ დაბადებულა, ნაწარმოების ორი გვერდის წაკითხვის საფუძველზე დაასკვნას, რომ: „...მშვიდი, ერთ კალაპოტში ჩაყენებული თხრობა არსად არ შეიცვლება“-ო. მე მგონია, რეცენზენტის ამ პირველივე შენიშვნაში ჩანს სწორ გზას აცდენილის პოზიცია. თუნდაც თხრობის მხრივ, ინტონაციური ელფერის თვალსაზრისით განა არის რაიმე საერთო თამარელას უძილო ღამესა, ხიდაშელთან შეხვედრით გამოწვეულ შეშფოთებასა, მესამე პარაშუტისტის შეპყრობასა და მისი საჯაროდ დახვრეტის სცენას შორის? ნიკოს მიერ შვილის დაღუპვის ცნობის მიღებასა, მის ჩუმად გამოტირებასა, სულიკოს ჩამოსვლასა და ბუზალაძის მკვლელობას შორის?

ჩვენ გვესმის მოვლენების, განწყობილების, მდგომარეობის ცვალებადობის აუცილებლობა და კანონზომიერება, მაგრამ თხრობის ცვალებადობაში რას გულისხმობს რეცენზენტი, გაუგებარია.

გადაავლეთ თვალი გათელილ ბირკავადან ჰაჯი მურატის თავის მოკვეთამდე აღწერილ ამბებს და დაინახავთ, ზემოქმედების რა ძალას აღწევს ტოლსტოი „ერთ კალაპოტში ჩაყენებული თხრობით“ და დარწმუნდებით, რომ საქმე „ერთ კალაპოტში ჩაყენებულ თხრობაში“ არ ყოფილა. ერთი შეხედვით რა უბრალოდ, თითქოს ვითარების შეუსაბამო, დინჯი, ეპიკური კილოთი ჰყვება ტოლსტოი ერთი მუჭა მთიელების თავგანწირული, უკანასკნელი გაბრძოლების ამბავს, ჰაჯი მურატის თავის მოკვეთას, მტრების ზეიმს. ტოლსტოი ამ ტრაგიკულ ვითარებაშიაც საღებავს არ ამუქებს, ხმას მაღლა არ უწევს იმაზე მეტად, როცა აღწერდა ბორბლით გადათელილ ბირკავას. იგივე შეიძლება ითქვას პროზის უახლოესი ნიმუშის, ჰემინგუეის „მოხუცისა და ზღვის“ შესახებაც.

რეცენზენტი განაგრძობს: „... და მართლაც, თითქმის თავიდან ბოლომდე გიზგიზებს არც დამწველი, არცთუ გამთბობი ცეცხლი თხრობისა“. ეს შენიშვნა უფრო გასაგები იქნებოდა, რეცენზენტს ერთი მაგალითი მაინც რომ მოეტანა იმისა, საერთოდ თხრობის როგორი ცეცხლი „წვავს“ და „ათბობს“ მას. ჩვენ ერთხელ უკვე ტყუილად არ გამოგვითქვამს ეჭვი იმის გამო, რომ რეცენზენტს, როგორც ეს შემფასებელს მოეთხოვება, „ახალი ჰორიზონტი“ არ წაუკითხავს. სწორედ ამიტომაც, ის უნებლიეთ ასე შორს აღმოჩნდა ნაწარმოების გაგებისაგან. ერთხელ მაქსიმ გორკის ლევ ტოლსტოისათვის უამბნია მო-

თხრობა. ტოლსტოის უკითხავს, რა მანძილზე იჯდა შენი პერსონაჟი ბუხრიდანო. გორკის პასუხზე ტოლსტოის უთქვამს — შეუძლებელია მაგ მანძილზე მჯდომი კაცი ბუხარს გაეთბოო. ასეა ჩვენი რეცენზენტის საქმეც. რეცენზენტის პირველი შენიშვნა — ერთ კალაპოტში ჩაყენებული თხრობის შესახებ — ასე თავდება: „არის ნაწარმოებები, რომელნიც შეიძლება არ იყვნენ ნაკლისაგან დაზღვეულნი, მაგრამ იგრძნობ ენის სინოყივრეს, ფრაზის გემოს, სულს რომ აგითრთოლებს“. რაკი სტენდალისა და მერიმეს ნაწარმოებების თარგმანს ვკითხულობთ, სადაც დაკარგულია მათი ენის „სინოყივრე“ და დედნისეული „ფრაზის გემო“, უამისოდ რეცენზენტს „პარმის მონასტერი“ და „კარმენი“ სულს არ უთრთოლებს? მე პირადად, როდესაც ქართული პროზის ოსტატებს ვკითხულობ, მათ შორის დავით კლდიაშვილს, „სულს მითრთოლებს“ არა „ენის სინოყივრე“, „არამედ ადამიანის სულის მოძრაობა, ადამიანში არსებითის დანახვის განსაცვიფრებელი უნარი. ცხადია, ენა უნდა იყოს ლექსიკურად მდიდარი, თხრობა — ლაღი, გამჭვირვალე, სატყვა — ზუსტი, მაგრამ ენის გადაჭარბებული ორნამენტაცია ყოველთვის მწერლის გაჭირვების მომასწავებელია და არა დალხინებისა. საქმე ისაა, კითხვის დროს სიტყვის სიმსუყესა და სიმჭლევეს არ უნდა გრძნობდე, სიტყვა, ფრაზა უმალ უნდა იქცეს სახედ და ემოციად, როგორც ამას განვიცდით, მაგ., ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამ-

ბობის“ კითხვის დროს. აი ეს მიმაჩნია ჭეშმარიტ ოსტატობად.

პროზაიკოსისათვის უპირველესი ღირსებაა სწორედ დანახვის უნარი, — როგორც ხედავ, ისე ხატავ. როცა რეცენზენტი წერს: „ახლა შევეხოთ ნაწარმოების მთავარ გმირებს, როგორ დახატა ისინი ავტორმაო“, საკითხს არ ეხება ხატვის თავისებურების და ოსტატობის თვალსაზრისით. ის ლაპარაკობს პირველ ყოვლისა თამარელას მისიაზე ნაწარმოებში, მის ადამიანურ და მოქალაქეობრივ ღირსებაზე, მის შემართებაზე; აქვე რეცენზენტი იშველიებს მსოფლიო ლიტერატურის მაგალითებს (ქართული ლიტერატურის მაგალითსაც არ ივიწყებს) და ღრმად დარწმუნებული დასძენს: „ხომ შეგხვედრიათ ცხოვრებაში ადამიანები, რომელთაც მყისვე გაუხსენებიათ ბელიკოვი, ან დონ კიხოტი, ანა კარენინა, ან კიტი, აქსინია, ან ნატალია, ჯაყო, ან ყბაჩა. დიახ, ამ ხასიათის შემქმნელმა მწერლებმა წიგნური გმირები გააცხოვრებისეულეს (ხაზი ჩემია. ლ. ა.), მსოფლიოს მომცველი მხედველობით ჩასწვდნენ ადამიანის ბუნების მიუწვდომელ სიღრმეს და ცხოვრების ჭეშმარიტებას“.

რეცენზენტის ამგვარ მტკიცებაში არის „ცოტაოდენი“ აღრევა: ჩვენი აზრით, შეუძლებელია ბელიკოვის, დონ კიხოტისა და ჯაყოს ერთ სიბრტყეზე მოთავსება. ბელიკოვი ტიპია და არა ხასიათი. რაც შეეხება დონ კიხოტს, ის ტიპზედაც და ხასიათზედაც მაღლა დგას, ის სიმბოლოა, როგორც ჰამლეტი. ამი-

ტომ შეუძლებელია, ისე როგორც ბელიკოვს, მადამ ბოვარს, ანა კარენინას და აქსინიას, ცხოვრებაში შეხვდე დონ კიხოტსა და ჰამლეტს. ამიტომაც შეუძლებელია დონ კიხოტის გვერდით ბელიკოვის დაყენება.

ჩემი რომანის მიმოხილვისას, რეცენზენტს ნებსით თუ უნებლიეთ სურს ზოგი ჭეშმარიტებაც კი თავდაყირა დააყენოს: „რა თქმა უნდა, ისეთ ფართო ნაწარმოებში, როგორიც არის „ახალი ჰორიზონტი", შედარებით იოლია ხასიათის, მით უფრო მთავარი გმირის გამოკვეთა, ვიდრე პატარა ნაწარმოებში"-ო. საქმე ისაა, ორივე შემთხვევაში საჭიროა ოსტატობა; ემილ ზოლას ჰქონდა ნიჭის თავისებურებით გაპირობებული, ხასიათის რომანში ხატვის ოსტატობა, ჩეხოვს კი — ხასიათის ნოველაში ხატვის ოსტატობა.

თავის ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებიდან გამომდინარე რეცენზენტი კონკრეტულად თამარელას მაგალითზე აზრს ასე ავითარებს: „მაგრამ, ჩვენი აზრით, თამარელას ხასიათი კიდევ ვერ არის სრულყოფილად გამოკვეთილი, ინდივიდუალური, ნაწარმოების სხვა გმირებისაგან მკვეთრად გამიჯნული, ისე როგორც ეს არის ხოლმე ცხოვრებაში". სრულყოფილებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია! იმას კი რომელი მაგალითით, რის საფუძველზე ასკვნის რეცენზენტი, რომ თამარელას სახე ვერ არის სხვა გმირებისაგან მკვეთრად გამიჯნული. რა გარემოებამ აფიქრებინა რეცენზენტს, რომ მკითხველს თამარელა ვერ გამოურჩევია მეგისა, ასმათისა, ლელასა და სხვა პერსო-

ნაჟებისაგან?! ჩვენი აზრით, ესეც ერთ-ერთი დაუსაბუთებელი ახირებაა რეცენზენტისა.

განაგრძობს რა სიტყვას „გაცხოვრებისეულების“ შესახებ, რეცენზენტი „უკალაპოტო“ მსჯელობას აქაც მიჰყავს შეუსაბამო დასკვნამდე: „ნუთუ ხუთი წლის მანძილზე, როცა შატბიას იმედი გადაუწყდა (სად, როდის ჩანს, რომ გადაუწყდა? — ლ. ა.), ერთხელ მაინც არ აუჩქროლდა ქალწულის სისხლი, ნუთუ ერთხელ მაინც, თუნდაც წუთიერად არ შეუთრთოლა გული მამაკაცის ალერსის მონატრებამ, ის ხომ მიწიერი ადამიანია?“

ადამიანის „მიწიერების“ განსაზღვრის ამგვარი საზომით შეგვიძლია მსოფლიო ლიტერატურაში მაღალ დონეზე დახატულად აღიარებული პერსონაჟების განახევრება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი რეცენზენტის ასე მსჯელობა, ასეთი კუთხით ცქერა, ასეთი დამოკიდებულება თამარელასადმი ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ შეუძლებელი იყო რეცენზენტი ჩასწვდომოდა პერსონაჟის ხასიათს, არსს, ნაწარმოების სათანადო მხატვრული ანალიზის გარეშე. ოთარაანთ ქვრივის გიორგის რომ კესო შეუყვარდა, როგორ ფიქრობს რეცენზენტი, ილიას გამორჩა იმის აღნიშვნა, ალერსს მონატრებულ გიორგის სხვა ქალებზედაც ეჭირა თვალი, როცა კესო შორს იყო? დიდი, ღრმა სიყვარულის ლოგიკა ასეთ რამეს უთუოდ გამორიცხავს.

როგორც უკვე ითქვა, თამარელას შატბიას დაბრუნების იმედი არ გადასწყვეტია. ესეც რომ არ

იყოს, განა თამარელა, რაგინდ მიწიერ არსებადაც უნდა გამოვაცხადოთ, ისეთი ნატურაა, ისეა დახატული, რომ ერთი ვაჟი უყვარდეს და რაკი ის გვერდით არ ჰყავს, სხვა ვაჟებისკენ გაურბოდეს თვალი, მისთვის სულ ერთი იყოს, რომელ მამაკაცსაც ჩაეხუტება? ახსოვს თუ არა რეცენზენტს, რას ეუბნება ლავრტი ოფელიას? — „მარტო მთვარეს რომ გადუშალოს ქალმა გულ-მკერდი, უბიწოებას თვისას იგი მითაც შებღალავს“.

ჩვენს ცხოვრებაში რომც არ იყოს სულიერი სისპეტაკის და წმინდა სიყვარულის მაგალითი, ვალდებული ვიქნებოდით შეგვექმნა იგი. საბედნიეროდ, ასეთი რამის შეთხზვა არ დაგვჭირვებია: მარტო ნინო ჭავჭავაძის მაგალითი რად ღირს! მიუხედავად თავისი „მიწიერებისა“, მეუღლის სიკვდილის შემდეგაც ვერ იქცა იგი ბიწიერად. იქნება განა სამართლიანი და ლოგიკური, იმ ხასიათისა და რწმენის ადამიანი, როგორიც ნინო ჭავჭავაძეა, დავხატოთ ვაჟის ალერსს მონატრებული? არ შეიძლება „მიწიერების“ საბაბით ყველას იმ საზომით მივუდგეთ, რომელიც ჩვენ მოგვწონს. მადამ ბოვარის ბიოლოგიური და სულიერი წყობის ყალიბი ნინო ჭავჭავაძის დამხატავს არ გამოადგება და, პირიქით.

თამარელას სახით, ქართველი ხალხის სისპეტაკის განსახიერებად არ შეგვეძლო დაგვეხატა საეჭვო ყოფაქცევის გოგო. ასეთად დახატული თამარელა უკვე აღარც იქნებოდა ის თამარელა, რომელიც რომანშია. ვაჟებისათვის ალერსს მონატრებულის

თვალით მაცქერალი თამარელას დახატვით შემეძლო ერთი-ორად გამეზარდა ჩემი რომანის მკითხველთა რაოდენობა, მაგრამ არა თამარელას სახის მხატვრული და ესთეტიკური ღირებულება. რეცენზენტი რომ სერიოზულად დაინტერესებულიყო, რამ განაპირობა სწორედ ისეთი ხასიათის დახატვა, როგორიც თამარელაა, ეს გზა, ეს ძიება მიიყვანდა იდეურ ჩანაფიქრამდე, იდეური ჩანაფიქრის ამოხსნა კი ნაწარმოების პათოსამდე. რეცენზენტის მსჯელობით კი რა გამოდის? რაც არის, იმის განუსჯელად უგულებელყოფა და სულ სხვა ესთეტიკური და ეთიკური სქემის შემოთავაზება. ამის გაზიარებამ გამოუცდელ მკითხველთან ერთად შეიძლება ისიც უკუღმა წაიყვანოს, ვისაც ჯერ ნაწარმოები არ წაუკითხავს.

რეცენზენტი დაასკვნის: „აი სწორედ ამ მიზეზით (ავტორმა რომ მამაკაცის ალერსს მონატრებული თამარელა არ დახატაო — ლ. ა.) თამარელას თითქოს უჭირს წიგნიდან ცხოვრებაში გადასვლაო". წიგნიდან პერსონაჟის ცხოვრებაში „გადასვლას" რომ ასეთი რამ შველოდეს, ბელიკოვი როგორ მოასწრებდა ანდრეი ბოლკონსკის ცხოვრებაში გადასვლას?

თამარელაზე მსჯელობას რეცენზენტი შემდეგი შენიშვნით ამთავრებს: „ჩვენ ვერც გარეგნულად ვჭვრეტთ კარგად თამარელას. არ ვიცით, როგორ იცვამს, რა ფერის ტანსაცმელი შვენის, როგორი თვალები აქვს, როგორ დადის. ეს წვრილმანები როდია".

ამ „წვრილმანებზე" რეცენზენტს პასუხი შეეძლო

ეპოვა მთლიან ნაწარმოებში და არა მესამე ტომში როცა ადამიანის გარეგნობაში რამეს ხაზს უსვამს მწერალი, თვალის ფერი იქნება თუ ტერფის ზომა, ამას გარკვეული ფუნქციაც უნდა ჰქონდეს ნაწარმოებში, — მარტო იმისთვის ჩამოთვალა გარეგნული ნიშნებისა, რომ მკითხველის უბრალო ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილოს, მართლაც, წვრილმანებად აქცევს ყველაფერს.

ანა კარენინას მეუღლის ყურებს მაშინ მიექცა ყურადღება და მაშინ მიეცა ნაწარმოებში დანიშნულება, როდესაც ანა კარენინამ მასში ჰპოვა თავისი ზიზღის ერთგვარი ფიზიკური დასაყრდენი. მანამდე ეს ყურები არ ჩანდა, რადგან არ ჰქონდა მხატვრული ფუნქცია. ლერმონტოვს „ტამანში“ აღწერილი ჰყავს ერთი ალქაჯი გოგონა, რომლის გამოხედვა რამდენჯერმე თავბრუს დაახვევს პეჩორინს. მაგრამ ლერმონტოვი არ ამბობს, რა ფერის თვალები ჰქონდა ამ გოგონას. სამაგიეროდ ხაზგასმულად აქვს აღნიშნული ის, რომ გოგონას ჰქონდა გასაოცრად სწორი ცხვირი, რამაც მოაგონა გოეთეს მინიონი. და თუ არაფერს ამბობს ავტორი ბრმა ბიჭუნას ცხვირზე, რომელიც ასანთითაც კი გაანათა, აღწერს ბრმა ბიჭის თვალებს: «Я засветил серную спичку и поднес ее к носу мальчика: она озарила два белые глаза. Он был слепой, совершенно слепой от природы». ვინმეს მიერ დახატული პერსონაჟის მიმართ საყვედურის გამოთქმამდე ამ საკითხმა, მე მგონია, კაცი უნდა ჩააფიქროს. რეცენზენტის ყველა

შენიშვნა, საყვედური სულ უფრო და უფრო ცხადყოფს და აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ მას რომანი შემფასებლის თვალით არ აქვს წაკითხული; თორემ ამ შემთხვევაშიაც — რატომ არ არის თამარელა ისე დახატული, როგორც რომანის სხვა პერსონაჟებიო (თითქმის არც ერთს არ აკლია თვალებისა და ტანსაცმლის ფერი) უთუოდ დააეჭვებდა და დააფიქრებდა რეცენზენტს. დაფიქრება კი უეჭველად მიახვედრებდა, რომ ავტორმა თამარელას გარეგნობის დახატვისას სხვა ხერხი აირჩია: მკითხველი რომანის დასაწყისშივე ტყობილობს, რომ თამარელა ხელოვანის, მოქანდაკის სატრფოა. მოქანდაკე, როგორც მოსალოდნელი იყო, თამარელას სახით ქალურ მიმზიდველობასთან ერთად უნდა მოეხიბლა იმასაც, რომ ის თავისი გარეგნობით იშვიათი გამოსაქანდაკებელი იყო. ჩვენ მიერ თამარელას გარეგნულად დახატვა სწორედ ამ ლოგიკას ემორჩილება: თამარელა დანახულია შატბიას — მოქანდაკის — თვალით და ისეა დახატული, როგორც მოქანდაკე ხედავს — არა ფერებს, არამედ ფორმებს. ამისი ერთი მაგალითი რომანიდან: „თამარელა აქამდე არა გრძნობდა, მაგრამ ნაპირზე რომ გავიდნენ, სირცხვილით დაიწვა. კაბა ისე შემოტმასნოდა ტანზე, შიშველი გეგონებოდათ. შიშველი მკერდი კი როგორც იყო გაწეწილი ნაწნავებით დაიფარა, მაგრამ ქვედაწელს ვერაფერი მოუხერხა; ისე ლაპლაპებდა სველი კაბა, ისე მკაფიოდ აჩენდა მისი სისველე ნაკვთებს, ძალაუნებურად იქცევდა ყურადღებას“. (ტომი 1, გვ. 44).

რეცეზენტი იმასაც გვისაყვედურებს, არ ვიცი, თამარელას რა უხდებაო. რომანში კი სწერია — „მე რომ შენს ადგილას ვყოფილიყავი, აქამდეც ჩავიცვამდი ამ სპეცსამოსს! რატომღაც მეგონა, მარტო აბრეშუმის კაბა გიხდებოდა“. (ტ. 1, გვ. 246). „— როგორ მოგწონთ, უხდება? — თავმომწონედ იკითხა ვენერამ. თანხმობის ნიშნად ყველა ერთხმად ახმაურდა, — პატარძალია, ქვესკნელის პატარძალი“. (ტ. 1, გვ. 247). „თამარელა ხორციელ ფერიას ჰგავდა ბაკისტის თეთრ, ქათქათა, ნაოჭებშემოწყობილ კაბაში“ (ტ. 1, გვ. 436). ბატისტის თეთრი ქათქათა კაბითაც მოქანდაკეს თამარელა შეიძლება წარმოუდგეს თეთრ მარმარილოში გამოკვეთილივით. მართალია, ეგვიპტელები თავიანთ ქანდაკებებს ნაკვთებისა და ტანსაცმლის შესაბამისი ფერებით ღებავდნენ, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა თვით მასალის ფერში ნაწარმოების დატოვების შემთხვევებსაც. ეს იყო ფარაონების ეპოქაში, შემდეგ საუკუნეებში კი უარყოფილ იქნა ქანდაკების ამგვარი შეღებვის პრაქტიკა, ბერძნული და რომაული სკულპტურისათვის კი ასეთი რამ უცხოა. როცა ავტორს საჭიროდ მიაჩნია გარკვეული მოსაზრებით, არც თვალების, არც თმის, არც ტანსაცმლის ფერი არ ავიწყდება არათუ პირველი, თვით მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ხატვის დროსაც. არც ის არის დავიწყებული, როგორ დადის თამარელა; და ეს ყველაფერი სწერია შავით თეთრზე. რეცენზენტი წერს: — „საინტერესო პიროვნებაა ნაწარმოების მეორე გმირი — შატბიპ, თამარელას

შეყვარებული, მაგრამ მის ირგვლივაც იგივე უნდა ითქვას, რაც თამარელაზე, ვერც შატბიას ხასიათია მკვეთრად გამიჯნული სხვა გმირებისაგან".

წინააღმდეგ რეცენზენტის მტკიცებისა, ჩვენ ხაზგასმით გვაქვს აღნიშნული ის, რითაც შატბია სხვებისაგან განსხვავდებოდა: „კაკო ზიბზიბაძის კომკავშირული ბრიგადის წევრებში, რომლებიც ახლა ერთად მიეშურებოდნენ სალამფესაკენ, მარტო ერთი მიაბიჯებდა მდუმარედ. შტოლნიდან სალამფემდე ამხანაგების ოხუნჯობაზე მას ხმამაღლა ერთხელაც არ გაუცინია, ღიმილში ბაგის კუთხე ოდნავ თუ შეუტოკდებოდა ხოლმე. შესამჩნევი სიდინჯე და ლაპარაკის დროს აუღელვებელი კილო, ყოველი სიტყვის თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ბეჯითად და მკაფიოდ გამოთქმა საგრძნობლად არჩევდა ამხანაგებისაგან, რომლებიც ხმამაღლა ლაპარაკსა და სიცილს იყვნენ ჩვეულნი" (ტ. 1, გვ. 19).

სხვებისაგან შატბიას გამორჩევაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითის პოვნა შეიძლება რომანში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია რეცენზენტის მომდევნო შენიშვნა: „ლაპარაკობენ სხვები, მხოლოდ თვითონ შატბია მეტად პასიურია, როგორღაც უღიმღამოა. როცა ის ლაპარაკობს, თითქოს არ იგრძნობა, რომ ეს შატბიას, მხოლოდ შატბიას ლაპარაკი და მოქმედებაა. ერთნაირ ყალიბშია ჩამჯდარი შატბია მაშინაც, როცა სუფრაზეა, მაშინაც, როცა გამოფენაზეა და მაშინაც, როცა თავის კარმიდამოს უახ-

ლოვდება“. ამ ბრალდებების გასაბათილებლად ალბათ ნახევარი რომანის გადმოწერა დამჭირდებოდა. როგორ ფიქრობს რეცენზენტი, ყველა სხვა შემთხვევაში მწერლების მიერ დახატული პერსონაჟების მეტყველება ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ილიასა და მოხევისა „მგზავრის წერილებში“? ან ასეთი რამ ყველგან აუცილებელი და საჭიროა? დღეისათვის ცოტა მოძველებული ხომ არ არის რაღაც ჟარგონისა და კუთხური მეტყველების ელემენტებით პერსონაჟების ერთმანეთისაგან განსხვავების პრაქტიკა. რომანში ხაზგასმული მაქვს შატბიას ხასიათის თავისებურება — სიდინჯე, სიტყვაძუნწობა. ეს კი არავითარ შემთხვევაში არ აღნიშნავს პასიურობას, როგორც რეცენზენტს ჰგონია. ძნელია იმ ადამიანის პასიურობაში დაარწმუნოს მკითხველი რეცენზენტმა, ვინც წყალდიდობის დროს აზვირთებულ მდინარეს თავგანწირულად გამოსტაცებს განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს; ვინც საზაფხულო არდადეგების დროს შახტში მუშაობს; შახტში მუშაობას კი მაგარი კუნთების გარდა, მაგარი ნერვებიც სჭირდება; ვინც გაწვევამდე მოხალისედ მიდის ომში; ვინც ხუთჯერ დაჭრილა ბრძოლებში; ვინც ტყვედ ჩავარდნილი, სულიერად არ დაცემულა. ან მაშინ რატომ არის უღიმღამო და პასიური შატბია, როდესაც ომიდან დაბრუნებული სამხატვრო გალერეაში გამოფენას ათვალიერებს: „შატბია დიდი გულმოდგინებით განაგრძობდა გამოფენაზე გამოჭანილი სკულპტურული ნაწარმოებების დათვალი-

ერებას, მისი ყურადღება მიიქცია მაღაროელთა ოთხმა პორტრეტმა". როდის იყო „დიდი გულმოდგინება" პასიურობის გამომხატველი ცნება? მისი დაძაბული ფიქრი ნამუშევრების თვალიერებისას სწორედ აქტიური დამოკიდებულებაა და არ პასიური. თუ შატბია თავიდანვე აქტიურ ნატურადაა დახატული, გარკვეულ მომენტებში კი პასიურად გვეჩვენება, ან ნამდვილად ასეთია, ამასაც ხომ აქვს ალბათ რაღაც აზრი და მნიშვნელობა. „თვალების ფერის" არ იყოს, აქაც მეტი დაფიქრება იყო საჭირო რეცენზენტის მხრივ. ის შენიშვნა კი: „რაში იყო საქმე, რად მოვიდა მისი (შატბიას. — ლ. ა.) დაღუპვის ცნობაო?" — გულუბრყვილოდ გაისმის.

და აი, ბოლოს ნიკო არაბიძის „განკითხვის" ჯერიც დადგა რეცენზიაში: „ნიკო, ეს უანგარო, პატიოსანი მუშაკი მეუღლეს უმალავს ერთად-ერთი შვილის დაღუპვის ამბავს. ეს ამბავი ცოტა დაუჯერებელია. ნიკოს ერთადერთ შვილზე ძვირფასი აღარავინ ეგულებოდა ქვეყანაზე და იგი აღარც თავისთავს, აღარც ცოლს არ გაუწევდა ანგარიშს", გვეუბნება რეცენზენტი. ანგარიშს უთუოდ გაუწევდა ნიკო არაბიძისთანა ხასიათისა და ნებისყოფის პატრონი, მაგრამ არ გაუწევდა ეგოისტი; რატომ ფიქრობს რეცენზენტი, რომ თუ ერთადერთი შვილივით არა, შვილის შემდეგ მაინც ყველაზე ძვირფასი იყო ნიკოსთვის მისი ცხოვრების მეგობარი, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი მეუღლე — ასმათი. დღესაც რამდენს შეხვდებით, რომ აქამდე უმალავენ

ცოლს შვილის დაღუპვის ამბავს, და ეს მათგან უფრო მეტ სულიერ ძალას, ნებისყოფის სიმტკიცეს მოითხოვს, ვიდრე გამხელა, ლოდივით დარღის გვერდზე გადაგორება. თუ რატომ არ ამხელს თავის დარდს ნიკო, ეს ჩანს არა მარტო ხიდაშელთან კამათში ამ საკითხზე.

რეცენზენტი განაგრძობს მსჯელობას დარღის გამხელის თაობაზე და ბოლოს დაასკვნის: „არ შეიძლება, მარტო როცა დარჩება, არ მისცეს გზა მოღუბებულ სევდას (ნიკომ. — ლ. ა.), არ შეიძლება შვილის ტანსაცმლის, ან მისი რაიმე ნივთის დანახვაზე გულში მაინც არ იბღავლოს“. რეცენზენტს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ზოგი რამ მას აქაც გამორჩა; თუ მას ახსოვს, ფოსტალიონის ცოლს როგორც იქნა დასტყუა ნიკომ შავი უწყება: „სეფეს ცოლს გაუკვირდა, რა ვაჟკაცური თავშეკავებით გადაიკითხა ნიკომ შვილის დაღუპვის ცნობა, მაგრამ როცა არაბიძე გამოემშვიდობა ფოსტალიონის ცოლს და კიბეზე ჩადიოდა, ქუდი კი აღარ დაიხურა, სახეზე აიფარა. მისი აძიგძიგებული მხრებისა და ბეჭების მოძრაობაზე სეფეს ცოლი უმალ მიხვდა, როგორის გულამოსკვნით და უხმოდ ტიროდა ეს ამოდენა კაცი“ (ტ. III, გვ. 35). როგორ ფიქრობს რეცენზენტი, „გულში ბღავის“ თუ არა ნიკო არაბიძე? შეიძლება რეცენზენტს ესაყვედურებინა ჩვენთვის — მართალია, ავტორს ეს ამბავი არ დავიწყებია, მაგრამ ერთხელ „დაბღავლება“ საკმარისი არ არისო. რაც გაქვს, იმაზე დუმს, შემდეგ კი გვისაყვედურებს, არა

კაქვსო. მე პირადად ვერ მივხვდი, მხატვრული ანალიზის ამგვარ ლოგიკას რა სარჩული უდევს. რეცენზენტს აქვე ისიც უნდა მოვახსენოთ, რომ არც დაღუპული შინაურის ტანსაცმელის დანახვაზე „დაბღავლების“ საჭიროებაა რომანში დავიწყებული: „ცარიელ კარადაში მხოლოდ ერთი კაბა ეკიდა. შატბიამ ფრთხილად ჩამოხსნა იგი საკიდიდან და მკლავზე სულიერივით გადაიწვინა. ნიკო შორიახლოს იდგა. მამაც, შვილიც ძალიან ცდილობდნენ, თავი როგორმე შეეკავებინათ, მაგრამ ახლა წეღანდელზე უფრო ატირდნენ“ (ტ. III, გვ. 402). ეს ამონაწერები ზედმეტად ხომ არ გვარწმუნებენ, რომ რომანი არა მარტო შემფასებლის თვალით, ყურადღებითაც არ არის წაკითხული. თუ წაკითხულია და ამას ყველაფერს შეგნებულად ჩქმალავს რეცენზენტი?

თავის „მკაფიო“ მსჯელობას რეცენზენტი კიდევ ერთი შენიშვნით ამდიდრებს: „ერთი რამ მკაფიოდ შეინიშნება. სხვათა შორის, რომანის გმირებს მეტწილად თითქოს გული არაფერზე მოსდით, არ ბრაზდებიან, არაფერზე ღელავენ, არა აქვთ შემართება, მრისხანება“.

ვინ დაიჯერებს, რომ ამ შენიშვნის ავტორს დაკვირვებით აქვს წაკითხული ნაწარმოები. როგორ, ყველა სხვა შემთხვევას რომ თავი დავანებოთ, როცა თამარელას კაცი შემოაკვდა, მაშინ ის აღელვებული, განრისხებული და გაბრაზებული იყო, თუ მხიარული? რეცენზენტი რომ შენიშნავს „მეტწილადო“, მეტწილად და უმიზეზოდ რატომ უნდა ბრაზდებოდ-

ნენ, მე ისინი ნევრასთენიით დაავადებულად ხომ არ დამიხატავს, რომ ასეთი რამ გამემართლებინა?

კიდევ ერთი-ორი კრიტიკული შენიშვნა და რეცენზენტს მოულოდნელად ეუფლება აღტაცების გრძნობა:

„როგორ შეიძლება დაგავიწყდეთ ბარდღას დახვრეტის სცენა. აი აქ გაიბრწყინა მწერლის ნიჭმა. აქ გვაგრძნობინა მხატვრული სიტყვის ძალა და გულის თრთოლვა".

„რა ბრწყინვალედ, რა დიდი ლირიზმითა და სევდით არის დაწერილი ეს ადგილი!"

„ბოლოს, რა მართლად, რა ოსტატურად არის აღწერილი ბარდღას სიკვდილი!"

აკიო, „ეს მშვიდი, ერთ კალაპოტში ჩაყენებული თხრობა არსად არ შეიცვლებაო!". „გვიანი შემოდგომის მზესავით იგი არცთუ გაცხუნებს, არცთუ გაციებსო". ის ეპიზოდებიც ხომ, რომელთაც რეცენზენტისათვის განუცდევინებია „მხატვრული სიტყვის ძალა და გულის თრთოლვა", არ გამოირჩევა სხვა ეპიზოდებისაგან არც „ენის სინოყივრით", არც „ფრაზის გემოთი". არ გამოირჩევა არც ლექსიკური შემადგენლობით, არც თხრობის კილოსა და დინამიკის შეცვლით. მაშ რა მოხდა, რამ აუჩუყა გული რეცენზენტს ასე მოულოდნელად? ამისი გასაღები ხომ არ არის რეცენზიაში ხუთჯერ ხაზგასმით გამეორებული „ოცი წელი". უთვალავი პირველხარისხოვანი ნაკლი და ორიოდე მეორეხარისხოვანი ღირსე-

გა — აი ჯამი ოცი წლის ნაღვაწის რეცენზენტის „გამოანგარიშებით“.

რეცენზენტი დადებითად „შერაცხული“ ორიოდე ეპიზოდისა და ორიოდე ეპიზოდური პერსონაჟის ჩამოთვლის შემდეგ შენიშნავს: „რა თქმა უნდა, კიდევ შეიძლებოდა კარგი ადგილების მოყვანა, უფრო დეტალურად განხილვა მთელი წიგნისა, მაგრამ ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა“. თუ რეცენზენტს არ შეეშინდა კრიტიკული შენიშვნების მიმართულებით ასე შორს წასვლისა, რატომ ვიფიქრა, რომ წიგნის დეტალურად განხილვა უფრო შორს წაიყვანდა; საკითხავია, ვინ ზღუდავდა, რეცენზია ორჯერ მეტი მოცულობისაც რომ ყოფილიყო! ყოველი მხატვრული ნაწარმოები ხომ უპირველეს ყოვლისა იმითაა მნიშვნელოვანი, თუ მასში რამე საყურადღებო და დადებითია, თუ რაიმე ახალს გვეუბნება და არა იმით, თუ რის მხოლოდ შეცდომების გროვაა.

რეცენზიის დასასრულს ს. დემურხანაშვილი გვაფრთხილებს, რომ „საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ნაწარმოების ბოლოზეო“. ჩვენ ვიტყოდით, რომ ეს არის არა „ბოლო“, როგორც რეცენზენტი ფიქრობს, არამედ ნაწარმოების თავი და ბოლო. შეიძლება ბევრი რამის უფლება ჰქონდეს მწერალს, მაგრამ მას არა აქვს უფლება უღალატოს სინამდვილეს, სიმართლეს, თუ ის თავს რეალისტად თვლის ამ ცნების ღრმა მნიშვნელობით. მოაცილეთ ეს „ბოლო“ „ახალ ჰორიზონტს“, შეცვალეთ იგი დასასრულის სხვა ვარიანტით და მთლიანად გამოეცლება ნაწარმოებს ის

პათოსი, ის შინაარსი, რომელიც ახლა აქვს. გამოეცლება თუ არა „ანა კარენინას“ თავისი პათოსი და იდეური დასაყრდენი, მატარებლის ქვეშ მისი ჩავარდნა რომ შევცვალოთ ანა კარენინასა და ვრონსკის ქორწილით! ან რაღა დარჩებოდა იმ „ჰამლეტისაგან“ როგორადაც ისაა ცნობილი, შექსპირს რომ ჰამლეტი და კლავდიუსი შეერიგებინა, მათ ერთმანეთი გადაეკოცნათ! არ შეიძლება აქ არ გაგახსენდეს კლაუზევიცის ნათქვამი — სამხედრო მეცნიერება ქიმიურ ნაერთს ჰგავს, — შეცვალეთ ერთი ელემენტი და გოგირდის მაგიერ წყალს მიიღებთო. ასეა მხატვრული ნაწარმოების საქმეც. ს. დემურხანაშვილიც ნებსით თუ უნებლიეთ სწორედ ამას მირჩევს — „გოგირდი“ „წყლად“ ვაქციო. სხვა დასკვნამდე არც შეიძლებოდა მიეყვანა რეცენზენტი ამგვარ მსჯელობას.

გველის მიერ შატბიას დაგესვლას და ამასთან დაკავშირებით თამარელას დაღუპვას რეცენზენტი თვლის ხელოვნურად შეთხზულ ამბად, „მკითხველის ნერვებზე გაცვეთილი ხერხით თამაშად“. შესაძლებლად მიაჩნია, რომ ქვეწარმავალი ნაწარმოებში სიმბოლიკაა, მაგრამ ასკვნის — „ამ სიმბოლიკით მწერალმა საქმე ხომ არ გააიოლა? ხომ არ შეიძლებოდა დასასრულის უფრო კარგი ვარიანტის გამონახვა?“. თვითონ პროზაიკოსს, ს. დემურხანაშვილს, ეპატიება ასეთი მკითხაობა? „დასასრული“ ნაწარმოების მთლიანი კონცეფციიდან უნდა გამომდინარეობდეს, თუ ჩვენი ნება-სურვილით უამრავი ვარიანტიდან ერთის ამორჩევის გზით წყდებოდეს? ასე

ვერც დაიწერება და ვერც შეფასდება ნაწარმოები. თუ ვინმე ამ წესს მისდევს, ის ხელოსანია და არა ხელოვანი. რადგან რეცენზენტისათვის იდეური ჩანაფიქრის ამოხსნა გაჭირდა, ის აღარ უნდა გამოჰკიდებოდა „ბოლოს“ საკითხს, დაეტოვებინა იგი ღიად, როგორც დატოვა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები.

„ეს გველი მაინც საგანგებოდ გამოწერილს ჰგავს, რომელმაც თითქოს გასაჭირიდან უნდა გიხსნას“, — გაკვირვებით შენიშნავს რეცენზენტი. გველი იქით იყოს და, მე უსათუოდ „გამოვუწერდი“ ყველას „ახალი ჰორიზონტის“ ხელახლა წაკითხვას თავიდან ბოლომდე, უფრო დინჯად, გულდასმით, ვისაც კი ასეთი კითხვა დაებადება.

ისე კი, უნდა ითქვას, ნაწარმოების შეფასება, სერიოზული ანალიზი რომ იოლი საქმე იყოს, კრიტიკოსების ნახევარი მაინც გასწევდა ბელინსკის მაგივრობას. რაკი ბელინსკი ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რუსმა ხალხმა, მკითხველმა იმთავითვე შეიყვარა და დ ა ა ფ ა ს ა პუშკინის შემოქმედება, მაგრამ ღირსეულად შ ე ა ფ ა ს ა იგი მხოლოდ ბელინსკიმ. განუზომლად დიდია ამ ადამიანის — შემფასებლის როლი და მნიშვნელობა, როგორც მწერლობის განვითარების, ისე ერის სულიერი ცხოვრების საქმეში. მკითხველთა აბსოლუტური უმრავლესობა მას თითქმის „ბრმად“ ენდობა, იზიარებს მის შეხედულებას. შეხედულების გაზიარება კი ნიშნავს ამ შეხედულებით ხელმძღვანელობას. რაკი ეს ასეა, ადვილი წარ-

მოსადგენია, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისათვის, თუ შემფასებელი არ ცდება, და რა ზიანის მოტანა შეუძლია, თუ შემფასებელი ცდება (მით უმეტეს, შეგნებულად), ეს უკანასკნელი გარეჰოება დღევანდელი ქართული კრიტიკისათვის უცხო ხილი არ არის.

როგორც შაბი წმენდს დ გამჭვირვალედ აქცევს ამღვრეულ წყალს, ასევე კრიტიკამ უფრო გამჭვირვალედ უნდა აქციოს მკითხველისათვის ნაწარმოები, თუ ის ოდნავ მაინც „ამღვრეულია"; მაგრამ სინამდვილეში, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ არის: კრიტიკოსების მიერ „გამჭვირვალე წყლის ამღვრევის" რამდენი შემთხვევა გვახსოვს, ვინ მოთვლის! სწორედ ეს გარემოება, და სხვა არაფერი, აფიქრებინებს ხოლმე მწერალს, რომ კრიტიკა საჭირო არ არის. მართლაც, რა საჭიროა კრიტიკოსი? მწერალმა დაწერა ნაწარმოები, მკითხველმა წაიკითხა. მაგრამ არა! ნამდვილი, ჭეშმარიტი ყველაფერი საჭიროა, მწერლობაც, კრიტიკაც. მოწოდებით კრიტიკოსი — გულთამხილავია. გულთამხილაობის გარეშე კი კრიტიკა წყლის ნაყვაა.

თუ ნაწარმოების დასაბუთებულად დაწუნება არა მარტო საწყენი, ზოგჯერ შეიძლება უბედურებაც იყოს მწერლისათვის, სამაგიეროდ არასწორი, დაუსაბუთებელი შეფასება ნაწარმოებისა თითქმის შეურაცხყოფაა ავტორისა. ეს იმას ჰგავს პავლე რომ გერქვას და პეტრე დაგიძახონ. ამას ერთხელ, ორჯერ

და თუნდაც სამჯერ შეიძლება წაუყრუო, მაგრამ ბოლოს მაინც ეტყვი, ვინც გეძახის, რაცა გქვია.

როგორც მკითხველს შეუძლია დარწმუნდეს, ყოველივე ზემოთ თქმული არც იმას ნიშნავს, რომ კრიტიკას ვერ ვითმენთ, არც იმას, რომ ჩვენი ნაწარმოები უნაკლოდ მიგვაჩნია. პირადად ჩვენ არც გვიფიქრია ოდესმე, არც ვფიქრობთ, და ღმერთმა მომავალშიაც ნუ გვაფიქრებინოს, რომ უნაკლო ნაწარმოების ავტორი გახლავართ! თუ მზესაც ჰქონია „ლაქები", ჩვენ რას გადავურჩებოდით ამ „ლაქებს". საქმე ისაა, „ლაქების" დანახვის სპეციალისტმა ის მხოლოდ იქ უნდა დაინახოს, სადაც არის, და არა იქ, სადაც არ არის. და თუ მაინც „ხედავს", სადაც არ არის, მაშინ რაღა სპეციალისტია!

მხოლოდ მანიაკებს სჩვევიათ საკუთარი ქმნილებით თავის მოწონება, ნაწარმოები კი იწერება არა თავის მოსაწონებლად, არამედ საკუთარი სათქმელის, შეხედულების, ტკივილის თუ სიხარულის სხვისთვის გასაზიარებლად. ასე დაუწესებია გამჩენს — ადამიანი დიდხანს ვერ გაძლებს სათქმელის გაუზიარებლად.

ჩვენს პასუხს არც განაწყენებული და, მით უმეტეს, არც საწყენად ვწერთ.

თუ რეცენზენტი გულწრფელად ცდილობს, როგორც ირწმუნება, დაგვეხმაროს თავისი კრიტიკული შენიშვნებით, რა უფლება გვაქვს ასეთივე გულწრფელობით არ ვუპასუხოთ მას მხატვრული შემოქმედების ზოგიერთ საკითხზე მსჯელობისას.

1970

სარჩევი

ნოველები

!ხის კოვზი	7
;გამოცდა	21
სტუმარი ღვთისაა	40
როცა მზე პირს იბანდა	60
ის ყვავილი	113
შინაბერა	126
კავალერი	138
ესტატე	144
მოლოდინი	175
მუხის ჭია	230
მოთიბული ბალახი	260
ყარიბი მგოსანი	281
სულოაგას ქუდი	345
სიდუ	385
შველი გადაჭრილ სესთან	400
არშბა	482
ასფალტი	501
კორდელია	538

წერილები

ძალთა უსვეულო მობილიზება	557
განუყოფელი ცნებები	568
„ვედრება“	575
კვლავ ცაბუნია	588
აკაკი გაწერელია — პროზის ოსტატი	594
„წითელი ღრუბლები“	601
კარგი შვილების სადიდებელი	623
ერთდროულად მიცქერიან	642
ღირსეულად ვალმოხდილი	648
ლიტერატურული კრიტიკის გვალვაში	652

ЛВАЛИАНИ ЛАДО ШАЛВОВИЧ

Новеллы
Письма

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1975

რედაქტორი ირ. არაბული
მხატვრული რედაქტორი გ. წერეთელი
ტექრედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ნ. თავაძე
გამომშვები ნ. მაჭარაშვილი

გადაეცა წარმოებას 8/IV-75 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VIII-75 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 2. 70×90¹/₃₂.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 24,86
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20,28
უე 07723. ტირაჟი 20000. შეკვ. № 1355.
ფასი 68 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეცნიერების გამზ. 7
Тбилисская книжная фабрика, Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7